

ელდარ მამისტვალიშვილი

იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი

მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა

Eldar Mamistvalishvili

**THE MONASTERY OF THE HOLY CROSS
IN JERUSALEM**

The Second Revised and Supplemented Addition

წინამდებარე წიგნის პირველი გამოცემიდან ცამეტ წელზე მეტი გა-
ვიდა. იგი მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა. ამასთან ერთად
ისტორიული მეცნიერება წინ წავიდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ადრე
გამოთქმული ზოგიერთი დებულების კიდევ უფრო გაღრმავება ან დაზუს-
ტება.

იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი ქართველთა ერთ-ერთი უძველესი
და უმნიშვნელოვანესი სასულიერო და კულტურის კერა იყო XVII საუკუნის
დასასრულამდე მისი დაარსება დაკავშირებულია V საუკუნის დიდი ქართ-
ველი ფილოსოფოსისა და თეოლოგის პეტრე იბერის სახელთან.

ქართულ და უცხოურ დოკუმენტურ და და ნარატიულ წყაროებსა და
სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით წიგნში განხილულია ჯვრის მო-
ნასტრის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი, მისი ცხოვრების თითქმის ყველა
მხარე, მოცემულია დღეისათვის იქ შემორჩენილი ან დაკარგული მრავალი
ფრესკისა და წარწერის ფოტოპირი.

წიგნი სასარგებლო იქნება მკვლევრების, სტუდენტებისა და საქართ-
ველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული რიგითი მკითხველი-
სათვის.

წიგნის მიზანია, აგრეთვე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იმ ის-
ტორიული ჭეშმარიტების შესახებ, რომ იერუსალიმის ჯვრისა და სხვა
ქართული მონასტრები დავალიანების გამო არ გადავიდა იერუსალიმის ბერ-
ძნული ორთოდოქსალური საპატრიარქოს მფლობელობაში, რომ ქართვე-
ლებს უფლება აქვთ იღვაწონ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული
ეკლესიის წიაღში დაბრუნებისათვის.

More than thiteen years have passed since the presented book was first published. It
soon became a bibliographic rarity. Moreover, the further development of the historical
science raised the issue of deepening and specifying previously voiced provisions.

The Monastery of the Holy Cross in Jerusalem was one of the Georgians' oldest and
the most important spiritual and cultural hubs till the end of the 17th century. Its foundation
is related with the name of the 5th century great philosopher and theologian Peter the Ibe-
rian.

Based on the Georgian and foreign documental and narrative sources and scientific
literature, the book discusses all the significant periods of the history of the Monastery,
almost every aspect of its life and the photocopies of various murals and inscriptions al-
ready lost and still preserved there.

The book will be useful for researchers, students and all those ordinary readers who
are interested in the history and culture of Georgia.

The book also aims at shaping the public opinion about one historical truth that the
Monastery of the Holy Cross as well as other Georgian monasteries in Jerusalem were not
moved to the Greek Orthodox Patriarchate possession due to the debts; the Georgians have
the right to make all efforts to return the Monastery of the Holy Cross to the bosom of the
Georgian Church.

შ ო ნ ა ა რ ს ო

წინასიტყვაობა	5
პეტრე იბერი – პიროვნება და მოღვაწეობა	8
პეტრე იბერი – წმ. ჯვრის მონასტრის დამაარსებელი	35
1. წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების საკითხის დასმისათვის	36
2. ქართული ისტორიული ტრადიცია წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ	37
3. ბერძნული ისტორიული ტრადიცია წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ	43
4. ისტორიული რეალობის რეკონსტრუქცია	45
5. ქართველების კვალი არქეოლოგიური არტეფაქტების მტკიცებულების ფონზე	46
6. არქეოლოგიური მასალის და ზეპირი ტრადიციის შედარებითი ინტერპრეტაცია	50
7. ისტორიული რეალობის რეკონსტრუქცია	52
8. პეტრე იბერი წმ. ჯვრის მონასტრის დამაარსებელი	59
9. მონასტრის იდენტობის საკითხი და ალტერნატიული სახელების ინტერპრეტაცია	64
დასკვნა	77
წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენა	80
1. წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის ისტორიული წანამძღვრები	80
2. საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობა – წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის წინაპირობა	89
3. ლეგენდების მნიშვნელობა წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენისათვის	95
4. წმ. ჯვრის მონასტრის აღმდგენელთა ვინაობისათვის	97
5. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის	100
6. რა ვიციოთ პროხორეს შესახებ?	113
7. წმ. ჯვრის მონასტრის სახელისათვის	115
8. წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის ქრონოლოგიური ჩარჩო	120
დასკვნა	123
წმ. ჯვრის მონასტერი და ჯვაროსნები	124
წმ. ჯვრის მონასტრის „დატყვევებისა“ და განთავისუფლების საკითხისათვის	130
მეჩეთი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში	144
წმ. ჯვრის მონასტერი XV-XVII საუკუნეებში	150
წმ. ჯვრის მონასტრის მმართველობა	159
1. წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქეები საქართველოში	159
2. წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქეები პალესტინაში	166

3. ჯვარისმამები	168
წმ. ჯვრის მონასტრის არსებობის მატერიალური საფუძვლები	184
1. მამულები	184
2. სახლები	189
3. შეწირულობანი	191
4. წმ. ჯვრის მონასტრის ქონება საქართველოში	195
წმ. ჯვრის მონასტერი ძველად და ახლა	199
1. წმ. ჯვრის მონასტერი პილიგრიმთა და მკვლევართა აღწერილობებში	199
2. ზრუნვა მონასტრის აღდგენა-განახლებისათვის	207
მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა	213
დღესასწაულები	218
იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი – თამარ მეფის საბოლოო განსასვენებელი?!	220
1. წყაროების ინტერპრეტაცია: პირდაპირი და არაპირდაპირი უცხოური ცნობები თამარ მეფის საფლავის შესახებ	220
2. ქართული ცნობები თამარ მეფის გარდაცვალების დროსა და საფლავის შესახებ	225
3. წერილობითი ცნობების რეინტერპრეტაცია	230
4. მშვიდობიანი გზის ძიება მეფე თამარის იერუსალიმში გადასვენებისათვის	231
5. თამარ მეფის საფლავის გასაიდუმლოების აუცილებლობა -	235
6 გ. დე ბუას წერილის ვერსიები თამარ მეფის საბოლოო განსასვენებლის მინიშნებით	236
7 ნივთიერი მასალა თამარ მეფის სავარაუდო საფლავიდან	241
8. ჩემი მოსაზრებების შეჯერება – დასკვნითი ნაწილი	244
შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში	246
წმ. ჯვრის მონასტრის ქართული პერიოდის დასასრული	259
წმ. ჯვრის ტაძრის ფრესკები და წარწერები	292

THE MONASTERY OF THE HOLY CROSS IN JERUEALEM

For the issue foundation of the Holy Cross Monastery in Jerusalem	308
About restoration of the Holy Cross Monastery	312
The Holy Cross Monastery Then and Now	313
The Monastery of the Holy Cross of Jerusalem - a final burial of King Tamar?!	321
The End of the Georgian Period of the Holy Cross Monastery	341
The Frescos and Inscriptions of the Holy Cross Monastery	357
ფრესკებისა და წარწერების ფოტოები	367
მონასტრის ფოტოები	378
ბიბლიოგრაფია	384
საძიებელი (402) Index (416) Указатель (421)	

წინასიტყვაობა

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართველების სულიერ სამყაროში წმინდა მიწამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მისკენ დაიძრა ახალგაქრისტიანებული ქართველების მნიშვნელოვანი ნაკადი. როგორც უახლესმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, მათი ერთი ნაწილი წმინდა მიწაზე დამკვიდრდა და მოღვაწეობდა როგორც ერთმორწმუნე უცხოტომელთა, მაგრამ სულიერ თანამოძმეთა ეკლესია-მონასტრებში, ისე საკუთარი ხელითა და ხარჯით აგებულ ტაძრებში. ასე, რომ, ვიდრე ისეთ მნიშვნელოვან ძეგლს შექმნიდნენ, როგორც წმ. ჯვრის მონასტერია, მათ უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდათ.

ოდესღაც საზღვარგარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს შორის წმ. ჯვრის მონასტერი უძველესი და განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. ის დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ქართველი ხალხის კულტურის, საერთაშორისო ავტორიტეტისა და ქრისტიანულ სამყაროში მისი როლისა და ადგილის გამოხატულებად. მან თავისი რელიგიურ-კულტურული მნიშვნელობა სიმბოლურად დღემდე შეინახუნა. შეიძლება ითქვას, რომ ოდესღაც წმ. მიწაზე არსებულ მრავალრიცხოვან ქართულ სიწმინდეთაგან იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი ერთადერთია, რომლისადმი ინტერესი და მოწიწება ჩვენში კვლავ არსებობს და მისი საქართველოსათვის დაბრუნების ნაპერწკალი ჯერაც არ ჩამქრალა. სხვადასხვა დროს იერუსალიმსა და მის შემოგარენში ქართველებს რომ მრავალი მონასტერი, ეკლესია და სამლოცველო ჰქონდათ, საქართველოში იშვიათად თუ ვინმემ იცის. წმ. ჯვრის მონასტერი საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა და განაგებდა იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების ცხოვრების ყველა მხარეს.

ცნობილი ლიტერატურული წყაროების, ლეგენდების და გადმოცემების მიხედვით, იერუსალიმში ფართომასშტაბიანი სამონასტრო მოძრაობის, ეკლესია-მონასტრების მშენებლობის და პირველი ქართული კოლონიის ფუძემდებელი იყო V საუკუნის დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და ფილოსოფოსი პეტრე იბერი..

იერუსალიმში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს შორის წმ. ჯვრის მონასტერს გამორჩეული ადგილი ეკავა, ამიტომ მასზე სხვადასხვა დროის და ქვეყნების პილიგრიმ-მოგზაურებისა და მკვლევარების მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი და

მნიშვნელოვანი ცნობებია მოღწეული. მნიშვნელოვანია თვით მონასტერში დაწერილი ალაპები, ხელნაწერი წიგნების მინაწერები, ფრესკები და წარწერები, ქართველი მოგზაურ-მეცნიერების მიერ მოპოვებული მასალები, მათი შთაბეჭდილებები და მოსახრებები. ბევრმა რამემ, რაც მათ საკუთარი თვალთ იხილეს, სუბიექტური ან ობიექტური მიზეზების გამო ჩვენამდე ვეღარ მოაღწია.

ქართველი ხალხისათვის ჯვრის მონასტრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის საკმაოდ საფუძვლიანი გადმოცემები, რომლებიც ამ მონასტერთან აკავშირებს სამ უდიდეს ქართველს – პეტრე იბერს, თამარ მეფეს და შოთა რუსთაველს.

დღეისათვის დაწერილებითაა ცნობილი, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს შიგნით და გარეთ არსებულმა სერიოზულმა ეკონომიკურმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა როგორ თანდათანობით დაასუსტა და საბოლოოდ მოსპო კიდევ იერუსალიმის ქართული კოლონია და მათს ეკლესია-მონასტრებს სხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხების ეკლესიები დაეპატრონა. მაგრამ, ახლაც კი, ჯვრის მონასტრის მხილველი არ შეიძლება არ შეიპყროს ტიმოთე გაბაშვილის მიერ ორ-ნახევარი საუკუნის წინათ განცდილმა სევდამ და ჩაგვესმის მის მიერ დასმული კითხვა: ნუთუ ყველაფერი ეს საქართველოსათვის სამუდამოდ დაიკარგა?

მკითხველისათვის ცნობილია, რომ დაახლოებით ათი წლის წინათ ამავე სათაურით გამოვაქვეყნე მოკრძალებული გამოკვლევა, იმდენად მცირე ტირაჟით, რომ სულ მალე იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა. მაგრამ ეს არ არის ის მთავარი, რამაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის ხელახლა დაწერა და გამოქვეყნება გადამაწყვეტინა. პირველი გამოცემის შემდგომ გასული დროის განმავლობაში ცნობილი გახდა ჩემთვის ახალი, ზოგიერთი, წერილობითი წყარო, ხელმისაწვდომი გახდა როგორც სამამულო, ისე უცხოური მნიშვნელოვანი გამოკვლევები. ამ გარემოებამ მთელი რიგი დებულებების სხვაგვარად გააზრების, გაერცობისა და შესწორების საშუალება მომცა.

მონოგრაფიაზე მუშაობისას მიზნად მქონდა წმ. ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული რამდენიმე პრინციპული საკითხის გარკვევა და მათი ხელახლა დაწერა: 1. მონასტრის დაარსება; 2. მონასტრის აღდგენა; 3. მონასტრის სახელდება; 4. მონასტრის განთავისუფლება დავალიანებისაგან.

აუცილებელი შეიქმნა პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ მხარეების უფრო სრულყოფილად წარმოჩენა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყო წმ. ჯვრის მონასტერთან, აგრეთვე ამ დიდი მოღვაწის როლისა და ადგილის განსაზღვრისათვის მის დროს პალესტინაში გაჩაღებულ რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლაში.

ჯვრის მონასტრის ისტორიის სრულყოფისა და სრულფასოვნად აღქმისათვის აუცილებლად ჩავთვალო, ჩემი სხვა ნაშრომებიდან მთელი რიგი მომენტების გადამუშავებული და გაფართოებული სახით წინამდებარე ნაშრომში ჩართვა.

მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი, წმ. ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული ყველა ხელმისაწვდომი ნაშრომი და მოსაზრება გამეთვალისწინებინა, ალბათ, მაინც გამომჩნა ზოგიერთი რამ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ზოგიერთი მოსაზრება და ვარაუდი ეწინააღმდეგება იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის ისტორიაზე დღეისათვის დამკვიდრებულ შეხედულებას. ყველა შენიშვნას მადლიერებით მივიღებ და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებ.

ვსარგებლობ შემთხვევით და წინამდებარე წიგნის გამოქვეყნებისათვის მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო გორის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი სოსიაშვილს. ნაშრომის ქართული ტექსტის რედაქტირებისათვის მადლობა გორის უნივერსიტეტის პროფესორებს – მარიკა შერაზადიშვილსა და ელენე ხოჯევანიშვილს, ინგლისური ტექსტის რედაქტირებისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანმცოდნეობის სპეციალობის დოქტორანტს ლელა ხუბულურს.

პეტრე იბერი – პიროვნება და მოღვაწეობა

რადგან ჯვრის მონასტრის დაარსება დაკავშირებულია პეტრე იბერის სახელთან, ამიტომ მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ მის ვინაობასა და სასულიერო-პოლიტიკური მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე მოაღწია პეტრე იბერის ბიოგრაფიებმა¹, მკვლევრებისათვის მაინც ბევრი რამ ბუნდოვანი და სადავოა².

¹ მოღწეულია პეტრე იბერის ბიოგრაფიის ორი ვერსია. თხზულება პირველად დაიწერა პეტრეს მოწაფის, იოანე რუფუსის მიერ ბერძნულად და VIII საუკუნეში ითარგმნა სირიულად. რუფუსის თხზულება პირველად გამოცა გერმანელმა რიხარდ რააბემ. Richard Raabe, Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen-und Sittengeschichte des funften Jahrhunderts. Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie. Herausgegeben und übersetzt von Richard Raabe, Leipzig 1895, 1-146; იოანე რუფუსი, წმინდა პეტრე იბერის, ნეტარი ეპისკოპოსის და ჩვენი უფალის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება. პლეროფორიები *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ*, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, 247-289, 291-297; ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1988; John Rufus: The Lives of Peter the Iberien, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus. Edited and Translated With Introduction and Notes by Cornelia B. Horn and Robert R. Phenix Jr. Leiden, 2008, 94, com.I. [http://books.google.ge/books?id=\(Sq1wuai-UC&pg=PA93&dq=Holy+Cross+Monastery+in+Jerusalem&h=en&ei=60-nTcrHMsfEswbmilGPCA&sa=X&oi=book_result&ct=result&redirese=y#v=onepage&q=Holy%20Cross%20Monastery%20in%20Jerusalem&f=false](http://books.google.ge/books?id=(Sq1wuai-UC&pg=PA93&dq=Holy+Cross+Monastery+in+Jerusalem&h=en&ei=60-nTcrHMsfEswbmilGPCA&sa=X&oi=book_result&ct=result&redirese=y#v=onepage&q=Holy%20Cross%20Monastery%20in%20Jerusalem&f=false)

მეორე ვერსია დაწერა ასურულ ენაზე პეტრეს მოწაფემ, ზაქარია რეტორმა, მითილენის ეპისკოპოსმა. Die sogenannte Kirchengeschichte des Zacharias Rethor in deutscher Übersetzung, herausgegeben von K. Ahrens und G. Krüger, Leipzig, 1890; Мapp H., Житие Петра Ивера, царевича-подвижника и епископа Майюмского V века. *Православный палестинский сборник*, т. 16, вып. 2, 1896; The syriac Chronicle known as that of Zachariah of Mitylene translated into English by F. T. Hamilton and E.W. Brooks, London, Menhuen, 1899; გერმანული თარგმანიდან ზაქარია რეტორის თხზულების ზოგიერთი თავის მოკლე შინაარსი გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1936, 3-12; მაკარი მესხის მიერ XIII საუკუნეში შესრულებული ქართული თარგმანი, გამოაქვეყნა სოლ. ყუბანეიშვილმა: ცხოვრება და მოქალაქეობაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა. *ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია*, I, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი., 1946, 256-272.

² Нуцубидзе Ш. И., Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита. — Тбилиси, 1942.

ა) პეტრე დაიბადა 411 წელს. მისი ნათლობის სახელი იყო მურვანოსი, სირიული წყაროებით კი – ნაბარნუგი. სასულიერო პირად გახდომის შემდეგ მას სახელი შეუცვალეს და პეტრე დაარქვეს. წერილობით წყაროებში იგი მოიხსენიება სხვადასხვა მეტსახელით – პეტრე იბერიელი, პეტრე ქართველი, პეტრე მაიუმელი¹.

ცნობილია მისი უახლოესი წინაპრები: მამა იყო ბოზმარიოსი, იბერთა მეფე, მამის მამა ბოზმარიოსი, დედა ბაკურდუხტია, ხოლო დედის დედა წმინდა დუხტია; პეტრეს პაპა დედის მხრიდან იყო დიდი ბაკურიოსი, დუხტიას მეუღლე, რომელიც იბერიის მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო. დიდედა მამის მხრიდან იყო ოსდუხტია, ბოზმარიოსის მეუღლე და მისი მამის, ბოზმარიოსის დედა, ხოლო ფარასმანიოსი იყო ოსდუხტიას, მამის მხრით მისი დიდედის, ძმა, რომელიც რომაელთა მეფეს არკადუსს დიდ პატივში ჰყავდა. დიდ ბაკურიოსს, პეტრეს პაპას დედის მხრით, ჰყავდა ძმა, არსალიოსი (არჩილი). პეტრეს ღვიძლი ძმები არ ჰყავდა. ჰყავდა მხოლოდ ერთი და, სახელად ბომიროსპარია, რომელიც ბოზმარიოსს

მისივე: Петр Ивер и античное философское наследство (Проблемы ареопагитики), Тбилиси, 1963; Honigmann Ernest. Pierre l'Iberian et les écrits du Pseudo-Denys l'Aréopagite, Bruxelles, 1952. ამ გამოკვლევის რუსული თარგმანი: Хонигман Э. Пётр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита. Труды Тбилисского университета, 1959, т. 5. შალვა ნუცუბიძისა და ერნსტ ჰონიგმანის პიპოთეზის კრიტიკა. იხ.: *Византийский временник*. М. Л., 1956. Т. 8.; Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited, *Orientalia Christiana Periodica*, 59 (1993), 217-227; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბილისი, 1973, 103-113; ნუცუბიძე შ., პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, *შრომები*, ტ. 5, თბილისი, 1975; ლოლაშვილი ივ., დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი, 1983; Michel van Esbroeck, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited, *Orientalia Christiana Periodica*, 59 (1993), 217-227; Kofsky A. Peter the Iberian Pilgrimage, Monasticism and Ecclesiastical Politics in Byzantine Palestine, 1997, 212 <http://198.62.75.1/www1/ofim/sbf/Books/LA47/47209AK.pdf>; ა. კოფსკი ევრდნობა პეტრე იბერის ცხოვრების სირიული ტექსტის რ. რააბესეულ გამოცემას. Brouria Bitton-Ashkelony, *Imitatio Mosis and Pilgrimage in the Life of Peter the Iberian. Christian Gaza in Late Antiquity*. Edited Brouria Bitton-Ashkelony and Arie Kofsky. *Jerusalem Studies in Religion and Culture*. Editors Guy Stroums and David Shulman. *Hebrew University of Jerusalem, Department of Comparative Religion*, vol. 3, 1997, 107-128. <http://www.scribd.com/doc/24692483/Christian-Gaza-in-Late-Antiquity>. Stiglmeier J., Der sogenannte Dionisius Areopagita und Severus von Antiochien. *Scholastik*, N 3, 1928.

¹ ლოლაშვილი ივ., დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მწერლობაში, 119.

ერთ ხასასთან შეეძინა. მიუხედავად ამისა, მამის სურვილისამებრ, პეტრე მას ღვიძლ დად თვლიდა. პეტრეს აღმზრდელი იყო სახელად ძუძო¹.

ყმაწვილი მურვანოსის აღზრდა – ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კოლხეთიდან მეფის კარზე მოწვეულმა ფილოსოფოსმა, მითრიდატე ლაზმა. მითრიდატე, სიცოცხლის ბოლომდე პეტრე იბერის განუყრელი თანამოაზრე და თანამოდვაწე იყო. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც იოანე ეგნუხი ან იოანე ლაზი. პეტრე თავის თავს თვლიდა იოანეს მოწაფედ².

423 წელს 12 წლის მურვანოსი მძევლად წარგზავნეს კონსტანტინოპოლს და თან გააყოლეს მითრიდატე ლაზი. მურვანოსმა ბიზანტიის სატახტოში ბრწყინვალე განათლება მიიღო. ის თავისი განათლებითა და გონებამახვილობით ანცვიფრებდა კეისარსა და სასახლის ფილოსოფოსებს. მურვანოსი კეისრის კარზე დაეუფლა ბერძნულს, ხოლო მოგვიანებით, იერუსალიმში - სირიულს.

ბ) კონსტანტინოპოლში ყოფნისას ახალგაზრდა უფლისწული, თანდათან რელიგიური სულით იმსჭვალებოდა. მან კეისრის სასახლეში განცხრომით ცხოვრებას პალესტინაში საღვთო საქმის კეთება ამჯობინა. როგორც ა. კოფსკი წერს, „პეტრემ გადაწყვიტა იბერიის მეფე კი არ გამხდარიყო, არამედ ბერი იერუსალიმში. მისი „ცხოვრება“ წარმოსახავს ღრმა წინააღმდეგობებით აღსავსე ადამიანს. რუფუსი გვიხატავს უკიდურესი ასკეტიზმით მოტივირებულ ადამიანს, რომელმაც კავშირი გაწყვიტა საერო სამყაროსთან. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, პეტრე მუდმივად ჩართული იყო საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ასეთი მდგომარეობა ამ ქარიზმატული ასკეტის მთელი ცხოვრების მახასიათებელი გახდა“³.

როგორ მიაღწია პეტრემ თავისი ეპოქისათვის სანიმუშო ასკეტურ ცხოვრებას, იოანე რუფუსი გადმოგვცემს შემდეგს: „ის უკვე ოც წელს იყო მიღწეული... თავისი სამოსელის შესაფერის ქცევას იჩენდა და ძალიან თავდაჭერით და ასკეტურად

¹ იოანე რუფუსი, 248-249. პეტრე იბერის წინაპრების შესახებ იხ. ჩხარტიშვილი მ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პეტრე იბერის შესახებ, თბილისი, 2013, 7-18.

² იოანე გარდაიცვალა 464 წლის 4 ოქტომბერს. პეტრე სიცოცხლის ბოლომდე აღნიშნავდა მისი გარდაცვალების დღეს.

³ Kofsky A. Peter the Iberian Pilgrimage, Monasticism and Ecclesiastical Politics in Byzantine Palestine, 212.

ცხოვრობდა... თავისი ასკეტობა მან იმ ზომამდე განავითარა, რომ დათრგუნა ჭაბუკური აღვზნებების ბოხოქრობა, ჩააქრო ენებათა-ღველვის ალი და ახლა ადვილად აღწევდა იმას, რომ სულიერი სიმშვიდე ჰქონდა, მეცნიერულ ჭკერეტას მისცემოდა და თავისი სხეულის მბრძანებელი ყოფილიყო, უფრო მეტიც: ორივე [სხეულიც და სულიც] თანხმობაში მოეყვანა; ის თავისი ძლიერი ძალა და სხეულის სილამაზე მან ცარიელ ტყავსა და ძვალში ჩაკეტა, ისე რომ, წინათ რომ ჯანმრთელი იყო და თავისი სხეულის მოყვანილობით გამოირჩეოდა (ტანადლობით), უკვე მოიღუნა, მოიხარა ბევრი ტანჯვისა და გაუთავებელი ასკეტობის გამო¹.

იოანე რუფუსს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი პეტრეს მკაცრი და განუხრელი ასკეტობის დასადასტურებლად. პეტრემ სრულიად გაწყვიტა კავშირი თავის ყველა ნათესავთან. როდესაც პეტრემ იერუსალიმში შეიტყო, რომ მის დედა ბაკურდუხტიას განზრახული ჰქონდა შვილის სანახავად იერუსალიმში ჩასვლა, კვიპროსზე გაიქცა. იგი თავისიანებთან კონტაქტს წერილებითაც კი არ ახორციელებდა².

პეტრე იერუსალიმის წმინდა ადგილების მოსალოცად ჩამოსულ თავის აღმზრდელთან, ბიზანტიის დედოფალ ეკლოკიასთან შეხვედრის წინააღმდეგი იყო. როდესაც ამ უკანასკნელმა პეტრეს წმ. ქალაქში ყოფნის შესახებ შეიტყო, შვილობილის ნახვა მოინდომა. პეტრე მხოლოდ ერთხელ გამოვიდა თავისი სენაკიდან და ესაუბრა. მაგრამ როდესაც დედოფალმა კვლავ მოინდომა მასთან შეხვედრა, წმინდა ზენონის რჩევით, პეტრემ იერუსალიმი მიატოვა, თავისი მონასტერი დაუტოვა იმათ, „რომლებსაც აგრეთვე სოფელი უარყყო“, წავიდა და ღაზასა და მაიუმას შორის მდებარე ახალშენში დაბინავდა, იოანე რუფუსის გადმოცემით, იმ დროს ახალშენი სავსე იყო

¹ იოანე რუფუსი, 269

² იოანე რუფუსი, 253. იგივე რუფუსი, პეტრეს ბიოგრაფიის დასაწყისში, როდესაც ამთავრებს მისი უახლოესი ნათესავების მკითხველისათვის გაცნობას, ამბობს: „ხოლო ნურავინ გამოიჩინოს სულმოკლეობას და ზედმეტად ნუ ჩათვლის ამ სახელების ჩამოთვლას. ეს ჩვენ უსაფუძვლოდ კი არ ვახსენებთ, არამედ იმიტომ, რომ იმ ჭეშმარიტად მოსიყვარულე და ღვთისმოსავმა მამამ ყველა ეს სახელები გააერთიანა წლის ერთ დღეს, შაბათს, სახელდობრ დიდმარხვის ოთხშაბათს, და მათ მატარებელთა მოვონება დააწესა“; 249.

წმინდა და მტვირთველი მონაზონებით¹. ამის შემდეგ პეტრე იბერს მაიუმის მონასტერში აღარ უცხოვრია.

პეტრე, საერთოდ, წინააღმდეგი იყო, რაიმე სახის ურთიერთობა ჰქონოდა მაღალი მღვდმარეობის მქონე ადამიანებთან, განსაკუთრებით კი მოხელეებთან და კარისკაცებთან².

ბ) პეტრე იბერი თანამედროვეთა ყურადღებას იპყრობდა იმითაც, რომ იგი წინააღმდეგი იყო თავის ხელდასხმისა, დაეკავებინა რაიმე მნიშვნელოვანი საეკლესიო თანამდებობა, მას ბერობა იზიდავდა.

იოანე რუფუსის გადმოცემით, როდესაც პეტრე იერუსალიმში ცხოვრობდა, ეპისკოპოსმა იუვენალმა ბევრჯერ მოინდომა მისი კურთხევა, მაგრამ ვერ შეძლო. მაიუმის მახლობლად გადასახლებულ პეტრეს და იოანეს ხელდასხმა ადგილობრივმა ეპისკოპოსმა, იუვენალის ძმისშვილმა, პავლემ ძალადობით შესძლო მათი მღვდლებად კურთხევა. მიუხედავად კურთხევისა, პეტრე შვიდი წლის განმავლობაში მღვდელმსახურებას არ ასრულებდა, ვიდრე ეპისკოპოსის პატივი არ მიიღო ქალკედონის საეკლესიო კრების შედეგად მომხდარი განხეთქილების შემდეგ³. იგი კვლავ ძალით აკურთხეს მაიუმის ეპისკოპოსად⁴

პეტრე მითრიდატე ლაზთან, ზაქარია რეტორთან (ქართველი. შემდეგში პეტრეს ცხოვრების აღმწერი) და სხვა რამდენიმე ქართველთან ერთად პალესტინაში გადასახლდა. ზაქარია ქართველი, პეტრეს თანამგზავრი, გადმოგვცემს: „აღიხუნეს წმიდათა მათ (პეტრემ და იოანემ – ე.მ.) ნაწილნი იგი წმიდათა მოწამეთანი და წმიდაჲ სახარებაჲ და ნაწილი ძელისა ცხორებისაჲ, და ვიწყეთ სლვად“⁵ იერუსალიმისაკენ. პეტრემ იმპერატორის სასახლეში იცხოვრა 429-437 წლებში⁶.

¹ იოანე რუფუსი, 280-281.

² იოანე რუფუსი, პლეროფორიები, 295-296.

³ იოანე რუფუსი, 282-283.

⁴ იოანე რუფუსი, 284-286

⁵ იოანე რუფუსი, 262. ზაქარია რეტორი თავის თხზულებაში, იქ სადაც გადმოგვცემს მურვანოსის კონსტანტინოპოლში ჩაყვანის შესახებ, გვამცნობს, რომ უფლისწულს სამშობლოდან წაუღია სპარსეთში წამებული წმინდა მოწამეთა ის ნაწილები, რომლებიც გაუგზავნიათ ვარაზ-ბაკურისათვის. „და ამათ წმიდათა მოწამეთა ნაწილნი ჰყვეს ნეტარსა მურვანოსს და პმსახურებნ მათ ყოვლითა მოწიწებითა... ხოლო წმიდანი იგი მოწამენი ეჩუენებოდიან მას სახითა მკვდრითაჲთა და ნუგეშინის სცემდიან...“ ზაქარია რეტორი, 258

⁶ Michel van Esbroeck, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited, 219.

დ) იერუსალიმიდან იწყება პეტრე იბერის თითქმის განუწყვეტელი მოგზაურობა, განპირობებული სხვადასხვა მიზეზით. მისი ცხოვრების ამ მახასიათებლის გამოა, რომ ისტორიკოს ბროურია ბიტონ-აშკელონის დაკვირვებით, იოანე რუფუსი პარალელს ავლებდა პეტრე იბერსა და ბიბლიურ მოსეს შორის და თავის სტატიას ასეც დაარქვა: „მომლოცველობა პეტრე იბერის ცხოვრებაში და მოსეს მიბაძვა“¹. რუფუსის მიერ პეტრე იბერის მოსესთან შედარება არ იყო საკვირველი, რადგან იგი ქრისტიანულ ლიტერატურაში მიჩნეული იყო ასკეტიზმის, მარხვის, მორჩილებისა და სრულყოფის ნიმუშად².

იოანე რუფუსის თხზულებაში ვკითხულობთ: „ხმელეთით ორივემ (პეტრე იბერმა და იოანე ღაზმა – ე. მ.) თავიანთი მგზავრობა მოაწყვეს წმინდა მოწმებთან ერთად, რომელნიც მათი მცველები და მძღოლები იყვნენ: როგორც დიდი მოსე, ღვთის ყუთს ქერუბიმებით, ისინიც ოქროს ყუთით ატარებდნენ მათ სათაყვანო ნეშტებს...“³

პეტრე და იოანე ღმერთისა და მოწამეთადმი თავიანთი დამოკიდებულებით ხელისუფალთა და ხალხის ისეთ გულისხმიერებას პოულობდნენ, რომ რუფუსის თქმით, „მათზე მართლდებოდა მოსეს სიტყვები: „როგორც არწივი, რომელიც იცავს თავის ბუდეს და უყვარს თავისი ბარტყები, თავის ფრთებსა შლის, ფრთებ ქვეშ იფარავს მათ და თავისი ფრთების ძალით ატარებს მათ: უფალსაც მარტო მიჰყავდა ისინი, და არავინ უცხო ღმერთი არ ყოფილა მათთან; ის შემოხვეოდა მათ, უვლიდა მათ, იცავდა მათ, როგორც თავის თვალისჩინს, აკმაყოფილებდა გზაზე, აჰყავდა ზევით და ათავსებდა წმინდა ქვეყნის ძლიერებაში“⁴.

იოანე რუფუსი ერთგან იოანე საჭურისზე შენიშნავს, რომ „თავმდაბლობაში ის მოსეს ჰგავდა“⁵.

საყურადღებოა, რომ ზაქარია ქართველი, რომლის თხზულებას მნიშვნელოვან წილად ეყრდნობა იოანე რუფუსი, არ იძლევა ქართველი წმინდანების მოსესთან შედარებას. ზაქარია მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ სასწაულებს, რომ-

¹ Brouria Bitton-Ashkelony, *Imitatio Mosis and Pilgrimage in the Life of Peter the Iberian*, 107-128.

² Brouria Bitton-Ashkelony, *Imitatio Mosis and Pilgrimage in the Life of Peter the Iberian*, 112

³ იოანე რუფუსი, 261-262.

⁴ იოანე რუფუსი, 263-264.

⁵ იოანე რუფუსი, 278.

ლებიც პეტრე იბერმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას მოახდინა და მან ხანგრძლივი მოგზაურობის დროს განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა არა მხოლოდ პალესტინის მოსახლეობაში.

პეტრემ პირველი სასწაული ჯერ კიდევ ყრმობისას მოახდინა კონსტანტინოპოლში, იმპერატორის სასახლეში ყოფნისას. მან ჩვეულებრივი სასმელი წყალი ზეთად აქცია და კანდელი აუნთო წმინდა ნაწილებს¹. მან ერთ ქალაქში უკურნებელი სენით შეპყრობილი ახალგაზრდა ქალი განკურნა². მოგზაურობის დროს „*მრავალთა უძღურთა და სნეულთა განკურნებდა ძალითა ქრისტეს ღმრთისადათა*“³ და სხვ.⁴

ჟ გვიანდელი რომის დასასრულსა და ბიზანტიური პერიოდის დასაწყისში წმ. მიწაზე მრავლად მიდიოდნენ მომლოცველები ახალგაქრისტიანებული ქვეყნებიდან. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იქ რჩებოდა სამუდამოდ. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტუალური იყო რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ.

პილიგრიმულ მოძრაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო არისტოკრატის მომლოცველობა, რომელსაც დიდ მატერიალურ სიმდიდრესთან ერთად წმ. მიწაზე მიჰქონდა ცოდნა და განათლება, რამაც IV-VII საუკუნეებში ხელი შეუწყო ეკლესია-მონასტრების ფართომასშტაბიან მშენებლობას და სხვა წმინდა ადგილების მოწყობას. სხვადასხვა ქვეყნებიდან იერუსალიმში ჩასული არისტოკრატიული წარმომავლის ადამიანების თავშეყრის ცენტრი იყო ყოფილი რომაელი დიდებულების პინიანოსის და მისი მეუღლის - მელანიას მიერ ზეთისხილის მთაზე დაარსებული მამათა და დედათა მონასტრები⁵. როდესაც მელანიამ გაიგო პეტრესა და იოანეს იერუსალიმში ჩასვლის ამბავი, სიხარულით შეიხიზნა ისინი, რადგან მან კონსტანტინოპოლში საკუთარი თვალთ ნახა, ყმაწვილ პეტრეს მეფურად რომ ზრდიდნენ⁶.

მელანია გარკვეულ როლს თამაშობდა იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი ასეთი მდგომარეობა კარგად ჩანს თეოდოსი II-ის ქალიშვილის და უფლისწულ ვალენტინიანეს დაწინ-

1 ზაქარია რეტორი, 258.

2 ზაქარია რეტორი, 265.

3 ზაქარია რეტორი, 266.

4 ზაქარია რეტორი, 267-268, 270.

5 ზაქარია რეტორი, 260

6 ზაქარია რეტორი, 260; იოანე რუფუსი, 266.

დვაში, ეს უკანასკნელი მელანიას ნათესავი იყო. მელანია აღნიშნული სახეიმო ამბების გამო იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში და მაშინ პირველად იხილა ყმაწვილი პეტრე¹. ხაიფის უნივერსიტეტის პროფესორ არიელ კოფსკის აზრით, მელანიას კავშირი პეტრესა და იოანესთან უნდა განემტკიცებინა მათ მიერ იერუსალიმში მიტანილ სპარსელი წამებულების, სევასტიელი ორმოცი წამებულის და სტეფანე მარტვირის რელიკვიებს, რომლებსთვისაც ააგო მარტირიონი. ამას გარდა, ქალაქის ჩრდილო კარიბჭესთან საფუძველი ჩაეყარა წმ. სტეფანეს ეკლესიას. ცერემონიაღს უძღვებოდა კირილე ალექსანდრიელი, რომელიც ეგვიპტის ეპისკოპოსების თანხლებით ჩავიდა იერუსალიმში. ეკლესიის აგების ინიციატორი იყო დედოფალი ევდოკია, რომელიც წმინდა ადგილების მოსალოცად იერუსალიმში იმყოფებოდა 438-439 წწ.²

მეორე დღეს ზეთისხილის მთაზე განხორციელდა სპარსელ მოწამეთა და ორმოც მოწამეთა დაკრძალვა „მომცრო ტაძარში, რომელიც აგრეთვე თვით დედოფალმა ევდოკიამ ალაღგენინა ბრწყინვალედ, როგორც ამას გვაუწყებს იქვე კედელზე ამოჭრილი წარწერა“³.

ზეთისხილის მთის მონასტერში წმინდა და სახელგანთქმული გერენტიოსის *„ხელებმა მისცეს ჩვენს მამებს პეტრეს და იოანეს (მონაზონის) შესამოსელი და მან დაარქვა მათ ეს სახელები ნაცვლად იმ სახელებისა, რომლებიც მათ თავიანთ ქვეყანაში პქონდათ,“* – ამბობს იოანე რუფუსი⁴.

ჟ იერუსალიმის პატრიარქმა ანასტასიმ *„მოუწოდა ნეტარსა პეტრეს და მის თანა იოანეს და აკურთხნა ორნივე ხუცად იძულებითა დიდითა და წარავლინა მონასტრადვე მათა“*⁵. ამის შემდეგ მურვანოსი პეტრეს, მითრიდატე კი იოანეს სახელით არიან ცნობილნი. ისინი თავდაპირველად იერუსალიმში მოღვაწეობდნენ, შემდეგ პალესტინა და ეგვიპტე მოიარეს და რამდენიმე პილიგრიმთა სასტუმრო და ეკლესია-მონასტერი დაა-

¹ ზაქარია რეტორი, 260; იოანე რუფუსი, 266.

² იოანე რუფუსი, 269; Kofsky A., Peter the Iberian Pilgrimage, 212. მ. ჩხარტიშვილის აზრით, მცხეთაში წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობის ეკლესიის მშენებლობას საფუძველად დაედო წმინდანის რომელიღაც ნაწილი, რომელიც მოპოვებული უნდა ყოფილიყო პეტრე იბერის მიერ. ჩხარტიშვილი მ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პეტრე იბერის შესახებ, თბილისი, 2013, 20-25.

³ იოანე რუფუსი, 269.

⁴ იოანე რუფუსი, 268.

⁵ ზაქარია რეტორი, 261

არსეს. პეტრე და იოანე მღვდლებად აკურთხეს 445 წელს. 452 წელს პეტრე მაიუმის (ქ. ღაზის მახლობლად) ეპისკოპოსად დაინიშნა.

ზ) როგორც პეტრეს ბიოგრაფების ცნობებიდან ირკვევა, ქართველები პასიური მაყურებლები არ იყვნენ პალესტინაში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკური ბრძოლებისა, რომლის საწყის ეტაპზე, V ს. მეორე ნახევარში, ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა – პეტრე იბერი იყო.

ქალკედონის საეკლესიო კრებამ (451 წ.) საქრისტიანო ორ ბანაკად გაყო. ერთ ბანაკში იყვნენ ისინი, ვინც საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები გაიზიარეს და ქრისტეს ორბუნებრიობა აღიარეს (დიოფოზიტები ანუ ქალკედონიტები), მეორეში კი ისინი, ვინც ქრისტეს ერთბუნებრიობას უჭერდნენ მხარს. მათ ანტიქალკედონიტებს (მონოფიზიტებს) უწოდებდნენ.

მონოფიზიტობა გავრცელდა აღმოსავლეთის ქვეყნებში: სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში და ეს მოძრაობა პოლიტიკური სეპარატიზმის მკვებავად გადაიქცა. მონოფიზიტობა საერო მოსახლეობასაც მოედო, მაგრამ განსაკუთრებით მიდრეკილი ბერმონაზვნები და მონასტრები აღმოჩნდნენ. V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის განმავლობაში თითქმის მთელი სირია მონოფიზიტებს ეკუთვნოდათ და ანტიოქიის პატრიარქის ტახტსაც ზოგჯერ მათი წარმომადგენელი იკავებდა. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ იმპერიას დაშლის საშიშროება დაემუქრა. ხელისუფლება, იმპერიის გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე, სასტიკ ღონისძიებებს მიმართავდა მონოფიზიტების წინააღმდეგ¹.

საიმპერატორო კარმა მონოფიზიტების მიმართ პოლიტიკის შეცვლა დაიწყო იმპერატორ ზენონის დროს (450-491). 482 წელს მიღებულ იქნა „ჰენეტიკონი“, რომელიც მიზნად ისახავდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების დაპირისპირების შესუსტებას. შემდეგი იმპერატორის ანასტასის (491-518) დროს, 508 წლიდან, შემარიგებელი პოლიტიკა მონოფიზიტურში გადაიზარდა. ამ დროს ანტიოქიის პატრიარქი ფლაბიანე ჩამოაგდეს და მისი ადგილი ანტიქალკედონიკმა სევეროსმა (1512-1518) დაიკავა, რომელიც პეტრე იბერის მიმდევრად ითვლებოდა.

¹ Winkelmann F., Konzeptionen des Verhältnisses von Kirche und Staat im frühen Byzanz, untersucht am Beispiel der Apostasia Palestinas (452-453), in V. Vavrinek (ed.), *From Late Antiquity to Early Byzantium*, Prague, 1985, 73-85.

თ) პეტრემ სახელი გაითქვა, როგორც თეოლოგმა და ფილოსოფოსმა, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელმა. ის მიჩნეულია ავტორად ისეთი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნაშრომებისა, რომლებმაც სერიოზული გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე.



წ(მინდა) პეტრე ქართველი

ქალკედონის საეკლესიო კრების შემდეგ საეკლესიო განხეთქილებით წარმოშობილ დაპირისპირებაში პეტრე იბერის მონაწილეობა მთლად ნათელი არ არის. ადრექრისტიანული ხანის ზოგიერთი მწერალი პეტრე იბერს მონოფიზიტებთან და მათს ლიდერებთან აკავშირებს.

ევაგრე სქოლასტიკოსი, როდესაც ანტიოქიის ერეტიკოსი პატრიარქის, სევეროსის შესახებ გადმოგვცემს, აღნიშნავს, რომ ის ერთ დროს ქალაქ ღაზასა და დაბა მაიუმას შუა მდებარე იმ მონასტერში ცხოვრობდა, სადაც ცოტა ხნის წინათ წინამძღვარი იყო რელიგიური დევნის დროს ტიმოთე ელურთან ერ-

თად გამოქცეული პეტრე იბერი¹. მონოფიზიტებს შორის ამ ტაძრის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ სევეროსი, ანტიოქიის მომავალი მონოფიზიტი პატრიარქი, რომელმაც ფილოსოფიის კურსი გაიარა ალექსანდრიაში, სამართალი შეისწავლა ბეირუთში, ხელდასხმის შემდეგ უბრალო ბერად შევიდა პეტრე იბერის მონასტერში². პეტრეს მონოფიზიტებთან კავშირზე მიუთითებს ისიც, რომ მან ხელდასხა ტიმოთე ელჟური, ქალკედონის საეკლესიო კრების წინააღმდეგ დაწერილი ტრაქტატრის ავტორი, რომელიც შემდეგში ალექსანდრიის პატრიარქი გახდა³.

იმავე ევაგრე სქოლასტიკოსსა და ვინმე მწერალ ნიკიფორეზე დაყრდნობით, პეტრე იბერის მონოფიზიტებთან კავშირზე გადმოგვცემს XVII ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II (1669-1707)⁴.

პალესტინელი მონოფიზიტების ბელადი, ენერგიული და იდეისათვის მებრძოლი ბერი თეოდოსი 451 წლამდე ეგვიპტეში ცხოვრობდა. ადგილობრივ სამღვდელოებასთან და მონოფიზიტებთან უთანხმოების გამო, იგი ალექსანდრიიდან გააძევეს. თეოდოსი ესწრებოდა ქალკედონის საეკლესიო კრებას და როგორც ევაგრე სქოლასტიკოსი აღნიშნავს, მან კრებაში არეგდარევა შეიტანა. ამის შემდეგ მის გარშემო თავს იყრიან პალესტინელი მონოფიზიტები⁵. მათ მხარი დაუჭირა იმპერატორ თეოდოსი II-ის ქვრივმა ევდოკიამ. საყურადღებოა ზაქარია რეტორის გადმოცემა, რომ დედოფალი პეტრე იბერის აღმზრდელი იყო⁶. ნათელი არ არის, რატომ იცავდა დედოფალი ამ დიდებულ მოღვაწეს. სავარაუდოა, მას დედობრივ გრძნობასთან ერთად, პეტრესთან იდეური მისწრაფებებიც აკავშირებდა.

მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა V საუკუნის მეორე ნახევარში. მდგომარეობა რთულ-

¹ ევაგრე სქოლასტიკოსი, *გეორგია*, III. ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1936, 293-294.

² Хонигман Э., Петр Ивер и сочинения Пс.- Дионисия Ареопагита, 26.

³ Raabe R., Petrus der Iberer, 66.

⁴ ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008, 76-79.

⁵ ევაგრე სქოლასტიკოსი, 291.

⁶ ევაგრე სქოლასტიკოსი, 291.

დებოდა ხელისუფლების ჩარევით, რომელიც ცდილობდა აღეკვეთა ქალკედონის გადაწყვეტილებათა გამო ქრისტიანთა გაყოფა. ამ ბრძოლის პირველ აქტს, რომელიც 20 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, მეთაურობდა თეოდოსი¹.

თეოდოსის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი იერუსალიმის პატრიარქის, იუვენალის ქალკედონში შეყოვნება იყო. თეოდოსის საქმიანობას რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ ხვდებოდა და მონოფიზიტები თავს მშვიდობიანად გრძნობდნენ. იუვენალის ავტორიტეტი დაბალი იყო. ქალკედონის საეკლესიო კრებაზე მის საქმიანობას რწმენის დაღაბად მიიჩნევდნენ. იუვენალის იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ დაიწყო შეჯახება ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის. იუვენალი იძულებული გახდა, კონსტანტინოპოლში იმპერატორთან წასულიყო. თეოდოსის მომხრეებმა პატრიარქი დამხობილად გამოაცხადეს. ის შეცვალა ახალხელდასმულმა ეპისკოპოსმა თეოდოსმა, რომელიც თავდაპირველად უარს ამბობდა ამ მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე, მაგრამ მომხრეების დაჟინებული თხოვნის შემდეგ დათანხმდა. მონოფიზიტებმა, ფაქტიურად, იერუსალიმში ხელთ იგდეს ძალაუფლება და შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, სადაც ძალადობა მძვინვარებდა. თეოდოსის თვითმპყრობელობას საზღვარი არ ჰქონდა.

თეოდოსი თავისმა მიმდევარმა ეპისკოპოსებმა პატრიარქად აირჩიეს. ადრე არჩეული ეპისკოპოსები დამხობილად გამოაცხადეს. მათი ადგილები ახლადარჩეულმა ეპისკოპოსებმა დაიკავეს.

თეოდოსის აღზევების პერიოდში მოხდა პეტრე იბერის მაიუმის ეპისკოპოსად ხელდასმვა, რაც თვით თეოდოსმა შეასრულა. ზაქარია რეტორის გადმოცემით, ამ არეულობის უამს, უკვე სახელგანთქმული პეტრე იბერი და იოანე ლაზი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. როცა ისინი ლაზასა და მაიუმში მივიდნენ, „*გამოვიდნენ ყოველი ჰასაკის ადამიანები, შეიპყრეს პეტრე, მიჰგვარეს თეოდოსს იერუსალიმში და სთხოვდნენ მას ეპისკოპოსად დაგვიყენეთ*“². უბრალოებითა და თავმდაბლობით გამორჩეული „*პეტრე კი მრავალნაირ ბრალდებებს უგონებდა თავის თავს და უარზე იდგა; მაგრამ თეოდოსიმ ხელნი დაასხნა მას მისი სურვილის წინააღმდეგ და აკურთხა იგი, ვინაიდან ის იცნობდა ამ კაცს*“. თეოდოსის საქციელით უკმა-

¹ Иеромонах Феодосии Олтаржевский, Палестинское монашество с IV до VI века. Православный Палестинский Сборник, С.-Петербург, 1896, 230.

² ზაქარია რეტორი, 4.

ყოფილო და გაჯავრებულმა პეტრემ სხვა რომ ვერაფერი იღონა, თავი ერეტიკოსად გამოაცხადა. ამაზე თეოდოსმა უპასუხა: „ჩემსა და შენს შესახებ მსჯავრი დადებული იქნება ქრისტეს სამსჯავროს წინაშე“. ამის შემდეგ პეტრემ უარყო თავისი ნათქვამი და აღიარა: „თუმცა ჰერეტიკოსი არა ვარ, მაგრამ ცოდვილი კი ვარო“. თეოდოსიმ, რომელიც ამ კაცს იცნობდა, აკურთხა იგი ღაზას მცხოვრებთა მოძღვრად¹.

ო) აღ. ცაგარელის მიხედვით, X-XI საუკუნეთა სომეხ ისტორიკოსს სტეფანე ტარონეცს (ასოლიკი) ჰქონია ცნობა პეტრე იბერის ქალკედონის კრებისადმი დამოკიდებულებას რომ გვიჩვენებს. ასოლიკს თითქოს უწერია, რომ წმ. პეტრე იბერმა წერილობით მიულოცა სომეხებს იმის გამო, რომ ისინი არ დაესწრნენ ქალკედონის კრებას. მისმა მოწაფე იოანემ წმ. პეტრეს და სხვათა მიერ ქალკედონის კრების გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ 72 წარმონათქვამი 32 მუხლად ჩამოაყალიბა².

ასოლიკის თხზულებაში, რომლის გაცნობის საშუალებაც მქონდა, მსგავსი რამ არ აღმოჩნდა³. ასოლიკს პეტრე ნახსენები ჰყავს შემდეგ კონტექსტში: მას მოყვანილი აქვს ანტიქალკედონიკი სომეხი კათალიკოსის, ხაჩიკის ბრძანებით დაწერილი ეპისტოლე სევასტიის მიტროპოლიტისადმი⁴, სადაც კათალიკოსი აღნიშნავს: ჩვენი წერილი დავასრულეთ ორი-სამი იმ მოწმის დამოწმებით, რომლებიც ღმერთის მიერ ეკლესიაში არიან დანიშნულები მოციქულებად და მასწავლებლებად. თუ გაინტერესებთ მათი ნათქვამი, ამისათვის საჭირო იქნებოდა ბევრი ქაღალდი და პერგამენტი, ამიტომ შემოვიფარგლებით მოკლე პასუხით. ჩვენ გვკიცხავთ, თითქოს დიოსკორეს (დიოსკურე) და პეტრეს მოწაფეები ვართ, მაგრამ, როდის იყო, რომ მათი სიტყვებით აღჭურვილნი გებრძოდით თქვენ, ქალკედონის კრებას და პაპა ლეონის⁵ ეპისტოლეს. ჩვენ მათგან არასოდეს მიგვიღია რწმენა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი ქალკედონის

¹ ზაქარია რეტორი, 4.

² Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Си-нае, *Православный Палестинский Сборник*, 1888, 35.

³ იხ. Всеобщая история Степаноза Таронского Асохика по прозванию, писателя XI века. Переведена с армянского и обЪяснена Н. Еминым, М., 1864.

⁴ Всеобщая история Степаноза Таронского Асохика по прозванию, писателя XI века, 143-175

⁵ ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრება მოწვეული იქნა რომის პაპის ლეონ I-ის ინიციატივით, როდესაც მან მარკიანე კეისარსა (450-457) და მის მეუღლე პულქერიას სპეციალური ეპისტოლეთი მიმართა.

საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას არ დათანხმდნენ, ისე როგორც არ დაეთანხმა სხვა მრავალი ქვეყანა, ქალაქი და ხალხი.

ეპისტოლე შედგენილი უნდა იყოს კათალიკოს ხაჩიკ I-ის (973-992) ბრძანებით. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, ვინ იყო პეტრე, რომლის შესახებ ასოლიკის თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელმა და კომენტატორმა, ცნობილმა არმენისტმა ნ. ემინმა არაფერი იცოდა¹. დიოსკორე კი, ნ. ემინის განმარტებით, იყო ალექსანდრიაში არქიდიაკონი. იგი კირილე ალექსანდრიელის გარდაცვალების შემდეგ, 414 წელს აირჩიეს მის მემკვიდრედ. 418 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფლავიანი გამოვიდა ეგვიპტის ერესის წინააღმდეგ, რომელიც უარყოფდა ქრისტეს ორ ბუნებას. დიოსკორემ უკანასკნელს დაუჭირა მხარი. ეგვიპტეში მოწვეულ საეკლესიო კრებას, დიოსკორეს თავმჯდომარეობით, უნდა გადაეწვიტა ეგვიპტისა და ფლავიანს შორის არსებული დავა. კრებამ ეგვიპტის გაამართლა, ხოლო ფლავიანი და მისი მომხრეები დაამხეს. მაგრამ დავა ამით არ ამოიწურა. იმპერატორმა მარკიანემ 451 წელს მოიწვია მსოფლიო საეკლესიო კრება ნიკეაში, საიდანაც შემდეგში გადაიტანეს ქალკედონში. დიოსკური კრებაზე დამნაშავედ სცნეს, გაასამართლეს, როგორც ერეტიკოსი, თრაკიაში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა.

საყურადღებოა, რომ პეტრე იბერმა მონოფიზიტური ერესით დაავადებულ ეგვიპტეს შეაფარა თავი და 457 წლამდე დაჰყო ალექსანდრიაში, იქ, სადაც ყოფილი პატრიარქის, დიოსკორეს მიმდევრები იმყოფებოდნენ. აჯანყებულმა მონოფიზიტებმა მოკლეს ალექსანდრიის მართლმადიდებელი (დიოფიზიტი) პატრიარქი პროტერი, მის ადგილას დასვეს პეტრე იბერის თანამებრძოლი ტიმოთე ელური. ხელდასხმის ცერემონიაში მონაწილეობდა პეტრეც. ზაქარია რეტორის მიხედვით, ტიმოთე ელური ალექსანდრიაში მივიდა 457 წელს². სავარაუდოა, რომ პეტრე და ტიმოთე ერთად გაიქცნენ მაიუმიდან და ერთად მოუხდათ მშვიდობიანი თავშესაფრის ძიება. ალბათ, მათთან ერთად იყვნენ სხვებიც მაიუმიდან. ისიც საყურადღებოა, რომ მაიუმიდან განდევნილი ტიმოთე ელური თავდაპირველად თრაკიის ქ. გან-

¹ Всеобщая история Степано́за Таронского Асохика по прозванию, 169, прим. 65, 66.

² ზაქარია რეტორი, 7.

გარასა და ყირიმის ქ. ქერსონესში ყოფილა¹. შეიძლება დაგუშვათ, რომ პეტრეც ეგვიპტეში მისვლამდე დასახელებულ ქალაქებში იმყოფებოდა. ასეთი ვარაუდის გამოთქმა მართებულია იმიტომაც, რომ იმავე ზაქარია რეტორის თქმით, პეტრე იზიარებდა ტიმოთე ელურის შეხედულებებსა და საქმეებს: „ის (პეტრე იბერი – ე. მ.) სიყვარულით მიეკედლა ამ ადამიანს (ტიმოთე ელურს – ე. მ.) და დარწმუნებული იყო, რომ მისი საქციელი და მისი საქმეები ღმრთის ნებას ეთანხმებოდა“².

ტიმოთე ელურის გაპატრიარქებას შემდეგნაირად გადმოგვცემს ევაგრე სქოლასტიკოსი: „ალექსანდრიის ქალაქის მცხოვრებლებმა შეარჩიეს დრო, როდესაც სამხედრო რაზმების წინამძღოლი დიონისე ზემო ეგვიპტეში იმყოფებოდა, და დაადგინეს არქიელის საყდარზე დაეყენებინათ ტიმოთე, მეტსახელად ელური, რომელიც წინათ მონაზონურ ცხოვრებას ეწეოდა, ხოლო შემდეგ ალექსანდრიის მთავრებში იქნა ჩარიცხული: და ის მიიყვანეს ალექსანდრიელებმა დიდ ეკლესიაში, რომელსაც კეისრისა ეწოდება, და აირჩიეს თავიანთ ეპისკოპოზად, თუმცა პროტერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მღვდლობას ასრულებდა. ხელდასხმაზე იყვნენ ვესევი, პელუზიის წინამძღვარი და პეტრე იბერიელი³, დაბა მაიუმის წინამძღვარი, როგორც ეს მოთხრობილი აქვს პეტრეს ცხოვრების აღმწერელს. უკანასკნელი ამბობს, რომ პროტერი ხალხმა კი არ მოკლა, არამედ ჯარისკაცმა“⁴.

ზაქარია რეტორი კი გადმოგვცემს, რომ ალექსანდრიის მცხოვრებლებმა და მონაზონებმა, რომლებიც პროტერის წინააღმდეგნი იყვნენ, ტიმოთე ელურის გაპატრიარქება გადაწყვიტეს. ტიმოთე, რომელიც წინააღმდეგი იყო მათი განზრახვისა, შეიპყრეს, შეიყვანეს დიდ ეკლესიაში, რომელსაც „კეისრისა“ ეწოდებოდა. მაგრამ ხელდასხმისათვის აუცილებელი იყო სამი ეპისკოპოსი. ორი ეგვიპტელი ეპისკოპოსი ადგილზე იყო. ამ დროს „ზოგიერთებმა ხალხიდან ცნობა მოიტანეს, რომ პეტრე

¹ ზაქარია რეტორი, 7.

² ზაქარია რეტორი, 7.

³ პეტრე იბერის ანტიქალკედონიკობას არ უარყოფს მ. ვან ესბროკი, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც რ. რააბე აღნიშნავდა (ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა), პეტრემ მონაწილეობა მიიღო ტიმოთე ელურის ხელდასხმაში, იმ ტიმოთე ელურისა, რომელმაც დაწერა ტრაქტატი ქალკედონის საეკლესიო კრების წინააღმდეგ. Esbroeck M. van, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited, 218.

⁴ ევაგრე სქოლასტიკოსი, 292.

იბერიელი, პალესტინიდან გამოქცეული, იმ დროს იქ, ალექსანდრიაში იმყოფებოდა. მაშინ ისინი სასწრაფოდ გაექანენ მისკენ, მოიტაცეს ეს კაცი, მხრებზე შეისვეს და ისე მოიყვანეს, რომ ის მიწას არც კი მიჰკარებია... და სამღვდელოების, მონაზონებისა და ქალაქის მორწმუნე მცხოვრებთა საერთო აზრის მიხედვით აკურთხეს ის (ტიმოთე) ძალით, მისი სურვილის წინააღმდეგ, და დასვეს ის მარკოზის ტახტზე⁴.

პეტრე იბერმა ეგვიპტეში დაჰყო რამდენიმე წელი. 457 წლამდე ის ალექსანდრიაში იმყოფებოდა. იოანე რუფუსი, პეტრე იბერის ალექსანდრიაში დევნილობის პერიოდზე თხრობისას, გვამცნობს პეტრეს საქმიანობაზე ქალკედონის მომხრე (დიოფიზიტი) პატრიარქის, პროტერიუსის მიერ ანტიქალკედონიკების წინააღმდეგ გაჩაღებული ტერორის დროს. „მაშინ ცხონებული პეტრე გახდა ყველა მართლმადიდებელთა (მონოფიზიტთა - ე. მ.) ბურჯი და ნუგეში: ის ეგვიპტეში დაეხეტებოდა და ღვთის სურვილით ალექსანდრიელთა ქალაქში მივიდა და იქ დაიძალა იმ მოჯანყე პროტერიუსის დღეებში. და როდესაც ვერც ერთი იმათგანი, რომელნიც ჭეშმარიტების (მონოფიზიტობის - ე. მ.) მტკიცე დამცველნი იყვნენ, ვერ ბედავდა გამოჩენას, ვერც სამღვდელო პირი და ვერც მონაზონი, ის (ე. ი. პეტრე), რომელიც იძალებოდა და ღვთისმსახურებას ასრულებდა და ყველას, ვინც ამას მოისურვებდა, გამოსაკებად ფულს აძლევდა, ნებას არ აძლევდა, რომ სულით დაცემულიყვნენ, არც რამე დაეკლოთ მგზნებარებისათვის და რწმენისათვის“². ასეთ ვითარებაში პეტრე იმ ხალხის მეთაურად გვევლინება, ვინც მხარს უჭერს მონოფიზიტ დიოსკურეს და ამოდის დიოფიზიტი პრეტორის წინააღმდეგ³. უშუალოდ მათს ურთიერთობაზე რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება.

ხელისუფლებამ იუვენალის შეიარაღებული ძალით აღდგენა, თეოდოსის დაპატიმრება და კონსტანტინოპოლში გაგზავნა განიზრახა. იუვენალის ბრძანებით მრავალი მონოფიზიტი გაწყვიტეს, ვინც გადარჩა, იმპერიის საზღვრებიდან განდევნეს. თეოდოსმა გაქცევა შეძლო და თავი შეაფარა სინის ერთ-ერთ მონასტერს⁴. იმპერატორ მარკიანეს ბრძანებით, თეოდოსის მიერ

¹ ზაქარია რეტორი, 6-7.

² იოანე რუფუსი, 286-287.

³ იოანე რუფუსი, 287.

⁴ Олтаржевский П., Палестинское монашество, 247-248.

ხელდასხმული ეპისკოპოსები გააძევეს¹. მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიები პეტრე იბერზე არ ვრცელდებოდა, დედოფლის მისადმი მფარველობის გამო, ის მაინც დევნილებს შეუერთდა და მაიუმიდან წავიდა².

მონოფიზიტების მდგომარეობა პალესტინაში სულ უფრო უარესდებოდა. გამოიცა მთელი რიგი კანონებისა მონოფიზიტური მოძღვრების პროპაგანდის აღსაკვეთად. იგი იმპერიის საზღვრებში უკანონო აღმსარებლობად გამოცხადდა. მონოფიზიტები იდეენებოდნენ ქვეყნიდან, ეკრძალებოდათ ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობა და სხვ.³

ა) ცნობილი არ არის, როდის ან როგორ დაბრუნდა პეტრე იბერი მაიუმში. თარიღიც ორი გვაქვს: 453 და 458 წლები⁴. ზემოაღწერილ ცნობებს თუ გავიზიარებთ, რომლებიც პეტრეს ეგვიპტეში ყოფნას ასახავს, მაშინ მეორე (458 წ.) თარიღი უფრო მისაღები უნდა იყოს. პეტრეს მაიუმში დაბრუნების შემდგომ ცხოვრებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ სრულიად გასაზიარებელია სტეფანოზ ტარონეცის ნათქვამი: „ხელისუფლებამ არ დაინდო არავინ, პეტრე პატრიკიოსის, ისრაელის ეპისკოპოსის გარდა, რადგან მას მაღალი კეთილისმყოფელნი პყავდა“⁵. მაშასადამე, პეტრეს მაიუმში დაბრუნება და მისი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა მონოფიზიტური რწმენის უარყოფის გამო კი არ მოხდა, როგორც ა. ცაგარელი ფიქრობდა⁶, არამედ საიმპერატორო კარის და დედოფალ ევდოკიას მფარველობით⁷.

პატრიარქი დოსითეოსი პეტრე იბერის იდეებზე აღზრდილად ასახელებს კიდევ ერთ გამოჩენილ ადამიანს, სევეროსს.

¹ ევაგრე სქოლასტიკოსი, 291.

² ზაქარია რეტორი 5.

³ Олтаржевский П., Палестинское монашество, 253-254.

⁴ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 34.

⁵ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 34.

⁶ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 35.

⁷ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვიდრე დედოფალი მყარად იდგა მონოფიზიტობაზე, მხარს უჭერდა მონოფიზიტ პეტრე იბერს. იმპერატორ ფეოდოსის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების შემდეგაც კი დედოფალი მხარს უჭერდა მონოფიზიტობას. 456 წელს სიმონ მესვეტემ იგი მოაქცია დიოფიზიტობაზე. ამის შემდეგ ის შეურიგდა იუვენალ იერუსალიმელს და გარდაცვალებამდე (460 წ.) მართლმადიდებლად დარჩა. Schwartz E., Kyrillos von Skythopolis, Leipzig, 1939, 3-85. დამოწმებულია: Esbroeck M. van, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited, 220.

ის 488 წელს, პეტრე იბერის სიცოცხლეში, აღიკვეცა ბერად. მან მაიუმის ბერების მსგავსად, მხარი დაუჭირა ჰენოტიკონს¹.

VI ს. 10-იან წლებში სევეროსმა გარკვეული როლი ითამაშა სირიაში მიმდინარე პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ბრძოლაში. ის, მონოფიზიტი, მრავალი თხზულების ავტორი, 512-518 წლებში იყო ანტიოქიის პატრიარქი, გარდაიცვალა 538 წელს. სევეროსი მაიუმის – პეტრე იბერის „სკოლის“ იმდენად მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო, რომ ზოგიერთ მკვლევარს დიონისე არეოპაგელის თხზულებების ავტორადაც კი მიაჩნდა².

ივ. ჯავახიშვილი პეტრე იბერს მონოფიზიტობის ერთ ბურჯთაგანს უწოდებს. მისი აზრით, სრულიად დაუჯერებელია, რომ ასეთი სახელოვანი ქართველი საეკლესიო მოღვაწის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში არავითარი კვალი არ ჩანს. ამგვარ მდგომარეობას მეცნიერი იმით ხსნიდა, რომ „როდესაც XIII ს-ში პეტრე ქართველის ცხოვრება ასურულიდან ქართულად უთარგმნიათ, თარგმანიდან პეტრეს მონოფიზიტობის მაუწყებელი ყოველი ცნობა ამოუცლიათ და გამოუტოვებიათ ისე, რომ ქართულ ცხოვრებაში ის ქალკელონიან მოღვაწედ არის ქცეული და გამოყვანილი. ამაზე უწინარეს ხანში, როდესაც უძველესი ქართული ქრისტიანული საისტორიო მწერლობის „მწვალებლობის ღვარძლისაგან“ გაწმენდა დაუწყიათ, როგორც ეტყობა, პეტრე ქართველის მოღვაწეობის მიმართულების გამო მთლად მისი ხსენების წარხოცვა უმჯობინებიათ და ამითვე უნდა აიხსნებოდეს, რომ პეტრე ქართველის სახელი უძველეს ქართულ ძეგლებში არსად ჩანს“³

დედოფალ ევლოკიას მართლმადიდებლობაზე მოქცევის შემდეგ, სავარაუდოა, პეტრე იბერმაც შეიცვალა რწმენა⁴.

პალესტინაში დაბრუნებული პეტრე, რწმენისათვის ბრძოლის უნით აღსავსე, მაიუმში კი არ მივიდა, არამედ აშკელო-

¹ Картишев А., Вселенские соборы, Париж, 1963, 459. იმპერტორმა ზენონმა (474-491) და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აკაკიუსმა 482 წ. გამოსცეს ჰენოტიკონი, რომლითაც ცდილობდნენ მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგებას. ის კრძალავდა ქრისტეს ბუნების შესახებ კამათს, მაგრამ ამ ორჭოფული ხასიათის აქტმა იმპერიაში მშვიდობა ვერ დაამყარა.

² Stiglmeier J., Der sogenannte Dionisius Areopagita und Severus von Antiochien. *Scholastik*, N 3, 1928. ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, III, თბილისი, 1973, 100-101.

³ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბილისი, 1979, 350.

⁴ Esbroeck M., van, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited, 220.

ნის მახლობელ მონასტერში შეჩერდა. დაბრუნდა არა როგორც განდევნილი, არამედ, როგორც საზოგადოებრივი პიროვნება, რომელიც ახდენს მონოფიზიტურ სასწაულებს, განკურნებებს, დემონების განდევნას, აქვს ხედვები, ესმის ციური ხმები და სხვ. ის თავისთან იზიდავს ყველას მახლობელი რაიონებიდან. მის გარშემო ყალიბდება მონოფიზიტების წინააღმდეგობის ბირთვი პალესტინის სამხრეთ ზღვისპირა რაიონებში, ეწევა აქტიურ სამისიონერო საქმიანობას¹.

ლ) დღეისათვის გაბატონებული მოსაზრებით, პეტრე იბერს ეკუთვნის არეოპაგიტული წიგნები, რომელთა ავტორად დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ახ. წ. აღ. I საუკუნის მოღვაწე დიონისე არეოპაგელი. მრავალმა მეცნიერმა, ქართველმა თუ უცხოელმა, სცადა იმ მოტივების გარკვევა, რომლებმაც განაპირობა ამ თეოლოგ-ფილოსოფოსის ავტორობის გასაიდუმლოება.

განსაკუთრებული ღვაწლი პეტრე იბერის არეოპაგიტულ თხზულებათა ავტორობის და მისი ზოგიერთი ბიოგრაფიული მომენტის დადგენაში მიუძღვის შ. ნუცუბიძეს, რომელიც საოცარი სერუპულოზური კვლევით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პეტრე იბერის მოწაფე და ბიოგრაფი ზაქარია რეტორი, სხვა ბიოგრაფებთან შედარებით ყველაზე სანდო, შეგნებულად ამახინჯებდა სინამდვილეს და V საუკუნეში დაწერილი წიგნების ავტორობას მიაწერდა I საუკუნეში მოღვაწე დიონისე არეოპაგელს².

პეტრე იბერის სამივე ბიოგრაფი მონოფიზიტი იყო და ისინი, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ცდილობდნენ, პეტრეც მკითხველისათვის წარედგინათ მონოფიზიტად, მაშინ, როდესაც მის თხზულებებში ავტორის მონოფიზიტობა გამოკვეთილად არ ჩანს. შ. ნუცუბიძის კლასიფიკაციით, იოანე მაიუმიელისათვის პეტრე თავგამოდებული მონოფიზიტი იყო, ანონიმისთვისაც პეტრე მონოფიზიტია, მაგრამ ხანდისხან ორაზროვან გამოთქმებს და მოქმედებებს უშვებდა, ხოლო ზაქარია რეტორისათვის პეტრე კომპრომისული ტენდენციების მონოფიზიტი იყო³. ამიტომ პეტრე იბერი დიდი ხნის განმავლობაში მონოფიზიტად ითვლებოდა. მისმა წიგნებმა აღიარება ჰპოვა მას შემდეგ, რაც

¹ Kofsky A., Peter the Iberian Pilgrimage, 215.

² Нуцубидзе Ш., Петр Ивер и Античное философское наследие, Тбилиси, 1963, 104-105.

³ Нуцубидзе Ш., Петр Ивер, 109.

ისინი დიონისე არეოპაგელის ნაშრომებად გამოაცხადეს. სულ პირველი, ვინც ეს გააკეთა, იყო ზაქარია რეტორი¹.

მ) ზაქარია რეტორი და სხვა ბიოგრაფები პეტრე იბერის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე მოგვითხრობენ, მაგრამ არაფერს ამბობენ მის მწერლობაზე. ზაქარიამ, რათა დაგვარწმუნოს, რომ პეტრე იბერს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მწერლობასთან და ის აღშფოთებას ვერ მალავდა, როდესაც ზოგიერთი მწერალი, თავისი თხზულებებისათვის რომ ავტორიტეტი აქმედებინა, ცდილობდა მის სახელს ამოფარებოდა, ერთ ასეთ ამბავს ჰყვება: „იოანე იყო ალექსანდრიელი სოფისტის, პალლადის მიმდევარი... (და სწერდა ბევრ წიგნებს). და რადგან ის შიშობდა, რომ ის, რასაც სწერდა, ლანძღვის საგანი გახდებოდა, ამიტომ ის სწერდა თავის წიგნებს არა თავისი საკუთარი სახელით, არამედ ხან იერუსალიმელი ეპისკოპოსის თეოდოსის სახელს აწერდა მათ, ხან პეტრე იბერიელისას, რათა მორწმუნენი შეცდომაში შეეყვანა და ეს წიგნები მიედებინებინა, მაგრამ ამბობენ, რომ ერთხელ პეტრე იბერიელი ერთ მონასტერში წააწყდა ერთ ასეთ წიგნს, რომელიც მისი სახელით იყო დაწერილი და, როდესაც მან ის აიღო და წაიკითხა, გაჯავრდა და დასწყევლა ის, ვისაც ეს წიგნი დაეწერა, და არა მხოლოდ აქ, არამედ ალექსანდრიაშიც, პალესტინაშიც და სირიაშიც სწყევლიდნენ ის (პეტრე იბერიელი) და თეოდოსი ამ კაცის წიგნებს“².

მოყვანილ ციტატასთან დაკავშირებით, ს. ყაუხჩიშვილი წერდა: „*მე ვუთხარი შ. ნუცუბიძეს, რომ თუ იოანე თავის ნაშრომებს აქვეყნებდა პეტრე იბერიელის სახელით, რათა მის წიგნებს უფრო მეტი გასავალი ჰქონოდა, მაშასადამე, პეტრე იბერიელი ცნობილი მწერალი ყოფილა*“³. ამის შემდეგ შ. ნუცუბიძემ გამოთქვა მოსაზრება: „*Захарий Ритор хочет нам раскрыть единственный факт, а именно, что Петр Ивер писал книги и имел авторское имя. Никакого другого смысла в этих измышлениях не видно... Ясно, что тут самое главное – дать как-то понять, что Петр писал какие-то книги. Никакого другого смысла весь*

¹ Нуцубидзе Ш., Петр Ивер, 111.

² ზაქარია რეტორი, 5-6.

³ ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, III. ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა, მეორე შეკვრული გამოცემა, თბილისი, 1973, 102.

*этот вымышленный рассказ не имеет*¹. ვფიქრობ, ზაქარია რეტორს მხოლოდ იმის თქმა უნდოდა, რაც დაწერა. მას უნდა, მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ მიუხედავად გაგრძელებული აზრისა, თითქოს პეტრე მწერლობდა, სინამდვილეში მას ასეთ საქმიანობასთან კავშირი არ ჰქონდა. ზაქარიას ნათქვამი ასეც შეიძლება გავიგოთ, რომ პეტრე მართლა წერდა (მიმბაძველი შეიძლება მხოლოდ მწერალს ჰყავდეს), მაგრამ ისეთს არაფერს, რომლის გამო ავტორი ან მისი თხზულება სალანძღავ-საწყევარი გახდებოდა. რომ ვიცოდეთ, ზაქარიას რომელი (მონოფიზიტების წარმატებების თუ დიოფიზიტების ტრიუმფის) დრო აქვს მხედველობაში, მაშინ გასაგები იქნებოდა, როგორი შინაარსის (მონოფიზიტური თუ დიოფიზიტური) წიგნი როდის რომელი ეკლესიისათვის იყო მიუღებელი. V ს. მეორე ნახევარში პალესტინაში ისე ხშირად იცვლებოდა ვითარება და, შესაბამისად, საერო და საეკლესიო ხელისუფლება, რომ ის, რაც ერთ დღეს მისაღები და საამაყო იყო, მეორე დღეს შეიძლება სალანძღავი და დამღუპველი ყოფილიყო მწერლის, პოლიტიკოსის ან სასულიერო პირისათვის. ასე რომ, დღეს შეუძლებელია დავადგინოთ, როგორი შინაარსის და მიმართულების წიგნებს წერდა იოანე ალექსანდრიელი, რომლის ავტორობასაც ასე თავგამოდებით ემიჯნებოდნენ პეტრე იბერი და თეოდოსი. იმ დროს რომ ისე გაეგოთ ზაქარია რეტორის ნათქვამი, როგორც შ. ნუცუბიძე განმარტავს, მაშინ სავარაუდოა, სულ სხვა ბედი – განადგურება არ ასცდებოდა პეტრეს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ნააზრევს, მის წიგნებს, თუკი მან საერთოდ დატოვა ასეთი მემკვიდრეობა. თუ გავითვალისწინებთ V-VI საუკუნეების რელიგიურ და პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ზაქარია ქართველი წერდა თავის თხზულებას, საეჭვოა, რომ მას თუნდაც გადაკვრით ეთქვა პეტრე იბერის სამწერლობო საქმიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე გამოდის, თითქოს ბიოგრაფს სურს, მკითხველს უთხრას, რომ პეტრე, მართალია წერდა, მაგრამ ისეთს არაფერს, ქალკედონის გადაწყვეტილებებისათვის მიუღებელსო. ასეთი პოზიციის დაკავება მონოფიზიტი ზაქარია ქართველისაგან წარმოუდგენელია. ზაქარია ქართველს თუ სურდა ეცნობებინა, რომ პეტრე იბერი მწერალი-შემოქმედი იყო, მაშინ იმასაც იტყოდა, როგორი შინაარსის ნაშრომებს ქმნიდა.

¹ Нуцубидзе Ш., Петр Ивер, 118.

ამგვარად, ის არგუმენტები, რომელთა მიხედვით ზოგიერთ მკვლევარს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმის მიღმა პეტრე იბერის, როგორც ფილოსოფოს-თეოლოგის დანახვა სურს, კ. კეკელიძისა და ივ. ლოლაშვილის მსგავსად, მეც საეჭვოდ მიმაჩნია.

6) პეტრე იბერი პალესტინაში და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მონოფიზიტების ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი იყო. მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მან ყველგან, მის მიერ აშენებულ მონასტრებში თავი მოუყარა მრავალ მონაზონს. იოანე რუფუსი, გვამცნობს რა პეტრეს მიერ ქართველთა (შემდგომში ჯვარის) მონასტრის მშენებლობაზე, განსაკუთრებით აღნიშნავს: „*მან წამოიწყო უფლის დახმარებით სახლის (ეკლესიის – ე. მ.) აგება და იქ წმინდა მონაზვნების დიდი რაოდენობა მოათავსა*“¹. ამასვე გვამცნობს ზაქარია ქართველი: „*და მიერთვან განძლიერდა (პეტრე – ე.მ.) ძალითა და შეწევნითა უფლისათა, და სრულ ყო შენება წმიდისა მის ეკლესიისა და შეკრიბნა მას შინა ძმანი მრავალნი, ყოველნი მოღუაწენი, და განუჩინა მათ წესი და კანონი და დაუდგინა მათ წინამძღუარად კაცი ღმერთ-შემოსილი და წმიდა. და პრჭკან მონასტერსა მას ქართველთა მონასტერი*“². „*და ვარეშე ქალაქსა აღაშენა მონასტერი და ეკლესია და შეუენიერი, და შეკრიბნა ძმანი მრავალნი და განუწესა მათ წესი და კანონი სულიერი და საღმრთოდ*“³. ვასაგებია, რომ პეტრე იბერი მის მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრების ბერმონაზვნებს მონოფიზიტური მოძღვრებისადმი ღოიადლობის მიხედვით კრებდა. მისი მონასტრის კარი ღია იყო იმ ახალგაზრდებისთვისაც, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაურკვია, რომელ მოძღვრებას დასწავებოდა და ვის მხარეს დამდგარიყო. ფრიად საყურადღებოა წმ. ზენონის მიერ პეტრეს დარიგება: „*მას შემდეგ რაც თქვენ უცხოთა შეფარებით [საკმაოდ] იღვაწეთ, წადით ახლა და ემსახურეთ მონაზონთა ცხოვრებას, და მონასტერში შეუდეგით სწავლებას. რამეთუ ეს უფრო სასარგებლოა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ ჭაბუკურ ასაკშია*“⁴.

პეტრე იბერი მონოფიზიტური პროპაგანდით მხოლოდ მონასტრის შიგნით არ კმაყოფილდებოდა. ის ქადაგებდა სოფ-

¹ იოანე რუფუსი, 278.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 261.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 266.

⁴ იოანე რუფუსი, 279.

ლებსა და ქალაქებში და მრავალი მომხრეც გაიჩინა. მისი სახელი ცნობილი იყო ბეირუთის უმაღლეს სასწავლებელში. იოანე რუფუსის თქმით, პეტრე „როდესაც ბეირუთში მივიდა, ახალგაზრდა სქოლასტიკოსებმა, რომლებიც მას იცნობდნენ პალესტინიდან და ალექსანდრიიდან, მისი მისვლა მაშინვე შეიტყეს და ესენი (მასთან) გაეშურნენ, რათა წმინდანს გასცნაურებოდნენ; აგრეთვე ყველა დანარჩენმაც მისადმი სიყვარული გამოავლინეს და ამით დაადასტურეს, რომ ისინი მის გარშემო დგანან, მას მხარს უჭერენ და სურთ, რომ მისი (სულთა) მარგებელი სწავლით გაიხარონ. და რადგანაც აქ ღმერთმა მოწყალება მოიღო, (პეტრემ) თავისი სიტყვა ისე კარვად შეთხზა, რომ მან იქიდან (ბეირუთიდან, ი. ლ.) მრავალი სული მოაქცია და ღმერთს (მსხვერპლად) მიჰვარა. ზოგიერთმა სოფლის არარაობა უკუაგდო მის სიცოცხლეშივე, ზოგმაც – მისი სიკვდილის შემდეგ. ისინი სასწრაფოდ მივიდნენ პეტრესთან, მისი გარდაცვალების შემდეგ კი – მის მოწაფეებსა და მემკვიდრეებთან, აირჩიეს მონაზვნური ცხოვრება და უღელი ღვთისა მათთან ერთად იტვირთეს სიხარულით“¹. პეტრე იბერის ასეთსავე საქმიანობაზე ქ. ასკალონში მოგვითხრობს მისი ანონიმი ბიოგრაფი: „ქრისტესთვის საბრძოლო სამსახურში (პეტრემ) მიიზიდა აგრეთვე მრავალი სხვა, არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც“². ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ პეტრეს მიერ დაარსებულ მონასტრებში იქნებოდა მონოფიზიტთა კრებული, რომელსაც იმდენად მჭიდრო კავშირი ექნებოდა სამშობლოსთან, რომ ეს აღმსარებლობა პალესტინიდან საქართველოშიც შემოაღწევდა: „მისგან (პეტრე იბერისაგან – ე. მ.) დაარსებულ ქართველთა მონასტერშიაც მყოფი ბერმონაზვნებიც აგრეთვე მონოფიზიტები იქნებოდნენ. მაშასადამე, უცხოეთში მაინც ერთი მონოფიზიტური ქართული მონასტერი უნდა ყოფილიყო. მას სამშობლოსთან კავშირი ჰქონდა და, სხვა გზაც რომ არ ყოფილიყო, ამ გზით მაინც შეიძლება საქართველოში მონოფიზიტობა გავრცელებულიყო“³.

ერთხელ დიოფიზიტთა ერთ ჯგუფს, იმპერატორ მარკიანეს (450-457) გარდაცვალების შემდეგ, პეტრეს მოკვლა განუზრახავს. „ჰპოვეს უამი მწვალებელთა და კუალად აღევზნეს... და განიზრახეს, რათა მოკლან წმიდაჲ პეტრე ქართველი მღვდელთ

¹ ლოლაშვილი ი., არეოპაგტიკის პრობლემები, 88.

² ლოლაშვილი ი., არეოპაგტიკის პრობლემები, 95.

³ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, I, 350-351.

მოდღუარი“; მაგრამ როგორც ზაქარია ქართველი ამბობს, ის ღმერთმა გადაარჩინა¹. ალბათ, პეტრეს მტრებმა განზრახვა ვერ აისრულეს მისი მომხრეების წინააღმდეგობის გამო. პეტრეს მოკვლის ცდას ადგილი უნდა ჰქონოდა მისი ალექსანდრიიდან დაბრუნების შემდეგ. ეს ის დროა, როდესაც გამარჯვებული დიოფიზიტები მუსრს ავლებდნენ მოწინააღმდეგეებს, მაგრამ თავს იკავებდნენ პეტრე იბერის მიმართ, რადგან ის იყო ყველა მართლმადიდებელთა ბურჯი და ნუგეში² - „ღიდი პეტრე“, „ბრწყინვალე პეტრე“, „მთელ მსოფლიოში საკვირველად განთქმული კაცი ბერძნული“³, „სამკაული და სიქადული ქართველთა და მეოხი ყოვლისა სოფლისა“⁴. ზაქარია რეტორის თქმით, პეტრე იბერი იყო ეგვიპტისა და პალესტინის წმინდა მამათა მეთაური, რომელმაც თავი გამოიჩინა საღმრთო ფილოსოფიაში, სამონასტრო ცხოვრებით და სასწაულების მოხდენით⁵.

პეტრეს ავტორიტეტი და გავლენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო სირია-პალესტინაში, რომ იმპერატორიც კი ანგარიშს უწევდა. იმპერატორმა ზენონმა პეტრე და, ასევე სასწაულმოქმედი ესაია, კონსტანტინოპოლში მიიწვია, მაგრამ მათ სხვადასხვა საშუალებებით მიწვევაზე უარი თქვეს. პეტრემ თავი აარიდა სატახტოში ჩასვლას „და ივლტოდა ღამით ნეტარი პეტრე და წარვიდა ქუეყანასა უცხოსა“⁶. სავარაუდოა, იმპერატორს უნდოდა, პეტრე და ესაია დაეყოლიებინა და მათ ჰენოტიკონი ელიარებინათ⁷.

ჰ) პეტრე იბერმა სიცოცხლე დაასრულა ღაზასა და პატარა ქალაქ მაიუმას შორის მდებარე იამნიაში – ტრიბუნ ილიას მამულში. ილია იყო დედოფალ ედოკიას უკანასკნელი ნაცნობი⁸. პეტრე გარდაიცვალა 491 წლის 1 დეკემბერს, პარასკევის

¹ იოანე რუფუსი, გვ. 286.

² იოანე რუფუსი, გვ. 286.

³ ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, III, 101, 112

⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 272.

⁵ ლოლაშვილი ი., არეოპაგტიკის პრობლემები, 106.

⁶ ზაქარია რეტორი, 268.

⁷ Kofsky A., Peter the Iberian Pilgrimage, 215-216. პეტრეს ჰენეტიკონისადმი დამოკიდებულების სხვაგვარ ახსნას გვთავაზობს ე. ჰონიგმანი. მისი აზრით, პეტრეს უნდოდა, ხელი მოეწერა ჰენეტიკონზე, რის გამოც „იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ზომიერი მონოფიზიტი“. Хонигман Э., Петр Ивер и сочинения Пс.-Дионисия Ареопажита, 29.

⁸ Esbroeck M. van, Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited, 222.

გათენებისას, ოთხმოცი წლის ასაკში. ბერებმა მისი სხეული განბანეს, შემოსეს და მონასტერში დაასვენეს. როდესაც გათენდა, არსებული ჩვეულების თანახმად, წმინდანის სხეული სუდარაში გაახვიეს, სახვევები შემოახვიეს და წმინდა საკურთხეველის წინ დაასვენეს. ახლა, როდესაც მისთვის წმინდა მისტერიები უკვე შესრულებული იყო, მემკვიდრეებმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს და სასწრაფოდ მოინდომეს, რომ სანამ ქალაქ ღაზასა და მაიუმის მოსახლენი პეტრეს სიკვდილის ამბავს შეიტყობდნენ, მისი გვამი წაესვენებინათ და **„დაემარხათ მის ყოფილ მონასტერში, რომელიც ღაზას მაიუმის მეზობელ კონგრეგაციაში მდებარეობს“**¹. ბერები ჩქარობდნენ, რომ პეტრე მანამდე წაესვენებინათ, ვიდრე ღაზის და მაიუმის მოსახლეობა, განსვენებულის თაყვანისმცემელი, გაიგებდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ მოქალაქენი მოიტაცებდნენ წმინდა სხეულს და ქალაქის ერთ-ერთ ტაძარში დაასაფლავებდნენ. პროცესია „ერთ პატარა ქალაქში“ გაჩერდა. შემდეგ გზა განაგრძეს და ქალაქ ასკალონში (აშკელონი) მივიდნენ, მართლმადიდებელთა (მონოფიზიტთა) მონასტერში მცირე ხანს შეისვენეს, შემდეგ დაიძრნენ და მთელი ღამე იარეს და გათენებანდე **„წმინდანის ძველ მონასტერში“**. მივიდნენ. „და რადგანაც ცხონებულს, სანამ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და იქ მშვიდად ცხოვრობდა, ერთმანეთის გვერდი-გვერდ სამი ლუსკუმა გაემზადებინა, მათ მისიწმიდა გვამი შუა ლუსკუმაში ჩაასვენეს, იმ ორში უკვე წმიდათა ნეშტნი ესვენნეს: მარჯვენაში – მამა იოანე ევრუხის გვამი, მარცხენაში, მამა აბრაჰამისა, წმინდა მოხუცის და ასკეტისა, რომელიც იყო ათრიბისიდან“².

პეტრე იბერის მიმდევრებმა განიზრახეს „წმინდანის ძველი მონასტრის“ ტერიტორიის გადიდება და კეთილმოწყობა, არც სენაკები იყო საჭირო რაოდენობის. საამშენებლო საქმეს სათავეში ჩაუდგა თეოდორე სქოლასტოკოსი, რომელმაც მცირე ხანში ააგო სამრეკლო, ეკლესია და ეკლესიაში სამლოცველო. მონასტერს გალავანი შემოავლო და კეთილად მოაწყო. მშენებ-

¹ მონიშვნა ყველგან ჩემია.

² მონიშვნა ი. ლოლაშვილისა. აბრაჰამ ათრიბისელი ასკეტი იყო, რომელმაც გამოცხადება იხილა, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა და პალესტინაში პეტრე იბერიელთან წავიდა, რათა ამ უკანასკნელს მისთვის თვალები დაესუჭა. როცა აბრაჰამი გარდაიცვალა, პეტრემ ის თავისი ხელით გააპატიოსნა და მარცხენა ლუსკუმაში დაასაფლავა.

ლობა პეტრეს გარდაცვალების წლისთავისათვის დასრულდა და წლისთავის წინა დღეს წმინდანის გვამი იქ გადაასვენეს¹. ტაძარი, სადაც პეტრეს საბოლოო განსასვენებელი გახდა, უნდა ყოფილიყო მის მიერვე დაარსებული ქართველთა, ე. ი. წმ. ჯვრის მონასტერი. როგორც პეტრეს „ცხოვრების“ ასურული რედაქციიდან ჩანს, პეტრეს გარდაცვალების დროს მონასტერი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ჟ დახასიათება. იოანე რუფუსი პეტრე იბერის მოღვაწეობაზე თხრობის დასაწყისშივე გვთავაზობს მის დახასიათებას, რომელიც საკმაოდ ვრცელია, მაგრამ იმდენად საინტერესო, რომ მოვიყვან მცირედი შემოკლებით. „*შედგომში მე არაფერს ვიტყვი თითოეულ მის ჩვევაზე და ნიჭზე, – აღნიშნავს იოანე რუფუსი, – რომლებიც ღვთის შეწევნით გამოჩნდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირად და სხვადასხვა საქმეში: ასკეტობასა და ნაზარეველობაში და – მოციქულების მსგავსად რომ ვთქვათ – წვალებასა და გაჭირვებაში, შევიწროებასა და დევნულობაში, დავიდარაბაში, მარხულობასა და ღამისთევაში, ბრძოლებსა და გვეძულულობებში, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გაბრძოლებაში არა მხოლოდ ცოდვასთან, არა მარტო ხორცისა და სისხლის (დულილის) წინააღმდეგ, არამედ ძალმომრეობათა და მტარვალობათა წინააღმდეგ, ამა ბნელეთის თვითმპყრობელთა წინააღმდეგ, ბოროტ სულთა წინააღმდეგ, მრავალნაირ მოსალოდნელ შემთხვევაში (ან მრავალნაირ გამოვლინებაში); სასწაულთა, საკვირველებათა და განკურნებათა ძალაში, წმინდა სულის ძალოვნებაში, სამართლიანობის იარაღის საშუალებით მარჯვნივ და მარცხნივ, პატივსა და სირცხვილში, მამრებლობასა და ქება-დიდებაში – ის ხომ იყო როგორც უცნობი და იყო როგორც ცნობილი, ის მხოლოდ თავის ღმერთისათვის იყო ცნობილი, როცა საჭირო იყო ხორციელად, მაგრამ ყოველ დროისათვის ცხოველი იყო და ცეცხლებრი იყო სულით; ის იყო ღარიბი, მაგრამ ბევრს მდიდრად ხდიდა, რამდენადაც სულებსა და სხეულებსაც კეებავდა ყველას თავის შესაფერი საკვებით; ის იყო ის, რომელსაც არაფერი აქვს. და მიუხედავად ამისა, ყველაფერი ჰქონდა, არა მხოლოდ ის ჰქონდა, რაც მიწაზეა, არამედ ის განძეულობაც ჰქონდა, რაც ზეცაშია; რამეთუ ის ფლობდა განძებს, რომლებიც იქ მოიპოვება, სადაც ყოველი*

¹ ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1988, 201-202.

დროისათვის იყო მისი გული, აზრი და ქცევა – ეს და ყველაფერი ის, რაც ამასთან კავშირშია, რაც შეწევნითა ქრისტესითა, რომელიც მასში ბინადრობდა, მრავალ ადამიანთა წასაქეზებლად და სახსენებლად იყო მის მიერ ვაკეთებული უზეშთაესი სახით... მეორე მხრით, მრავალი ღვაწლი დასდო აღსამართლად, ასაგებად და განსამტკიცებლად მართლმადიდებელი რწმენისა და კათოლიკე ეკლესიისა, რომლის არქიელად [ეპისკოპოზად] და მწყემსად მან იგი დააყენა⁴.

¹ იოანე რუფუსი, ვვ. 255-256.

პეტრე იბერი – წმ. ჯვრის მონასტრის დამაარსებელი

პეტრე იბერის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა იერუსალიმსა და მის შემოგარენში. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული კულტურის უდიდეს კერებს, რითაც დასაბამი მიეცა ქართველთა ათასწლოვან, უაღრესად საინტერესო სამონასტრო ცხოვრებას წმინდა მიწაზე.

ზაქარია რეტორის პეტრეს „ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ მან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას რამდენიმე ეკლესია-მონასტერი ააგო: 1. იერუსალიმში ქართველი და ბერძენი ბერებისათვის (ძმათათვის) სასტუმრო სახლის აშენების შემდეგ პეტრე და იოანე „წარვიდეს უდაბნოდ¹ და შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი თავისა თვისად²; ამავე მონასტერში „იწყეს შენებად წმიდისა ეკლესიისა სახელსა ზე და წმიდისა დედოფლისა ღმრთისმშობელისასა“, რომელიც დაასრულეს³; 2. „ამის შემდგომად გამოვიდეს მიერ წმიდაჲ პეტრე, იოანე, ნეტარნი მამანი, და წარვიდეს იორდანისა პირსა, ადგილსა უდაბნოსა და აშენეს მონასტერი“; 3. წმ. პეტრემ, მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწე იოანემ ეგვიპტეში დააარსეს „ეკლესია და გარემოსა მონასტერი“⁴; 4. „წმ. პეტრე მოიქცეს იერუსალიმადვე და კუალად აღაშენეს ქალაქსა შინა სახლი სასტუმროი და იწყეს შენებად ეკლესიისა“.

¹ უდაბნო – გაუშენებელი, დაუსახლებელი ადგილი, ოკერი, უმკვდრო. „უდაბნო“, სულხან-საბას განმარტებით, „არის უშენებო“. „უდაბნო იგი არს, სადა არა არს შენებულობა“. (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1966, 154); აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), 1973, 419. უდაბნოს, როგორც სასულიერო დაწესებულების საინტერესო დახასიათება მოგვცა ე. მეტრეველმა: „უდაბნო ეწოდება დაუსახლებელ (უდაბურ), ჩვეულებრივ, მთავორიან ადგილას გაშენებულ სამონასტრო კოლონიას, რომელიც მოიცავს მონასტერს და ამ მონასტერთან დაკავშირებულ ბუნებრივ და ხელოვნურ სენაკებს, სადაც მუუდაბნოენი, ანუ ასკეტები ცხოვრობენ“. მეტრეველი ე., შუკანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში. წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, 2007, 247.

² ზაქარია რეტორი, 260

³ ზაქარია რეტორი, 261.

⁴ ზაქარია რეტორი, 262.

ზემოთ დასახელებული მონასტრებიდან, პირველის გარდა, დანარჩენი სამის იდენტიფიცირება ხერხდება. ესენია: ლაზთა მონასტერი, ბეთლემის ჩრდილოეთით, ხირბეთ სიარ ელ-დანამის ჩრდილო-დასავლეთით, ბირ ელ-ყუტის მიდამოებში¹; ეგვიპტეში აგებული მონასტერი, მ. თარხნიშვილის მიხედვით, უნდა იყოს პეტრე იბერის მიერ თებეს უდაბნოში აგებული „სამეკლესიანი“ თებაიდის ბაზილიკა²; იერუსალიმში აგებული ეკლესია იყო იბერთა მონასტერი³.

რაც შეეხება პეტრე იბერის მიერ „თავისა თვსად“ აგებულ მონასტერს, ის უნდა იყოს დღეისათვის საყოველთაოდ ცნობილი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი⁴.

1. წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების საკითხის დასმისათვის

წმინდა მიწის სავანეთა შორის იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია.

დიდი ხანია, მკვლევართა შორის არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებანი, თუ ვინ და როდის დააარსა წმ. ჯვრის მონასტერი, ვის იურისდიქციაში იყო იგი, თუმცა ლე-

¹ მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998, 85-88.

² თარხნიშვილი მ., წერილები, თბილისი, 1994, 273-276.

³ მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 88-92.

⁴ ჩემთვის გაუგებარია, საიდან არის აღებული ცნობა იმის შესახებ, რომ „ამ მონასტერთან, ანასტასი პატრიარქის მოთხოვნით, აშენდა ეკლესიაც და ეწოდა მას ქართველთა მონასტერი“. მეტრეველი ე., შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში. 248. პეტრე იბერის დროს, V საუკუნეში პატრიარქი იყო ანასტასი I (458-478).

პეტრეს „ცხორებაჲ“ გვამცნობს, რომ ჩვენთვის ცნობილმა მეღანია დედოფალმა მურვანოსსა და იოანეს ბინა მიუჩინა მონასტერში, სადაც საკმაოდ დიდი დრო დაჰყვეს. შემდეგ ისინი მონასტრიდან გამოვიდნენ და ჯერ წმ. ქალაქში ააშენეს სასტუმრო ქართველი და ბერძენი მომლოცველებისათვის, შემდეგ წავიდნენ უდაბნოში და, „შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი თავსათვს“. როდესაც პატრიარქმა ანასტასიმ შეიტყო ქართველების სასიქადულო საქმის შესახებ, მან პეტრე და იოანე თავისთან მიიწვია და „აკურთხნა ორნივე ხუცად იძულებითა დიდითა და წარავლინნა მონასტრადვე მათთა. და ვითარ მივიდნენ მონასტრად, იწყეს შენებად წმიდისა ეკლესიისა სახელსა ზედა წმიდის დედოფლისა ღმრთისმშობელისა“. ძველი ქართული ლიტურატივის ქრესტომათია, I, 260-261.

სავარაუდოა, პეტრეს „ცხორების“ ეს აღვლილი ჰქონდა მხედველობაში ე. მეტრეველს, მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი პატრიარქ ანასტასი I-ის მიერ პეტრესა და იოანესათვის რაიმე დავალების მიცემის შესახებ მონასტერში ეკლესიის აშენების თაობაზე.

გენდები მის დაარსებას უკავშირებენ პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის, მირიანის და ქართული ავტოკეფალური ეკლესიის დამფუძნებლის ვახტანგ გორგასლის სახელებს.

საკითხის ობიექტურად გარკვევას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ XVII საუკუნის დასასრულიდან მონასტერი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს განკარგულებაშია და, ბუნებრივია, ბერძენი მკვლევრების საზრუნავია, გაამართლონ მასზე თავიანთი უფლება. იმ დროიდან, რაც მონასტერი იერუსალიმის ორთოდოქსალური საპატრიარქოს იურისდიქციაში აღმოჩნდა, ბერძენი მკვლევრების მხრიდან არის მცდელობა დამტკიცონ, რომ წმ. ჯვრის მონასტერი წმ. მიწის ბიზანტიურ ეპოქაში დაარსდა ბიზანტიელების მიერ, არაბების ბატონობის დროს მან ფუნქციონირება შეწყვიტა და დაინგრა, XI საუკუნეში ქართველებს გადასცეს მისი აღდგენის უფლება, XVII ს. დასასრულს ქართველების ხელში დავალიანებული მონასტერი გამოისყიდეს და იგი დაუბრუნდა კანონიერ პატრონს. ლოგიკური მსჯელობის გარდა, სხვა რაიმე ხელჩასაჭიდი არგუმენტი ბეკენტა საპატრიარქოს რომ არ გააჩნია, ქვემოთ დავრწმუნდებით. დასავლეთეუროპელმა მკვლევრებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება საკითხის ამგვარად დაყენებას და აღნიშნეს იმ თქმულებების სიმართლესთან სიახლოვე, რომლებიც ჯვრის მონასტრის დაარსებას წმ. მიწაზე ქართველთა მოღვაწეობას მიაწერდა, მაშინ როდესაც ბერძენებს ასეთი მამტკიცებლები არ გააჩნიათ¹.

2. ქართული ისტორიული ტრადიცია წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ

ქართული ტრადიციით, ჯვრის მონასტრის ასაშენებელი ადგილი მეფე მირიანმა მოიპოვა IV საუკუნეში. როგორც შემ-

¹ The Holy City or Historical and Topographical Notices of Jerusalem. By Georg Williams. With illustrations from sketches by W.F.Witts, London, Parker, 1845. [http://books.google.ge/books?id=46KX6U3jwPAC&printsec=frontcover&dq=inauthor:%22George+WILLIAMS+\(M.A.\)%22&hl=ru&sa=X&ei=c2BsT8CvJOHa4QSG3pHAAg&ved=0CDAQ6AEWAA#v=onepage&q&f=false](http://books.google.ge/books?id=46KX6U3jwPAC&printsec=frontcover&dq=inauthor:%22George+WILLIAMS+(M.A.)%22&hl=ru&sa=X&ei=c2BsT8CvJOHa4QSG3pHAAg&ved=0CDAQ6AEWAA#v=onepage&q&f=false); Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen. Zweites Buch, Berlin, 1854 http://books.google.ge/-books?id=7D8AAAAAYAAJ&q=Kirche&hl=ru&source=gbs_word_cloud_r&cad=5#v=snippet&q=Kirche&f=false; Hippolite Heliot, Histoire des Orders Monastiques, Religieux et Militaires, et des Congreégations Seculières de l'un de l'auteur, Qui ont été établies Jusqu'à présent; Contenant leur origine, leur fondation... la decadance des uns et leur suppression... les vies de leurs fondateurs..., t. I, par le R. P. Hippolite Heliot, Paris, MDCCXIV.

დგომ გამოჩნდება, ადგილი შემთხვევით არ შეირჩა და ქართველებს მასთან კავშირი უკვე დიდი ხნის წინათ ჰქონდათ. ტიმოთე გაბაშვილმა, XVIII საუკუნის ცნობილმა ქართველმა საეკლესიო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, 1755 წელს იერუსალიმში იმოგზაურა და წმ. ქალაქის ეკლესია-მონასტრებსა და სხვა ღირსშესანიშნაობებზე უძვირფასესი ცნობები და აღწერილობა დაგვიტოვა. იქ მიკვლეული ეპიგრაფიკული, სხვა წერილობითი წყაროებისა და ფოლკლორული მასალის შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოდესღაც ქართველების გაბატონებული მდგომარეობა იერუსალიმში („ქართველნი ვითარ იპრობდნენ იერუსალიმს“) ჯვრის მონასტრის დაარსებიდან დაიწყო. ტ. გაბაშვილის ნათქვამი სიმართლესთან ახლოსაა იმ გაგებით, რომ IV-VI საუკუნეები (ქართველების მიერ პირველი ეკლესია-მონასტრების დაარსების ხანა) არის წმინდა მიწაზე სამონასტრო მშენებლობის უდიდესი აღმავლობის ხანაც. მან პირველმა შემოიტანა ქართულ სინამდვილეში ჯვრის მონასტრის დაარსების ადგილთან დაკავშირებული იერუსალიმში მოპოვებული ლეგენდა, რომელიც წმინდა ქალაქში ფართოდ იყო ცნობილი როგორც წერილობითი („ესრე ვპოვეთ მუნ წერილთა შინა,“ – წერს ტ. გაბაშვილი), ისე ზეპირი სახით. ლეგენდა მდგომარეობდა შემდეგში: საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი წმ. ნინომ იერუსალიმში გაგზავნა. მეფე ჯერ რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდს ეწვია, შემდეგ წმინდა ქალაქში გაემგზავრა და მონასტრის ასაშენებელი ადგილი მოიპოვა. ეს ის ადგილი იყო, სადაც ბიბლიური აბრამის ძმის-წულს, ლოტს სამი ხე – სარო, ფიჭვი და ნაძვი დაურგავს. ისინი ერთ დიდ ხედ გადაიქცა. სოლომონ მეფემ იერუსალიმის ტაძრის მშენებლობისას მოჭრა ხე, მაგრამ მისი გამოყენება ვერ მოხერხდა. მის ძირს მხოლოდ დასაჯდომად იყენებდნენ. ხის მორის ადგილას აიგო წმ. ჯვრის მონასტერი¹. ხის მოჭრის ად-

¹ XX ს. 40-იანი წლების შუა ხანებში პალესტინაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მკვლევარებმა ვერ შეძლეს ჯვრის მონასტრის დათვალიერება, მაგრამ მათთვის საინტერესო საკითხზე ინფორმაცია მაინც მოიპოვეს. მონასტერში ცხოვრობდა ვინმე შმიდტი, რომელსაც 1948 წელს ერთ-ერთისათვის უცნობებია, რომ მონასტრიდან 150 მეტრის დაშორებით, ბაღში იყო ათი ნაბიჯის დიამეტრის ქვით მოკირწყლული ბუნებრივი მღვიმე, რომელიც ოდესღაც სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა. მღვიმეში ჩასვლა შეუძლებელია საფეხურებით. მის გვერდით იყო საერთო საფლავი. მღვიმე მიძღვნილი უნდა ყოფილიყო წმ. ლოტის ხსოვნისადმი, ისევე, როგორც ტაძრის საკურთხეველის კედელზე გამოსახული ლოტის მიერ ჯვარცმის ხის

გილის, უფრო მეტიც, ხისძირის, კუნძის შესახებ პირველი ცნობები, დროის მცირე ინტერვალით, დაგვიტოვებს ანგლო-საქსმა ზევულფმა და რუსმა დანიელმა. ამ ორი პილიგრიმის ცნობების ერთმანეთთან შეჯერება საშუალებას გვაძლევს, წარმოდგენა შეგვექმნას ჯვრის მონასტრის მიერ მცირე დროში განცდილი სერიოზული ცვლილებების შესახებ.

1102-1103 წლებში ზევულფმა გაძარცვული და ნაწილობრივ დანგრეული წმ. ჯვრის მონასტერი იხილა. იგი წერდა: „წარმართებმა (თურქ-სელჩუკებმა წმ. ჯვრის მონასტერი – ე. მ.) გაანადგურეს, მაგრამ მთლიანად კი არ დაანგრიეს, არამედ ირველივ არსებული ნაგებობებისა და სენაკების გამოკლებით“¹. მას შემდეგ, რაც იერუსალიმში ვითარება სტაბილური შეიქმნა, ქართველებმა თავიანთ უმთავრეს სიწმინდეს მიხედვს და იგი რუსმა პილიგრიმმა, წინამძღვარმა დანიელმა ცოტა ხნის შემდეგ (პალესტინა მოილოცა 1104-1107 წლებში), იხილა აღდგენილი და მოხატული².

დასახელებული ორი პილიგრიმის ჯვარის შესახებ ცნობებიდან ყურადღებას იპყრობს ის წმინდა ხე, რომელიც დაკავშირებული იყო ქრისტეს ჯვარცმასთან.

ზევულფმა იცოდა, რომ წმ. ჯვრის მონასტერი აშენდა „იმ ადგილას, სადაც გამოთაღეს წმინდა ჯვარი“³, მაშინ როდესაც დანიელის თქმით, „ამ ადგილას გამოიჭრა ქრისტეს ჯვარცმის საფეხური, რომელზეც მიაღურსმეს ქრისტეს ფეხები“⁴.

დანიელის გარდა სხვა არც ერთი პილიგრიმ-მოგზაური ამგვარს არაფერს გადმოგვცემს. დანიელის ამ ცნობას ყურადღება მიაქცია მ. სტეფნაქემ და ივარაუდა: რადგან დანიელმა 16 თვე გაატარა წმ. საბას ლავრაში, სადაც ქართველი ბერებიც იმყოფებოდნენ, მას მათგან უნდა მოესმინა საქართველოში გაე-

დარგვისა და მისი მოვლის ამსახველი ფრესკები. The Sanctity and Cult of Lot by Sylvester Saller & Bellarmino Bagatti, The early Fathers of the church In the Orthodox Greek church at MadabMadaba. In the Christian Liturgy. At Beni Na'im. At Nebi Yakin. At the monastery of the Holy Cross

<http://www.christusrex.org/www1/ofm/mad/articles/SallerLot.html>

¹ Путешествие Зевульфа в Святую Землю 1102-1103 гг. *Православный палестинский сборник*, вып.9. 1885.

http://www.vostlit.info/Texts/rus17/Daniil_igumen/text1.phtml?id=10314

² Игумен Даниил, Житие и хождение Даниила, игумена Русской земли. Путешествия в Святую Землю. Записки русских паломников и путешественников. М. Лепта. 1995, 32. http://www.vostlit.info/Texts/rus17/Daniil_igumen/text1.phtml?id=10314

³ Путешествие Зевульфа, 283.

⁴ Игумен Даниил, 32.

რცელებული აზრი, რომ ქართველების ქრისტიანობაზე მოქცევით კმაყოფილმა კონსტანტინე კეისარმა პირველ ქართველ ქრისტიან მეფეს, სხვა რელიკვიებთან ერთად, გამოუგზავნა „ფერხთა ფიცარნი“¹. მაგრამ ვერ გავიზიარებ მკვლევრის იმ ნათქვამს, რომ თითქოს დანიელმა ამის შემდეგ თვითონ დაუკავშირა მირიანისა და ჯვრის მონასტრის სახელები და სწორედ აქედან უნდა იყოს ის ცნობა, რომელიც პილიგრიმმა დაგვიტოვა². ვფიქრობ, აღნიშნული ვერსია პალესტინაში მოღვაწე ქართველთა შორის უნდა ჩამოყალიბებულიყო და დანიელს მათგან უნდა მოესმინა.

წინამძღვარ დანიელის მიხედვით, გალავნით შემოსახლდრული ტერიტორიის შუაში, სადაც ოდესღაც წმ. ჯვარცმის ხე იდგა, აგებული იყო წმ. ჯვრის სახელობის მაღალი, შიგნიდან მოხატული ეკლესია. დიდი საკურთხეველის ქვეშ, **ტრაპეზის დაბლა, სიღრმეში, დაცული იყო იმ წმინდა ხის კუნძი**, დაფარული თეთრი მარმარილოს ფილებით. ხის პირდაპირ გაკეთებული იყო მრგვალი სარკმელი³, რათა მორწმუნეებს შესძლებოდათ მისი დანახვა. **ტრაპეზის ქვეშ იმ ხის ძირი დღესაც ჩანსო**, – ექვსი საუკუნის შემდეგ აღნიშნავდა ტ. გაბაშვილი. ტ. ტობლერის ვარაუდით, ხის ძირის ადგილას საკურთხეველი დადგეს ფრანკებმა, თუმცა იქვე აღნიშნავდა, რომ მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდათ⁴.

ხესთან დაკავშირებული ლეგენდა აისახა ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობაში, კერძოდ, ბიბლიური პატრიარქის, აბრაამისა და მისი ძმისშვილის, ლოტის ფრესკებში. ხის მოჭრის ადგილის არსებობა წმ. ჯვრის მონასტერში არქეოლოგიურად დადასტურდა, რაზეც ქვემოთ ითქმევა.

ძელის სირიული აპოკრიფული ვარიანტი შემოგვინახა პ. კონჭოშვილმა: „ერთს დროსა, როდესაც ლოტმა შესცოდა, წარვიდა იგი, რათა ეღვიარებინა თავისი შეცოდება წინაშე აბრაამ მამა-მთავრისა. შემდეგ მოსმენისა ლოტის მძიმე შეცოდებისა, აბრაამმა გამოიღო ცეცხლიდან სამი მუგუზალი, რომელნიც

¹ მოქცევაჲ ქართლოსაჲ. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I (V-X სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედქციით, თბილისი, 1963, 86-87.

² სტეფნაძე მ., წინამძღვარი დანიელი – დიპლომატი თუ პილიგრიმი. *ქართული დიპლომატია, წელიწდეული*, 4, თბილისი, 1997, 226.

³ Игумен Даниил, 32.

⁴ Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, 737.

იყვნენ კვიპროსისა, ნადვისა და სოჭისა და უბრძანა ლოტსა: დანერგე ეს მუგუზალნი და მორწყე; უკეთუ ეს მუგუზლები იხარებენ და გაიზრდებიან, ეს იქნება ნიშნად მიტევებისა შენის მძიმე ცოდვისა. ლოტმა შეასრულა ესრეთ, ვითარცა უბრძანა მას ბიძამან; მუგუზლები განედლდნენ, აღმოსცენდნენ და შეერთდნენ ერთ ხედ. სოლომონ მეფის ტაძრის აღშენების დროს იქმნა მოჭრილ ეს ხე, მაგრამ, რადგანაც არ გამოდგა შენობისათვის, იგი იქმნა დატევებულ უხმარებელად. ხოლო მაცხოვრის ჯვარცმის დროს, საკუთარის განგებითა ღვთისათა, იგი იქმნა მიღებულ და ხმარებულ მოსამზადებლად, რომელზედაც ჯვარცმულ-იქნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე⁴.

პ. კენტოშვილს თავის „მოგზაურობაში“ გადმოცემული აქვს კიდევ ერთი ლეგენდა, განსხვავებული პასაჟით², რომელსაც მნიშვნელოვანი კორექტივი არ შეაქვს ტაძრის აგების ადგილის შერჩევის ისტორიაში.

უეჭველია, ჯვარცმის ხის ლეგენდა, სხვადასხვა ფორმით, მონასტერს თან სდევს დაარსების დღიდან, ამას ადასტურებს „ტაქტიკონის“ ცნობა, მაშინ როდესაც ლოტის ლეგენდა ჩნდება XV საუკუნის დასაწყისიდან³.

¹ კონტოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, თბილისი, 1901, 77-78.

² კონტოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, 78-79.

³ Sylvester Saller & Bellarmino Bagatti, The early Fathers of the church In the Orthodox Greek church at Madaba. წმ. ლოტის ლეგენდის ჯვრის ხის ლეგენდასთან დაკავშირების შესახებ იხ. მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, ლეგენდა და სინამდვილე, გვ. 182-183. მგალობლიშვილი თ., წმ. ჯვრის მონასტერი, *ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია*, ტ. 5, თბილისი, 2003, 25.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ჯვარის მონასტრის დაარსების საკითხით დავინტერესდი წიგნზე - „ქართველები და ბიბლიური სამყარო“ - მუშაობისას, რომელიც გამოიცა 1998 წელს (მამისთვალისშივილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998, 70-85). წიგნის რედაქტორი არის პროფ. ზ. კიკნაძე, რეცენზენტი - პროფ. თ. მგალობლიშვილი. შემდეგ ჩვენი ისტორიისა და კულტურის ამ აქტუალურ საკითხზე მუშაობა გავაგრძელე 2002 წელს გამოვქვეყნე მონოგრაფია (მამისთვალისშივილი ე., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), გორი, 2002, 4-121). ქალბატონმა თამილამ წმ. ჯვრის მონასტერს სპეციალურად მიუძღვნა ორი სტატია (მგალობლიშვილი თ., წმ. ჯვრის მონასტერი, *ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია*, ტ. 5, თბილისი, 2003, 21-25; მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში, თბილისი, 2004, 176-191), მაგრამ მათი

ტ. გაბაშვილს იერუსალიმში ერთი ლეგენდა ვახტანგ გორგასალზეც ამოუკითხავს. კერძოდ, ეგვიპტის სულთანი შეევედრა ვახტანგს, ლაშქრით წასულიყო იერუსალიმს, იქიდან ფრანგები გაედევნა და თვითონ დაეპყრო. ქართველი მეფე მართლაც ასე მოქცეულა, იერუსალიმი დაუპყრია და იქ მრავალი მონასტერი აუშენებია. ქართველებს იერუსალიმი და, საერთოდ, პალესტინა, დიდი ხნის განმავლობაში სჭერიათ. ვახტანგს ქალაქის დამცველად თავისი მხედრები დაუტოვია, რომლებიც სამუდამოდ იქ დასახლებულან¹. შეუძლებელია თქმა იმისა, თუ რაზეა დამყარებული ეს უკანასკნელი ლეგენდა და ამჯერად, ჩემი აზრით, არც არის იმის საჭიროება, რომ მისი ფაქტობრივი უზუსტობანი ვამხილოთ. მთავარი ის არის, რომ არსებობს ლეგენდები, რომლებსაც თავიანთი ლეგენდარულობისა და უზუსტობის მიუხედავად, წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების ისტორიის შესასწავლად სერიოზული მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ქართველი მეფის მიერ წმ. მიწაზე ქართველი კოლონისტების დასახლებას, მასში, სავარაუდოა, სოფელ მალჭას „გურჯ“ მოსახლეობაზე იყოს მინიშნება, რაზეც ვრცლად სხვა დროს ითქმევა.

ტ. გაბაშვილის მიერ გადმოცემული თქმულების შესახებ ვიცით, რომ მან იგი იერუსალიმში ყოფნის უამს ჩაიწერა. ტ. გაბაშვილი ვიდრე აღნიშნული ლეგენდის თხრობას დაიწყებდეს, ჯერ მკითხველს მიმართავს: *„უკეთუ გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვნით მუნ წერილთა შინა“*. მაშასადამე, ლეგენდა წერილობით ყოფილა ფიქსირებული. ტ. გაბაშვილს რომ რომელიღაც წერილობით წყაროში ამოუკითხავს ზემოთ გადმოცემული ამბავი, დასტურდება XVII ს. იერუსალიმის ბერძენი პატრიარქის, დოსითეოსის გადმოცემით. მან ტიმოთე გაბაშვილზე თითქმის ერთი საუკუნის წინ, გოლგოთაზე ნახა ძველი ქართული ხელნაწერი,

ლიტერატურის ინდექსშიც კი ჩემი ნაშრომები რატომღაც არ არის დასახელებული.

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. გამოსცა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1956. ვ. ცაფერის ქართული ლეგენდა XVIII საუკუნეში შექმნილად მიაჩნია The monastery of The Holy Cross in Jerusalem by Vassilios Tzaferis, Ph. D. Archeologist-Byzantinologist Curator of The Museum of The Greek Orthodox Patriarchate of Jerusalem, Jerusalem, 1987, 7. ამ ნაშრომის ქართული თარგმანი: ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი. ინგლისურიდან თარგმნეს ასმათ ჯიქიამ და ეკატერინე ძნელაძემ, *ქურნ. „რელიგია“*, 1993, ივნის-ივლისი, №6-7, 98.

სადაც ამოიკითხა ვახტანგ გორგასლის იერუსალიმში ყოფნის შესახებ. პატრიარქი დოსითეოსი ქართლის მეფე ერეკლე I-ს სწერს იმ დიდი დახმარების შესახებ, რომელიც ქართველებმა გაუწიეს ბერძნებს და იმ წყაროზეც მიუთითებს, საიდანაც ამის შესახებ შეიტყო: „...*ბერიის მეფეები დაეხმარნენ მათ და, სხვათა შორის, ეს ჩანს წმ. გოლგოთაზე დაცული ერთი ქართულენოვანი ჩანაწერიდან, რომელიც შეადგინა მარად სახსოვარმა მეფე კორკასანმა (ვახტანგ გორგასალი – ე. მ.). ნეტარხსენებული ქსნის ერისთავი [ამჟამად] იქ ბერად აღიკვეცა და მამა იოსებ არქიმანდრიტი დაარქვეს. თუ ვნებავთ ამ წმ. არქიმანდრიტს შეეკითხეთ, ის გაუწყებთ ამას, რადგან მან იხილა და წაიკითხა ხსენებული ჩანაწერები*“¹. საფიქრებელია, რომ ტ. გაბაშვილსაც ლეგენდის ეს ხელნაწერი ჰქონდა მხედველობაში, რომელშიც მთავარი გმირის – მეფე ვახტანგ გორგასლის იერუსალიმში ყოფნის შორეულ წარსულში შეთხზულ ამბავს, ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ დაემატა სულთნის მოწოდება ქართველი მეფისადმი, ფრანკები გაედევნა იერუსალიმიდან. ლეგენდის შემქმნელები, ვფიქრობ, ითვალისწინებდნენ ქართველების წარმატებულ მდგომარეობას მამლუქების ბატონობის დროინდელ იერუსალიმში, ქართველების დაძაბულ ურთიერთობას ლათინებთან და ამიტომაც მოხდა უძველესი და XV-XVII საუკუნეების ისტორიის რეალიების ერთმანეთში შერევა-შეზავება.

3. ბერძნული ისტორიული ტრადიცია წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ

გარკვეული მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ქართული ლეგენდების მნიშვნელობის გაბათილების მცდელობა მოცემულია XVIII-XX საუკუნეთა იმ ბერძნულ საისტორიო ლიტერატურაში, რომელიც ეხება წმ. ჯვრის მონასტრის დაარსებას, აღდგენასა და მისი ბერძენთა ხელში გადასვლის ისტორიას. თავისი შინაარსიდან და მიზანდასახულობიდან გამომდინარე, XVIII საუკუნეში შექმნილი უნდა იყოს ე. წ. იერუსალიმის საპატრიარქოს 1200-1308 წლების „ოფიციალური“ ანგარიში², რომელიც ამოსავალი გახდა ამ საინტერესო საკითხით დაინტერე-

¹ მამისთვალისშილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008, 211.

² მამისთვალისშილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 136. „ანგარიშის“ შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ.

სებული გვიანდელი პერიოდის ზოგიერთი ბერძენი მკვლევრისათვის.

ქართველთა მონასტრების ბერძენთა ხელში გადასვლიდან მცირე დროის შემდეგ, კერძოდ, 1714 წ. პარიზში გამოქვეყნდა წიგნი, რომლის ერთი თავი დათმობილი აქვს საქართველოს რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობას. დასასრულს ნათქვამია: **„ის ქართველები, რომლებიც წმ. მიწაზე ცხოვრობენ, ემორჩილებიან იერუსალიმის პატრიარქს. მათ დატოვეს წმ. ადგილი, რომელსაც ისინი ფლობდნენ, სახელდობრ, ერთ-ერთი სამლოცველო, რომელიც აგებული იყო ვოლგოთას („კალკედონის“) მთაზე იმ ადგილას, სადაც აღიმართა ჩვენი უფალი იესო ქრისტეს ჯვარი. ამ სამლოცველოს ისინი ფლობდნენ მაშინაც, როდესაც იმპერატორი სულეიმანი იერუსალიმში შევიდა. ქართველებმა დატოვეს წმ. ჯვრის მონასტერი... ეს ეკლესიები მათ გირაოდ დაუტოვეს ბერძნებს, რომლებმაც ამისთვის მნიშვნელოვანი თანხა გადაუხადეს თურქებს და ებრაელებს“¹.**

XVIII ს. დასაწყისისათვის, მას შემდეგ, რაც ქართულ მონასტრებს ბერძენთა საპატრიარქო დაეპატრონა, ბუნებრივია, მონასტრებში შემორჩენილი მცირერიცხოვანი ქართველები პატრიარქს დაემორჩილებოდნენ. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ამონარიდის ბოლო ფრაზა, რომლის მიხედვით, თითქოს ქართველებმა თავიანთი ეკლესიები გირაოში დაუტოვეს ბერძნებს. ეს არ შეეფერება სიმართლეს. ამაზე ადრეც ვთქვი² და კვლავაც აღვნიშნავ.

განსაკუთრებით საყურადღებოა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მუზეუმის კურატორის, არქეოლოგ-ბიზანტოლოგის, ვასილიოს ცაფერისის 1987 წელს გამოქვეყნებული „იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი“, რომლის დაწერის მიზანი ავტორმა წინასიტყვაობაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: **„თუ ეს ნამუშევარი ცოტა წვლილს მაინც შეიტანს იმ მნიშვნელოვანი ძეგლის დაცვისა და აღიარების საქმეში, რომელიც იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს მემკვიდრეობის ნაწილია, ამ შემთხვევაში მთელი ქება-დიდება საპატ-**

¹ დამოწმებულია ი. ტაბალუას მიხედვით. ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984. მონიშვნა ჩემია.

² მამისთვალისშილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 226-229.

რიარქოს მიეძღვნება“¹. ავტორის სიტყვებიდან და ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, წიგნის დედააზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: წმ. ჯვრის მონასტერი დააარსეს ბიზანტიელებმა V საუკუნეში, იგი აღადგინეს ქართველებმა და ფლობდნენ XI–XVII საუკუნეებში, შემდეგ კი, XVII ს. დასასრულიდან, დაუბრუნდა თავის კანონიერ მფლობელებს, ე.ი. იერუსალიმის ორთოდოქსალურ საპატრიარქოს.

ვ. ცაფერისის წიგნში ასახვა ვერ ჰპოვა ბერძენი არქეოლოგის ათანასიოს იკონომოპულოსის მიერ წმ. ჯვრის მონასტერში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებულმა დასკვნებმა², რადგანაც ისინი მთლიანად არ მიესადაგება მის კონცეფციას – მონასტრის VI საუკუნეში დაარსების შესახებ.

4. ისტორიული რეალობის რეკონსტრუქცია

როგორც ჩანს, იერუსალიმელი ქართველების, და არა მხოლოდ ქართველების ცნობიერებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღეპებოდა ისტორიული სინამდვილე შეზავებული სურვილთან, რომელიც განპირობებული იყო იქ არსებულ ეკლესია-მონასტრებზე თავისი უფლების დამტკიცების აუცილებლობით. ძნელია იმის მტკიცება, მირიანი და ვახტანგ გორგასალი იერუსალიმში იმყოფებოდნენ თუ არა, მაგრამ უეჭველია, რომ მათ დიდი ღვაწლი ჰქონდათ შემდგომი პერიოდის სახელგანთქმული ქართული საგანეების დაარსებაში.

უკანასკნელ დრომდე ქართველი მკვლევრები არ იზიარებდნენ ქართული ნარატიული წყაროების, იერუსალიმში გავრცელებული თქმულებების და წმ. ჯვრის მონასტერში არსებული წარწერებისა და მხატვრობის მონაცემებს. ამ მხრივ განსა-

¹ The monastery of The Holy Cross in Jerusalem by Vassilios Tzaferis, Ph. D. Archeologist-Byzantinologist Curator of The Museum of The Greek Orthodox Patriarchate of Jerusalem, Jerusalem, 1987; ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, ჟურნ. „რელიგია“, 1993, ივნის-ივლისი, №№6–7.

² Economopoulos A., Fresh Date Resulting from the Excavation in the Church of the Monastery of the Holy Cross of Jerusalem. Actes du X.e Congress International d’Archeologie Cretienne, Thessalonique, 1984; სხირტლაძე ზ., ხუციშვილი ნ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი: ტაძრის ისტორიის ადრეული ეტაპი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. თსუ შრომები, 326, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბილისი, 1999, 268-271. მათ მიერ შესრულებული ა. იკონომოპულოსის ანგარიშის თარგმანი მოცემულია იქვე (271-280): იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში.

კუთრებით მკაცრია ქართული კულტურის კერების ისტორიის ცნობილი მკვლევრის, ლ. მენაბდის მოსაზრება: „მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის ადგილის მოპოვება მოხსენიებული არაა არც ერთ ძველ წყაროში: არც საისტორიო აგიოგრაფიულ თხზულებებში, არც ჯვრის მონასტრის აღაპებში, არც სინის მთის სულთა მატიანეში, არც ჯვრის მონასტრის მშენებლისადმი მიძღვნილ სვინაქსარულ ცხოვრებაში, სადაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი მისი მოხსენება. ასე რომ, ჩვენს ხელთ მხოლოდ გადმოცემაა, რომელიც არეკლილია ჯვარის მხატვრობაში, წარწერებში, ტ. გაბაშვილის „მიმოსლვაში“¹.

რა თქმა უნდა, საყურადღებოა აღნიშნული არგუმენტები, მაგრამ მაინც უნდა ითქვას შემდეგი: მე არ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, მეფეებმა – მირიანმა და ვახტანგმა ნამდვილად იმოგზაურეს თუ არა წმ. მიწაზე, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, მათ ისეთი რამ გააკეთეს, რაც შემდგომმა თაობებმა ხიფათით აღსავსე პილიგრიმულ მოგზაურობასთან გააიგივეს. წმ. მიწაზე მოგზაურობა მეფისათვის, რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სავარაუდოა, ქართულმა და უცხოურმა საისტორიო მწერლობამ ქართველ მეფეთა ღვთისმოსაობის და ქრისტიანული ეკლესიის წინაშე დამსახურების კულმინაციად მათი იერუსალიმში მოგზაურობა მიიჩნია.

5. ქართველების კვალი არქეოლოგიური არტეფაქტების მტკიცებულების ფონზე

მოყვანილ ლეგენდებს დროებით თავი დავანებოთ და გავიხსენებ, რომ მას შემდეგ, რაც წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესწავლა დაიწყო, ვამტკიცებდი, რომ პეტრე იბერი იყო ქართული ეკლესია-მონასტრებისა და საქველმოქმედო ნაგებობათა მშენებლობის წამომწყები. დღეისათვის სრულიად ნათელია, რომ წმ. მიწის ბიზანტიურ სამყაროში ქართველების მოღვაწეობა არ იწყება პეტრე იბერიის საამშენებლო საქმიანობითა და თეოლოგიური მოღვაწეობით. ის იყო წინამორბედთა საღვთო საქმიანობის ბრწყინვალე გამგრძელებელი. იგი რომ გარკვეულ მემკვიდრეობას ეყრდნობოდა, ამაზე მეტყველებს ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლების შესახებ ძველი

¹ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, 71-74.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები არაფერს გვამცნობს.

1) 1934 წელს იერუსალიმში, ძველი ქალაქის კედელთან, სამშენებლო სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა V-VII საუკუნეების საფლავები, რომლებიც შეისწავლა ბრიტანელმა არქეოლოგმა ჯ. აილიფმა. საფლავებს შორის იყო ბერძნულ-წარწერიანი „იბერთა მიერ დავითის კოშკთან მოპოვებული მონასტრის ეპისკოპოსის სამუელის საფლავი“¹. ამ აღმოჩენით დადასტურდა პეტრე იბერის „ცხოვრების“ ცნობა მის მიერ იბერთა მონასტრის დაარსების შესახებ.

2) 1952-1953 წლებში იტალიელმა ვირჯილიო კორბომ მიაკვლია თეოდორეს ანუ ლაზთა მონასტერს, რომელზეც ქვემოთ კიდევ შევჩერდებით.

3) ზაქარია ქართველი, პეტრეს თანამგზავრი, გადმოგვცემს, რომ იმპერატორის სასახლიდან გაპარულებმა: **„ადიხუნეს წმიდათა მათ (პეტრემ და იოანემ – ე.მ.) ნაწილნი იგი წმიდათა მოწამეთანი და წმიდაჲ სახარებაჲ და ნაწილი ძელისა ცხორებისაჲ, და ვიწყეთ სლვაჲ“**².

იოანე რუფუსი უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას წმინდა მოწამეთა ნაწილებსა და წმინდა ჯვრის ნაწილზე. მათ **„ორივემ (პეტრემ და იოანემ – ე.მ.) თავიანთი მგზავრობა მოაწვევს წმინდა მოწამეებთან ერთად, რომელნიც მათი მცველები და მძღოლები იყვნენ... ისინიც ოქროს ყუთით ატარებდნენ მათ სათაყვანო ნეშტებს. მაგრამ ვარდა ამისა, მათ თან პქონდათ მხოლოდ კიდევ იოანეს სახარების პატარა წიგნი, რომელშიაც ჩატანებული იყო წმინდა და სათაყვანებელი განმკურნებელი ხისტარის ერთი ნაწილი, რომლის შემწვობით**

¹ Ilife J.H. 'Cemeteries and a 'monastery' at the Y.M.C.A. in Jerusalem. 'Quarterly of the Department of Antiquities in Palestine', v. IV, London, 1934, N 1-2, 70-80. ბერძნული წარწერის ინგლისური თარგმანის განსხვავებული გაგება შემოგვთავაზა ჯერ გ. ფერაძემ: „პირადი საფლავი (სამუელ) ქართველთა ეპისკოპოსისა და (იქაური?) მონასტრისა, რომელიც მათ (ე.ი. ქართველებმა) დავითის კოშკში შეიძინეს (ან სადაც ხშირად დადიოდნენ)“ (ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ, თბ., 1995, გვ. 19: 26), შემდეგ კი ი. დავიძმა: „იბერიელთა ეპისკოპოსის სა(მუელის) კერძო საფლავი და იქაური მონასტრის, რომელიც მათ (ქართველებს პქონდათ დავითის კოშკში“ (დავიდი ი., ნაწერები, I, თელ-ავივი – იერუსალიმი, 1976, 246)

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 262.

ისინი დაცულნი იყვნენ... იმ ნაწილს მგზავრობის დროს განუწყვეტლივ მთელი კვირის განმავლობაში ზეთი სდიოდა, ისიც იმდენი, რომ ისინი თავიანთი ხელებით იღებდნენ ამ ზეთს და იცხებდნენ სახესა და სხეულზე, და მაინც კიდევ ბევრი იღვრებოდა¹. მგზავრებს ხალხი ზეიმით ხვდებოდა და ეკითხებოდა: „სად არიან ისინი და ვინ არიან ისინი, რომელთაც თან მოაქვთ **წმინდა მოწამეთა ნაწილები**?“². იოანე რუფუსი განსაკუთრებით აღნიშნავს მგზავრების სიყვარულს უფლისადმი და მინდობას წმინდა მოწამეთადმი³. მათ ასე მიაღწიეს წმ. ქალაქამდე.

ამონარიდები პეტრე იბერის ცხოვრებიდან მოვიყვანე იმის გამო, რომ ისინი თითქმის სრულიად სარწმუნო გასაღებად გამოდგა ერთი საკმაოდ რთული არქეოლოგიური აღმოჩენის გასარკვევად.

1953 წელს სოფელ ბეთ-საფაფაში, იერუსალიმის სამხრეთით, ისრაელელმა არქეოლოგებმა მიაკვლიეს ბიზანტიური პერიოდის **წამებულთა სახელობის ტაძარს**, რომლის იატაკზე არსებული ბერძნულენოვანი მოზაიკური წარწერა გვამცნობს, რომ იგი აგებულია ვინმე სამუილის მიერ, რომლის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. ტაძარი იმდენად საინტერესო გამოდგა, რომ მისი შესწავლით დაინტერესდნენ ფრანგი არქეოლოგები. მათ „წმინდა წამებულთა“ სახელობის ტაძრის დაარსება პეტრეს მიერ იერუსალიმში ჩატანილ რელიკვიებთან და ქართულ კოლონიასთან დააკავშირეს: წარწერაში მოხსენიებული „წმინდა წამებულნი“ უნდა აღნიშნავდეს იმ ორმოც სევასტიელ წამებულს, რომელთა რელიკვიები პეტრე იბერმა ჩაიტანა წმ. მიწაზე. ამ მოსაზრებას საფუძველს უფრო უმყარებს ის გარემოება, რომ წარწერის თარიღი არ იშიფრება წმ. მიწაზე ცნობილი არც ერთი ქრონოლოგიური სისტემით. მხოლოდ გვიან გაირკვა, რომ დათარიღება არის ქართული წელთაღრიცხვის სისტემით სამყაროს შექმნიდან, მაგრამ არა იმ წელთაღრიცხვით, რომელსაც ქართული ეკლესია იყენებდა VIII საუკუნიდან, არამედ იმითი, რომელიც ქართველმა ბერებმა გამოიგონეს წმ. მიწაზე⁴. ამას გარდა, უნებურად ჩნდება ერთი აზრიც: წმინდა წამებულთა ტაძრის ამშენებელი ის სამოელი

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 262.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 263.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 263.

⁴ Di Segni L., Dated Greek Inscriptions from Palestine from Roman and Byzantine Periods, Jerusalem, 1997, 641-646

ხომ არ არის, ვისი საფლავის ქვა წარწერით დავითის კოშკთან აღმოჩნდა?

როგორც არიელ კოფსკი აღნიშნავს, პეტრესა და იოანეს მიერ იერუსალიმში მიტანილ სპარსელი წამებულების, სევასტიელი ორმოცი წამებულის და სტეფანე მარტვირის რელიკვიები დაკრძალეს მარტირიონში. ამას გარდა, ქალაქის ჩრდილო კარიბჭესთან საფუძველი ჩაეყარა წმ. სტეფანეს ეკლესიას. ცერემონიალს უძღვებოდა კირილე ალექსანდრიელი, რომელიც ეგვიპტის ეპისკოპოსების თანხლებით ჩავიდა იერუსალიმში. ეკლესიის აგების ინიციატორი იყო დედოფალი ევდოკია, რომელიც წმინდა ადგილების მოსალოცად იერუსალიმში იმყოფებოდა 438-439 წწ.¹

მეორე დღეს ზეთისხილის მთაზე (აქვე ცხოვრობდნენ პეტრე იბერი და იოანე ღაზი) განხორციელდა სპარსელ მოწამეთა და ორმოც მოწამეთა დაკრძალვა „*მომცრო ტაძარში, რომელიც აგრეთვე თვით დედოფალმა ევდოკიამ აღადგენინა ბრწყინვალედ, როგორც ამას გვაუწყებს იქვე კედელზე ამოჭრილი წარწერა*“². ვფიქრობ, ეს ტაძარი უნდა ჰქონდეს მხედველობაში იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოს II-ს, როდესაც იგი იმპერატორ იუსტინიანეს მიერ ელეონის ანუ ზეთისხილის მთაზე ღაზებისათვის აგებულ ტაძარზე ღაპარაკობს³.

4) 1996 წელს იერუსალიმის იაფეს ჭიშკრის სამხრეთ-დასავლეთით 4,5 კმ დაშორებით, უმ ლეიზუნის მახლობლად, აღმოჩნდა ბიზანტიური პერიოდის ქართული მონასტერი⁴, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მონასტრის ქვეშ აღმოჩენილ კრიპტაში (მიწისქვეშა გალერეა დასაკრძალავად და საეკლესიო სამსახურისათვის) სხვა საფლავებს შორის, ერთ-ერთ გამორჩეულს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ქართული ასომთავრული წარწერა: „*ეს არის საფლავი იოანე ქართვე-*

¹ Kofsky A. Peter the Iberian Pilgrimage, Monasticism and Ecclesiastical Politics in Byzantine Palestine, 1997, 212.

² გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1965, 269.

³ მაძისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 157.

⁴ Seligman Jon, Excavations at the Georgian monastery from the Byzantine Period in Umm Leisun, Jerusalem. ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში, თბილისი, 2004, 238-252.

ლის, ფურტავის ეპისკოპოსისა⁴. წარწერა თარიღდება V ს. დასასრულით და VI ს. პირველი ნახევრით. იოანე წარმოშობით ქართლიდან (ქართველი) იყო. არქეოლოგი ჯ. სელიგმანი შენიშნავს, რომ ეთნონიმი „ქართველი“, აღნიშნული არქეოლოგიურ არტეფაქტზე, უძველესია როგორც პალესტინაში, ისე საქართველოში. ყველაფერი, რაც აკლდამაში აღმოჩნდა მიუთითებს, რომ მონასტერი ქართული იყო, და იქ მრავალი ქართველი ბერი იმყოფებოდა². ბერების ვინაობაზე სხვა არავითარი წერილობითი ცნობა, არტეფაქტების გარდა, არ გაგვაჩნია. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მონასტრის ბერები ქართველები იყვნენ.

გვაქვს საწინააღმდეგო მდგომარეობაც: წერილობითი წყაროებით ცნობილია წმ. მიწის სხვადასხვა მონასტრებში ქართველთა ყოფნისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგალითად, ეჭველია, რომ ქართველი ბერები იმყოფებოდნენ წმ. საბას და წმ. ხარიტონის ლავრებში, მაგრამ ამის დამადასტურებელი მატერიალური მასალა, ნაგებობათა ნაშთები ან სხვა რამ ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

ვფიქრობ, ზემოთ დასახელებული ქართველთა მოღვაწეობის ის კერები, რომლების შესახებ მხოლოდ არქეოლოგიური მასალა გამოჩნდებოდა, მაგრამ წერილობითი ცნობები არ გაგვაჩნია, იმედის მომცემია, რომ კვლავაც ბევრი სიახლის მოწმენი გავხდებით.

6. არქეოლოგიური მასალის და ზეპირი ტრადიციის შედარებითი ინტერპრეტაცია

ვფიქრობ, არსებობს იმის მტკიცების სრული საფუძველი, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან, ე. ი. მირიანის მეფობის დროს, პალესტინაში, კერძოდ, იერუსალიმში იწყება (შეიძლება დიდი ხნის დაწყებულიც იყო) ქართული ქრისტიანული თემის ჩამოყალიბება, მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით. ასე რომ, არ უნდა გვიკვირდეს გადმოცემა მირიან მეფის მიერ პალესტინაში სამონასტრე მიწის ნაკვეთის მოპოვების შესახებ. მიწის ნაკვეთის მოპოვება მირიან მეფის წმინდა მიწაზე საქმიანობის მხო-

¹ Seligman Jon, Excavations at the Georgian monastery from the Byzantine Period in Umm Leisun, 241

² Seligman Jon, Excavations at the Georgian monastery from the Byzantine Period in Umm Leisun, 241-242

ლოდ ერთი მხარეა. მის დროს უკვე იყო ქართველთა მომლოცველობა, უკვე ჩანს მათ მიერ წარმოებული ქრისტიანული მშენებლობის ნაშთები, თუნდაც წმ. ჯვრის მონასტერში და სხვაგანაც.

აღბათ, სერიოზულ მტკიცებას არ საჭიროებს ისიც, რომ პალესტინაში მიწას ყოველთვის ჰყავდა პატრონი. არც IV–V საუკუნეებში იერუსალიმსა და მის მიდამოებში იქნებოდა უპატრონო მიწა, თუნდაც იგი უდაბური ყოფილიყო. იმ დროს პალესტინაში მიწების განმკარგებელი აღმოსავლეთ რომის იმპერატორის მიერ დანიშნული მოხელეები იყვნენ. ახალგაქრისტიანებულ საქართველოს რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან, არც ეს არის საეჭვო. ამდენად, ქართველი მეფის თხოვნის შემთხვევაში, კეისარი სავანის ასაგებ ადგილზე უარს არ ეტყოდა და, ლეგენდის მიხედვით, არც უთქვამს.

ლეონტი მროველი, გადმოგვცემს რა იბერიის გაქრისტიანებაზე, იქვე აღნიშნავს ამ ფაქტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იბერიის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში¹.

სამონასტრე ადგილის მოპოვება და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მირიანის დამსახურებად მიაჩნდა, ამაზე მეტყველებდა ამ ქართველი მეფის ფრესკის მოხატვა ჯვრის მონასტრის კედელზე, რომელიც ჯერ კიდევ XVIII ს. შუა ხანებში ტ. გაბაშვილმა ნახა და გადმოხატა კიდევ.

სამონასტრე ადგილი რომ შემთხვევით არ შერჩეულა, ამას ის კატაკომბებიც მოწმობს, რომლებიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ზეთისხილის ბაღშია და თარიღდება ახ. წელთ-აღრიცხვის პირველი საუკუნეებით. ცნობილია, რომ იგი ქართველ მონაზონთა საძვალე იყო².

ვფიქრობ, არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით³, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ თანამედროვე წმ. ჯვრის მონასტრის ადგილას, ან მის მახლობლად, აღნიშნულ საუკუნეებში ქართველებს რაღაც სამლოცველო მაინც ჰქონდათ, რომ-

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 128.

² ჩანანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974, 94.

³ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 271-280.

ლის საფუძვლისჩამყრელი შეიძლება მირიან მეფე იყო. მის ადგილას შემდეგში (V ს.) პეტრე იბერმა შესანიშნავი ტაძარი ააგო.

მეფე მირიანის დროს (IV ს.) მიწის ნაკვეთის მოპოვება იერუსალიმსა და მის შემოგარენში ძნელი არ იყო, რადგან პირველ საუკუნეებში გადატანილ უბედურებათა გამო, ქალაქის და მისი მიდამოების მოსახლეობა უაღრესად შემცირებული და თვით ქალაქი დანგრეული იყო. ასეთი მდგომარეობა ყოფილა იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროსაც, როდესაც რომაელების მიერ დანგრეული იერუსალიმის კედელიც კი ვერ აღუდგენიათ. „*მოკლედ რომ ვთქვათ, – ამბობს იოანე რუფუსი, – იქ სახლებიც ცოტა იყო და მცხოვრებლებიც. მაგრამ, რადგან არქიელებსა და ეპისკოპოზებს, რომლებიც შემდეგ იერუსალიმში იყვნენ, უნდოდათ, რომ ქალაქში ეცხოვრა ბევრ მცხოვრებს და ბევრი შენობაც ყოფილიყო აგებული, ნება დართეს ყველას, ვინც კი მოისურვებდა და ვისაც კი შეეძლო, ქალაქის რომელიმე უნდოდა ნაწილში მუქთად, უფულოდ, მიეღო მიწა, რომელიც მას მოეწონებოდა და იქ აეგო (თავისთვის) ბინა*“⁴. ეკლესიის ასაგებად საჭირო მიწის ნაკვეთის მოპოვება არ ჭირდა V საუკუნეში, იოანე რუფუსის დროს. სავარაუდოდ, მიწის მოპოვება მით უფრო არ იქნებოდა ძნელი IV საუკუნეში, მირიან მეფის დროს.

7. ისტორიული რეალობის რეკონსტრუქცია

ქართველთა ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ინციპტივა და ორგანიზატორის საოცარი ენერჯია გამოამჟღავნა პეტრე იბერმა. ძნელია იმის დაჯერება, რომ პეტრე და მისი თანამოღვაწე იოანე ლაზი სტიქიურად, წინასწარი დაგეგმვის გარეშე, სადაც მოეპრიანებოდათ, იქ ააგებდნენ ეკლესიებს. მიწის ნაკვეთზე ან ნაგებობის ნაშთზე, ქართველებს რაღაც იურიდიული უფლება უნდა ჰქონოდათ. ამ ნებართვის მომპოვებელი კი, დასაშვებია, მირიან მეფე ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ქართული ზეპირი და წერილობითი საისტორიო ტრადიცია მასზე მიუთითებს.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ არც ერთ ძველ ქართულ წყაროში (იგულისხმება V–X სს.) არაა მითითება ქართველების მიერ წმ. მიწაზე ჯვრის მონასტრის აგების ფაქტზე, მაგრამ განა არსებობს რომელიმე ქართული წერი-

¹ გეორგიკა, II, 115-116.

ლობითი ძეგლი, რომელიც გვამცნობს ზემოთ დასახელებული იმ უძველესი ქართული ძეგლების შესახებ, რომლებიც XX საუკუნეში აღმოჩნდა, ან სხვა ქართული სიწმინდეების შესახებ? უდავოა, რომ დღევანდელი ჯვრის მონასტრის ადგილას V-VI საუკუნეებში უკვე არსებობდა ქართული მონასტერი. 637 წლიდან, ე.ი. არაბების მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ისლამურ პერიოდში, სავარაუდოა, წმ. ჯვრის მონასტერი თანდათან იმდენად დასუსტდა და დაზიანდა, რომ იგი XI საუკუნის დასაწყისში სერიოზულ რესტავრაციას მოითხოვდა.

ვ. ცაფერისი იცნობს ქართულ გადმოცემებს და თავის ნაშრომში ისინი მოაქვს შემოკლებით. მკვლევარი მხოლოდ აცხადებს, რომ მონასტერი აშენდა ბიზანტიურ პერიოდში (IV-VII სს.). ეს მართლაც ასეა, მაგრამ უნდა გაირკვეს, ვინ ვისთვის ააშენა.

1969-1973 წლებში მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოების და ტაძრის შიგნით არქეოლოგიური ფენების შესწავლის დროს აღმოჩენილი მასალების მიხედვით, ა. იკონომოპულოსი წმ. ჯვარის ეკლესიის მშენებლობის პირველ ეტაპად თვლის IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ან V საუკუნის პირველ ოცეულს. მან ამ ეტაპს მიაკუთვნა: ა) ორი სამარხი საკურთხეველში; ბ) ქვისგან გამოკვეთილი ჯვარის ფორმის ენკენიონი ჯვარის ფერწერული გამოსახულებით ქვედა მხარეს; სწორკუთხა თალასა ენკენიონის დასავლეთით; გ) სამკვეთლოს სადიაკვნესა და სამხრეთი მკლავის მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები და დ) ფილების ორი რიგი, რომლებიც შუა და გვერდითა ნაგების გამყოფ სტილობატს¹ ეკუთვნის² ლიტერატურული წყარო – ზაქარია ქართველის პეტრე იბერის „ცხორებად“ გვაუწყებს, რომ პეტრე იბერმა იერუსალიმსა და მის მიდამოებში დააარსა სამი მონასტერი. მაგრამ საინტერესოა, არსებობს თუ არა რაიმე ცნობა, რომელიც დაადასტურებდა მათ რეალობას?

არტეფაქტების შედარებითი შეპირისპირების ფონზე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება: ასეთად გამოდგება წმ. ჯვრის მონასტერსა და ლაზთა მონასტერში აღმოჩენილი

¹ სტილობატი – კოლონადის ძირი, სტერეობატის პირველი (ზედა) საფეხურის ზედაპირი, რომელზედაც უშუალოდ სვეტნარი დგას, ცოკოლი კარნიზ-პლინტუსითურთ. რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი (მასალები) ა. აფაქიძის რედაქციით, თბილისი, 1980, 754.

² იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 278.

მოზაიკური იატაკების შექმნის თარიღებისა და შესრულების ტექნიკის ერთმანეთთან შედარების შედეგად მიღებული მონაცემები. ჯვრის მონასტრის სხვადასხვა დროის მოზაიკიდან ყველაზე აღრინდელს (საკურთხეველში მიკვლეული) ა. იკონომოპულოსი ათარიღებს IV ს. დასასრულითა და V ს. დასაწყისით. იმავე პერიოდისა უნდა იყოს პეტრე იბერის მიერ აღდგენილი წმ. თეოდორეს მონასტერი, რომელიც ლაზთა მონასტრის სახელითაა ცნობილი და გამოირჩევა თავისი მოზაიკური წარწერებით. ამდენად, საეჭვო ხდება ლაზთა მონასტრის გათხრების მთავარი არქეოლოგის, ვირჯილიო კორბოს ვარაუდი, რომ მონასტერი VI საუკუნეს განეკუთვნება. ამ კონტექსტში საყურადღებოა ს. ყაუხჩიშვილის მიერ გადმოცემული ბიზანტინისტის ლ. ა. მაცულევიჩის ორი დებულება¹: „ა) ბიჭვინთის ახლად აღმოჩენილი (1952 წ.) მოზაიკის შემცველი ტაძარი და ბეთლემის (ბირ-ელ-ყუტის) ტაძარი თავისი არქიტექტურული ნიშნებით და მოზაიკური ხელოვნებით ერთსა და იმავე სკოლას ეკუთვნიან და ერთსა და იმავე დროს არის აგებული; ბ) ამ ორივე ნაგებობას ისეთი ნიშანდობლივი თვისებები ახასიათებს, რომ ისინი არ შეიძლება იუსტინიანეს ეპოქას (VI საუკუნეს) ეკუთვნოდეს; ისინი მეხუთე საუკუნეზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს“². მაცულევიჩის ამ მოსაზრებების თანახმად, შეიძლება ერთგვარი კონცეპტუალური ხაზის განვითარება: სავარაუდოდ, ქართველ სასულიერო პირებს დასავლეთ საქართველოში და წმინდა მიწაზე, ბეთლემში, თანადროულ პერიოდში, წამოუწყიათ მოღვაწეობა.

ითქვა, რომ ა. იკონომოპულოსმა მიაკვლია წმ. ჯვრის მონასტრის უძველეს მოზაიკას. აუცილებელია ჩატარდეს ახალი კვლევები ამ მიმართულებით და მოხდეს სამივე მონასტრის (წმ. ჯვარის, წმ. თეოდორეს და ბიჭვინთის) კომპლექსური და შედარებითი კვლევები ყველა მახასიათებლის გათვალისწინებით (არქიტექტურა, მოზაიკა, დაგეგმარება და სხვ.). მონასტრების მოზაიკის კომპლექსური შესწავლის შედეგად პასუხი გაეცემა მრავალ კითხვას.

¹ Сессия отделения исторических наук по проблемам византиноведения, 25-28 ноября 1958 г. Ленинград, 1958, с. 8.

² ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959, 062.

ქრ. პაპანდოპულოსი წმ. ჯვრის მონასტრის დაარსებას ჰერაკლე კეისარს მიაწერს¹. ალბათ, მისი გავლენით, ვ. ცაფერისი იმავე მოზაიკას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე VI საუკუნით ათარიღებს (პეტრე იბერი ხომ V საუკუნეში მოღვაწეობდა და აქედან გამომდინარე, მას ჯვრის მონასტრის მშენებლად ვერ მივიჩნევთ – ამის თქმა უნდა ვ. ცაფერისს) და წერს: „ამგვარად, ჩვენ გვაქვს პირველი განსაზღვრული არქეოლოგიური ნივთმტკიცება მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც მონასტრის მშენებლობის პირველ ფაზას წმინდა მიწაზე ბიზანტიის ბატონობის წლებს, ჩვენი წელთაღრიცხვით მე-რ საუკუნეს მიაკუთვნებს. ის, რომ მონასტერი დაარსებულია იუსტინიანეს ან ჰერაკლეს დროს, არ შეიძლება უეჭველად ცნობილი იყოს. მაგრამ ეს სულაც არ არის შეუძლებელი იმ ფაქტთა გათვალისწინებით, რომ ამ იმპერატორების ზეობის დროს ბევრი ეკლესია დააარსეს და აღადგინეს წმინდა მიწაზე. ბიზანტიის იმპერატორის, იუსტინიანეს სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული პალესტინაში და განსაკუთრებით იერუსალიმსა და მის შემოგარენში ბევრი ეკლესიური ორდენის დაარსებასა და აღდგენასთან. ამგვარად, შესაძლებელია მონასტრის თავდაპირველი მშენებლობა დაუკავშიროთ იუსტინიანეს მეფობას. გარდა ამისა, ეს თარიღი ემთხვევა წმინდა მიწაზე მონასტიციზმის ოქროს ხანას“².

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: თუ გავითვალისწინებთ V-VI საუკუნეებში პალესტინაში და, კერძოდ, იერუსალიმში არსებულ ბიზანტიურ კულტურულ და პოლიტიკურ გარემოს, მაშინ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ გათხრების დროს აღმოჩენილი არტეფაქტების სადაურობას. მაგრამ ამ აღმოჩენას ის დიდი მნიშვნელობა მაინც აქვს, რომ ჯვრის მონასტრის არსებობის დასაწყისის ქართული პერიოდი XI საუკუნიდან აღარ ავითვალთ, რასაც ადგილი აქვს ქართულ სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს, ინტერვალებით, თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თუ გავითვალისწინებთ V-VI საუკუნეებში პალესტინაში

¹ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 277.

² The monastery of The Holy Cross in Jerusalem by Vassilios Tzaferis, 9; ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, 101.

და, კერძოდ, იერუსალიმში არსებულ ბიზანტიურ კულტურულ და პოლიტიკურ გარემოს, მაშინ შიძლება დაეუშვათ, რომ ბიზანტიურ ხელისუფლებას უპირატესობა ექნებოდა აღმშენებლობით საქმიანობაში, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს წმინდა მიწაზე სხვა ხალხის, მათ შორის, ქართველების მოღვაწეობის შესაძლებლობას. არტეფაქტების დონეზე, ჯვრის მონასტრის დაარსების შემთხვევაში, არც ბიზანტიური და არც ქართული იდენტობის მამტიციცებელი უტყუარი ფაქტები არ მოგვეპოვება. ამდენად, ქართველი ისტორიული აგენტები, რომლებიც ჩნდებიან ამ ტერიტორიაზე V საუკუნიდან (ეს პეტრე იბერის მოღვაწეობით დასტურდება) ბიზანტიელებთან შედარებით, ჯვრის მონასტრის მშენებელთა ნუსხაში ქართველთა უპირატესობა ჩანს.

სხვა საკითხია, თავიდანვე ეკუთვნოდა თუ არა წმ. ჯვრის მონასტერი ქართველებს. ამის გარკვევას ქვემოთ შევეცდები.

ვ. ცაფერისი, როდესაც მოკლედ მიმოიხილავს ქართულ და ბერძნულ გადმოცემებს ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ, აღიარებს, რომ მე-4-5 საუკუნეებში პალესტინაში ქართველი ბერებისა და პილიგრიმების ყოფნა ისტორიული ფაქტია, მაგრამ მისთვის ცნობილი არ არის რაიმე საბუთი, რომელიც, დაამტკიცებდა იერუსალიმის შემოგარენში წმინდა ჯვარისადმი მიძღვნილი ქართული მონასტრის არსებობას. ბერძენი მეკლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ არაფრით მტკიცდება, რომ ქართველი მეფეები ტატიანი და მირიანი ოდესმე იყვნენ წმინდა მიწაზე¹.

ჯვრის მონასტრის ამშენებლად ტატიანს ასახელებდა, აგრეთვე, რუსი პილიგრიმი ვ. გრიგოროვიჩი-ბარსკი².

სხვათა შორის, როდესაც ტ. ტობლერი ცდილობდა გაერკვია, ვის უნდა მიენიჭოს ჯვრის მონასტრის დამაარსებლის პრიორიტეტი, ქართველებს თუ ბერძნებს, საზგასმით აღნიშნავდა, რომ ბერძნებს ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ გააჩნიათ, მაშინ, როდესაც მეტ ნდობას იმსახურებს ის თქმულება, რომლის მიხედვითაც, იგი V საუკუნეში ქართველმა მეფემ ტატიანმა დააარსა იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მირიანმა კონსტანტინესაგან მიიღო³. ამის შემდეგ, რამდენადაც

¹ The monastery of The Holy Cross in Jerusalem by Vassilios Tzaferis, 7; ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, 99.

² Странствования В. Григоровича-Барского по святым местам Востока с. 1723 по 1747 г. I, Санкт-Петербург, 1800.

³ Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, S. 736. ტ. ტობლერი იმოწმებს ვ. ვილიამსის წიგნს – Williams G., The Holy

ჩემთვის ცნობილია, V საუკუნეში რეალურად არარსებულ ქართველ მეფეზე, ლევენდარულ ტატიანზე, გათვლა გააკეთა ჯერ არქეოლოგმა ა. იკონომოპულოსმა¹, შემდეგ კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვ. ცაფერისმა. ისინი, როდესაც ქართველი მეფე ტატიანის წმ. მიწაზე ყოფნის შესახებ აღნიშნავენ, არ ასახელებენ წყაროს, რომელსაც ეყრდნობიან. ამდენად, ისინი ან არ იცნობენ ქართულ ისტორიულ ტრადიციას მეფეთა გენეალოგიაზე, ან განზრახ ამახინჯებენ მას. ორ უკანასკნელ მკვლევარს ფიქციურ ისტორიულ აგენტზე - ტატიანზე ყურადღების გამახვილებით, რადგანაც ამ სახელის მქონე ქართველი მეფე არ არსებულა, სურს ქართველთა პოზიცია იმთავითვე შეასუსტოს, რადგან იგი თეორიულ დონეზე ყალბ ფაბრიკაციას წარმოადგენს.

ვცადოთ გავარკვიოთ, რა გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ვფიქრობ, დასახელებულ მკვლევრებს ის ლევენდა აქვთ მხედველობაში, რომლის მიხედვით მირიან მეფემ და ვახტანგ გორგასალმა წმ. მიწაზე იმოგზაურეს. ზეპირსა თუ ფიქსირებულ ლევენდაში, ქართველი მეფე ტატიანი არსად არ არის დასახელებული. ტატიანის (მასში XVII საუკუნის ოდიშის მთავარი დადიანი იგულისხმება. იგი ქრონოლოგიურად და თემატურად სრულ ანაქრონიზმად გვევლინება ამ კონტექსტში) მაგიერ უნდა იყოს ვახტანგ გორგასალი. რადგან ლევენდაში არ არის ტატიანი (დადიანი), ვფიქრობ, შეცდომის საფუძველი გახდა ჯვრის მონასტრის ტაძარში არსებული XVII ს. 40-იანი წლების ქართული წარწერა, „რომელსაც ბერძენნი და რუსი მწერალნი შეცდომით უწოდებენ „ტატიანი, საქართველოს ბრწყინვალე ხელმწიფე“².

წმ. ჯვრის მონასტერში არის რამდენიმე ქართული და ბერძნული წარწერა, რომლებშიც მოხსენიებულია ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, რაზეც თავის დროზე ვრცლად გვექნება საუბარი. შევხერდები მხოლოდ ერთ-ერთ ბერძნულ წარწერაზე, რომელშიც ლევან დადიანი ხელმწიფობით არის განდიდებული: „ეს ღვთიური და ყველასაგან პატივცემული ტა-

City or Historical and Topographical Notices of Jerusalem. http://books.google.ge/books?id=7D8AAAAAYAAJ&q=Kirche&hl=ru&source=gbs_word_cloud_r&cad=5#v=snippet&q=Kirche&f=false;

¹ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 272.

² კონკოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე, 81.

ძარი წმინდა ცხოველმყოფელი და მოხატული და განახლებული ბრწყინვალე ხელმწიფე ლეონ დადიანის ხარჯითა და შემწეობით...¹. ბერძენ მკვლევრებს მხედველობაში უნდა ჰყავდეთ ამ წარწერის დადიანი (ტატიანი). ალბათ, ვ. ცაფერისის აზრით, რადგან ქართველი მეფე ტატიანი არასოდეს არსებულა, ეს შესაძლებელს ხდის, აქცენტი გადატანილი იქნეს ცნობილ ბიზანტიელ იმპერატორებზე და მათ მიენიჭოთ უპირატესობა წმ. ჯვრის მონასტრის დაარსების საქმეში. ვ. ცაფერისი წერს: „ქართველი მეფეების საპირისპიროდ, ბიზანტიელი იმპერატორების, იუსტინიანეს და ჰერაკლეს სახელები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტიანული წმინდა ადგილების ისტორიასთან და ეკლესიებისა და მონასტრების დაარსებასთან. ამიტომაც ზემოთ მოყვანილ ლეგენდებში მათი სახელების ხსენება არ უადგილო და სიმართლეს მოკლებული იყოს“².

მართალია, დასახელებული ბიზანტიელი კეისრების სახელთან დაკავშირებულია მრავალი ეკლესიისა და მონასტრის დაარსება, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს საფუძველს, წმ. ჯვრის მონასტერიც რომელიმე მათგანის მიერ დაარსებულად გამოვაცხადოთ. ისევ მივმართოთ ტ. ტობლერს, რომელიც აღნიშნავს, რომ არსებობს დაუჯერებელი ცნობა, რომ მონასტერი დააარსა ირაკლი კეისარმა. როდესაც მან სპარსელები დაამარცხა, განთავისუფლებული ჯვარცმის ჯვარი პირველად ჯვრის მონასტრის ადგილას აღმართა, საკურთხეველი ააშენა. მოგვიანებით მან ჯვარი იერუსალიმში გადაიტანა³. ტ. ტობლერი ეყრდნობა ფრანცისკანელ მღვდელს ცვინერს, რომელმაც 1658 წელს წმინდა მიწა მოილოცა⁴.

უნდა ითქვას, რომ ამ საინტერესო საკითხით დიდი ხანია დაინტერესდნენ სხვადასხვა ქვეყნის პილიგრიმები, მეცნიერები და ზემოაღნიშნული ორი (ქართული და ბერძნული) ტრადიციიდან ზოგი ერთს უჭერს მხარს, ზოგი კი მეორეს.

¹ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае. Палестинский Православный Сборник, IV, 1888, 242; მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია 67; მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან 214-215.

² The monastery of the Holy Cross in Jerusalem by Vassilios Tzaferis, p. 7; ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, 99.

³ Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, 736.

⁴ Blumen-Buch des Heiligen Lande Palestine. Durch Patrem Fr. Electum Zwinner, Munchen, J.Wagner, 1661, 414.

ქართულ ტრადიციას, რომ წმ. ჯვრის მონასტერი ქართველების მიერ იქნა დაარსებული IV-V საუკუნეებში, მხარს უჭერს, ჯვრის მონასტრის მხატვრობისა და წარწერების გარდა, არქეოლოგიური მასალა და პეტრე იბერის სახელთან დაკავშირებული აგიოგრაფიული ლიტერატურაც¹.

აღრე, როდესაც პეტრე იბერის დაკრძალვის ადგილს ვეხებოდით, გამოვთქვი ვარაუდი, რომ ის უნდა დაეკრძალათ მის მიერ აგებულ ქართველთა, ე. ი. წმ. ჯვრის მონასტერში.

8. პეტრე იბერი – წმ. ჯვრის მონასტრის დამაარსებელი

პეტრე იბერისა და იოანე ლაზის პალესტინაში მოღვაწეობის პირველ პერიოდზე – V ს. 50-იან წლების დასაწყისამდე მოდის მათი სამონასტრო აღმშენებლობითი საქმიანობა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ზაქარია ქართველის „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“² და ასურული რედაქცია „ცხოვრება პეტრე იბერისა“³.

ითქვა, რომ დღევანდელი ჯვრის მონასტრის ადგილას IV-V საუკუნეებში უკვე არსებობდა მონასტერი. პეტრე იბერის ცხოვრებიდან ვიცით, რომ მან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას რამდენიმე ეკლესია-მონასტერი ააგო⁴: 1. იერუსალიმში ქართველი და ბერძენი სასულიერო პირებისათვის (ძმათათვის) სასტუმრო სახლისა შენების შემდეგ პეტრე „წარვიდეს უდაბნოდა და შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს **მონასტერი თავისა თვისისად**“⁵. ამავე მონასტერში „იწყეს შენებად წმიდისა ეკლესიისა სახელსა ზედა წმიდისა დედოფლისა ღმრთის მშობელისასა, რომელიც დასრულებულ იქნა“⁶; 2. „ამის შემდგომად გამოვიდეს მიერ წმიდა პეტრე, იოანე,

¹ ჯვრის მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებული ზეპირი ტრადიციის გამოძახილს, გადმოცემულს, წყაროზე ან ლიტერატურის მითითების გარეშე, ვხვდებით პლატონ იოსელიანის ნაშრომში. მასში ნათქვამია, რომ თბილისში იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქე ეკლესია თითქოს იერუსალიმის საპატრიარქოს დაუარსებია V საუკუნეში. Иоселиани Пл., Описание древностей города Тифлиса, 1866, 61.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 256-272.

³ ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1988.

⁴ ცხოვრება პეტრე იბერისა, 116.

⁵ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 261.

⁶ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 261

ნეტარნი მამანი, და წარვიდეს იორდანისა პირსა, ადგილსა უდაბნოსა, და აშენეს მონასტერი“; 3. წმ. პეტრემ, მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწე იოანემ ეგვიპტეში დააარსეს „ეკლესია და გარემოსა მონასტერი“⁴; წმ. პეტრე „მოიქცეს იერუსალიმადე და კუალად აღაშენეს ქალაქსა შინა სახლი სასტუმრო და იწყეს შენებად ეკლესიისა“.

პეტრეს მიერ პალესტინაში დაარსებული ეკლესია-მონასტრებიდან, პირველის გარდა, სხვების ადგილმდებარეობის დადგენა ხერხდება. მდ. იორდანის ნაპირზე, ბეთლემის ჩრდილოეთით აგებული მონასტერი რომ აღმოაჩინა და გამოიკვლია (1952 წ.) ცნობილმა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბოშ², იყო პროკოპი კესარიელის მიერ დასახელებული „ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში“³. ეგვიპტიდან დაბრუნებულმა პეტრემ და მის მოწაფეებმა იერუსალიმში („ქალაქსა შინა“) დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა, რომელიც გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ, „კეთილად განასრულეს“. ეს იყო ზაქარია ქართველის მიერ დასახელებული ის მონასტერი, რომელიც პეტრემ და იოანემ „დავითის კოშკთან“ ააგეს⁴. იგი, პროკოპი კესარიელის მიხედვით, იუსტინიანემ განაახლა⁵.

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 262; თარხნიშვილი მ., წერილები, თბილისი, 1994, 273-273.

² ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974.

³ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV (2). ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, 223.

⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 262-263. ამ მონასტერთან დაკავშირებით წინათ გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს უნდა ყოფილიყო პეტრეს მიერ დაარსებული იბერთა მონასტერი (მამისთვალისშივილი ვ., ქართველები და ბიბლიური სამყარი, 88-92). პეტრე იბერის ცხოვრების სირიული ქრონიკის ინგლისურ ენაზე მთარგმნელები და კომენტატორები კორნელია ჰორნი და რობერტ ფენიქსი ტაძრის სახელს არ ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ პეტრე იბერის მიერ „დავითის კოშკთან“ აგებული მონასტერი უშუალო სიახლოვეში მდებარეობდა ამჟამინდელი ანგლიკანების ქრისტეს ეკლესიასთან. John Rufus: The Lives of Peter the Iberien, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus, 94. com. 1.

ჯ. სელიგმანის მიხედვით, იბერთა მონასტრის იდენტიფიცირება ხდება იმ მონასტერთან, რომელიც ძველად წმ. იაკობის მონასტრის სახელით იყო ცნობილ, დღევანდელი სომხური ორთოდოქსალური საპატრიარქოს მახლობლად. Seligman Jon, Excavations at the Georgian monastery from the Byzantine Period in Umm Leisun, 243).

⁵ გეორგიკა, II, 223.

პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევართა უმეტესობა, როგორც ქართველი, ისე დასავლელი, მის მიერ აგებული მონასტრებიდან მხოლოდ იბერთა მონასტერს ასახელებს. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ისინი პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევისას ეყრდნობიან იოანე რუფუსის თხზულებას, რომელიც, ძირითადად, წმინდანის სულიერ ცხოვრებას აღწერს და პეტრეს მიერ აგებულად მხოლოდ იბერთა მონასტერს ასახელებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იოანე რუფუსისაგან განსხვავებით, ზაქარია რეტორი პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეზე, მათ შორის, წმინდანის მიერ მონასტრების აშენებისა და მათი მოწყობის შესახებაც გვამცნობს.

პეტრე იბერის მიერ იერუსალიმის გარეთ აგებული მონასტერი მცირე და კეთილმოუწყობელი ყოფილა. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ იგი საფუძვლიანად გადააკეთეს. მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა, რადგან წლისთავზე პეტრეს გადასვენება განიზრახეს მაიუმიდან წმ. ჯვრის მონასტერში, მონასტერი გააფართოვეს, კეთილმოაწყვეს და ჩასასვენებელიც მოუმზადეს. თეოდორე სქოლასტიკოსმა „*რამდენიმე დღეში ააშენა სამრეკლო და მის ახლოს – ეკლესია და ეკლესიაში – სამლოცველო. მონასტერს შემოავლო გალავანიც და მოაწყო გარშემო მადლა და დაბლა განლაგებული ბევრი სენაკი, სვეტებიანი დარბაზი, სტოვა და ეზო შემოღობა ქვითკირის კედლით, გასჭრა ჭა, გააშენა ბაღები და იმ დანარჩენისთვისაც გაითვალისწინა, რაც (ბუნებრივ) საჭიროებას, მონასტრის შენებასა და ძმათა ხელსაქმარობას ეკუთვნოდა, რადგანაც ის ენდობოდა მხოლოდ უფლის სიკეთეს, წინასწარხედვასა და დახმარებას. და აი, როდესაც საადმშენებლო სამუშაო დამთავრდა და სამლოცველო მორთეს, საკურთხევლის ქვეშ გათხარეს საპატიო ადგილი (საფლავი) და მომდევნო წელს, სიკვდილის წინა დღეს წმინდანის სხეული მასში დაასაფლავეს¹.*

ქრისტიანული არქიტექტურის ცნობილი სპაციალისტი დ. პრინგლი აღნიშნავს, რომ დღევანდელი ჯვრის მონასტრის ნაგებობა ადრეული, VI ან VII საუკუნეთა, ეკლესიის ნაშთებზე დგას². ვფიქრობ, დათარიღების ქვედა ზღვარი შეიძლება V

¹ ცხოვრება პეტრე იბერისა, 202.

² Pringle D., The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus, vol. 2. L-Z (excluding Tyre). Cambridge University Press, 1998, 33; ჯაფარიძე გ., იერუ-

საუკუნემდე გადავიტანოთ, რის საფუძველსაც იძლევა ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა სახის მატერიალური თუ წერილობითი წყაროები, რომლებსაც გავეცანით და კიდევ გავეცნობით.

დავუბრუნდეთ პეტრე იბერის მიერ იერუსალიმის მახლობლად დაარსებულ მონასტერს. რადგან ამ საკითხზეც სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი მდებარეობის გარკვევას.

როგორც პეტრეს თანამებრძოლი და ბიოგრაფი ზაქარია ქართველი წერდა, პეტრე „წარვიდეს უდაბნოდ“. კონტექსტიდან ისე ჩანს, რომ პეტრე იბერი და მისი თანამოღვაწენი შორს არ წასულან იერუსალიმიდან და მის მახლობლადვე დაუწყიათ მშენებლობა. ზაქარია ქართველის ამ ცნობას, ვფიქრობ, ეხმაურება იოანე რუფუსის გადმოცემა: როდესაც პეტრე იბერმა დაინახა, რომ „*ნეტარმა პასარიონმა... ქალაქის აღმოსავლეთით კარიბჭის გარეთ ღარიბთა სახლი ააგო... იმანაც (პეტრემ – ე.მ.) მოისურვა ამ სიკეთისათვის მიეზადა. როდესაც მან წამოიწყო უფლის დახმარებით სახლის (ეკლესიის) აგება და იქ წმინდა მონაზვნების დიდი რაოდენობის მოთავსება... სანამ ამ წამოწყებას შეუდგებოდა, რაღაც მძიმე ავადმყოფობა შეეყარა...“ განზრახვის სისრულეში მოყვანა მხოლოდ უფლის ჩარევით მოხდა¹.*

ზაქარია ქართველის მიხედვით, მცირე ხანში იმავე მონასტერში ააგეს **ღვთისმშობლის ეკლესია**. სამონასტრო კომპლექსის დასრულების შემდეგ პეტრემ „*შეკრიბნა მას შინა ძმანი მრავალნი, ყოველნივე მოღუაწენი, და განუჩინა მათ წესი და კანონი და დაუდგინა მათ წინამძღუარად კაცი ღმერთშემოსილი და წმიდა და პრქვან მონასტერსა მას ქართველთა მონასტერი*“².

მაშასადამე, იმ უძველესი დროიდან პეტრე იბერის მიერ დაარსებული მონასტერი იერუსალიმის მოსახლეობაში ცნობილი იყო ქართველთა მონასტრის სახელით. XIX ს. დასასრულსაც კი, როდესაც მონასტერი ქართველებს აღარ ეკუთვნოდათ, როგორც იერუსალიმს ნამყოფი პ. კონჭოშვილი წერდა:

სალიმის ჯვარის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლოაღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე. *ახლოაღმოსავლეთი და საქართველო*, თბილისი, 2005, 142.

¹ გეორგიკა, II, 270-272.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 261.

„თითონ ბერძენნი უწოდებენ ამ სავანეს ქართველთა მონასტერს“¹.

პეტრე იბერის ცხოვრების სირიული რედაქციის **„პრქჳან მონასტერსა მას ქართველთა მონასტერი“**, ინგლისურ თარგმანში „ქართველთა მონასტერი“ შეცვლილი იქნა ევროპელი მკითხველისათვის უფრო გასაგებ „იბერიელთა“ მონასტრად, რამაც კომენტირებისას ავტორები მიიყვანა არასწორ დასკვნამდე, რომ თითქოს ეს მონასტერი არ უნდა აგვერიოს წმ. ჯვრის მონასტერში, რომელიც მდებარეობდა იერუსალიმის ძველი ქალაქის გარეთ დასავლეთით და იგი მისი ისტორიის დიდ ხნის განმავლობაში ქართველთა მფლობელობაში იყო². კომენტატორები არაფერს ამბობენ, რომელ მონასტერზეა ლაპარაკი „ცხოვრებაში“. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა და იბერთა მონასტერს აიგივებენ. „ქართველთა მონასტერი“ რომ წმ. ჯვრის მონასტერს აღნიშნავდა, ამის დამტკიცებას ქვემოთ შევეცდები.

ზემოთ ითქვა, რომ მონასტრის ასაშენებელი ადგილი შემთხვევით არ შეირჩა. იმ ადგილთან ქართველები უკვე დიდი ხნის წინათ იყვნენ დაკავშირებულნი. იქ, კატაკომბებში, უძველესი დროიდან ქართველ მონაზონთა საძვალე იყო, რაც დასტურდება იქ აღმოჩენილი III-IV საუკუნეთა სამარხებით, რომლებიც **„შესაძლოა ჯერ კიდევ ეკლესიის აგებამდე არსებობდა“**. ისინი ა. იკონომოპულოსმა აღმოაჩინა. ჯვრის მონასტრის ტაძრის ნაგის მოზაიკური იატაკის აღების შედეგად

¹ კონჭოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე, 75.

² John Rufus: The Lives of Peter the Iberien, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus, p.94, com. 1. ნ. თომაძე არ იზიარებს ჩემს მტკიცებას პეტრე იბერის მიერ ჯვარის მონასტრის დაარსების შესახებ და თავისი პოზიციის სისწორეში დარწმუნების მიზნით მკითხველს ამცნობს: **„პროფესორმა თამილა მგალობლიშვილმა ჩემთან კერძო საუბრისას აღნიშნა, რომ ამ მოსაზრებას (ე. ი. ჩემსას – ე. მ.) ეწინააღმდეგება და ჯვარს ვიორგი პროხორეს მიერ XI ს-ის შუა წლებში აშენებულად თვლის. მეცნიერის აზრით, მონასტრის არსებობა XI საუკუნემდე საეჭვოა. ჩვენ საესებით ვიზიარებთ, – განავრძობს ნ. თომაძე, – ქნ თამილა მგალობლიშვილის აზრს მონასტრის XI საუკუნეში დაარსების შესახებ, რადგან პირდაპირი საბუთი ძველის არსებობის შესახებ XI საუკუნემდე არ მოგვეპოვება, არსებობს მხოლოდ ირიბი წყაროები და ნახევრად ლეგენდარული გადმოცემები“** (თომაძე ნ., დენის პრინგლი – ჯვაროსნული არქიტექტურის მკვლევარი, *ჟურნ. „კლიო“*, თბილისი, 2003, 18). ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომში პირდაპირი და ირიბი საბუთები საკმაოდია იმის დასამტკიცებლად, რომ წმ. ჯვრის მონასტერი პეტრე იბერმა დააარსა.

აღმოჩნდა ოთხი სამარხი, რომელთაგან I-III ქვისაგან გამოთლილი აკლდამებია, VI-ს კი არკოლიუსის ფორმა აქვს. III და IV სამარხები არ გამოუყენებიათ, V სამარხში აღმოჩნდა ორი ქალის ჩონჩხი – ერთი ეკუთვნის 75 წლის ქალს, მეორე 40 წლისას. მათ ხელებს ეტყობა დამწვრობის კვალი. VI სამარხში აღმოჩნდა ოთხი ჩონჩხი – სხვადასხვა ასაკის სამი მამაკაცის და ერთი ქალის. მათგან ქალს და ორ მამაკაცს ეტყობათ, რომ ისინი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაიცვალნენ, ემჩნევათ ძალადობის კვალი¹. მაგრამ ტაძრის აგების დროის და კტიტორის ვინაობის დასადგენად განსაკუთრებით საყურადღებოა ის საფლავები, რომლებიც ტაძრის საკურთხეველში აღმოჩნდა. მათ მნიშვნელობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

9. მონასტრის იდენტობის საკითხი და ალტერნატიული სახელების ინტერპრეტაცია

სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახელს ატარებდა პეტრე იბერის მიერ დაარსებული მონასტერი, რომელიც XI საუკუნიდან უეჭველად ჯვარის სახელობისა იყო. ასეთი მდგომარეობის გამო სკეპტიკოსებს ეჭვი შეაქვთ ადრეულ პერიოდში არა მხოლოდ მის სახელში (წმ. ჯვრის მონასტერი), არამედ არსებობაშიც კი. ამ მხრივ კატეგორიულობით გამოირჩევა გ. ჯაფარიძე, რომელიც წერს: „უნდა ვაღიაროთ, რომ წმ. ჯვრის მონასტერი, როგორც პალესტინაში ქართული სულიერი და კულტურული ცხოვრების მძლავრი კერა და თანაც ამ სახელით, არ არსებობდა XI ს. 30-იან წლებამდე. რაც შეეხება მის ადგილზე არსებულ უფრო ადრეულ სავანეს, მისი როლი და მნიშვნელობა ჯერ კიდევ გასარკვევია“².

დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ **მონასტერი თავიდანვე ჯვარის სახელობისა იყო და ამ სახელწოდებას ადრეულ პერიოდში კავშირი არ ჰქონდა ლოტის მიერ დარგული ხის ლეგენდასთან, მაგრამ კავშირი ჰქონდა იმ ხესთან, რომელიც მონასტრის ადგილას მოჭრეს და ჯვარცმის ჯვრისათვის გამოიყენეს.** ამაზე მიგვანიშნებს საკურთხეველში აღმოჩენილი ჯვრის ფორმის ენკენიონი და მასზე გამოსახული ჯვარი.

¹ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 276.

² ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაარსება, 143.

სარწმუნოა იმ ორმოს (თალასას) არსებობა ენკენიონის მახლობლად, სადაც იდგა ხე. რაც შეეხება მონასტრის მთავარი ტაძრის სახელწოდებას, იგი თავდაპირველად ღვთისმშობლის სახელობისა იყო¹, მაგრამ შემდეგში მას რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. სხვადასხვა პილიგრიმები და მწერლები სხვადასხვა დროს მას მოიხსენიებდნენ: ხარების, კონსტანტინესა და ელენესი, ბოლოს წმ. ნიკოლოზის, მთავარანგელოზის და ჯვარის. ამ უკანასკნელის სხვადასხვა ვარიანტი არსებობდა: წმ. ჯვრის მონასტერი, წმინდა ჯვარი, წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, წმინდა ჯვარის ეკლესია და მონასტერი. საყურადღებოა, რომ მას არაბები ჯვრის დედას ეძახდნენ².




1. ლოტი და მისი ოჯახი გარბის სოლომიდან. 2. მამა აბრაამი აძლევს ლოტს სამ ნერგს (ზეთისხილი, კიპარისი, კედარი); 3. ლოტი რგავს ნერგებს; 4. ლოტი წყავს ერთ ხედ გადაქცეულ სამ ნერგს მდ. იორდანის წყლით

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 261.


² ტ. ტობლერი გვამცნობს, რომ არაბები წმ. ჯვრის მონასტერს ეძახდნენ Messali-s, რაც გერმანულად ნიშნავს ჯვარის დედას (Mutter oder Gebäder Kreuzes) Om es-Salih, ხოლო წმ. ჯვრის მონასტერი იმავე არაბულად არის Der el-usu-llabeh (Musallabeh – წმ. ჯვრის მონასტერი. მისი ვარიანტები არის – us-sahalab, El-usullabeh). Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen. Zweites Buch, 726). არაბი ისტორიკოსის ალ-აინის გადმოცემით, წმ. ჯვრის მონასტერს ეწოდებოდა ალ-მუადალიდა. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა, თბილისი, 1988, 34.



ლოტი რწყავს ერთ ხედ გადაქცეულ სამ ნერგს



1. ლოტი უვლის ხეს 2. ხის მოჭრა; 3. ჯვრის დამზადება



ტრაპეზის ქვეშ ჩანს ნახვრეტი, სადაც ოდესღაც იდგა წმ. ხე

ზაქარია ქართველის, იოანე რუფუსის, ზევულფისა და დანიელ წინამძღვრის თხზულებები მიგვანიშნებს, რომ **ლოტის სახელთან დაკავშირებული წმ. ჯვარის ხის ლეგენდა გვიანდელი წარმოშობისაა**, უეჭველია, რომ მათ მის შესახებ არ იცოდნენ არც V და არც XI-XII საუკუნეებში. დღეისათვის ცნობილი ლოტთან დაკავშირებული ლეგენდა რომ სცოდნოდათ, ისინი გვერდს ვერ აუვლიდნენ და აუცილებლად იტყოდნენ. რუფუსის თხზულებაში მოცემულია ხილვა, რომელიც პეტრე იბერის მონასტრის დაარსების დიდ სურვილსა და მისადმი უფლის მხარდაჭერას ასახავს. ვფიქრობ, მასში აისახა, აგრეთვე, ჯვრის მონასტრის მშენებლობის პროცესი. პეტრეს უფალი გამოეცხადა და მშენებარე ეკლესია დასრულებული სახით დაანახვა. უფალი პეტრეს მიმართავს: „*თუ იმიტომ ხარ დამწუხრებული, რომ შენ გვონია, რომ შენ არ შეასრულე შენი აღთქმა და დაპირებული ტაძარი არ ამიგე, როგორც შენ ეს გინდოდა, მაშინ ალაპყარ შენი თვალები და იხილე!*“ და მან აიხედა ზეცისაკენ და დაინახა საუცხოო ეკლესია, შუქითა და დიდებულებით სავსე... და მოესმა ხმა: „*აჰა, ეკლესია, რომლის*

აგებას შემპირდი! აჰა, აგრეთვე მგალობელნი! ნულარ ხარ დამ-
წუხრებული!¹

იოანე რუფუსის თხზულებაში არის გადმოცემა ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია პეტრე იბერის სახელთან. პეტრემ იმპერატორის სასახლიდან გაქცევისას წმ. მიწაზე ჩაიტანა იერუსალიმელი ხუცეებისაგან კონსტანტინოპოლში შექმნილი ჯვარცმის ჯვრის სასწაულმოქმედი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის წმ. ჯვართან დაკავშირებული უადრესი ლეგენდა ან ლეგენდათაგან ერთ-ერთი². შეიძლებოდა იგი გადაქცეულიყო მონასტრის დაარსების თეორიულ საფუძვლად. გავიხსენოთ პეტრეს მიერ ასევე კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში ჩატანილი მოწამეთა ნაწილეების მიხედვით დაარსებული მონასტერი.

ჯვართან იყო დაკავშირებული იოანე ლაზის დაავადებული სახის კანის განკურნება³.

ამგვარად, **ქართველი ასკეტები მოტივირებულნი იყვნენ განსაკუთრებული პატივისცემა გამოეხატათ წმინდა ჯვარისადმი, ქრისტიანობის სიმბოლოდსადმი, და მისი სახელობის მონასტერი დაეარსებინათ.**

ახალი მონასტერი წმინდა მიწის მოსახლეობაში რომ „ქართველთა მონასტერის“ სახელით იყო ცნობილი, ამას თავისი ახსნა აქვს; ჯერ ერთი, ჯვრის მონასტრის აშენების ადგილთან ქართველებს (ქართლებს) დიდი ხნის კავშირი ჰქონდათ. ჯვრის მონასტრის აგების შემდეგ მათ იქ კიდევ უფრო მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამ ტერიტორიაზე რელიგიური კერის არსებობის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს რ. ჟანენსაც. მას ეჭვი არ ეპარება, რომ ოდესღაც, კერძოდ, არაბების მიერ პალესტინის დაპყრობამდე იქ სავანე არსებობდა, მაგრამ არ იცოდა, ვისი ან რისი სახელობისა იყო. ფიქრობდა, რომ აღდგენილ მონასტერს ჯვარის სახელი XI საუკუნიდან ეწოდა⁴.

ჯვარის ხესთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი გადმოცემა, ორთოდოქსულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში დაცულ VI საუკუნის ბერძნულ ხელნაწერს შემოუნახავს. ი. დავიდის თქმით, ხელნაწერის ინგლისური თარგმანი გამოუქვეყნებია

¹ იოანე რუფუსი, 271.

² იოანე რუფუსი, 273.

³ იოანე რუფუსი, 274.

⁴ ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, უერნ. „რელიგია“, №10, 1992, 16-17.

ცნობილ ინგლისელ აღმოსავლეთმცოდნეს ე. პალმერს¹. გადმოცემაში ნათქვამი ყოფილა, რომ იუსტინიანეს სარდალმა ველიზარმა 536 წელს რომიდან წამოიღო იმპერატორ ტიტე ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის ტაძრიდან გატანილი ნივთები და მათი წმ. ჯვრის მონასტერში დამალვა ბრძანა. მონასტრის ბერებს განბი მიწაში ჩაუფლავთ. 796 წელს მუსლიმან თავდასხმელებს საგანძურის დაფლვის ადგილის მცოდნე ყველა ბერი ამოუწყვეტიათ, რის გამოც შემდგომში მისი მიკვლევა ველარ მოხერხდა². ალბათ, ხელნაწერში იმ ნივთებზე იყო საუბარი, რომლებიც რომაელებმა იერუსალიმის ტაძრის დანგრევის შემდეგ რომში წაიღეს და ისინი გამოსახულია ახ. წ. 81 წელს რომში აგებულ იმპერატორ ტიტეს ტრიუმფალურ თავზე. ხელნაწერის მიხედვით, წმ. ჯვრის მონასტერი იმ შორეულ წარსულშიც უაღრესად გამაგრებული და საიმედო თავშესაფარი იყო და იგი, როგორც ჩანს, VI საუკუნეში, ოფიციალურად, ჯვრის სახელით მოიხსენიებოდა.

ე. პალმერის და ი. დავიდის ნაშრომებს არ იცნობს ვ. ცაფერისი (ყოველ შემთხვევაში, თავისი წიგნის ბიბლიოგრაფიაში მათ არ ასახელებს), მაგრამ იცის აღნიშნული ხელნაწერის შესახებ, რომლის მნიშვნელობასა და შინაარსს განსხვავებულად გადმოგვცემს: „*მოგვიანებით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც იერუსალიმის ბერძნული ორთოდოქსალური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ინახება და აღწერს საპატრიარქოს მდგომარეობას მე-6-7 საუკუნეებში, მონასტერს იმ დროს იერუსალიმის შემოგარენში შემორჩენილ ეკლესიათა რიცხვს მიაკუთვნებს. ნათელია, რომ ეს არ შეიძლება იყოს სხვა მონასტერი, თუ არა დღევანდელი*“³.

ვ. ცაფერისმა თავისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ (1987 წ.), 1990 წლის 11 დეკემბერს, იერუსალიმში გამართულ სიმპოზიუმზე („საქართველოს ებრაელები და საქართველო-პალესტინის ურთიერთობანი“) წაკითხულ მოხსენებაში, IX-X საუკუნეთა ბერძნული წყაროც – Taktikon-ი დაასახელა (რამდე-

¹ Palmer E.H., The Desert of the Exodus, 1872, 452.

² დავიდი ი., ნაწერები, I, თელ-ავივი – იერუსალიმი, 1976, 261.

³ The monastery of The Holy Cross in Jerusalem by Vassilios Tzaferis, p. 9; ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, გვ. 100. თ. მგალობლიშვილი (მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე. 183) და ვ. ჯაფარიძე (ჯაფარიძე ვ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება, 144, შენ. 15) უარყოფენ ამგვარი ხელნაწერის არსებობას.

ნადაც ვიცი, ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული), რომელშიც ჩამოთვლილია იერუსალიმის გარეთ არსებული მონასტრები, მათ შორის წმ. ჯვრის მონასტერი. ვ. ცაფერისის მიხედვით, ტაქტიკონში გარკვევით წერია: „ესაა იერუსალიმის გარეთ მდებარე მონასტრები: წმ. ჯვრის მონასტერი – იქ მოჭრეს საჯვარე ხე; აბატიმოსის მონასტერი, ხარიტონის მონასტერი, საბას მონასტერი, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, გერასიმოსის მონასტერი...“ ვ. ცაფერის განმარტებით, „ეს დოკუმენტი, რომელიც იერუსალიმის საპატრიარქოს მდგომარეობას ასახავს მე-6-7 საუკუნეებში, გარკვევით მოიხსენიებს იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს და ამტკიცებს მის არსებობას“⁴

ზაქარია ქართველი ამ მონასტერსა და მის ეკლესიაზე თხრობის დამთავრებისთანავე, გადმოგვცემს იორდანის უდაბნოში იმ მონასტრის მშენებლობაზე, ვ. კორბომ რომ აღმოაჩინა. ასე რომ, პეტრე იბერს იერუსალიმის მახლობლად ორი მონასტერი აუშენებია. ერთი, რომელიც ქალაქთან უფრო ახლოს **ააგო წმ. ჯვრის მონასტერი, იგივე ქართველთა მონასტერი იყო.**

პეტრე იბერი გარდაიცვალა მაიუმის მონასტერში 491 წლის 1 დეკემბერს, პარასკევის გათენებისას, ოთხმოცი წლის ასაკში. ბერებმა მისი სხეული განბანეს, შემოსეს და მონასტერში დაასვენეს. როდესაც გათენდა, ჩვეულების თანახმად, წმინდანის სხეული სუდარაში გაახვიეს, სახვევები შემოახვიეს და წმინდა საკურთხეველის წინ დაასვენეს. მას შემდეგ, რაც მისმა მიმდევრებმა მიცვალებული გააპატიოსნეს, განიზრახეს წაესვენებინათ და „**დაემარხათ მის ყოფილ მონასტერში, რომელიც ღაზას მაიუმის მეზობელ კონგრეგაციაში მდებარეობს**“. ბერები ჩქარობდნენ, რომ პეტრე მანამდე წაესვენებინათ, ვიდრე ღაზის და მაიუმის მოსახლეობა, განსვენებულის თაყვანისმცემელი, გაიგებდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ მოქალაქენი მოიტაცებდნენ წმინდა სხეულს და ქალაქის ერთ-ერთ ტაძარში დაასაფლავებდნენ. პროცესია „ერთ პატარა ქალაქში“ გაჩერდა. შემდეგ გზა განაგრძეს და ქალაქ ასკალონში (აშკელონში) მივიდნენ, მართლმადიდებელთა (მონოფიზიტთა) მონასტერში მცირე ხანს შეისვენეს, შემდეგ დაიძრნენ და მთელი ღამე იარეს და გათენებანდე „**წმინდანის ძველ**

⁴ ცაფერისი ვ. ჯვრის მონასტრის მნიშვნელოვანი ეტაპები. *საერთაშორისო სიმპოზიუმი – საქართველოს ებრაელები და საქართველო პალესტინის ურთიერთობანი. თეზისები*, იერუსალიმი, 11-12 დეკემბერი, 1990, 9-11.

მონასტერში“ მივიდნენ. „და რადგანაც ცხოვებულს, სანამ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და იქ მშვიდად ცხოვრობდა, ერთმანეთის გვერდიგვერდ სამი ლუსკუმა გაეშხადებინა, მათ მისი წმიდა გვამი შუა ლუსკუმაში ჩაასვენეს, იმ ორში უკვე წმიდათა ნეშტნი ესვენეს: მარჯვენაში – მამა იოანე ეგნუხის გვამი, მარცხენაში, მამა აბრაჰამისა, წმინდა მოხუცის და ასკეტისა, რომელიც იყო ათრიბისიდან“⁴.

როგორც ითქვა, პეტრე იბერის მიერ აგებული მონასტერი მცირე და კეთილმოუწყობელი ყოფილა. მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა ერთი წლისთავზე მაიუმიდან წმ. ჯვრის მონასტერში პეტრეს გადასვენება განიზრახეს, ამისათვის მონასტერი გააფართოვეს, კეთილმოაწყეს და საკურთხევლის ქვეშ ჩასასვენებელიც მოუმზადეს და სიკვდილის წინა დღეს წმინდანის სხეული მასში დაკრძალეს².

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ზაქარია და იოანე რუფუსი ქართველი პეტრე იბერის მაიუმიდან ქართველთა მონასტერში გადასვენებასა და იქ დაკრძალვაზე განსხვავებულად გადმოგვცემენ: პირველი პეტრეს წმ. ჯვრის მონასტერში დაკრძალვაზე გარდაცვალებისთანავე, მეორე კი, მისი გარდაცვალებიდან წლისთავზე.

როდესაც ვეცნობით პეტრე იბერის „ცხოვრების“ ანონიმი ავტორის მიერ აღწერილ რეკონსტრუირებულ წმ. ჯვრის მონასტერს, ბევრ საერთოს ვხედავთ დღევანდელ ნაგებობასთან. ნიშანდობლივია, აგრეთვე, საკურთხეველში სამარხების არსებობა, რომლებიც ბერძენმა არქეოლოგმა აღმოაჩინა. შეიძლება ითქვას, რომ XI საუკუნეში წმ. ჯვრის მონასტერი აღადგინეს მეხუთე საუკუნის გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება არქეოლოგიური კვლევის შედეგად. ა. იკონომოპულოსის ამ მოსაზრებას სავსებით მართებულად მიიჩნევს ჯ. პრინგლი და აცხადებს, რომ დღევანდელი ჯვრის მონასტრის შენობა დგას VI ან VII საუკუნის ნაშთებზე³. თითქმის ასეთივე მოსაზრებისაა გ. გაგოშიძე. იგი წერს: „დღევანდელი მთავარი ტაძარი დგას ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკის კედლებზე. ამ ბაზილიკას გალავანიც ჰქონია... რომელიც, ვფიქრობ, პროს-

¹ აბრაჰამ ათრიბისელის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 30, შენ. 2.

² ცხოვრება პეტრე იბერისა, 201-202

³ Pringle D., The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem, 33.

ორე შავშელის XI საუკუნის მშენებლობაზე უფრო ადრეულია“¹.

ი. ლოლაშვილი კატეგორიულად უარყოფდა პეტრეს ცხედრის წმ. ჯვრის მონასტერში გადასვენებას, რადგან იმ მცირე დროში, როგორც იგი გადმოცემულია პეტრეს ცხოვრების ასურულ რედაქციაში, განსვენებულის ცხედარს ვერ მიიტანდნენ იერუსალიმამდე. მაგრამ პეტრეს ცხოვრების რედაქციებში განაცოტა რამეა აღწერილი, რაც გააკვირვებს უნდა იწვევდეს? ავტორები ყოველივეს უფლის ნებას და წმინდანთა სასწაულმოქმედ ძალას მიაწერენ. ისიც უნდა ითქვას, რომ აღწერილ მონასტერს, ე.ი. სადაც პეტრე გადაასვენეს, ასურულ რედაქციაში ჰქვია **„წმინდანის (პეტრე იბერის – ე.მ.) ძველი მონასტერი“**².

გავიხსენოთ, რომ ზაქარია ქართველი პეტრეს მიერ აგებულ პირველ მონასტერზე ხშირად ამბობს: პეტრემ და მისმა სასულიერო ძმებმა **„აღაშენეს მონასტერი თავისა თვისათს“**³, **„დავჰმარხეთ ეკლესიასა შინა თვისსა“**⁴. აღწერილი მონასტერი არ არის ლაზთა მონასტერი, რომელიც მდებარეობდა „იერუსალიმის უდაბნოში“⁵, რომლის ნაშთი სრულიად განსხვავებული არქიტექტურული სტილის ნაგებობაზე მეტყველებს. ასურული რედაქციის მონასტერი, როგორც შემდგომში გამოჩნდება, ემთხვევა XI საუკუნეში აღდგენილი ჯვრის მონასტრის კომპლექსის არქიტექტურას⁶.

წმ. ხე, რომ ნამდვილად ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის სამლოცველოს საკურთხეველის ადგილას იდგა, დასტურდება არქეოლოგიური შესწავლის შედეგად, რომ „ენკენიონის დასავლეთით ამოკვეთილი იყო 29 სმ სიგანის ღრმული, ანუ ე.

¹ გაგოშიძე გ., წმინდა მიწის ქართული წარწერები. ACADEMIA, ტ. 5, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია, ტ. 5, თბილისი, 2003, 41.

² ცხოვრება პეტრე იბერისა, 200-202.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 260.

⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 260.

⁵ Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, 976.

⁶ ქართველთა მონასტერი რომ თითქოს ლაზთა მონასტერია, ასეთი მოსაზრება დიდი ხანია არსებობს. რ. ჟანენის თქმით, „მრავალნი ირწმუნებიან, რომ ეს ლაზების სავანე არის სწორედ წმიდა ჯვარის სავანე“ (ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 16). როგორც ჩანს, ასეთივე აზრისაა თ. მგალობლიშვილიც (მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე, 191).

წ. თალასა, რომელიც ეკუთვნის ტაძრის აგების პირველ პერიოდს,“ – წერს არქეოლოგი ა. იკონომოპულოსი.

პეტრე იბერის წმ. ჯვრის მონასტერში დაკრძალვა დასტურდება საკურთხეველში აღმოჩენილი (სულ აღმოჩნდა 2 სამარხი) I სამარხით, რომლის ზომებია 1,99x0,57მ. მიცვალებულის ჩონჩხი თავით მიმართულია აღმოსავლეთისაკენ, ეკუთვნის 1,7 მ სიმაღლის ხანდაზმულ მამაკაცს. განსვენებულის ჯვარედინად დაკრეფილი ხელის მტევნების ახლოს აღმოჩნდა ბრინჯაოს მონეტა, რომელიც დათარიღებულია იმპერატორების არკადუსისა და ზეობის ხანით (395-408 წწ.). იკონომოპულოსის აზრით, **„აქ დაკრძალული იქნა წინამძღვარი, რომელმაც აავსო მონასტერი ან რომელიმე წარჩინებული თუ მნიშვნელოვანი პირი“¹.**

II სამარხი, ენკენიონის სამხრეთით, დანგრეული და მიწით ამოვსებული იყო. არქეოლოგმა ამ საფლავის არსებობა ივარაუდა გათლილი ქვის ფილით, რომლის ზომებია 1,59x0,74 მ. სამარხში აღმოჩნდა ადამიანის რამდენიმე ძვალი და თავის ქალა, რომელიც გაბნეული და შერეულია მიწასთან. აღმოჩნდა, აგრეთვე, გაცვეთილი ბრინჯაოს მონეტა, რომლის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა². **„მეორე სამარხი, რომელსაც თავიდან პირველი სამარხის მსგავსი ფორმა ჰქონდა, ეკლესიის მშენებლობის მეორე ეტაპზე დაზიანდა. განსვენებულის ჩონჩხი, გარდა რამდენიმე ძვლისა, იმხანად განიბნა“³.**

როგორც არქეოლოგი აღნიშნავს, მეორე სამარხი ეკლესიის მშენებლობის მეორე ეტაპზე დაზიანდა. მკვლევრებს მშენებლობის მეორე ეტაპად მიაჩნიათ სპარსელების მიერ დანგრეული ტაძრის აღდგენა ჰერაკლე კეისრის დროს⁴. მაგრამ

¹ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 273.

² იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 273-274.

³ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 273, შენ. 3.

⁴ არსებობს არქეოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად გამოთქმული სრულიად განსხვავებული, საინტერესო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სპარსელების მიერ დაპყრობის შედეგად იერუსალიმსა და მის შემოგარენში ეკლესია-მონასტრებს ნგრევა-განადგურება არ განუცდია The Persian Conquest of Jerusalem (614 CE) – An Archeological Assessment, By Gideon Avni Di-

ვერ დგინდება, რომელ სამარხში განისვენებდა პეტრე იბერი, იმის თქმა კი შეუძლებელია, რომ ერთ-ერთი ნამდვილად მისთვის იყო განკუთვნილი.

ამგვარად, არქეოლოგიური ძეგლი სრულად ადასტურებს ლიტერატურული წყაროს – პეტრე იბერის ასურულ რედაქციაში ნათქვამს: მონასტრის ბერებმა, **„როდესაც საადმშენებლო სამუშაო დამთავრდა და სამლოცველო მორთეს, საკურთხეველის ქვეშ გათხარეს საპატიო ადგილი (საფლავი) და მომდევნო წელს, სიკვდილის წინა დღეს წმინდანის სხეული მასში დაასაფლავეს“**¹, ე. ი. წლისთავზე, პეტრეს ცხედარი მაიუმიდან წმ. ჯვრის მონასტერში გადაასვენეს.

მეორე სამარხი, ჩემი ვარაუდით, განკუთვნილი იყო პეტრე იბერის აღმზრდელის, მისი უახლოესი თანამებრძოლისა და თანამზრახველის იოანე ლაზისათვის, რაც ასევე ლიტერატურული ძეგლის გადმოცემას გვიდასტურებს. „ცხოვრებაჲ პეტრე იბერიელისაჲ“ გვამცნობს: **„ადესრულა წმიდაჲ და ნეტარი იოანე საჭურისი... და დაჰმარხეს იგი დიდითა დიდებითა მონასტერსა მას ქართველთასა, რომელი მათ წმიდათა ალაშენეს“**². ქართველთა მონასტერი, როგორც მრავალჯერ ვთქვი, ჩემი აზრით, წმ. ჯვრის მონასტერი იყო, სადაც ჯერ იოანე ლაზი დაიკრძალა, შემდეგ პეტრე იბერი. მონასტერი რომ შემდგომ საუკუნეებშიც ქართველთა მონასტრად იყო ცნობილი, ადასტურებს სომეხი პილიგრიმი ლეონ ალიშანი. იგი ასახელებს „გოგარენთა მონასტერს“, რომელიც უცილობლად ქართველთა ანუ წმ. ჯვრის მონასტერს აღნიშნავს³.

პეტრე იბერი, როგორც ჯვრის მონასტრის დამაარსებელი და იქვე დაკრძალული, მონასტრის ბერებმა ტაძრის კედელზე დახატეს.

წმ. ჯვრის მონასტერს მრავალმა ქარიშხალმა გადაუარა. სავარაუდოა, სპარსელებისა და არაბების ბატონობის ხანაში, რადგან საქართველოდან, რომელსაც თვითონაც ძლიერ გაუჭირდა, აუცილებელი დახმარება აღარ მოდიოდა და პალესტინაშიც ქრისტიანების დევნამ სისტემატური ხასიათი მიიღო, წმ.

rector, Excavations and Surveys Department Israel Antiquities Authority, 2003, 1-11. <http://www.bibleinterp.com/articles/pers357904.shtml>

¹ ცხოვრება პეტრე იბერისა, 202.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 263.

³ ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 27.

ჯვრის მონასტერი თანდათანობით დასუსტდა და XI საუკუნის დასაწყისისათვის დროის შესაფერის რეკონსტრუქციას საჭიროებდა.

ბუნებრივია, მონასტერმა და ეკლესიამ სერიოზული ცვლილებები განიცადა და მისი არქიტექტურა და ინტერიერი ბიზანტიური კულტურის გავლენას ვერ აიცილებდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ XVII ს. დასასრულიდან, როდესაც მონასტერს ბერძენი ბერები საბოლოოდ დაეპატრონენ, ისინი გულმოდგინედ ცდილობდნენ ამ სავანის ქართული წარმოშობის და მასში ქართველთა მოღვაწეობის კვალი მიეჩქმა. ვინ იცის, ქართველთა რამდენი ნაღვაწი სამუდამოდ მოისპო. ის, რაც დღეისათვის ცნობილია, მხოლოდ ჯვრის მონასტრის შუა პერიოდს (XI–XVII სს.) განეკუთვნება. პირველი პერიოდისა შეიძლება კიდევ რაიმე აღმოჩნდეს, როდესაც მონასტრის მეცნიერული შესწავლა გაგრძელდება.

ამგვარად, ჩემი აზრით, მონასტერი დაარსებული იყო V საუკუნეში ქართველების მიერ და მათივე სახსრებით, იერუსალიმიდან მცირე მოშორებით, მათთვის გამოყოფილ ადგილას, ამიტომ მათ გამოიყენეს კანონიერი უფლება და კვლავ თავიანთივე სახსრებითა და შრომით XI საუკუნეში აღადგინეს ქართული ქრისტიანული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი კერა¹.

ფრიად საინტერესოა იერუსალიმის და მართლმადიდებელი სამყაროს ისტორიის ერთ-ერთი კომპეტენტური ისტორიკოსის, XVII საუკუნის იერუსალიმის ბერძენი პატრიარქის დოსითეოს II-ის ერთი ფრაზა, რომელიც მოცემულია მის ფუნდამენტურ ნაშრომში „იერუსალიმის პატრიარქების ისტორია“². დოსი-

¹ ქრისტიანული არქიტექტურის მკვლევარი იშაი ელდარი წმ. ჯვრის მონასტერს განაკუთვნებს XI საუკუნის იერუსალიმის რომანულ არქიტექტურას და მის საუკეთესო ნიმუშად მიაჩნია. მისი აზრით, მონასტერი აღდგენილი იქნა ადრე არსებული ეკლესიის ადგილას, რაზეც მიუთითებს V საუკუნის მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები. Yishai Eldar, Jerusalem Christian Architecture the Ages January 2000. http://www.mfa.gov.il/MFA/MFAArchive/2000_2009/2000/1/Focus+on+Israel+-+Jerusalem+-+Christian+Architectur.htm?WBCMODE=PrForeign+Relations

² ობიექტურ მკვლევარს საკითხის გასარკვევად საკმაოდ დიდ მასალას მისცემს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II-ის (1669-1707, საქართველოში იყო ორჯერ – 1658-1659, 1681 წწ.) საქმიანობისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა. ამ ნაყოფიერი შემოქმედის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი თხზულებები და ეპისტოლეები, რომლებშიც საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობა გადმოცემულია უპირატესად ობიექტურად.

თეოსი, ჩამოთვლის რა იუსტინიანეს მიერ აშენებულ ნაგებობებს, ამბობს: „...იმპერატორმა ააშენა სხვა ტაძარიც ივერიელეპისათვის. შეიძლება ეს არის წმინდა ჯვრის მონასტერი, რომელსაც ივერიელები ეხლაც ფლობენ, აგრეთვე ლაზეპისათვის ტაძარი ელეონის მთაზე, რომლის მღებარეობა ეხლა უცნობია“⁴.

დოსითეოსის ნათქვამი ჯვრის მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა, იმდენად, რამდენადაც მას მიაჩნია, რომ ეს მონასტერი თავიდანვე (იუსტინიანეს დროიდან მაინც) ქართველებს ეკუთვნოდათ, თუნდაც ის აშენებული ყოფილიყო იუსტინიანეს მიერ. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ პეტრე იბერის მიერ აშენებული ეს მონასტერი იუსტინიანემდე უკვე ერთ საუკუნეს მოითვლიდა და, სავარაუდოა, ეს იუსტინემაც კარგად იცოდა. ამდენად, იმპერატორი, როგორც კეთილი მწყემსი, აფართოებს ქართველების მოკრძალებულ ტაძარს, ანახლებს მას და კვლავ გადასცემს ტაძარს მის რეალურ მესპატრონეს. სამაგიეროდ, ქრისტიანული კერის აღმაშენებლის და კეთილისმყოფელის სახელს იმკვიდრებს.

იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II XVII საუკუნის მართლმადიდებელი სამეაროს ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურაა. პატრიარქი დოსითეოსი ფრიად განსწავლული, შესანიშნავი მწერალი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, ლათინების წმინდა მიწაზე მოძალების წინააღმდეგ მებრძოლი იყო. მან ოსმალების პალესტინაში ბატონობის პირობებში, მაშინ როდესაც ქრისტიანობა ახლო აღმოსავლეთში სერიოზული განსაცდელის წინაშე იდგა, შეძლო იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ტრადიციულ მფლობელობაში არსებული სიწმინდეების არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ სხვა მართლმადიდებელი ხალხების, განსაკუთრებით, ქართველების, ეკლესია-მონასტრები დაპატრონება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სიფრთხილით უნდა მიდგომა მის მიმდარ ლიტერატურულ და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. მისი თხზულებები და წერილები დღეს უძვირფასეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. მის „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ აისახა მრავალი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები. განსაკუთრებით საინტერესოა მისი თხზულებების და ეპისტოლეების ის პასაჟები, რომლებშიც ის შეფასებას აძლევს და ახასიათებს თავის თანამედროვე მოვლენებს, ფაქტებს და ადამიანებს. სწორედ ამ დროს უნდა იყოს მკვლევარი ფრთხილად და მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ის მოტივები, რომლებითაც პატრიარქი ხელმძღვანელობდა.

პატრიარქ დოსითეოსის მრავალმხრივი მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში იხ. ჩემი წიგნი – საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 59-229.

¹ მაშისთვალისშივილი ე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 157.

ჯვრის მონასტრის დაარსების და განვითარების იდეა (მონასტერი რომ ქართველებმა დააარსეს და მათვე აღადგინეს) შესანიშნავად იყო გადმოცემული მონასტრის დასავლეთი კედლის მხატვრობაში სიმბოლურ ენაზე. აქ აისახა მისი მშენებლობის და განვითარების ორი ეტაპი:

1) IV–V საუკუნეები და 2) XI საუკუნე. IV–V საუკუნეების ეპოქა წარმოდგენილია მეფე მირიანის, ვახტანგ გორგასლის და პეტრე იბერის სახით. პირველი ქრისტიანი იმპერატორი კონსტანტინე და მისი დედა ელენეც აქვე არიან გამოხატულნი. მომხატველს სიმბოლური ენით უნდოდა გადმოეცა ადრეული ისტორიული დინამიკა, ეჩვენებინა, რომ მირიანი არის მომპოვებელი სამონასტრო ადგილისა, რომელსაც ხელი შეუწყვეს იმპერატორმა კონსტანტინემ და დედოფალმა ელენემ. ვახტანგ გორგასალი არის მონასტრის დამფინანსებელი, ხოლო პეტრე იბერი – აღმშენებელი¹. პირობითად, ეს არის ქართული მოღვაწეობის პირველი ეტაპი იერუსალიმში.

2) XI საუკუნიდან ჩნდება მეფე ბაგრატ IV-ის, მის გვერდით - ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების და პროხორე შავშელის პორტრეტები. ეს იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის მეორე ეტაპია. აღსანიშნავია, რომ არც ერთ სისტემაში არ ჯდება იმპერატორ იუსტინიანეს ფიგურა, არადა თუ მისი ღვაწლი არსებითი იყო ტაძრის აღდგენის საქმეში, ეს ნიუანსი ანონიმ ფერმწერს, რომელიც, ბუნებრივია, ვიდაცის დაკვეთას ასრულებდა, სათანადო ყურადღების გარეშე არ დარჩებოდა.

დასკვნა

1. არსებობს იმის დასაბუთებული მტკიცების სრული საფუძველი, რომ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგი-

¹ ნ. თომაძე, რომლის მოსაზრება ერთდროულად მიმართულია დენის პრინგლისა და ჩემ წინააღმდეგ, კატეგორიულად აცხადებს: „*ხოვი მეცნიერი თვლის, რომ (ჯვრის-ე. მ.) მონასტერი, შესაძლოა, დაარსებული იყოს პეტრე იბერის მიერ V საუკუნეში (იგი უთითებს ჩემ „ჯვარის მონასტრის ისტორიის“ 11-12 გვერდებს), რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით და ვთვლით, რომ ჯვარი დაარსდა და აშენდა XI საუკუნეში*“ (უთითებს თავის ნაშრომს: თომაძე ნ., ი. დავიდი და მონასტრის სიძველეები, თბ., 2003, 17. იხ. მისივე, დენის პრინგლი – ჯვაროსნული არქიტექტურის მკვლევარი, 53). ნ. თომაძის თქმით, დ. პრინგლს ყველგან ეთანხმება და იქვე აღნიშნავს: „*არ ვიზიარებთ მხოლოდ მის ვარაუდს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის პერძნების მიერ აშენების და შემდგომში მისი ქართველების მიერ გადაკეთების შესახებ*“ (იხ. მისი – დენის პრინგლი – ჯვაროსნული არქიტექტურის მკვლევარი, 55-56).

ად გამოცხადების დროიდან, მირიანის მეფობაში, პალესტინაში, კერძოდ, ძველი იერუსალიმის მახლობლად, იწყება ქართული ქრისტიანული თემის ჩამოყალიბება მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებით.

2. მირიან მეფის მიერ წმინდა მიწაზე მიწის ნაკვეთის შოვნა, რასაც გადმოცემა გვამცნობს, მისი საქმიანობის მხოლოდ ერთი დეტალია. მის დროს უკვე იყო წმ. მიწაზე ქართველთა მომლოცველობა, უკვე ჩანს მათ მიერ წარმოებული ქრისტიანული მშენებლობის ნაშთები, თუნდაც წმ. ჯვრის მონასტერსა და მის მიმდებარე ტერეტორიაზე.

3. ლეგენდები და ის მატერიალური ძეგლები, რომლებიც ქართველი მეფეების – მირიანის და ვახტანგ გორგასლის დროს პალესტინაში ქართველთა ყოფნასა და საქმიანობაზე მოგვითხრობენ იმას მაჩვენებელია, რომ პეტრე იბერი იყო არა დამწყები, არამედ მისი წინამორბედი ქართველების წმ. მიწაზე მოღვაწეობის ღირსეული გამგრძელებელი.

4. არქეოლოგიური და ლიტერატურული მონაცემები უცილობელს ხდის, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებელი იყო პეტრე იბერი და იქვე დაიკრძალა კიდევ. მან წმ. ჯვრის მონასტერი ააგო მანამდე არსებული ქართული სამლოცველოს და სასაფლაოს ადგილას.

5. პეტრე იბერმა „ქართველთა მონასტერი“ (წმ. ჯვრის მონასტერი) დააარსა V საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში.

6. არსებობს მინიშნება, რომ იერუსალიმის მახლობლად დაარსებული წმ. მოწამეთა სახელობის მონასტრის საფუძველი გახდა პეტრე იბერის მიერ კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში ჩატანილი წმ. მოწამეთა ნაწილები. პეტრემ აღნიშნულ ნაწილებთან ერთად წმ. ქალაქში ჩაიტანა აგრეთვე წმ. ჯვრის ფრაგმენტი, რომელიც ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა ყოფილიყო ჯვრის მონასტრის დაარსებისა და მისთვის ამ სახელის მინიჭების საფუძველი.

7. მონასტერს წმ. ჯვრის სახელი დაერქვა, ქრისტიანობის სიმბოლოს მიხედვით.

8. პეტრე იბერის მიერ დაარსებული მონასტრებს ქართველთა ტომობრივი სახელებით (ქართველთა, ლაზთა, იბერთა) იცნობდნენ. პეტრე იწოდებოდა **ქართველად** – (პეტრე **ქართველი**, ე. ი. ქართლელი) და „იყო ძე **ქართველთა** მეფისა“ (ე.

ი. ქართლის მეფისა), ამიტომ, ნიშანდობლივია, რომ მან „თავისა თვისსათვის“ აკებულ წმ. ჯვრის მონასტერს – „**ქართ-**

ველთა მონასტერი“ (ქართლველთა მონასტერი) უწოდა¹. პეტრე **ქართველის** ბიოგრაფი იყო ზაქარია **ქართველი**. ეთნონიმი „ქართველი“ რომ პალესტინაში გავრცელებული და ყველასათვის გასაგები იყო V-VI საუკუნეებში, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს ფურტავის ეპისკოპოს იოანეს საფლავის ქვაზე წაწერილი **„ქართველიც“**.

9. პეტრე ქართველის ეთნონიმად „იბერის“ დამკვიდრება, უეჭველია, მოხდა XIX საუკუნეში იმ ევროპელი მკვლევრების მიერ, რომლებიც სწავლობდნენ ამ გამოჩენილი ქართველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მაშინ ევროპა ქართველებს იცნობდა იბერიელთა სახელით და პეტრეს „ქართველობა“ უფრო გასაგები „იბერობით“ შეუცვალეს, რაც მათი გაგებით, პეტრეს მშობელ ერს არ დააზიანებდა.

10. თვით ბერძენი მკვლევრები აღიარებენ, რომ XI საუკუნეში ქართველებმა აღადგინეს წმ. ჯვრის მონასტერი, რაც სიმართლეს შეეფერება და იმის დასტურადაც გამოდგება, რომ მისი დამაარსებლები ქართველები იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაურკვეველია, ბიზანტიელებმა რატომ მისცეს ქართველებს ამის უფლება.

11. პეტრე იბერის განსასვენებელი მის მიერ დაარსებული წმ. ჯვრის მონასტერი რომ იყო, ამიტომ არის მისი სურათი დახატული ტაძრის კედელზე.

¹ იერუსალიმში, დავითის კოშკთან დაარსებული მონასტერი საერთო, ქართლველთა აღმნიშვნელი ზოგადი ეთნონიმით (იბერთა) იყო წარმოდგენილი. მონასტერი, რომელიც კიდევ ერთი ქართული ტომობრივი სახელით (ლაზთა) იყო ცნობილი, მისი იოანე ლაზთან დაკავშირება შეიძლება. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წმინდა მიწაზე ლაზები, იოანე ლაზის გარეშე, საკმაოდ ცნობილნი იყვნენ „ბესების“ სახელით. ლაზთა (ბესთა) საკითხს სხვა დროს ვრცლად შევეხები.

წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენა

1. წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის ისტორიული წინამძღვრები

სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ სპარსელების მიერ პალესტინის დაპყრობისას, 614 წელს, საშინელი აკლესია-განადგურება განიცადა იერუსალიმში და მისმა მიდამოებმა. თუ ეს მართლაც მოხდა, მაშინ სავსებით გასაგებია, რომ ქალაქის სიახლოვეს მდებარე წმ. ჯვრის მონასტერი საერთო ხვედრს ვერ აიცილებდა. ამას აღნიშნავს წმ. ჯვრის მონასტერში არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი ა. იკონომოპულოსი. ჯვრის მონასტრის არქეოლოგიური შესწავლის შედეგების ანგარიშში მკვლევარი აღნიშნავს, რომ სპარსელების მიერ პალესტინის განადგურების დროს მონასტერი დაინგრა. იგი წერს: „თავდაპირველად ეკლესიას ჰქონდა სამნავიანი ბაზილიკის სახე, გარედან სწორკუთხა მოხაზულობის შევრილი აბსიდიითა და კვადრატული პასტოფორიუმებით მის ორივე მხარეს. ეს ბაზილიკა დანგრეულია 614 წელს სპარსთა შემოსევისას. პირველი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ ეკლესია ხელახლა აიგო ბიზანტიური ერის დასასრულსა და არაბთა დაპყრობების დასაწყისში“¹.

საგულისხმოა, რომ ჯვრის მონასტრის თანადროულად დაინგრა ის სხვა ქართული მონასტრებიც, რომელთა არსებობა მხოლოდ არქეოლოგიური კვლევის შედეგად გახდა ცნობილი და რომელთა შესახებ ზემოთ აღინიშნა. თუ სპარსელებმა ეკლესია-მონასტრები გაანადგურეს, მათი პალესტინიდან განდევნის შემდეგ, რა თქმა უნდა, გადაუდებელ საზრუნავად გადაიქცა წმინდა ადგილების, მათ შორის ჯვრის მონასტრის აღდგენა. 629 წელს ჰერაკლე კეისარმა ბრძანა, სპარსელების მიერ დანგრეული იერუსალიმის ეკლესია-მონასტრები ხაზინის ხარჯზე აღედგინათ. ეს ზოგადი ხასიათის ცნობა არ იძლევა იმის საფუძველს, ვთქვათ, „ეჭვგარეშეა, რომ ეს გეგმა წმინდა ჯვრის მონასტრის განახლებასაც მოიცავდა“. ამ მოსაზრებას, ერთი შეხედვით, თითქოს ის გარემოებაც ამაგრებს, რომ ჰერაკლეს სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობა ჯვაროსნულ ხასიათს ატარებდა (ჰერაკლემ იერუსალიმში დააბრუნა სპარსელების მიერ გატაცებული ქრისტეს ჯვარცმის ჯვარი) და ამიტომ „მო-

¹ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. წინასწარი ანგარიში, 278-279.

ნასტრის რესტავრაცია შეიძლება აღვიქვათ წმინდა ჯვარისადმი იმპერატორის მადლობის ნიშნად სპარსელების წინააღმდეგ ომის წარმატებით დასრულებისათვის¹. ვ. ცაფერისს იმის თქმა უნდა, რომ დასახელებული მონასტერი ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ და კეისარმა ამიტომ მოახდინა მონასტრის რესტავრაცია.

ის, რაც სპარსელებისა და არაბების მიერ ქრისტიანებისა და მათი ტაძრების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებზე ითქვა, ეჭვკეცეშ დააყენა უახლესმა გამოკვლევებმა.

* * *


სპარსელების მიერ პალესტინის დაპყრობისა და მისი შედეგების გადაფასება და სრულიად ახლებური მიდგომა მოცემულია გიდეონ აენის (ისრაელის სიძველეთა გათხრებისა და გამოკვლევის დეპარტამენტის დირექტორი) 2003 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც დღეისათვის ცნობილი მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტის რადიკალურად განსხვავებული გააზრების საშუალებას იძლევა.

საყოველთაოდ ცნობილია ის ისტორიული წერილობითი წყაროები, რომლებიც ასახავს სპარსელების მიერ 614 წელს იერუსალიმის დაპყრობისას ჩადენილ საშინელებებს, მათ მიერ წმ. ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობის, სამღვდელოებისა და ეკლესია-მონასტრების განადგურებას. წერილობითმა წყაროებმა, რიგორც ვ. აენი აღნიშნავს, გავლენა მოახდინა არქეოლოგებზე და ისინი შესასწავლი მასალის მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციამდე მიიყვანა. გაკეთდა ისეთი სერიოზული დასკვნები, რომლებზე დაყრდნობითაც ჩამოყალიბდა ის ცნობილი მოსაზრება, რომლის მიხედვით სპარსელების ლაშქრობამ პალესტინაში დიდი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის შემდგომ განვითარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პალესტინა სპარსელებს დაპყრობილი ჰქონდათ მხოლოდ 14 წელი – 614-628 წლებში და თითქოს ეს გახდა ოცი წლის შემდეგ არაბების მიერ მისი სწრაფად დაპყრობის მიზეზი.

ვ. აენი მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით მიაპყრობს საბაწმინდის მონასტრის ბერის ანტოქიუს სტრატეგიუსის თხზულებას, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი დამპყრობლების მიერ ჩადენილი სიმხეცე. ავტორს გადმო-

¹ The monastery of The Holy Cross, 9; ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, 101.

ცემული აქვს, სპარსელებმა როგორ მოსპეს ქრისტიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ასახელებს 35 მასობრივი დაკრძალვის ადგილს შიგ იერუსალიმში, ზოგიერთი ასეთი ადგილი მითითებულია, აგრეთვე, იერუსალიმის კედლის გარშემო.



იერუსალიმი VII საუკუნეში

არქეოლოგები, ტრადიციულად, უკრიტიკოდ იღებდნენ ისტორიული წერილობითი წყაროების მონაცემებს ძალადობისა და ნგრევის შესახებ, მაშინ როდესაც, გ. აზნის თქმით, იერუსალიმის არქეოლოგიური მონაპოვრის საგულდაგულო ანალიზი არ იძლევა უპირობო მტკიცებულებებს, რომლებიც შეიძლება დაუკავშიროთ სპარსელთა დაპყრობებს.

შესაბამისი მასალის სერუპულოზურმა ანალიზმა იერუსალიმის შემოგარენში წარმოაჩინა ორი ტიპის არქეოლოგიური მონაპოვარი: ერთი მხრივ, არის მასობრივი სამარხები, მეორეს

მხრივ, არ შეიმჩნევა რაიმე კვალი ეკლესიებისა და მონასტრების ნგრევის ან დაზიანებისა ქალაქში ან მის მიდამოებში¹.

იერუსალიმში გათხრილი ყველა ადგილი იმას უჩვენებს, რომ პალესტინაში სპარსელების 614 წლის ლაშქრობისას და არაბების მიერ 636 წელს მისი დაპყრობისას, ქალაქსა და მის შემოგარენში ნგრევა არ ყოფილა.

ადრეული კვლევების შედეგებისაგან განსხვავებით ირკვევა, რომ იერუსალიმს ტაძრის მთის სამხრეთით და „დავითის ქალაქს“ ზარალი არ განუცდია, ქუჩები და სახლები ბიზანტიურ და ადრეულ ისლამურ პერიოდებში განუწყვეტლივ ექსპლუატაციაში იყო. მათ არსებობა შეწყვიტეს შუა საუკუნეებში. ქალაქის ზოგიერთ რაიონში, მაგ., იროდის ჭიშკრის აღმოსავლეთით გათხრებმა აჩვენა, რომ იქ საცხოვრებელი სახლები არსებობდა უწყვეტლივ V-XI საუკუნეებში.

გ. აენის მიხედვით, იერუსალიმის არქეოლოგიური გათხრები ნათელყოფს, რომ სპარსელების მიერ დაპყრობისას არ მომხდარა ეკლესიებისა და მონასტრების განადგურება. არც ერთ ეკლესიასა და მონასტერში არ აღმოჩნდა დამაჯერებელი არქეოლოგიური მტკიცებულება, რომ VII საუკუნის დასაწყისში მოხდა საყოველთაო ნგრევა. იმ ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა, რომელთა შესახებაც მოღწეულია ცნობა მათი განადგურების შესახებ, სინამდვილეში არსებობდა ადრეულ ისლამურ პერიოდშიც. ეს განსაკუთრებით დადასტურდა ბიზანტიური იერუსალიმის გარშემო არსებული უძველესი სამონასტრო კომპლექსების ბოლოდროინდელი კვლევის შედეგად, ნათელი შეიქმნა, რომ მეშვიდე საუკუნის დასაწყისში არავითარი ნგრევა და დაზიანება არ ყოფილა. ისინი არსებობას განუწყვეტლივ განაგრძობდნენ VII-IX საუკუნეებში.

თავისი ნაშრომის დასკვნაში გ. აენი აცხადებს, რომ *„ჩვენთვის ცნობილი დრამატული ისტორიული აღწერებისაგან განსხვავებით, მასალა გვიჩვენებს, რომ სპარსელთა მიერ დაპყრობის დროს იერუსალიმში არ მომხდარა ქრისტიანული მოსახლეობის ამოწყვეტა კიდევ უფრო დაუჯერებელია ქრისტიანული ეკლესიებისა და მონასტრების მიერ განცდილი განსაკუ-*

¹ იერუსალიმის ადების შემდეგ ხალიფა ომარს მცხოვრებლებისათვის პირობა მიუცია, რომ ეკლესიები, ჯვრები და სხვა, ქრისტიანებისათვის ძვირფასი სიწმინდეები ხელუხლებელი დარჩებოდა. Goeje M. J. De, Mémoire sur la conquête de la Syrie, 1900, 153; Медников Н. А., Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам, Санкт-Петербург, 1902, 531

თრებული ზარალი. არქეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს რამდენიმე მასობრივ სამარხს მთელ ქალაქში, მაგრამ არ ჩანს დიდი მასშტაბით საცხოვრებელი რაიონების და ეკლესიების განადგურების მტკიცებულება. ქალაქმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მხოლოდ ტაძრის მთაზე ისლამის პერიოდში, იმ დროს, როდესაც ქალაქის სხვა რაიონებში ყვაოდა ქრისტიანული კვარტალები.

სპარსელების მიერ იერუსალიმის დაპყრობა იყო მხოლოდ ერთი სამხედრო ეპიზოდი იმ ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა, რომელიც დასრულდა ჯვაროსნების მიერ პალესტინის დაპყრობით. ამგვარად, სპარსელების მიერ იერუსალიმის დაპყრობა განხილული უნდა იქნეს, როგორც ერთი ეპიზოდი, რომელსაც უმნიშვნელო როლი ჰქონდა ამ რეგიონის ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში⁴.

ბოლო დროს რადიკალურად განსხვავებული მიდგომა და შეფასება შეიმჩნევა ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ისტორიული ურთიერთობის ისეთი უსიამოვნო მაგალითის გაშუქებისას, როგორცაა ეგვიპტის ფატიმიდი სულთნის ალ-ჰაქიმის მიერ უპირველესი ქრისტიანული სიწმინდის, ქრისტეს საფლავის ტაძრის დანგრევა 1009 წელს (ზოგიერთი ცნობით 1010 წელი).

ამ ტაძრის აღდგენა მიმდინარეობდა 1010-1048 წლებში. როგორც მოგზაური პაულ გლაბერი აღნიშნავდა, ქრისტიანული სამყაროს ყოველი მხრიდან მოედინებოდა შესაწირავები და მოისწრაფოდნენ მომლოცველები. შემწირველებს სათავეში ედგნენ იმპერატორები: რომან არგირი, მიხეილ პაფლაგონელი, განსაკუთრებით კი კონსტანტინე IX მონომახოსი. სავარაუდოა, ტაძრის მშენებლებს ეხმარებოდნენ ქართველი მეფეები გიორგი I (1014-1027), ბაგრატ IV (1027-1072), მისი დედა დედოფალი მარიამი, რომლებმაც 1056 წელს ძვირფასი შესაწირით იერუსალიმში გაგზავნეს გიორგი მთაწმინდელი, ხოლო წმ. საფლავთან 1049 წელს უკვე არსებობდა ქართველთა ძმობა².

თურმე არსებობს ზემოაღნიშნულის უარყოფელი დოკუმენტები, რომელთა გაცნობის საშუალება არ მქონდა. ისინი თითქოს ნათელს ხდიან, რომ ალ-ჰაქიმის დროს მსგავსი არა-

¹ The Persian Conquest of Jerusalem (614 CE) – An Archeological Assessment, By Gideon Avni Director, Excavations and Surveys Department Israel Antiquities Authority, 2003. <http://www.bibleinterp.com/articles/pers357904.shtml>

² Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 43-44.

ფერი მომხდარა. მოხდა ის, რომ უმთავრეს ქრისტიანულ კონფესიებს ჩამოერთვათ ქრისტეს საფლავის ტაძრის ტრადიციული მართვის უფლება და გადაეცათ ნესტორიანელებსა და იაკობიტელებს. ტაძარს მიაღმა ზოგიერთი მატერიალური ზარალიც, რაც განახორციელა რამალას ემირმა ალ-ჰაქიმის ბრძანებით. ამ ღონისძიების მიზანი იყო ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი იერუსალიმის ქრისტიანული თემის დასუსტება. ევროპაში კი ხმა გაერცვლდა მუსლიმანების მიერ უფლის საფლავის ტაძრის დანგრევის შესახებ, რასაც, ბუნებრივია, დიდი რეზონანსი ჰქონდა და იგი გახდა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებისათვის პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაბი¹.

* * *

იერუსალიმში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ახლებურად და, ჩემი აზრით, ობიექტურად შეფასებას თუ გავითვალისწინებთ, რომელიც სპარსელთა მიერ ეკლესია-მონასტრების შეგნებულად და მასობრივად ნგრევას გამორიცხავს, იმ დასკვნამდე მივალთ, წმ. ჯვრის მონასტერიც გადარჩა და იგი საომარი მოქმედების ან სადამსჯელო ღონისძიებების შედეგად არ დაზიანდა. თუ ეს ასე იყო მაშინ დგება კითხვა: როგორ უნდა მოეხდინა დაუზიანებელი მონასტრის რესტავრაცია ჰერაკლე კეისარს, რასაც ვ, ცაფერისი მხოლოდ ლოგიკურად ვარაუდის დონეზე აღნიშნავს. იმისათვის, რომ წმ. ჯვრის მონასტერი ბიზანტიელთა მონასტრების წრეში მოაქციოს, მას საბუთი არ გააჩნია.

ქართულ მხარეს კი შეუძლია, დასმულ კითხვას პასუხი გასცეს: დაუშვავთ, კეისარმა ჯვრის მონასტრის მიმართ ყურადღება მართლაც გამოიჩინა და მისი მიმდინარე რემონტისათვის ხარჯები გაიღო, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი ქართველებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით, რასაც გადმოგვცემს ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე პორფიროგენეტი თავის წიგნში – „იმპერიის მართვის შესახებ“. იმპერატორი, ვფიქრობ, საკმაოდ სწორ და ობიექტურ წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა მდგომარეობასა და გავლენაზე წმინდა

¹ <http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%BB%D1%8C-%D0%A5%D0%B0%D0%B8%D0%BC-%D0%B1%D0%B8-%D0%90%D0%BC%D1%80%D0%B8%D0%B0%D0%BB%D0%B0%D1%85>

ქალაქში ადრინდელი ქრისტიანობის ხანგრძლივ პერიოდში – IV-X საუკუნეებში.

იმპერატორი ჯერ ლაპარაკობს იბერთა იერუსალიმური წარმომავლობისა და, აქედან გამომდინარე, წმინდა ქალაქისადმი მათი მუდმივი ინტერესის შესახებ. იგი ამის შემდეგ გადმოგვცემს: „როდესაც ირაკლი მეფემ გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ, ისინი (იბერები – ე. მ.) მას შეუერთდნენ და მასთან ერთად ილაშქრეს, მას აქეთ მათ დაიმორჩილეს სპარსელთა საკმაო ქალაქები და ქვეყნები...“¹ კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ნათქვამთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ირანის წინააღმდეგ ომის დროს ჰერაკლე კეისარს მართლაც ესმარებოდნენ ქართველები – იბერიელები, ეგრისელები და აფხაზები. ქართველთა ის ნაწილი, რომელიც ადარნასეს ხელმძღვანელობით კეისარს დაუდგა მხარში, დიოფიზიტები იყვნენ, მონოფიზიტებს კი პროირანული პოზიცია ეკავათ და, სავარაუდოა ისინი იყვნენ ქართლში ბიზანტიელთა სასტიკი მოწინააღმდეგენი². ქართველ მონოფიზიტებს ეცოდინებოდათ, როგორ გაუსწორდა იმპერიის ხელისუფლება მათ თანამოაზრეებს სირია-პალესტინაში. ამიტომ სრულიად ლოგიკური იყო მათი უნდობლობა ბიზანტიის ხელისუფლებისადმი. ჰერაკლემ იგივე გაიმეორა ქართლში ყველა მონოფიზიტის ანუ ანტიქალკედონიკის მიმართ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს: „ამან ერაკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჟარმოს განავლინა ქდავნი, რაჲთა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ მონათვლაჲ არა ინდომეს, ზაკუვით თანა აღერივნეს, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარმართთა მეფემან იკადა მახული. და ეკლესიათა შინა მდინარენი დიოდეს. და განწმიდა ერაკლე მეფემან სჯული ქრისტესი და წარვიდა“³.

¹ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, 255-260.

² იორდანიის კრონ-პრინცი ალ-ჰასან იბნ ტალალი აღნიშნავს, რომ „სპარსელი დამპყრობლები, სადაც არ უნდა შეჭრილიყვნენ, სარგებლობდნენ ადგილობრივი მონოფიზიტი მოსახლეობის მხარდაჭერით (უკიდურეს შემთხვევაში, წინააღმდეგობას მაინც არ ხვდებოდნენ)“. ალ-ჰასან იბნ ტალალი, ქრისტიანობა არაბულ სამყაროში. ქართულად თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო მედეა აბაშიძემ, თბ., 2009, 54.

³ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, გვ. 96. ადრექრისტიანულ ლიტერატურაში ზოგჯერ წარმართებს უწოდებდნენ განსხვავებული კონფესიის ადამიანებს

ჰერაკლე კეისარის მიერ ამოწვევტილ ურწმუნოებში აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელების მიერ მაზდეანობაზე გადაყვანილი და იმავე სპარსელების მიერ მხარდაჭერილი ქართველი მონოფიზიტები უნდა იგულისხმებოდნენ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი იმის ახსნასაც იძლევა, რატომ არიან ქართველები წმ. ქალაქთან მტკიცედ დაკავშირებული: „*რადგან ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალიმიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს...*“⁴

კონსტანტინე პორფიროგენეტი X საუკუნის (912-959 წწ.) იმპერატორი და ის მოღვაწეა, რომელიც კარგად ერკვეოდა როგორც თანამედროვე, ისე ადრინდელი პალესტინის და წმ. ქალაქის წარსულში და თავისი წინამორბედი კეისრების საქმიანობაზეც გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა. ის ამბობს, რომ ჰერაკლეს კარგი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდა ქართველებთან, რაც საგულისხმოს ხდის იმის ვარაუდს, რომ კეისარს შეიძლებოდა წმ. მიწაზე არსებული ქართული სიწმინდეებისადმი ყურადღება გამოეჩინა და ქართველ ბერებს ჯვრის მონასტრის შეკეთებაში დახმარებოდა, თუკი მას ამგვარი რამ სჭირდებოდა.

პორფიროგენეტი ნათელს ხდის, აგრეთვე, ქართველების საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობას წმ. მიწასთან VII-X საუკუნეებში. საქართველოდან იერუსალიმში „უხვად“ ფულის გაგზავნა, რაზეც იგი გადმოგვცემს, გულისხმობს ინტენსიურ მოძღოლცველობას. იმ დროს იერუსალიმში ფულის წაღება არ იყო მხოლოდ რელიგიური და ჰუმანური აქტი, ქართველებს პირადი ინტერესებიც ჰქონდათ – დახმარება გაეწიათ იქ მოღვაწე თანამოძმეებისა და მათი სამყოფელი სიწმინდეებისათვის.

ინგლისელი ისტორიკოსი გ. ფინლეი გვთავაზობს ერთ უაღრესად საინტერესო ცნობას სპარსეთიდან იერუსალიმში დაბრუნებული გამარჯვებული ჰერაკლე კეისარისა და ქართველების ურთიერთობაზე: მანამდე ვიდრე კონსტანტინოპოლში დაბრუნდებოდა ჰერაკლემ აღადგინა უფლის საფლავის ტაძარი და „*იმისათვის რათა არ მომხდარიყო რაიმე ცვლილება მის*

ან ხალხებს, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსაც კი. შეიძლებოდა დიოფიზიტს მონოფიზიტი, ან პირიქით, მოესხენიებინა წარმართობით.

¹ გეორგიკა, IV, ნაკვ. II, 260.

ადგილმდებარეობაში (სპარსელების მიერ აკლების შემდეგ), ისარგებლა მითითებით იბერიელებისა, რომლებსაც ჩვეულებად ჰქონდათ წმ. საფლავთან სიარული მოსალოცავად⁴.

კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებიდან ამონარიდთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა იერუსალიმიდან შემოვიდა და მისი გამარჯვება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც იერუსალიმიდან მოსულ წმინდა ნინოს სახელს დაუკავშირდა. აქედან მოყოლებული, ქართველთა დამოკიდებულება წმ. ქალაქისადმი სრულიად გამორჩეული იყო. ამ გარემოებამ განაპირობა ქართული ეკლესიის იერუსალიმური ეკლესიის მიბაძვით მოწყობაც, რაც ადრე შუა საუკუნეებში წმ. ქალაქთან მუდმივი კონტაქტის მაუწყებელი არის². „ქართული ეკლესიის პალესტინურთან ასე მჭიდრო ურთიერთობით აიხსნება ის, რომ საქართველოში საეკლესიო და საღვთისმსახურო წესები X საუკუნემდე სირიულ-პალესტინური იყო და არა ბიზანტიური“³.

პალესტინაში არაბთა ბატონობამ თანდათან მოშალა სამონასტრო ცხოვრება და მრავალი ეკლესია-მონასტერი, თუნდაც ისინი არაბებს არ დაენგრიათ, მაინც დაქვეითების გზას დაადგებოდა. როგორც სხვა ქრისტიანების, ასევე ქართველი ბერმონაზვნების რაოდენობა უადრესად შემცირდა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს იმ მიწისადმი, სადაც ბიზანტიურ პერიოდში სერიოზული წარმატებები ჰქონდათ.

არაბების მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ რომ იქ ქართველები, სხვა ქვეყნების ქრისტიანებთან შედარებით, თავიანთი რიცხოვნობითა და გავლენით ანგარიშგასაწვევი იყვნენ, გამომჩნდა 637 წელს ხალიფა ომარ იბნ ალ-ჰატაბის ედიქტში, რომლითაც ქართველებსა და ეთიოპებს ეკლესიური ავტოკეფალია მიანიჭა, ყველა დანარჩენი ქრისტიანები კი იერუსალიმის პატრიარქს დაუქვემდებარა⁴.

¹ Финлей Г. Греция под римским владычеством со времени завоевания римлянами до падения империи их на Востоке, Москва, 1877, 432.

² მამისთვალისიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 7-68; მგალობლისიშვილი თ., მცხეთა – ქართველთა ახალი იერუსალიმი. გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის „შრომათა კრებული“, №2, თბილისი, 2011, 83-97.

³ თარხნიშვილი მ., წერილები, 34.

⁴ Кобищанов Ю. М., Грузины в Египте и Эфиопии (V-XVII вв.). Африка глазами наших соотечественников, Москва, 1974, 84.

2. საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობა – წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის წინაპირობა

არაბთა ბატონობის დაკნინებამ საქართველოსა და პალესტინაში, დღის წესრიგში დააყენა იერუსალიმში საქართველოს შესუსტებული პოზიციების აღდგენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რეკონსტრუქციასაც გულისხმობდა. მაგრამ ამის მიღწევა პალესტინის მაშინდელი მფლობელი ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფას ნებართვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. საჭირო იყო ისეთი ხელსაყრელი მომენტის დადგომა, როდესაც საქართველოს და ეგვიპტის ინტერესები ერთმანეთს მიესადაგებოდა. ასეთი მომენტი დადგა XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც დასახელებულ ორივე სახელმწიფოს ბიზანტიის იმპერიის სახით ერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

საქართველოს ეგვიპტესთან პირველი დიპლომატიური კონტაქტი განპირობებული იყო ბიზანტიასთან დაპირისპირებით, ე. წ. დავით კურაპალატის მემკვიდრეობის გამო. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ამ ეპიზოდის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა XI საუკუნის ქრისტიანმა არაბმა ისტორიკოსმა იაჰია ანტიოქიელმა. როგორც ცნობილია, დავით კურაპალატი ბასილ კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო. 989 წელს ფოკა მოულოდნელად გარდაიცვალა. კეისრის რისხვის თავიდან აცილების მიზნით, როგორც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, „დავით ქართველთა მეფემ პატიება და შეწყალება ითხოვა, ბასილს მორჩილება განუცხადა და აღუთქვა, ვინაიდან თვითონ ძალიან მოხუცი იყო, ხოლო ვაჟი და სხვა მემკვიდრე არ გააჩნდა, – გარდაცვალების შემდეგ თავისი სამფლობელო მის სახელმწიფოს შეერთებოდა“⁴. გიორგი I-მა (1014-1027) ბასილ II-ის ბულგარელებთან ომის დროს (1014-1018), ისარგებლა ბიზანტიელების გაჭირვებით და სამხრეთ ტაოში შეიჭრა. იაჰია ანტიოქიელი შემდეგ გადმოგვცემს: „აბხაზთა მეფე ვიორგიმ განიზრახა ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოს განაპირა ოლქებისათვის და დაუფლებოდა იმ სიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დავით კუროპა-

⁴ სილაგაძე ბ., იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის პირველ მეოთხედში. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VI, თბილისი, 1985, 115. ბუაჩიძე გ., საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში). *ქართული დიპლომატია*, წელიწადეული, 4, თბილისი, 1997, 39.

ლატმა ბასილ მეფეს დაუთმო. როდესაც მეფემ ბულგარეთი დაიპყრო, მიზანს მიაღწია და კონსტანტინოპოლს დაბრუნდა, აფხაზთა ამ მეფემ – გიორგიმ საჭიროდ არ სცნო თავისი შეცდომის გამოსწორება, თავი შეეკავებინა (მის წინააღმდეგ) მოქმედებაზე და აღეთქვა ერთგულება, როგორც ამას აკეთებდა მისი მამა და ბიძა. იგი ყოყონობდა. ჭიუტად იდგა თავის მცდარ პოზიციაზე და მიმოწერას აწარმოებდა აღ-ჰაქიმთან იმის შესახებ, რომ გაერთიანებულიყვნენ ბასილის წინააღმდეგ საომრად და თითოეულ მათგანს განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან¹. კეისარმა გიორგი მეფეს ულტიმატუმი წაუყენა.

იაჰია ანტიოქიელის გადმოცემა გვაფიქრებინებს, რომ გიორგი I-მა გაითვალისწინა ბიზანტიასთან ომის სირთულე და შეეცადა მოკავშირე მოეძებნა. როგორც ითქვა, მან ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ დაიგულა ეგვიპტის ფატიმიანთა სახალიფო, რომელიც დიდად დაინტერესებული იყო ბიზანტიის დასუსტებით. ზუსტად არ არის ცნობილი, როდის ან როგორ მიიღეს ქაიროში საქართველოს მეფის წინადადება. ქართველი ელჩი ქაიროში უნდა ჩასულიყო ბასილ კეისრის მიერ ბულგარელების დამარცხების შემდეგ, 1019 ან 1020 წელს და „როცა ჰალაბისათვის მეტოქეობამ ფატიმიანები და ბიზანტია ომის ზღვარზე დააყენა“². როდესაც ქართველი მეფის მიერ გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯის შესახებ „ამბავმა ბასილ მეფემდე მიაღწია. იგი რისხვით აღივსო გიორგის მიმართ, მაგრამ თავის გულში ნადები არავისთვის გაუმხელია. მან სირიაში სალაშქროდ მომზადება ბრძანა და კონსტანტინოპოლიდან ფილიმილს გაემგზავრა... ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იგი ნამდვილად სირიას დაესხმოდა თავს. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მეფე ფილიმილში იმყოფებოდა, მოხდა აღ-ჰაქიმის გაუჩინარება³ და იგი მაშინვე აფხაზებთან საომრად

¹ სილაგაძე ბ., იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ, 116

² ბუაჩიძე გ., საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო 50. განსხვავებული მოსაზრება იხ. გაბაშვილი ვ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968, 66; სილაგაძე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბილისი, 1991, 192.

³ თავისი მმართველობის ბოლო წლებში ჰაქიმი სულ უფრო ასკეტიზმისაკენ იხრებოდა და მედიტაციისათვის ხშირად ღამით განმარტოვდებოდა ხოლმე. 1021 წლის 12-13 თებერვლის ღამეს, 36 წლის ასაკში, ჰაქიმი კაიროს მახლობლად მუკატამის ბორცვზე ავიდა და აღარ დაბრუნდა. ძეხნისას

დაიდრა⁴.

ფატიმიანთა ხალიფასთვის, რომელიც ბიზანტიასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, გიორგი I-ს წინადადება მისაღები იქნებოდა. „ბასილ II-ის მძაფრი რეაქცია, რის შესახებაც წერს იაჰია, იმაზე მიუთითებს, რომ ფატიმიანთა სახალიფოსა და საქართველოს სამხედრო კავშირს რეალური საფუძველი ჰქონდა“².

მართალია, არავითარი ცნობა არ გავგაჩნია, მაგრამ შეიძლება დაგუშვათ, რომ ალ-ჰაქიმის მიერ 1020 წლის შემოდგომაზე ქრისტიანების მიმართ პოლიტიკის შეცვლა, როცა მან განდევნილ-გაქცეულ ქრისტიანებს ნება მისცა უკან დაბრუნებულყვნენ, ძალით გამუსლიმანებულებს შეეძლოთ კვლავ ქრისტიანობა ელიარებინათ, *აღედგინათ დანგრეული ეკლესია-მონასტრები და ხელისუფლებას დაებრუნებინა ჩამორთმეული ქონება*³, *ვფიქრობ, ქართველ ქრისტიან მეფესთან მოლაპარაკების შედეგი იყო.*

ალ-ჰაქიმის და სხვა ხალიფებისთვისაც, საერთოდ, დამახასიათებელი იყო ქრისტიანულ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგებისათვის მოლაპარაკებების დროს ქრისტიანების საკითხის წინ წამოწევა და მათი მდგომარეობის დროებით შემსუბუქება მაინც. ასე მოხდა 1001 წელს ბასილ II-სა და ალ-ჰაქიმს შორის ზავის დადების შემდეგაც. ქრისტიანებმა სახალიფოში მიიღეს რელიგიური თავისუფლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენის უფლება⁴. იგივე განმეორდა ალ-ჰაქიმის სიკვდილის შემდეგ (1021 წ.). ხალიფად გამოცხადდა მისი ვაჟი აზ-ზაჰირი, მაგრამ მთელი ძალაუფლება მამიდის, სით ალ-მულქის ხელში აღმოჩნდა. ახალმა ხალიფამ და მისმა რეგენტმა ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარება განიზრახეს. ამისათვის მათ უცხოეთში გადახვეწილ ქრისტიანებს ეგვიპტეში დაბრუნების ნება მისცეს და ამის შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი ნიკიფორე საზავო მოლაპარაკებისათვის კონსტანტინოპოლში მიავლინეს. მოლაპარაკება მიმდინარეობდა 1023-1024 წლებში. სახალიფო კეისარს სთავაზობდა, „რომ დააბრუნებდა

იპოვეს მხოლოდ მისი სახედარი და სისხლიანი ტანსაცმელი. მისი გაქრობა გამოცანად რჩება.

¹ იაჰია ანტიოქიელის ცნობები, 116; ბუაჩიძე გ., საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო, 39.

² ბუაჩიძე გ., საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო, 51.

³ Медников Н. А., Палестина от завоевания ее арабами..., 856

⁴ იხ. История Византии, Москва, 1967, 224-225.

ყველა კონფისკირებულ ეკლესიას, განაახლებდა აღდგომის ეკლესიას იერუსალიმში და ყველა სხვა ეკლესიას ეგვიპტესა და სირიაში, დაუბრუნებდა მათ თავიანთ ქონებას, სამართლიანად მოეპყრობოდა ქრისტიანებს და იზრუნებდა მათზე. სით აღ-მულქი ბასილს სთხოვდა, თავისუფლება მიეცა ბიზანტიასა და ფატიმიანებს შორის ვაჭრობისათვის და დაეწყოთ ამ საკითხის მოგვარება და შერიგება“: მოლაპარაკება შეწყდა სით აღ-მულქის სიკვდილის გამო. პატრიარქი ნიკიფორე უკან დაბრუნდა¹.

ქრისტიანების საკითხი დღის წესრიგში იდგა ბიზანტია – ფატიმიანთა სახალიფოს საზავო მოლაპარაკებების დროს 1027-1028, 1031-1032 წლებში.

1036 წლის ივნის - სექტემბერში ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით, ბიზანტიელებმა 5 ათასი მუსლიმანი ტყვე გაათავისუფლეს, სამაგიეროდ აღდგომის ეკლესიის აღდგენის და იერუსალიმის პატრიარქის დანიშვნის უფლება მიიღეს².

ზავის დადების შემდეგ იერუსალიმის ქრისტიანულმა თემებმა მრავალი ეკლესია აღადგინეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღდგომის ეკლესიის აღდგენას, რაშიც მონაწილეობდა თითქმის ყველა ქრისტიანული ქვეყანა. ქართველებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და ეკლესია დასრულებული იქნა 1048 წელს. ალბათ, დიდი დამსახურების გამო იყო, რომ მათ გოლგოთაზე გარკვეული უფლებები მოიპოვეს და ადგილიც დაიმკვიდრეს. ამას ამტკიცებს 1049 წელს გადაწერილი ივლის-აგვისტოს „თვენი“ და ისიც, რომ ანდერძ-მინაწერში ხელნაწერის „მომგებელი“ (სასყიდლის მომცემი) იოვანე „გოლგოთელად“ მოიხსენიება³. დაახლოებით 1050 წელს ბაგრატ კურაპალატმა ბიზანტიის კეისრისაგან გოლგოთის თხემის ნახევარი მიიღო, სადაც ქართველი ეპისკოპოსიც დაინიშნა⁴, ეს კი იერუსალიმში ქართული თემის სიმრავლესა და გავლენაზე მიუთითებს.

პალესტინაში შეცვლილი პოლიტიკური კლიმატი, ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ნება და იერუსალიმელი ქართველების წარმატებული მდგომარეობა, სრულ შესაძლებლობას ქმნიდა, რომ

¹ ბუანიძე გ., საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო, 56-57; ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაარსება, 140.

² ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაარსება, 141.

³ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, 0173.

⁴ უანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 8.

მათ ეზრუნათ თავიანთი ტაძრების აღდგენაზე. ბუნებრივია, რომ ქართველებმა, უპირველეს ყოვლისა, უმთავრესი, იერუსალიმის გარეთ არსებული ქართველთა მონასტრის ეპოქის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით აღდგენა-გადაკეთება გადაწყვიტეს. წერილობითი წყაროები მხოლოდ ამ ერთი, წმ. ჯვრის სახელით ცნობილი მონასტრის აღდგენაზე გვაცნობებენ. როგორც გ. ჯაფარიძე ფიქრობს, ჯვრის მონასტრის მშენებლობის დაწყების უფლების მოპოვება ქართველებს უნდა გაადვილებოდათ ეგვიპტესა და ბიზანტიას შორის 1036 წელს დადებული საზავო ხელშეკრულების შემდეგ¹. მაგრამ მხედველობაში მისაღებია, რომ რადგან საქართველო და ფატიმიანების ეგვიპტე ბიზანტიის იმპერიის სახით მუდმივ მტერს, ხოლო ერთმანეთში კი ბიზანტიის წინააღმდეგ პოტენციურ მოკავშირეს ხედავდნენ, ამის გათვალისწინებით *შეიძლება დაფიქსირდეს, რომ ეგვიპტის მბრძანებლები საქართველოს ხელისუფლების თხოვნა-სურვილებს გარკვეულ ანგარიშს უწყევდნენ. ვფიქრობ, ქართველებს უფლება ექნებოდათ, ბიზანტიელებზე ადრეთუ არა, ქრისტეს საფლავის ტაძრის აღდგენის პარალელურად მაინც, ჯვრის მონასტრის შეკეთება-გადაკეთება მოეხდინათ.*

როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, საქართველო-ეგვიპტის კონტაქტები გრძელდებოდა. XI ს. 40-იან წლებში მათ შორის ურთიერთობა ახალ იმპულსს იძენს ბიზანტიის საქართველოს წინააღმდეგ გააქტიურების გამო. საქართველოს ეგვიპტესთან საკმაოდ მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებს 1047 წელს, ნილოსზე არხების გახსნის დღესასწაულში ქართველი უფლისწულების მონაწილეობა, რასაც არაბი ისტორიკოსი ნასირ-ი ხოსროუ გვამცნობს: დღესასწაულზე იმყოფებოდნენ „მელიქზადეები და ფადიშაჰზადეები, რომელნიც ქვეყნიერების ყოველი მხრიდან იყვნენ მოსულნი. ისინი არ ითვლებოდნენ ლაშქრისა და მხედრობის რიცხვში. იქ იყვნენ მალრიბის, იემენის, რუმის, სლავთა ქვეყნის, ნუბიის, აბისინიის დიდებულთა შვილები. მოსული იყვნენ აგრეთვე ხოსრო დეჰლევის შვილები დედის თანხლებით. ქართველ მეფეთა ვაჟიშვილები, დეილემელი უფლისწულები და თურქესტანის ხაყანის ძენი“².

ვ. გაბაშვილი ნასირ-ი ხოსროუს გადმოცემის გამო აღნიშნავდა, რომ „ქართველი მეფეების ვაჟიშვილებიდან“ ერთი უნდა

¹ ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაარსება, 141.

² გაბაშვილი ვ., საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, 69-70.

ყოფილიყო კახეთის მეფისა. ამ დროს კახეთი დამოუკიდებელი სამეფო იყო. მეორე კი გაერთიანებული საქართველოს მეფისა¹.

საქართველოს ეგვიპტესთან ჰქონდა ეკონომიკური ურთიერთობა, მაგრამ ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი იყო რელიგიურ-იდეოლოგიური ფაქტორიც². ამ უკანასკნელზე მსჯელობის უფლებას გვაძლევს თვით ნასირ-ი ხოსროუს ბიოგრაფია. ფატიმიანმა ხალიფამ ის ხორასნისა და საქართველოს ჰუჯად დანიშნა. „ჰუჯა“ ანუ „ჰუჯათ“ ეწოდებოდა მთავარ „დაის“, რომლის მოღვაწეობა განსაზღვრული იყო გარკვეული ტერიტორიით. მას ემორჩილებოდა მცირე „დაიები“. ნასირ-ი ხოსროუს, როგორც საქართველოს „ჰუჯას“, მეთვალყურეობა უნდა გაეწია თბილისის საამიროში მოღვაწე „დაიებისათვის“³. მცირე „დაის“ მოვალეობა იყო ისმაილიტური პროპაგანდა და ახალმოქცეულთა რიცხვის გაზრდა. ისმაილიტები ყველგან იყვნენ და ყველგან მოქმედებდნენ. ისინი „დროებით იმამად“ აღიარებდნენ ფატიმიან ხალიფას. ისმაილიტების აზრით, მას უნდა დამორჩილებოდნენ მუსლიმანები და ქრისტიანებიც⁴.

საქართველოს მეფეებს მფარველობა უნდა გაეწიათ თბილისის საამიროში ისმაილიტებისათვის. XIII-XIV საუკუნეების ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ისმაილიტებს „მულიდი“ ეწოდებათ. ჟამთააღმწერელის განმარტებით, „კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან“⁵.

XI საუკუნეში, როცა თბილისის საამირო ჯერ ისევ არსებობდა და ბიზანტიის შემოტევა საქართველოზე სულ უფრო ძლიერდებოდა, „საქართველოში არ უნდა გამოეჩინათ მტრული დამოკიდებულება ისმაილიტების მიმართ. ამას თავისთავად გამორიცხავდა ეგვიპტესთან ურთიერთობა. პირიქით... ადვილი შესაძლებელია სწორედ თბილისის საამიროს ქალაქებში მცხოვრები ისმაილიტების საშუალებით დაემყარებინა საქართველოს მეფეს კავშირი ეგვიპტესთან“⁶.

ზემოაღნიშნულ იმ სხვადასხვა მომენტებთან ერთად, რომლებიც განაპირობებდა საქართველოს ურთიერთობას ეგვიპტესთან, მნიშვნელოვანი იყო ახლო აღმოსავლეთში არსებული სიწმინდეების საკითხიც. მხოლოდ ეგვიპტის სულთნებს შეეძ-

¹ გაბაშვილი ვ., საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, 70.

² გაბაშვილი ვ., საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, 71.

³ გაბაშვილი ვ., საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, 73.

⁴ გაბაშვილი ვ., საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, 73.

⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 208.

⁶ გაბაშვილი ვ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, 76.

ლოთ ყოფილიყვნენ მათი მფარველები და მხოლოდ მათი ნებართვით შეეძლოთ ქართველებს, კავშირი ჰქონოდათ ქართულ ან არაქართულ სიწმინდეებთან.

ჯვაროსნულ ომებამდე საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მისი გათვალისწინება ნათელს გახდის ამ ორი ქვეყნის ჯვაროსნობის შემდგომი პერიოდის კარგი ურთიერთობის აღდგენა-გაგრძელებას.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენით იწყება ქართველების წმინდა მიწაზე მოღვაწეობის ახალი ეტაპი, რომელიც განპირობებული იყო XI საუკუნის პირველ მესამედში მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი სერიოზული პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებით, აუცილებელი იყო იმ ძალების მხარდაჭერა, რომლებიც პირველხარისხოვან როლს თამაშობდნენ წმ. მიწაზე¹.

3. ლეგენდების მნიშვნელობა წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენისათვის

არ ვიცით, როგორი იყო მონასტრის არსებობის ერთი, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი – VII-XI ს. პირველი მეოთხედის ჩათვლით. ამ დროის განმავლობაში, როგორც ჩანს, მართალია, იგი ფიზიკურად არსებობდა, მაგრამ რეგიონში სერიოზულად შეცვლილი პოლიტიკურ-რელიგიური ვითარებისა და სამონასტრო ცხოვრების გაგრძელებისათვის აუცილებელი ფინანსების ნაკლებობის შედეგად, იქ შემცირდა ბერმონაზვნების რაოდენობა და მოძველებული ნაგებობაც აუცილებელ აღდგენას მოითხოვდა. მაგრამ ეს არ მიიღწეოდა შეცვლილი გარემოს მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. მონასტრის ოდინდელი დიდების აღდგენის სურვილი ქართველებში იმდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ მისი დაარსების ისტორიული ლეგენდისათვის, რომელიც ჯვართან იყო დაკავშირებული², საჭირო იყო ახალი, კიდევ უფრო მეტი თეორიული საფუძვლის შექმნა

¹ გაბაშვილი ვ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, 55-81; ცქიტიშვილი ო., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია*, 4, 1968, 115-133; ბუაჩიძე გ., საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახელმწიფო, 39-57; ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება, 139-142.

² იხ. ზემოთ: მონასტრის იდენტობის საკითხი და აღტერნატიული სახელების ინტერპრეტაცია.

და ცხოველი ინტერესის გამომწვევი ლეგენდით გამდიდრება. სავარაუდოა, ქართველების მიერ იმის მტკიცება, რომ მონასტრის ნაგებობა მათ ეკუთვნოდათ და ჯვარის სახელს ატარებდა, მუსლიმანი ხელისუფლებისათვის ბევრი არაფრის მთქმელი იყო. ამიტომ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იქმნებოდა და იხვეწებოდა ისეთი ლეგენდა, რომელიც მონასტრის ადგილსა და განადგურებამდე მისულ ნაგებობას უფრო განადიდებდა და შთაბეჭდილებას მოახდენდა ეთნიკურად და რელიგიურად შეცვლილ პალესტინის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით მუსლიმანებზე. ეს იყო ლეგენდა, „*შეწყნარებული მამათა მიერ ეკკლესიისა და წმ. იოანე დამასკელის მიერ და სხვათა გალობის მოხვზელთა ქრისტიანობრივის ეკკლესიისა, შეიქმნა საფუძვლად აღშენებისა ამ ადგილზედ სავანისა და სახელწოდებისა მისისა მონასტრად პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა*“⁴.

მონასტრის აღდგენით დაინტერესებულმა ქართველებმა ერთმანეთთან დააკავშირეს უძველესი დროიდან არსებული ბიბლიური ლოტის ლეგენდა და ჯვარის ხის ლეგენდა. მართალია, XI საუკუნემდე ჯვარის სახელის მატარებელი მონასტერი დღეისათვის ცნობილ წერილობით წყაროებში არ მოიხსენიება (არ მოიხსენიება ის ქართული ტაძრებიც, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად იერუსალიმსა და მის მახლობლად გამოვლინდა), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყველა ქართული ტაძარი იმ უძველეს პერიოდში ცნობილი იყო ქართული ტომობრივი სახელებით: ქართველთა, იბერთა და ლაზთა. სხვადასხვა მიზეზთა გამო მათი სახელები ვერ აისახა შემდგომი პერიოდის უცხოურ წერილობით ძეგლებში. სამაგიეროდ მათი სახელები შემოგვინახა პეტრე იბერზე არსებულმა ლიტერატურამ და ქართველთა მეხსიერებამ, თუნდაც იმავე წმ. ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული ლეგენდის სახით, რამაც გარკვეული გაგებით, გააადვილა მონასტრის აღდგენის შესაძლებლობა XI საუკუნეში².

ჯვრის მონასტრის დაძველება-დასუსტების კვალდაკვალ, დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ ლეგენდა უნდა ჩასახულიყო,

¹ კონჭოშვილი პ. მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ. თბ. 1901, 79.

² წმ. ჯვარის ხისა და წმ. ლოტთან დაკავშირებული ლეგენდის შესახებ საინტერესო მოსაზრება იხ. მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე, 179-182.

შემდეგ მას იერუსალიმის როგორც ქართველ, ისე არაქართველ ქრისტიან მორწმუნეებში ძალა მოეკრიბა, დამაჯერებლობა და აღიარება მოეპოვებინა და ბოლოს, მოენიშნა ის ადგილი, სადაც, გადმოცემის მიხედვით, ისარა ლოტის მიერ დარგულმა ხემ, რომლის მონაკვეთი ძირი წმ. ჯვრის მონასტერში „ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა დღესამომდე ჩანს“¹.

ლოტის ლეგენდას დამხმარე როლი უნდა ეთამაშა განახლებული ჯვრის მონასტრის ავტორიტეტისა და მნიშვნელობის ამაღლების საქმეში.

ლეგენდასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრე იბერის, მახლობელ აღმოსავლეთის ქრისტიანებს შორის სახელგანთქმული სასულიერო მოღვაწის ხსოვნას, რაც ასევე დაკავშირებული იყო წმ. ჯვრის მონასტრის დაარსებასთან. ზემოთ, როდესაც პეტრე იბერის დაკრძალვის საკითხს ვეხებოდით, გამოვთქვი ვარაუდი, რომ პეტრე იბერი თავდაპირველად დაუკრძალავთ მაიუმში, შემდეგ კი გადაუსვენებიათ მის მიერ აგებულ წმ. ჯვრის მონასტერში, რომელიც ცნობილი იყო ქართველთა მონასტრის სახელით².

4. წმ. ჯვრის მონასტრის აღმდგენელთა ვინაობისათვის

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მიღებულია და ევროპელმა მკვლევარებმაც გაიზიარეს, რომ წმ. ჯვრის მონასტერი XI საუკუნეში **დააარსა** შავშეთელმა საეკლესიო მოღვაწემ **გიორგი-პროხორემ**. მე კი, იმავე, საყოველთაოდ ცნობილ მასალაზე დაკვირვებით, იმ დასკვნამდე მივედი, რომ წმ. ჯვრის მონასტერი XI საუკუნის დასაწყისში ისევე არსებობდა, შეიძლება, ძლიერ დაკნინებული და საჭიროებდა გადაუდებელ რესტავრაცია-რეკონსტრუქციას. ძველი მონასტრის მოძღვარი და, შეიძლება, მისი განახლების დამწყები იყო **გიორგი ჯვარელი**, რომლის დიდი და ხანგრძლივი საქმე გააგრძელა და ბრწყინვალედ დაასრულა პროხორემ³.

¹ ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა, 77. შდრ. თ. მგალობლიშვილი. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი. ლეგენდები და სინამდვილე, 181-182.

² ე. მამისთვალიშვილი. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია. გორი. 2003, 13-15, 55.

³ ჩემს ადრეულ ნაშრომებშიც (ქართველები და ბიბლიური სამყარო, 79-82 და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია, 15-18, 34, 67, 69, 74-75, 81). ვამტკიცებდი, რომ გიორგი-პროხორე პეტრე იბერის მიერ დაარსებული მონასტრის აღმდგენელი იყო და არა დამაარსებელი.

ვ. ცაფერისმა ა. ცაგარელის და თ. ვირსალაძის ნაშრომებზე¹ დამყარებით, პროხორე (არა გიორგი-პროხორე!) მონასტრის აღმდგენლად გამოაცხადა, რაც სავსებით მისაღებია ბერძნული კონცეფციისათვის (ქართველებმა ბერძნების მიერ მიცემული მონასტერი რომ აღადგინეს), ჩემთვის კი ნაწილობრივ (ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ მონასტერი აღნიშნულ პერიოდში აღდგენილი იქნა და არა დაარსებული) მისაღებია. მაგრამ მიუღებელია მონასტრის ბიზანტიელების მიერ დაარსებულად გამოცხადება. ვ. ცაფერისი წერს: „დანგრეული წმ. ჯვრის მონასტერი აღადგინა პროხორემ, იბერიელმა ბერმა ათონის მთიდან, **იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობითა**² და იბერიის მეფე ბაგრატ III-ის (980–1044) ფინანსური დახმარებით“³. ბერძენი მეკლევარი რაიმე საბუთის გარეშე ამბობს, რომ პროხორემ მონასტრის აღდგენა იერუსალიმის საპატრიარქოს თანხმობით დაიწყო. მისი მიზანია, მკითხველი კიდევ ერთხელ დაარწმუნოს ბერძენთა უფლებაში წმ. ჯვრის მონასტერზე. მაგრამ ეს მონასტერი თუ ბერძნული იყო და მათვე ეკუთვნოდათ, მაშინ ქართველებს რატომ უნდა აღედგინათ, ან ბერძნები რატომ დაუთმობდნენ ქართველებს ასეთი დიდი მნიშვნელობის სიწმინდეს. გრძობდნენ რა ამ უხერხულობას, ბერძნული ორთოდოქსული საპატრიარქოს ისტორიკოსებმა XIX საუკუნეში განიზრახეს, ამ კითხვისათვის პასუხი გაეცათ. როგორ ახერხებდნენ ისინი ამას, ქვემოთ ვრცლად ითქმევა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XIX საუკუნის ბერძენი საეკლესიო მოღვაწის და ისტორიკოსის ნეოფიტე კვიპროსელის შრომა, რომელშიც ქართველთა მთელი მოღვაწეობა წმ. მიწაზე ისტორიული ფაქტების უგულებელყოფითა და უაღ-

¹ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае; Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тбилиси, 1973.

² მონიშვნა ჩემია.

³ The Monastery of the Holy Cross, 11. ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, 102. ბაგრატ III-ის (975-1014) ნაცვლად უნდა იყოს ბაგრატ IV (1027-1072). ამ ბერძენ სასულიერო პირსა და ისტორიკოსს იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში უნახავს 1049 წლის ხელნაწერები, რომლებშიც იხსენიება ათონის მთიდან იერუსალიმში მოსული ბერი პროხორე. „უნდა გაესვას ხაზი ხელნაწერებში ნათქვამს, ქართველი ბერი ეწვეა უკვე არსებულის განახლებას და ღაპარაკი არაა ახალი შენობის აგებაზე“. ცაფერისი ვ., ჯვრის მონასტრის მნიშვნელოვანი ეტაპები, 10.

რესად ტენდენციურადაა გაშუქებული (მათ სხვა დროს განვიხილავ). ამჯერად მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას:

ნეოფიტე კვიპროსელი აღნიშნავს, რომ ქართველები პალესტინაში პირველად გამოჩნდნენ 1200 წლის შემდგომ, მაშინ როდესაც ეგვიპტის სულთნებმა პალესტინა დაიპყრეს. მაშინ დაიწყო ქართველების ძლიერი მიგრაცია იერუსალიმში. ისინი სიხარულით მიიღო პატრიარქმა და სხვა მართლმადიდებლებმა და მათ საცხოვრებლად მისცეს წმ. ნიკოლოზის მონასტერი¹,

¹ იერუსალიმში წმ. ნიკოლოზის მონასტერი და ეკლესია არსებობდა. ქართველებს ეკუთვნოდათ მონასტერი, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ადღომის ეკლესიის მახლობლად (Сагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 116). ჯვარის მონასტრის აღაპითაც ეს მონასტერი ქრისტეს საფლავთან (მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 88, №99) ანუ ადღომის ეკლესიასთან მდებარეობდა. ქართული წყაროებით იგი აშენებული ყოფილა „კახთა დედოფლის ელენე-ყოფილის ელისაბედისაგან, რამეთუ თვით წმიდა ნიკოლოზ მუნ მჯდარა, სენაკი მისი ყოფილა“ (ტიმოთე გაბაშვილი, 81. შდრ. იქვე, 122). ეს წარწერა მოთავსებული მონასტრის აღმოსავლეთ ფასადზე გაანადგურეს 2002 წლის მარტში. ის ამჟამად უკვე აღდგენილია (მგალობლიშვილი თ., ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია წმინდა მიწაზე, *ACADEMIA*, I, ტ. 5, გვ. 3-5). ჯვრის მონასტრის 1643 წლის ერთი აღაპით მონასტრის ამშენებული ქაიხოსრო წულუკიძეა (მეტრეველი ე., იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა. წიგნში: *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, ნაკვეთი I, თბ., 2007, 196). გ. ფერაძე კი, კატეგორიულად, წყაროზე მითითების გარეშე, წერდა: ეს მონასტერი 1187 წელს საღაღინმა ქართველებს მისცაო (ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები, 110). ე. მეტრეველმა ივარაუდა, რომ წმ. ნიკოლოზის მონასტერი უნდა აეშენებინათ XVI საუკუნეში მაინც, თუ უფრო ადრე არა. იგი ქართლის მეფე ერეკლე I-ის დედამ, „კახთ დედოფალმა“ განაახლა (მეტრეველი ე., იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, 196).

ვფიქრობ, გ. ფერაძე ტ. ტობლერის ნაშრომზე (Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, 726) დაყრდნობით ვარაუდობდა, რომ ნიკოლოზის მონასტერი იყო წმ. ჯვრის მონასტერი (ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები, 110). მე კი მგონია, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჯვარის მონასტრის მეტოქე, რომლის შესახებაც გვამცნობს არქიმანდრიტი ლეონიდე 1584 წელს (Архимандрит Леонид, Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам XIV-XVI веков. *Чтения общества истории и древностей России*. Январь-март, №7, М., 1871).

ნაზარეთის არქიეპისკოპოსის გაბრიელის მიხედვით, წმ. ნიკოლოზის მონასტერში ქართველი ბერები ცხოვრობდნენ 1651 წელს (Повест о святых и богопроходных местах святого града Иерусалима, приписываемая Гавриилу, Назаретскому архиепископу. Под ред., С. О. Долгова. ППС, 52, 1900, 9).

რომელიც იმ დროს უცხო ქრისტიანთა შემწყნარებელი საღვურის იყო. მათ გადაეცათ, აგრეთვე, დანგრეული წმ. დიმიტრის მონასტერი¹. „**რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ქართველი ბერების რიცხვი გაიზარდა, პატრიარქებმა მათ მისცეს, იერუსალიმის გარეთ, დასავლეთით დაბლობში ანუ გოდების ადგილას მდებარე, წმ. ჯვრის მონასტერი, რომელიც ასევე განადგურებული იყო სარაციების მიერ. მიიღეს რა ის, მათ აღადგინეს მისი დაქცეული კედლები, შემდეგ კი, დროის განმავლობაში კედლების შიგნითაც აღადგინეს იმ დროინდელი ქართველი მეფეების და მომლოცველების მოწყალე ბით**“².

ამჯერად კომენტარისაგან თავს შევიკავებ, რადგან წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამგვარი მოსაზრების უარსა-ყოფადაც დაიწერა.

5. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

ჯერ აღვნიშნავ მხოლოდ ნაშრომებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს იმ მოსაზრების ფორმირებასა და გაბატონებაზე, რომლის მიხედვითაც, წმ. ჯვრის მონასტერი ააშენა ორი სახელის მატარებელმა პიროვნებამ – გიორგი-პროხორემ. პირველად, თუ არ ვცდები, ჯვრის მონასტრის აღმდგენელი ორმაგი სახელით – გიორგი-პროხორე, დაასახელა ა. ცაგარელმა³. შემდეგში გიორგი-პროხორეს ვხვდებით ე. მეტრეველის ფუნდამენტურ გამოკვლევაში ტიმოთე გაბაშვილის შესახებ⁴, მაგრამ

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II-ის მიხედვითაც, XVII ს. ბოლოს ნიკოლოზის მონასტერი ქართული ძმობის მიერ მიტოვებული და ვალებში ჩაფლული იყო. ქართლის მეფე გიორგი XI-მ და ლევან ბატონიშვილმა მონასტერი თავიანთი ფულით გამოისყიდეს და ფორმალურად ქართველებს დაუბრუნდა. მაგრამ იმავე საუკუნის 80-იან წლებში ორთოდოქსალურმა საპატრიარქომ ქართველთა ფულით აღდგენილი ეს მონასტერი სამუდამოდ დაისაკუთრა (მამისთვალისშივილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 146, 152-153; მისივე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 191, 198, 200-201, 210-შენ. 2, 214, 215, 227).


¹ იხ. მამისთვალისშივილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 146.

² Рассказ Неофита Кипрского о находящихся в Иерусалиме христианских вероисповедования и ссорах их между собой по поводу мест поклонения. *Материалы для истории Иерусалимской Патриархии XVI-XIX века*, т. 1, СПб., 1901, 23. მონიშნა ჩემია.

³ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синая, 110, 127, 144...

⁴ ტიმოთე გაბაშვილი, 0172.

ახსნილი არ არის, რატომ მოიხსენია ტიმოთე გაბაშვილის პროხორე („სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად პროხორე“) გიორგი-პროხორედ. კ. კეკელიძე, წმ. ჯვრის მონასტერში მოქმედ „თუენის“ რედაქციაზე მსჯელობისას, აღნიშნავდა, რომ იგი მიღებული იყო მონასტრის „მშენებლის, გიორგი-პროხორეს დროს“¹. კეკელიძის მიხედვით, გიორგი ათონელი როდესაც იერუსალიმში იყო, გიორგი-პროხორე მას ევედრებოდა, „რათა პირველი ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთა ცხოველმყოფელსა ჯვარსა მიანიჭოს“. გიორგი მცირეს ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“, საიდანაც არის მოყვანილი



წმ. ჯვრის მონასტერი (XVII ს. პირველი ნახევარი)²

ამონარიდი, არსად არ არის აღნიშნული, რომ გიორგი-პროხორეს ექვთიმე ათონელის ბრძანებით მონასტრის მშენებლობა დაუწყია. ექვთიმე ათონელის „ცხოვრებაში“ მსგავსი რამ ნათქვამი არ არის³. ასევე მხოლოდ პროხორე არის იერუსალიმში აღმოჩენილ „ბალავარიანის“ ხელნაწერის მინაწერში⁴.

საკითხის გასარკვევად გვაქვს წერილობითი ცნობები. ეს არის: 1038 წ. საბას ლავრაში გადაწერილი იოანეს და მათეს სახარებების, 1039-40 წლებში წმ. ჯვრის მონასტერში გადაწე-

¹ კეკელიძე კ., უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, VIII, თბილისი, 1962, 22-23.

² http://www.vostlit.narod.ru/Texts/Dokumenty/Byzanz/XVII\1600-1620/Proskint_bezym/34.JPG-Windows Internet Explorer

³ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, 103.

⁴ კეკელიძე კ., ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, VI, თბილისი, 1960, 47.

რილი ბასილი დიდის „სწავლანის“ და 1055 წ. „მამათა ცხოვრებანის“ ხელნაწერების მინაწერ-ანდერძები. წინასწარ უნდა ითქვას, მინაწერები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკვლევარმა გამოაქვეყნა და, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ჯვრის მონასტრის ამშენებლის სახელის სხვადასხვაგვარ წაკითხვასთან. ეს კი გამოწვეული უნდა იყოს გადამწერების მიერ დაზიანებული ხელნაწერის აღდგენა-შევსების შედეგად¹.

დიდი ხნის განმავლობაში, ა. ცაგარელის გავლენით, მიაჩნდათ, რომ პროხორომ წმ. ჯვრის მონასტრის მშენებლობა დაიწყო ექვთიმე ათონელის ბრძანებითა და მხარდაჭერით². ა. ცაგარელის ამ მოსაზრებაში პირველად ეჭვი შეიტანა ლ. მენაბდე და აღნიშნა, რომ 1055 წლის ხელნაწერში ექვთიმე ათონელზე კი არ არის საუბარი, არამედ პროხოროს მოძღვარზე, ეფთვიმე გრძელ წყაროსთვალელზე³. ე. მეტრეველმა

¹ ხელნაწერის განმარტების დასასრულს, ბოლო გვერდზე ყოფილა ასეთი მინაწერი: „ღირს ვიქმენ მე ურბნელი მთავარ ეპისკოპოზი ვლასი შეკაზმად წ-ისა ამის წიგნისა იოანეს სახარების თარგმანისა; რამეთუ ჟამთა სიგრძისაგან გარყუენილ და უკმარ ქმნილიყო და ჩვენ ახლად ბრძანებითა და ჯერჩინებითა მამისა ჩვენისასა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბასითა და შეკაზმეთ შეწვევითა პატიოსნისა ჯვარისათა სალოცველად...“ (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. I. ტფ. 1892, 178). ა. ცაგარელი იძლევა ხელნაწერის ხელახლა „შეკაზმის“ თარიღსაც ქ-ისა სწმ (258=1570 г. спустя 532 г. после написания) (А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 187; ქრონიკები, I. 178-179). ბარნაბას იერუსალიმიდან ხელნაწერი წიგნებიც წამოუღია. ერთ-ერთ ასეთი წიგნზე იკითხებოდა: „სახელითა ღვთისათა... მე ცოდვილმან ტფილელ მთავარ-ეპისკოპოსმან ბარნაბა (შეკწირე?) ნიქოზს საყდარსა ხატისა ღვთაებისასა სამკუდრებელსა სამარხოსა მამათა ჩვენთასა, რომელი ესე მიბოძად უფალმან ეპიკან ეპისკოპოსმან პატიოსნისა ცხოველმყოფელისა ჯუარისამან იწრუსალიმელისამან“ (ქრონიკები, I. 123-124).

მინაწერების ამოკითხვის სირთულეზე მიანიშნებდა ვ. იმნაიშვილი: „განსაკუთრებით გაძნელდა მხედრული მინაწერების ამოკითხვა, რადგან ასოები მოჩუქურთმებულია და ერთმანეთზე უჩვეულოდ გადაბმული. ამასთან მხედრული მინაწერები ძალზე მკრთალი მეღნითაა შესრულებული, რაც აძნელებს მათს წაკითხვას. ასეთი ბუნდოვანი და გაუშიფრავი ადგილები მრავალწერტილით შევცვალეთ“ (იმნაიშვილი ვ., „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI ს.). თბ. 1975, 321).

² Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 173-174.

³ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, 84.

გამოიკვლია, რომ ხელნაწერის ანდერძის შინაარსი ა. ცაგარელმა სასვენი ნიშნების არასწორად დასმის შედეგად არასწორად გაიგო. დადგინდა, რომ კურთხეული მამა ეფთვიმე ჯვრის მონასტრის მშენებლის, პროხორეს მოწაფე და ამავე მონასტერში მოღვაწე ყოფილა. 1055 წელს, სამონასტრო ბიბლიოთეკის გამდიდრების მიზნით, პროხორეს ბრძანებითა და სახსრით დაიწერა და შეიმოსა ეფთვიმეს თარგმნილი ბასილი დიდის „სწავლანი“. ხელნაწერის ანდერძში მოხსენებული ეფთვიმე არ ყოფილა გიორგი-პროხორეს მოძღვარი, პირიქით, გიორგი პროხორე ყოფილა ეფთვიმეს მოძღვარ-მასწავლებელი. ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა და განსრულდა ბასილი დიდის „სწავლანის“ წიგნი პროხორეს მიერ აშენებულ წმ. ჯვრის მონასტერში ბრძანებითა და მოღვაწეობითა კურთხეულისა კაცისა, მამისა ეფთვიმესითა, უღირსისა ბერისა იოანე დვალისა და მისი შვილის კურთხეულის მიქაელის ხელით. „ბრძანებითა და მოღვაწეობითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთვიმესითა“. ხსენებული ანდერძის საფუძველზე ე. მეტრეველი ასკვნის: „1. ... ანდერძში მოხსენიებული ეფთვიმე არ ყოფილა გიორგი-პროხორეს მოძღვარი, პირიქით, გიორგი-პროხორე ყოფილა ეფთვიმეს მოძღვარ-მასწავლებელი. 2. ანდერძის ეფთვიმე არ შეიძლება მივიჩნიოთ ჯვრის მონასტრის აშენების ინიციატორად...“¹

ბუნებრივია, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მინაწერის ექვთიმე და ექვთიმე ათონელი. ეს უკანასკნელი დახატული იყო ჯვრის მონასტრის ტაძრის კედელზე, როგორც მონასტრის აღდგენაში ჩვენთვის უცნობი დიდი დამსახურების მქონე პიროვნება.

რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელს, წმ. ჯვრის მონასტერთან მიმართებაში, მის შესახებ თითქოს ყველაფერი გარკვეულია: რადგან მარიამ დედოფალმა პირადად ვერ შეძლო იერუსალიმს წასვლა წმინდა ადგილების მოსალოცად, გიორგი მთაწმინდელს უბრძანა, „*გარნა რათა საფასე იგი, რომელი საგზლად აღეკაზმა, წარიღოს იგი იერუსალემდ და გლახაკთა მათ და დაურდომილთა განუყოს წმიდისა ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოის მისა*“². დედოფლის დავალების შესრულებაში გიორგის ხელს

¹ მეტრეველი ე., Ier. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის, 84.

² გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ქართული მწერლობა, II, თბილისი, 1987, 97.

უშლიდა ერთი გარემოება, „*ვინათვან წმიდათა წიგნთა თარგმნისაგან დაეხრწეოდა*“, ე.ი. წიგნების თარგმნას მოწყდებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, დედოფლის ბრძანების წინააღმდეგ ვერ წავიდოდა.

როგორც ამონარიდის ბოლოს ნათქვამიდან („*მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოის მისა*“) ვიგებთ, საქართველოს სამეფო კარი საქმის კურსში იყო იმ დიდებული მშენებლობის შესახებ, რომელსაც ამ დროს სათავეში ედგა პროხორე შავშელი. იერუსალიმის „გარემოის“ ქართველები მხოლოდ წმ. ჯვრის მონასტერს აშენებდნენ და მარიამ დედოფალს მშენებლობის შესაწევარი მისთვის მიჰქონდა. გიორგიმ თან წაიყვანა ერთი მოწაფე, მშვიდობით მივიდა წმინდა ქალაქში და წმინდა ადგილები მოილოცა. „*და ნეტარი მამაი პროხორე მაშინ ოდენ მონასტერსა აშენებდა, ესე იხილა და საფასითა ფრიად შეეწია*“¹.

რა თქმა უნდა, ტაძრის მშენებლობას შეჭიდებული კაცისათვის, პროხორესათვის ის დიდი დახმარება, რაც მეფე ბაგრატ მეოთხემ თავისი დედის ხელით ტაძრის მშენებლებს გაუზზავნა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ პროხორე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ შემოქმედებით პროდუქციას, რომელსაც გიორგი მთაწმინდელი ქმნიდა. ამიტომ სთხოვა პროხორემ გიორგის, რომ „პირველი ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთაჲ ცხოველსმყოფელსა ჯვარსა მიანიჭოს, რომელი-იგი დადაცათუ მაშინ ვერ იქმნა, ხოლო უკანაჲსკნელ, შემდგომად პროხორეს მიცვალებისა, მოწაფეთა მისთა ნებაჲ მისი აღასრულეს და სათვეონი და მარხვანი წმიდასა მას მონასტერს დასხნეს“².

გიორგი მცირეს მიერ გიორგი მთაწმინდელზე მონათხრობის შემდეგ, სრულიად ნორმალურად ჩანს ამ უკანასკნელის პორტრეტის დახატვა ჯვრის მონასტრის დასავლეთის კედელზე. მაგრამ ის მარტო არ არის დახატული, მასთან ერთად არის ექვთიმე მთაწმინდელი, რაც საგულისხმოს ხდის, რომ ***მათი ერთობლივი პორტრეტი დახატეს, როგორც სახელგანთქმული ქართველი წმინდანებისა და, იმიტომაც, რომ ექვთიმესაც ჯვრის მონასტრის აღდგენის თუნდაც ინიციატორის რეპუტაცია ჰქონდა. ამგვარი ვარაუდი ექვთიმეს ჯვრის მონასტრის აღდგენის საქმეში***

¹ გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, 97.

² გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, 97, 97-98.

წვლილის შესახებ უფრო სარწმუნო გახდება, თუ მშენებლობის დაწყების დროდ XI ს. 20-იან წლებს ვაღიარებთ. თავის მხრივ, ექვთიმეს სახელის ამ საქმესთან დაკავშირება აღნიშნულ თარიღს საფუძველს უმაგრებს თუნდაც იმიტომ, რომ ექვთიმე ათონელი 1028 წელს გარდაიცვალა. ექვთიმეს ინიციატივაზე ყურადღების გამახვილების შემდეგ შეიძლება ორი ვარაუდის გამოთქმა: 1. მონასტრის მშენებლობა დაიწყო ექვთიმეს სიცოცხლეში – 1028 წლამდე, 2. ექვთიმეს ინიციატივა და შთაგონება კი იყო, მაგრამ მონასტრის მშენებლობა დაწყებულ იქნა მისი გარდაცვალების შემდეგ. ჩემი აზრით, უფრო მისაღებია პირველი ვარაუდი. ამიტომ მონასტრის მადლიერმა აღმდგენლებმა არ დაივიწყეს მისი თუნდაც მხოლოდ მორალური წვლილი და მისი სახე მონასტრის კედელზე უკვდავყვეს.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ და, ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს, მაშინ გასაგებია ჯვრის მონასტრის დასვლეთის კედელზე დახატული ყველა ისტორიული პირის დამსახურება. ესენი იყვნენ: მონასტრის აღდგენის ინიციატორი ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი – მონასტრის კრებულის სულიერად დამხმარე, ბაგრატ IV – დამფინანსებელი, პროხორე – აღდგენითი სამუშაოების ზედამხედველი და მონასტრის წინამძღვარი¹.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებელი რომ გიორგი-პროხორე იყო, ამის დასაბუთების ცდა მოცემულია ლ. მენაბდეს წიგნში. ის მრავალ წერილობით წყაროს იმოწმებს, მაგრამ, როგორც ვნახავთ, ყველგან ჯვრის მონასტრის დამაარსებლად დასახელებულია პროხორე და არა გიორგი-პროხორე. მიუხედავად ამისა, მკვლევარი დაასკვნის: „ამრიგად, ყველა წყარო, რომელიც საგანგებოდ დავიმოწმეთ („პროხორეს ცხოვრება“, „გიორგი ათონელის ცხოვრება“, ჯვრის მონასტრის ანდერძ-მინაწერები და სხვ.), ჯვრის მონასტრის მშენებლად გიორგი-პროხორეს მიიჩნევს და ჩვენ არავითარი საფუძველი არ გავგანჩნია იმისათვის, რომ ამ წყაროთა ჩვენებაში ეჭვი შევიტანოთ. ასე რომ, სავსებით მართალი არიან ის მკვლევარნი, რომელნიც ჯვარის საგანის დამაარსებლად XI საუკუნის

¹ შტრ. Вирсаладзе Т. Б., Роспись Иерусалимского крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тбилиси, 1973, 40, 47.

მოდგაწეს გიორგი-პროხორეს აღიარებენ¹. ვიმეორებ, ლ. მენაბდეს მიერ დამოწმებულ წყაროებში დასახელებულია მხოლოდ პროხორე და არა გიორგი-პროხორე. მაგრამ მაინც გიორგი-პროხორეა გაზიარებული მეცნიერულ და პოპულარულ პუბლიკაციებში.

წმ. ჯვრის მონასტერი რომ გიორგი-პროხორემ დააარსა, ამ პოზიციას იცავს თ. მგალობლიშვილი. იგი წერს: „ამრიგად, ქართული და უცხოურ წყაროთა კვლევის საფუძველზე დღეისათვის, ვფიქრობ, სავსებით თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ წმ. ჯვრის მონასტერი, ამ სახელით აშენებულია XI ს-ის პირველ ნახევარში, გიორგი-პროხორე შავშელის მიერ, რასაც იგი თავად ადასტურებს თავის არა მარტო 1038 წლის ანდერძ-მინაწერში, არამედ შედარებით მოგვიანო ხანის მინაწერებშიაც. ამ ფაქტს ასევე ადასტურებს მისი და ათონელთა „ცხოვრების“ ტექსტებიც“².

ვნახოთ, წყაროთა რა მონაცემებთან გვაქვს საქმე:

ჯვრის მონასტრის აღდგენის პრობლემის გასარკვევად გვაქვს რამდენიმე წერილობითი წყარო. ესენია: უკვე დასახელებული, 1038 წელს საბას ლავრაში გადაწერილი იოანეს და მათეს სახარებების, 1039-1040 წლებში წმ. ჯვრის მონასტერში გადაწერილი ბასილი დიდის „სწავლანის“ და 1055 წლის „მამათა ცხოვრებანის“ ხელნაწერების მინაწერები. ისიც აღინიშნა, რომ მინაწერები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკვლევარმა გამოაქვეყნა და საქმე გვაქვს ჯვრის მონასტრის ამშენებლის სახელის სხვადასხვაგვარ წაკითხვასთან. ეს სირთულე გამოწვეული უნდა იყოს გადამწერების მიერ დაზიანებული ხელნაწერის აღდგენა-შევსებით.

სახარებების ხელნაწერის განმარტების დასასრულს, ბოლო გვერდზე ყოფილა ასეთი მინაწერი: „ღირს ვიქმენ მე ურბნელი მთავარ ეპისკოპოზი ვლასი შეკაზმად წისა ამის წიგნისა იოანეს სახარების თარგმანისა; რამეთუ ჟამთა სიგრძისაგან გარყუენილ და უკმარ ქმნილიყო და ჩვენ ახლად ბრძანებითა და ჯერჩინებითა მამისა ჩვენისასა ტფილელ მთავარეპისკოპოზისა ბარნაბასითა და შევკაზმეთ შეწევნითა პატროსნისა მათა სალოცველად...“³. ა. ცაგარელი იძლევა ხელნაწერის ხელახლა „შეკაზმვის“ თარიღსაც – ქკსა სნწ

¹ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 82, 281, 424.

² მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, 184.

³ ქრონიკები, I, 178

(258=1570 г. спустя 532 г. после написания)¹. ბარნაბას იერუსალიმიდან ხელნაწერი წიგნებიც წამოუღია. ერთ-ერთ ასეთ წიგნზე იკითხებოდა: „სახელითა ღვთისათა... მე ცოდვილმან ტვილელ მთავარეპისკოპოსმან ბარნაბა (შევწირე ?) ნიქოზს საყდარსა ხატისა ღვთაებისასა სამკუდრებელსა სამარხოსა მამათა ჩვენთასა, რომელი ესე მიბოძად უფალმან ეპიჯან ეპისკოპოსმან პატიოსნისა ცხოველმყოფელისა ჯუარისამან იზრუსალიმელისამან“². მინაწერების ამოკითხვის სირთულეზე მიანიშნებდა ვ. იმნაიშვილი: „განსაკუთრებით გაძნელდა მხედრული მინაწერების ამოკითხვა, რადგან ასოები მოჩუქურთმებულია და ერთმანეთზე უჩვეულოდ გადაბმული. ამასთან მხედრული მინაწერები ძალზე მკრთალი მეღნითაა შესრულებული, რაც აძნელებს მათს წაკითხვას. ასეთი ბუნდოვანი და გაუშიფრავი ადგილები მრავალწერტილით შევცვალებ“³.

სხვადასხვა მკვლევარმა ბოლოსიტყვაობა სხვადასხვაგვარად წაკითხა.

ცაგარელი: „ხოლო დაიწერა ჳელითა ვლახაკისა და მნახედ⁴ ცოდვილისა მიქელ ჩიხუარელისაითა, ლავრასა დიდსა წმ. მამისა ჩუჴნისა საბაძსსა, ბრძანებითა შავშემოსილისა წმ. მამისა და მოძღვრისა ჩსა გიორგი ჯვარელისაითა, მეფობასა ბერძენთა ჴა მიხაელისასა, ხოლო ქართუჴლთა ჴა ბაგრატ კუროპალატისსა, ამა წმ. ლავრასა ჴა ფდ ბერისა ვლახიძსსა... ниже заглавными буквами⁵: ქრისტე, შეიწყალებ, მღუდელი მიქელ დვალი, რომელმან გარდაწერებასა ამის წიგნისას ფდ იღუაწა... Запис от Прохоре почти т□мь же почерком: მოწყალებითა... ღირს ვიქმენ მე ვლახაკი და ყდ ცოდვილი გიორგი პროხორე⁶, სახელად ოდენ მღუდელი, ხოლო საქმით არა ღირსი, რთა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სივლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველს-მყოფელისა ადგილსა და... (одно слогу стерто) თანა

¹ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 187; შდრ. ქრონიკები, I, 178-179.

² ქრონიკები, II, 123-124.

³ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 321.

⁴ მინაწერის განსხვავებული წაკითხვა ჟორდანიას მიერ: მწარედ.

⁵ რუსული შენიშვნები ეკუთვნის ა. ცაგარელს.

⁶ მონიშვნა ყველგან ჩემია.

წმიდათა მათ წიგნთა თარგმანთა... (одно слога стерто) სახარებისათა იოვანნეს თავისა და მათესსა სრულებით...⁴

თ. უორდანიას:

„ხოლო დაიწერა ჰელითა ვლახაკისა და მწარედ ცოდვილისა მიქელ ჩიხუარელისათა ლავრასა დიდსა წისა მამისა ჩუენისა საბასსა ბრძანებითა ღმერთშემოსილისა წისა მამისა და მოძღუარისა ჩემისა გიორგი ჯვარელისათა² მეფობასა ბერძენთა ზა ბაგრატ კურაპალატისასა ამას წასა ლავრასა ზელა მამასახლისობასა ფრიად ბერისა ელიაძესსა³.

ქე შე მღვდელი მიქელ დვალი, რომელმან გარდაწამებასა ამის წიგნისასა ფრიად იღუაწა.

მოწყალებითა ედ წისა დაუბადებელისა სანებისათა... (გრძლად)... ღირს ვიქმენ მე ვლახაკი და ფედ ცოდვილი გიორგი პროტეიერი⁴ სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომელი შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სივლახაკითა ჩემითა აღშენებად წსა ამას და ცხოველს მყოფელსა ჯუარისა ადვილსა და თანა წთა ამათ წიგნთა თარგმანთა სახარებისათა იოვანეს თავისასა და მატთესა სრულებით...⁵

ნ. მარი

„ღირს ვიქმენ მე, გლჩკი და ფედ ცოდვილი გი პროხორე-სახელად ოდენ მღვდელი, ნსქმით არა ღრსი, რლითა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სივლახაკითა ჩემითა აღშენებად წდასა ამას ცხოველს მყოფელისა ჯრისა ადვილსა, და თნა მოვებად წთა ამათ წიგნთა თრგმნთა

¹ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 186-187 (145)

² თ. უორდანიას შენიშვნა: „ე. ი. მონასტერში გიორგის წინამძღვრობაში 1038 წელს“. ქრონიკები, I, 177

³ თ. უორდანიას შენიშვნა: „ელია ყოფილა საბა-წმინდის ქართველთა მონასტრის მამასახლისი ანუ წინამძღვარი 1038 წ.“ ქრონიკები, I, 177.

⁴ თ. უორდანიას შენიშვნა: „ესე იგი ზემოხსენებული გიორგი „ჯვარელია“. ჩანს, რომ ეს ყოფილა პროხორეს წინამოადგილე და ამას დაუწვია მონასტრის აღშენება ანუ განახლება; ხოლო პროხორეს, ალბათ, შეუსრულებია 1039-1059 წლებში“ (ქრონიკები, II, 178). პროტეიერი/პროტოიერი – დეკანოზი. სულხან-საბას მიხედვით: „დეკანოზი ლათინურად ხუცესთ-ხუცესი“ (იხ. იკონომოსი, პარიკონომოსი, საპარიკონომოსო).

⁵ უორდანიას თ., ქრონიკები, I, 177-178.

სახარებისათა ~ დ თ~ვად გ~ნყოფილთა, მათესა და იოვანესა სრულთა...“¹

ე. მეტრეველი

„ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე სახელად ოდენ მდღელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილსა, და თანა [მოგებად] წმიდათა ამათ წიგნთა თარგმანთა სახარებისათა იოვანეს თავისასა და მათესსა სრულებით...“²

მინაწერი, როგორც ჩანს, მკვლევრებს სხვადასხვანაირად წაუკითხავთ. ერთი შეხედვით, გარკვეულ გაუგებრობას შეიცავს ა. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებულ იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტების (დაწერილია პალიმფსესტზე, დამთავრებულია 1038წ.) ანდერძ-მინაწერი, რომელიც დაწერილია ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ხელით. მასში დასახელებულია ორი გიორგი: ერთი ჯვარელი, ე. ი. ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, და მეორე – გიორგი პროხორე – ჯვრის მონასტრის აღმდგენელი. ვფიქრობ, ანდერძ-მინაწერი შესრულებულ-დასრულებულია სხვადასხვა დროს. მაშასადამე, იგი ქრონოლოგიურად და შინაარსობრივადაც უნდა გაიყოს ორ ნაწილად:

პირველი მინაწერის პირველი ნაწილის ულამაზო ხელი³ ეკუთვნის მიხეილ ჩიხუარელს და გვამცნობს „შავშემოსილისა წმ. მამისა და მოძღვრისა ჩ~სა“ გიორგი ჯვარელის იმ დამსახურებაზე, რაც მას მიუძღოდა იოანე ოქროპირის ნაშრომის თარგმნის საქმეში. მაგრამ, განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ გიორგი მოიხსენიება ჯვარელად, რაც მიგვანიშნებს, რომ ამ სახელის მატარებელი ქართველთა სიწმინდე საუკუნეების განმავლობაში, მუსლიმანთა ბატონობის ხანაში დანგრევის პირას მისული, კვლავ მოქმედებდა. მაგრამ იგი იმდენად დასუსტებული იყო, რომ მის კედლებში ლიტერატურული საქმიანობა ვერ ხერხდებოდა. ჯვრის მონასტრისათვის განკუთვნილი იოანე

¹ მარი ნ., იერუსალიმის ქრთულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, 86.

² მეტრეველი ე., იერ. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 2007, 296.

³ ქრონიკები, II, 177.

ოქროპირის თხზულება ამიტომ ითარგმნა საბაწმინდაში ქართველი ბერების მიერ.

მეორე მინაწერში ნათქვამია, რომ თხზულება ითარგმნა გიორგი ჯვარელის ინიციატივით ორი მნიშვნელოვანი ისტორიული პირის – ბიზანტიის კეისრის მიხაელ პაფლაგონიელის (1034-1041) და საქართველოს მეფე ბაგრატ IV კურაპალატის (1027-1072) ზეობის პერიოდში, რაც შესაძლებელს ხდის გიორგის ჯვარელობის პერიოდის მიახლოებით განსაზღვრას. რადგან ხელნაწერი დასრულდა 1038 წელს, ბუნებრივია, გიორგი ჯვარელის ანდერძი მაშინვე დაიწერებოდა. მაშასადამე, აღნიშნულ წელს გიორგი ჯვარელია, მაგრამ არ ჩანს - როდიდან. ზუსტად არც ის ვიცით, როდის დაიწვეს ჯვრის მონასტრის აღდგენა. ვფიქრობ, უხეშად რომ ვიანგარიშოთ, გიორგის ჯვარელად ყოფნა თავსდება ბაგრატ IV-ს მეფობის დასაწყისიდან, მიხაელ III-ს მეფობის პერიოდში.

ა. ცაგარელის აზრით, მინაწერის მეორე ნაწილი, შესრულებული ლამაზი ნუსხურით, ეკუთვნის გიორგი-პროხორეს და განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იგი მონასტერს აშენებს. მინაწერის ბოლოს დასმული თარიღი (1038 წ.) ვფიქრობ, აღნიშნავს იოანე ოქროპირის თხზულების თარგმანისა და გადაწერის დასრულებას (*„ოდენ დაიწერა და განსრულდა“* იყო 1038 წელი). ვფიქრობ, პროხორეს საქმიანობის აღმნიშვნელი მინაწერი, გიორგი ჯვარელის მინაწერისგან განსხვავებით, სხვა დროს არის გაკეთებული. წარწერა არ ასახავს პროხორეს დამოკიდებულებას გიორგი ჯვარელის ინიციატივით თარგმნილი წიგნისადმი. პროხორე გადმოგვცემს თავის დამსახურებას ჯვრის მონასტრის მშენებლობაში და, ზოგადად კი *„და... თანა წმიდათა მათ წიგნთა თარგმანთა... სახარებისათა იოვანნეს თავისა და მათთესა სრულებით“*. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ პროხორეს წინამძღვარი ყოფილა „სულდიდებული“ არსენი, მაშინ როდესაც გიორგი ჯვარელი, მიქელ ჩიხუარელის თქმით, იყო სხვების მოძღვარი. ისიც საინტერესოა, რომ ქვემოთ დამოწმებულ მასალებში, იქ, სადაც გიორგი ჯვარელზეა ლაპარაკი, არ მოიხსენიება პროხორე და პირიქით – პროხორესთან ერთად არასოდეს ახსენებენ გიორგი ჯვარელს¹.

¹ მამისთვალისშვილი ე. გიორგი-პროხორე თუ გიორგი და პროხორე (იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორიიდან), 89-90.

ამგვარად, თუ მინაწერს ორ ნაწილად გავყოფთ და სხვადასხვა დროს შესრულებულად მივიჩნევთ, მაშინ, ვფიქრობ, საქმე გვაქვს ჯვრის მონასტრის ორ წინამძღვართან და ორ მშენებელთან. ერთია გიორგი ჯვარელი (ა. ცაგარელი და თ. ჟორდანი) ან პროტოიერი (თ. ჟორდანი), მეორე კი პროხორე (ნ. მართან – გ~ი პროხორე და ე. მეტრეველთან – გიორგი-პროხორე). ვფიქრობ, სწორი უნდა იყოს ა. ცაგარელის და თ. ჟორდანიას წაკითხვა: მიქელ ჩიხუარელმა სახარება თარგმნა და გადაწერა გიორგი ჯვარელის ბრძანებით. მან სამუშაო დაასრულა საბას ლავრაში 1038 წელს. ხელნაწერი დალოცა და მკითხველისადმი მიმართვაც დაურთო სამუშაოს დამკვეთმა, გიორგი ჯვარელმა – ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა და მინაწერს თარიღიც დაუსვა („ოდეს ესე დაიწერა და განსრულდა ქორონიკონი იყო სწ“). გიორგიმ ხელნაწერი წმ. ჯვრის მონასტერს შესწირა. მოყვანილი მინაწერების მიხედვით კ. კეკელიძე დაასკვნის: „ამ მინაწერებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია წმ. ჯვრის მონასტერში ვინმე შავი იოანეს მიერ ჯვრის მონასტრის მშენებელი გიორგი პროხორეს დროს“¹. მოხმობილი მინაწერებიდან ასეთი დასკვნა არ გაკეთდება. მინაწერიდან გარკვევით ჩანს, რომ სამუშაოს შემკვეთი და თარიღის დამსმელი იყო გიორგი ჯვარელი და არა გიორგი პროხორე.

ერთი პიროვნების ორმაგი სახელი არ უნდა გვქონდეს, აგრეთვე, ქართული ჰიმნოგრაფიული თუენის გადაწერილი ხელნაწერის მინაწერშიც, რომელშიც ა. ცაგარელმა ამოიკითხა: „განსრულდა ესე წიგნი სამითთუშ... ბრძანებითა და მოღუაწებითა ღ~თ შემოსილისა შ მსა და მოძღურისა გ~გი-პროხორესითა...“².

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სახარებების თარგმანთა მომგებელი ამ დროს (1038 წ.) აშენებს მონასტერს „ცხოველმყოფელი ადგილსა“. ეს არის მღვდელი გ~ი (გიორგი), რომელიც თავისივე ხელით გაკეთებულ მინაწერში თავმდაბლად თავის თავს მხოლოდ მღვდლობით და არა მამასახლი-

¹ „Из этих записей видно, что рукопись переписана в Крестном монастыре неким Иоанном чернецом при строителе Крестного монастыря Георгии Прохоре“. კეკელიძე კ., ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960, 108-109).

² Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 164, №36

სობით ან მამობით მოიხსენიებს. პროხორე, ალბათ, გადამწერებმა და აღმდგენლებმა ჩაამატეს. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს იმავე პერიოდში (1039-1040 წწ), წმ. ჯვრის მონასტერში გადაწერილი „მამათა ცხოვრებანის“¹ ხელნაწერის მინაწერები, რომლებშიც დასახელებულია მხოლოდ გიორგი, როგორც მამა: „**მ**, **სახიერო** **ღ**თ **ადიდენ** **ს**ლითა **მოძღ**რნი **ჩემნი** **სღ**რნი **იოვანე** და **მამა** **გ**თ და **ყ**ნი **შვილნი** **მათნი** **სღ**რნი, და **მეცა**, **შავ** **იოვანე**, **მათითა** **ღ**ცვითა **მიჯნ**ნ **ც**დეთა **ჩემთავ**ნ (1r); „**ქ**... **ადიდენ** **სულითა** **მოძღუარი** და **მამა** **ჩ**ნი **გიორგი** და **ყ**ლნი **შვილნი** **მათნი** **სულიერნი**, **რ**ნი **შემოვუკრიბნა** **წმიდასა** **ამასა** **ადვილსა**, **რომელი** **დიდითა** **შრომითა** **მიჰმადლა** **ღ**ნ და **ალაშენა** **ყ**ლთა **სულითა** **შესავედრებლად** და **მე** **უღირსი** და **ყ**ლთა **შვილთა** **მისთა** **უნარჩევედსი** **კადნიერ** **ვიქმენ** დაწერად **თავისა** **სიგლახაკითა** **წიგნსა** **ამას**... **რ**სა **ზ**ა **მაქუნდა** **გულსმოდგინებად** **ფ**დი და **ლოცვად** **მოძღურისად** **ს**დ **მით** **კელ** **გ**ყ. **ყ**ლთა **ღ**ცვა **ყავთ** **იოვანწსთვს**“ (56v); „**წ**თ **მამათ** **საბა**, **ადიდე** **სულითა** **მამა** **გ**თ“ (136r); „**ქ**ე **ადიდენ** **ს**ლითა **მოძღუარნი** **ჩემნი** **იოვანე** და **გიორგი** **მამად**“ (210r); „**ქ**ე **ადიდე** **ს**ლითა **მამა** **ჩ**ნი **მძღ**რი **გ**თ და **მოძ**ც **უღირსსა** **შვილსა** **კურთხევად** **მისი**“ (285v)².

XI ს. 50-იან წლებში, პროხორეს მამობის პერიოდში, გადაიწერა ბასილი დიდის „სწავლანი“, რომლის მინაწერებში მოიხსენიება მხოლოდ არა გიორგი-პროხორე, არამედ მხოლოდ პროხორე, რაც სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია. აღნიშნულ დროს მამა მართლაც პროხორე იყო: „**ქ**ე **შ**ე **მ**მე **პროხორე**, **ჯ**რისა **მშ**ნბელი, **ან**“; „**ი**ჯ **ქ**ე **ან**დღე **ს**ლითა **მ**მე **პ**ხრე, **ან**“; „**მადლი** და **ღ**ბ **ღ**თ **ყ**ლისა **კეთილისა** **მიზეზსა**. **გ**ნსრულდა **წიგნი** **წ**დისა **ბ**სლისი **ჯ**რისთს. **ი**ჯ **ქ**ე, **ან**დღე **ს**ლითა **მ**მე **პ**ხრე, **ჯ**რისა **მშ**ნბელი...“. „დაიწერა და განსრულდა **წ**დ ესე **წიგნი** **ს**ლთა **განმანათლებელი** **წ**დისა და **ღ**თშმსლისა **მ**მისა **ჩ**ნისა **დიდისა** **ბასილისი** **მონ** **სტრისათ**ს **ჯ**რისა, **რ**ი **აღ**შნა **წ**ნ **მმმ**ნ **პრხ**რე“. „**ვემოწაფე** **ღ**თ **შემოხილსა** და **წ**სა **მ**მსა **პროხორის**, **რ**ნ **დიდითა** **მოღუა**წებითა **შუენიერად** და **კეთილა**[დ] **ალაშენა** **მონასტერი** **ცხო**“

¹ მეტრეველი ე., ier. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის, 300.

² იმნაიშვილი ვ., მამათა ცხოვრებანი, 32-324.

ველს მყოფელისა და პატივოსნისა ჯერისაჲ და დასხნა მას შინა ენივე შუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი¹. საკითხს კიდევ უფრო ნათელს ჰყვენს ერთი მინაწერიც, რომლის შესახებ ნ. მარი გადმოგვცემს შემდეგს: „*Попались мне на прекрасном пергаменте срочным письмом Житие папы Сильвестра, в заглавии которого молитва о Прохоре и Георгии: „**ო ღწუსუენე სულსა მამისა პროხორესსა, ან. ქე** ადიდე სულითა მამაჲ გი ან²“*. მინაწერი შესრულებული უნდა იყოს მას შემდეგ, რაც პროხორე დაუძღურდა „ფრიადისა შრომისა და სიბერისაგან“ და მან „*გამოაჩნია მოწაფეთა მისთაგანი ძმა ერთი, სახელით გიორგი, და დაადგინა იგი მამასახლისად*“. ჩანს, პროხორე უკვე გარდაცვლილია.

6. რა ვიცი პროხორეს შესახებ?

ცნობილია პროხორეს „ცხოვრების“ სვინაქსარული ნუსხები და სხვა წერილობითი ცნობები, რომლებშიც მოცემულია მისი ერთადერთი სახელი – პროხორე. ჯვრის მონასტრის მშენებლის მივიწყებული სახელი – პროხორე, ქართულ საზოგადოებას გაახსენა XVIII ს. მეორე ნახევარში ტიმოთე გაბაშვილმა, რომელმაც იერუსალიმში მოიპოვა რამდენიმე ცნობა ამ ქართველ მოღვაწეზე: „*ხოლო ამისა შემდგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად პროხორე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბავრატ კურაპალატს საფასე დიდდალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათვის, რათამცა მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია მონასტერი შესაკრებელად ქართველთათვის*“³. ტიმოთეს პროხორეს საფლავი იმავე მონასტერში ეგულებოდა⁴. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გიორგი-პროხორეს ხსენება არ არის არც ჯვრის მონასტრის წარწერებში. ყველგან მხოლოდ პროხორეა. მთავარი ტაძრის კარის ზედა კედელზე გამოსახული იყო „წმიდა პროხორე ქართველი“; სამხრეთ-დასავლეთი სვეტის აღმოსავლეთ მხარეს, ზემოთ, „წმიდა პროხორე“. საკურთ-

¹ მარი ნ., იერუსალიმის ქრთულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, 16-18.

² მარი ნ., იერუსალიმის ქრთულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, 87.

³ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 77.

⁴ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 124.

ხეველში, ტრაპეზის მარცხნივ, იატაკში ჩადგმულ მარმარილოს ფილაზე ყოფილა ძნელად გასარკვევი წარწერა, რომელშიც ა. ცაგარელმა პროხორე ივარაუდა. პროხორეს საერო სახელი რომ გიორგი ყოფილიყო, აუცილებლად აღნიშნავდნენ მისთვის დაწერილ ჯვრის მონასტრის აღაპში მაინც: „ყველიერისა ხუთშაბათსა აღაპი მამისა პროხორესი, შეუნდვენ ღმერთმან“; „ამასვე დღესა აღაპი მამისა პროხორესი“¹.

ამგვარად, XI ს. 50-იანი წლების დასასრულამდე იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს ერთმანეთის მიმდევრობით ჰყავდა ორი მამასახლისი – ჯერ გიორგი, შემდეგ პროხორე, რაც აისახა ხელნაწერი წიგნების მინაწერებში, ჯვრის მონასტრის მხატვრობაში, სვინაქსარულ ნუსხებსა და აღაპებში.

პროხორეს საერო სახელი რომ ცნობილი არ არის, უკვე ითქვა. მის სასულიერო სახელთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ის საქართველოში (წყაროსთავი, შავშეთში) დიაკონად აკურთხეს და ამ დროს დაარქვეს პროხორე. საინტერესოა, რომ მისი დიაკონად კურთხევა და სახელის (პროხორე) დარქმევა გარკვეული მოსაზრებით მოხდა. დიაკონად კურთხევისას სახელად შეურჩიეს სამოციქულო ეკლესიის მოციქულთა შვიდი დიაკონიდან ერთ-ერთის – პროხორეს სახელი, რომლის ხსოვნა აღინიშნება 28 ივლისს (ახ. სტ. 10 აგვ.) და 4 იანვარს (ახ. სტ. 17 იანვ.). გადმოცემის მიხედვით, პროხორე მოციქულ პეტრეს მოწაფე და თანამგზავრი, შემდეგში მოციქულის და ევანგელისტის იოანე ღვთისმეტყველის მწერალი იყო. ის ნიკომედიის ეპისკოპოსი გახდა და მოწამებრივად გარდაიცვალა ანტიოქიაში. 17 იანვრის დღის განგების აშიაზე XI საუკუნის მრგვლოვანი სინგურით მიწერილი ყოფილა ჯვრის მონასტრის წინამძღვრის, პროხორეს აღაპი: „ამასვე დღესა აღაპი მამისა პროხორესი. ვინცა წინამძღუარ იყოს, გარდაიჭდიდეს. ათევდეს ღამესა და კარგსა ტრაპეზსა შეუკაზმვიდეს ძმათა“². ამგვარად, მას შემთხვევით კი არ დაარქვეს პროხორე, არამედ მისი გადიაკვნება დააკავშირეს ზემოხსენებული პროხორეს მოღვაწეობის დიაკვნობის პერიოდთან.

გვაქვს სხვა დამთხვევა: პროხორე, როგორც მისი სვინაქსარული ცხოვრებიდან ვიცით, გარდაიცვალა 12 თებერვალს,

¹ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 72, 94.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV. გამოცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968, 100-101.

კვირა დღეს. პროხორეს „ცხოვრების“ ავტორი გვამცნობს: „ხოლო დავაწესეთ, რადთა იანვარსა ი ზ გარდაიჭდიდეს საკსენებელსა მისსა ვინცა წინამძღუარი იყოს ჯუარისა მონასტრისა, ძმათა ტრაპეზსა შეუკაზმვიდეს კარგსა და მამას პროხორის ულოცვიდენ და ხუცესნი ჟამსა უწირვიდენ. ესე იმისთვის დავაწესეთ მუნ, რამეთუ მიცვალებისა მისისა დღწ უფროდსჯერ მარხუათა მიხუდების“¹. შემთხვევით და მხოლოდ აღნიშნული მიზეზით არ მოხდა პროხორეს ხსენების დღედ 17 იანვრის დაწესება. ჯვრის მონასტრის ძმობამ, რადგან პროხორეს ხსენების დღის გადატანა აუცილებლად მიიჩნია, ის დაამთხვია პროხორონის – „შვიდთა დიაკონთაგან“ ერთ-ერთის ხსენების დღეს. როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის მამებმა შემდგომი აღადგინეს პროხორეს ხსენების დღედ 12 თებერვალი (ახ. სტ. 25 თებ.) „წმ. პროხორე ქართველისა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის – განმაახლებლისა“² (XI ს.); - ნათქვამია საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

პროხორე შავშელი მწერლობისადმი მიდრეკილებითაც დაემსგავსა სახელოვან წინამორბედსა და სეხნიას, რომელსაც დაუწერია „ღუაწლი და ექსორიობანი წმიდისა და ყოვლად ქებულისა იოანე მოციქულისა, მახარობელისა და ღმრთისმეტყუელისნი“³.

7. წმ. ჯვრის მონასტრის სახელისათვის

წმ. ჯვრის მონასტერი რომ თავიდანვე წმ. ჯვრის სახელობისა იყო, ამის შესახებ წინა თავში უკვე ითქვა.

არ ვიცით, როგორი იყო მონასტრის არსებობის ერთი, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი – VII-XI საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით. ამ დროის განმავლობაში, როგორც ჩანს, მართალია, იგი ფიზიკურად არსებობდა, მაგრამ რეგიონში სერიოზულად შეცვლილი პოლიტიკურ-რელიგიური ვითარებისა და სამონასტრო ცხოვრების გაგრძელებისათვის აუცილებელი ფინანსების ნაკლებობის შედეგად, მასში შემცირდა ბერების რაოდენობა და მოძველებული ნაგებობაც აღდგენას მოითხოვ-

¹ ლეგენდა აისახა მონასტრის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობაში, კერძოდ, პატრიარქ აბრამისა და მისი ძმისშვილის ლოტის ბიბლიური სიუჟეტების ფრესკებში.

² მონიშვნა ჩემია.

³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, ყოფილ საეკლესიო მუზეუმის (S) კოლექციისა. შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1985, 126.

და. მაგრამ ეს არ მიიღწეოდა შეცვლილი გარემოს მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. მონასტრის ოდინდელი დიდების აღდგენის სურვილი ქართველებში იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი დაარსების ისტორიული საფუძვლისათვის, რომელიც ჯვართან იყო დაკავშირებული, საჭირო იყო ახალი, კიდევ უფრო მეტი ინტერესის გამომწვევი ლეგენდის დამატება. სავარაუდოა, ქართველების მიერ იმის მტკიცება, რომ მონასტრის ნაგებობა მათ ეკუთვნოდათ და ჯვრის სახელს ატარებდა, მუსლიმანი ხელისუფლებისათვის ბევრი არაფრის მთქმელი იყო. ამიტომ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იქმნებოდა და იხვეწებოდა ისეთი ლეგენდა, რომელიც მონასტრის აღვილსა და განადგურებამდე მისულ ნაგებობას უფრო განადიდებდა და შთაბეჭდილებას მოახდენდა ეთნიკურად და კონფესიურად შეცვლილ პალესტინის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით, მუსლიმანებზე. ეს იყო ლეგენდა, „შეწყნარებული მამათა მიერ ეკკლესიისა და წმ. იოანე დამასკელის მიერ და სხვათა გალობის მოთხვევლთა ქრისტიანობრივის ეკკლესიისა, შეიქმნა საფუძვლად აღშენებისა ამ აღვილზედ სავანისა და სახელწოდებისა მისისა მონასტრად პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა“¹. ერთმანეთთან დააკავშირეს უძველესი დროიდან არსებული ბიბლიური ლოტის ლეგენდა და ჯვარის ხის ლეგენდა. *მართალია, XI საუკუნემდე ჯვრის სახელის მატარებელი მონასტერი დღეისათვის ცნობილ წერილობით წყაროებში არ მოიხსენიება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყველა ქართული ტაძარი იმ უძველეს პერიოდში ცნობილი იყო ქართული ტომობრივი სახელებით: ქართველთა, იბერთა და ლაზთა. სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ დიდხანს ვერ იარსებეს და მათი სახელები ვერ აისახა შემდგომი პერიოდის უცხოურ წერილობით ძეგლებში. სამაგიეროდ, მათი სახელები შემოგვინახა პეტრე იბერზე არსებულმა ლიტერატურამ და ქართველთა მეხსიერებაში, თუნდაც იმავე წმ. ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული ლეგენდის სახით, რამაც გარკვეული გაბე-*

¹ კონჭოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, თბ., 1901, 79.

ბით, გააადვილა მონასტრის აღდგენის შესაძლებლობა XI საუკუნეში¹.

მონასტრის განადგურების შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ ლეგენდა უნდა ჩასახულიყო, შემდეგ იერუსალიმის როგორც ქართველ, ისე არაქართველ მორწმუნეებში ძალა მოეკრიბა, დამაჯერებლობა და აღიარება მოეპოვებინა და ბოლოს, მოენიშნა ის ადგილი, სადაც, გადმოცემის მიხედვით, იხარა ლოტის მიერ დარგულმა ხემ, რომლის მონაკვეთი ძირი წმ. ჯვრის მონასტერში „ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა დღესამოდე ჩანს“².

ლეგენდასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრე იბერის ხსოვნას, რაც ასევე დაკავშირებული იყო წმ. ჯვრის მონასტრის დაარსებასთან. წინათ, როდესაც პეტრე იბერის დაკრძალვის საკითხს ვეხებოდი, გამოვთქვი ვარაუდი, რომ პეტრე იბერი თავდაპირველად დაუკრძალავთ მაიუმში, შემდეგ კი გადაუსვენებიათ მის მიერ აგებულ ქართველთა მონასტერში, რომელიც შემდეგში ჯვრის მონასტრის სახელითაა ცნობილი³.

XI საუკუნეში განახლებული წმ. ჯვრის მონასტერი რომ ძველი, V საუკუნის ნაგებობის საფუძველზე დგას, ეჭვს არ იწვევს. ანდერძ-მინაწერები გვეუბნება, რომ 1038 წლისათვის მონასტერი ფუნქციონირებდა. იგივე მინაწერები უფლებას გვაძლევს, ჯვრის მონასტრის მშენებლობა გავეყოთ ორ პერიოდად: მამა გიორგისა და მამა პროხორეს პერიოდებად. განსაკუთრებით საყურადღებოა ანდერძ-მინაწერის ის ადგილი, სადაც გიორგი პროტოიერი (ჯვარელი) ამბობს, რომ უძღურებისა და სიგლახაკის მიუხედავად, შეძლო „აღშენებად (მონასტრისა - ე. მ.) წაწა ამას და ცხოველს მყოფელსა ადგილსა“. ანდერძის ამ ფრაზის ორგვარი გაგება შემოგვთავაზა ა. ცაგარელმა: „ეს სიტყვები მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც გაიზარდა ჯვარის ხე, ან სადაც იყო მონასტერი, ან ერთსაც და მეორესაც“⁴. ვფიქრობ, იგი უნდა გავიგოთ იმ მნიშვნე-

¹ წმ. ჯვარის ხისა და წმ. ლოტთან დაკავშირებული ლეგენდის შესახებ საინტერესო იხ. მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, 179-182.

² ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, გვ. 77. შდრ. მგალობლიშვილი თ., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, 181-182.

³ მამისთვალისიშვილი ე., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია, 13-15, 55.

⁴ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 92-93.

ლობით, რომ გიორგი ჯვარელმა დაიწყო ძველი, პეტრე იბერის მიერ დაარსებული ჯვრის მონასტრის აღდგენა¹.

გიორგი ჯვარელზე, როგორც მშენებელზე, პირდაპირ მიუთითებს შავი იოვანე. იოვანეს თქმით, გიორგიმ შეკრიბა ქართველთა ძმობა და დიდი შრომით „აღაშენა“ ის ნაგებობა, რომელსაც ის არ ასახელებს, მაგრამ უეჭველია, რომ „ყოველთა სულთა შესავედრებლად“ აგებულში², ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარი უნდა იგულისხმებოდეს.

ამდენად, სავსებით მისაღებია თ. ჟორდანიას მოსაზრება, რომ გიორგი ჯვარელი წმ. ჯვრის მონასტერს აშენებდა 1039 წლამდე, ხოლო დაამთავრა პროხორემ³. პროხორეს „ცხოვრებაში“ კი წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენა-აშენება მთლიანად პროხორეს მიაწერა, როგორც მთავარ აღმშენებელს და მონასტრად ჩამომყალიბებელს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში პროხორეს რომ მიეწერა ჯვრის მონასტრის აღდგენა-აშენების მთელი ღვაწლი, გადამწყვეტი როლი შეასრულა ა. ცაგარელის მიერ წმ. ჯვრის მონასტერში გადაწერილი ბასილი დიდის „სწავლანის“ ანდერძის თავისებურმა წაკითხვამ. წიგნი გადაიწერა 1055 წელს.

პროხორეს ღვაწლი მხოლოდ მონასტრის აღდგენით არ ამოიწურა. ის იყო მწიგნობარი, ხელნაწერთა გამრავლების ინიციატორი, ბიბლიოთეკის დამაარსებელი და, საერთოდ, მრავალმხრივი მოღვაწე. ამასთან ერთად, პროხორეს დამსახურება იყო მონასტრის კეთილმოწყობა და იქ შრომისმოყვარე საძმოს ჩამოყალიბება, რომელსაც მან *„განუჩინა წესი და კანონი მონასტრისა“*. მისი საქმე ნაყოფიერად გააგრძელეს მისმა თანამოღვაწეებმა. მაღლიერმა შთამომავლებმა პროხორეს ხსოვნისადმი პატივისცემა იმით გამოხატეს, რომ მისი პორტრეტი, როგორც ჯვრის მონასტრის აღმდგენელისა, მონასტრის დამაარსებლის – პეტრე იბერის გვერდით დახატეს, იქვე იყო პროხორეს სამარხი (ლუსკუმა). ტიმოთე გაბაშვილის თქმით, პროხორემ *„წმ. ჯვრის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია მონასტერი შესაკრებლად ქართველთათვის“*. ამ მონასტერს „ქართველთა მონასტრის სახელით იცნობდნენ გვიან საუკუნეებშიც, როცა ის ქართველებს აღარ ეკუთვნოდა.

¹ მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია, 5-17.

² იმნაიშვილი ვ., „მამათა ცხოვრებანი“, 322-323, 56v.

³ ქრონიკები, I, 178, შენ. 4

მშენებლობის დასრულების შემდეგ პროხორე თავის ორ მოწაფესთან ერთად უდაბნოში წავიდა¹. ის გარდაიცვალა 1066 წელს.

ძნელია იმ მიზეზებზე საუბარი, თუ რამ გამოიწვია მონასტრის საძმოს მიერ პროხორეს წინამორბედი ჯვარის მამის, გიორგის სახელისა და დამსახურების მივიწყება-მიჩქმალვა. სავარაუდოა, მონასტრის შიგნით არსებობდა დაპირისპირება, რომლის მიზეზსა თუ მიზეზებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ საზღვარგარეთ არსებული სხვა ქართული მონასტრის ანალოგიით, როდესაც მის შიგნით არსებულმა უთანხმოებამ განაზრახვინა ივერონის მონასტრის ერთ-ერთ დამაარსებელს, იოვანეს, თორნიკეს გარდაცვალების შემდეგ მონასტრიდან წასულიყო და ესპანეთში გადახვეწილიყო. ამ ამბავს გადმოგვცემს იოვანე მთაწმინდელის „ცხორების“ ავტორი გიორგი მთაწმინდელი: „*შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამან ჩუენმან იოვანე, რადთა აღიღოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად – რამეთუ პირველითგანვე უბნდა შუდლიანობა და შფოთი, გარნა თავს ედვა მუნ უამამდე თორნიკის აშენებისათვის და რადთა შეიძინოს სული მისი, – რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვდრნი არიან მუნ, და ამის პირისათვის წარვიდა ავიდოსამდე...*“²

ძმობის შიგნით დაპირისპირების ნიშნები ჩანს წმ. ჯვრის მონასტერში ნიკიფორე ირბახის წინამძღვრობის და მის შემდგომ პერიოდში, რაზეც ქვემოთ აღინიშნება.

ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯვრის მონასტრის მშენებლობის დროს არსებობდა ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი დასი. გაიმარჯვა პროხორეს დასმა, რომელმაც შემდეგში იზრუნა თავისი ლიდერის სახელის უკვდავყოფაზე და მას მიაწერა, ალბათ. სრულიად დამსახურებულად, ყველა ის წარმატება, რომელმაც ამ მონასტერს სახელი გაუთქვა.

¹ ე. მეტრეველის აზრით, გიორგი-პროხორე წავიდა შუპანის უდაბნოში, ტრანს-იორდანიაში. ლ. მენაბდეს მიხედვით კი, „უდაბნოსა არნონს“.

² ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად. აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წ. II (XI-XV სს.), 54.

8. წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის ქრონოლოგიური ჩარჩო

ცნობილი არ არის ჯვრის მონასტრის აღდგენა-მშენებლობის ზუსტი დრო. თ. ჟორდანიამ მონასტრის აღდგენის დაწყების ზუსტი თარიღი არ იცოდა, მაგრამ დამთავრებას კი 1059 წელს ვარაუდობდა.

კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ „*მონასტრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმინდელის ბრძანებით, მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს მაინც*“⁴. იგი არაფერს ამბობდა მონასტრის დასრულების საგარაუდო თარიღის შესახებ. ლ. მენაბდე იმოწმებს კ. კეკელიძის ნაშრომიდან იმ ამონარიდს ისე, როგორც ზემოთ მე მოვიყვანე, მაგრამ დამატებით მიაწერს ზუსტ თარიღს – 1025 წელს, რაც სინამდვილეში კ. კეკელიძესთან არ არის². ბოლო ფრაზა („მონასტერი შენდებოდა 1025 წლიდან“) კ. კეკელიძეს არ ეკუთვნის.

ე. მეტრეველი კი ფიქრობდა, რომ „*იერუსალიმის მახლობლად XI საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა*“³.

1038-1059 წლებით შემოსაზღვრა ჯვრის მონასტრის აღდგენა-მშენებლობის პერიოდი ქრ. პაპანდოპულოსმა. ეს თარიღი გაიზიარა ა. იკონომოპულოსმა⁴.

მ. თამარაშვილს „ერთ-ერთ ხელნაწერში“ უნახავს ცნობა, რომელიც იუწყება, რომ პროხორემ 1039-1059 წლებში ააშენა წმ. ჯვრის მონასტერი⁵.

წმ. ჯვრის მონასტერი 1038-1056 წლებს შორის აშენებულია მიაჩნია პეეტერსს და მისგან კ. ვენსანს⁶.

ლ. მენაბდეს მიხედვით, მშენებლობა დაიწყო XI ს. 30-იან წლებში, დამთავრდა 50-იანი წლების მიწურულსა თუ 60-იანი წლების დამდეგს⁷.

¹ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 103.

² მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 82.

³ ტიმოთე გაბაშვილი, გვ. 0172.

⁴ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები (წინასწარი ანგარიში), 277.

⁵ თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 357.

⁶ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები (წინასწარი ანგარიში), 277.

⁷ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 84.

ე. მეტრეველი ჯვრის მონასტრის მთელი კომპლექსის დასრულების დროდ 1056-1057 წლებს მიიხნევს¹.

დღეისათვის არსებული წერილობითი და ზეპირი გადმოცემები ჯვრის მონასტრის მშენებლობის დაწყების ზუსტი თარიღის დადგენის საშუალებას არ იძლევა. თუ გავითვალისწინებთ XI ს. 20 – 30-იან წლებში პალესტინაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, დასაშვებია, მშენებლობა დაწყებულიყო 20-იან წლებში, მაგრამ გ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ უპირატესობა მაინც 30-იანი წლების მეორე ნახევარს, ე. ი. ბიზანტია - ეგვიპტეს შორის 1036 წელს დადებული ზავის შემდგომ პერიოდს უნდა მიენიჭოს².

გ. ჯაფარიძის მიხედვით, ბიზანტია-ფატიმიანთა სახალიფოს 1036 წ. საზავო ხელშეკრულების დადებამ შესაძლებელი გახადა ჯვრის სამონასტრო კომპლექსის შექმნა. მისი აშენების უფლების მიღება „დასახელებული საზავო ხელშეკრულების ჩარჩოებში თავსდება“³. ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც გარკვეული ვარაუდის დაშვების უფლებას გვაძლევს. ქრისტიანული ისტორიოგრაფიის მიხედვით ხალიფა ალ-ჰაქიმმა 1009 (ან 1010) წელს ქრისტიანი მოსახლეობის გაუღეტისა და ქრისტიანული ტაძრების დანგრევის ბრძანება გასცა რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი. იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ (1025-1028) ალ-ჰაქიმის შვილთან მორიგება შეძლო და უფლის საფლავის ტაძრის აღდგენის უფლება მოიპოვა. მშენებლობა გრძელდებოდა კონსტანტინე IX მონომახოსის (1042-1054) დროსაც⁴.

დიდად საეჭვოდ მეჩვენება, რომ 1036 წელს ბიზანტია-ეგვიპტეს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების შედეგად მოპოვებული ჯვრის მონასტრის მშენებლობის უფლებით, მონასტრის მთავარი ტაძარი 1038 წელს უკვე დასრულებული იყო, რაზეც თითქოს მიუთითებს ჯვრის მონასტრის ერთი ხელნაწი-

¹ მეტრეველი ე., ier. 14 ხელნაწერის ანდერძის გაგებისათვის. გვ. 85.

² ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე, 141-142

³ ჯაფარიძე გ., ჯვარის მონასტრის დაარსება, გვ. 141.

⁴ Беляев Л. А., Лисовой Н. Н. Гроба Господня (Воскресения Христова) Храм в Иерусалиме. *Православная энциклопедия*, т. XIII, М., 2006. http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A5%D1%80%D0%B0%D0%BC_%D0%93%D1%80%D0%BE%D0%B1%D0%B0_%D0%93%D0%BE%D1%81%D0%BF%D0%BE%D0%B4%D0%BD%D1%8F

რის მინაწერი¹. ჩემი აზრით, *აშენება ისეთი მასშტაბური ნაგებობის, როგორც ჯვრის მონასტრის ტაძარია, დღესაც დიდ დროს, სახსრების, სამშენებლო მასალის, სპეციალისტებისა და მუშახელის მობილიზაციას მოითხოვს, რაც დროის ასეთ მცირე მონაკვეთში (1036-1038 წწ.) ვერ მოხერხდებოდა. რადგან ტაძრის მშენებლობა 1038 წელს უკვე დამთავრებული იყო, მონასტრისა კი 1050-იანი წლების ბოლომდე ისევ გრძელდებოდა, საფუძვლიანი უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ XI საუკუნის 20-იან წლებში (შეიძლება უფრო ადრეც) ჯვრის მონასტრის ძველი ნაგებობის ბაზაზე ეპოქის მოთხოვნილების შესატყვისი ნაგებობის მშენებლობა დაიწყო.*

ჯვრის მონასტრის მშენებლობის დასრულების დროის უფრო დაზუსტება შეიძლება „პროხოროეს ცხოვრებით“. მან „აღაშენა, და განასრულა, და შეამკო კელესია და ყოველითა სამკაულითა“. მაშასადამე, პროხორეს მოღვაწეობის შედეგად მონასტერმა სრულყოფილი სახე მიიღო. იმავე წყაროდან ვიცით, რომ „მოუძღურდა გუამი მისი ფრიადისა შრომისა და სიბერისაგან“. ამიტომ მან „გამოარჩია მოწაფეთა მისთაგანი ძმა ერთი, სახელით გიორგი, და დაადგინა იგი მამასახლისად“. პროხორე მონასტრის წინამძღვრად აღარ ჩანს 60-იანი წლების დასაწყისიდან, მის ნაცვლად ვხედავთ მის მიერვე დანიშნულ გიორგის. ერთ-ერთი უძველესი საგალობლების ხელნაწერის მინაწერიდან, რომელიც 1061 წლით თარიღდება (გაუგებარია, რატომ არ მიაქციეს მკვლევრებმა ყურადღება მას ჯვრის მონასტრის მშენებლობის დასრულების დროის დასადგენად), ვიგებთ იმათ შესახებ, ვინც ხელნაწერის შექმნასა და სრულყოფაში მონაწილეობდა. ხელნაწერის ბოლოს, მინაწერში ნათქვამია: „დაიწერა წა ესე წიგნი წსა ქალაქსა იერუსალიმს, მონასტერსა შინა წმიდისა ჯვრისასა, მამობასა გიორგისა, კელითა უნდოესა გაბრიელ საყვარელისათა, შეიმოსა კელითა... ქანი იყო სპა (1061 წ.)“².

ამგვარად, პროხორემ მონასტრის მშენებლობა XI ს. 50-იანი წლების ბოლოს დაასრულა. იგი ჯვარში აღარ იმყოფება 1061 წელს. ამ დროს მამა უკვე გიორგია.

¹ ჯაფარიძე გ., ჯვარის მონასტრის დაარსება, 143.

² Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 223.

დასკვნა

1. იერუსალიმში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ახლებურად და, ჩემი აზრით, ობიექტურად შეფასებას თუ გავითვალისწინებთ, წმ. ჯვრის მონასტერი გადაურჩა სპარსელების (614 წ.) და არაბების (637 წ.) საომარ მოქმედებასა და სადამსჯელო ღონისძიებებს და არ დაზიანდა. მაგრამ პალესტინაში არაბთა ბატონობამ თანდათან მოშალა სამონასტრო ცხოვრება და მრავალი ეკლესია-მონასტერი დაქვეითების გზას დაადგა. ქართველი ბერმონაზვნების რაოდენობა უადრესად შემცირდა. ასე რომ, წმ. ჯვრის მონასტერი XI ს. დასაწყისისათვის დაძველებული და დაზიანებული იყო.

2. საქართველოს ხელისუფლებას მონასტრის აღდგენა ეგვიპტის სულთნის ნებართვის გარეშე არ შეეძლო. საქართველოს ეგვიპტესთან პირველი დიპლომატიური კონტაქტი განპირობებული იყო ბიზანტიასთან დაპირისპირებით. ეგვიპტის ფაქტიმანითა სახალიფო დიდად დაინტერესებული იყო ბიზანტიის დასუსტებით.

პალესტინაში შეცვლილი პოლიტიკური კლიმატი, ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ნება და იერუსალიმელი ქართველების წარმატებული მდგომარეობა სრულ შესაძლებლობას ქმნიდა ჯვრის მონასტრის აღდგენისათვის.

3. ქრისტეს ჯვარცმის ხის ლეგენდის პარალელურად ყალიბდება ბიბლიური ღოტის მიერ მონასტრის ადგილას ხის დარგვის ლეგენდა, რომელსაც დამხმარე როლი უნდა ეთამაშა ჯვრის მონასტრის ჯერ განახლების შემდეგ კი მისი მნიშვნელობისა და ავტორიტეტის ამაღლების საქმეში.

4. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ წმ. ჯვრის მონასტერი დააარსა შავშეთელმა საეკლესიო მოღვაწემ გიორგი-პროხორემ XI საუკუნის 30-50-იან წლებში. წერილობითი წყაროების შესწავლამ კი ნათელი გახადა, მონასტერი აღნიშნულ პერიოდში დაარსებული კი არა, აღდგენილი იქნა ორი პიროვნების – გიორგისა და პროხორეს მიერ. ისინი თანმიმდევრობით იყვნენ ჯვარის წინამძღვრები – ჯერ გიორგი, შემდეგ კი პროხორე.

5. მონასტრის აღდგენა, სავარაუდოდ, დაიწყო XI ს. პირველ მეოთხედში, დასრულდა იმავე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს.

წმ. ჯვრის მონასტერი და ჯვაროსნები

ჯვრის მონასტრის ბედი, მისი დაარსებისთანავე, მტკიცედ დაუკავშირდა იერუსალიმის ბედს. რადგან წმ. ჯვრის მონასტერი ქალაქის გალავნის გარეთ მდებარეობდა, ამან თავისი გავლენა მოახდინა მის არქიტექტურულ სტილზე. გარედან იგი ციხესიმაგრეს წააგავდა და ასე გამოიყურება დღესაც.

იმავე საუკუნის დასასრულს, ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შედეგად, პალესტინა და სირია მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს. როგორც ჩანს, ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლების შედეგად ჯვარი დაზიანდა. 1102–1103 წლებში ანგლოსაქსმა მოგზაურმა ზეფულფმა გაძარცვული და ნაწილობრივ დანგრეული წმ. ჯვრის მონასტერი იხილა¹. მონასტრის დაზიანება, შეიძლება, ქართველების მიერ ჯვაროსნებისადმი მხარდაჭერით განრისხებული თურქ-სელჩუკების ნახელავი იყო. დავით აღმაშენებელი, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, თურქ-სელჩუკებს ებრძოდა, ამიტომ იგი ევროპელ რაინდთა ბუნებრივ მოკავშირედ გამოდიოდა. გარდა ამისა, ქართველები იერუსალიმის აღებისას ჯვაროსნებს უჭერდნენ მხარს². ამიტომ იერუსალიმის სამეფოში ქართველებს გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ და ახალ ხელისუფალთაგან გარკვეულ დახმარებასაც მიიღებდნენ. სულ მალე, მაგრამ არ ვიცით, ზუსტად როდის, მონასტერი უკვე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იმას, რომ ჯვარი აღდგენილი, განახლებული და მოხატული იყო 1106–1108 წლებში, რუსი პილიგრიმი დანიელ წინამძღვარი აღნიშნავდა³. სავარაუდოა, ჯვრის მონასტრის აღდგენა განახორციელეს დავით აღმაშენებლის უახლოესმა თანამოღვაწეებმა – იოანე საფარელმა (ქართლის კათალიკოსმა) და არსენ იყალთოელმა (დავითის მოძღვარმა) 1103–1105 წლებში. ტიმოთე გაბაშვილის იერუსალიმში ყოფნის დროს იოანე და არსენი გამოსახული ყოფილან ჯვრის მონასტრის ეკლესიის ჩრდილო კედელზე⁴. დღეისათვის მათი პორტრეტები აღარ არსებობს. პ. ინგოროყვას აზრით, ტიმოთემ

¹ Путешествие Зевульфа в Святую Землю 1102-1103 гг. , 281–282.

² მაისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 93–98.

³ Игумен Даниил, Житие и хождение Даниила, игумена Русской зумли. Путешествия в Святую Землю. Записки русских паломников и путешественников. М. Лепта. 1995, 32. http://www.vostlit.info/Texts/rus17/Daniil_igumen/text1.phtml?id=10314

⁴ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, 82.

არსენ იყალთოელი და არსენ ბერი ერთმანეთში აურია. წმ. ჯვრის მონასტერში გამოსახული უნდა ყოფილიყო არსენ ბერი¹. ბერი¹. პ. ინგოროყვა ვარაუდობდა აგრეთვე, რომ იქვე უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ფრესკაც, იქ, სადაც ჩრდილოეთის კედლის მხატვრობის კომპოზიციაში, ყველაზე საპატიო ადგილი ცარიელი რომ იყო².

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით შეიძლება გავიზიაროთ, რომ ჯვრის მონასტრის აღდგენა მოხდა 1103-1105 წლებში, რაც შეიძლება დაგაკავშიროთ არსენ იყალთოელის სახელთან. თუმცა ასეთ დაკავშირებას გამო-რიცხავს პ. ინგოროყვა, რადგან ამ დიდი ფილოსოფოსის და მთარგმნელის ბიოგრაფია ასეთ მომენტს არ იცნობს³. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჯვრის მონასტრის ჩრდილო კედელზე გამოსახული იყო არსენი ცამეტ ქართველ მოღვაწეთა შორის⁴. ტიმოთე გაბაშვილის თქმით, „მას მონასტერს ცხოვრებულა 125, კაცი ფილოსოფოსი და მთარგმნელი ღრმათა წერილთა, მოძღვარი დავით აღმაშენებელისა“⁵. ძლიერ საეჭვოა, რომ ამ განსწავლულ მოგზაურს, ტიმოთე გაბაშვილს, თვითონ შეეთხზა ის, რასაც არსენ იყალთოელზე გადმოგვცემს, მას რაღაც სარწმუნო წყარო ჰქონდა. არსენზე რაღაც წყარო ჰქონდა თეიმურაზ ბაგრატიონსაც, როდესაც წერდა: არსენი იყო „აღზრდილი წმიდისა იერუსალიმის ჯუარის მონასტერსა შინა ქართველთასა“ და განაგებდა იერუსალიმში ყველა ქართულ მონასტერს. მას არც საქართველოს საქმეები მიუტოვებია, ხან საქართველოში იყო, ხან იერუსალიმში. არსენმა დავით აღმაშენებლის მიერ გატანებული „დიდითა საფასითა და წარსაგებელითა და მრავლითა ძვირფასითა ნივთითა“ იერუსალიმის წმინდა ადგილებს შესაწირავეები მიართვა და „განაახლა

¹ ინგოროყვა პ., რუსთაველიანას ეპილოგი. *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*, I, თბილისი., 1963, გვ. 807. პ. ინგოროყვას მოსაზრება არ გაიზიარა კ. კეკელიძემ, რომელსაც მიაჩნდა, რომ არსენ იყალთოელი და არსენ ბერი სხვადასხვა მოღვაწენი იყვნენ. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 69.

² ინგოროყვა პ., რუსთაველიანას ეპილოგი, 807.

³ ინგოროყვა პ., რუსთაველიანას ეპილოგი, 803-816.

⁴ მაძისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია, 78-79.

⁵ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 82.

და განამშვენებინა მონასტერი და სხვანი წმინდანი მონასტერნი ქართველთანი⁴.

გვაქვს ცნობები, რომ XII ს. პირველ ნახევარში იერუსალიმი მოილოცა რამდენიმე ქართველმა სასულიერო პირმა. პოეტი იეზიკიელი (1105-1149) ათონის მთაზე აღიზარდა, იერუსალიმში მოიარა და სამშობლოში დაბრუნდა². ანტონ კათალიკოსი მას მოიხსენიებს, როგორც ღვთისმეტყველს, პიიტკოსს, რიტორსა და ფილოსოფოსს და ადარებს არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს³.

ცნობილია, რომ იერუსალიმში იმყოფებოდა და წმინდა ადგილები მოილოცა XII საუკუნეში მოღვაწე მიხეილ კათალიკოსმა (1114-1171). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას თავი გამოუჩენია, როგორც სომეხთა წინააღმდეგ პოლემისტს. ზ. ჭიჭინაძე მიხეილ კათალიკოსის კალამს მიაკუთვნებდა რამდენიმე თხზულებას, რაც კ. კეკელიძეს საეჭვოდ მიაჩნდა⁴.

იმავე საუკუნეში მოღვაწეობდა იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში აღზრდილი თეოდორე ქართველი (1101-1181, რომელიც ისე კარგად დაეუფლა ბერძნულ ენას, რომ მცირე აზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის, ნიკომედიის საეპისკოპოსოს ეპისკოპოსი გახდა. ზ. ჭიჭინაძე მას მიაკუთვნებდა რამდენიმე ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება⁵.

ზემოთ დასახელებულმა ქართველმა სასულიერო პირებმა, სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არ დაგვიტოვეს ჯვრის მონასტრისა და იერუსალიმში მოღვაწე ქართველების შესახებ.

თუ გავანალიზებთ დემეტრე I-ის და გიორგი III-ის მეფობის ხანაში სირია-პალესტინაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, შეიძლება ითქვას, რომ ჯვაროსნების წარუმატებლობაში სერიოზული როლი შეასრულა იმ პასიურმა საგარეო

¹ თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწვებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, სანკტ-პეტერბურგი, 1848, 282-283.

² ჭიჭინაძე ზ., ქართული მწერლობა XII საუკუნეში, თბილისი, 1885, 25.

³ ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა. პ. იოსელიანის გამოცემა, ტფილისი, 1853, ტაპი 766-767; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 306.

⁴ ჭიჭინაძე ზ., ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, 24-25: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 332.

⁵ ჭიჭინაძე ზ., ქართული მწერლობა XII საუკუნეში, 27; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 333.

პოლიტიკამ, რომელსაც, საქართველოს სამეფო კარი, აღნიშნული მიზეზების გამო, სელჩუკების მიმართ ახორციელებდა. მაგრამ, შეიძლება ვარაუდი, რომ დასახელებული მეფეების დროს იერუსალიმის ქართული დიასპორა იმდენად მჭირდო კავშირში იყო წმ. ქალაქის ლათინელებთან, რომ მათგან გარკვეულ დახმარებასაც კი იღებდა. ამგვარი მოსაზრების ვარაუდის საფუძველს იძლევა 1155 წელს წმ. ჯვრის მონასტერში გადაწერილ სვინაქსარზე კათოლიკე ტამპლიერთა ორდენის წევრების მოსახსენებელი მინაწერები, რაც იმას მოწმობს, რომ ორდენის წარმომადგენლები არა მხოლოდ დადიოდნენ ამ მონასტერში, არამედ მას მატერიალურადაც ეხმარებოდნენ¹.

სულ დაწერილია ოცი წარჩინებული ჯვაროსნის აღაპი², რომლებიც ქართველ ბერებს ჩაუწერიათ ფრანგი რაინდების კარნახით და მოიცავს 1155-1188 წლებს³. ასეთივე აღაპები არის საქართველოში გადაწერილი ოთხთავის ხელნაწერშიც, რომელიც შემდგომში იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ და XII ს. მეორე ნახევრით თარიღდება⁴. იერუსალიმელი ქართველების ევროპელ ჯვაროსნებთან სიახლოვის კიდევ ერთ ნიმუშად ასახელებენ ადრექრისტიანული მოწამის, იმპერატორ დიოკლეტიანეს ბრძანებით ისრებით დასერილი რომაელის, სებასტიანეს გამოსახულებას წმ. ჯვრის მონასტერში, რომელიც

¹ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 56.

² კეკელია ვ., ქართულ სინოდოკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის. *საისტორიო კრებული*, 1, წელიწდეული, თბილისი, 2011, 394-395.

³ მეტრეველი ე., იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა). წიგნში: *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, ნაკვეთი I, თბილისი, 2007, 135-136, 138; მეტრეველი ე., იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა). წიგნში: *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, ნაკვეთი I, თბ., 2007, 127-138; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, 94; Казарян О., Взаимоотношения тамплиеров и грузинских монахов в Иерусалиме (1155-1187 гг.). <http://deusvult.ru/86-tampliry-i-gruzinskie-monakhi.html> კეკელია ვ., ქართულ სინოდოკონში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის, *საისტორიო კრებული*, 1, წელიწდეული, თბილისი, 2011, 390-397; ვ. კეკელიასგან განსხვავებული მოსაზრებანი იხ. იხ. წურწუშია მ., H1661 სვინაქსარის შესახებ, *საისტორიო კრებული*, 1, წელიწდეული, თბილისი, 2011, 398-408;

⁴ მეტრეველი ე., ჯვარის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით. *ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, თბილისი, 1976, 256-258.

ე. მეტრეველს, ა. ბაუმშტარკის მიხედვით, XI-XII საუკუნეებში, ჯვაროსანთა ეპოქაში შესრულებულად მიაჩნია¹, შ. ამირანაშვილი VIII ს. პირველ ნახევარს მიაკუთვნებს², თ. ვირსალაძე კი ლ. რეოს მოსაზრებას იზიარებს, რომ ფრესკა XV საუკუნის შემდეგ უნდა დაეხატათ³. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, იერუსალიმის პირველი ლათინი მეფე გოტფრიდ ბულონელი წმ. ჯვრის მონასტერში დაუკრძალავთ, რაც სიმართლეს არ შეეფერება⁴. მაგრამ აქედან ის მაინც ჩანს, რომ იერუსალიმელი ქართველები და ჯვაროსნები ერთმანეთთან იმდენად ახლოს იყვნენ, რომ მაშინდელ იერუსალიმში ჯვაროსანი მეფის ქართულ მონასტერში დაკრძალვა მოსახლეობას დასაშვებად მიაჩნდა⁵.

ჯვაროსნების და იერუსალიმის ქართული კოლონიის ურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. მას ხშირად იერუსალიმის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა განაპირობებდა. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა (გაუარესდა) ბაღდადის III-ის (1143–1162) შემდეგ. სულთანმა სალაჰ ად-დინმა (სალადინი, 1169–1193) ძლიერი სახელმწიფო შექმნა, რომელიც მოიცავდა დღევანდელ ეგვიპტეს და სირიას. მის მთავარ მიზანს იერუსალიმის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენდა. ჯვაროსნები სულ უფრო მეტ ფულს ხარჯავდნენ თავდაცვის ორგანიზებისათვის და ქვეშევრდომებისაგან გადიდებულ გადასახადებს ითხოვდნენ. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული მონასტერიც. ანასუღლისათვის გაწესებულ იმ-

¹ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 58.

² ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, 372.

³ Вирсаладзе Т. Б., Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тбилиси., 1973, 23.

⁴ Попов А., Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, I, СПб., 1903, с. 223-225; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 56.

⁵ XVI ს. უკანასკნელ მეოთხედში, ტ. ტობლერის მიხედვით, ჯვრის მონასტრის მთავარი საკურთხეველის მარჯვენა მხარეს კათოლიკეებს მცირე საკურთხეველი მოუწყვიათ, სადაც ყოველწლიურად წირვას ასრულებდნენ. ტ. ტობლერს ტაძრის შესასვლელის ზემოთ, კედელზე, უნახავს გოთური შრიფტით შესრულებული 1497 წლის წარწერა, რომლის გაშიფვრა, სირთულის გამო, მკვლევარმა დიდხანს ვერ მოახერხა. მაგრამ ტ. ტობლერი წარწერის შინაარსზე არაფერს ამბობს. Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, 740.

დროინდელ აღაპში ვკითხულობთ: „*მეფე იმერუსალიმისა გაგუწურა და რაცა მონასტრისა იყო, დაგუჭირა. ოქროსა გუთხოვდა და დიდსა ჭირსა შეეცვდით უღონობისაგან. არწმუნა ღმერთმან და 100 დუკატი მისთვის შეგუაწია (ანასუღლიმ – ე. მ.)*“¹; კერძოდ, 1177-1178 წლებში ბაღდადში იმ. ჯვრის მონასტერს ჩამოართვა ვენახის ნაწილი, რომლის შესახებაც გვაცნობებს იოანე ფოკა, კრეტელი ხუცესი, რომელმაც 1185 წელს² მოინახულა იერუსალიმი. როგორც შემდგომი პერიოდის მასალებიდან ჩანს, ქართველებმა ამჯერად მონასტერი კი გადაარჩინეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, რადგან ჯვაროსანთა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს, ჯვარი და სხვა ეკლესია-მონასტრები და მამულები ჩამოერთვათ.

¹ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 56.

² Иоанн Фока, Сказание вкратце о городах и странах от Антиохии до Иерусалима, также Сирии, Финикии и о святых местах Палестины XII века. *Православный Палестинский Сборник*. Вып. 23. Санкт-Петербург, 1889, 54. ე. მეტრეველი რატომღაც ფიქრობდა, რომ იოანე ფოკა იერუსალიმში იმყოფებოდა 1177 წელს. იხ. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 56.

წმ. ჯვრის მონასტრის „დატყვევების“ და განთავისუფლების საკითხისათვის

ქართველთა მდგომარეობა წმინდა ქალაქში გართულდა ბაჰარელი მამლუქებისა და მონღოლების ურთიერთბრძოლის დროს. როგორც ცნობილია, ქართველები, ისევე როგორც მონღოლების მიერ დამორჩილებული სხვა ხალხები, დამპყრობლის მხარეს იბრძოდნენ. XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში მამლუქებმა, შეის ხიდრის ბრძანებით, წმ. ჯვრის მონასტერი დაარბიეს, ჯვარისმამა ლუკა მუხაისძე მოკლეს, ქართველებს ჩამოართვეს მონასტერი და მეჩეთად გადააკეთეს. ლუკას მარტვილობაში („მარტვილობა წმიდისა მამისა ჩუენისა ლუკა-დსი“) ვკითხულობთ: როდესაც სულთანმა ხიდრს წმ. ჯვრის მონასტერი გადასცა, იგი *„ვითარცა მკვცი, მიედგა ძმათა ჩუენთა ქართველთა და არარაი შეარჩინა არცა მონასტრით და არცა თვსაი, რაიცა თვსავან ჰქონდა, და ეგეთნი შიშუელნი გამოასხნა“*. ხიდრი განსაკუთრებით მტრულად განწყობილი იყო ლუკასადმი, რადგან ის არ შეეგუა მდგომარეობას და სულთანთან წავიდა მონასტრის დაბრუნების მიზნით, რაც საბოლოოდ ლუკას დაღუპვის მიზეზი გახდა¹. ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი, როგორც ვარაუდობენ, უნდა შექმნილიყო წმ. ჯვრის მონასტერში 1314 წლის შემდეგ, არა უგვიანეს ამ საუკუნის პირველი მეოთხედისა².

XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისამდე იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი პალესტინაში რელიგიური და პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად მეტნაკლებად ინარჩუნებდა ქონებას და დამოუკიდებლობას. მაგრამ აღნიშნული დროიდან კარგახნით იცვლება მისი დამოუკიდებლობის ხარისხი და მონასტერში ჩნდება მეჩეთი. ქართველების მიერ ჯვრის მონასტრის

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 253-254; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 107-111.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 118-119.

დაკარგვის რამდენიმე თარიღს ასახელებენ: 1272 წ.¹, 1273 წ.², 1274 წ.³, 1275 წ.⁴, 1279 წ.⁵

„დატყვევებული“ ჯვრის მონასტრის დახსნა საქართველოს ხელისუფლების, იერუსალიმის ქართული კოლონიის და თვით ჯვრის მონასტრის ძმობისათვის გადაუდებელ ამოცანად გადაიქცა. ისინი სიტუაციის მიხედვით მოქმედებდნენ, როცა ამის შესაძლებლობა იყო, მონღოლებთან ერთად ებრძოდნენ მამლუქებს, ან მატერიალურად ეხმარებოდნენ ჯვრის მონასტრიდან გაძევებულ ქართულ ძმობას. სვანთა ერისთავის ვარდანის ძის მსახურთუხუცესის, არაშიანისთვის დაწერილ ალაჰში ვკითხულობთ: „ქ. ამსვე დღესა ალაპი სუანთ ერისთავსა ვარდანის ძისა მსახურთ უხუცესისა არიშიანისა. მოგუცა ათას ხუთასი თეთრი მას უამსა, ოდეს ჯუარისა მონასტერი სპარსთა დამჭირვით ქონდა, და ძმანი მეტოქს შიგან ვიყვენით⁶, დიდსა დაჭირებასა შინა ვიყვენით. დიდად ნუგეშინისგუცა“⁷.

როგორც ითქვა, 1299 წელს ქართლის მეფე ვახტანგ III დემეტრე II თავდადებულის ძემ (1298 ან 1299 და 1302–1308), რომლის დაპირისპირებას ცდილობდნენ მონღოლები დავით VIII-სთან, ქართველთა ჯარით მონაწილეობა მიიღო ილხანთა ჯარების მიერ იერუსალიმის აღებაში⁸. მოღწეული მწირი ცნობებით, მეფეს დიდი ყურადღება გამოუჩენია ჯვრის მონასტრისადმი და მატერიალურადაც დახმარებია: „რვაჲ თავი ლაჰრი და ათასი თეთრი“ შეუწირავს⁹. მაშასადამე, ვახტანგ III-ს დროებით გაუთავისუფლებია წმ. ჯვრის მონასტერი, რო-

¹ დავიდი ი., ნაწერები, I, თელ-ავივი – იერუსალიმი, 1976, 289.

² მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 42; გონოლენიშვილი დ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (XIII ს. 70-ანი წლები), „მაცნე“, ისტორიის სერია, თბილისი, 1975, №4, 107.

³ ინგოროყვა პ., რუსთაველიანას ეპილოგი, 50.

⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 118.

⁵ კაკაბაძე ს., რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966.

⁶ იერუსალიმში ჯვრის მონასტის მეტოქე იყო წმ. ნიკოლოზის მონასტერი. Архимандрит Леонид, Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам веков. Чтения общества истории и древностей России. Январь - март, №7, Москва, 1871.

⁷ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 92, 155.

⁸ ქართლის ცხოვრება, II, 316.

⁹ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, 1961, 42-42, 97-98, 137, 164.

მელიც ქართველ-ილხანთა ჯარის იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ კვლავ მუსლიმანების ხელში გადავიდა.

ერთი ცნობით, ჯვრის მონასტრის დაბრუნება მოხდა 1305 წელს. დავით VIII დიმიტრის ძემ (1293–1311) მეჩეთად გადაქცეულ ტაძარს ძველი ფუნქცია დაუბრუნა. ის ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში იხსენიება, როგორც „*მეორედ აღმაშენებელი წმიდისა მონასტრისა, რომელმან სარკინოზთავან წარტყუსნული მონასტერი და ეკლესია მიზვითად შეცვალეული ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავთა ქართველთასა*“¹.

არაბი ისტორიკოსის, ალ-მაკრიზის თანახმად, 1305 წ. ეგვიპტის სულთანთან მივიდნენ ბიზანტიის კეისრის და საქართველოს მეფის ელჩები საჩუქრებითა და წიგნით, მოითხოვეს ჯვრის მონასტრის გახსნა და მისი გადაცემა ქართველებსათვის. სამაგიეროდ ქართველები, საჭიროებისდა მიხედვით, დაეხმარებოდნენ სულთანს.

ელჩობას სასურველი შედეგი არ გამოუღია. ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე კაიროში უარი უთქვამთ. ალ-მაკრიზი წერს: „*რაჯაბის თვეში ჩამოვიდნენ [კაიროში] ალ-აშქარის²... და და საქართველოს მეფის დესპანები – დიდებული საჩუქრებით. მათ ითხოვეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გახსნა. მიეწერათ მათ პასუხად, რომ ეს ეკლესია დაიხურა აზ-ზაჰირის დროს შეიხ ხიდრის მიერ და აიგო მასში მეჩეთი. ამის დარღვევა კი შეუძლებელია. გაიცა ბრძანება, რომ მათთვის გაეხსნათ კაიროს იაკობიტთა ეკლესია და ებრაელთა სინაგოგა. ნება მიეცათ ამხედრებულიყვნენ სწორად*“³.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ეგვიპტის სულთანი მამლუქ ალ-აშრაფ სალას ად-დინ ხალილი (მეორედ მეფობდა 1299–1309 წლებში), ბიზანტიის კეისარი – ანდრონიკე II პალეოლოგოსი (1282–1328) და აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავით VIII (1293–1311) იყვნენ, ქართული ნარატიული წყაროები მხოლოდ ქართველთა, მონღოლებთან ერთად, ეგვიპტის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლებზე მიუთითებს და არავითარ

¹ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 43-44, 106, 148.

² ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე II, 1282-1328.

³ XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 37.

ცნობას არ იძლევა ეგვიპტის სულთანთან ჯვრის მონასტრის თაობაზე მოლაპარაკების შესახებ¹.

დროის იმ მცირე მონაკვეთში, როდესაც წმ. ჯვრის მონასტერი თავისუფალი იყო, მრავალმა ქართველმა მეფემ და დიდებულმა აღმოუჩინა მატერიალური შემწეობა, კვლავ აღსდგა ჩაფერფლილი კულტურული საქმიანობა². დაზიანებული მონასტერი შეაკეთეს და ხელახლა მოხატეს. იმავე დროს ქართველებს ზოგიერთი უფლებრივი შეზღუდვაც მოეხსნათ იერუსალიმში.

1310 წელს კაიროს კვლავ ეწვია საქართველოს და ბიზანტიის ახალი ელჩობა. აღ-აინის გადმოცემით: „ჩამოვიდნენ კონსტანტინოპოლში ქართველთა მეფის დესპანები, რომლებიც მიემგზავრებოდნენ უმაღლესი კარისკენ (კაირო). აღ-აშქარიმ, თავის მხრივ, გააყოლა დესპანი და გაისტუმრა. ისინი ჯერ ზღვით მივიდნენ ალექსანდრიაში, შემდეგ მისრში (კაირო). მათთან ჰქონდათ წერილი, რომელშიც ითხოვდნენ, რომ მას (სულტანს) დაებრუნებინა მათთვის (ქართველებისათვის) დიდებული იერუსალიმის ეკლესია, რომელიც მათ ეკუთვნოდათ და რომელსაც ეწოდებოდა აღ-მუადდალიდა³. რამდენიმე ხნით ადრე ის (მონასტერი) წაართვეს მათ და მოაწყვეს იქ მეჩეთი მინარეთითურთ. ის დაუბრუნეს მათ. იბნ ქასირმა აღნიშნა, რომ ის მათ წაართვა შეიხმა ხიდრმა აზ-ზაჰირის ზეიმის დროს და გადააკეთა მეჩეთად. დაუბრუნდათ (მონასტერი) მათ (ქართველებს) სწავლული ხალხის გადაწყვეტილების საფუძველზე და მიეცათ უფლება ამხედრებულიყვნენ სწორად. მანამდე ისინი (ჯდებოდნენ ცხენებზე) ერთ მხარეს ფეხების ჩამოშვებით“⁴

¹ ქართლის ცხოვრება, II, 270, 279-280, 315-317.

² მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 108-110.

³ ტ. ტობლერის მიერ შეკრებილი წმ. ჯვრის არაბული სახელების შესახებ იხ. ზემოთ გვ. 59, შენ 1.

⁴ XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა, თბილისი, 1988, 34. მკვლევრებს შორის თანხმობა არ არის ჯვრის მონასტრის განთავსუფლების თარიღშიც. აღ ცაგარელმა ეს ფაქტი 1305 წელს მომხდარად ივარაუდა (Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 95), რაც გაიზიარეს დ. ყიფშიძემ, ე. მეტრეველმა, დ. ლანგმა, პ. ინგოროყვამ, ბ. სილაგაძემ, ი. სიხარულიძემ, აბუ მანნუჯიმ და სხვებმა. მკვლევართა მეორე ჯგუფმა – ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. მენთეშაშვილი და ნ. კანდელაკი – უპირატესობა მიანიჭეს XIV ს. 20-იან წლებს – გიორგი ბრწყინვალეს მეფობის პერიოდს (1318-1346), რაზეც შედარებით ვრცლად შემდეგში ითქმევა.

დ. გოხოლეიშვილმა მოიძია კიდევ ერთი ავტორის, მუფად-დალ იბნ აბილ-ფადალის ცნობა. ეს ისტორიკოსი ამბის თანამედროვე იყო და მეტ ნდობას იმსახურებს. მუფადდალის მიხედვით, 710 წელს (1310 წ.): „აღ-აშქარის დესპანები ქართველთა დესპანების თანხლებით ეწვივნენ მაღალ კარს, დიდებული იერუსალიმის მონასტრის დაბრუნების თხოვნით. [აღნიშნული მონასტერი] მიიტაცა შეიხმა ხიდრმა აზ-ზაჰირის ზეობაში და გადააკეთა მეჩეთად, როგორც აღინიშნა. დაუბრუნდათ ის [ქართველებს] სწავლული ხალხის გადაწყვეტილების საფუძველზე. მართლაც, მისი [ეკლესიის] წართმევა არ შეიძლება“⁴.

დამოწმებული წყაროების საფუძველზე დ. გოხოლეიშვილი სავსებით სწორად დაასკვნის, რომ დავით VIII-მ 1310 წელს იერუსალიმის ქართველთა თემს წმ. ჯვრის მონასტერი დაუბრუნა².

ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნების თარიღი დამატებითი წყაროებისა და ლიტერატურის მოხმობით, კიდევ უფრო დააზუსტა გ. ჯაფარიძემ. მას მოჰყავს ბაიბარს აღ-მანსურის ნაშრომიდან ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნობა, რომლის ანალიზის საფუძველზე იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 1310 წლისათვის მონასტერი ჯერ ისევ „ტყვეობაში“ იყო, რაზეც მიუთითებს ის, რომ აღნიშნულ წელს დასავლეთ საქართველოს მეფემ, კონსტანტინე I-მა (1293-1327) დავით VII ნარინის ძემ, ეგვიპტეში გაგზავნა ელჩები. სულთანმა, ჯვრის მონასტრის დაბრუნების სანაცვლოდ, მოითხოვა: კონსტანტინეს „ეზრუნა მისი სამეფოს მიწებზე მცხოვრებ მუსლიმანებზე, მფარველობა გაეწია მათთვის, დაეცვა ისინი ზიანისაგან და დახმარებოდა მათ შეესრულებინათ თავიანთი რელიგიური მოვალეობები ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, რომ მათი ხმა გაეკონათ მეჩეთებში და მაღალი მინარეთებიდან; რომ კარგად მოჰყრობოდნენ ხშირად წამსვლელ-მომსვლელ ვაჭრებს, დაეცვა ისინი მათი საქონლის შეტანა-გატანის დროს...“³

¹ XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 38-39.

² XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 39.

³ ჯაფარიძე გ., მუსლიმანთა „ტყვეობიდან“ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების თარიღისათვის. *საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები*. 25-26 იანვარი, თბილისი, 2005, 166.

მეფე კონსტანტინემ, ალბათ, დააკმაყოფილა სულთნის მოთხოვნები, რადგან 1311 წლის იანვარში მონასტერი უკვე ქართველების ხელშია და იქ ცხოვრობს ვინმე სადუნ ქართველი. 19 იანვრის¹ დოკუმენტით, სულთანი სადუნს და იერუსალიმის სხვა ქართული მონასტრების ბერებს დაცვის გარანტიას აძლევს. მაშასადამე, გ. ჯაფარიძის მიხედვით, წმ. ჯვრის მონასტერი ქართველებს დაუბრუნდათ 1310-1311 წლების მიჯნაზე².

ჯვრის მონასტრის საკითხთან დაკავშირებით 1305 წელს დაწყებული საქართველო-ეგვიპტის მოლაპარაკება 1310 წელსაც გრძელდებოდა. ზოგადად, ქვეყნებს შორის ურთიერთობის პრაქტიკაში არსებობდა წესი, რომ ახალ მთავრობას განეახლებინა წინამორბედის მიერ ადრე მიღწეული შეთანხმება. ამგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიურ ურთიერთობაში. მომხდარი პოლიტიკური ცვლილება, მეფის (საქართველოში) და სულთნის (ეგვიპტეში) შეცვლა, აუცილებელს ხდიდა წინამორბედთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ან შეთანხმების ხელახლა შეთანხმება-დამტკიცებას. ადრინდელზე მიჭირს დაბეჯითებით თქმა, მაგრამ გვიანდელი პერიოდის ოსმალთა სულთნები ან მათი მოხელეები ყოველთვის ინტერესდებოდნენ ამა თუ იმ ეკლესიის ან მონასტრის „კანონიერად“ ფლობის დამადასტურებელი საბუთებით, იქნებოდა ისინი ოსმალთა თუ ეგვიპტელი სულთნების მიერ გაცემული და, სადავო საკითხების გასარკვევად ქრისტიანებსაც და მუსლიმანებსაც, მომჩივანსაც და მოპასუხესაც, ასეთი საბუთების აუცილებლად წარდგენას სთხოვდნენ. სხვა ვერაფრით ავხსნით ალ-უშარის და ალ-კაშკანდის გადმოცემებს ქართველი მეფე ბარტილმას შესახებ, რომელშიც მკვლევარი გიორგი V ბრწყინვალეს ამოიცნობს. ორივე არაბი ისტორიკოსი აღნიშნავს ქართველი მეფის მიერ ეგვიპტის სულთნისათვის გაგზავნილ თხოვნას დაუბრუნოს ქართველებს წმ. ჯვრის მონასტერი.

მოლაპარაკება რომ ხანგრძლივი იყო და ქართველები ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევდნენ იერუსალიმში თავიანთი უფლებების აღდგენას, ჩანს იქიდანაც, რომ 1305-1311 წლების შუალედში, ქართველებმა „1308 წელს თავიანთ მფარველობაში მიიღეს

¹ იგივე დოკუმენტი გ. ჯაფარიძემ სხვა დროს დაათარიღა 29 იანვრით. იხ. ჯაფარიძე გ., XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, თბილისი, 2008, 236.

² ჯაფარიძე გ., მუსლიმანთა „ტყვეობიდან“ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დაბრუნების თარიღისათვის, 167.

გოლგოთის სამლოცველო – ადგილობრივი (არაბი - ე. მ.) ხელისუფლების ოფიციალური გადაწყვეტილების საფუძველზე¹. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯვრის მონასტრის საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ იყო. საკითხში სინათლის შეტანისათვის მნიშვნელოვანია გ. ჯაფარიძის მიერ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მოძიებული არაბული დოკუმენტები.

1311 წლის 19 ან 29 იანვრის ბრძანებულება არის სულთან ან-ნასირ ნასირ ად-დინ მუჰამმად იბნ კალაგუნის (1293-1294, 1299-1309, 1310-1341) იერუსალიმისა და დამასკოს მოხელეებისადმი მოწოდება, იზრუნონ ჯვრის მონასტრის ქართველ ბერზე, სადუნზე. ბრძანებულება მიზნად ისახავს მუსლიმების მიერ ქართველი ბერებისა და პილიგრიმების შევიწროების აკრძალვას, რის შესახებ, მოსალოდნელია, სულთანს სთხოვეს ქართველმა ბერებმა².

სულთნის მეორე ბრძანებულება განეკუთვნება 1312 წლის 29 თებერვალს და მისი გამოცემა მიანიშნებს, რომ იერუსალიმსა და მის მიდამოებში გრძელდებოდა მუსლიმანების მიერ ქართველი სასულიერო პირების შევიწროება, ირღვეოდა ქართველების უფლებები მემკვიდრეობის მიღებისას, რის გამოც მათ სულთნისათვის საჩივარი მიუერთმევიათ. სულთნის ბრძანებულებით, ამიერიდან ქართველები უნდა იხდიდნენ სულთნის დივნის მიერ განსაზღვრულ გადასახადებს, სამაგიეროდ, მოხელეებმა მათ არ უნდა მიაყენონ ვნება და ზიანი, უნდა იცავდნენ და მფარველობდნენ³.

სამივე დოკუმენტი საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ, როგორ ფართოვდებოდა და იხვეწებოდა ქართველი ბერებისა და მომღვწეების უფლება-მოვალეობანი იერუსალიმში XIV ს. პირველ მეოთხედში.

მუჰამმად იბნ კალაგუნის მიერ გამოცემული ზემოაღნიშნული ბრძანებულებები, ვფიქრობ, იერუსალიმის ქართული თემის მიერ თავისი მეფეებისა და სულთნის წინაშე აქტიურობის შედეგი იყო, რასაც მეფეების სულთანთან დიპლომატიური კონ-

¹ ჯაფარიძე გ., სულთან ბარკუყის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკანელთა სამეურვეოს არქივიდან. *ქართული დიპლომატია, წელიწადი*, 9, თბილისი, 2002, 677.

² ჯაფარიძე გ., XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი, 236.

³ ჯაფარიძე გ., XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი, 236-237.

ტაქტიკების გაცხოველება და ჯვრის მონასტრის სრული განთავისუფლება მოჰყვა. მაგრამ ძმობისათვის ღია ჭრილობად რჩებოდა მონასტრის ტერიტორიაზე არსებული მეჩეთი, რომელიც იერუსალიმელ მუსლიმანებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას იქ მყოფი ქართველი ძმობისადმი უსიამოვნო ღონისძიებების მანიპულირების საშუალებას აძლევდა.

ალ-უმარი წერს: „*მან (გიორგი V – ე. მ.) დაიწყო მიმოწერა სულტნის მაღალ კართან ჯვრის მონასტრის გამო, რათა აეღოთ მასზე დამპყრობლური ხელი, (რის შედეგადაც) გამოიცა სულტნის ფირმანები (ქართველებისათვის) მისი დაბრუნების შესახებ. (ადრე) ეს მონასტერი წაართვეს (ქართველებს) და გადააკეთეს მეჩეთად. იგი მღებარეობს დიდებული იერუსალიმის ფარგლებს გარეთ. (მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება) ემძიმათ უღემებსა და ღვთისმოშიშებს, თუმცა (მონასტრის დაბრუნება) ტყუილ-უბრალოდ არ მომხდარა. არ იშურებდა (ქართველთა მეფე) მისთვის (ჯუბანისათვის)¹ მის (სულტნის) წინააღმდეგ ძველსა და ახალ ქონებას და ამბობენ, რომ აქეზებდა ჯუბანს (ამ) ქვეყნის წინააღმდეგ².*

ალ-უმარის ნათქვამს მთლიანად იმეორებს ალ-კალკაშანდი და თავის მხრივ მხოლოდ იმას უმატებს, რომ „*ბარტალმა, რომელიც ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის*“³.

მუსლიმანი ალ-უმარი სულტნის მიერ ქართველებისათვის მხოლოდ ჯვრის მონასტრის დაბრუნებზე ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ იქ მუსლიმანთა სიწმინდე – მეჩეთი იყო. მეჩეთის უარყოფა და ჯვრის მონასტრის აღდგენა იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. მორწმუნენი უკმაყოფილო დარჩნენ სულტნის გადაწყვეტილებით. მათ დიდი ხნის განმავლობაში შეინახეს იქ მეჩეთის აღდგენის სურვილი.

არაბი ისტორიკოსების მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას:

1. გიორგი ბრწყინვალეს გამეფებისთანავე (1318 წ.) ეგვიპტის სულთანთან ურთიერთობა გამწვავდა მისი ილხანთა ყაენ-

¹ იგულისხმება აბუ საიდის დროს (1317-1335) აღზევებული ჩობან ნოინი.

² XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 52.

³ XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 55.

თან და ჩობან ნოინთან კარგი დამოკიდებულების გამო. ეგვიპტის სულთნის კარზე ილხანთა სახელმწიფო განიხილებოდა, როგორც მტრული. ამის გამო ეგვიპტის ხელისუფლება ავიწროებდა ქართველებს იერუსალიმში.

2. გიორგი V ცდილობდა, ილხანთა ძალის გამოყენების მუქარით (როგორც ამის შესახებ გვამცნობს ალ-უმარი), ან კათოლიკურ ევროპასთან ერთად ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობის მუქარით (როგორც მოღწეული წერილობითი ცნობებით ირკვევა), აიძულოს ეგვიპტის სულთანი, დათმობაზე წავიდეს და ქართველებს დაუბრუნოს წმინდა ადგილები.

3. გიორგი V როდესაც დარწმუნდა, რომ მხოლოდ წერილებითა და შანტაჟით მიზანი ვერ მიიღწეოდა, ამის შემდეგ ის თავის ელჩს აგზავნის ეგვიპტეში. საფიქრებელია, რომ გიორგი V ბრწყინვალემ გაითვალისწინა ეგვიპტის სულთნის ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები, რომელიც მას კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ გააჩნდა. ერთადერთი ქართული წყარო, რომელიც ამ ელჩობაზე გვამცნობს, არის „ძეგლი ერისთავთა“. მასში გადმოცემულია ელჩისა და მისი თანამგზავრის მოგზაურობაზე ეგვიპტეში, იქიდან იერუსალიმში მისვლასა და ელჩობის შედეგებზე: *„ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა (ეგვიპტელთა – ე. მ.) დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ჴმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა; და წარჴვეა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე, და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შემოთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა¹ და ყოველსა ერსა ცხრა ზმისჴვევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღურობაჲ ნუვის ჴელ-ეწიფების თჯნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღური.....² [მოძღუართ-მოძღუარი] ხოლო პიპამან მოიღოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი*

¹ ვირშელ ლარგველის ძე, ქსნის ერისთავი 1320 წლიდან. ღუნაშვილი ვლ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები, 1997, 65.

² თ. უორდანიამ შნიშნავ, რომ ტექსტს აკლია ერთი ან ერთნახევარი სტრიქონი.. ქრონიკები, II, 8.

და წარმოვიდა მასვე გზასა კმელით, და მოვიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაცი შეწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოველისა მისისა. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა⁴.

ივ. ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელთ არ ჰქონდა დღეისათვის ცნობილი ზოგიერთი არაბული წერილობითი წყარო, პიპა ქვენიფნეველის ელჩობის ზოგადად შეფასებისას გიორგი ბრწყინვალეს დიპლომატიური წარმატების მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ „ქართველებმა, წართმეული ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად, ჩაიბარეს აგრეთვე „კლიტენი იერუსალიმისანი“²

ე. მეტრეველმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ციტირებულ ტექსტში ნახსენებიც კი არ არის წმ. ჯვრის მონასტერი. „ამბავი ეხება მხოლოდ „იერუსალიმის კლიტეს“, რომლის მიღებისთანავე პიპა წავიდა ქრისტეს საფლავის სალოცავთან... ამ კონტექსტიდან სავსებით აშკარაა, რომ „იერუსალიმის კლიტე“ მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს საფლავის კლიტეს ნიშნავს და ამ სალოცავის დიდი მნიშვნელობის გამო „ძეგლი ერისთავთა“ ავტორი სიმბოლურად მას „იერუსალიმის კლიტეს“ უწოდებს“³.

როგორც ჩანს, ე. მეტრეველის მოსაზრებას იზიარებდა ბ. სილაგაძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ პიპა ქვენიფნეველის ელჩობის მიზანი ჯვრის მონასტრის განთავისუფლება კი არ იყო, არამედ „იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავის“ დახსნა⁴.

ვფიქრობ, „ძეგლში“ ლაპარაკია არა ერთი სიწმინდის – ქრისტეს საფლავის კლიტეზე, არამედ მრავალი სიწმინდის კლიტეებზე და მათ შორის უნდა იგულისხმებოდეს ჯვრის მონასტრის კლიტეც, რომლის შესახებ არაბი ავტორები აღნიშნავენ.

¹ ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 1954, ნაკვ. 30, 350. მონიშნა ჩემია.

² ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, 176-177.

³ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 46.

⁴ სილაგაძე ბ., მასალები საქართველო-ევგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, თბილისი, 1968, 103.

„იერუსალიმის კლიტეებზე“ საუბრის გაგრძელებამდე, გავეცნოთ მუჰამმად იბნ კალაფუნის 1320 წლის 28 აპრილის ბრძანებულებას, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია. ჩემი აზრით, იგი ეხმაურება „ძეგლი ერისთავთას“ პიპა ქვენიფნევის ელჩობის ცნობას, ახსნის მას და იძლევა ფართო განსჯის საშუალებას. ჯერ სულთნის ბრძანებულებას გავეცნოთ: „დაიწეროს ეს სამეფო შეუვალობა **წინამძღვრის, დიდებული, პატივცემული ივანესთვის, რომელიც ცნობილია, როგორც ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, რომ მოვიდეს წმინდა იერუსალიმში უშიშრად, მშვიდად საკუთარ თავზე და არ უყოფენ მას ცუდ საქმეს, არ მიაყენებენ შეურაცხყოფას, არც ზიანს და არც ვნებას, არც თვითონ მას და არც მის ქონებას და არავის, ვინც მასთან ერთად მოვა მისი ხალხიდან და მისი თანამგზავრებიდან. ნუ ექნება შიში ნურც მას და ნურც მათ. და ჩვენ გვიბრძანებია, რომ, როცა მოვა წმინდა იერუსალიმში, გაჩერდეს იმ ადგილებში, რომლებიც ქართველთა თემის ხელთაა წმინდა იერუსალიმში; და მას ექნება მფარველობა, პატივი, სიყვარული, პატივისცემა და დაუმშვიდდება გული, იქნება კმაყოფილი და მოვა ჩვენი ღვთისაგან დაცულ ქვეყანაში, რათა იცხოვროს წმინდა იერუსალიმში, თანახმად მისი ადათისა და მისი წესისა – ზემოთ სამეფო ხელმოწერის დასმის შემდეგ. თუ ისურვებს მაღალი აღლაჰი“¹.**

ვიდრე დოკუმენტის წმ. ჯვრის მონასტერსა და ივანეს შევეხებოდე, მანამდე ყურადღება უნდა გამახვილდეს არაბული წყაროების შემდეგ მონაცემებზე. როგორც ჩანს:

ა) XIV ს. დასაწყისში იერუსალიმში არსებობდა ქართველთა ხალხმრავალი თემი და მის განკარგულებაში იყო წმ. ქალაქის სხვადასხვა ადგილი, რომლებშიც, საკულტო ნაგებობების გარდა, საცხოვრებელი სახლებიც უნდა ვივარაუდოთ.

ბ) უეჭველია, რომ დოკუმენტში ლაპარაკია პიპა ქვენიფნევის საკმაოდ მრავალრიცხოვან და შეძლებულ ელჩობაზე. ელჩმა სულთანს ისე უხვად მიართვა მდიდრული საჩუქრები, რომ არაბმა ისტორიკოსმა აღნიშვნის ღირსად ჩათვალა.

გ) აღ-უმარი ცდილობს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნების, მუსლიმანთა გაგებით, არაპო-

¹ ჯაფარიძე გ., XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი, 240. მონიშვნა ჩემია.

პულარული კომპრომისი იმით გაამართლოს, რომ ქართველი მეფე ილხანთა ირანის გამგებლის აბუ საიდის (1317-1335) ვაზირის ჩობანის (ჯუბანის) მეგობარია და ეს ცნობილი და ძლიერი პიროვნება გიორგი მეფეს სულთანთან შუამდგომლობს. იმავე დროს ცნობილია, რომ ქართველი მეფე ჩობანს ეგვიპტის წინააღმდეგაც აქეზებს.

დ) ქართული სამეფო კარი დიპლომატიური საშუალებებით, 1305 წლიდან დაწყებული, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს წმინდა ქალაქში თავისი უფლებების ასამაღლებლად და ჯვრის მონასტრის განთავისუფლებისთვის, რასაც საბოლოოდ და სრულად მიაღწია გიორგი V ბრწყინვალემ 1320 წელს.

1320 წლის დოკუმენტი იმის მაუწყებელია, რომ საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობის მოცემულ ეტაპზე ყველა საინტერესო საკითხი ქართველებისთვის სასურველად გადაწყდა:

ვფიქრობ, **ქართველი ელჩისათვის „იერუსალიმის კლიტეების“ გადაცემას ორმაგი - სიმბოლური და პირდაპირი დატვირთვა აქვს.**

ა) სიმბოლური იყო ის, რომ მუჰამმად იბნ კალაეუნმა ქართველებს გაუუქმა ადამიანური და ეროვნული ღირსების შემლახველი ვალდებულებები. ამიერიდან ქართველებს წმ. ქალაქში ნება მიეცათ, თავისუფლად, იარაღასხმულნი, სახელმწიფო დროშით, ცხენზე მამაკაცურად გადამჯდარი დაუბრკოლებლად შესულიყვნენ წმინდა ქალაქში.

ბ) ჯვრის მონასტრის წინამძღვრის „ბანდასძე დეკანოზი იოვანესათვის“ სულთნის მიერ 1320 წელს მინიჭებული უფლებები, „*იცხოვროს წმინდა იერუსალიმში, თანახმად მისი ადათისა და მისი წესისა*“; სავარაუდოა, გავრცელებოდა იოანეს მრევლსა და იქ მოსახლე სხვა ქართველებზეც.

გ) ჩანს, რომ იოანე 1320 წლის 28 აპრილს ჯერ არ ჩასულა წმ. ქალაქში და არ შესდგომია სულთნისაგან ნაბოძები ჯვრის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის აღსრულებას.

დ) დოკუმენტი ძალაში შევა მას შემდეგ, როდესაც მას სულთანი ხელმოწერით დაამტკიცებს.

ე) „ძეგლი ერისთავთა“ დაწერილია ქსნის ერისთავთ-ერისთავის ვირშელ III-ის სიცოცხლეში (1348-1400) ლარგველი მოღვაწის, მწიგნობარისა და მხატვარის ავგაროზ ბანდაიძის მიერ¹. ავტორისათვის, შეიძლება, კუთხური ინტერესიდან გა-

¹ ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, 321.

მომდინარე, უფრო მნიშვნელოვანი იყო ხაზგასმა იმ გარემოებისათვის, რომ „*ძე შალვა ერისთავისად, რომელსა ერქუა პიპად*“, საქართველოს მეფის ელჩი, ეგვიპტის სულთანს ეწვია, იყო იერუსალიმში, სადაც, „*ძეგლის*“ ავტორის მოწმობით, ქრისტიანთა უპირველეს ტაძარში „*ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, უამი აწირვა, ეზიარა*“. „*ძეგლის*“ ავტორის მიერ ჯვრის მონასტრის დაუსახელოებლობა, იქნებ ამ სიწმინდის ნახევარი საუკუნის განმავლობაში „ტყვეობითა“ და მასში მეჩეთის არსებობით იყო გამოწვეული. მის მიმართ ცნობები შემცირდა და, შესაბამისად, ინტერესიც შესუსტდა, მაშინ როდესაც უფლის საფლავის ტაძარი, როგორც საერთო ქრისტიანული სიწმინდე, ქართველ მორწმუნეებში თავის უდიდეს მნიშვნელობას ყოველთვის ინარჩუნებდა.

ვ) არანაკლები მნიშვნელობა „*ძეგლის*“ დამწერისათვის ექნებოდა იმასაც, რომ იოანე მისი მოგვარე და, შეიძლება საამაყო, არცთუ შორეული წინაპარი იყო¹. ამასთან ერთად, ქსნის ერისთავ ვირშელს, სამთავნელსა და საერისთავოს მოსახლეობას იერუსალიმიდან გამოუგზავნეს იმის საბუთი, რომ ამის შემდეგ მოძღვართ-მოძღვარი იქნებოდა მხოლოდ ივანე. იბადება კითხვა: რატომ გამოუგზავნეს აღნიშნულ საეკლესიო თანამდებობაზე ივანეს ხელდასხმის საბუთი ზემოთდასახელებულ ადრესატებს? საერისთავოს ეკლესიის მოძღვართ-მოძღვარიც იგივე ივანე უნდა ყოფილიყო?

ზ) გიორგი ბრწყინვალეს დროს გოლგოთის ქართველი წინამძღვარი – გოლგოთელი, მოიხსენიება სამცხის მღვდელმთავრების რიგში მეფესთან დარბაზობის (მიღების) წესის განმარტებისას. გოლგოთელიც დარბაზის წევრი იყო და მიღების ისეთივე პატივი ჰქონდა, როგორიც სამცხის უმნიშვნელოვანესი საეპისკოპოსოების ეპისკოპოსებს – მაწყვერელს, ანჩელს და მტბევარს².

თ) სულთნის მიერ ჯვრის და სხვა მონასტრების დათმობა მოხდა ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებით. ქართული წყაროს მიხედვით, პიპა „*მრავლითა ძღუენითა*“ მივიდა სულთანთან. აღ-უმარი პირდაპირ ამბობს, რომ მონასტრის დაბრუნება „*ტყუილ-უბრალოდ არ მოხდა*“. ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეგვიპტელმა ვაჭრებმა საქართველოში თავისუფალი მიმოსვლისა და ვაჭრობის უფლება მიიღეს. პოლიტიკური გა-

¹ ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, 17.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 655-656.

რიგება კი ის უნდა ყოფილიყო, რომ გიორგი V ჩობან ნოინს ეგვიპტის წინააღმდეგ აღარ წააქეზებდა.

კ) ეგვიპტესთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარება, იერუსალიმის წმინდა ადგილებში ქართველთა უპირატესობის მოპოვება გიორგი V-ის საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ეს არ იყო გიორგი ბრწყინვალეს მიერ თუნდაც 1325 ან 1330 წელს ერთჯერადი მოქმედებით მოპოვებული წარმატება¹. ეს წარმატება მიღწეული იქნა არა უცხად, არამედ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად. თანდათანობით მოპოვებული წარმატებები ამიტომაც უნდა ასახულიყო გიორგი მეფის სახელზე დადგენილ ჯვრის მონასტრის ალაპებში. მის სახელზე 7 ალაპი დაიწერა². სხვა არც ერთი ქართველი მეფე ამდენჯერ არ მოხსენიებულა იერუსალიმს წმ. ჯვრის მონასტერში. პიპას სახელზე დაწერილია მხოლოდ ერთი ალაპი³.

განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია იმის გარკვევა, 1320 წლის ბრძანებულებაში მოხსენიებული ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იოანე რატომ აკურთხეს მოძღვართ-მოძღვრად იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის ეკლესიაში, რასაც „ძეგლი ერისთავთა“ გვამცნობს? ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესია უმთავრესი მართლმადიდებლური სიწმინდე იყო და ჯვრის მონასტრის წინამძღვრად ხელდასხმა ამ ტაძარში დიდ პატივად ითვლებოდა, შეიძლება, იქ ცერემონიის ჩატარება იმითიც იყო განპირობებული, რომ ამ დროს ქართულ უმთავრეს მონასტერში ჯერ კიდევ მეხეთი მოქმედებდა. ამით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ერთ-ერთი გერმანელი პილიგრიმი გილელმუს ბალდენსელელი, რომელმაც 1332 წელს მოილოცა იერუსალიმი, აღნიშნავს, რომ ქართველები ფლობდნენ ჯვარის ეკლესიას გოლგოთაზე, მაგრამ არაფერს ამბობს მათ ყოფნაზე წმ. ჯვრის მონასტერში⁴.

¹ კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, 74; Какабадзе С. С., Хроника ксанских ериставов начала XV века. *Письменные памятники Востока. Ежегодник*, 1968, Москва, 1970, 106.

² მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 75, №69; 81-82, №26; 91, №126; 93, №149; . 102, №258; 104, №280; 105, №284.

³ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 75, №63.

⁴ Grotefend C. L., Die Edeiherrn von Boldensele. *Zeitschrift des Historischen Vereines für Niedersachsen*, Jg. 1852, Hannover, 1855, 265.

მეჩეთი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში

XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისამდე რაიმე ცნობა წმ. ჯვრის მონასტერში ან მის ტერიტორიაზე მეჩეთის არსებობის შესახებ არ მოიპოვება.

ერთ-ერთი არაბული წყაროდან ვიგებთ, რომ ეგვიპტის მამლუქი სულთანი ბეიბარსი (1260–1277) ჯვრის მონასტრის ბერების ლოიალობაში დაეჭვდა, რომ ისინი მონღოლების სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ. ამის გამო მამლუქებმა, შეის ხიდრის ბრძანებით, წმ. ჯვრის მონასტერი დაარბიეს, ჯვარისმამა ლუკა მუხაისძე მოკლეს, მონასტერი ქართველებს ჩამოართვეს და მეჩეთად გადააკეთეს¹.

ქართული და არაბული წყაროების შეჯერებით დ. გოჩოლეიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მონასტრის მეჩეთად გადაკეთება მოხდა XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში და არ უნდა სცილდებოდეს 1272 წლის 27 ივლისს². როგორც ზემოთ აღინიშნა წმ. ჯვრის მონასტრის ქართული ეკლესიისათვის დაბრუნება მოხდა XIV ს. 10-20-იან წლებში და, შესაბამისად, მონასტერში მეჩეთი ფუნქციონირებას შეწყვეტდა. მაგრამ მუსლიმანთა მეხსიერებაში მაინც დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა გადმოცემა ჯვრის მონასტერში მეჩეთის არსებობის შესახებ.

XVI საუკუნეში მუსლიმანებმა წამოიწყეს მწვავე დავა ქართველთა უმთავრესი ჯვრის მონასტრის ბერების წინააღმდეგ. მომჩივანები, რომლებმაც იერუსალიმის ყადის მიმართეს, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მონასტრის ტერიტორიაზე ოდესღაც იყო მინარეთიანი მეჩეთი, რომლის ნაშთებიც 50-60 წლის წინათ ჯერ კიდევ არსებობდა. ყადი სულთნის კარს აცნობებდა, რომ მან პირადად მოინახულა წმ. ჯვრის მონასტერი და იქ მეჩეთისა და მინარეთის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა. ყადის სიმართლეს ადასტურებდა მისი წინამორბედი ყადიების გადაწყვეტილებები, რომლებიც მსგავსი საჩივრების გამო იყო მიღებული. ქართველებსაც ჰქონდათ იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ მათ მონასტრის ტერიტორიაზე მეჩეთი არ დაუნგრევიათ. ჯვრის მონასტრის ბერები მოითხოვდნენ, საჩივრის განხილვა შეწყვეტილიყო მისი ხანდაზმულობის

¹ ჯაფარიძე გ., ქართველები იერუსალიმში ახლადმიკვლეული არაბული დოკუმენტების შუქზე, *ლიტერატურული საქართველო*, 15. 02. 1995, 14.

² XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 32.

გამო და სულთნისათვის ნამდვილი ფაქტები წარედგინათ. 1564 წლის 30 დეკემბერს სულთანმა ყადის უბრძანა, რომ მას გაეუქმებინა მუსლიმანთა საჩივარი და არავის ემოქმედა კანონის საწინააღმდეგოდ¹.

როგორც ჩანს, მუსლიმანები 250 წლის წინათ ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე ძალადობით და უკანონოდ დაარსებული მეჩეთის აღდგენას ცდილობდნენ. ისინი სულთნის ბრძანებამ მხოლოდ დროებით შეაჩერა. მათ რამდენიმე წლის შემდეგ განაახლეს საჩივრები „დამნაშავე“ ჯვრის მონასტრის ბერების წინააღმდეგ. თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ამის შესახებ მოგვითხრობს 1571 წლის ჰუჯჯათი. სულთნის ბრძანებით, დამასკოს შარიათული სასამართლოს მსაჯულსა და მუფთის დაევაღათ გამოეძიებინათ საქმე იმ *მეჩეთისა, რომელიც ჯვრის მონასტრის კარიბჭესთან არსებობდა* და ის ცვლილებები გამოერკვიათ, რომლებიც ქართველებმა მეჩეთის ძველ მდგომარეობაში შეიტანეს. დამასკოდან წამოსული მსაჯული და მუფთი მივიდნენ იმ ადგილას, სადაც მეჩეთი უნდა ყოფილიყო. მათ თან ახლდნენ იერუსალიმის ლივის ამირა და მავლა. „*მათთან ერთად იყო მუსლიმანების დიდი ჯგუფი და მრავალრიცხოვანი კრებული ღვთისმოსავ მონოთეისტებისა*“. მსაჯულსა და მუფთისთან მივიდა ჯგუფი მუსლიმანებისა, რომლებმაც წარადგინეს სარჩელი. ისინი უჩიოდნენ ჯვრის მონასტრის ბერებს: ნაბა საბას ძეს, იოსებ სასარის ძეს, შილა დადას ძეს, მიჰრილ შალვას ძეს, ირსემა მიხეილის ძეს, დაშრი საბას ძეს, კალაჰბურ ხრისთავლურის ძეს, შალვა ვასაკის ძეს და იარქმა ჯაქმა კოსტას ძეს იმის თაობაზე, რომ „*ხსენებული ადგილი ძველი დროიდან იყო დიდებული მეჩეთი – ისლამური მიჰრაბით და მის [შენობის] ზევით კი - ისლამური მინარეთით. მინარეთი დაინგრა, ხოლო მისი კვალი [ქრისტიანებმა] წარხოცეს და შეუცვალეს სახე მეჩეთს იმით, რომ აავგეს გამყოფი კედელი მის ორ კარებს შორის, რომლებიც მიმართულია ჩრდილოეთით, რათა შექმნილიყო ორი შენობის შთაბეჭდილება. მათ ის გადააქციეს თავიანთ სატრაპეზო სახლად, რომლის შუაში თავიანთი ადათის შესაფერისი რამ აავგეს. ზემოხსენებულმა [ქართველ ქრისტიანთა] თემმა ეს მტკიცებანი არ მიიხნია მართებულად*“².

¹ სალამე ო., გერშონ ბენ ორენი., ქართველები იერუსალიმში, 10-11.

² სალამე ო., გერშონ ბენ ორენი., ქართველები იერუსალიმში, 19-20.

დასახელებულ ქართველებს შორის პირველი, ნაბა საბას ძე, უნდა იყოს მამა ბარნაბა თბილელი, რომელიც იმავედროულად თბილისის მთავარეპისკოპოსიც იყო. მის სახელთან იყო დაკავშირებული წმ. ჯვრის მონასტერში კულტურული საქმიანობის გამოცოცხლება¹.

მუსლიმანებმა წარადგინეს „ასლი შარიათის დავთრისა“, დათარიღებული 1569 წლის თებერვლის შუა რიცხვებით. ამ საბუთის მიხედვით, „აღნიშნული ადგილი იყო ძველი მეჩეთი, ისლამური მიპრაბითა და ისლამური მინარეთით“. ქართველებმა როცა ეს საბუთიც უარყვეს, მაშინ მოსარჩლეებმა მოიყვანეს მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს დავთრის ასლის სისწორე. შემდეგ „მეჩეთის უკანა ნაწილში აღმოჩნდა ძველი მიპრაბი და ქვა, რომელზედაც ხსენებული მეჩეთის [ავების] თარიღია. [ქვა] ნამტკრევეებად იყო ქცეული და მისი წარწერიდან არ ჩანდა რა გარდა ბასლამასი“². მავლამ, მსაჯულმა და მუფთიმ ბრძანეს „მოშორება და დანგრევა ორ კარებს შორის არსებული კედლისა, რომელიც მაშინვე იქნა დანგრეული“³.

როგორც მოყვანილი საბუთის შინაარსიდან ჩანს, ქართველების არგუმენტებმა ბოლომდე ვერ გაჭრა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მართალია, ჰუჯჯათში ნათქვამი არ არის, მაგრამ მათ ისეთი საბუთები წარადგინეს, რომ მუსლიმანებმა ვერ გაბედეს ჯვრის მონასტრისათვის ხელი ეხლოთ, ისინი მხოლოდ რაღაც გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების კედლის დანგრევით დაკმაყოფილდნენ⁴.

მონასტერში მეჩეთი რომ XVII საუკუნეშიც არსებობდა, ამის შესახებ გვამცნობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707) საქართველოში გამოგზავნილ თავის ეპისტოლეებში. პატრიარქის ცნობებში განსაკუთრებით საყურადღებო სიახლე ის არის, რომ თურმე, ჯვრის მონასტრის ძმობა მეჩეთისთვის გადასახადს იხდიდა. პატრიარქი ქართლის მეფე ერეკლე I-ს (1688-1703) 1699 წელს აცნობებდა, რომ „წმ. ჯვრის მონასტერში არსებობს იმავე სახელობის მეჩეთი, რომლისთვისაც ივე-

¹ იხ. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 119-120.

² ბასმა, თურქულად სადებავი, ჩვეულებრივ შავი.

³ სალამე ო., გერშონ ბენ-ორენ, ქართველები იერუსალიმში, 21-22.

⁴ მუსლიმანები მხოლოდ ქართველებს არ ედავებოდნენ წმინდა ადგილების გამო. 1585 წ. იერუსალიმის მუფთებმა გამოაცხადეს, რომ 1268 წ. აგებული ე.წ. ნახმანიდის სინაგოგის ადგილას ოდესღაც მეჩეთი იყო და ებრაელები აიძულეს, ის მიეტოვებინათ Еврейская энциклопедия, VIII, 1991, 692, 697.

რიელნი ხშირად ჯერემედებს იხდიდნენ და დაუგროვდათ დიდი ვალი. ჩვენ ვალისაგან გავანთავისუფლეთ, გადავიხადეთ რა 1500 პიასტრი/გროსი და მოვიპოვეთ ხატიშერიფი, რათა ამის შემდეგ თურქებს ამ მეჩეთის გამო არავითარი გამოძიება და დასჯა აღარ მოეხდინათ⁴. დოსითეოსი სხვა ეპისტოლეთი, მეჩეთთან დაკავშირებით, იმავე მეფეს 1700 წელს კვლავ აცნობებდა, რომ „იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი ვალებში იყო. ივერიელები 250 წლის განმავლობაში იხდიდნენ ჯერემს² ერთი მეჩეთისათვის, ჩვენ კი, საურავით გამოვითხოვეთ ხატიშერიფი³ და მონასტერი გავანთავისუფლეთ ამ გადასახადისაგან“⁴.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: XIII ს. 70-იან წლებში სულთნის ბრძანებით, წმ. ჯვრის მონასტერი ქართველებს ჩამოართვეს და ალ-მარკიზის მიხედვით, „აიგო მასში მეჩეთი“. მუფადდალ იბნ აბილ-ფადალის მიხედვითაც, ქართველებს მუსლიმანებმა (მონასტერი) წაართვეს და „მოაწვეეს იქ მეჩეთი მინარეთითურთ“. ალ-უმარიც გვამცნობს, რომ მონასტერი მეჩეთად გადააკეთეს. მონასტერი და ეკლესია რომ მეჩეთად გადააკეთებული იყო, ამას აღნიშნავდა დავით VIII-ისათვის დადგენილი აღაპი.

1571 წლის ჰუჯათის მიხედვით ძალზე სქემატური წარმოდგენა გვექმნება იმ ნაგებობაზე, რომელიც ძველი დროიდან იყო დიდებული მეჩეთი – „ისლამური მიჯრებით და მის [შენობის] ზევით კი - ისლამური მინარეთით“.

ჩანს, მუსლიმანი სასულიერონი და ხელისუფლება უხერხულობას გრძნობდნენ ქრისტიანული მონასტრის მეჩეთად გადაკეთების გამო. მუფადდალ იბნ აბილ-ფადალი ამიტომ წერდა, რომ ჯვარი ქართველებს დაუბრუნდა „სწავლული ხალხის გადაწვევტილების საფუძველზე. მართლაც, მისი [ეკლესიის] წართმევა არ შეიძლება“.

მუსლიმანებმა, როგორც ქვემოთ ითქმევა, ჯვრის მონასტრის ერთი ნაწილი გადააკეთეს და ნაგებობა მეჩეთისათვის შესაფერისად მოაწესრიგეს, მთავარი ტაძარი და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობები ხელუხლებლად დატოვეს. როდესაც მო-

¹ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 209-210.

² პ. იოსელიანის მიხედვით - ჯარიმა

³ მონასტრის შეკეთების უფლება.

⁴ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 217.

ნასტერი ქართველებმა დაიბრუნეს, ბუნებრივია, მას ძველი სახე დაუბრუნეს, თავისით დანგრეული მინარეთის კვალი ქართველებმა მოსპეს, მეჩეთს კი სახე იმით შეუცვალეს, რომ ააგეს გამყოფი კედელი მის ორ კარებს შორის და „გადააქციეს ის თავიანთ სატრაპეზო სახლად, რომლის შუაში თავიანთი ადათის შესაფერისი რამ ააგეს“: ეს ცვლილებები იმდენად სერიოზული ყოფილა, რომ 1564 წელს იერუსალიმის თურქმა ყაღდიმ ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე მეჩეთისა და მინარეთის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა. ქართველი ბერების ამგვარ მოქმედებაზე მამლუქ ხელისუფალთ უარყოფითი რეაქცია არ გამოუმჟღავნებიათ, ყოველ შემთხვევაში, რაიმე ასეთი ცნობა ჯერჯერობით არ ჩანს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კომპლექსში მეჩეთი იყო XIII ს. 70-იანი წლებიდან XIV ს. 20-30-იან წლებამდე. საკუთრივ მეჩეთი კი, როგორც 1571 წლის ჰუჯჯათშია მითითებული, მდებარეობდა მონასტრის შიგნით, კარიბჭესთან და „დაადგინეს ზემოხსენებული მეჩეთის ძველებურად გადაკეთება, მასში ღოცვების შესასრულებლად და ისლამური რიტუალის აღსასრულებლად... და ბრძანეს [ამის საფუძველზე] მოშორება და დანგრევა ორ კარებს შუა კედლისა, რომელიც მაშინვე იქნა დანგრეული“⁴.

ამგვარად, ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე, რომელიდაც შეზღუდულ სივრცეში, 1571 წლის 1 თებერვლიდან სიმბოლურად აღადგინეს მეჩეთი, რომელსაც, როგორც დოსითეოსი გვამცნობს, ხალხი ჯვრის მონასტრის მეჩეთს ეძახდა. მაგრამ, საეჭვოა, მისი ფუნქციონირება.

სავარაუდოა, რომ 1571 წლის შემდეგ, ალბათ იმის სანაცვლოდ, რომ მუსლიმანებმა მონასტრის უმეტესი ნაწილი ქართველებს შეუნარჩუნეს, თავიანთი საქმიანობით მათ არ ავიწროებდნენ, მაგრამ დააკისრეს „მეჩეთის“ გადასახადი, რომელიც, როგორც პატრიარქ დოსითეოსის ეპისტოლედან ჩანს, საკმაოდ მძიმედ აწვებოდა მონასტრის ისედაც გაჭირვებულ ფინანსურ მდგომარეობას.

მას შემდეგ, რაც იერუსალიმის საპატრიარქო საქართველოდან წადებული დიდძალი თანხებით იერუსალიმის ქართული მონასტრების ვალები გადაიხადა (1685 წ.) და წმ. ჯვრის მონასტერს საბოლოოდ დაეპატრონა (1690-იანი წწ.), შესაბამისად, „სამეჩეთო“ დავალიანებაც დაფარა და მეჩეთის ფორმა-

⁴ სალამე ო., გერშონ ბენ-ორენ, ქართველები იერუსალიმში, გვ. 21-22.

ლურ გაუქმებასაც მიაღწია. ეს მოხდა დოსითეოსის სიცოცხლეში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი: დოსითეოსი 1700 წელს მეფე ერეკლე I-ს მხოლოდ მონასტრის მეჩეთის სასარგებლო გადასახადისაგან განთავისუფლებაზე სწერს, მაშინ, როდესაც 1706 წელს ის ვახტანგ VI-ს უკვე აცნობებს, რომ „ზოგიერთი ადამიანებისაგან ცდუნებულნი, რომლებიც ამბობდნენ, რომ მონასტრის შივნით მეჩეთი იყო, ყადიები ყოველ წელიწადს მრავალ პუნგ¹ ფულს გვართმევდნენ, იმის შემდეგაც კი, რაც ჩვენ მონასტრის ვალები გადავიხადეთ. მაგრამ ღვთის წყალობით, ვეცადეთ და შუამდგომლობით ხატიშერიფი მივიღეთ და მონასტერი ამ ტვირთისგან გაგათავისუფლეთ“².

¹ პუნგი = 500 პიასტრი.

² მამისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 227.

წმ. ჯვრის მონასტერი XV-XVII საუკუნეებში

წმ. ჯვრის მონასტრისათვის XV საუკუნე არასასიამოვნო ფაქტით დაიწყო. ცნობილია, რომ 1400 წელს მუსლიმანებმა იგი ააოხრეს. მაგრამ საქართველოდან მიღებული დახმარების შედეგად მონასტერი მალე აღსდგა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ დროს საქართველოდან სერიოზული დახმარების მიღება დიდად საეჭვო იყო, რადგან თემურლენგისა და თემურიდების შემოსევებების შედეგად საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა სერიოზულ ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდა და, უფრო მეტიც, სახელმწიფოს არსებობაც კი განსაცდელის წინაშე იდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ XV საუკუნიდან ცნობები თითქმის არ გაგვაჩნია, რაც, სავარაუდოა, გამოწვეული იყო წმ. ჯვრის მონასტრის მშვიდობიანი ცხოვრებით. აღნიშნული პერიოდის ჯვრის მონასტრის, ან მასთან დაკავშირებული მოვლენებისა და ფაქტების ისტორიის შესასწავლად, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული ფრაგმენტული ან ისეთი ცნობები გაგვაჩნია, რომლებშიც ჯვრის მონასტერიც იგულისხმება.

ამგვარად XV საუკუნიდან გვაქვს ორო ცნობა: ერთი, 1400 წლისა, რომელზეც უკვე ითქვა და იმავე საუკუნის 90-იანი წლებიდან. 1493-1494 წლებში ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505) თავისი კარის ეკლესიის მოძღვარი ხუცესი ნილო ეგვიპტეში ელჩად გაგზავნა. ქართველი მეფეების მიერ იერუსალიმის სიწმინდეების გამო ეგვიპტის სულთნებთან ელჩების გაგზავნის ეს პირველი შემთხვევა არ იყო. გავისენოთ თამარ მეფისა და გიორგი V ბრწყინვალეს მიერ ელჩების გაგზავნა იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების გამოსახსნელად. მოღწეული ცნობების მიხედვით, ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება ქართლის მეფე კონსტანტინე II. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ დასახელებულმა მეფემ ხუცესი ნილო ეგვიპტეში ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად გაგზავნა, რაც არ მგონია სიმართლეს შეეფერებოდეს. ვფიქრობ, ნილოს ეგვიპტეში მოლაპარაკების საგანი უნდა ყოფილიყო წმინდა მიწაზე ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც სულთნის კეთილი ნების გარეშე ვერ მიიღწეოდა¹.

¹ კირ-ნილოს დიპლომატიურ საქმიანობაზე ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., სასულიერო მოღვაწე დიპლომატი – ხუცესი ნილო. *გორის*

კაიროში მოლაპარაკების შესახებ არავითარი ცნობა არ გავგანჩნია. მაგრამ კირ-ნილოს (ასე მოიხსენიება ბერძნულ დოკუმენტებში) მისია როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრებულიყო, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფოსა და მამლუქთა ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობა, აღნიშნული დროიდან მოყოლებული, ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა შეწყვეტილიყო ოსმალების მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე.

ერთ-ერთი ქართული ელჩობა, რომელიც საქართველო-ეგვიპტის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, დაკავშირებული იყო კახეთის მეფე გიორგის ელჩის სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწის, ბენა ჩოლოყაშვილის სახელთან. ბენას დავალებული ჰქონდა მიეღწია ეგვიპტის სულთანთან ისეთი შეთანხმებისათვის, რომლითაც, ზოგადად, დაცული იქნებოდა ქართული ეკლესიის ინტერესები წმინდა მიწაზე და ამავე დროს მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი საგანი წმ. ჯვრის მონასტრის სტატუსის და ქართველი მომლოცველების უფლებების დაცვა იყო.

ბენა ჩოლოყაშვილის, ამ საინტერესო პიროვნებისა და მოღვაწის, ბიოგრაფიული ცნობები მცირეა.

ბენა კახეთის მეფე გიორგის (ავგიორგი – 1511-1513) სახლთუხუცესი იყო. იგი ასე აწერს ხელს მის მიერ შედგენილ 1511 წლის მცხეთის სიგელს, რომელიც დაიწერა მამისმკვლელი და ძმის დამაბრმავებელი კახეთის მეფე გიორგის (ავგიორგი) ცოდვების მოსანანიებლად. მოღწეულია, აგრეთვე, რამდენიმე სიგელი, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ბენა ჩოლოყაშვილის მჩქეფარე მოღვაწეობაზე იერუსალიმში მისი მამობის ხანმოკლე პერიოდში¹.

ბენა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის აქამომდე უცნობ მხარეს, მის დიპლომატიურ საქმიანობას ეგვიპტეში ნათელს ჰფენს

სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის, შრომათა კრებული, №2, თბილისი, 2011, 180-196.

¹ ქრონიკები, II, გვ. 328-329. ბენა ჩოლოყაშვილის იერუსალიმში მოღვაწეობაზე იხ. მამისთვალისიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 104-105; მისივე, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, 123-124.

გ. ჯაფარიძის მიერ მოპოვებული არაბულენოვანი დოკუმენტები¹.

ბენა ჩოლოყაშვილი, გიორგი მეფის ბრძანებით, ჯერ ეგვიპტეში ჩავიდა (1511 წლის 14 აგვისტო), რადგან სამეფო კარზე კარგად მოეხსენებოდათ, რომ იერუსალიმის ქართული სიწმინდეების პრობლემების გადაჭრა მხოლოდ კაიროსთან კარგი ურთიერთობის დამყარების გზით შეიძლებოდა.

კირ-ნილოს ელჩობის შემდეგ ეგვიპტეში ქართველებისადმი კარგი განწყობა რომ არსებობდა, ამაზე მიგვანიშნებს სულთან ალ-ადილ საიფ ად-დინ ტუმან ბაის (1500-1501) 1501 წ. 19 დეკემბერს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერების დასაცავად გამოცემული ბრძანებულება, რომელშიც ჩამოთვლილია ის მოვალეობები, რომლებიც მონასტრის ბერებს ეკისრებოდათ. ბრძანებულება კრძალავდა იერუსალიმის მოხელეების მიერ ბერების შევიწროებას ძღვენის დაგვიანების გამო, მონასტერში მისული ქართველი პილიგრიმებისათვის წესით გაუთვალისწინებელი გადასახადის მოთხოვნას და სხვ. სულთანი უბრძანებს ნაცვლებს, მოსამართლეებს და გამგებლებს: *„ჩვენს სამეფო კარაში, ღვთისაგან დაცულ ღაზაში, შემოვიდა პეტიცია წმინდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერების ჯგუფის სახელით, რომელშიც იტყობინებიან: წმინდა იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში მცხოვრებ [ბერების] ჯგუფს აკისრია ყოველდღიურად გამოკვება ხუთი ღარიბი მუსლიმისა და სხვებისა, რომლებიც მოდიან მათთან. მათი წესია, ძველი დროიდან ბოლო ხანებამდე, [მართვან] ძღვენი აღდგომას და ხუთშაბათის დღესასწაულზე წმინდა იერუსალიმის ნაცვალს, ზედა-მხედველს, მოსამართლეს და წმინდა იერუსალიმის სხვა მცხოვრებთ“².*

რაც უფრო ძლიერდებოდა ოსმალებისგან საშიშროება საქართველოსა და ეგვიპტის მიმართ, მით უფრო ინტენსიური ხდებოდა ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობა. 1504 წლის დასასრულს შეიქმნა ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული სამთა კავშირი: ქართლის სამეფო – სეფიანთა ირანი – მამლუქთა ეგვიპტე. ევროპის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი

¹ ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის). *საისტორიო კრებული*, თბილისი, 2011, 83-138.

² ჯაფარიძე გ., ბუაჩიძე გ., მამლუქი სულთნების ორი ბრძანებულება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს კოლექციიდან. *„ქართული დიპლომატია“*, წელიწდეული, 8, თბ., 2001, 235.

მხარს უჭერდა ან თანაუგრძობდა კოალიციას. საფრანგეთი თავს იკავებდა ანტიოსმალური პოლიტიკის გატარებაზე. ოსმალეთი ევროპის ამ უმსხვილეს სახელმწიფოს თავის მოკავშირედ ვარაუდობდა. მართლაც, იმავე საუკუნის 20-იან წლებში მათ შორის მოკავშირეობა ოფიციალურად გაფორმდა. ასეთ ვითარებაში, ეგვიპტელ მამლუქთა მორჩილებაში მყოფ იერუსალიმში ანტიფრანგული განწყობილების გაღვივება და ამ განწყობილების გარკვეული მიზნით გამოყენება ძნელი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ქართველები თავიანთი მეტოქე ფრანცისკანელების იერუსალიმში შესავიწროებლად ხელსაყრელ ვითარებას მოხერხებულად იყენებდნენ, რასაც პირდაპირ აღნიშნავს „სიონის მთის დამცველი“ ფრანცისკო სურიანო¹.

ამგვარად, როდესაც ბენა ეგვიპტის სულთანს ეახლა, მას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებოდა იმის ასახსნელად, თუ როგორი პოლიტიკური და რელიგიური პრობლემების გამო მიავლინა მისმა მეფემ. როგორც სულთან კანსავჰ ალ-ღავრის 1512 წ. 15 ივნისის ბრძანებულებიდან ირკვევა, ავგიორგის მისთვის მიუწერია, რომ ითხოვდა დაცული ყოფილიყო წინამორბედი მამლუქი სულთნების ბრძანებულებები ჯვრის მონასტრის შესახებ და არავის შეეწუხებინა მისი კუთვნილი ეკლესიები, მიწები და ბაღები, ისევე როგორც კახეთში არავინ აწუხებდა მუსლიმანებს მეჩეთებში, სასულთნოს ტერიტორიაზე არავის უკანონოდ არ აეღო ქართველებისაგან რაიმე და მთლიანად გაეთავისუფლებინათ გამოსადეგებისაგან; სულთნის მოხელეებს ეზრუნათ წმ. ჯვრის მონასტერსა და მის კუთვნილ ეკლესიებში მცხოვრებ ბერებზე.

სულთანმა ბრძანა, რომ იერუსალიმის მოსამართლეებსა და ისლამის საქმეთა გამგეებს ეზრუნათ წმ. ჯვრის მონასტერზე და მის ეკლესიებზე, მათ წარმომადგენლებზე და სამონასტრო ქონებაზე, გაეწიათ მათთვის მფარველობა; მფარველობა უნდა გავრცელებულიყო იერუსალიმის ქართულ თემსა და ქართველ პილიგრიმებზეც, მათთვის არავის არ უნდა დაეკისრებინა ზედმეტი გადასახადი².

XVI ს. დასაწყისში წმ. ჯვრის მონასტერი წმინდა მიწაზე იმდენად მნიშვნელოვანი საეკლესიო ორგანიზაცია იყო, რომ ერთი არაბი მწერალი მას ქრისტიანების მიერ აღიარებულ

¹ Suriano Franc., Il trattato di Terra Sancta, Milano, 1900, 34, nota 1216.

² ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში, 99-100.

იერუსალიმის ოთხ ტაძართა (უფლის საფლავის, აღდგომის, ჯვარის და წმ. იაკობის) შორის ასახელებს¹.

ოსმალების მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ (1516 წ.) იერუსალიმელმა ქართველებმა, კერძოდ, ჯვრის მონასტრის იღუმენმა ბასილ მამულას ძემ, რომელსაც თავისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, იერუსალიმში არსებული ქართველთა ყველა მონასტრის ზედამხედველობა ევალებოდა (მას ქართველ ეპისკოპოსადაც მოიხსენიებდნენ), ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გასარკვევად და ქართველთა ქონების დასაცავად, 1527 წლის 2 აგვისტოს იერუსალიმის მავლას მოსთხოვა „ქრისტიან ქართველებთან დაკავშირებული თამასუქები“. მავლამ იერუსალიმის ციხისთავის თანდასწრებით ბასილ მამულას ძეს და მის თარჯიმანს, იერუსალიმელ ქრისტიან არაბს, იბრაჰიმ იბნ ქამუნას, გადასცა 8 საბუთი². სავარაუდოა, იღუმენს აღნიშნული საბუთები ახალ ხელისუფლებასთან წარსადგენად და სარეგისტრაციოდ უნდოდა.

იერუსალიმის დაპყრობიდან მცირე ხანში ოსმალებმა დაიწყეს ქრისტიანებისა და მათი ეკლესია-მონასტრების შევიწროება და დიდი გადასახადები მოითხოვეს. ვინც ვერ გადაიხდიდა, მათ ტაძრებს ძარცვავდნენ და კეტავდნენ. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართველებიც. მათ დასახმარებლად ლევან კახთა მეფემ (1518-1574) 1530 ან 1531 წელს იერუსალიმს გაგზავნა ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იოაკიმი დიდძალი შესაწირით³. საქართველოდან სხვა შესაწირავებიც რომ იგზავნებოდა ჩანს XVII ს. 20-40-იან წლებში წმ. ჯვრის მონასტერში დაწერილი აღაპებიდან⁴.

ოსმალებმა ქართველთა ეკლესია-მონასტრებს მაღალი გადასახადები დააკისრეს. როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართველი სასულიერონი, კარგად ჩანს ვინმე იოანე ვარძიელის მიერ გადაწერილი სამოციქულოს მინაწერიდან: „... (იერუსალიმის – ე. მ.) თურქთა ქონებისას, ოდეს კლიტენი მათ აქუნდეს, საწურთვნელად ცოდუათა ჩნთა თვის: არცა ვის შესვლად უტევებდეს (იერუსალიმს – ე. მ.) თვნიერ

¹ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 97.

² საღამე ო., გერშონ ბენ-ორენი., ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის საბოლოო დოკუმენტის მიხედვით, თბილისი., 1991, 16.

³ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 78, შენ. 2, 89-90.

⁴ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიისათვის, 88, №99; 94, №163, კომენტარი – 142-143, №8

დიდისა ჭირისა და სასყიდლისა, და არცა ჩუშნ გამოსულად გუტვევებდეს...”¹.

ერთი პირობა მუსლიმანებს ჯვრის მონასტრის დასაკუთრებაც კი განუზრახავთ და თავიანთ პრეტენზიებს იმით ამართლებდნენ, რომ ამ მონასტერში ოდესღაც მეჩეთი იყო, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ორი მიხრაბი (მეჩეთის სამხრეთ კედელში ჩატანებული ადგილი, რომელსაც ლოცვისას მუსლიმანი მიმართავს) და არაბული წარწერებიანი ქვები, რომლებიც მეჩეთის შესასვლელს ამკობდა. ისინი ქართველ ბერებს ედავებოდნენ, რომ თითქოს მათ დაამტვრიეს და გადამალეს ის ქვები. მუსლიმანებს კონსტანტინოპოლის არქივში დაცული დოკუმენტების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვერც ამით მიაღწიეს წარმატებას და წმ. ჯვრის მონასტერი კვლავ ქართველებს დარჩა².

წმ. ჯვრის მონასტერი რომ ქართველებმა ააგეს და მათვე ეკუთვნოდათ საუკუნეების მანძილზე, საყოველთაოდ ცნობილი იყო და ოსმალებიც იძულებულნი გახდნენ, 1520 წელს მონასტერი ქართველების საკუთრებად გამოეცხადებინათ³.

ამის შემდგომ ძველ საისტორიო ლიტერატურაში გაჩნდა ცნობები საქართველოს სამეფო-სამთავროებისა და ოსმალეთის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ერთობლივი ლაშქრობისა იერუსალიმის ქართულ სიწმინდეთა, მათ შორის წმ. ჯვრის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნებაზე⁴.

XVII ს. 40-იანი წლების ახლო ხანებში, ბერნარდ სურის მიხედვით, ქართველებს საერთოდ მიუტოვებიათ გოლგოთა და წმ. ჯვრის მონასტერში გადასახლებულან, რათა თავი დაეღწიათ იმ მძიმე გადასახადებისაგან, რომლებსაც ოსმალები ითხოვდნენ⁵.

* * *

¹ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 155-156.

² Heyd U., Ottoman documents of Palestins, 1960, 176-177.

³ დაეიდი ი., ნაწერები, თელ-ავივი – იერუსალიმი, 1976, 300.

⁴ მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 106-109

⁵ Bernardin Surius, Voyage de Jerusalem, Bruxelles, 1666, 142-143.

1651 წელს იერუსალიმის თურქმა ხელისუფლებმა და მუფტიმ გადაწყვიტეს, ქართველებისათვის წმ. ჯვრის მონასტერი ჩამოერთმიათ და მეჩეთად გადაეკეთებინათ. მაგრამ, გადმოცემის მიხედვით, ამ განზრახვის განხორციელება ვერ შეძლეს უზენაესი ძალის ჩარევის შედეგად: ღამე ქარიშხალს ერთ-ერთი ღამაში მეჩეთი ნანგრევებად უქცევია.

წმ. ჯვრის მონასტერი იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველთა ეროვნულ შეგნებასთან, რომ XVII საუკუნეში თვით საქართველოში შექმნილი უკიდურესად არახელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, წმ. ჯვრის მონასტრისადმი დახმარებას მაინც ახერხებენ. საკმარისია გავიხსენოთ მამია გურიელის, ბაადურ და გარსევან ჩოლოყაშვილების, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660), ვახტანგ გურიელის, ქაიხოსრო წულუკიძის, ევდემონ ჯაიანის, ლევან დადიანის (1611-1657) და სხვათა მიერ გაწეული დახმარება. მაგრამ ოსმალეთისა და ირანისაგან შეჭირვებული საქართველოს მიერ იერუსალიმში გაგზავნილი ფულადი რესურსები არ იყო საკმარისი იერუსალიმის ქართული ეკლესიამონასტრების სხვათა ხელყოფისაგან დასაცავად.

იერუსალიმის ქართული საგანეების დუხჭირი მდგომარეობა გასაგები გახდება, თუ ვიტყვით, რომ მათ დასახმარებლად საქართველოდან ჩასულ სასულიერო თუ საერო პირებს ოსმალები აპატიმრებდნენ და ფულს სძალავდნენ. მათ მიიტაცეს ჯვრის მამულები, მოკლეს იღუმენი გაბრიელი (XVII ს. მეორე ნახევარი), მისმა შემცვლელმა იოსებმა (1666-1683) თავს გაქცევით უშველა, ხოლო იღუმენი მელეტი (1683-1701) დიდი ხნით საპყრობილეში იყო გამოკეტილი¹.

1684 წ. ქართლის მეფე გიორგი XI-მ (1678-1688, 1703-1709) „წარგ ზავნა იერუსალიმს ორი ათასი თუმანი გოლგოთისა და ჯუარის მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესამკონი მათნი“². მეფე გიორგის მოვალეებისაგან დატყვევებული მონასტრის დასახსნელი შესაწირავი გაუგზავნია დომენტის (შემდგომში დომენტი IV, 1705-1741) ხელით³ და ვალებში ჩავარდნილი წმ. ჯვრის მონასტერი მცირე ხნით დაუხსნია. ეს ის თანხა უნდა

¹ მამისთვალშივილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 184.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავ. იოსელიანმა, თბილისი, 1980, 48.

³ საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს., 45.

იყოს, რომლის მიცემას მეფე გიორგი XI დოსითეოს II-ს შეჰპირდა გარიგების წიგნით და სრულად გადაუხადა 1685 წელს.

საქართველოდან შესაწირავებისა და დახმარების შემცირებამ თავისი დაღი დაასვა ეკლესია-მონასტრების უფლებრივ და ფიზიკურ მდგომარეობას. პატრიარქ დოსითეოსის მიხედვით, 1682 წლისათვის სასწრაფო შეკეთებას საჭიროებდა ჯვრის, თევდორეს, ანასი და წმ. გიორგის მონასტრები, ბასილისა და იაკობის ეკლესიები. იმავე დოსითეოსის მეორე, 1699 წლის წერილიდან ვიგებთ, რომ ქართველებისათვის ჩამორთმეული ჯვრის მონასტრის შესყიდვას ცდილობდნენ სომხები და ლათინები, მაგრამ ბერძნებმა იმარჯვეს და იგი გადაარჩინეს¹ იმისათვის, რომ თვითონ ჩაეგდოთ ხელში. მართლაც, იმავე საუკუნის დასასრულს, დოსითეოსის მოქნილი პოლიტიკით, წმ. ჯვრის მონასტერს და სხვა ქართულ სავანეებს იხინი დაეპატრონენ. წმ. ჯვრის მონასტერი რომ უკვე ბერძნებს ეკუთვნოდათ, ამას გვამცნობენ 1707 წელს ანდრეი და სტეფანე იგნატეევი².

* * *

წმ. ჯვრის მონასტერი, ისევე როგორც იერუსალიმის სხვა წმინდა ადგილები, არ შედგებოდა მონოეთნიკური საძმოსაგან. იქ, მართალია, ყოველთვის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ მასში თავს აფარებდნენ სხვა ეროვნების ბერმონაზვნებიც. ასევე იყვნენ ქართველები სხვა არაქართულ ეკლესია-მონასტრებში, რომლებშიც მათ ზოგჯერ თავიანთი სამლოცველოები და ეკლესიებიც კი ჰქონდათ. იერუსალიმის და მისი შემოგარენის ისტორიის გამომჩენილი მკვლევრის, ტ. ტობლერის დაკვირვებით, წმ. ჯვრის მონასტერში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ: სომხები – 1364, 1542, 1556 და 1561 წლებში; იაკობიტები – 1508 წელს; ნესტორიანები – 1565 წელს;

¹ მამისთვალისიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 209. ქართველთა ცდებზე გადაერჩინათ იერუსალიმში არსებული თავიანთი ეკლესია-მონასტრები, აგრეთვე, ბერძნული საპატრიარქოს საქმიანობაზე იხ. მამისთვალისიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 118-127.

² Повест о святых и Богопроходных местах святого града Иерусалима приписываемая Гаврилу, Назаретскому архиепископу. Под ред. С. О. Долгова. *Православный палестинский сборник*, LII, 1900, 37.

ბერძნები – 1449, 1497, 1519, 1575, 1610 წლებში¹. მონასტერში რომ მართლაც იმყოფებოდნენ ქართველი, ბერძენი და სომეხი ბერები, ამის შესახებ აღნიშნულია მონასტრის ქართულ, ბერძნულ, სომხურ და სირიულ ხელნაწერებში. ჯვრის მონასტრის ბერძენი ბერები იერუსალიმის საპატრიარქოს ზედამხედველობის ქვეშ რომ იყვნენ, ამას ადასტურებს ერთი ბერძნული წარწერა მონასტრის კედლის მოხატულობაზე, რომელიც 1614 წელს განეკუთვნება².

ტ. ტობლერის ცნობას კომენტარს უკეთებდა რა ა. ცაგარელი, აღნიშნავდა, რომ სხვა დანარჩენ დროს წმ. ჯვრის მონასტერს ქართველები ფლობდნენ³. მაშასადამე, ა. ცაგარელის ფიქრობდა, რომ ტ. ტობლერის მიერ დასახელებულ წლებში ქართველებს დაკარგული ჰქონდათ წმ. ჯვრის მონასტერი, რაც სიმართლეს არ შეეფარება. ქართველებმა ჯვარი დაკარგეს მხოლოდ მუსლიმანთა ძალადობის შედეგად, რაზეც აღინიშნა კიდევ თავის ადგილას. ტობლერის ცნობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას შემდეგი: უცხოელი დამკვირვებლისათვის იოლი არ იყო ამა თუ იმ მონასტრის ბერმონაზვნების ეროვნების დადგენა, რადგან იქ მოღვაწენი, თითქმის ყოველთვის, იმ ენაზე ასრულებდნენ წირვა-ლოცვას, რომელი ხალხიც დომინირებდა და ეკლესია ან მონასტერი მათ ეკუთვნოდა. გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ის შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მონასტერში სხვა ხალხის წარმომადგენლებს თავიანთი ეკლესია ან სამლოცველო ჰქონდათ, სადაც ისინი მშობლიურ ენაზე ასრულებდნენ წირვა-ლოცვას. ასეთი რამ კი წმ. ჯვრის მონასტერში არ შეიძინებოდა.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ბერების ყოფნა წმ. ჯვრის მონასტერში საეჭვოს არ ხდის ამ მონასტრის ქართველებისათვის სრულ კუთვლინებას. ქართველებიც რომ სხვადასხვა ტომის ბერების მონასტრებში მოღვაწეობდნენ, მრავალი ასეთი ცნობა მოგვეპოვება.

¹ Titus Toblers zwei Bücher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen, 737

² ცაგარის ვ., ჯვრის მონასტრის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები, 10.

³ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 97.

წმ. ჯვრის მონასტრის მმართველობა

1. წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქეები საქართველოში

წმ. ჯვრის მონასტერი საუკუნეების განმავლობაში არა მხოლოდ იერუსალიმსა და მის შემოგარენში არსებული ეკლესია-მონასტრების, არამედ პალესტინის ქართული კერების საქმიანობის კოორდინაციის და მათი ინტერესების დაცვის ცენტრიც იყო. ამაზე მეტყველებს წმ. ჯვრის მონასტერში დაწერილი ალაპები, რომლებიც არა მხოლოდ ამ მონასტრის, არამედ სხვა ქართული საგანეების ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ჯვრის მონასტრის მთელ სასულიერო და სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობდა წინამძღვარი-იღუმენი, რომელსაც საქართველოს მეფე (ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ – ქართლის მეფე) ნიშნავდა და ჯვარისმამად იწოდებოდა. ფრიად საინტერესოა 1675 წლის მცხეთის სიგელი. ჯვარისმამა ნიკოლოზ წულუკიძე მეფე შაჰნავაზს და კათალიკოზ დომენტის სწერს: „ასრე რომე ჯვარის-მამა თქვენის ბრძანებით დადგომილა ნიადგე ქართველის¹ ბატონისაგან და კ² ისაგან და ჩვენც გეახელით და გთხოვეთ ჯვარის-მამობა და გვიბოძეთ სრულიად საქართველოსა ჯვარის მონასტრის მამულები. აწე ვიყოთ თქვენი ერთგული... რაც ჩემის ჳელით გამოვიდოდეს და რაც საიერუსალიმო ვიშოვნო ამ ოთხს საბატონოში, სრულიად მონასტრისათვის შევიწახო და არც ჩემს შვილსა და ჩემს ნათესავს არ მივსცე უსასყიდლოდ და თქვენ ბატონს კ³ ს მოვაბარო... დაიწერა ჳელითა მალაღაძის ნიკოლოზისათა ქ³ ს: ტნივ: ფებერვალსა: წ: ჯვარისმამა ნიკოლოზ“².

ჯვარისმამა, იმავდროულად, უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის გოლგოთის წინამძღვრადაც ითვლებოდა და საქართველოს მეფეს და კათალიკოსს იერუსალიმის პატრიარქთან აკავშირებდა. ჯვარის მამები არამხოლოდ იერუსალიმსა და მის შემოგარენში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს განაგებდნენ, არამედ ისინი იერუსალიმის საკმაოდ ხალხმრავალ ქართულ თემსაც ხელმძღვანელობდნენ³.

¹ ამჯერად – ქართლის სამეფო.

² ქრონიკები, II, 490.

³ ვრცლად, მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 135-140.

ზოგიერთი ჯვარისმამა არქიმანდრიტის ტიტულსაც ატარებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის საქართველოში არსებულ მონასტრის მამულებსა და სხვა ქონებასაც განაგებდა. საკვლევ პერიოდში, XVII საუკუნის დასასრულამდე, ასეთი სულ სამი პირი ვიცით: ვლასი (XI ს.)¹, იოსები (XVI ს. ბოლო) და ნიკიფორე ჩოლოყაშვილი (1620-იანი წლები, 1643-1649).

წმ. ჯვრის მონასტრის ილუმენის – ჯვარისმამის რეზიდენცია თბილისში იყო ჯვრის მონასტრის მეტოქი², ანუ, როგორც პლატონ იოსელიანი იტყობდა: ჯვარის ეკლესია – იერუსალიმის ჯვარისმამათა სადგური³, რაც ზუსტად აღნიშნავდა ამ ეკლესიის დანიშნულებას, მანამდე ვიდრე იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი ქართველების საკუთრებას წარმოადგენდა⁴. შემდეგში ჯვრის მონასტრის მეტოქს ისე დაეპატრონა იერუსალიმის საპატრიარქო, რომ თბილისში არსე-

¹ თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 356.

² ქართველი მეცნიერების განმარტებით: „სამყოფი, მონაცვალე“ (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV¹. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1965, 470); „*დროებითი სადგომი ეპისკოპოსთა სხვა ეპარქიაში*“ (დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თბილისი, 1984, 709); „*მონასტრის კუთვნილი დაქვემდებარებული ეკლესია მამულით*“ (აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, 234); „*მონასტრის ქვეგანყოფილება, ანუ ფილიალი*“ – ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 575). ყველაზე სრული განმარტება მოგვცეს ივ. ჯავახიშვილმა და ვ. დონდუამ: „*ირაკვევა, რომ მეტოქი მონასტრის ერთნაირი ახალშენი და განყოფილება იყო, რომელიც მთავარი, დედა-მონასტრისათვის საჭირო სამეურნეო, ან სხვა რაიმე მიზნებს, მაგ. მიმოსვლისას, ვითარცა გზაზე მდებარე სადგომი და სასტუმრო, ემსახურებოდა*“ (ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბილისი, 1984, 39); „*არსებითად მეტოქი ბინა და ბაზაა, სხვაგან (ქალაქგარეთ, საზღვარგარეთ) დადებული მონასტრის მიერ, რომელიც ამ ბაზაზე დამყარებით თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, ეწევა გარეთ შეძენილი „აგარაკების“ თუ სოფლების ექსპლოატაციას, აწყობს, რა თქმა უნდა, კალმასობასაც*“ (დონდუა ვ., კალმასობა, როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში, თბილისი, 1949, 51-52).

³ ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა აღწერილი პლატონ ვენატის ძის იოსელიანისაგან, თბილისი, 1978, 5.

⁴ იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქი ეკლესია, პლატონ იოსელიანის მიხედვით, V საუკუნეში იერუსალიმის საპატრიარქოს დაუარსებია თბილისში, ვახტანგ გორგასალის მიერ ამ ქალაქის დაარსებისთანავე. ეს ეკლესია თემურ ლენგს დაუნგრევია XIV საუკუნის ბოლოს. მის ნანგრევებზე აუგიათ ის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც დღესაც არსებობს. ეკლესია წარმოადგენდა იერუსალიმში არსებული სამი ქართული მონასტრის მეტოქს – ილია წინასწარმეტყველის, წმ. ჯვრისა და წმ. იაკობის. Иоселиани Пл., Описание древностей города Тифлиса, 1866, 61-64.

ბულ ამ ქართულ ეკლესიაზე საქართველოს ეკლესიას ყოველგვარი უფლება ჩამოართვის¹.

ჯვარისმამის ეკლესია დღესაც არსებობს და მდებარეობს ძველ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს, იერუსალიმის ქუჩაზე. აგებული უნდა იყოს XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე², დღეისათვის საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „არს კუალად ეკლესია ჯუარის, გუმბათიანი, შუენიერი. განაახლა აწ იმერლის-შვილმან“³.

პატრიარქ დოსითეოსის მიერ 1700 წელს ერეკლე პირველისათვის გაგზავნილი ეპისტოლეს მიხედვით, ჯერჯერობით, ჯვრის მონასტრის იღუმენის დანიშვნა ქართველი (აღმოსავლეთ საქართველოს) პატრიარქის კომპეტენციაში რჩებოდა. ამიტომ დოსითეოსი მეფეს სთხოვს, იმავე მონასტერს აჩუქოს რომელიმე ეკლესია თბილისში⁴, რაც იმის მაჩვენებელიც არის, რომ იერუსალიმის პატრიარქი უკვე ერეკლე ჯვრის მონასტრის საქმეებში. იერუსალიმის პატრიარქის თხოვნა ბადებს კითხვას: რატომ სურს დოსითეოსს ჯვრის მონასტრისათვის ეკლესიის ჩუქებას თბილისში, მაშინ როდესაც, როგორც ცნობილია, ამ მონასტერს მეტოქე ჰქონდა თბილისში და მისი მამულები და ეკლესიები გაფანტული იყო მთელ საქართველოში⁵.

წმ. ჯვრის მონასტერი მანამდე რომ მეტოქის სახით თბილისში უკვე ფლობდა ჯვარისმამის ეკლესიას, ჩანს ქართლის მეფე ერეკლე პირველის მიერ 1692 წელს გაცემული სიგელიდან. ჯვარისმამა პართენმა თხოვნით მიმართა ნაზარაღისხანს, რომ ჯვარისმამის ეკლესიის ტერიტორიაზე

¹ დეკანოზ პეტრე კონტოშვილის გადმოცემით, საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენელს თბილისში, იერუსალიმის ჯვარისმამის წინამძღვარს, არქიმანდრიტ სოფრონს მიმართა თხოვნით ეკლესიის ეზოში სამრევლო სკოლის მოწყობის ნებართვის შესახებ, რაზეც იერუსალიმის საპატრიარქომ უარი განაცხადა. კონტოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქსა იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, თფილისი, 1901, 29.

² ბერიძე ვ., XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1994, 25-26.

³ ქართლის ცხოვრება, IV, 335.

⁴ მამისტვალისიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 217.

⁵ ვრცლად იხ. ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 13-82.

უკანონოდ დასახლებული სომხები გაესახლებინა. მეფემ შესაბამისი გამოძიება დანიშნა, რომლის დასრულების შემდეგ ბრძანა: „მოკითხულ ვქენით და აქ ქალაქში, ჯვრის მონასტრის მეტოქი საყდარი ყოფილიყო. უამთა ვითარებისაგან იქ იმ საყდრის გარშემო, სომხები დასახლებულიყვნენ. ისინი იქიდან აგვარეთ და ის ადგილი, ვითაც ჯვრის მონასტრისა ყოფილიყო, ის წმ. ჯვრის მონასტერს შეუწირეთ და ჯვარისმამა პართენს უბოძეთ“¹. თვითნებურად ჩასახლებულთა აყრის შემდეგ, როგორც იმავე მეფის სხვა დოკუმენტიდან ჩანს, ეკლესიაც შეუკეთებიათ და თბილისის მიტროპოლიტს, დომენტის აიაზმით უკურთხებია. გარდა ამისა, ეკლესიის მახლობლად მცხოვრები ყუთლუაშვილების ორი კომლი, მჭედელი ყაზარა, მისი ბიძავილი ბაღდასარა და მათი სახლისკაცნი თავიანთი ქონებით მეფეს ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავს და ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან გაუთავისუფლებია².

ნაზარალიხანის ის სიგელები, რომლებსაც ზემოთ გავეცანით, ნათლად აჩვენებს, რომ XVII ს. ბოლო მესამედში თბილისში ჯვარისმამის მეტოქს იგივე ხვედრი ჰქონდა, რაც იერუსალიმის ქართულ მონასტრებს: ისიც მიტოვებული და უყურადღებობის გამო განადგურების პირას იყო მისული.

1678 წელს გიორგი XI-მ ჯვარისმამასა და მონასტრის ბერს თბილისის გალაგნის გარეთ უბოძა სახლი³. დოკუმენტში არ ჩანს ჯვარისმამის ვინაობა, მაგრამ დოკუმენტის გაცემის თარიღის მიხედვით შეჭკველია, რომ ეს არის ნიკოლოზ წულუკიძე (1675-1683).

ბერძნებმა, როგორც კი იერუსალიმში სათავისოდ დაიგულეს ქართული მონასტრები და მთელი მათი ქონების მემკვიდრეობა დაიჩემეს, ჯვარის მამის ეკლესიის დაუფლებაც მოინდომეს და საბოლოოდ მიზანსაც მიაღწიეს. მაგრამ მანამდე, საფიქრალია, საქართველოს სასულიერო და საერო ხელისუფლება ძნელად ეგუებოდა შექმნილ ვითარებას. ეს ის პერიოდია, როდესაც იერუსალიმის ორთოდოქსალურ საპატრიარქოს თანდათანობით თავის იურისდიქციაში გადაჰყავს იქაური ქართული მონასტრები. პირდაპირი ცნობები არ გაგვანჩნია,

¹ დოკუმენტები XVI-XIX სს. თბილისის ისტორიისათვის, შერეული ნიკო ბერძენიშვილისა და მამისა ბერძენიშვილის მიერ, I, 1962, 126.

² საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი 1450-51/177. ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 18.

³ დოკუმენტები XVI-XIX სს. თბილისის ისტორიისათვის, 32.

მაგრამ დაკვირვებული მკითხველი აუცილებლად შენიშნავს ქართული მხარის უკმაყოფილებას და იმასაც, როგორ ცდილობდა ბერძენთა საპატრიარქო, ისე შეენიღბა თავისი მოქმედება, რომ არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებაში, არამედ მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში სახე შეენარჩუნებინა. მისი ამგვარად მოქმედების საუკეთესო მაგალითია პატრიარქ დოსითეოსის მიერ 1706 წელს ვახტანგ VI-ისათვის გაგზავნილი ეპისტოლე¹. სავარაუდოა, მეფე ნაზარალიხანმა თავისი გადაწყვეტილება ჯვარისმამის ეკლესიის ბერძენთა საპატრიარქოსთვის გადაცემის შესახებ XVII საუკუნის 90-იან წლებში შეცვალა და წმ. ჯვრის მონასტერს რაღაც დროით შეუჩერა ადრინდელი წესითა და რიგით გათვალისწინებული ეკონომიკური დახმარება და მეტოქიც ჩამოართვა. ყოველ შემთხვევაში, 1700 წლისათვის თბილისში ჯვარისმამის ეკლესია ჯერ საბოლოოდ არ არის გადასული ბერძენთა საპატრიარქოს მფლობელობაში.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მნიშვნელოვანი დასაყრდენი შიდა ქართლში, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იყო **ღირბის მონასტერი**. იქ იყო ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენცია. მას ქართლის მეფე ნიშნავდა². მაგრამ ცნობილი არ არის, როდიდან არსებობდა ასეთი საეკლესიო თანამდებობა. თუ ვახუშტის ნათქვამს გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტობა XV საუკუნეზე უადრესი არ უნდა იყოს (ქართლის მეფე ნიშნავდაო), ე. ი. დაწესებული იქნა ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. ისიც სავარაუდოა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქართლის მეფე, გარკვეული მიზანშეწონილობითა და კათალიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით, ჯვარისმამას არქიმანდრიტის უფლებითაც აღჭურვიდა ხოლმე. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯვრის მონასტრის მამულების და იერუსალიმში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მეთვალყურე-გამგებლის თანამდებობა მანამდეც არსებობდა. ასეთი იყო, მაგ., XI საუკუნეში ვლასი არქიმანდრიტი. მაგრამ ქვეყნის დაშლის შემდეგ ქართლის მეფეს, რომელიც ფორმალურად მეფეთ - მეფედ ითვლებოდა, წმ. ჯვრის მონასტერზე, საზღვარგარეთ არსებულ ამ ძლიერ მონასტერზე, სიუზერენის უფლებაც მასზე გადავიდა. ეს რომ მართლაც ასე იყო, ზემოთ ციტირებული მცხეთის სიგელის

¹ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 226-229.

² ქართლის ცხოვრება. IV, 374.

გარდა, ჩანს პატრიარქ დოსითეოსის 1701 წლის ეპისტოლედან. ის ქართლის მეფე ერეკლე I-ს სთხოვს დაადასტუროს ქართლის კათალიკოსის, იოანეს ბრძანება ჯვრის ილუმენის, არსენის გადაყენების შესახებ. პატრიარქი ერეკლე I-ს იმასაც სთხოვს, რომ „*თუ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ილუმენი იბერიელი უნდა იყოს, მაშინ გამოივ ზავნოს ღვთისმოსავი...*“¹.

როგორც მოღწეული ზოგიერთი წერილობითი წყარო გვამცნობს, დირბის მონასტერი ოდიტგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერთან. სოფელი დირბი შიდა ქართლში, მდინარე დვანის წყლის ხეობაში მდებარეობს. სვიმონ I-ის (1556-1600) მეუღლის, დედოფალ ნესტან-დარეჯანის მიერ 1588 წლის 3 ივნისს ჯვრის მონასტრისა და წმინდა საფლავის ეკლესიისადმი გაცემული ნაჩუქრობის წიგნიდან ვიგებთ, სვიმონ მეფეს სოფელი დირბი დასახელებული მონასტრისა და ეკლესიისათვის უჩუქებია. დედოფალი წერს: „... *ესე იგულება და იგულისმოდგინა მეფეთ-მეფემან სუიმეონ და შემოსწირა სოფელი დირბი წმიდასა და განმაცხოველებელსა წმ. ჯვრის მონასტერსა და ცხოველ-მყოფელსა აღსადგომელსა საფლავსა უფლისასა და საუფლო-თა სისხლითა მიერ მორწყულსა წმიდასა ვოლგოთასა*“². დედოფალმა სვიმონ მეფის ნაჩუქრობის წიგნის განახლება-სთან ერთად, ამ სოფლის სამღებროს გამოსაღები – ყიშენი და ბეგარა წმ. ჯვრის მონასტერს შესწირა.

1650 წლის შეუვალობის წიგნით როსტომ მეფემ დირბის მონასტერი გაათავისუფლა ყველა სამეფო გადასახადისაგან (გარდა ლაშქრობა-ნადირობის მოვალეობისა), მაგრამ დაუტოვა ჯვრის მონასტრის გადასახადი 6 ათასი თეთრი, რომელსაც ყოველწლიურად გაგზავნიდა „ვერცხლად იერუსალიმს“³. იმავე

¹ მაძისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 217.

² სცსა 1450-51/178. ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 28. იგივე საბუთი „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“ დათარიღებულია 1588 წლის 3 აგვისტოთი. პირთა ანოტირებულ ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, III, თბილისი, 2004, 288.

³ საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბილისი, 1990, 367.

როსტომ მეფემ შემდგომში სოფ. ღირბიც ჯვრის მონასტრის საკუთრებად გამოაცხადა¹.

დასავლეთ საქართველოში ჯვრის მონასტრის მეტოქე იყო **კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესია**, ზუგდიდის მახლობლად. ნიკო დადიანის მიხედვით, „*რუხს ზემოთ არს ეკლესია გუმბათიანი კოცხერს, ღვთის მშობლისა, კვალად ლეონ დადიანის მანუჩარის ძისაგან აშენებული*“².

კოცხერის ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობდა XVII საუკუნის 30-იან წლებში. დადიანის მიერ კოცხერის შეწირულობას ადასტურებდა ჯვრის მონასტრის სამხრეთის კედელზე დახატული ლევან II დადიანი და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე ნესტანდარეჯანი და ვაჟიშვილი (ფ. №16). ფრესკას ჰქონდა ხუცური წარწერა: „*ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან და ცვა-ფარვათა თქვენთა მინდობილმან, დადიანმან ბატონმან ლეონმან, დავახატვინე საოხად თანაცხედრისა ჩვენისა და შემოვწირე კოცხერი ასის კომლისა კაციითა, ნესტან-დარეჯანის სასულიეროდ, ქორონიკონსა ტკია (1643)*“.

კოცხერის მონასტრის ჯვრის მონასტრისადმი კუთვნილებაზე მიუთითებდა დოსითეოსი 1658 წლის ივლისში, როდესაც იგი, როგორც იერუსალიმის პატრიარქის, პაისიოსის დაკვანი, მასთან ერთად იმყოფებოდა სამეგრელოში. მთავართან და მის მეუღლე ელენესთან შეხვედრის შემდეგ პატრიარქი და მისი თანმხლებნი კოცხერის მონასტერში მოათავსეს. „*პატრიარქის საცხოვრებლად გამოჰყვეს კოცხერი – მონასტერი, რომელიც დამოკიდებულია იერუსალიმის ივერიელებსა და წმ. ჯვრის [მონასტერზე]*“; – წერდა პატრიარქი დოსითეოსი³. ეს კი იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ იმ დროს კოცხერის ეკლესია ერთ-ერთი კარგად მოწყობილი ტაძარი იყო.

კახეთის სამეფოში: ყოვლაწმინდის ეკლესია.

იმერეთის სამეფოში: მღვიმევის მონასტრის ნათლისმცემლის ეკლესია მეტოქად გოლგოთის და ჯვრის მონასტრისათვის.

გურიის სამთავროში: ჩაიხედენას ღვთისმშობლის ეკლესია.

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, 34-35.

² დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბ., 1962, 151.

³ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 184.

2. *წმ. ჯვრის მონასტრის მეტოქები პალესტინაში*

ყველაზე ადრინდელი ცნობა ჯვრის მონასტრის მეტოქის შესახებ XI საუკუნეს განეკუთვნება. ეს იყო *შეჰანის მონასტერი* თანამედროვე იორდანიაში. შიჰანი არის სახელწოდება მთისა სოფელ სიხანთან, მდინარე არნონის ხეობის მახლობლად. აქ გაბრიელ თბილელმა (გაბრიელ შეჰანელმა) გააშენა უდაბნო, ე. ი. დააარსა მონასტერი, რაც მოხდა წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენის პარალელურად, 1061 წლამდე. შეჰანის უდაბნოში ქართველებმა იმოღვაწეს XI-XII საუკუნეებში.

როგორც ე. მეტრეველი ვარაუდობდა, შეჰანის უდაბნო XI ს. 60-იან წლებში, „*გაშენებული პროხორეს შემწეობითა და, შეიძლება მითითებითაც, გაბრიელ ტფილელის მიერ*“¹.

რადგან შეჰანის უდაბნო დაარსებული იქნა გაბრიელ ჯვარელის მიერ, ბუნებრივია, იქაურ ქართველთა ძმობას კავშირი ჰქონოდა წმ. ჯვრის მონასტერთან²

ცნობილი წყაროების მიხედვით, *იერუსალიმში* ჯვრის მონასტრის მეტოქი იყო *წმინდა ნიკოლოზის მონასტერი*. იგი მდებარეობდა ძველი ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აღდგომის ეკლესიის მახლობლად, ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს გვერდით. გადმოცემის მიხედვით, ის აშენებულია V საუკუნეში წმ. ნიკოლოზის სენაკის ადგილას. ი. გაგოშიძის ვარაუდით, მონასტერი ქართველებისა გახდა³. ჯვრის მონასტრის ალაპითაც ეს მონასტერი ქრისტეს საფლავთან⁴ ანუ აღდგომის ეკლესიასთან მდებარეობდა. 1200-1308 წლების იერუსალიმის საპატრიარქოს „ოფიციალურ“ ანგარიშში ნათქვამია, რომ ქართველები პალესტინაში მოვიდნენ მამლუქებისა და ჩერქეზების შემწეობით (1200 წ.). ქართველების მიერ გაწეული დახმარების სანაცვლოდ ბერძნულმა საპატრიარქომ მათ წმ. ნიკოლოზის მონასტერი გადასცა⁵.

¹ მეტრეველი ე., შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, 256-257.

² მეტრეველი ე., შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, 345.

³ გაგოშიძე ი., წმინდა მიწაზე ქართული სიძველეების არქეოლოგიური გათხრების პერსპექტივები. *ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი*, ტ. 5, თბ., 2003, 19.

⁴ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 88, №99.

⁵ “Nea Sion”, t. XI, Jerusalem, 1910, p. 132-134.

ქართული წყაროებით, წმ. ნიკოლოზის მონასტერი აშენებული ყოფილა „*კახთ დედოფლის ელენე-ყოფილის ელისაბედისაგან, რამეთუ თვით წმინდა ნიკოლოზ იქ მჯდარა, სენაკი მისი ყოფილა*“¹. ეს წარწერა, მოთავსებული მონასტრის აღმოსავლეთ ფასადზე, განადგურებულ იქნა 2002 წლის მარტს. ამჟამად უკვე აღდგენილია². ჯვრის მონასტრის ერთი ალაპით ამ მონასტრის აშენებელი არის ქაიხოსრო წულუკიძე³. გ. ფერაძე კი, კატეგორიულად, წყაროზე მითითების გარეშე წერდა, ეს მონასტერი სალადინმა ქართველებს მისცაო⁴. ე. მეტრეველმა ივარაუდა, რომ წმ. ნიკოლოზის მონასტერი უნდა აეშენებინათ XVI საუკუნეში მაინც, თუ უფრო ადრე არა. არქიმანდრიტი ლეონიდე 1584 წელს წმ. ნიკოლოზის მონასტერს მოიხსენიებს, როგორც ჯვრის მონასტრის მეტოქს⁵. იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოსის თქმითაც, ნიკოლოზის მონასტერი ქართული მონასტერი იყო⁶. იგი ქართლის მეფე ერეკლე I-ის დედამ, „*კახთ დედოფალმა*“ განაახლა⁷. ნაზარეთის თის არქიეპისკოპოსის, გაბრიელის გადმოცემით, წმ. ნიკოლოზის მონასტერში ქართველი ბერები ცხოვრობდნენ 1651 წელს⁸.

გვაქვს საინტერესო ცნობა წმ. ნიკოლოზის მონასტრის მისი „*სამოციტ სახლით, ქვითკირით კამარით შეკრულითა*“ აღდგენა-აშენების შესახებ. იერუსალიმის წმ. თეკლას მონასტრის ახლად აღმოჩენილ წარწერაში (XV-XVI სს.) ნათქვამია, რომ ზედგინიძე ქაიხოსროს თავისი მშობლების სულის შესან-

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 81.

² მგალობლიშვილი თ., ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია წმინდა მიწაზე, *ACADEMIA*, 5.

³ მეტრეველი ე., იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა. *კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, IV, თბ., 1962, 234-235.

⁴ ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 110.

⁵ Архимандрит Леонид, Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам XIV-XVI веков. *Чтения общества истории и древностей России*. Январь-март, №7, Москва, 1871.

⁶ მამისტოვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 195.

⁷ მეტრეველი ე., იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, 234-235.

⁸ Повест о святых и богоугодных местах святого города Иерусалима, приписываемая Гавриилу, Назаретскому архиепископу. Под ред. С. О. Долгова, *Палестинский православный сборник*, 52, 1900, 9.

დობლად აუშენებია რვა სახლი და ოცდარვა კამარა. „კამარა“ ქულბაქის მაგვარ ღია სავაჭრო შენობას უნდა ნიშნავდეს¹. თუ ეს ასეა, მაშინ ქაიხოსრო წულუკიძის მიერ გოლგოთაზე ჩატარებული მშენებლობა მიუთითებს იერუსალიმის ქართული კოლონიის აქტიურ კომერციულ საქმიანობაზე. XVII ს. პირველ ნახევარში ქულბაქებში, ალბათ, ქართველთა მონასტრებში დამზადებული ხელოსნური ნაწარმი და მათს მამულებში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები საღდებოდა. ნაზარეთის არქივისკოპოსი გაბრიელი 1651 წელს, ალბათ, ამიტომ წერდა: „ქართველი ბერები ძალზე ღვთისმოსავნი არიან. თვითონ მუშაობენ თავიანთ მინდვრებსა და ზვრებში, ყველა უცხოელს იღებენ და ეხმარებიან“². მაგრამ თუ იოანე კოტოვიკოს ნათქვამსაც გავიხსენებთ, როცა ის გოლგოთაზე ქართველთა საცხოვრებელ ოთახებსა და სამლოცველოებს ასახელებს, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ალაპში ლაპარაკია საცხოვრებელი სახლებისა და ქულბაქების აღდგენა-განახლებაზე.

პატრიარქ დოსითეოსის თქმით, ეს მონასტერი XVII ს. ბოლოს ქართული ძმობის მიერ მიტოვებული და ვალებში ჩაფლული იყო და მისი ხელში ჩაგდება ფრანცისკანელებსა და სომხებს სურდათ, ქართლის მეფე გიორგი XI-მ და ლევან ბატონიშვილმა თავიანთი ფულით გამოიხსნეს და ფორმალურად კვლავ ქართველებს დაუბრუნდა³. მაგრამ იმავე საუკუნის 80-იან წლებში ბერძენთა საპატრიარქო ქართველთა ფულით აღდგენილ ამ მონასტერს საბოლოოდ დაეპატრონა.

3. ჯვარისმამები

ალაპებში ჩანს ჯვარისმამების როლი მონასტრის ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ახდენდა ის შესაწირავების გადანაწილებას ქართულ ეკლესია-მონასტრებს შორის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, გამოყოფდა თანხებს მათი ინვენტარით, ზეთით, ცვილით და სხვ. უზრუნველსაყოფად.

¹ გაგოშიძე გ., წმინდა მიწის ქართული წარწერები. ACADEMIA, 5, 2003, 38-39.

² Повест о святых и богоугодных местах святого города Иерусалима, приписываемая Гавриилу, Назаретскому архиепископу, 9; ფერაძე გრ., უცხოელი პილიგრიმების ცნობები..., 64-65.

³ მამისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 198.

იმავე დროს ყურადღებას იპყრობს ალაპებში ხაზგასმული ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტი: ჯვრის მონასტრის და მისადმი დაქვემდებარებული ეკლესია-მონასტრების და მათი ქონების მართვა ხდებოდა დემოკრატიულ პრინციპზე. სამშობლოში ჯვარისმამა მხოლოდ „პირველია თანასწორთა შორის“. ასეთი ვითარება აღინიშნება ჯვრის მონასტერში დაწერილ თითქმის ყველა ალაპში. ზოგჯერ ალაპში საერთოდ არაა დასახელებული ჯვარისმამა, რაც, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ალაპის დაწერას ის ან არ ესწრებოდა, ან მაშინ მონასტერს, დროებით, წინამძღვარი არ ჰყავდა (*„ჩვენ, კრებულმან, კანდელაკმან და მამამან, გაუჩინეთ დალოცვა უმეტესად...“* (XIV–XV სს. მიჯნა¹); *„სახელითა... ყოველთა წმიდათა ღმრთისათა ჩვენ, ჯუარელთა ძმათა და დაძთა და სრულიად საღმრთომან კრებულმან, დავდევით ესე წიგნი...“* (იგივე პერიოდ²). ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მართვა ხდებოდა ჯვართან არსებული, საკრებულოს მსგავსი, დაწესებულების მიერ, რომელშიც მონაწილეობდნენ დედათა და მამათა მონასტრების წარმომადგენლები. მართვის ასეთი ფორმა შეიძლება მოქმედებდა ჯვარისმამის ხელმძღვანელობით ან მისი ადგილზე არყოფნის დროს.

XVII ს. 90-იანი წლებიდან, როდესაც იერუსალიმის მონასტრები საპატრიარქოს მორჩილებაში აღმოჩნდა, ჯვარისმამად ქართველი წინამძღვრების ყოფნა საპატრიარქოს ინტერესებში აღარ იყო. პატრიარქი დოსითეოსი, დაინტერესებული საქართველოდან მოწყალეების უდანაკარგოდ, დიდი რაოდენობით და რეგულარულად წადებით, ცდილობდა, ქართლის მეფესთან შეთანხმებით მოეწესრიგებინა საპატრიარქოსათვის ესოდენ საინტერესო ღონისძიება. 1706 წლის ივნისში პატრიარქი დოსითეოსი ვახტანგ VI-ს სწერდა, რომ არ მოსწონდა, როდესაც ჯვრის მონასტრის იღუმენი არქიეპისკოპოსივით და კათალიკოსივით დაიარებოდა, რითაც მოსახლეობის უკმაყოფილებას და იმავე დროს დიდ ხარჯებს იწვევდა³. მართალია, ამ დროს, როდესაც დოსითეოსი ეპისტოლეს წერდა, ჯვრის მონასტრის იღუმენი პატრიარქის ფავორიტი ბერძენი პაპა სერგიოსია, მაგრამ პატრიარქის საყვედური ქართველი იღუმენების მიმართაა. ჯვარისმამების საქმიანობას ის უარყოფითად ავა-

¹ მეტრეველი ე., მასალები, 86, №82.

² მეტრეველი ე., მასალები, 77, №90.

³ მეტრეველი ე., მასალები, 77, №90.

სებდა (მაგ. ცნობილი ნიკიფორე ჩოლოყაშვილის და მის შემდგომი ჯვარისმამების) სრულიად გარკვეული მოსაზრებით: მას უნდოდა, ფაქტობრივად ბერძენთა მფლობელობაში გადასული ჯვრისა და სხვა ქართული მონასტრების ილუმენები ბერძნები ყოფილიყვნენ, თორემ დოსითეოსი პაპა სერგიოსის საქმიანობით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყო.

წმ. ჯვრის მონასტრის წინამძღვარი „მამად“ იწოდებოდა XIX ს. 20–30-იან წლებამდე. ძირითადად ცნობილია მათი სახელები¹.

* * *

ჯვრის მონასტრის პირველ ცნობილ მამად (წმ. ჯვრის მონასტრის წინამძღვრები წერილობით წყაროებში ამ სახელებით – ჯვარისმამა – მხოლოდ XI საუკუნიდან გვხვდება) შეიძლება ვიგულისხმოთ *ანტონ ქართველი*, რომელიც მღვდელი და წინამძღვარი იყო და დაახლოებით 532–552 წლებში მოზაიკით შეამკო ლაზთა მონასტერი². იგივე ანტონი უნდა იგულისხმებოდეს სვიმეონ საკვირველმოქმედის დედის, მართას ბიოგრაფიაში რომაა დასახელებული: „*სახელი ანტონი, მღვდლობისა პატივითა შემოსილი იყო და მამასახლისი მონასტრისა პატიოსნისა წინამძღვარი ძმათა სიმრავლისა*“³.

ანტონი რომ ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, მამასახლისი ანუ მამა იყო, ამაზე მიგვანიშნებს მისი ეთნონიმი – ქართველი. ის ქართველთა ანუ ჯვრის მონასტრის მოღვაწე უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება იმას, რომ მან იერუსალიმიდან დაშორებული ლაზთა მონასტერი მოზაიკით შეამკო, ეს კიდევ იმის დასტური უნდა იყოს, რომ წმ. ჯვრის მონასტერი ოდითგანვე კურირებდა იერუსალიმის და მის მახლობლად არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს. დაბოლოს, „მონასტერი პატიო-

¹ მათი ნუსხა XVII ს. 30-იან წლებამდე, ძირითადად, დაადგინა ე. მეტრეველმა. ნუსხა შეავსო და XVII საუკუნის დასასრულიდან XX ს. დასაწყისამდე გააგრძელა ნ. ხუციშვილმა (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 83-123). რამდენადაც ჯვრის მონასტრის ისტორია გვაინტერესებს XVII ს. დასასრულამდე, ე. ი. იქამდე, ვიდრე იგი ქართველებს ეკუთვნოდა, თანაც შეიძლებოდა ზოგიერთი კორექტივი და დამატება შემეტანა, ამიტომ ჯვარის მამების სია წარმოვადგინე XVII ს. დასასრულამდე, ე. ი. ჯვრის მონასტრის ქართული პერიოდის დასასრულამდე.

² მამისტვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 85-88.

³ კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 89.

სანში“ იგულისხმება პატიოსანი წმ. ჯვრის მონასტერი, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ და სწორედ ეს მონასტერი გამოირჩეოდა დაარსების დღიდანვე ძმათა სიმრავლით.

გიორგი ჯვარელი – ჯვრის მონასტრის რესტავრაციის დამწყები. XI ს. 20-30-იანი წლები (იხ. ზემოთ: ჯვრის მონასტრის აღდგენა).

პროხორე – ჯვრის მონასტრის რესტავრაციის დამასრულებელი. XI ს. 30-50-იანი წლები (იხ. ზემოთ თავი – ჯვრის მონასტრის აღდგენა).

გიორგი – პროხორეს თავისი შემდგომი ჯვარისმამა თვითონვე დაუდგენია. „მაშინ გამოარჩია მოწაფეთა მისთაგანი ძმა ერთი, – გვამცნობს პროხორეს „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციის ანონიმი ავტორი, – სახელით გიორგი, და დაადგინა იგი მამასახლისად და ამცნო, რადთა ყოვლითა მოსწრაფებითა ზრუნვიდეს იგი ცხოვრებისათჳს მას შინა მეოფთა ძმათადსა“¹.

ა. ცაგარელის მიერ სინას მთაზე მოძიებული ხელნაწერით გიორგი 1061 წელს მოხსენებულია, როგორც წინამძღვარი². გიორგის წინამძღვრობა ე. მეტრეველის თქმით, XI ს. 80-იან წლებს ბევრით ვერ გასცილდებოდა³.

ვლასი – XI ს. მამა და არქიმანდრიტი⁴.

ლუკა მუხაისძე აბაშიძე (ტიმოთე გაბაშვილით – ლუკა მუხიშვილისა-აბაშიძისა⁵). ლუკას დედას, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, შვილები საქართველოში დაუტოვია და იერუსალიმს წასულა, სადაც ის მონოზნად აღკვეცილა. ოცი წლისა რომ შესრულდა, ლუკამაც მიატოვა „მამული და ძმანი“ და იერუსალიმს წავიდა წმინდა ადგილების მოსალოცავად და დედის სანახავად, მაგრამ თვითონაც სამუდამოდ იქ დარჩა. მცირე ხნის შემდეგ ის ბერად აღიკვეცა და დიაკონადაც აკურთხეს. მან შეისწავლა არაბული ენა. „მცირედთა დღეთა შემდგომად, ვითარცა იხილეს კრებულმან ძმათამან ორკერძოვე სიბრძნე, და სიმკნე, და სიწმინდე ნეტარისა ლუკაისი, მამად დაადგინეს პატიოსნისა ჯუარისა მონასტრისა. და კეთილად

¹ მიცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა პროხორესი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 215.

² Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 223.

³ მეტრეველი ე., მასალები, 35.

⁴ თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 356.

⁵ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 83.

განაგებდა ყოველსა სამონასტროსა და საკრებულოსა საქმესა ვითარ სამისა წლისა ჟამთა⁴. ამ დროს ეგვიპტის სულთნის კარზე დაწინაურებულ ხიდარს სულთნისათვის წმ. ჯვრის მონასტერი უთხოვია და მიუღია კიდევც. ხიდარს მონასტერი და სამძო გაუძარცვავს და ისინი „ეგეთნი შიშუელნი გამოასხნა“. ხიდარი განსაკუთრებით ლუკას დაემტერა, რადგან ის სულთანთან წავიდა და მონასტრის გამო იჩივლა. იერუსალიმს დაბრუნებული ლუკა ქრისტიანებმა გააფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, მაგრამ ლუკა თვითონ მივიდა ხიდართან და სულიერი ძმების განთავისუფლება სთხოვა და სანაცვლოდ შესთავაზა, რომ პირადად მისთვის ეგებინა პასუხი. ხიდარმა ლუკას ქრისტიანობის დათმობა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ლუკას თავი მოჰკვეთეს².

დადგენილია, რომ ლუკას „ცხოვრებაში“ უაღრესად საინტერესო ისტორიული რეალიებია. ლუკას წამება და ჯვრის მონასტრის დარბევა მოხდა სულთან ბაიბარს ალ-ბუნდუკდარის დროს (1260-1277), შეის ხიდარის მიერ, მაგრამ ზუსტად როდის, ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, აზრთა სხვადასხვაობაა. ყველაზე მისაღებად მიმაჩნია 1272 წლის 27 ივლისი.

მარტიანე, გაბრიელ სანატრელი, მარტიანე.

ჯვარისმამები მონასტრის ტყვეობის პერიოდში, 1272–1299 წლები³, რომლებიც, სავარაუდოა, ფორმალურად იკავებდნენ ამ საეკლესიო თანამდებობას.

საბა – XII–XIV სს. მიჯნა⁴.

სოლომონი – ჯვარისმამა XIV ს. პირველ ათეულში⁵.

იოანე – ჯვარისმამა XIV ს. პირველი ოცეულში. მის დროს (1314 წ.) მოხდა წამება წმ. მოწამე ნიკოლოზ დვალისა (ხსენების დღე – 19 ოქტომბერი)⁶. საინტერესოა, რომ ტიმოთე გაბაშვილი, რომელიდაც სხვა წყაროზე დაყრდნობით, ნიკო-

¹ მარტვილობა წმიდისა მამისა ჩუენისა ლუკასი. *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I, 253.

² მარტვილობა წმიდისა მამისა ჩუენისა ლუკასი. 253-254.

³ მეტრეველი ე., მასალები, 36.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 129.

⁵ მეტრეველი ე., მასალები, 36.

⁶ Кипшидзе Д., Мученичество Николая Двали. *Известия Кавказского Историко-Археологического Института*, II, 1927, 48-58; მარტვილობა წმიდისა ახალისა მოწამისა ნიკოლოზისა დვალისა. *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I, 254-255.

ლოზ დვალის სვინაქსარული რედაქციისაგან განსხვავებით, გადმოგვცემს, რომ ნიკოლოზი კლარჯეთის მონასტრიდან იერუსალიმში გაემგზავრა და წმ. ჯვრის მონასტერში დაბინავდა. ჯვარისმამამ (ტიმოთე მის ვინაობას არ გვამცნობს) დიდი მცდელობისა და განცდის მიუხედავად, რამენაირად გადაერჩინა ნიკოლოზი, წარმატებას ვერ მიაღწია¹.

სვიმონი (ელმელექის ძე) – XIV ს. პირველი მეოთხედი. იყო ჯვარისმამა, აღდგომის მოძღვარი².

სვიმონი (სიმონა ციდაშვილი) – XIV ს. პირველი ნახევარი³.

გერმანოზ – XIV ს. მეორე ნახევარი⁴.

ქერაბინი – XIV ს. მიწურული⁵.

იოსები – XIV ს. მიწურული, XV ს. დასაწყისი⁶.

პიმენ მაწყვერელი – XV ს. პირველი ათეული⁷.

იოანე – XV ს. მეორე მეოთხედი. პიმენის მამობის დროს იოანე იყო მოძღვარი და კანდელაკი⁸.

ქრისტოფოროს ზედგინიძე – XV ს. შუა წლები (პირობით). აღმშენებელი წმ. თეკლას მონასტრისა⁹

დანიელ ნიქოზელი – XV ს. მეორე ნახევარი¹⁰.

ბენეა ჩოლოყაშვილი – XVI ს. 10-იანი წლები¹¹.

ბასილი მამულას ძე – XVI ს. 20-იანი წლები¹².

იოაკიმე – XVI ს. 30-იანი წლები¹³.

¹ ტიმოთე გაბაშვილი, 83.

² მეტრეველი ე., მასალები, 65, 84.

³ მეტრეველი ე., მასალები, 36.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 37.

⁵ მეტრეველი ე., მასალები, 37.

⁶ მეტრეველი ე., მასალები, 37.

⁷ მეტრეველი ე., მასალები, 33-34.

⁸ მეტრეველი ე., მასალები, 75, 207.

⁹ მეტრეველი ე., მასალები, 39, 40.

¹⁰ მეტრეველი ე., მასალები, 40.

¹¹ ურცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 104–105; ჯაფარიძე გ., ბენეა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში, 83-138.

¹² ოვადია საღამე, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით, 16.

¹³ მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 110.

ბარნაბა თბილელი – XVI ს. 70-იანი წლები. ის ერთსა და იმავე დროს თბილისის მთავარეპისკოპოსი და ჯვარისმამა იყო.

ეპიფანე – 1567–1593 წწ. ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძში (1584 წ.) მოხსენიებულია, როგორც წიგნის შემკაზმავი¹. სხვა ანდერძში იგი ერთდროულად „*ჯუარის მამა და წინამძღვარად ჩინებულია*“².

იოსებ არქიმანდრიტი – XVI ს. მიწურული. იყო ჯვარისმამა და არქიმანდრიტი³.

თეოდოსე მანგლელი რევიშვილი – XVI ს. 90-იანი წლებიდან მოღვაწეობდა იერუსალიმში. XVI ს. დასასრულს, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, იმყოფებოდა მოსკოვში, მაგრამ მათი მოსკოვში ჩასვლის მიზანი სხვადასხვა იყო: თეოდოსე აღექსანდრე II კახთა მეფის დავალებით წავიდა იერუსალიმიდან მოსკოვში, ხოლო ეპიფანე იერუსალიმის პატრიარქის, სოფრონიუსის მიერ გაგზავნილ არქიმანდრიტთან, იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის მონაზონთან და რამდენიმე ბერთან ერთად რუსთ ხელმწიფეს ეწვია მოწყალების სათხოვნელად. ისინი ბორის გოდუნოვმა მიიღო და 1598 წელს მის გარდაცვალებასაც დაესწრნენ.

ეპიფანეს შემდეგ გოლგოთის ეპისკოპოსი იყო მანგლელი თეოდოსე რევიშვილი, რომელმაც, როგორც ითქვა, მოსკოვი მოიარა და 1599 წელს საქართველოში დაბრუნდა. თეოდოსე გამოცდილი დიპლომატი იყო და, სავარაუდოა, რადგან მას რუსებთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა, ამიტომაც 1623 წელს თეიმურაზ I მას მოსკოვში აგზავნის ელჩობის მეთაურის რანგში. თეოდოსე მოსკოვში მივიდა 1624 წლის 14 მარტს, სადაც დაახლოებით ოთხ თვეს დარჩა. მან მეფეს და პატრიარქს თეიმურაზ I-ის სიგელები მიუტანა და იერუსალიმის ქართული მონასტრებისათვის მოწყალებაც ითხოვა. ეს ჩემთვის ცნობილი ერთადერთი წერილობითი ცნობაა, საიდანაც ვიგებთ, რომ იერუსალიმელი ქართველი სამღვდელონი, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც მიდიოდნენ დახმარების მისაღებად. მრავლად გვაქვს ცნობები, საქართველოში რომ მოდიოდნენ გაჭირვებაში მყოფი ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. ბერძნული

¹ მეტრეველი ე., მასალები, 37.

² მეტრეველი ე., მასალები, 37.

³ მეტრეველი ე., მასალები, 87, №96.

ეკლესიის მეთაურთა მოგზაურობა მართლმადიდებელ ქვეყნებში მოწყალების შესაგროვებლად ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ მიზნით საქართველოშიც მოდიოდნენ იერუსალიმის პატრიარქები, ბერძნული ეკლესიის სხვა წარმომადგენლები და საკმაო შემწეობასაც იღებდნენ.

საინტერესოა, რომ თეოდოსე მანგლელი მოსკოვში სათათბიროს მდივანმა ივანე გრამოტინმა წარადგინა, როგორც „*იერუსალიმის წმინდა გოლგოთის მთის და ცხოველმყოფელი ჯვრის მონასტრის*“ არქიეპისკოპოსი. ქართულმა საისტორიო წყაროებმა არ იცის ასეთი წოდება ან ასეთი წოდების მატარებელი სხვა პიროვნება. დასაშვებია, რომ მოსკოვში დიპლომატიური მისიით გაგზავნილი სასულიერო პირისათვის, მისი ღირსებისა და წონის ამაღლების მიზნით, საქართველოდან გაგზავნილი ოფიციალური რწმუნების სიგელით, თეოდოსე წარედგინათ ქართველთა არქიეპისკოპოსად გოლგოთაზე. ამის საფუძველს, ფორმალურად, ის გარემოებაც იძლეოდა, რომ თეოდოსე საქართველოსა და იერუსალიმში ზოგიერთ ქართულ და არაქართულ მონასტერს განაგებდა. შეიძლება, მოსკოვში გამგზავრებამდე მეფემ თეოდოსე არქიეპისკოპოსად აამაღლა, მაგრამ ელჩობის წარუმატებლად დასრულების შემდეგ ისევ ჩამოაქვეითა. როგორც თეიმურაზ I-ის სხვა ელჩი, ბერძენი ნიკიფორე მოსკოვში ითხოვდა: დროულად გამიშვით საქართველოში, თორემ მეფე მეც ისევე დამსჯის, როგორც არქიეპისკოპოსი თეოდოსე დასაჯაო¹. თეოდოსე თურქეთში გაქცეულა². რა თქმა უნდა, ნიკიფორე ბერძენი თურქეთში გულისხმობს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ პალესტინას, კერძოდ, იერუსალიმს.

თეოდოსე ჯვრის მონასტრის ალაპებში ყოველთვის ნიკიფორე ირბახის შემდეგ მოიხსენიება. მის სახელს ვხვდებით ალაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში 3-ჯერ, სვინაქსარულ ალაპებში 6-ჯერ და ის ყოველთვის განდიდებულია ეპისკოპოსობით³. ეს ის თეოდოსეა, ტიმოთე გაბაშვილმა ნიკიფორე ირბახთან ერთად დახატული რომ ნახა წმ. ჯვრის მონასტერში.

¹ Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тбилиси, 1937, 129.

² Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640, 138.

³ მეტრეველი ე., მასალები, 74, №58; 76, №84, 89; 79, №1; 80, №14; 83, №45, 51; 87, №88; 88, №99.

ის უახლოესი თანამოდგაწე იყო ნიკიფორესი¹. როგორც ჩანს, თეოდოსე იერუსალიმის ქართულ მონატრებს განაგებდა, რაც მის მამობასაც გულისხმობს. ის, მართლაც, მამად იყო XVII ს. პირველ მეხუთედში.

ფრიად საინტერესო ცნობას ვნახულობთ თეოდოსეს შესახებ 1619 წლის შეწირულობის წიგნში. იმერეთის მეფე გიორგი III (1505-1639) ბრძანებს, რომ „აგრეთვე მოვიდენ ჩუენსა წინაშე მამა პატრონი თეოდოსე და გვიაჯნეს და მოგვახსენეს“; მეფემ „ჩუენსა სასოებასა სიქადულსა, პატიოსანსა და ცხოველ-მყოფელსა ჯვარსა და გოლგოთასა“ შეწირა „სამი კვამლი გლეხი მათისა ყოვლის-ფერით სამართლიანით ბევრით ხელშეუაღად“, გაუახლა დასავლეთ საქართველოში რაც „ქრისტეს საფლავსა და გოლგოთას შეწირული ჰქონდეს“². მაშასადამე, თეოდოსე 1619 წელს საქართველოში ყოფილა და იერუსალიმის ქართული მონასტრების ეკონომიკურ პრობლემებს აგვარებდა. სავარაუდოა, რომ ის თეიმურაზ I-ს სხვა მიზნითაც ჰყავდა დაბარებული, კერძოდ, მეფის დიპლომატიური ხასიათის დავალებებს ასრულებდა. ის იერუსალიმში წავიდა მხოლოდ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ და იქ იმყოფებოდა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მისვლამდე, მაგრამ მისი სახელი მონასტრის წარწერებსა და მხატვრობაში მხოლოდ ნიკიფორეს თაოსნობით დაწვებული მონასტრის რესტავრაციისა და მოხატვის საქმეში (XVII ს. 40-იანი წლები) გაწეული დიდი ღვაწლის აღსანიშნავად უკვდავყვეს. ერთ-ერთ ალაპში, რომელიც შეიძლება თეოდოსის ცხოვრების ბოლო პერიოდში იყოს დაწერილი, ის მოხსენიებულია „წმიდისა ღმერთშემოსილისა საბაძსა“ ეპისკოპოსად. ამ სახელგანთქმული ლავრის ეპისკოპოსობა თეოდოსეს მაღალგანათლებულობასა და ორგანიზატორის ნიჭზე უნდა მიანიშნებდეს³.

ნეოფიტე – 1620 წლიდან. ამ წელს ჯვარისმამა ნეოფიტემ გიორგი ლიპარიტელსა და მის მეუღლეს ნესტან-დარეჯანს, ჭილაძის ასულს, განუწესა „საუკუნოდ ალაპი წმიდისა გიორგისა დღესასწაულსა“. ეს დიდი პატივი, როგორც ნეოფიტე წერს, გიორგი ლიპარტელმა დაიმსახურა იმით, რომ წმ. ჯვრის

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, 80-82, 86.

² მეტრეველი ე., მასალები, 139.

³ თეოდოსეს შესახებ ვრცლად იხ. მამისთვალისშივილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, 53-61.

მონასტერს „ხანწკუ¹ შემოსწირა და მისდა სამუქვოდ [ძმობამ] გაუჩინეთ წირვა და ალაპი, ქჷსა ცჷ²“.

მაკარი – 1635 წლის მახლობლად. ერთ-ერთი ალაპის მიხედვით, მამა მაკარემ „და ძმათა და დათა ერთსულობითა“ დაუდგინეს გარსევან ირუბაქისძე ჩოლოყაშვილს და ერთი კანდეელიც გოლგოთას დაუკიდეს. ალაპის დადგენის ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ ცნობილია მაკარის მამობის წლები – 1620-1643³.

მაკარის სახელთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, ბაადურ ირუბაქიძე ჩოლოყაშვილის ალაპი და კანდეელი გოლგოთაზე, რომელიც დაუდგენიათ 1635 წელს⁴.

ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილი – 1643-1649.

მარკოზი – 1649 წელს⁵.

იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოს II-მ დაგვიტოვა საინტერესო ცნობები თავისი თანამედროვე რამდენიმე ჯვარის-მამის შესახებ. ესენი არიან: გაბრიელ გეგენავა, იოსებ ბარათაშვილი, მელეტიოსი, ნიკოლოზ წულუკიძე და პაპა სერგიოსი⁶.

გაბრიელ გეგენავა (მეორედ) – 1649 წლიდან ლევან II დადიანის კარის მოძღვარი და დიპლომატი.

გაბრიელ გეგენავას პიროვნებაზე მცირე რამ არის ცნობილი, ისიც მხოლოდ რუსულ წყაროებში. გაბრიელს მოსკოვში, საელჩო პრიკაზში გამოკითხვისას უთქვამს, რომ „ის გა-

¹ ხანწკი – სოფელი ჩხოროწყუს რაიონში, მდ. შებეს (მდ. ცივის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს.

² მეტრეველი ე., მასალები, 77.

³ Joannes Cotovicus, Itinerarium Hierosolimitanum, Anvers, 1619, 168-169.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 94, №163, კომენტარი, 142-143, №87.

⁵ მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955, 39. მარკოზის შესახებ იხ. ქვემოთ.

⁶ გაბრიელ გეგენავას, იოსებ ბარათაშვილისა და მელეტიოსის შესახებ გვაქვს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უარყოფითი დახასიათება. ისინი ეკუთვნის ჯვარისმამა ნიკოლოზ წულუკიძესა და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს: „ესე ვიცი ასე მოვიხსენებია: რაც გაბრიელ, იოსებ და მელეტიოზ ქნეს, ჩუწნ ის არც ერთი მოვინდომით და არც მონასტერზე ესტყუოთ... და სანამდე სული მედვას, მონასტრის სამსახურს არა გვერჩიოს“ – ეფიცება ნიკოლოზ წულუკიძე მეფესა და კათალიკოსს“ (ქრონიკები, II, 490). დოსითეოსი კი ამ სიას „ამდიდრებს“ ნიკიფორე ირბახით და მათ ახასიათებს ცალ-ცალკე (მამისთვალიშვილი ე., საქართველო იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 189-190). პატრიარქის გამონათქვამებს გავეცნობით თითოეული მათგანის დახასიათებისას.

ვრილო ხუცესია, სწირავდა მეფე ლეონტის [ლევან II დადიანი] ეკლესიაში, სადაც იგი [დადიანი] დადის; იმავე დროს ვალობს კარის ეკლესიაში“; „ასეთი სიგელი გამოუგზავნა (მოსკოვის ხელმწიფეს – ე. მ.) დადიანის მეფე ლეონტიმ თავისი ელჩის, კარის ხუცესის გაბრიელის ხელით 12 დეკემბერს“; „ახლა კი მან მის მეფურ უდიდებულესობასთან გამოგზავნა თავისი კარის ხუცესი სახელად გავრილა“¹. იგივე ამონარიდი ა. ტულუმს გაგებულნი აქვს შემდეგნაირად: „ის გაბრიელი მღვდელია, იმ ეკლესიაში წირავს, სადაც მეფე ლევანი დადის; ის აგრეთვე (იერუსალიმის – ე. მ.) ჯვარის ტაძარში ვალობს“; „ახლა კი მან მის მეფურ უდიდებულესობასთან გამოგზავნა თავისი მამა სახელად გავრილა“. რუსული წყაროს ამგვარი გაგება ა. ტულუმს იმის საშუალებას აძლევდა, რომ გაბრიელ გეგენავა მოსკოვში გამგზავრებამდე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად გამოეცხადებინა², რაც, რუსული წყაროს მიხედვით, სიმართლეს არ შეეფერება.

რუსული წყაროს არასწორმა ინტერპრეტაციამ დასახელებული მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, თითქოს გაბრიელ გეგენავა 1632 წლიდან, ნიკიფორე ირბახის რეკომენდაციითა და ლევან II დადიანის სურვილით, იერუსალიმს მამად დაინიშნა³.

როგორც თავის ადგილას ითქვა, ნიკიფორე ირბახი დიდი ხნის განმავლობაში (XVII ს. 20-40-იანი წლები) იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის ილუმენი (მამა) იყო. ის ამ რანგში გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და იქიდან დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნა ეს საეკლესიო თანამდებობა. არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია იმის სათქმელად, რომ 1632 წელს ნიკიფორემ ჯვარისმამად გაგზავნა გაბრიელ გეგენავა, რომელიც იქ იმყოფებოდა ნიკიფორეს წმ. ჯვრის მონასტერში დაბრუნებამდე, ე. ი. 1643 წლამდე. მართალია, ნიკიფორე დიდი ხნის განმა-

¹ «Да и он-де Гаврило поп же, а служил у царя Леонты у его церкви, где он приходит; да он же-де поет и в хоромех у крестов»; «Такову грамоту прислал дадянской Леонтей царь послом своим с крестовым попом з Гаврилом декабря в 12 де»; «А ныне-де он послал к его великому царствию крестового своего попа именем Гаврила». Материалы по истории грузино-русских взаимоотношениям. 1615-1640, 149, 151, 152. მონიშვნა ჩემია. იხ. Крестовая - молельная в доме; Крестовая церковь и кресты править - священник, при архиерейской или вообще домовою церкви. Толковый словарь Живаго Великорускаго языка Владимира Даля, II, С.-Петербург - Москва, 1881, 191.

² ტულუმს ა., გაბრიელ გეგენავა – უცნობი მამა, 33.

³ ტულუმს ა., გაბრიელ გეგენავა – უცნობი მამა, 34-35.

ვლობაში იერუსალიმში არ იმყოფებოდა (1625-1643 წწ.), მაგრამ იგი ჯვარისმამობას ინარჩუნებდა 1649 წლამდე. ამ წოდების შენარჩუნებაში ხელს არ უშლიდა ის გარემოება, რომ იგი იერუსალიმში არ იმყოფებოდა. მხოლოდ იერუსალიმიდან ნიკიფორეს დაბრუნების შემდეგ (1649 წ.) უნდა გაეგზავნათ გაბრიელ გეგენავა ჯვარისმამად. XVI საუკუნეში ჯვარისმამების მიერ იერუსალიმის მონასტრების საქართველოდან მართვა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. შეიძლება ესეც იყო ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

გაბრიელ გეგენავას შესახებ, ვფიქრობ, სარწმუნო, მაგრამ არასახარბიელო ორიოდ ცნობა დაგვიტოვა პატრიარქმა დოსითეოსმა, რომელიც გეგენავას თანამედროვე და იერუსალიმში მიმდინარე ამბების საქმის კურსში იყო. მისი გადმოცემით, საქართველოში დაბრუნებულ ნიკიფორე ირბახს მამად დაუტოვია გაბრიელი, გვარად გეგენავა. ნიკიფორეს 1658 წელს, ვალების დასაფარავად, ვინმე მარკოზის ხელით იერუსალიმში თანხა გაუგზავნია. როდესაც ნიკიფორემ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, – გადმოგვცემს დოსითეოსი, „*ივერიელების წმ. ჯვრის მონასტერში თავის ნაცვლად დატოვა ვინმე გაბრიელი. ამ კაცმა თავისი უწესო ცხოვრებით მონასტერი დიდ ვალებში ჩააგდო, რომლის დასაფარი [თანხა], სხვათა შორის, ნიკოლოზმა [საქართველოდან] გააგზავნა, რომელიცაც მარკოზის ხელით. ათას ექვსას ორმოცდათვრამეტ წელს გაბრიელი მოვიდა იოპიაში¹ მარკოზთან შესახვედრად, რომელსაც დაღუპვას უმზადებდა. ერთმა ნესტორიანელმა მარკოზი ზღვაში გადააგდო. მარკოზი დაიღუპა. გაბრიელმა აიღო [მარკოზის მოტანილი] ფული, რომლის ნაწილი მისცა მევახშეებს. თამასუქები თუმცა შეცვალა, მაგრამ [მევახშეებს] ძველი თამასუქები არ ჩამოართვა. მისგან გავულიანებულმა ადამიანებმა, რა თქმა უნდა ყახალებმა, გზაში გაძარცვეს ის კაცი, რომელსაც თამასუქები მიჰქონდა და [თამასუქები] წაართვეს. გაბრიელი ფიქრობდა,*

¹ იაფა - ქალაქი და ნავსადგური პალესტინაში. სავარაუდოა, ნიკიფორემ მარკოზი ჯერ კიდევ ლევან II-ის სიკვდილამდე და მისივე შეწვევით გაგზავნა იერუსალიმში. თორემ 1658 წელს, დადიანის სიკვდილის შემდეგ, ამას ვეღარ მოახერხებდა, რადგან სამთავროში მაშინვე არეულობა დაიწყო.

რომ თამასუქები განადგურდა, მაგრამ ისინი [სინამდვილეში] მევახშეებს ჰქონდათ“¹.

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ის, რასაც დოსითეოსი ქართველ მამებზე წერს, მაგრამ აღნიშნული საკითხების კვლევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია. ის კი, თუ რა მიზანი ამოძრავებდა პატრიარქ დოსითეოსს, საკმაოდ დაწვრილებით გადმოვეცი ნიკიფორე ირბახის საქმიანობის განხილვისას.

იმავე პატრიარქის მიხედვით, გაბრიელი თურქებმა მოკლეს, მაგრამ დროს არ უთითებს².

იოსებ ბარათაშვილი – 1663 წელს ქართლიდან იერუსალიმში გაიგზავნა მღვდელ-მონაზონი, მამა იოსებ ბარათაშვილი. როგორც პატრიარქი დოსითეოსი გადმოგვცემს, „გამოუცდელობის გამო, მან თურქ მევახშეებს მისთვის მოთხოვნილი ვალი გადაუხადა იმ თამასუქებით, როგორც არ უნდა ყოფილიყო ისინი. მაგრამ მათ გამოიანგარიშეს იმ თამასუქების ვადა, ძირითად კაპიტალს მიუმატეს პროცენტი და მისგან მიიღეს ვალის პროცენტით გადახდის ახალი თამასუქები. ასეთი თამასუქების მიცემის შემდეგ ის ივერიაში დაბრუნდა“³. რადგან 1666 წლიდან იერუსალიმში ჯვარისმამად იგზავნება მელეტიოსი, შეიძლება იოსების ჯვარისმამობის პირველი პერიოდი შემოიფარგლოს 1663-1666 წლებით.

იოსებ ბარათაშვილმა, თბილისის ეპისკოპოსის რანგში, ქართლის სამეფოს მეფესა და დიდებულებთან ერთად 1681 წელს დაადასტურა გიორგი XI-ის მიერ დოსითეოსისათვის მიცემული „გარიგების წიგნი“ იერუსალიმის ჯვარისა და სხვა მონასტრების ვალების გადახდის შესახებ⁴.

მელეტიოსი – მელეტიოსის შესახებ ორიოდე საინტერესო ცნობა დაგვიტოვა პატრიარქმა დოსითეოსმა. მის მიხედვით, მელეტიოსი ალექსანდრიის ეპისკოპოსი იყო, რომელმაც 1666 წელს 10 ათასი გროსი შეაგროვა და იერუსალიმში წაიღო.

¹ მამისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 189.

² მამისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 209.

³ მამისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 121-122, 190.

⁴ მამისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 200.

ზუსტად განსაზღვრული არ არის მელეტიოსის ჯვარის-მამობის პერიოდი. შემონახულია რამდენიმე გუჯარი, რომლებშიც ვხვდებით ცნობებს მელეტიოსის შესახებ, მაგრამ ისინი თარიღდება 1666 წლით. მცხეთის გუჯარი გვამცნობს, რომ 1666 წელს ვინმე მელეტიოსს შეუკრებია 1501 მინალთუნი ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად¹. მელეტიოსი იოსებ თბილელს წერს: „...ასე რომელ კურთხეულმან (თფილელმან) ელისე საყდრის ალაგი მიბოძა და მე ავაშენე და ჩემი ძმა იმას ვაყმე და მას უკან მე მამად დამაყენეს და მერმე ჩემი ძმა აბდულმესი ბატონს ციცის ვაყმე და მე იერუსალიმს წავეღ და ის სახლ-კარი თქვენ მოგაბარეთ ამანათად...“².

1666 წელს მელეტიოსს შეუდგენია კათალიკოსისა და დედოფლის მიერ საქართველოსა და, კერძოდ, კახეთის თავადების, ეპისკოპოსებისა და გლეხებისაგან აკრეფილი თანხის (148 თუმანი და 1 მინალთუნი) დანახარჯის ნუსხა. მოყვანილი ქართული გუჯრების საფუძველზე ე. მეტრეველმა მელეტიოსის ჯვარისმამობა განსაზღვრა 1666 წლით³. ნ. ხუციშვილმა კი ივარაუდა, რომ მისი ჯვარისმამობა 60-იანი წლებიდან 1666 წლამდე უნდა გაგრძელებულიყო და ეყრდნობა იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოსის ნათქვამს ვინმე ხალიბელზე. ხალიბელი რომ იგივე მელეტიოსი იყო, ნ. ხუციშვილს დაუდგენია დოსითეოსის თხზულების ფრაგმენტების რუსულ ენაზე მთარგმნელის, მ. სელეზნიოვის მიხედვით⁴. სინამდვილეში, დოსითეოსი პირდაპირ ასახელებს მელეტიოს ხალეპლის (ალექსოელი): „1666 წელს, [იერუსალიმში] ათი ათასი გროსით გაიგზავნა ვინმე მელეტიოსი ხალეპლი. ამ თვითნება კაცმა, როგორც მისმა წინამორბედმა, პატრიარქის უკითხავად, მევახშეებს გადაუხადა, თამასუქი შეცვალა და თანხის პროცენტი განსაზღვრა, რის გამოც მონასტრის ვალი 94 ათას გროსამდე გაიზარდა. ისიც დაბრუნდა [საქართველოში]“⁵.

¹ ქრონიკები, II, 483.

² ქრონიკები, II, 483-484.

³ მეტრეველი ე., მასალები, 40.

⁴ ხუციშვილი ნ., ჯვარის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 86-87.

⁵ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 190.

აღბათ იმიტომ, რომ მეღვთისმად ვერ შეძლო ჯვრის მონასტრის ვალების გასტუმრება, მისი შემდგომი მამა ნიკოლოზ წულუკიძე 1675 წელს კიცხავს მას ამის გამო¹.

მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ მეღვთისმად ორჯერ ყოფილა იერუსალიმში. ის დაღუპულა მეორე მოგზაურობისას. მის დროს ქართველთა ვალებს იერუსალიმში იმ უზარმაზარი ოდენობისათვის (94 ათასი გროსი) მიუღწევია, რომლის გადახდა მხოლოდ 1685 წელს მოხერხდა.

იოსებ ბარათაშვილი (მეორედ) – 1666-1675.

ნიკოლოზ წულუკიძე – 1675-1683.

ქრისტოფორო (მუხრანის ბატონიშვილი) – 1683-1688 წწ.²

პაპა სერგიოსი – 1688–1709 წწ. საყურადღებოა, რომ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი ქართლის მეფე ერეკლე I-ს ნებართვას სთხოვდა მოწყალების მოკრებისათვის 1700 წელს. იმავე დროს პატრიარქი მეფეს სთხოვს, მფარველობა გაუწიოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მოწყალების მოსაკრებად იერუსალიმიდან გაგზავნილ მამა სერგიოსს³.

პატრიარქ დოსითეოსის ერთ-ერთი ეპისტოლედან ჩანს, რომ სერგიოსი აქტიურად მოქმედებდა საქართველოდან ჯვრის მონასტრისათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად. დოსითეოსი წერს: „თურქებისათვის მიცემული გირაოები ვაღის გადახდით დავიბრუნეთ, ხოლო კირ-ნიკოლოზისა და მ[ამა] სერგიოსის მიერ გამოგზავნილი ჯვრის მონასტრის ჭურჭლეულობას ცალკე ვინახავთ“⁴.

სერგიოსს, დოსითეოსის დავალებით, საქართველოდან არა მხოლოდ წმ. ჯვრის მონასტერზე უნდა ეზრუნა, მას, საპატრიარქოს ინტერესებიდან გამომდინარე, წმინდა ქალაქის სხვა წმინდა ადგილებისთვისაც ყურადღება არ უნდა დაეკლო. მაშინ, როდესაც იერუსალიმის ქართული კოლონია სულს დაფავს, იერუსალიმის ორთოდოქსალური საპატრიარქოს მეთაური საქართველოში თავისი პოზიციების გაძლიერებას ცდილობს.

¹ ქრონიკები, II, 490; პირთა ანტირეზუმი ლექსიკონი, III, 142.

² მეტრეველი ე., მასალები, 40. ვრცლად იხ. ხუციშვილი ნ., ჯვარის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 88-90.

³ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 217.

⁴ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 203.

საპატრიარქოს. ჯვრის მონასტრისათვის დოსითეოსი ერეკლე I-ს თბილისში ერთი ეკლესიის გადაცემას სთხოვს 1700 წელს, საჩუქრად ითხოვს კარგ მიწის ნაკვეთს, რომელზეც მისი ნდობით აღჭურვილი მამა სერგიოსი საქართველოში ჩამოსული წმ. საფლავის მამებისათვის სენაკებს ააშენებდა¹.

ჯვარისმამობის დამთავრების შემდეგაც პაპა სერგიოსი საქართველოში დარჩა.

იგი მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის დროს ქართლის სამეფოში გაჩაღებულ კულტურულ ცხოვრებაში, ამის ერთი მაგალითი ვიცით. როგორც ცნობილია, 1713 წელს დაიბეჭდა კვიპრიანე სამთაფნელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „კურთხევანი“. კვიპრიანე თავის დამსახურებას წიგნის ბეჭდვის საქმეში გადმოგვცემს წინასიტყვაობის მეორე გვერდზე, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ იგი ადრე, 1713 წლამდე, წიგნების რედაქტორობისას სერგიოსის კონსულტაციებით სარგებლობდა. „და რომელ არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე იგინი რომელნიცა უწინარეს წიგნნი დაიბეჭდა...“ – კეთილსინდისიერად აღნიშნავდა კვიპრიანე².

პართენი – XVII ს. დასასრული-XVIII ს. დასაწყისი³.

არსენი ერისთვისშვილი – 1697-1701⁴.

¹ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 217.

² მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 115.

³ ხუციშვილი ნ., ჯვარის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 95-96.

⁴ ხუციშვილი ნ., ჯვარის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 96-97. პლ. იოსელიანის მიხედვით – პართენი.

წმ. ჯვრის მონასტრის არსებობის მატერიალური საფუძვლები

საინტერესოა საკითხი, რა გზებითა და საშუალებებით კმაყოფილდებოდა ჯვრის მონასტრის მოთხოვნები მისი ფიზიკური არსებობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისათვის.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, მისი ცალკეული მხარისა თუ კუთხის მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელები, ეკლესია-მონასტრების მესვეურნი და, საერთოდ, მთელი მოსახლეობა, თავისი შესაძლებლობების შესაბამისად, საუკუნეების განმავლობაში ყურადღებას არ აკლებდა საზღვარგარეთ არსებულ სასულიერო და კულტურის კერებს, განსაკუთრებით კი ქართულ წმ. ჯვრის მონასტერს იერუსალიმში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრის მონასტრის ეკონომიკური ცხოვრება, მისი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა სუსტადაა შესწავლილი. ჩვენამდე მოღწეული მასალები, რომლებიც ამ საინტერესო საკითხის გაშუქებას წაადგებოდა, მცირე, მაგრამ მაინც საკმარისია იმისათვის, რომ მასზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას.

ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი ცნობები არ იძლევა საშუალებას, რაიმე ვთქვათ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეურნეობის მართვის სტილსა და მეთოდებზე. ალბათ, აქაც იგივე ორგანიზაცია იყო, როგორც, საერთოდ, მართლმადიდებლურ მონასტრებში. უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრის მონასტრის ბერები, როგორც ერთი ცნობიდან ირკვევა, გამოირჩეოდნენ თავიანთი შრომისმოყვარეობით. ისინი თვითონ ამუშავებდნენ მონასტრის მიწებსა და ზვრებს¹.

1. მამულები

წმ. ჯვრის მონასტერს, დაარსების დღიდანვე, უნდა ჰქონოდა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებანი. ამიტომაც, რომ ლეგენდები, რომლებშიც არის ჭეშმარიტების ელემენტები, გვამცნობს ჯერ მირიან მეფის მიერ სამონასტრო ადგილის მოპოვებაზე, ხოლო ვახტანგ გორგასლის მიერ კი თვით მონასტრის აგებასა და მისი მიწითა და აუცილებელი მუშახელით უზრუნველყოფაზე. ლეგენდის მიხედვით, ვახტანგმა იერუსა-

¹ Март Н., Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме. “Сообщение Православного палестинского общества”, т. XIV, №1, 1903, 21-22.

ლიმში თავისი მხედრები დატოვა, რომლებიც იქ სამუდამოდ დასახლდნენ, მონასტრის მამულებს იცავდნენ და ამუშავებდნენ. სავარუდოა, რომ ისინი შემდგომი დროის მალჰელები იყვნენ¹.

ძნელია იმის დადგენა, რამდენი მამული ჰქონდა ჯვრის მონასტერს იერუსალიმსა ან მის მიდამოებში და სად იყო ისინი განლაგებული. მხოლოდ ის ვიცით, რომ იერუსალიმის მახლობლად ჯვარს ეკუთვნოდა რამდენიმე სოფელი: ჯალ-ჯალა, დეირ მუსა, დეირ ქაქულა და მალჰა². გვაქვს ზოგიერთი ცნობა ამა თუ იმ პიროვნების მიერ მონასტრისათვის მამულის ან მამულების შეწირვის შესახებ.

უნდა შევნიშნო, რომ ალაპებში, უმეტესწილად, ვენახების შექმნა-დახსნაზეა საუბარი და ისინი შედგენილია XV–XVI საუკუნეებში. ვიცით ზოგიერთი იმ ადგილის ტოპონიმმა, სადაც ჯვრის მონასტრის მამულები იყო.

ჩვენამდე მოღწეული პირველი ცნობა ჯვრის მონასტრის მამულზე ეკუთვნის იოანე ფოკას, რომელმაც 1185 წელს იმოგზაურა იერუსალიმში. მისი თქმით, „*იერუსალიმის და წინასწარმეტყველ დავითის კოშკის მარჯვენა მხარს, არის მთლიანად ვენახებით დაფარული მთაგრეხილი, მის შედარებით დაბლობ ნაწილზე არის იბერთა მონასტერი*“³. ჩანს, იოანე ფოკამ არ იცოდა, ან ზედმეტად ჩათვალა ეცნობებინა, რომ ჯვრის მონასტრის ზვრების ერთ ნაწილს ან მთლიანად ამ დროს იერუსალიმის მეფე ბაღდაუინ IV განაგებდა. შეიძლება ზვრების ჩამორთმევა 1177–1178 წლებში მოხდა. ამას მაფიქრებინებს შემდეგი: 1178 წელს ჯვრის მონასტრის ვენახის ნაწილი უკვე ბაღდაუინის განკარგულებაშია და იგი ამ ნაწილს აძლევს აღდგომის ეკლესიის იღუმენს პეტრეს სხვა ვენახის სანაცვლოდ⁴. ამ წყაროს სისწორე დასტურდება ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპით, საიდანაც ვიგებთ, რომ მას „უკმოუსყიდა“

¹ მამისთვალისიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 138-140

² Butrus Abu-Manneh, The Georgians in Jerusalem in. XXI Deutscher Orientalistentag von 24 bis 29 Marz in Berlin, Wiesbaden, 1983, 108-109; ჯაფარიძე გ., XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შესახებ, „*მაცნე*“, *ენისა და ლიტერატურის სერია*, 1985, №3, 185.

³ Вирсаладзе Т. Б., Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 54.

⁴ Попов А., Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, II 1903, 167.

(გამოუსყიდია) ვენახი¹, რომელიც ბაღდუინის მიერ ჩამორთმეული უნდა ყოფილიყო.

უძველესი დროიდან მონასტერს საკმაოდ დიდი ღვინის ბაღიც ჰქონია. ამის შესახებ ვიგებთ XIII ს. უკანასკნელი მეოთხედის ერთი ადაპიდან, რომელიც შედგენილია ივანე ქველივაძის შვილის, ბასილის სულის მოსახსენებლად: „ავიღეთ ათას შვიდასი დრამა მისისა ძმისა ტურღნისა ხელითა და სპარსთაგან (იგულისხმებიან მუსლიმანანები – ე. მ.) დაჭირულნი ღვლუნარნი ამა ოქროთა დავიკსენით“².

XIII საუკუნეში გრიგოლ ფანასკერტელმა რვაას დრაჰკანად ნაყიდი „მოსცა და შემოსწირა ჯუარის მონასტერსა აქიას ადგილი“³. მეორედ, გრიგოლის გაგზავნილი ფულით, თვით მონასტერმა, ალბათ, გრიგოლისავე მოთხოვნით, იყიდა „აქიას მამული ოცდაოთხი ათასად“⁴. სავარაუდოა, რომ აქიას თუ აქიას მამული საკმაოდ ვრცელი იყო და მისი შექმნა, თანხის სიდიდის გამო, მხოლოდ ნაწილ-ნაწილ მოხერხდა. მეორე ადაპში გრიგოლის მიერ გაგზავნილი ფულის სახეობა მითითებული არ არის და აქაც დრაჰმა უნდა ვიგულისხმოთ. გრიგოლი XIII ს. მეორე ნახევრის მოღვაწეა. ამ დროს დრაჰმა უკვე ვერცხლის მონეტაა და იერუსალიმს გაგზავნილი ფულიც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. მონასტრის კრებულმა გრიგოლ ფანასკერტელს სვინაქსარში ხუთი ადაპი გაუჩინა, რაც მის მიერ მონასტრისათვის გაწეულ სერიოზულ დახმარებაზე მეტყველებს.

1347 წ. იერუსალიმში ნამყოფი მუსლიმანი იბნ ალ-უმარის თქმით, ჯვრის მონასტრის შენობა, გარშემორტყმული ხეთისხილის, ვაზისა და ღვინის ნარგავებით, დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა⁵.

XIX ს. დასასრულსაც მნახველს ხიბლავდა ჯვრის მონასტრის შესანიშნავი გარემო. პ. კონჭოშვილი აღფრთოვანებული წერდა: „მონასტერს გარშემო აქვს მშვენიერი ვენახი და ბაღიც ღლიმონისა, ფორთოხლისა, ღვინისა და ბროწეულისა“⁶. XV ს. I I ათწლეულში მამა პიმენ მაწყვერელმა თავისი თანხით ვენახი

¹ მეტრეველი ე., მასალები, 91, №127.

² მეტრეველი ე., მასალები, 80, №16; 121–122, №16.

³ მეტრეველი ე., მასალები, 90, №123.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 91, №123ა.

⁵ მეტრეველი ე., მასალები, 182.

⁶ მეტრეველი ე., მასალები, 82.

იყიდა „ცხრშაულის ბოლოს“ და მონასტერს შესწირა¹. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ზედგინიძე ავთანდილმა და მისმა მეუღლემ გულშარმა ანჯაუთს იყიდეს ვენახი 183 ფლურად და მონასტერს შესწირეს². ეს არის ავთანდილ II, რომელიც გორის მოურავად იყო უზუნ ჰასანის საქართველოში ბოლო ლაშქრობისას (1477 წ.) და კონსტანტინე II-ის (1478–1505) მეფობის დროს³. ათაბაგ მზეჭაბუკის (1500–1515) მიერ თავისი ძმის, ქაიხოსროს სულის სამლოცველოდ ამბროსეს ხელით გაგზავნილი 100 ფლურით „*ჯუარელთა ძმათა და დაძთა და სრულიად საღმრთო მან კრებულ მან... ას ფლურად ერთი დიდი ყანა იყიდა*“⁴.

XVI ს. პირველ მეოთხედში სამცხელ დიდებულს სფირიდონს და მის მეუღლეს თინათინს ჯვრის მონასტრის ხაზინაში ჩაუდიათ ფული, რომლითაც უყიდიათ „*ერთი ვენაჯი ამბროსეულის თავსა*“⁵. ზოსიმე კუმურდოელის წიგნის მიხედვით, სფირიდონი მცხეთის ეკლესიის საქონებელ და სამწყსო სამცხის თავადთა შორის იყო. სფირიდონს ეკუთვნოდა „*ასპანისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა*“⁶. ათაბაგ მზეჭაბუკის ფული ამბროსემ რომ იერუსალიმში მიიტანა და იმით ყანა იყიდეს, იმ ადგილს უნდა დარქმეოდა ამბროსაული. ამ ყანის „თავსა“ შეიძინეს ვენახი. მოგვიანებით ამ ვენახსაც „ამბროსაული“ დარქმევია. ამაზე მიუთითებს „*კანდელაკისა ნიკოდიმესი, მათესი და ანტონეს*“ ალაპი. მასში ნათქვამია, რომ მათ მიერ ჯვრის მონასტრისათვის შეწირული ვენახი „ამბროსაულსა ვენაჯსა ზედათ არის“⁷.

XVI ს. მეორე ნახევარში გაჭირვებაში ჩავარდნილ მონასტერს ვენახი და სამონასტრო ინვენტარი დაუგირავებია. ყველაფერი ეს 800 ლუკატით გამოუსყიდია ალაბეგა შვილს ისკანდერს⁸. მაგრამ გაუგებარია, მონასტრის ვენახები იგულისხმება, საერთოდ, თუ ერთი რომელიმე.

¹ მეტრეველი ე., მასალები, 75, №75.

² მეტრეველი ე., მასალები, 75, №75.

³ მეტრეველი ე., მასალები, 44; მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I (1801 წლამდე), თბილისი, 1995, 43.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 77, №90; 117, №309.

⁵ მეტრეველი ე., მასალები, 84, №58.

⁶ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), 35

⁷ მეტრეველი ე., მასალები, 94, №161; 133, №58.

⁸ მეტრეველი ე., მასალები, 103, №266.

ჯვრის მონასტრის დაგირავებული „ვენახი ცხორება“ დაიხსნა წულუკიძე ქაიხოსრომ XVII ს. 40-ან წლებში¹. მონასტერს რომ საყანე მიწაც ჰქონდა, იქიდან ჩანს, რომ XVI ს. პირველ ოცეულში ათაბაგ მხეჭაბუკის გაზრდილი ამბროსეს ხელით მიტანილი ასი ფლურით რომ „დიდი ყანა“ იყიდა და მონასტერს გადასცა². XVIII ს. ბოლოს მონასტერს იქვე, ხეობაში საკმაოდ დიდი, 20 დღის საქცევი (8–10 ჰა) სახნავი მიწა ჰქონდა.

ქართულ საისტორიო საბუთებზე დაკვირვების შედეგად გამოთქმულია მოსაზრება: „იმის გამო, რომ იერუსალიმისადმი შეწირული ქონების ადრესატად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დასახელებულია წმ. ჯვრის მონასტერი, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი და გვხვდება ზოგადი ტერმინიც – „იერუსალიმისა“, ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი XI-XVII საუკუნეებში იყო იერუსალიმის ქართული კოლონიის ცენტრი, ხოლო გოლგოთისა და ქრისტეს საფლავის სახელით მოქმედებდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო“³. აღნიშნული საბუთების შინაარსი და იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის ამსახველი სხვა მასალები (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპები და სხვ.) თითქოს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „საქმე გვაქვს ერთ სამონასტრო მიწათმფლობელობასთან, რომელიც გარკვეული ისტორიული ვითარების გამო სხვადასხვანაირად იწოდებოდა“⁴. იმავე საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ იერუსალიმის ქართული კოლონიის და მონასტრების იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან ურთიერთობის თავისებურება აღნიშნულ პერიოდში. მე არ ვიცი ისეთი ისტორიული საბუთები, რომლებიც ასახავენ ქართული კოლონიის მეთაურის – ჯვრის მონასტრის და იერუსალიმის საპატრიარქოს ერთობლივ (ერთ) სამონასტრო მიწათმფლობელობას. ისინი ცალ-ცალკე არსებობდნენ. ქართველები გოლგოთას და ქრისტეს საფლავს მიწებს ან სხვა ქონებას

¹ მეტრეველი ე., მასალები, 88, №99

² მეტრეველი ე., მასალები, 77, №90; 178, №309.

³ ხუციშვილი ნ., სამონასტრო მიწათმფლობელობის დიფერენციაციის საკითხი საქართველოში. *საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი*. 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2000, გვ. 104.

⁴ ხუციშვილი ნ., სამონასტრო მიწათმფლობელობის დიფერენციაციის საკითხი საქართველოში, 104.

სწირავდნენ, როგორც უმთავრეს ქრისტიანულ სიწმინდეებს და მხოლოდ მაშინ, როდესაც იქ ქართველ ბერმონაზვნებს წამყვანი ადგილი ეკავათ. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა XVI საუკუნის დასასრულამდე. მანამდე ქართველები, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მასალებიდან ჩანს, საპატრიარქოს ეხმარებიან, მფარველობენ, ან ოსმალების მხარდაჭერით გაძლიერებულ საპატრიარქოსთან კონფლიქტში არიან. XVII საუკუნიდან კი სურათი სრულიად იცვლება: ქართველები, რაც დრო გადის, პოზიციებს თმობენ და საბოლოოდ ქართველთა თითქმის მთელ ქონებას ბერძენთა საპატრიარქო დაეპატრონა. ეს პროცესი კარგად ჩანს, სხვა საბუთებს რომ ყურადღება არ მივაქციოთ, თუნდაც ბერძენთა პატრიარქის, დოსითეოსის საისტორიო თხზულებასა და ეპისტოლეებში.

2. სახლები

წმ. ჯვრის მონასტერს, საკუთარი კომპლექსის გარდა, იერუსალიმსა და მის მახლობლად ეკუთვნოდა შეწირული, ე. წ. მეტოქი ეკლესიები და სახლები. მონასტრის ასეთი უძრავი ქონების შესახებ ცნობები მცირეა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ იგი საკმაოდ ფლობდა ასეთ ქონებას.

წმ. ჯვრის მონასტერი დაარსების დღიდან სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს ფლობდა სახლებს, რომელთა პირდაპირი დანიშნულება იყო მომლოცველებისათვის თავშესაფრის მიცემა და მომსახურება. როგორც თავის ადგილას ითქვა, ზაქარია რეტორის გადმოცემით, პეტრე იბერმა ქართველი და ბერძენი ბერებისათვის (ძმათათვის) იერუსალიმში სასტუმრო სახლი ააგო. ეგვიპტიდან დაბრუნებულმა პეტრემ იერუსალიმში ააგო მეორე „სახლი სასტუმრო“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ტაძრის მშენებლობას.

უკვე ითქვა, რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ჯვარის-მამობის დროს (1643-1649) ჯვრის მონასტრის ძმობის მიერ ქაიხოსრო წულუკიძის დიდი დამსახურებისათვის დადგენილ აღაპში აღნიშნულია: მან „აშენა ქრისტეს საფლავთანა წმიდის ნიკოლოზის საყდარი სამოციო სახლით, ქვითკირით კამარა შეკრულითა...“¹.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, წმ. ნიკოლოზის საყდრის აღდგენა (აშენება) მისი „სამოციო სახლით, ქვითკირით კამარით

¹ მეტრეველი ე., მასალები, 88, №99.

შეკრულითა“: იერუსალიმის წმ. თეკლას მონასტრის ახლად აღმოჩენილ წარწერაში (XV-XVI სს.) ნათქვამია, რომ ზედგინიძე ქაიხოსროს თავისი მშობლების სულის შესანდობლად აუშენებია რვა სახლი და ოცდარვა კამარა. გ. გაგოშიძის აზრით, „კამარა“ ქულბაქის მაგვარ ღია სავაჭრო შენობას უნდა ნიშნავდეს¹. თუ ეს ასეა, მაშინ ქაიხოსრო წულუკიძის მიერ გოლგოთაზე ჩატარებული მშენებლობა მიუთითებს იერუსალიმის ქართული კოლონიის აქტიურ კომერციულ საქმიანობაზე. XVII ს. პირველ ნახევარში ქულბაქებში, ალბათ, ქართველთა მონასტრებში დამზადებული ხელოსნური ნაწარმი და მათს მამულებში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები საღებოდა. ნაზარეთის არქიეპისკოპოსი გაბრიელი 1651 წელს ამიტომაც წერდა ქართველი ბერების ღვთისმოსავობასა და შრომისმოყვარეობაზე, უცხოელებისადმი დახმარებაზე². მაგრამ თუ იოანე კოტოვიკოს ნათქვამსაც გავიხსენებთ, როცა ის გოლგოთაზე ქართველთა საცხოვრებელ ოთახებსა და სამლოცველოებს ასახელებს, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ალაპში ღაპარაკია საცხოვრებელი სახლებისა და ქულბაქების აღდგენა-განახლებაზე.

უპირველესი ცნობა ჯვრის მონასტრისათვის სახლის აშენებისა და შეწირვისა განეკუთვნება XIII ს. პირველ ნახევარს. მარკოზეთ კვირიკეს ხუთას დრაჰმად სახლი აუშენებია. ალაპის დამწერი დამატებით გვამცნობს: „მერმე აქაიას საშენებლად მოგუცა მ (40) ათი დრაჰკანი“³.

კიდევ ერთი საინტერესო ალაპი გვაქვს, ჯვრის მონასტრის სახლებზე რომ გვამცნობს. XV ს. მეორე ნახევარში სამცხის ათაბაგის, ყვარყვარე II დიდის მიერ გაგზავნილი ფულით „ერთი დარი (სახლი – ე.მ.) იყიდეს ივანეს დარს მოკიდებით“: როგორც ჩანს, ახლად ნაყიდი სახლი ვინმე ივანეს მიერ, ალბათ, მონასტრისათვის შეწირული სახლის გაგრძელება იყო⁴. ვინ იცის, კიდევ რამდენი სახლი ეკუთვნოდა იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერს, რომელთა შესახებ ცნობებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

¹ გაგოშიძე გ., წმინდა მიწის ქართული წარწერები. ACADEMIA, 5, 2003, 38-39.

² ფერაძე გრ., უცხოელი პილიგრიმების ცნობები, 64-65.

³ მეტრეველი ე., მასალები, 84, №57.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 103, №262.

ჯვრის მონასტრის აღაპით, XVII ს. პირველ ნახევარში ქაიხოსრო წულუკიძემ გოლგოთაზე „აშენა ქრისტეს საფლავთან წმიდის ნიკოლოზის საყდარი სამოციო სახლით, კვითკირით კამარა შეკრულითა“¹. ისიც ვიცით, რომ XVI ს. მიწურულში წმ. ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა რამდენიმე მოქმედი ქართული მონასტერი: თეოდორე სტრატელატისა, თეკლასი და ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა. მაშასადამე, ზემოაღნიშნული აღაპის ცნობა უნდა გავიგოთ, როგორც ქაიხოსრო წულუკიძის მიერ ნიკოლოზის ეკლესიის არა ახლად აშენებად, არამედ მის შეკეთებად. ეს მონასტერი მეტოქი იყო. თეკლას მონასტერი კი ჯვრის მონასტრის მამამ, ქრისტოფოროს ზედგინიძემ ააშენა².

წმ. ჯვრის მონასტერს საკუთარ სახლებს სწირავდნენ ადგილობრივი, არაქართველი მოსახლენიც. XIV ს. პირველ ნახევარში, როგორც აღაპშია აღნიშნული, ობედ ებნი სურურ ებნუ სალამ „შემოვუწირა რამლას მისი სახლი მეტოქედ სამლოცველად და მისთა მშობელთათვის და მისისა მეუღლისათვის“³. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ობედ ებნი სურური ერთ-ერთი იმ არაბთაგანი უნდა იყოს, რომელიც თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყო წმ. ჯვრის მონასტერთან⁴. შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ვფიქრობ, საქმიანობის გარდა, შემწირველი არაბი ქრისტიანი იყო. სხვანაირად როგორ იქნებოდა, რომ მუსლიმან არაბს სახლი შეეწირა ქრისტიანული ტაძრისათვის თავისი მიცვალებულების „სამლოცველად“. ან როგორ იქნებოდა, რომ წმ. ჯვრის მონასტერში მუსლიმანთა სულის მოსახსენებელი აღაპი დაედგინათ?

3. შეწირულობანი

წმ. ჯვრის მონასტერი საკმაოდ დიდ შესაწირავეებს იღებდა ფულის სახით. არ ვგულისხმობ საქართველოში არსებული მონასტრის მამულებიდან მიღებულ შემოსავალს. შესაწირავეებს აგზავნიდნენ მეფეები, დედოფლები, მთავრები, თავადები, მაღალი რანგის სასულიერონი თავისი და თავიანთი ახლობლების სულთა უკვდავსაყოფად. გამოქვეყნებული აღაპებიდან 80-ში სხვადასხვა დროის, ლითონის და ხარისხის ფულის (მარჩილი – 800, ფლური – 2043, თეთრი – 52900, დრაქმა – 33000, დრაჰ-

¹ მეტრეველი ე., მასალები, 88, №99.

² მეტრეველი ე., მასალები, 38.

³ მეტრეველი ე., მასალები, 79, №4ა.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 114.

კანი – 9147, სომი – 108, მუტყალი (მოტყალი) ოქრო – 4250, ლარი – 8) შეწირვაზეა აღნიშნული.

ზოგიერთი ალაპიდან იმასაც ვიგებთ, როგორ ნაწილდებოდა შეწირული ესა თუ ის თანხა. ამ მხრივ საინტერესოა ალაპი, განწესებული თამაზ – ყოფილი თადეოზის სასულიეროდ თამაზის ძმის ვარაზ სურხანის შვილის მიერ. ამ უკანასკნელის მიერ გაგზავნილი თანხა წმ. ჯვრის მონასტერში მიიტანა და დაანაწილა კიდევ ფილიპე შაქარაშვილმა 1567 წელს. „მოგუბარა ჩუენ, ჯუარის მამასა და ერთობილთა ძმათა და დათად, ასი ნაღდი ფლური, და გოლგოთას კანდელი დაუკიდეთ. ასრე, რომე უკუნისამდე დაუვსებლად ენთებოდეს და არავინ მოუშალოს; ოცდათურამეტ ფლურად წინდი დაიკვნა: სამი ბარძიმი, ერთი ფეშხუმი და ერთი თასი. ეს დაიკვნა თამაზის სულისათვის. ამას გარეთ სამი ფლური მატიაზეში ჩასაწერელად მოგუცა. ორი ფლური კატამონს მოაკმარად. ორი ფლური ჯუარის მამას საწირავად. ოთხთ მწირველთ – თითო ფლური. სხუა ყოვლათ სამლოცველო დათა და ძმათა ქართველთათვის თვხად სამლოცველო თეთრი მოგუცა. სამი ალაპი ქნად, სამი ფლური შილას საორმოცოდ, ორი ფლური – ეპიფანეს საწირავად. თითო ფლური იზრუსალიმს ჩუენს მონასტრებს მისცა ... ერთი ფლური კანდლის სანთებლად შილას მისცად. ოთხი ფლურის სანთელ-საკმეველი გოლგოთას მოაკმარა სიღამდის შიგ იყო. და ორი ფრურისა (!) და ნახევარის ზეთი კიდევ გოლგოთას შეიტანა, რომ მოვიდა მაშინ...“¹.

როგორც ალაპის დასაწყისიდან ჩანს, შემწირავმა ჯვარის-მამას და კრებულს საკმაოდ დიდი თანხა (100 ფლური) მი-აბარა, რომელიც უშუალოდ მონასტერს უნდა მოხმარებოდა. ასეთი მიზნით გათვალისწინებული თანხები ინახებოდა „ხაზინაში“, რომელიც ნახსენებია XVI ს. პირველი მეოთხედის ერთ ალაპში. სფირიდონისა და მისი მეუღლის სულის მოსახსენებლად, წერს ალაპის შემდგენელი, „ასი ფლური ხაზინაშიგან ჩაგვც“ – ე. ი. 100 ფლური ხაზინაში ჩაგვიდესო².

ალაპები უადრესად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს შეწირული თანხის დახარჯვის ვითარების გასარკვევად, რაც მონასტრის საკმაოდ რთული ისტორიის აღდგენაში გვეხმარება.

¹ მეტრეველი ე., მასალები, 89, №112.

² მეტრეველი ე., მასალები, 84, №58.

აღაპებში¹ ლაკონიურად, ორიოდ სიტყვით, გადმოცემულია იერუსალიმში ან, საერთოდ, პალესტინაში შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო ვითარებით გამოწვეული მონასტრის და მის ბინადართა მდგომარეობა.

აღაპებში საუკუნეების მანძილზე მეორდებოდა სულისშემძვრელი ფრაზა, რომელიც ერთსა და იმავე დროს გამოხატავდა მონასტრისა და მისი კრებულის ტრაგიკულ ბედს და მადლიერებას იმათ მიმართ, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა გაჭირვებაში მყოფთ. აი, როგორ უღერდა აღაპების ეს ერთი ფრაზა: „*შემოსწირა მონასტერსა... დიდსა დაჭირებასა შინა*“, „... *დიდი დაჭირების ქამსა მოგუეხმარა...*“, „*წაავო ... დიდსა დაჭირებასა ჩუენსა შინა მყოფთათვის*“, „*მოგუცა ... დაჭირებასა შინა ...*“ და ა.შ.

ჯვრის მონასტრის ბერების გაჭირვებაზე აღნიშნავდა ფელიქს ფაბრი 1483 წელს. მან საკუთარი თვალით იხილა სენაკებში მცხოვრები ბერების მდგომარეობა². ფაბრის ნათქვამს ადასტურებს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის აღაპის დამწერი: „დიდს დაჭირებაშიგან ვიყვენით და დიდი საქონელი მოგუივიდა და მისთვის გაუჩინეთ“ აღაპი ზაზასო³.

აი, ასე უძლებდნენ და ინარჩუნებდნენ მონასტერსა და სხვა ქართულ სიწმინდეებს სამშობლოდან შორს მოღვაწე ქართველი ბერმონაზვნები, ვიდრე მათ ამისი თუნდაც უმცირესი შესაძლებლობა ჰქონდათ.

მონასტერს სწირავდნენ ყოველდღიურად სახმარ **სარიტუალო ჭურჭელს** და სხვადასხვა ნივთებს.

სწირავდნენ **პირუტყვს**, უმთავრესად მუშა პირუტყვს: ხარს, ჯორს, ვირს.

ცნობილია ჯვრის მონასტრისათვის **ყმების** შეწირვის რამდენიმე მაგალითი. ყველაზე ადრინდელია ლეგენდა ჯვრის მონასტრისა და მისი მამულების მოვლა-პატრონობისათვის საქართველოდან ვახტანგ გორგასალის მიერ ადამიანების გაგზავნის შესახებ, რომლებიც შემდგომი პერიოდის მალჭელების წინაპრები ყოფილან⁴. მალჭის და, საერთოდ, იერუსალიმის

¹ მეტრეველი ე., მასალები, №№16, 19, 62, 112, 114, 117, 118, 145, 183, 206, 266, 287, 305.

² Fabri F. The wanderling of Felix Fabri, v. IX. 1-2. Jerusalem journey Pilgrimage to the holy land in the fifteenth century, H.F.M. Prescott, L., 1954, 150.

³ მეტრეველი ე., მასალები, 90, 118.

⁴ მამისთვალისშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 138-140.

ქართული დასახლებანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით საქართველოდან გადასახლებულთაგან ყალიბდებოდა. ერთი ასეთი გადასახლების შესახებ გვამცნობს ზ. ჭიჭინაძე, წყაროზე მიუთითებლად, რომ XVI საუკუნეში ლევან კახთა მეფეს იერუსალიმის ეკლესია-მონასტრებისათვის 80 კომლი ქართველი ებრაელი შეუწირავს. ისინი იერუსალიმში დასახლებულან და თავიანთი მოვალეობა პირნათლად უსრულებიათ¹. XV ს. პირველ ნახევარში კარის ერთ-ერთმა დიდმოხელემ წმ. ჯვრის მონასტერს შესწირა 15 კომლი², მაგრამ ძნელია იმის თქმა, შეწირულნი საქართველოში, თავიანთ ძველ სამოსახლოში დარჩნენ თუ იერუსალიმს გაგზავნეს. ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ახალ ქართლის ცხოვრებაში შემონახული ერთი ცნობა გორელ ვაჭარ დიაკონის შვილზე: „ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელსა ეწოდა დიაკუნის შვილი. და ამან იპოვნა ძუალნი სვიმონ მეფისანი, და წარმოიღო იგი და მოართუა გიორგის და დედოფალსა ნესტანდარეჯანს... ხოლო რომელმანცა მოიღო ძუალნი მისნი იგი დიაკუნის შვილი, ყოვლითურთ სახლეულით მისით გაააზატეს, და შესწირეს პატიოსანსა და ცხოველს-მყოფელსა ჯუარის მონასტერსა საღვინებლად და საოხრად მეფისა სვიმონისა. და არიან აწცა გორს დიაკონის შვილები ყმანი ჯუარის მონასტრისანი“³. როგორც ჩანს, შეწირული ყმა გორში დარჩა და იგი აქ იხდიდა თავის მოვალეობას. ამიტომ ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიაკონის შვილები ახლაც აქ, გორში ცხოვრობენო. ქართლის ცხოვრების მოყვანილი ცნობის ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ გვიანფოდალური პერიოდის გორში მრავლად ცხოვრობდნენ მეფის, სადედოფლო, საბატონიშვილო და სხვა კატეგორიის ყმები⁴, აგრეთვე სხვადასხვა ეკლესიის ყმები, მათ შორის, ჯვრის მონასტრისაც. 1639 წ. როსტომ მეფემ იერუსალიმის ეკლესიას შესწირა „ვაჭარი დონდორას შვილის ფაბუას შვილები დონდორა და ფეროზა“⁵. გორში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ყმები იყვნენ: დიაკონის შვილები ფარსადან,

¹ ჭიჭინაძე ზ., ქართველი ისრაელინი საქართველოში, თბილისი, 1904, 30; მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა), თბილისი, 1996, 86.

² მეტრეველი ე., მასალები, 104, №277.

³ ქართლის ცხოვრება, II, 537.

⁴ მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, 183-190.

⁵ მამისთვალიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, 183-190.

შერმაზანა და ფირბუდახა, ფარსადანის ყმა ლელუკაშვილი ოთია, დონდორაშვილი ფარსადანა და მისი ყმები – ბასილა, დონდორა და ჯიბურიშვილი, სულ 6 კომლი¹. ასევე, ადგილზე უნდა დარჩენილიყო სოფ. კოცხარის გლეხების 100 კომლი, რომლებიც ლევან დადიანმა წმ. ჯვრის მონასტერს შესწირა. ამის შესახებ ვიგებთ იმავე მონასტრის წარწერიდან. ეჭვს არ იწვევს ვახტანგ ჩინავაძის მიერ შეწირული „ერთი ბიჭი“ (XVII ს. I ნახ.), რომ ადგილობრივ, პალესტინაში იყო შექმნილი².

4. წმ. ჯვრის მონასტრის ქონება საქართველოში

წმ. ჯვრის მონასტერი დიდძალ ქონებას ფლობდა მთელ საქართველოში. „საიერუსალიმო“ და „ჯვარის“ მამულები, ეკლესიები და ყმები გაფანტული იყო ყველა მხარეში.

თბილისში: წმ. ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა: მამის ეკლესია, მიწის ნაკვეთი ვანქის სასაფლაოსთან, ქარვასლა და საცხოვრებელი სახლი.

შიდა ქართლში: სოფელი დირბი და იქ მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც იერუსალიმის არქიმანდრიტის რეზიდენციაც იყო შიდა ქართლში; მიწები ნიქოზში, სოფ. თერგვისი და საღოლაშენი; გორში, სოფ. ნიქოზსა და ატენში ყმა-მამული; ნასოფლარები ჭვარებში: ჭანჭახი, პიტნარა, ღნიორთაგვა და საჯოგუას ქედი.

კახეთის სამეფოში: სოფ. აღდგომა და მისი იერუსალიმის მეტოქი აღდგომის ეკლესია; კისისხევში ყმა-მამული და ყოვლავშინდის ეკლესია; გრემში ან გრემის ახლოს – გუგუნაურსა და ტბაში ყმა-მამული³.

იმერეთის სამეფოში: ყმა-მამული საზანოში, მღვიმევის მაცხოვარი, ეკლესია ფარცხაყანევში, ღოდორაში, შუქრუთში, წირქვალში, წინსოფელში, თაბაგრებში და ზოდში; მღვიმევის მონასტრის ნათლისმცემლის ეკლესია მეტოქად გოლგოთის და მონასტრისათვის.

გურიის სამთავროში: სოფლები ჩაიხედენა და ბაილეთი. ყმა-მამულები სოფლებში: კონჭკათი, მამათი, ჩოჩხათი,

¹ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, 264.

² მეტრეველი ე., მასალები, 83, №51.

³ ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 50-52.

ჩაქვისთავი, აცანა, გურიანთა, ნაცხავატევი. მეტოქი იყო ჩაიხედენას ღვთისმშობლის ეკლესია.

სამეგრელოს სამთავროში. სოფ. კორცხელი მისი ღვთისმშობლის ეკლესიით და სოფ. ხანწკუ¹.

ჯვრის მონასტრის მამულებში მოწეული მოსავლის რეალიზაცია ადგილზევე ხდებოდა და ფული იერუსალიმს იგზავნებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „*ყოველსა საქართველოსა შინა არს მამული მისი (წმ. ჯვრის მონასტრის – ე.მ.) და პფლობს ესე, და მოსავალს გზავნის ვერცხლად იერუსალიმს*“².

1347 წელს იერუსალიმში ჯვრის მონასტრის ბერებს მუსლიმანი მოგზაურისთვის უთქვამთ, რომ მათ სამშობლოში ჰქონდათ სამონასტრო ქონება, მათ შორის ცხენების რემა, რომლის ნამატის ფასს ყოველწლიურად იღებდნენ დიდძალ თანხას. ეს თანხა იხარჯებოდა მონასტერზე და საქართველოდან მოსულ მოგზაურებზე³. მოყვანილ ცნობას ის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ საქართველოში ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა, მიუხედავად წერილობითი წყაროების უქონლობისა, მისი აღდგენიდან (XI ს.) მაინც ვივარაუდოთ. მონასტერი ხომ, მიუხედავად იმისა, თუ სად და როდის იყო, მამულის გარეშე ვერ იარსებებდა. მხოლოდ ის მამულები, რომლებიც წმ. ჯვრის მონასტერს იერუსალიმსა და მის მიდამოებში ჰქონდა, ვერ დააკმაყოფილებდა მრავალრიცხოვან სამშოს, მონასტრის მიმდინარე მოთხოვნილებებს და საქართველოდან მოსულ მრავალრიცხოვან მომლოცველებს.

ჯვრის მონასტრის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ისიც ახდენდა გავლენას, რომ, ზოგჯერ თანხებს არარაციონალურად მოიხმარდნენ. საინტერესოა გრიგოლ ფანასკერტელის ალაპი (XIII ს. მეორე ნახევარი), რომ 24 დეკემბერს (ალაპის დაწერის დღე) „*ამასვე დღეს შუდი ათასი თეთრი გავიყავით იმრუსალემს მყოფთა ქრისტიანეთა ქართველთა. მივეცი პატრიარქსა და მისთა მონასტერთა ორი ათასი თეთრი ამასვე დღეს*“⁴.

¹ ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, 60-63.

² ქართლის ცხოვრება. IV, 374.

³ ჯაფარიძე გ., XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შესახებ, „*მაცნე*“, *ენისა და ლიტერატურის სერია*, 1985, №3, 183.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 90, №123.

როგორც ალაპიდან ვიგებთ, საკმაოდ დიდი თანხა მონასტერს კი არ მოხმარდა, არამედ მისი ერთი ნაწილი იერუსალიმში მცხოვრებ ქართველებს დაურიგდათ, ხოლო მეორე კი ბერძენთა პატრიარქსა და მათსავე მონასტრებს. ძნელია იმის გარკვევა, გრიგოლის სურვილით მოხდა აღნიშნული თანხის ამგვარად განაწილება თუ მონასტრის ძმობის გადაწყვეტილებით. ამის გარკვევა მით უფრო საინტერესოა, რომ აღნიშნულ პერიოდში იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების, კერძოდ, ჯვრის მონასტრის ბერძენთა საპატრიარქოსადმი დამოკიდებულების რაიმე საბუთი არ გაგვაჩნია.

საინტერესოა, აგრეთვე, დანიელ წინამძღვრისათვის დაწერილი ალაპი (XV ს.), რომელშიც ნათქვამია, რომ დანიელს თავის საალაპედ 200 მუტყალი ოქრო გაუგზავნია. გაუგზავნია, აგრეთვე, 60 მუტყალი ოქრო დედაბერთათვის (ალბათ, დედათა მონასტრისათვის) ვენახის შესაძენად, ხოლო მღვდლებისათვის კი 10 სომი. როგორც ალაპის დამწერი გვამცნობს, „დედაბერთა ვენაჳი აღარ იყიდეს და (ოქრო – ე.მ.) გაუყავით. ათი სომი მღვდელთათვის გამოევ ზავნა... არ მოგვცემია, შეუნდვენ ღმერთ-მან“¹.

იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის მიერ 1681 წლის 8 სექტემბერს გურიის სამთავროში უნდა იყოს დაწერილი სიგელი „მთაწმინდის მამულების მოვლის თაობაზე“, რომელშიც პატრიარქი წუხს იერუსალიმის წმ. საფლავის და ჯვრის მონასტრის მამულებისადმი უდიერი მოპყრობის გამო². სავარაუდოა, პატრიარქის უკმაყოფილება გამოიწვია დასავლეთ საქართველოში ან, კონკრეტულად, გურიის სამთავროში დასახელებული წმინდა ადგილების მამულების მდგომარეობამ: „მერმე ეს მოგახსენოთ, – წერს დოსითეოსი, – წმიდისა ალაგს ბევრს ალაგს აქეს მამულები, მაგრამ არავინ ერჩის, ვისაც სული უყვარს და ან ღმერთი სწამს, უნდა შეუმატოს წმიდის ალაგის მამულსა და თქვენ აოხრებთ“³.

სხვადასხვა მიზეზთა გამო, საქართველოდან დახმარებას მოკლებული, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადასახადებით დამძიმებული ქართველი სამღვდელთა, მდგომარეობის გამოსწორების იმედით, იღებდა სესხებს არა მხოლოდ პირადი

¹ მეტრეველი ე., მასალები, 90, №115.

² ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 582, №143.

³ ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 582, №143.

მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, არამედ ნაგებობათა მოვლა-შეკეთებისთვისაც. რაც დრო გადიოდა, ვალები იზრდებოდა. დაგირავებული საეკლესიო ინვენტარი, მამულები, წისქვილები თუ სხვა რამ კრედიტორთა ხელში გადადიოდა. ბოლოს ასეთივე ბედი ეწია თვით ეკლესია-მონასტრებსაც.

წმ. ჯვრის მონასტერი ძველად და ახლად

1. წმ. ჯვრის მონასტერი პილიგრიმთა და მკვლევართა აღწერილობებში

წმ. ჯვრის მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის გალავნის გარეთ, დასავლეთით, ზეთისხილის ღამაზ ჭაღაში. სამონასტრო კომპლექსის გარეგნობა განაპირობა მისმა მდებარეობამ. იგი ციხესიმაგრეს დაემსგავსა. გარსშემოვლებული აქვს მაღალი, ვიწროფანჯრებიანი კედლები, რომლის ზემოთაც მოჩანს ეკლესიის ცენტრალური გუმბათი და სამრეკლო.

პეტრე იბერის მიერ აგებული მონასტერი მცირე და კეთილმოუწყობელი უნდა ყოფილიყო. პეტრეს გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ იგი საფუძვლიანად გადააკეთეს. *ააშენეს სამრეკლო, ეკლესია და ეკლესიაში – სამლოცველო. მონასტერს შემოავლეს გალავანი, მოაწყეს სენაკები, სვეტებიანი დარბაზი, სტოვა, ეზო შემოღობეს ქვითკირის კედლით, ამოიღეს ჭა, გააშენეს ბაღები¹.*

როდესაც ვეცნობით პეტრე იბერის „ცხოვრების“ ანონიმი ავტორის მიერ აღწერილ რეკონსტრუირებულ წმ. ჯვრის მონასტერს, ბევრ საერთოს ვხედავთ დღევანდელ ნაგებობასთან. ნიშანდობლივია, აგრეთვე, საკურთხევის ქვემოთ სამარხების არსებობა, რომელიც ბერძენ არქეოლოგს უნახავს გასული საუკუნის 70-იან წლებში (იხ. ზემოთ, გვ. 92). შეიძლება ითქვას, რომ XI საუკუნეში წმ. ჯვრის მონასტერი აღადგინეს მეხუთე საუკუნის გეგმის მიხედვით.

ვარაუდობენ, რომ ჯვრის მონასტრის უძველესი (VI–VII სს.) აღწერილობაა დაცული 1662 წლის სერბულ ხელნაწერში. ხელნაწერმა საუკუნეების განმავლობაში სერიოზული ცვლილება განიცადა, მაგრამ ის მაინც ფრიად საინტერესოა: *„და გაივლი იერუსალიმიდან დასავლეთისაკენ ორ მილს, იქ არის პატიოსანი წმ. ჯვრის მონასტერი და ის მონასტერი იბერულია, მათი ვინც გურჯებად იწოდებიან. იქ არის ეკლესია, ფრიად ღამაზი გუმბათით. და არის მარმარილოს იატაკი – საუცხოოდ მოხატული მოზაიკით და წმინდა საკურთხევის შივნით, წმინდა მაგიდის ქვეშ არის ადგილი, სადაც მოკვეთილ (მოჭრილ) იქნა პატიოსანი ხე. და ადრეულ ხანაში ამ ხისგან დაამზადეს ჯვარი პატიოსანი, რომელზეც ჯვარს აცვეს უფალი (ღმერთი და მხსნელი ჩვენი) იესო ქრისტე. აქ ანთია სამი*

¹ ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია, 202.

კანდელი. მათ ზემოთ კიდევ შვიდი კანდელი. ამ ეკლესიის სივრძე 86 ნაბიჯს შეადგენს, და არის აქ წმინდა მთავარანგელოზის ერთი ხატი... პატიოსანი ხის (ჯვარის) ერთი ნაწილი. (ეს) ხატი მოიპოვება წმინდა ჯვარის... ერთ-ერთ განყოფილებაში (საპარაკლისოში)¹.

ძლიერ საეჭვოა, რომ მოყვანილი ცნობა VI–VII საუკუნეებს განეკუთვნებოდეს. ამაზე მიგვითითებს აღწერილობაში ჩართული ლეგენდა წმ. ჯვარის ხის შესახებ, რაც იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. სავარაუდოა, რომ იგი დაიწერა მონასტრის აღდგენის შემდეგ, XI–XII საუკუნეებში.

წმ. ჯვრის მონასტერი დაზიანდა ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებისას. 1102–1103 წლებში ანგლოსაქსმა მოგზაურმა ზეგულფმა გაძარცვული და ნაწილობრივ დანგრეული წმ. ჯვრის მონასტერი იხილა². მაგრამ მონასტერი სულ მალე (1103–1105 წწ.) იქნა აღდგენილი³.

წმ. ჯვრის მონასტერი თავისი არქიტექტურული სტილით მხოლოდ ქრისტიანების ყურადღებას არ იპყრობდა, ის მუსლიმანებსაც აინტერესებდა. XIV ს. არაბი ენციკლოპედისტის, ალ-უმარის თქმით: „წმ. ჯვრის მონასტერი მდებარეობს ქალაქ იერუსალიმის ვარეთ, მის დასავლეთით. ესაა ბიზანტიური (სტილის – ე.მ.) მონასტერი, მტკიცედ ნაგები, ქვიტკირის ძველი შენობა, ღამაზი ადგილმდებარეობისა“⁴.

ქრისტიანული სამყაროსათვის როგორი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და როგორ სახელგანთქმული იყო წმ. ჯვრის მონასტერი, ჩანს XV საუკუნის ერთ-ერთი იტალიელი პილიგრიმის ჩანაწერიდან: „ადგილი, სადაც აღმოცენდა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს უწმინდესი ჯვარის ხე. ამბობენ, რომ ეს ხე კვიპროსისა იყო. ვამბობ, როცა მიემგზავრები ხსენებული ადგილიდან იერუსალიმისაკენ, რაც 5 მილს ძნელად სავალ გზას წარმოადგენს, ქვების, მთებისა და ველების გამო, და როცა უახლოვდები იერუსალიმს დაახლოებით 2 მილზე, გზაზე ხელმარჯვნივ ნახავ ღამაზსა და დიდ მონასტერს, რომელსაც წმ. ჯვარი ეწოდება; და ეს მონასტერი მდებარეობს

¹ დავიდი ი., ნაწერები, I, 312.

² Игумен Даниил, Житие и хождение Даниила, игумена Русской земли, 92; სტევნაძე მ., წინამძღვარი დანიელი – დიპლომატი თუ პილიგრიმი, 226.

³ Игумен Даниил, Житие и хождение Даниила, игумена Русской земли, 150–151; სტევნაძე მ., წინამძღვარი დანიელი – დიპლომატი თუ პილიგრიმი, 224.

⁴ ჯაფარიძე გ., XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შესახებ, 182.

ერთ ტაფობში, გარშემო მაღალი კედელი ერტემის და მას განაგებენ ნესტორიანი ქრისტიანები (?) გარეთ ლამაზი მოედანია, შიგნით ეკლესია კარგადაა მორთული და მოხატული, ზემოდანაც შესანიშნავადაა დაცული. შიგნით სამი განყოფილებაა¹, ექვსი სვეტით. ეკლესიის შუაგულში არის კარნაგანებული კედელი, რომელზეც დახატულია აბრაამი, როცა ხსენებულ ხეს რგავს, საიდანაც უწმინდესი ჯვარის ტოტი აღმოცენდა. საკურთხევლის ქვემოთ მრგვალი ხვრელია, საიდანაც ეს ხე ამოზრდილა, მისგან დაუმზადებიათ ჯვარი ჩვენი უფლის იესუ ქრისტესთვის. იცოდე, რომ უწმინდესი ჯვარი ოთხი სახის ხისგან იყო. პირველი ჩვენი მამა ადამის ვაჟმა სეთმა მოიტანა სამოთხიდან, იგი ხევრონში იზრდებოდა, ადამის საფლავის ქვემოთ და ეს ხე სივრძით წმ. ჯვარის ხელა იყო, მეორე გადამკვეთი იყო უწმინდესი ჯვარის მკლავებით და კვიპაროსისა იყო. იგი აღნიშნულ ეკლესიასთან იზრდებოდა, სადაც ნახეს ხსენებული ხე; მესამე კედარისა იყო და ლიბანის მთაზე იზრდებოდა, იგი ჩვენს უფალს იესუ ქრისტეს ფერხთით დაუდეს. მეოთხეზე იყო წარწერილი წმ. ჯვარის ტიტული: *Jesus Nazarenus Rex Judeorum* და ა.შ. ეს სიტყვები სამ ენაზე იყო დაწერილი: ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად².

წმ. ჯვარის მონასტერი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა XVII ს. დასაწყისშიც. აი, როგორ აღწერს მას ინგლისელი მოგზაური ჯორჯ სანდისი: „ჩვენ მივადექით ორ კლდოვან მთას შორის მდებარე მონასტერს, რომელიც გარშემორტყმული იყო მაღალი კედლებით, შვევდით რკინის კარით, აქ იყო ქართველთა ეპისკოპოსის რეზიდენცია, მან კარგად მიგვიღო... ამას უწოდებენ წმ. ჯვარის მონასტერს, აქ ზარების ნაცვლად ფულუროვანი მორით რეკენ (როგორც ბერძნები იქცევიან გოლგოთას ტაძარში თავის საკრებულოს შესაკრებად)“³.

მახლობელ პერიოდში წმ. ჯვარის მონასტერი, მიუხედავად იმისა, რომ არაბების თავდასხმებით დიდი ზარალი განუცდია, მაინც ვრცელი, ლამაზი და მოხერხებული ყოფილა⁴.

¹ უნდა აღნიშნავდეს ბაზილიკის განყოფილებებს – ნავებს. წმ. ჯვარის მონასტერი ხომ სამნავიანია.

² Viazio da Venezia al santo Jherusalem (1480-1500), Roma, 1972; დაიდი ი., ნაწერები, I, 296-297.

³ Sandys G. Travails, containing a History of the Turkish empire etc., a Description of the Holy Land of Jerusalem etc., London, 1615

⁴ Historica, theologica et moralis terrae sancte elucidatio, I, 1880, 12.

ზემოთ მოყვანილი ავტორების ცნობებთან შედარებით, რამდენადმე პროფესიულ და თითქმის ამომწურავ დახასიათებას ჯვრის მონასტრისას ვეცნობით ფრანგი ვიქტორ გერინის 1868 წელს პარიზში გამოცემულ „პალესტინის აღწერილობაში“: „მონასტერს ნაკლებად სწორი ოთხკუთხედის ფორმა აქვს, რომლის ზემოთაც აღმართულია ეკლესიის ცენტრალური გუმბათი. მისი შესწავლა ფრიად საინტერესოა, როგორც მისი სიძველის თვალსაზრისით, ასევე იმ ფრესკული ნახატებისაც, რომლითაც დაფარულია მისი კედლები, იმ მოზაიკისაც, რომელიც მის იატაკს ამშვენებს. მართალია, ტაძარს საკმაოდ თანამედროვე გარეთა განყოფილება თუ ვესტიბული აქვს, საკუთრივ იგი თავისი ძირითადი კონსტრუქციის ასპექტით, ბიზანტიურ ეპოქას განეკუთვნება. მიმართულია რა, როგორც ყველა ბერძნული ეკლესია, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ეს მონასტერი სამ ნეფად (ნავად – ე. მ.) იყოფა. გუმბათი ოთხ დიდ სვეტს ეყრდნობა, მასში ჩატანებულია პატარა ფანჯრები, რომელთა საშუალებითაც ჩადის სინათლე ეკლესიის შიგნით. თაღები და კარნიზები ისრისებრი ფორმისაა. იქნებ ეს მიუთითებს ჯვაროსნების დროს ჩატარებულ რესტავრაციაზე, ან იქნებ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მშენებლობის მსგავსი სტილი პალესტინაში ჯვაროსნების მოსვლამდეც არსებობდა? ... კედლები მოხატულია ვეებერთელა სურათებით, რომლებიც თავისი სიდიდით (სიმკაცრით) ძლიერ საინტერესოა. ისინი წარმოგვიდგენენ რელიგიურ პირთა დიდ რიცხვს“⁴.

სხვადასხვა დროის მოგზაურთა და მკვლევართა წერილობითი ჩანახატებიდან, განსაკუთრებით საქმიანი და დაწვრილებითი ა. ცაგარელის მიერ დატოვებული აღწერილობაა 1883 წლისა. მისი ყურადღებაც, უპირველეს ყოვლისა, მაღალმა და მტკიცე გალავანმა მიიპყრო. კედლის შიგნით რამდენიმე სართულიან სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაში განთავსებული იყო სასულიერო სემინარია. წმ. ჯვარის ტაძარი, აგებული ბიზანტიურ სტილში, დაბალი გუმბათითა და პატარა სარკმლებით, იყოფოდა სამ ნეფად სამი წყვილი ოთხკუთხა სვეტებით, აბსიდის სვეტების ჩათვლით. მონასტერს ჰქონდა სამი აბსიდი. დარბაზის სიგრძე 23,5 არშინს, ხოლო საკურთხევლის სიგრძე 11,5 არშინს შეადგენდა. საკურთხევლის წინ, დიდი ნეფის მოზაიკის იატაკი შემკული იყო ყვავილების,

⁴ Guerin V. Description de la Palestine, Judée, I, Paris, 1868, 78; დავიდი ი., ნაწერები, I, 316-317.

ფრინველების (ფარშავანგები), თევზების და სხვადასხვა ფერის გამოსახულებებით. ზოგიერთი მონაკვეთი მოპირკეთებული იყო სხვადასხვა ფერის (თეთრი, მოყვითალო, მოწითალო, შავი და ქაშანურის) ინკუსტრირებული მარმარილოს ფილებით. უკვე გახუნებული მოზაიკის იატაკის ზოგიერთი გაფუჭებული ადგილი მოგვიანებით მარმარილოს ან უბრალო ქვის ფილებით დაუფარავთ. ა. ცაგარელის ვარაუდით, მოზაიკა გაკეთებული უნდა ყოფილიყო ტაძრის აგებისთანავე, XI ს. პირველ ნახევარში. მისივე აზრით, ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა 1643 წელს მარმარილოს ფილებით მოაპირკეთა მხოლოდ საკურთხეველი და ჯვარის ხის აღმოცენების ადგილი. მანვე მოხატა მთელი ტაძარი 1643-1649 წლებში, რომელიც მანამდეც მოხატული იყო. ძველად მოზაიკური ნახატები ყოფილა არა მხოლოდ იატაკზე, არამედ კედლებზეც. მოხატულობა საგრძნობლად დაზიანებულია გუმბათში და გვერდით კედლებზე, ნეფებს შორის სვეტებზე კი შედარებით კარგად შენახულა¹.

ჯვრის მონასტრის გარეგან სილამაზეს და სიმტკიცეს აღნიშნავდა პ. კონჭოშვილიც: „*მონასტერს გარშემო ავლია ოთხ-კუთხიანი მკვიდრი ქვიტკირის გალაგანი დასაცავად და უშიშარსაყოფლად მონოზანთა თავს დასხმისაგან მტერთა და ავაზაკთასა. მონასტრის ეკლესია მშვენიერის გუმბათით არის განათებული ზვეიდან. იატაკი მოფენილია მოზაიკითა ანუ ფერადის მარმარილოთი...*“²

მონასტრის ეზოში, ტაძრის დასავლეთით, აღმართულია XIX ს. შუა ხანებში აგებული საკმაოდ ლამაზი სამრეკლო. საინტერესოა, რომ 1507 წელს პილიგრიმ ფრიდრიხს იერუსალიმში, მხოლოდ წმ. ჯვრის მონასტერში უნახავს ლითონის ზარები³. XVII ს. დასაწყისში კი, როგორც ჯორჯ სანდისი

¹ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, 102-103.

² კონჭოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე, 78.

³ Pilgerfahrt des Herzogs Friedrich II von Liegnitz und Brieg nach dem hl. lande und Descriptio Templi Domini von Philipus de Aversa. - ZDPV, I, Leipzig, 1878; სტეფნაძე მ., ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმის წმინდა მიწაზე VII-XVII საუკუნეთა საერთაშორისო აქტების მიხედვით. *ქართული დიპლომატია, წელიწადეული*, 5, თბ., 1998, 54.

გადმოგვცემს, ზარის მაგიერ იყენებდნენ გამოფულრულ მორს. ასეთივე მორი ჰქონდათ ბერძნებს გოლგოთის ტაძარში¹.

წმ. ჯვრის მონასტერს, მსგავსად ღაზთა მონასტრისა (და, ალბათ, იბერთა მონასტრისაც), ჰქონდა სამარხების ორი სახეობა: „ღია“ და „დახურული“. „ღია“ იქვე, მონასტრის გარეთ, დასავლეთ ფერდობზე იყო, იქ, სადაც, ალბათ, მხოლოდ ბერმონაზვნები იკრძალებოდნენ. სასაფლაოები ექნებოდა იერუსალიმის სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებსაც. აქვე უნდა ითქვას, რომ იერუსალიმელ არასასულიერო ქართველებს, რომლებიც ოდესღაც მრავლად ცხოვრობდნენ წმინდა ქალაქში, ცალკე სასაფლაო ჰქონდათ. ამის შესახებ ვიგებთ XVI ს. 90-იანი წლების ერთი ცნობიდან. ქართველთა სასაფლაო მდებარეობდა ქალაქის გარეთ, დამასკოს კარიბჭესთან, აგრიპას ველზე².

„დახურული“ სასაფლაო მოთავსებული იყო ტაძრის შენობის ქვეშ, იქ, სადაც პეტრე იბერის, თამარ მეფის და შოთა რუსთაველის საფლავებსაც ვარაუდობენ.

მონასტრის გალავნის უზარმაზარ კვებში ჩასმულია დაბალი რკინის კარი, რომელიც შიგნიდან რკინის ურდულით იკეტება. ადრე მონასტერს სამი კარიბჭე ჰქონია: ორი რკინისა და ერთი ხისა³. მოღწეული ერთი ცნობის მიხედვით, XVII ს. დასაწყისში მონასტრის შესასვლელთან მოწყობილი იყო „ძალიან ღამაზი შადრევანი“⁴. გალავნის კარსა და შიდა პატარა ეზოს შორის არის კორიდორი, რომელშიც მარცხნივ არის მარნისმაგვარი სარდაფი საჭირო ინვენტარით⁵. ეზოში, მარჯვნივ, ჩანს ეკლესიის კარები, მის ზევით, მარცხნივ, კედელზე ქართული წარწერაა. ამ კარით შედიან ტაძრის დახურულ შესასვლელში – ნართექსში ანუ სტოაში, აქედან კი მეორე რკინის კარით – ტაძრის დარბაზში.

¹ Sandys G. Travailes, containing a History of the Turkish empire etc., a Description of the Holy Land of Jerusalem etc., London, 1615; გიუნაშვილი ჯ., აბუ ბაქრ იბნ ალ-ზაჰი ყუნავი, „მწერალთა ბაღნარი“, ტექსტი დაადგინა და კომენტარები დაურთო მ. იუნესიმ, თავრიზი, 1970, „მაცნე“ (იანვარი), №2, 1975, 306

² ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 60.


³ Странствования В. Григоровича-Барского по святым местам Востока с 1723 по 1747 г., Санкт-Петербург, 1800, 201.

⁴ ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 124.

⁵ დავიდი ი., ნაწერები, I, 321.

* * *

ცნობილია ტაძრის ორი გეგმა – ე. პიეროტისა და ვილსონის. ორივე შედგენილია ერთსა და იმავე დროს, 1864–1865 წლებში. პიეროტის გეგმას ახლავს ტაძრის სიგრძივი ჭრილიც. ვფიქრობ, უფრო სრულყოფილია ვილსონის გეგმა და ამიტომაც ის გამოვიყენე, როგორც ორიენტირი ფრესკებისა და წარწერების ადგილმდებარეობის დასადგენად.



მთავარი ტაძარი სამნავიანი, გუმბათიანი ბაზილიკაა (ინტერიერის ზომები – 15,50×14,24 მ.) წაგრძელებული კვადრატული ფორმისა, ცენტრში აღმართულია რვასარკმლიანი გუმბათი. გეგმას საფუძვლად უდევს ტოლმკლავებიანი ჯვარი, რომლის აღმოსავლეთი მკლავი დასრულებულია აბსიდით. ეკლესია ერთაბსიდიანია. აბსიდი ნახევარწრიულია, გადახურულია კონქით და აქვს სამი სარკმელი: შუაში მაღალი, აქეთიქით დაბლები. სვეტების ორი წყვილი დარბაზს ჰყოფს სამ არათანაბარ ნეფად. ტაძრის თაღებს ისრის ფორმა აქვს (ფრანგ ე. გერინს თაღების ისრისებური ფორმა ჯვაროსნებისდროინდელ სიახლედ რომ მიაჩნდა, საქართველოში, მაგალითად, XI ს. პირველ მეოთხედში აგებულ ალავერდის ტაძარში უკვე იყო. უფრო მეტიც, თვით წმ. ჯვრის მონასტერი ხომ ჯვაროსნების პალესტინაში მისვლამდე კარგა ხნით ადრე აიგო).

აბსიდში მოთავსებული საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია კანკელით (ლეგენდის მიხედვით, საკურთხეველის ადგილას დამარხულია ადამი). კანკელის პირდაპირ, მარჯვენა სვეტზე მიდგმულია პატრიარქის სკამი. კანკელით გამოყოფილ აბსიდში არის საკურთხეველი და მგალობელთა ადგილი. საკურთხეველის მარჯვენა და მარცხენა კედლებით გამოყოფილია სადიაკვნო და სამკვეთლო. ორივე სათავსოს ნახევარწრიული გადახურვა და აბსიდები აქვს. სადიაკვნო საკურთხეველს უკავშირდება კარით.

მარცხენა პირველ სვეტზე მიდგმული იყო კათედრა, რომელზე ასვლა კიბით შეიძლებოდა. პ. კონჭოშვილის დროს (1899 წ.) იგი სრულიად ახალი გააკეთებული ყოფილა. პ. კონჭოშვილი წერდა: „*მხოლოდ ამ ადგილზედ ახლად ხის კიბე გაუმართავთ კათედრაზედ, ვითარცა ქანდარაზედ, ასასვლელად, სახარების წასაკითხავად, ვითარცა არს მიღებული ეს წესი ბერძენთა ეკლესიაში მე-15 საუკუნიდამ; და ამ კიბეს, ჯერად შეუღებავს, დაუფარავს შუაზედ ქართული წარწერა*“¹. დღეისათვის კათედრა და კიბე აღარ არსებობს.

ეკლესიას სამხრეთიდან დასავლეთით, აბსიდის გარე საწყის კუთხემდე, აქვს ვიწრო მინაშენი ოთხი განყოფილებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია და ისინი უფრო კორიდორის შთაბეჭდილებას ქმნის, ვიდრე სენაკებისას. ბოლო ორ სენაკში დღეს ჯვარის ხის სამლოცველოა. სულ ბოლო სენაკში არის მარმარილოთი მოპირკეთებული ადგილი, სადაც, გადმოცემის მიხედვით, დარგული იყო ხე, რომლისგანაც დამზადდა წმინდა ჯვარი. ტ. ტობლერის თქმით, ჯვარის ხის აღმოცენების ადგილი XIX ს. 30-იან წლებში მარმარილოთი მოუპირკეთებიათ, რაც სწორი არ უნდა იყოს. ეს ადგილი დიდი ხნის წინათ მარმარილოში იყო ჩასმული. ამას აღნიშნავდა ჯერ კიდევ XII ს. დასაწყისში იღუმენი დანიელი. XIX ს. 30-იან წლებში იგი, ალბათ, შეაკეთეს.

გუმბათის ვერტიკალურად და ჩრდილო მკლავში შემორჩენილია მოზაიკის იატაკის ფრაგმენტები. XIX ს. 60-იან წლებში ვ. გერინი განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ ყველა მოგზაური მოხიბლული იყო ჯვრის მონასტრის ტაძრის მოზაიკიანი იატაკით, რომლის ხილვით თვითონაც ფრიად კმაყოფილი დარჩა².

აღიარებულია, რომ იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი ბიზანტიურ არქიტექტურას მიეკუთვნება³. ამერ ოვადიამ პალესტინაში მოძებნა ის მონასტერი, რომლის გეგმა მსგავსია ჯვრის მონასტრის გეგმისა. ეს არის წმ. ეფიმიას და წმ. მოწამის მონასტრების ნანგრევები, რომლებიც ითვლება ბიზანტი-

¹ კონჭოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, 81.

² Guerin V. Description de la Palestine, Judée, 78.

³ Guerin V. Description de la Palestine, Judée, 78; Архидиакон Леонид. Иерусалим, Палестина, Афин. Чтения Московского общества истории и древности за 1871 г. Кн. I, отд. II, 264; გაუხნიშვილი ს., გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი და მისი პორტრეტი. უკრნ. „დროშა“, 1958, №5, 108.

ური პერიოდის განსაკუთრებული მნიშვნელობის და საინტერესო არქეოლოგიურ ძეგლებად¹. მაგრამ დიდია ცდუნება, მოიძებნოს მისი მსგავსი არქიტექტურული სტილის ნაგებობა საქართველოში. შ. ამირანაშვილმა მსგავსება მოუძებნა X–XI საუკუნეთა ბედიის ტაძართან², ი. დავიდმა - სამთავისისა და ვაჩნაძიანთ ყველაწმინდის ეკლესიასთან³.

2. ზრუნვა მონასტრის აღდგენა-განახლებისათვის

წმ. ჯვრის მონასტერი დროის, უსახსრობის, ბუნების კაპრიზების, ომების ან სხვა მიზეზებით ზიანდებოდა და ინგრეოდა. მოღწეულია რამდენიმე ცნობა XIII–XVII საუკუნეებში მისი დაზიანებული ადგილების შეკეთების და განახლების შესახებ. XIII ს. დასასრულს და XIV ს. დამდეგს აფხაზთა მეფეთ - მეფეს კონსტანტინეს მონასტერი ახლად შეუკაზმავს⁴; XIV ს. დამდეგს დადგინდა „წირვაჲ და აღაპი საუკუნოი დავით მეფეთა მეფისა და მეორედ აღმაშენებლისა წმიდისა მონასტრისა, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუშნული მონასტერი და ეკლესიაჲ მიზვითად შეცვალებული ეკლესიადვე სალოცველოდ შეცვალა და კუალად ავო ნათესავსა ქართველთასა“⁵; XV საუკუნეში ჯვრის მონასტრის ეკლესიის ტრაპეზი იმდენად დაზიანებულა, რომ სერაპიონ კუმურდოელს ხელახლა აუშენებია⁶; XVI საუკუნის დამდეგს თმოგველ-უჯარმელთა ასულმა მამქან, ყოფილმა მარინემ ააშენა გალავნის დაზიანებული ბურჯი⁷; XVII ს. მეორე ნახევარში ბერძნებს ახალი კედლები და სენაკები აუშენებიათ და სახურავიც შეუკეთებიათ⁸.

ჯვრის მონასტრის საფუძვლიან შეკეთებაზე გვამცნობს XVII ს. 40-იან წლებში ერთი ქართული ხელნაწერის ანდერძი:

¹ Ovadiah Asher, Corpus of the Byzantine Churches in the Holy Land, Bonn, 1970, №97, 103. წმ. ეფემიას მონასტრის ნანგრევები (ხან ელ აჰმარ) მდებარეობს მიშორ აღუმიმში, წმ. მოწამისა (ხირბერტ ელ მურსას) კი, მაალ აღუმიმში.

² ამირანაშვილი შ., შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, 65.

³ დავიდი ი., ნაწერები, I, 261.

⁴ მეტრეველი ე., მასალები, 100, №139.

⁵ მეტრეველი ე., მასალები. 106, №295

⁶ მეტრეველი ე., მასალები, 81, №21

⁷ მეტრეველი ე., მასალები, 98, №210

⁸ მეტრეველი ე., მასალები, 185, 187

„მამამან ნიკიფორე კახმან, მანგლელმან თეოდოსე, მღვდელმონაზონმან მარკოზ, დიაკონმა ევსევი და პავლე, იკონომოსმან ილია დავახატვინეთ ჯუარის გუმბათი და კედლები, და სახლები და გალავანი დაქცეული გავაკეთეთ და საკურთხეველი მოეფიქლეთ, ოდეს მოსჭირდებოდა მონასტერსა. – სამცხე თურქთ დაიჭირეს და გაათათრეს. კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს; მას ჟამსა მომხვდა მე ცოდვილსა მამობა. და მიიცვალა ამიერ სოფლით სანატრელი დედოფალი ნესტან-დარეჯან, თანამეცხედრე ხელმწიფისა დადიანის ლეონისა, რომელმაც წარავო მისთვის ყოველივე სავსება: თვალი, ვერცხლი და ოქრო წმიდათა ადგილთა ზედა – სინას, მთაწმიდას, იერუსალიმს; და მე ჯერ ჩინებითა მის ხელმწიფისათა დაიწერა *ქ კს 341 (ე.ი. 1653 წელს)*“: ამ ანდერძის პირველად გამოქვეყნებული ე. მეტრეველი ფიქრობს, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს თეოდოსე მანგლელის მიერ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის სახელით¹. თ. ვირსალაძეს კი მიაჩნია, რომ ანდერძი ნიკიფორემ დაწერა, შეცდომაა ქორონიკონში, უნდა იყოს 1643 წელი².

ჯვრის მონასტრის სხვა ხელნაწერის მინაწერში კვლავ მხოლოდ ნიკიფორეს დამსახურებაზეა ნათქვამი. დიაკონი გრიგოლი წერს: „მას ჟამს მეუფე, ჩემი ბატონი, მამაი ნიკიფორე იერუსალიმით საქართველოში წავიდა, ამან უფალმან ჩემმან დაახატვინა წმ. ესე ჯვარი და გუმბათიც ახლა გააკეთა, დახეთქილი იყო, და წმ. საკურთხეველი, და ტრაპეზი, და თვალი ამან მოაფიქვლინა მარმარილოთი, და სხვა მრავალი კარგი *ქნა... ქკნი იყო ტკიზ (337), ზედნადები 23, ბერძულათ 1649*“³.

ჯვრის მონასტრის შეკეთება-გამშვენებებში რომ ნიკიფორეს ღვაწლი დიდი იყო, მისი მამობის დროს ყველა ერთხმად აღიარებდა და თვითონაც დიდი გულმოდგინებით იზრუნა თავისი დამსახურების უკვდასაყოფად. მისი სახელი და დამსახურება აღნიშნული იყო ჩემთვის ცნობილ ჯვრის მონასტრის ექვს წარწერაში⁴. ნიკიფორე საკუთარი თავის გარდა სხვას

¹ მეტრეველი ე., მასალები, 66-67.

² Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 53, Sen. 70

³ Три греческие безымянные проскинитария XVI в. Изданное с предисловием А. И. Попадопуло Керамевсом и перевод Г. С. Дестунисом. Православный Палестинский Сборник, вып. XLVI, 1896, 184.

⁴ Цагарели А. А., Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, Синае, დამატ. III, №1ა, II, III, IV, XVI, XIX.

არავის ასახელებს, რაც, ბუნებრივია, უკმაყოფილებას გამოიწვევდა მონასტრის კრებულში. მხოლოდ ერთ, უადრესად ლაკონიურ წარწერაში, რომელიც მოთავსებულია ტაძრის მთავარი შესასვლელის თავზე არსებული ვრცელი წარწერის დაბლა, ნათქვამია: „*ქ. ჯვარო შეიწყალე ცოდვილი დეკანოზი გრიგოლ, ამინ*“. ვარაუდობენ, რომ გრიგოლი ნიკიფორეს ეხმარებოდა მონასტრის მოხატვაში. თვით წარწერიდან კი, როგორც ვნახეთ, გრიგოლის დამსახურება არ ჩანს ისევე, როგორც სხვებისა. ვიდრე ნიკიფორე მონასტერში იმყოფებოდა, ამის ხმამაღლა თქმას, ალბათ, ვერ ბედავდნენ, თუმცა პატივმოყვარეობა კი აწუხებდათ. სწორედ ამით უნდა აიხსნას 1653 წელს (ნიკიფორეს საქართველოში დაბრუნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. თარიღში შეცდომა არ არის), თეოდოსე მანგლელის მიერ ყველას დამსახურების წარმოჩენა ზემოთ მოყვანილ პირველ ანდერძ-მინაწერში.

ასე, რომ პირველი ანდერძი დაწერილია 1653 წელს. მასში მოხსენიებული პირები დასახელებულნი არიან დამსახურებისდა მიხედვით. არ ჩანს, რომ ანდერძი ნიკიფორეს სახელით დაიწერა. მასში ის დასახელებულია პირველ ადგილზე იმიტომ, რომ ის იყო ჩატარებული სამუშაოების ორგანიზატორი, საჭირო თანხების მომპოვებელიც და ზედამხედველიც. ბოლოს და ბოლოს ის ხომ ჯვარისმამა იყო. ანდერძში პიროვნებები ჩამოთვლილია მონასტერში არსებული იერარქიისა და სუბორდინაციის დაცვით¹.

ა. ცაგარელმა შენიშნა, რომ ტაძრის მთავარი კარების თავზე არსებული ორენოვანი (ქართული და ბერძნული) წარწერები ადეკვატური არ არის. ქართულში, როგორც ითქვა, დასახელებულია მხოლოდ ნიკიფორე, ბერძნულში კი, ნათქვამია, რომ მას ეხმარებოდნენ მღვდელ-მონაზონნი: მოსე, გრიგოლი, ნეოფილის (ნეოფიტის) შვილი და მონაზონი გერასიმე, მინას შვილი. საინტერესოა, რომ 1860 წელს პორფირე უსპენსკის მიერ წაკითხულ ქართულ და ბერძნულ წარწერებში არ ფიგურირებენ დასახელებული მღვდელ-მონაზვნები. ა. ცაგარელმა კი, 1883 წელს, მათი სახელები ამოიკითხა. მან კომენტარისაგან თავი შეიკავა, მაგრამ გაკვირვება ვერ დამალა. ძნელია ზუსტად ითქვას რატომღა განსხვავება ქართულ და ბერძნულ წარწერებს

¹ მამისთვალიშვილი ე., ნიკიფორე ირბახის დახასიათებისათვის. *გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ისტორიის სერია*, თბილისი, 2003, 3-14.

შორის. ვფიქრობ, ბერძნულ წარწერაში ისინი არიან დასახელებულნი, რომლებსაც, როგორც ნიკიფორე, თეოდოსე, მარკოზი, ევსევი, პავლე და ილია ამბობენ „დავახატვინეთ გუმბათი და კედლები“-ო (იხ. 1653 წლის ხელნაწერის ანდერძი). ბერძნულ ტექსტში, რომელიც რუსულად თარგმნა ა. ცაგარელმა, ნათქვამია შემდეგი: „ეს ღვთიური და ყველასაგან პატივცემული ტაძარი წმინდა ცხოველმოყოფელი მოხატული და განახლებული ბრწყინვალე ხელმწიფე ლეონ დადიანის ხარჯითა და შემწეობით და ღირსი მღვდელმონაზონის და არქიმანდრიტის ბატონ ნიკიფორეს შრომით და უმდაბლესი მღვდელ-მონაზვნების მოსეს, გრიგოლის, ნეოფილის (ნეოფიტის) შვილის და მონაზონი გერასიმეს მინას შვილის ხელითა და ოსტატობით. ქრისტეს აქეთ 1644 წ., 11 იანვარი“¹.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილს ჯვრის მონასტრის შეკეთება-გამშვენებები ამათ არ დაუსრულებია და სამუშაოს კვლავ აგრძელებდა, მაგრამ განზრახვის ბოლომდე მიყვანა ვეღარ შეძლო. სულთან იბრაჰიმის განკარგულებით, მონასტერში მუშაობა შეაჩერეს „სანამ არ გადაიხდიდა დაგვიანებულ ღალას და სახლის ვალებს“².

სამონასტრო კომპლექსმა სერიოზული ცვლილებები განიცადა 1855 წლიდან, როდესაც მასში თეოლოგიური სკოლა დაფუძნდა. ბერების სენაკებს სამეცადინო ოთახებად იყენებდნენ, სატრაპეზომაც შესაბამისად სხვა დანიშნულება შეიძინა. ხუთსართულიანი შენობის ზედა სამი სართული და სამრეკლო 1855 წელს თეოლოგიური სკოლისათვის ააგეს. ახალი კომპლექსის ყველაზე დიდი დარბაზი იერუსალიმის პირველ სრულყოფილ მუზეუმად ითვლებოდა. პირველ-ორ სართულზე განლაგებული იყო სხვადასხვა დანიშნულების სარდაფები, საკუჭნაოები, ზეთისხილის საწური, საწნახელი, წისკვილი, ცისტერნები, საჯინბოები, ეზოები და პატარა ბაღები. მესამე და მეოთხე სართულზე – საკლასო ოთახები, სასადილო, სამზარეულოები და საცხობები, პატარა სამლოცველო, ცენტრალური ბიბლიოთეკა და სამკითხველოები. ზედა ორ სართულზე – სარიტუალო დარბაზები, მუზეუმი და სკოლის ხელმძღვანელობის კაბინეტები³.

¹ Цагарели А. А., Памятники, 242.

² ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 19

³ The Monasteri of the Holy Cross in Jerusalem by V. Tzaferis, 14.

მონასტერში სხვადასხვა დროს სხვადასხვა რაოდენობის სენაკი იყო, რომლებშიც მუდამ ცხოვრობდნენ ბერმონაზვნები. პეტრე იბერმა ხომ თავიდანვე „შეკრიბნა ძმანი მრავალნი“ და, ბუნებრივია, მათ შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები სჭირდებოდათ. ალბათ, ბერმონაზონთა რიცხვის ზრდის კვალობაზე იზრდებოდა მათი საცხოვრებელი სენაკების რაოდენობაც. მოღწეული ცნობების მიხედვით ჭირს ზუსტად თქმა, რამდენი სენაკი იყო წმ. ჯვრის მონასტერში. გასათვალისწინებელია, რომ მონასტერმა მრავალჯერ განიცადა შეკეთება-გადაკეთება.

1584 წელს, ტრიფონ კორობეიკოვის თქმით, „წმინდა ჯვრის მონასტერში, რომელიც ყოველთვის ქართველებს ეკუთვნოდა, მათ მიერვეა აშენებული. იქ სამას ორმოცდახუთი შესანიშნავი სენაკი და თორმეტი სამლოცველოა. ვის ძალუძს ასეთი სამლოცველოების აშენება დღეს?“⁴.

XVI ს. დასასრულს 345 ან 365 სენაკი ყოფილა². სენაკთა რაოდენობა კიდევ გაზრდილა XVII ს. დასასრულს და 400-მდე მიულწევია³. სხვა ცნობით კი, რომელიც სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, იმავე პერიოდისათვის მხოლოდ 220 სენაკი ყოფილა⁴. რუს მოგზაურს, ვ. გ. ბარსკის, 200 სენაკი დაუთვლია XVIII ს. პირველ ნახევარში⁵, 1960 წელს, როგორც ი. აბაშიძე გადმოგვცემს, მონასტერში 270 სენაკი იყო⁶. სენაკთა ასეთივე რაოდენობა დაუსახელეს წმ. ჯვრის მონასტერში ყოფნისას წინამდებარე ნაშრომის ავტორსაც.

პეტრე იბერის მიერ აგებული ლაზთა და იბერთა მონასტრების მსგავსად, წმ. ჯვრის მონასტერსაც უნდა ჰქონოდა „სახუარბელნი და საფქვლენი და საპურენი და საცერცვენნი და სახეთენნი და საღუნენი“⁷. წმ. ჯვრის მონასტერი, ლაზთა მონასტრის მსგავსად, ტიპიური ქართული ნიშნების მატარებელი

¹ ტიმოთე ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი, მიმოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან მთავარ-ეპისკოპოსისა, დაბეჭდილი თბილისს სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისსა, 1852, 60.

² Три греческие безымянные проскинитария XVI в., 60, 87, 122.

³ Цагарели А. А., Памятники, 99.

⁴ The Holy City: or Historial and Topographical Notices of Jerusalem. By George Williams. With illustrations from sketches by W.F. Witts, London, 1845.

⁵ Странствования В. Григоровича-Барского по святым местам Востока с 1723 по 1747 г., 335.

⁶ აბაშიძე ი., შანიძე ა., წერეთელი გ., შოთა რუსთველი წმ. ჯვრის მონასტერში. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, №12, 36.

⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 263.

ტაძარია. პეტრე იბერის მიერ აშენებული მონასტრები ერთმანეთის და სხვა ქართული სამონასტრო კომპლექსების მსგავსი იყო. პეტრე და მისი თანამოღვაწენი სამშობლოდან შორსაც არ ივიწყებდნენ ეროვნულ ტრადიციებს.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა

შუა საუკუნეებში მონასტრები დიდ კულტურულსაგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, მაგრამ მაინც განსაკუთრებული იყო რელიგიური დანიშნულების ხელნაწერი წიგნების გამრავლება და კრებულების შედგენა.

ცალკე უნდა ითქვას წმ. ჯვრის მონასტრის შესანიშნავ წიგნსაცავზე, რომელიც იმავე დროს ხელნაწერთა გამრავლების, თარგმნის, შეკაზმვისა და აკინძვის ცენტრიც იყო. ბიბლიოთეკას საფუძველი უნდა ჩაყრდა მონასტრის დაარსებისთანავე. წიგნის თარგმნა და გამრავლება არა მხოლოდ მონასტრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის იყო გათვალისწინებული. იქ დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა. მონასტრის ბერმონაზვნები, როგორც წესი, განათლებულნი, ენების მცოდნენი, კალიგრაფები და მხატვრები იყვნენ. ისინი არა მხოლოდ საღვთისმეტყველო ლიტერატურით ინტერესდებოდნენ, არამედ სულიერი განვითარების სხვა მხარეებისთვისაც ზრუნავდნენ. მათ ხელი მიუწვდებოდათ მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმულ ლიტერატურაზე და, ხშირად, თავიანთი შეხედულებითა და სურვილით, ზოგჯერ ვინმეს შეკვეთით, დავალებით თარგმნიდნენ სხვადასხვა წიგნებს, რომელთა გარკვეული ნაწილი მონასტრის ბიბლიოთეკაში რჩებოდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგიერთი ჯვრელი წიგნის მოამაგის შესახებ გვაქვს ცნობები.

მოდწეული მასალებიდან ჩანს, რომ წმ. ჯვრის მონასტერში სამწერლობო საქმის მოთავე და ორგანიზატორი, მონასტრის აღმდგენელი, დიდად განათლებული პროხორე იყო. მას, როგორც შემოქმედს, ვხედავთ ერთ-ერთი საგალობლის (პარაკლიტონი) მინაწერში: „სახელითა პატიოსნისა ჯ სათა მე გლახაკმან პროხორე მოვივენ წნი ესე წიგნნი სულთა გ თლებელი პარაკლიტონი და შევქმენ ორთავად სისუბუქისათვის, რამეთუ პირუფლ აღმწერელს ამისსა რვანივე კმანი ერთად შეემოსნეს, და მე გაეყავი და ორ წიგნად შევქმენ და დავსხენ წმ. ეკლესიასა ჯუარისასა, სალოცუფლად სულისა ჩემისა და სულისა მოძღურისა და მშობელთა...“⁴. პროხორეს ბრძანებითა და მონაწილეობით ითარგმნა ან გადაიწერა არაერთი სასულიერო ნაწარმოები.

⁴ Цагарели А. А., Памятники, 171.

1055 წელს, პროსორეს ბრძანებით იოანე დვალმა და მისმა შვილმა მიქელმა გადაწერეს და შეკაზმეს წმ. ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „ცხოვრება“¹.

ერთ-ერთი უძველესი საგალობლების ხელნაწერი, რომელიც 1061 წლით თარიღდება, გვამცნობს იმათ შესახებ, ვინც ხელნაწერის შექმნასა და სრულყოფაში მონაწილეობდნენ. ხელნაწერის ბოლოს, მინაწერში ნათქვამია: „*მე ცოდვილმან და ყოველთა ღუდელთა უნარჩეულებსმან გაბრიელ, მოვიგენ და დავწერენ წ' ესე სულთა განმანათლებელი პარაკლიტონი... წ' ო მამანო, რომელნი შემდგომად ჩემსა ღირს-იქმნეთ ამა წმიდისა წიგნისა მსახურებად... ილოცვიდეთ: გაბრიელის თვს, იოანეს თვს, იონას თვს, მიქაელის თვს, გიორგის თვს, შ' შნის თვს, არსენის თვს... ლავრად (?) ჩხრეკისათვს ამა წიგნისა შემინდევით... დაიწერა წ' ა ესე წიგნი წ' სა ქალაქსა იერუსალიმს, მონასტერსა შინა წმიდისა ასა, მამობასა გიორგისა, კელითა უნდოდა გაბრიელ საყვარელისათა, შეიმოსა კელითა... ქკნი იყო სპა (1061 წ.)*“².

XI–XII საუკუნეებში გადაწერილი სახარებიდან ვიგებთ იმ პირთა სახელებს, რომლებმაც იგი გადაწერეს ან წმ. ჯვრის მონასტერს მიუძღვნეს: „*ლოცვა ჰყავთ სუმეონ მთაწმიდელისათვის, წ' ო მამანო...*“ იოანეს სახარებას კი აწერია: „*კ' დ მამისა ჩემისა ეგნატისთვს და მშობელთა ჩ' თა სუმეონის და მარია-მის, და ჩობინისა, და მამდაისა, და ძმათა ჩემთა მელეელის და ხალას, აბუსაკრას, ობინისა და აბუსაკრისა, და სულიერთა შ' ლთა ჩ' თა გიორგისა, გაბრიელისა, დიმიტრისა, ბასილისა და მცირისა დიმიტრისა*“³.

XVI ს. დამდეგს ათაბაგ მზეჭაბუკის წარგზავნილ ამბროსის, რომელიც კალიგრაფი და მხატვარი ყოფილა, წმ. ჯვრის მონასტერში ოთხთავი გადაუწერია⁴. ძველქართულ ხელნაწერებზე ზრუნავდა ჯვარისმამა ბენეა ჩოლოყაშვილი. ცნობილია

¹ Цагарели А. А., Памятники, 173.

² Цагарели А. А., Памятники, 223.

³ Цагарели А. А., Памятники, 154-155.

⁴ ტიმოთე ვაბაშვილი, მიმოსლვა, 0185.

მის მიერ შეკაზმულ-რესტავრირებული რამდენიმე წიგნი¹. ამ საქმეში მისი თანამშრომლები ყოფილან ნაომი და სოფრონი².

ჯვრის მონასტრის ხელნაწერები გამხდარა ილარიონ ოპიზარის მზრუნველობის საგანი. ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერიდან ვიგებთ: „ესე წიგნი ჯვარისა მეფეთ-მეფისა დავითის (დავით X – ე.მ.) ცოდვათა შესანდობელად მე, მისმან მოძღვარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიხსენ სპარსთავან მას ეამსა, ოდეს მონასტერი სპარსთა დაეჭირა“³. ილარიონს სხვა ხელნაწერიც დაუხსნია⁴.

მნიშვნელოვანი იყო ბარნაბა თბილისის მთავარეპისკოპოსის და ვლასი ურბნელის საგანმანათლებლო საქმიანობა წმ. ჯვრის მონასტერში XVI ს. 70-იან წლებში. მათი ერთობლივი ღვაწლით აღსდგა და შეიკაზმა მრავალი დაზიანებული ხელნაწერი, დაცული ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში. ბარნაბა ძველ ტექსტებს აცხოველებდა და დაზიანებულ ადგილებს ავსებდა, ვლასი კი აღდგენილ ხელნაწერს კრავდა და კაზმავდა. როგორც მინაწერიდან ჩანს, ვლასი ბარნაბას მითითებით ასრულებდა სათუთ და საპასუხისმგებლო დავალებას – დაძველებული ფრაგმენტების აკინძვას და ყდაში ჩასმას. ბარნაბას და ვლასის მიერ მოვლილ-ნაპატრონები ხელნაწერები ინახება ვენასა და პარიზში⁵.

მონასტრის ბიბლიოთეკა იზრდებოდა და მდიდრდებოდა კერძო პირთა შეწირულობებითაც. XIV ს. დასაწყისში იოსებ ქერამადინს სხვადასხვა მისართმევთან ერთად, მონასტრისათვის „ორნი ოთხთაანი“ მიურთმევია⁶. მონასტრისათვის წიგნის მირთმევას კრებული ისეთივე დიდ ღვაწლად უთვლიდა შემწირველს, თითქოს მას დიდი თანხა, ან სახლი შეეწიროს, ან ახალი ეკლესია აეგოს, ან ძველი აღედგინოს. ასეთი პიროვნებისათვის, როგორც ჩანს, სპეციალური აღაპი იწერებოდა. ერთი

¹ შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები XV–XVIII სს., მსკი, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, 241–242.

² მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 113.

³ მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბუქლად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955, 35

⁴ მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, 62; ტიმოთე გაბაშვილი, მოსლვა, 0186.

⁵ მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 119–120.

⁶ მეტრეველი ე., მასალები, 86, №81.

ასეთი ალაპი არის არსენი ცონცურიკადთისათვის (XV–XVI სს. მიჯნა), რომელსაც შეუწირავს „*ა ოთხოავი, ა საწინასწარმეტყველო, ა მარხვანი, ა ზატიკი*“¹.

ასე წლებისა და საუკუნეების მანძილზე გროვდებოდა ჯვრის მონასტრის ხელნაწერი წიგნები, რომელთა სრული რაოდენობა არ ვიცით. სხვადასხვა დროის მოგზაურები იქ ნახულობდნენ მდიდარ ბიბლიოთეკას.

„*ბევრი ქართული წიგნი*“ ნახა 1749 წელს რუსმა ბერმა სერაპიონმა². 1820 წ. მოგზაურმა შულცმა ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში ნახა 400 ხელნაწერი. ამდენივე ხელნაწერი იხილა 1846 წ. გ. ტიშენდორფმა³. ცაგარელმა და ბლეიკმა აღწერეს 147 ხელნაწერი. იმავე ბლეიკმა ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში კიდევ აღმოაჩინა 164 ქართული ხელნაწერი⁴. ზემოთდასახელებული გ. გერინი XIX ს. 60-იან წლებში წერდა: „*ბიბლიოთეკა, ოდესღაც ფრიად მდიდარი ქართული ხელნაწერებით, ამჟამად ნაკლებს შეიცავს. მაინც მაჩვენებს ვარკვეული რაოდენობა, ისევე როგორც არაბული, სირიული, სომხური და ბერძნული ხელნაწერები. უკანასკნელნი უმეტეს წილად წმ. სამოციქულოებისა და ბერძნული ეკლესიის მამათა ხელნაწერ კოპიოებს წარმოადგენენ*“⁵. როცა გერინი ამას ამბობდა, უკვე კარგა ხნის წინათ დაწყებული იყო ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის განადგურება. ჯერ კიდევ XVIII ს. დასაწყისში იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი წერდა ქართული ხელნაწერი წიგნების სავალალო მდგომარეობაზე⁶. 1858 წელს რუს არქიმანდრიტ ლეონიდეს ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ მინაშენში უნახავს „*ქართული ხელნაწერი წიგნები, რომლებიც სინესტის, მატლებისა და მწვანე ღრიანკალების მსხვერპლად იყო მიტოვებული*“⁷. ა. ცაგარელმა 1883 წელს რომ 147 ქართული ხელ-

¹ მეტრეველი ე., მასალები 100, №230.

² Путник или путешествие по святой земле Матронинского монастыря инока Серапоона, 1749 года. Чтения в Императорском обществе истории и древностей Российских при Московском университете, кн. 3, отд. V, 1873, 112.

³ Tischendorf G. von, Reise in den Orient, II, Leipzig, 1846, 69.

⁴ ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 22.

⁵ Guerin V. Description de la Palestine, Judee, I, 80.

⁶ მამისთვალისვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 209.

⁷ Архидиакон Леонид. Иерусалим, Палестина, Афин, 8-9.

ნაწერი წიგნი იხილა, პ. კონჭოშვილმა 1899 წელს ვერც ერთი მათგანი ვეღარ ნახა¹.

ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია გადატანილ იქნა იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. რ. ჟანენმა XX ს. 10-იან წლებში იქ ნახა 147 ქართული ხელნაწერი წიგნი².

არ ვიცი თუ ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილი იყო თუ არა ის მრავალი ქართული ხელნაწერი, რომელიც ქ. ხაიფის არქიდიაკონს დოულინგს უნახავს იერუსალიმის წმ. კონსტანტინეს ბიბლიოთეკაში³. როგორც ჩანს, ბერძნებმა ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში მხოლოდ ბერძნული წიგნები და ხელნაწერები დატოვეს.

¹ კონჭოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, 82.

² ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 18.

³ Dowling Arch., The Georgian church in Ierusalem. *Palestine exploration Fund. Quaterly Statement*, October, 1911, 184.

დღესასწაულები

წმ. ჯვრის მონასტერს ჰქონდა საკუთარი დღესასწაული – წმ. ჯვარის დასამზადებელი ხის მოჭრის დღე, რომელიც ეწყობოდა პასექის მეორე კვირის დღეს. XV ს. მეორე ნახევრის ერთ-ერთი ვენეციელი პილიგრიმის მიხედვით, დღესასწაულს ესწრებოდნენ ყველა ქრისტიანები და იერუსალიმელი მუსლიმანებიც¹. ყურადღებას იპყრობს აღნიშნულ ქრისტიანულ დღესასწაულზე მუსლიმანების დასწრება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მუსლიმანები ოდესღაც ქრისტიანების, შეიძლება გამუსლიმანებული ქართველების ის შთამომავლები იყვნენ, რომლებზეც 1925 წელს იერუსალიმში იტალიურ ენაზე გამოცემულ „წმ. მიწის გზამკვლევი“², პატრი მაისტერმანი წერდა: „მაღპას მცხოვრებნი იწოდებიან გურჯებად ან გრუზინიანებად და წმ. ჯვრის მონასტრის ქართული კოლონიიდან არიან. ისინი გამაჰმადიანდნენ რა, დაივიწყეს მშობლიური ენა. მიუხედავად ამისა, მაინც აყენებენ მონასტრის მახლობლად არსებული მიწების დამუშავებაზე თავიანთ განსაკუთრებულ უფლებას“³.

მაღპელების ქართველობაში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ გვიანდელ კოლონისტებად მიაჩნია ვ. ცაფერისს: „ამ სოფლის თავდაპირველნი მცხოვრებნი, რომლებიც მაშინ მონასტრის მამულებზე პრეტენზიას აცხადებდნენ, მე-13 საუკუნეში მონასტრის მიწების დასამუშავებლად იბერიული ძმობის მიერ დასახლებული ქრისტიანი იბერიელები იყვნენ, დროთა განმავლობაში ისინი ისლამურ რწმენაზე მოექცნენ და იბერიული საძმოს დაშლის შემდეგ ამტკიცებდნენ, რომ ისინი იყვნენ მიწების ნამდვილი მფლობელები“³.

წმ. ჯვრის მონასტერში ამ ხალხმრავალი დღესასწაულის არსებობას XV–XVII საუკუნეების სხვა პილიგრიმებიც ადასტურებენ.

მონასტერში ინახებოდა სახელგანთქმული რელიკვია, წმ. ბარბარეს ხელი. ამის შესახებ გვამცნობს ზებალდტ რიტერი

¹ Viazio da Venezia al santo Jerusalem (1480-1500), Roma, 1972; დავიდი ი., ნაწერები, I, 296-297.

² Meisterman P. Guida di terra Santa, Jerusalem, 1925; დავიდი ი., ნაწერები, I, 325.

³ ცაფერისი ვ., იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი, 106.

1464 წელს¹, ვინმე ვასილი 1465–1466 წლებში². 1484 წელს გრაფი ფილიპ ლუდვიგ ფონ ჰანაუ წერდა: „*ჯვარის ეკლესია ეკუთვნით ქართველებს; აქ ნახავთ წმ. ბარბარეს ხელს*“³. 1483 წელს ფელიქს ფაბრს ეს რელიკვია საკუთარი თვალით უნახავს⁴. ამის გამო იყო, რომ წმ. ჯვრის მონასტერში ბარბარეს სიწმინდის დღესასწაულსაც აღნიშნავდნენ.

¹ ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 43.

² ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 44.

³ ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 87

⁴ Fabri F. The wanderling of Felix Fabri, v. IX. 1-2. *Jerusalem journey Pilgrimage to the holy land in the fifteenth century*, H.F.M. Prescott, L., 1954, 150.

იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი – თამარ მეფის საბოლოო განსასვენებელი?!

1. წყაროების ინტერპრეტაცია: პირდაპირი და არაპირ- დაპირი უცხოური ცნობები თამარ მეფის საფლავის შესახებ

დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს ფრანგი რაინდის გ. დე ბუას მიერ სირია-პალესტინიდან საფრანგეთში, ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამაღეა დე ტრემლესათვის გაგზავნილი წერილი.

წერილი ქართველ მკითხველს პირველად გააცნო ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ზ. ავალიშვილმა. ამ წერილში მოყვანილი ფაქტების აუთენტურობა დღიდან გამოაქვეყნებისა, სერიოზულ კამათს იწვევს მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის: რამდენად სანდოა ჯვაროსანი რაინდის წერილში ცნობა თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ?

„ღირსსა, ქრისტეს მიერ მამასა და მეუფეს საყვარელსა ა[მედოს], ღვთის განგებით ბეზანს[ონის] არქიეპისკოპოსს – მორჩილი მსახური გ. დე ბუა, ამინ. უკეთუ ჯერ არს შეგაწუხოთ ჩემი კეთილად ყოფნის (ამბით), იცოდეთ, რომ ღვთის წყალობით მეცა და ჩემი მეუღლეც ჯანსაღად და უვნებლად გახლავართ. გადავწყვიტე, მოკლედ გაუწყოთ აღთქმული ქვეყნისა და მასზე მიმდებარე სხვა მხარეთა შესახებ დარხეული ხმები, თუმცა ყოველი მათგანი როდია გაოცების ღირსი.

უწინარეს ყოვლისა, იცოდეთ, რომ იერუსალიმის სამეფომ მიაღწია დაზავებას სარკინოზებთან და რომ ანტიოქიის მთავარსაც, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ურიცხვ დევნასა და შევიწროებს განიცდიდა, როგორც ბაბილონის სულთანისაგან, ისე არმენიის მეფისაგან, ზავი აქვს დადებული ხსენებულ სულთანთან. მოისმინეთ აგრეთვე სხვა ახალი (ამბებიც), რომელიც გაოცების ღირსნი არიან. გავიგეთ და სანდო მაცნეთა წყალობით ჭეშმარიტად მივითვალეთ, რომ ვიდაც ქრისტიანები იბერიიდან, რომელთაც გეორგენებს (ქართველებს) უწოდებენ, ღვთის შემწეობით შეგონებულნი, უთვალავი მეომრით უშიშრად აღსდგნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ, აიღეს 300 ციხე-სიმაგრე და 9 დიდი ქალაქი; ამათგან უმტკიცესნი ხელუხლებად დატოვეს და თვითონ დაიკავეს, დანარჩენი კი ნაცარტუტად აქციეს. დასახელებულ ქალაქთაგან ერთ-ერთი ევფრატზე მდებარე, ურწმუნოთა ქალაქებს შორის ყველაზე ცნობილი და დიდი იყო. მბრძანებელი ამა ქალაქისა – ბაბილონის სულთნის ძე ზემო-

სსენებულმა ქრისტიანებმა შეიპყრეს და თავი მოკვეთეს, თუმცა იგი მათ აურაცხელ ოქროს ფულს აღუთქვამდა.

კიდევ რა უნდა ვთქვა დაწვრილებით? ისინი, რომლებიც მოვიხსენიე, მოვლენ წმინდა იერუსალიმის გასათავისუფლებლად და დაიმორჩილებენ ურწმუნოთ, სახელგანთქმული მათი თექვსმეტი წლის მეფე მსგავსია ალექსანდრესი (მაკედონელისა) შემართებითა და მოკრძალებულობით, რწმენით კი – არა. ამ ახალგაზრდას მიაქვს დედამისის – უძლიერესი დედოფლის თამარის ძეგლები, ვინაიდან (თამარს) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა იერუსალიმში წასულიყო და მისი ძეგლები უფლის საფლავის ახლო დაეკრძალა. დედის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება და დედის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნება-სურვილის მიუხედავად¹.

სხვა დოკუმენტები, რომლებსაც შემდეგ გავეცნობით, ჩემი აზრით, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჯვაროსან რაინდს არასრულფასოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოზე და მან ყურმოკვრით გაიგო ქართველი მეფის მიერ თავისი დედის, თამარის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების განზრახვის შესახებ.

შესაძლებლობა გვაქვს დავაზუსტოთ დე ბუას წერილის დაწერის დროც.

1217 წელს დაიწყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გიორგი-ლაშას საგარეო პოლიტიკაში XIII ს. 10-იანი წლების ბოლო პერიოდში. ქართული სახელმწიფო საგარეო ორიენტრით, რომელიც გამოიხატებოდა პროჯვაროსნულ პოზიციაში, აშკარად ანტიეგვიპტური პოლიტიკის განხორციელების გზას დაადგა. გიორგი-ლაშამ საჯაროდ, კიდევ ერთხელ დაადგინა XII საუკუნეში, განსაკუთრებით თამარ მეფის დროს, უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული საქართველოს საგარეო პოლიტიკის მახასიათებელი: არ არსებობენ მუდმივი მეგობრები და მტრები, არსებობს მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესები. ქართველ მეფეს ჯვაროსანთა ძალების ახალი მობილიზაცია შესაძლებ-

¹ ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი, 1989, 97-98. უფრო სრულყოფილად მიხნეულია აკ. ურუშაძის მიერ შესრულებული გ. დე ბუას წერილის თარგმანი, რომელიც მოთავსებულია ვ. ჩაჩანიძის წიგნში – პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974, 27-28. წერილის ორიგინალი იხ. იქვე, 28-29.

ლობას აძლევდა, გაერთიანებული ძალებით განეხორციელებინა სამი მნიშვნელოვანი ღონისძიება: 1. შური ეძია წმ. ქალაქის კედლის დანგრევის შედეგად იქაური ქართველების მიერ განცდილი ზარალის და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის ანგარიშის გაუწევლობის გამო (ამაზე სხვა დროს), 2. ეძლეოდა საშუალება თავისი გავლენა განემტკიცებინა წმინდა მიწაზე და 3. აღესრულებინა დედის, მეფე თამარის ანდერძი, მისი იერუსალიმში დაკრძალვის შესახებ.

მოვლენების თანამედროვე ფრანგი ავგუსტინელი ბერი, მესუთე ჯვაროსნული ლაშქრობის სულის ჩამდგმელი და მონაწილე, ისტორიკოსი ჟაკ დე ვიტრი¹ წერდა: „...უფლის საფლავთან მოსალოცად მომავალნი (ქართველები – ე. მ.) წმინდა ქალაქში დროშაგაშლილნი შემოდინან და ხარკს არავის უხდიან. სარკინოხები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგანაც შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოხებზე... ქართველები ძალზე აღშფოთდნენ და დაემუქრნენ დამასკოს გამგებელ კორადინს², რადგანაც მან არად ჩააგდო მათი სურვილი და იერუსალიმის კედლების დანგრევა ინება იმ დროს, როდესაც ლათინებს დამიეტასთვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული...“³.

სავარაუდოა, იერუსალიმში მომხდართ (იერუსალიმის ხელყოფით) უკმაყოფილო მეფე გიორგი-ლაშას დამიეტასთან მდგარი ევროპელი ჯვაროსნების მეთაურის პაპის ლეგატის, პელაგიუსისთვის წერილიც გაეგზავნა, სამხედრო ძალით დახმარების შეთავაზების თაობაზე. თუ ასეთი წერილი გაიგზავნა, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 1219 წლისა, რადგან, როცა გიორგი-ლაშას ელჩები დამიეტაში მივიდნენ და პაპის წარმომადგენელს კარდინალ პელაგიუსს შეხვდნენ, როგორც ამ უკანასკნელის საპასუხო წერილიდან ჩანს, დამიეტა ჯვაროს-

¹ ფრანგ. Jacques de Vitry, ლათ. Jacobus Vitriacensis, დაიბადა რეიმსში დაახლოებით 1180 წელს, 1216 წლიდან ეპისკოპოსი, კარდინალი 1228 წლიდან, გარდაიცვალა 1244 წლის 1 მაისს რომში.

² ჟაკ დე ვიტრი კორადინად მოიხსენიებს დამასკოს გამგებელს, საკმაოდ ძლიერ მმართველს, აღ-მალაიქ ალ-მუჰაზამის.

³ Jacques de Vitry, History of the Jerusalem. Traduit from the Original Latin by A. Stewart. Palestine Pilgrims Text Society, XI, London, 1896, p. 83-84. ციტირებულია: ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გონა ჯაფარიძემ, თბილისი, 1995, 30. გ. ჯაფარიძის შენ. 21.

ნებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ (დაიპყრეს 1219 წ. ნოემბერში). პელაგიუსს წერილი გადასცა ერთ-ერთმა ქართველმა ბერმა, რომელმაც პაპის ლეგატს სიტყვიერად მოუთხრო ქართული სახელმწიფოს სიმდიდრესა და სიძლიერეზე, ქართველი მეომრების სიმამაცესა და მათს წარმატებულ ბრძოლაზე მუსლიმანების წინააღმდეგ. ბერს ისიც უთქვამს, რომ ჯვაროსნებისადმი დახმარებასთან ერთად გიორგი-ლაშას განზრახული ჰქონდა თავისი დედის თამარ მეფის ანდერძის სისრულეში მოყვანა, რაც ითვალისწინებდა მისი ნეშტის იერუსალიმში გადასვენებას და იქ დაკრძალვას.

ჟაკ დე ვიტრის გადმოცემით, ქართველი ბერის მონათხრობმა კარდინალი და ჯვაროსანთა სხვა მეთაურები დიდად გაახარა. პელაგიუსმა იმავე ბერის ხელით დაუყოვნებლივ გაუგზავნა წერილი გიორგი-ლაშას. წერილში ნათქვამი იყო: „... დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა შევიტყეთ თქვენი გადაწყვეტილება ლაშქრობაში წასვლის შესახებ წმინდა ადგილების გასანთავისუფლებლად, იმ ადგილებისა, სადაც ჩვენმა უფალმა და მეუფემ იესო ქრისტემ გამოუთქმელ სიყვარულში მიიღო სიკვდილი ჯვარზე მოყვასის ხსნისა და სამარადისო ცხოვრებისათვის. საქებურია თქვენი აღთქმა: **მოწონებას იმსახურებს თქვენი განზრახვა აღასრულოთ თქვენი ნეტარხსენებული დედის ანდერძი**¹... აღიჭურვეთ სარაცინების წინააღმდეგ და შეაიარაღეთ თქვენი ლაშქარი, რათა ღვთის წყალობით შეძლოთ რომის ეკლესიის მიერ დალოცვილებმა მტრის დამარცხება სამღრთო ომში და უფლის საფლავის განთავისუფლება. ჩვენ უკვე მივაყენეთ წარმართებს ზარალი, შემოვუარეთ ზურგიდან და, დავიკავეთ მათი მნიშვნელოვანი სიმაგრე და ქალაქი დამიეტა... ახლა ვემზადებით ახალი ლაშქრობისათვის, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ სარაცინები. იჩქარეთ ჯარის შეყრა და პირდაპირ გაემართეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ, **ისარგებლეთ ჩვენი ახალი შეტევით და დაიპყარით პალესტინის ქალაქები**“².

¹ თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების განზრახვა, რომ „აშკარად ჯვაროსანთა წიაღში შექმნილი ლეგენდაა... ეს ჭორი გარკვეული პიარკაპანის ნაწილი“ (სამუშია ჯ., თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება (სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი), თბილისი, 2010, 31), რომ არ იყო კარგად ჩანს კარდინალ პელაგიუსის ციტირებული წერილიდან.

² Jacobi de Vitriaco Historia Hierosolymitana // Gesta Dei per Francos, sive, Orientalium expeditionum et regni Francorum Hierosolymitani historia / ed. J. Bongars, Hanno-

პელაგიუსის მეორე წერილი გაგზავნილი უნდა იყოს 1220 წელს და იგი შეიცავს ჯვაროსნებისათვის ახალ ინფორმაციას: გიორგი-ლაშას განზრახული აქვს დედის ნეშტი იერუსალიმში გადაასვენოს. ამავე დროს უნდა დაეწერა და გაეგზავნა გ. დე ბუას წერილი არქიეპისკოპოსისათვის საფრანგეთში. ჩანს, ამ უკანასკნელს ხელი არ მიუწვდებოდა პელაგიუსთან მისულ ქართველ ელჩებსა და მათ მიერ მიტანილ გიორგი-ლაშას წერილებზე. ის არ იყო ღრმად ჩახედული პელაგიუსის საქართველოსთან დიპლომატიურ კონტაქტებში, ამდენად მან ქართველი მეფის განზრახვის შესახებ ინფორმაცია შეავსო იმ ცნობებით, რომლებიც მაშინ პალესტინაში საყოველთაოდ ცნობილი იყო და ისიც დაუმატა, რაც გაგონილი ჰქონდა იოანე ხუცესის შესახებ. რა თქმა უნდა, არარეალურია ქართველი მეფის ასაკი, თითქოს იგი მხოლოდ 16 წლისა იყო. სინამდვილეში გიორგი-ლაშა დაიბადა 1192 წელს და ამ დროისათვის 27-28 წლისა უნდა ყოფილიყო.

კარდინალ პელაგიუსის წერილმა, როგორც ჩანს, იმდენად სერიოზული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ დამიეტას კვლავ ეწვივნენ გიორგი-ლაშას ელჩები და მოლაპარაკება გამართეს კარდინალთან და ჯვაროსანთა სხვა მეთაურებთან. როგორც დიპლომატიური მოლაპარაკების მონაწილე კარდინალი ოლივერ პადერბორნელი გადმოგვცემს, კარდინალმა პელაგიუსმა პაპის სახელით სთხოვა ქართველ ელჩებს საქართველოს მეფე ჯარით დახმარებოდა ჯვაროსნებს. ელჩებს, თავის მხრივ, გიორგი-ლაშას სახელით გამოუხატავთ მზადყოფნა დახმარებოდნენ ჯვაროსნებს სირიაში¹.

ჩემი აზრით, ქართველმა ელჩმა ჯვაროსანთა ლიდერებს მუსლიმანებზე შეტევის კონკრეტული გეგმაც წარუდგინა და ისიც დააზუსტა რატომ სურდა საქართველოს მეფეს განეხორციელებინა შეჭრა სწორედ სირიაში. სავარაუდოა, ქართველებს უნდოდათ დახმარებოდნენ ანტიოქიის სამთავროს, რომელიც ტერიტორიულად შედარებით ახლო იყო ქართული სახელმწიფოს სამხრეთ საზღვართან. (ამავე დროს, ქართულ სახელმწიფოს შესაძლებლობა მიეცემოდა გავლენა გაეგრძელებინა მდი-

viae, 1611, t. 1. ციტირებულია: Казарян О., Крестоносцы и Грузия (XII-XIII вв.). <http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html>

¹ Oliver of Paderborn. Historia Damiatina. Die Schriften des kölner Domscholasters, späteren Bischofs von Paderbon und Kardinal-Bischofs von S. Sabina Oliverus. Ed. O. Hoogeweg, Tübingen, 1894, 232-233.

დარ ხლათის სასულთნოზე, რომელიც ჰარანისა და აღ-ჯაზირას გამგებლის, აღ-მალქ აღ-აშრაფ მუსას მფლობელობაში იყო. სამხედრო რეიდის მოწყობას ისიც გაადვილებდა, რომ ამ დროს აიუბიანებს მთელი თვიანთი შეიარაღებული ძალები დამიეტის დასაცავად ჰყავდათ მობილიზებული. ეგვიპტეში იმყოფებოდა ხლათის გამგებელი აღ-აშრაფიც¹.

საქართველოს სამეფო კარის განზრახვა, გაეგზავნა ჯარი იერუსალიმის წმინდა ადგილების დასაცავად, ალბათ, იცოდნენ მუსლიმმა მბრძანებლებმა. მით უმეტეს, რომ „იმ დროს, როდესაც დამასკოს მთავარმა ქალაქ დამიეტას ალყა შემოარტყა, მასთან ქართველები მივიდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ საღვთო ომში, ომში, რომელშიც ქრისტიანთა დიდი ნაწილი იყო ჩაბმული“².

როგორც ვინმე ვოლატერანო წერდა, ჯვაროსნების მიერ დამასკოს აღებით ქრისტიანებში გამოწვეული აღფრთოვანებით, ქართველებს გადაუწყვეტიათ თვითონაც შეეციათ მუსლიმანებისათვის³. შუა საუკუნეების ევროპელ ისტორიკოსს მხედველობაში უნდა ჰქონდეს გიორგი-ლაშას მიერ 1219 წელს წამოწყებული ლაშქრობა ნახჭევანის, ხლათისა და კარნუქალაქის წინააღმდეგ, რომელიც წარმატებით დასრულდა⁴, რაც ჯვაროსნების მიერ, დამიეტის აღებასთან ერთად, აღქმული იქნა ქრისტიანთა საერთო წარმატებად. ამ წყაროების ინტერპრეტაციის შედეგად იკვეთება ორი ასპექტი: ა) ქართველების პოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, იერუსალიმთან მიმართებაში და ბ) თამარ მეფის საფლავის და გადასვენების საკითხის კავშირი იერუსალიმთან.

2. ქართული ცნობები თამარ მეფის გარდაცვალების დროსა და საფლავის შესახებ

სხვადასხვა ისტორიკოსი, სხვადასხვა არგუმენტით ამყარებს და გვთავაზობს თამარ მეფის გარდაცვალების განსხვავებულ თარიღს⁵. ამ საკითხის დაზუსტებაში, როგორც ჩანს,

¹ ნატროშვილი თ., მაშრიყთ მადრიბამდე, თბილისი, 1991, 90.

² ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984, I, 75.

³ ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984, 75.

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 341.

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი 1201 წ. (იხ. ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა, საქართველოსა. ტექსტი დადგენილი

ვერც ჩემს მიერ მოხმობილი წყაროები შეიტანს დამატებით სიცხადეს. მაგრამ საზოგადოდ ცნობილია ის ქართული საისტორიო თხზულებები, რომლებიც თამარის მეფობის დროსა და მისი გარდაცვალების ახლო ხანებში არის შექმნილი და ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ თამარი დაიკრძალა გელათში¹.

ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, 191₉); პ. პერი – 1201 წ. (P. Perri, Histoire littéraire de la France, ouvrage commence par des religieux Benedictions de la Congregation de Saint-Maur et continué par des Membres de l'Institut (Académie des Inscriptions et Belles-Lettres). T. XXI. Suite du treizième siècle, depuis l'année 1296. supplements. A Paris, 1847, 783; მ. ბროსე – 1212 წ. (Brosset H. F., Histoire de la Géorgie, I, Petersbourg, 1849, 477; რ. რორიხტი – 1212 წ. (Regesta Regni Hierosolymitani (MXCVII-MCCXCI) edidit Reinhold Rörich. Oenipont, 1893, 233-234); ავალიშვილი – 1207-1208 (ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 100); კეკელიძე – 1215 (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, 42-43); აღ. სანდერსი (გერმანიაში მოღვაწე ქართველი ალექსანდრე ნიკურაძე, 1900-1981) – 1207-1208 (Sanders Al., Kaukasien, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien, geschichtlicher Umriss. München: Hoheneichen-Verlag, 142, 170); ივ. ჯავახიშვილი – თამარ მეფე 1213 წ. გარდაცვალება (ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 2012, 368); რ. ჰენიგი – დაახლოებით 1220 წ. (Хенниг Р., Неведомые земли, III. Перевод с немецкого А. В. Лисовской, предисловие и редакция И. П. Магидовича, М., 1962, 31); თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე – 1210 წ. (ნატროშვილი თ., ჯაფარიძე გ., ცდა ერთი თარიღის დადგენისა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1974, 168-169); რ. მეტრეველთანაც 2013 წელია (რ. მეტრეველი, მეფე თამარი. თბილისი, 1991, 206); ჯ. სამუშიაც წერილს 1211 წლით ათარიღებს (სამუშია ჯ., თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, 26); გ. ჯაფარიძემ ახლახანს კიდევ ერთხელ დაიცვა თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი (1210 წ.) თავის კრიტიკულ სტატიაში (იხ. მისი, თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ, საისტორიო კრებული, 2, წელიწდეული, 2012, 348-348)

¹ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქართლის ცხოვრება, II, 112-113), ბასილი ეზოსმოძღვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა“ (ქართლის ცხოვრება, II, 146), ლაშა-გიორგის დროინდელი მემბტიანე“ (ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008, 355).

თამარის თანამედროვე ისტორიკოსები პირდაპირ მიუთითებენ, რომ იგი გელათში დაიკრძალა, მაგრამ მისი საფლავი ჯერჯერობით არ ჩანს. სათაყვანებელი მეფის საფლავის ადგილმდებარეობის არ ცოდნამ (როგორც სავარაუდოა საფლავი უცნობი იყო უკვე „აღორძინების ხანიდან“) წარმოშვა მრავალი თქმულება. „თამარის კულტი მის სიცოცხლეშივე შეიქმნა, ხოლო სიკვდილის შემდეგ ის იმდენად გადიდდა და გახანგრძლივდა, რომ ეს შარავანდედმოსილი პიროვნება XIX საუკუნის ქართველ პოეტთა შთაგონების წყაროდაც გადაიქცა. თამარი ქართულმა მწერლობამ ღვთისმშობლის სწორად წარმოსახა; ქრისტიანულმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და მისი სულის ხსენების დღეები დააწესა...“ ლოლაშვილი ივ., თამარ მეფის აკლდა-

მკვლევართაგან ეჭვი არავის ეპარება, რომ სიმართლეს ასახავს თამარის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვარის გადმოცემა გარდაცვლილი მეფის ნეშტის გელათის მონასტერში დაკრძალვის შესახებ: „და მერმე უკანასკნელ თვთ მუნვე გელათს დაამკვდრეს თუსსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“¹. მაგრამ იგივე მკვლევრები ვერ თანხმდებიან თამარის ნეშტის საბოლოო ადგილსამყოფელის საკითხის დადგენის შესახებ. კერძოდ, **რატომ აღარ არის თამარის ნეშტი ისტორიკოსის მიერ მითითებულ დაკრძალვის ადგილას გელათში და სად უნდა ვეძიოთ იგი**. მკვლევრები, მათი ჰიპოთეზების მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: მკვლევრები, ვინც კატეგორიულად უარყოფენ თამარის ნეშტის გელათიდან იერუსალიმში გადასვენებას²; მკვლევრები, რომლებიც ანგარიშს უწევენ თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენების ცნობას, მაგრამ იგი მთლად სარწმუნოდ არ მიაჩნიათ³; მკვლევრები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მეფე თამარი თავდაპირველად დაკრძალეს გელათის მონასტერში, მოგვიანებით კი გადაასვენეს და დაკრძალეს იერუსალიმში⁴.

მა გელათში, თბილისი, 1989, 14-15. ხალხური თქმულებანი თამარ მეფის დაკრძალვისა და საფლავის შესახებ, იხ. იქვე, 14-29.

¹ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება, II, 146-147.

² ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 95-107; ლოლაშვილი ივ., თამარ მეფის აკლდამა გელათში, თბილისი, 1991, 29-48; სამუშია ჯ., თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, 58-63.

³ შ. ნუცუბიძის მიხედვით, „არაა საფუძველი არ დაუფჯეროთ ფრანგი რაინდის ცნობას, რომ ლაშა-გიორგის მიჰქონდა იერუსალიმში დედის ნეშტი, მაგრამ ფაქტია, რომ ის იქ აღარ ჩავიდა საქართველოში მონღოლების შემოსევის გამო. აქ საეჭვო არაფერია. ვარაუდი, რომ ლაშა შეძლებდა რამენაირად დედის სურვილის შესრულებასო, სამეცნიერო იერს მოკლებულია“. *ნუცუბიძე შ., რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, თბილისი, 1961, 41-42*. შ. ნუცუბიძის მოსაზრების კრიტიკა იხ. ლოლაშვილი ივ., თამარ მეფის აკლდამა გელათში, 34-36.

⁴ ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ გიორგი ლაშა მართლაც შეასრულებდა დედის ანდერძს, რომელიც მისი აზრით, გარდაიცვალა 1207 წლის 18 იანვარს. სამი წლის შემდეგ (1210 წ.) დედის ნეშტი ამოაღებინა და მისი იერუსალიმში გადასვენება სურდა. ომიანობის გამო, ნეშტი მცირე ხნით ვარძიის მონასტერში დაასვენეს. „შერჩეულ დროს (იგი), – წერდა ს. კაკაბაძე, – (ნეშტი – ე. მ.) გაგზავნილი იქნებოდა იერუსალიმში, სადაც მას, თამარის ანდერძის თანახმად, დაკრძალავდნენ ეგრეთ წოდებულ ქრისტეს საფლავთან. თამარის აკლდამა კი გელათის მონასტერში დარჩა ცარიელი“. კაკა-

ჯვაროსანი რაინდის წერილს, მასში გადმოცემულ სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ ამბებთან ერთად, ჩვენთვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იქ ლაპარაკია თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენების შესახებ და ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ შეიძლება მისი გარდაცვალების თარიღის დადგენაც¹.

ივ. ლოლაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ყველა იმ მკვლევარის მოსაზრება, რომლებიც სერიოზულად უყურებენ გ. დე ბუას გადმოცემას თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ. „რა ითქმის ამ მოსაზრებათა შესახებ?“ – კითხულობს ივ. ლოლაშვილი და იქვე იძლევა პასუხს: „– ზოგადად ის, რომ ისინი ბევრად არ ჩამოუვარდებიან თავიანთი დამაჯერებლობით ზემოგანხილულ ხალხურ თქმულებებს. უპირველესად ეჭვს იწვევს ანდერძის შინაარსი, რომელსაც გვაცნობს გ. დე ბუა. წარმოუდგენელია, სათნოსა და თავმდაბალ თამარს შვილისათვის ანდერძად დაეტოვებინოს: როცა მოკვდები, ჩემი ცხედარი უფლის (ანუ ქრისტეს) საფლავის ახლოს დაეკრძალათ, და თექვსმეტი წლის ლაშა-გიორგის კი გადაეწვიტოს მისი აღსრულება „ურწმუნოთა ნება-სურვილის მიუხედავად“. თამარის უკანასკნელი სიტყვები ცნობილია კარგად. თუ მომაკვდავი მეფე იერუსალიმში დაკრძალვის სურვილს განაცხადებდა, ამას თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსი უეჭვე-

ბაძე ს., ერთი საკითხი საქართველოს ისტორიიდან, ინდუსტრიული ქუთაისი, 1940, №286; შ. ამირანაშვილის ჰიპოთეზაც დაახლოებით ასეთივეა. იგი თამარის ნეშტის იერუსალიმში გადასვენებას უჭერს მხარს. ამირანაშვილი შ., შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1961, №4, 360-363; ვ. ჩაჩანიძე გ. დე ბუას წერილზე დაყრდნობით ავითარებს მოსაზრებას, რომ მონღოლების შემოსევის წინ თამარის ცხედარი იერუსალიმში გადასვენეს. ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974, 26-31; ლ. ტუხაშვილიც ფიქრობდა, რომ „ლაშა-გიორგიმ მეფე-დედის ანდერძი ნამვილად შეასრულა“. ტუხაშვილი ლ., ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I. ბაგრატ III-დან გიორგი V ბრწყინვალემდე, თბილისი, 1994, 229-230; ამავე მოსაზრებისაა ჯ. ვათეიშვილიც. Ватейшвили Д. Л., Грузия и европейские страны. Т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, кн. I, 2003, 148-149.

¹ პ. პარი – 1202 წელი დე ბუას წერილის დაწერის დრო (Histoire littéraire de la France, a Paris, 1847, 783); მ. ბროსე – 1212 წ. ავალიშვილი – 1207-1208 (ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 100); თ. ნატროშვილი, გ. ჯავარიძე: წერილში აისახა 1210 წლის ამბები, წერილი უნდა დათარიღდეს 1211 წლით (ნატროშვილი თ., ჯავარიძე გ., ცდა ერთი თარიღის დადგენისა, 168-169).

ლად იტყოდა. ახლა კი გამოდის, რომ პალესტინაში მყოფ ფრანგ რაინდს, რომელმაც არც კი იცის ლაშა-გიორგის სახელი, სცოდნია თამარის სიკვდილის-წინეთი ანდერძი, ხოლო იმ მემბტიანეებს, რომელთაც დაწვრილებით აღწერეს თამარის ცხოვრება, ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ! განა ეს დასაჯერებელია?!¹

ივ. ლოლაშვილს ხელთ რომ ჰქონებოდა ზემოთ მოყვანილი სხვა წერილები, დარწმუნებული ვარ, ასეთი მკაცრი არ იქნებოდა გ. დე ბუას წერილში გადმოცემული ამბის (თამარის იერუსალიმში გადასვენების) გამზიარებლების მიმართ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ნდობა უნდა გვექონდეს ქართული ნარატიული წყაროების მიმართ, რადგან რასაც ისინი მოგვითხრობენ (თამარ მეფე რომ გელათის მონასტერში დაიკრძალა) დასტურდება გელათში დღესაც არსებული ე. წ. სამხრეთის ანუ თამარის ეკვდერით, რომელიც ქართულ წერილობით წყაროსთან შესაბამისობაში მოდის, მაგრამ თამარ მეფის ნეშტი მისთვის განკუთვნილ სამარხში არ არის. და რატომ არ არის ამის გარკვევაში დაგვეზარება უცხოური წყაროები, რომელთა მიმართ უნდობლობის გამოცხადება სამართლიანი არ იქნება იმის მიზეზით, რომ ისინი შესაბამისობაში არ მოდის ქართულ ცნობებთან. მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ განა მცირე რამ ვიცით დასავლური და აღმოსავლური წერილობითი წყაროების მიხედვით, რომლებიც ჩვენს წერილობით ძეგლებში არ აისახა?

* * *

ფაქტია, რომ თამარის განსასვენებელი საქართველოში არ იძებნება, იგი არ აღმოჩენდა ქართულ ისტორიულ წყაროში მითითებულ ადგილას, მაშინ როდესაც ბასილი ეზოსმოდღვრის თხზულებაში დამაჯერებლად არის გადმოცემული როგორ წაასვენეს იგი და დაკრძალეს გელათის მონასტერში².

¹ ლოლაშვილი ივ., თამარ მეფის აკლდამა გელათში, 34. მკვლევარი შემდეგში კიდევ რამდენჯერმე ვეთავაზობს ჯვაროსანი რაინდის წერილს და ამბობს: „ასე, რომ გ. დე ბუას წერილის „ანდერძი“ პაერზეა გამოკიდებული და მასში ისტორიული სინამდვილის ნატამალიც კი არ მოიპოვება“. იქვე, 35.

² ჯ. სამუშიამ, იმის დასამტკიცებლად, რომ თამარ მეფე ნამდვილად გელათში დაკრძალეს და იგი არსად გადუსვენებიათ, თავი მოუყარა ყველა იმ წყაროს, რომლებიც ამ პრობლემასთან რაიმე კავშირშია და საინტერესო

იმ საფლავში, რომელიც ტრადიციის მიხედვით, თამარისთვის იყო განკუთვნილი, ნეშტი არ აღმოჩნდა. სრული უფლება გვაქვს იგი ვეძიოთ იქ, სადაც რაიმე მინიშნება გაგვაჩნია. უფრო მეტიც, თუ კი ასეთი მინიშნება არსებობს უცხოურ წერილობით წყაროებში და მოღწეულია საინტერესო მატერიალური ძეგლიც, როგორც არგუმენტების გასამყარებელი მონაცემი, კვლევა იძენს ობიექტურ რეალობასთან მიახლოებულ სახეს.

ჯერ წერილობითი ცნობები განვიხილოთ.

3. წერილობითი ცნობების რეინტერპრეტაცია

ქართული ნარატიული წყაროების ანალიზის საფუძველზე ლ. ტუხაშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „უკვე 1222 და 1245 წლებში თამარის ნეშტი აღარ იყო გელათში“. მკვლევრის ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ როდესაც გარდაიცვალა ლაშა გიორგი „იგი დამარხეს საფლავსა მამისა მისისასა“. ისტორიკოსის ეს ნათქვამი უცნაურია იმიტომ, რომ გიორგი-ლაშა იყო თამარის ძე და არა დავითის ძე. „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მემატთანეს ხაზი გაესვა არა გვირგვინოსანი დედისათვის, არამედ, მართალია, ბაგრატიონთა გვარის ოვსთა მეფის ძის, მაგრამ არა ქართველთა მეფის სახელისათვის. აქ რომ „მამისა“ მხოლოდით რიცხვში არ იყოს, მაშინ დასაშვებია, რომ იგულისხმებოდა „მამათა“ – ე. ი. წინაპართა სამარხი... თუნდაც ლაშა-გიორგის სახელისათვის ისტორიკოსი აუცილებლად აღნიშნავდა მეფის სახელოვანი დედის დაკრძალვის ფაქტს“¹. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველ ისტორიკოსს გიორგი-ლაშას გელათში დაკრძალვის დროს თამარის საფლავი იქ აღარ ეგულებოდა. ასევე არ მოიხსენიება თამარ მეფე, მისი ასულის, რუსუდანის გელათში დაკრძალვის დროს². როგორც გიორგი-ლაშას მიერ პაპის ლეგატის, კარდინალ პელაგიუსისათვის გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, თამარ მეფეს დაუტოვია ანდერძი, რომელშიც გამოთქმული იყო წმ. მიწაზე დაკრძალვის სურვილი. რადგან ანდერძი არსებობდა (ფვიქრობ, არ არსებობს ეჭვის საფუძველი), მაშინ საინტერესოა

მოსაზრებანიც შემოგვთავაზა. იხ. მისი, თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება.

¹ ტუხაშვილი ლ., ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I, 225.

² ქართლის ცხოვრება, II, 267.

როდის, როგორ და სად შეიძლებოდა მისი სისრულეში მოყვანა?

4. მშვიდობიანი გზის ძიება მეფე თამარის იერუსალიმში გადასვენებისათვის

ა) თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენების საკითხი გიორგი-ლაშას კარზე უნდა მდგარიყო თამარის გარდაცვალების დღიდან, მაგრამ ამისი განხორციელებისათვის აუცილებელი იყო შესაფერისი ვითარება. თუ გადაწყდებოდა გადასვენება სახმელეთო გზით, მაშინ გასათვალისწინებელი იქნებოდა საქართველოს სამეზობლო მუსლიმანურ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური ვითარება და ისიც, როგორ ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართველი მეფე მეზობელ მუსლიმან მბრძანებელთან. ვფიქრობ, ყველაზე ხელსაყრელი ვითარება თამარის ანდერძის სისრულეში მოყვანისათვის, შეიქმნა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როდესაც საქართველოს მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების ყურადღება და შეიარაღრებული ძალები მიმართული იყო ეგვიპტისაკენ, მუსლიმანთა უმთავრესი დასაყრდენისა წინა აზიაში. მას ჯვაროსნები უტევდნენ და მისი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ქალაქი დამიეტა ჯერ ალყაში მოაქციეს, შემდეგ კი დაეუფლნენ კიდევც. ეს არის 1218-1220 წლები. ეს ის პერიოდია, როდესაც გიორგი-ლაშას და მის სახელმწიფოს ანგარიშს უწევდნენ საქართველო-იერუსალიმს შორის არსებული მუსლიმანური სახელმწიფოები.

საქართველოს მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა აიუბიანთა ხლათის სახელწიფოსთან, 1210 წელს დადებული 30-წლიანი საზავო ხელშეკრულებით. ხლათის გამგებელი ალ-აშრაფი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო საქართველოს მეზობელ მუსლიმან გამგებელთა შორის და წარმართავდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკას¹.

ბ) ხლათთან კარგი ურთიერთობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო დასახული ამოცანის სისრულეში მოყვანისათვის იმ შემთხვევაში თუ მოგზაურები სახმელეთო გზით ისარგებლებდნენ². რადგან ქართველები ახერხებდნენ თავიანთი ელ-

¹ ნატროშვილი თ., ჯაფარიძე გ., ცდა ერთი თარიღის დადგენისა, 80-81; ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, 170-174.

² როგორ პირობებში უხდებოდათ ხმელეთით მგზავრობა იერუსალიმს მიმავალ ქართველებს შუა საუკუნეებში, ამის შესახებ ზოგიერთ ცნობას ვნახულობთ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში: ბაგრატ IV-ის დედას დე-

ჩების გაგზავნას ეგვიპტეში, კონკრეტულად დამიეტასთან მყოფ ჯვაროსნებთან, ისინი იმასაც მოახერხებდნენ, ძვირფასი ტვირთი ხმელეთით თუ არა ზღვით მაინც, პალესტინაში ზღვის სანაპირომდე მიეტანათ. იქიდან კი იერუსალიმამდე მისვლა გაადვილებული იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ წმ. ქალაქში ქრისტიანებს და, მათ შორის, ქართველებს საკმაოდ დიდი გავლენა

დოფალ მარიამს განუზრახავს „წარსვლად წმიდად ქალაქად იერუსალიმად ღოცვად და თაყვანისცემად წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა“. ის ანტიოქიაზე გავლით აპირებდა წმ. ქალაქში მისვლას, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქმა და მთავარმა, გიორგი მთაწმინდელის თანხმობით, გადაწყვიტეს დედოფალი არ გაეშვათ, რადგან მუსლიმანთა ქვეყანაზე გავლა სახიფათო იყო და დედოფალიც დაიყოლიეს. მარიამმა გიორგის დაავალა, რომ „საფასე იგი, რომელი საგზლად აღეკაზმა, წარიღოს იგი იერუსალიმად და გლახაკთა მას და დაურდომილთა განუყოს წმიდისა ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოდსა მისა“ (ქართული მწერლობა, II, თბ., 1987, 97). გიორგიმ „წმიდად ქალაქად მშვიდობით და უვნებლად მიიწია“ და დედოფლის დავალება შეასრულა. ის კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა.

მეფე ბაგრატ IV-მ და დედოფალმა მარიამმა გიორგი მთაწმინდელი საქართველოში მიიწვიეს. გიორგიმ განიზრახა უმოკლესი სახმელეთო გზით – ანტიოქიიდან (ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო) სელჩუკთა სასულთნოზე გავლით – საქართველოში დაბრუნებულყო. მაგრამ ანტიოქიიდან მდ. ეფრატთან მისულმა შეიტყო, რომ „თურქთა დაუპყრეს ყოველი შუამდინარე და ისაური და საბერძნეთი... შევიქციეთ მიერ და სევასტიით კერძო მივიდოდეთ. გვეგონა, ვითარმედ მათ კერძოთა მშვიდობად არს. ხოლო უწინარეს ჩვენსა მისრულ იყვნეს თურქნი და აელო ქალაქი იგი და დაეწვა. და ჩვენ არად უწყოდეთ და მივიდოდეთ და კინდა მცირედ ხელთა მათთა შთავარდებოდეთ... ესრეთ შევიქციეთ და მათთა მივჰმართეთ და დიდითა შრომითა და დღე და ღამე სღვითა კესარიად (ქალაქი ანატოლიაში – ე. მ.) მოვედით. და მუნით წარმოვედით და ზღვასა მოვჰმართეთ, რამეთუ ხმელთა არღარა ეგებოდა. და ნებითა ღმრთისადათა ეგხაიტს (შავი ზღვის სანაპიროზე სინოპის დასავლეთით. იხ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, 98) მოვიწიენით... და ესრეთ გამოვედით მიერ და მოვიწიენით სამისონს, ქალაქსა ზღვის კიდისასა. და მუნ განვეიდენით სახედარნი ჩვენნი და ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა და კეთილითა და ჰამოითა ნიავეთა მივიწიენით ფოთს და მიერ სახედრითა ქუთათისს ჟამსა სოვლისასა (შემოდგომა – ე. მ.)“ (ქართული მწერლობა, II, თბ., 1987, 107). მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, როგორ გავლენას ახდენდა პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა მგზავრთა გადაადგილებაზე. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა XIII-XV საუკუნეებში, როგორც იმდროინდელი მასალებიდან ვიგებთ, ხორციელდებოდა ზღვითა და ხმელეთით. საქართველო-იერუსალიმის დამაკავშირებელი გზების შესახებ ვერცლად იხ. მამისთვალიშვილი ე. საქართველოს და პალესტინის დამაკავშირებელი გზები. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული №3, გორი, 2007, 51-54.

ჰქონდათ (კვლავ შეიძლება გავიხსენოთ იერუსალიმის ხალხმრავალი ქართული თემის აღშფოთება და მუქარა წმ. ქალაქის გალაგნის დანგრევით გამოწვეული ხიფათის გამო). სავარაუდოა, საქართველოს ხელისუფლების კარდინალ პელაგიუსთან დამიეტაში მოლაპარაკების ერთ-ერთი მიზანი თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენებაში ხელის შეწყობა იყო.

ვფიქრობ, მოლაპარაკებას, თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენებისათვის მშვიდობიანი გზის შესახებ უნდა ასახავდეს „პასუხი მეფე დაითოს, აფხაზის პატრონს უზენაესი ბრძანება უდიდესი მეფისა; აღზევებული ხელმწიფისა; უმოწყალესი კეისრისა... – თქვენს მონას და იმ ძველთაძველი [სასახლის] ზღურბლისა და კურთხეული გვარის... იმთავითვე მლოცველს მოუვიდა (წერილი – ე. მ.); აკოცა, თხემზე დაიდვა და თვალებზე გაისვა; მისი განდიდებით მონობის ადგილზე დადგა; მისი დედააზრი *ამოკითხულ იქნა, მეგობრობისა და ერთგულების საიდუმლოებანი – გაგებული*. მოწყალებას მინდობისას, რომელიც იმ [თქვენი] საგვარეულოს მლოცველი ამ მონის მიმართ გამოიჩინეთ, მონა მორჩილმა [თქვენი] დალოცვით, ქებითა და მადლოებით უპასუხა...

მოწყალებანი, რომლითაც *უბიწოების საფარველის, თვალისსაწიერთა დედოფალთ დედოფლის მიმოწერის თაობაზე განმარტება მოგვცა*, ეჭვი არ არის, მოთხოვნა იმ უბიწოს სისპეტაკისა იმაზე მეტია, რითაც მეფური უზენაესობითა და ხელმწიფური დიდებულებით მონებს შეიძლებოდა ჩვენებოდა; და პატიოსანი წარმოშობით, ვრცელი გონებით, მტკიცე რჯულითა და პირისგათავებით ის პატრონი, უბიწოების საფარველი, უცნობი არ არის, რადგან ის გვარი ჩინებული თვისებებითა და ღირსეული წარმატებებით ცნობილია. ღმერთმა... ჩვენ, მონებს, იმ უბიწოების საფარველის ხელმწიფურ საქმიანობათა საზღაურად მასზე ღოცვის დროს შემწეობა უხვად მოგვანიჭოს და ზაკვათა უბედურებათაგან დაგვიფაროს, რათა რაც დღე გავა, [ჩვენ] მონობაში მყოფთ, *წერილი მეტი ვიკითხეთ და ჩვენდა სასიკეთოდ ყოველ წუთს პატივითა და მოწიწებით დავიცვათ, რადგანაც სამსახური მისი უდიდესი შენოვნებისა და დიდებული აკვნისა რუმის კლიმატის ხალხებისგან... გარდაუვალია და აუცილებელი*.

მითითება, რომელიც გორჯესთანის მეფეებთან [ჩვენს] თხოვნათა გამო იყო ნაბრძანები, მეფური წყალობისა და ხელმწიფური დარიგების მომხიბლევობისაგან დაშორებული არ ყოფილა. პასუხად ჩვენგან ქება, ხოტბა, შესხმა და *ღოცვა-კურთხევა იმ საიდუმლოების დაცვით მიიღეთ*. შემდეგ ში მიმოწერათა

შარა, გზავნილებათა სავალი და თხოვნათა გზა გაკაფული ჰქონიათ და [ურთიერთობის] განახლებისა და გაცხოველების საქმე დროების შესაბამისად და *ამ ძველ გვართან ნიადაგი კავშირის ხარისხი გამოჩენილი (აშკარა) ყოფილა მამა-პაპისაგან და წინაპართაგან და ანდერძით განსვენებული დედოფლისა...* უმაღლესი საკრებულოს ეს გვარი, წინაპართა კვალზე, იმ გვარის რჩევებს საზღაურად აქვს... *აწიც მიმოწერისა და კავშირის გზა გახსნილად იგულებოთ, ვინდლო ახალ-ახალი საქმენი გაუწყლოთ და საჭიროებისამებრ წერილის მოწერა არ დაგვიძვიროთ, რათა მის შესრულებას მაშინვე შევედგეთ*, მაღალმა უფალმა ინებოს!¹

საინტერესოა, წერილის ქართულ ენაზე მთარგმნელის მ. თოდუას შენიშვნები, რომელთა მიხედვით, ადრესატი არის არა დავითი, არამედ გიორგი-ლაშა, წერილი დაწერილი უნდა იყოს 1210-1219 წლებს შორის (1210 – ლაშას გამეფების წელი, 1219 – კრებულის შედგენის წელი). აღნიშნულ პერიოდში რუმის სულთანი არის 'ეზზ ელ-დინ ქაღქავუსი, რომელიც წერილს უგზავნის ლაშას². ჩემი აზრით, „პასუხი მეფე დავითს, აფხაზის პატრონს“ დაწერილი უნდა იყოს მეხუთე ჯავაროსნული ლაშქრობის დაწყებიდან (1217 წ.) 1219 წლამდე პერიოდში.

მ. თოდუას სწორი მოსაზრებით, წერილში მოხსენიებული განსვენებული დედოფალი უნდა იყოს თამარი: „ამავე დროს, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ისიც, – წერს მ. თოდუა, – რომ პირველ წერილში მოხსენიებულია ვინმე განსვენებული დედოფალი, რომელიც ამ დავითის ახლობელი ჩანს. ეს დედოფალი ისეთი პოლიტიკური ფიგურა ყოფილა, რომ მისი ანდერძის შესრულება, როგორც ქართველი მეფის, ასევე წერილის გამომგზავნისათვის საპატიო საქმედაა მიჩნეული. საეჭვოა, ასეთი სტატუსის მქონე ყოფილიყო რომელიმე ქართველი მეფის მეუღლე. აქ მეფე-ქალზე უნდა იყოს ლაპარაკი“³.

მეორე ქალი, რომელიც ნახსენებია რუმთან კავშირში, არის თამარის ასული რუსუდანი. იგი ჯერ გათხოვილი არ არის.

¹ XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები. ქართულ-სპარსული ეტიუდები, III. ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაგალი თოდუამ, თბილისი, 1979, 5-6.

² XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები, 33. ლ. ტუხაშვილის ვარაუდით, წერილი დაწერილი უნდა ყოფილიყო 1207-1210 წლებში. ტუხაშვილი ლ., ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I, 230.

³ XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები, 31.

სრულიად მართებულად მიმაჩნია მ. თოდუას ვარაუდი, რომ წერილში არეკლილი იყოს რუსუდანის არზრუმის ამირა თოდრილის შვილზე გათხოვებისათვის შემზადება¹.

ამგვარად, თამარ მეფის ანდერძის სისრულეში მოყვანისათვის, მისი ნეშტის იერუსალიმში გადასვენებისა და იქ დაკრძალვისათვის, პირობები მომზადდა. განზრახვის განხორციელებისათვის არსებობდა უხიფათო საზღვაო და სახმელეთო გზები. ნიშანდობლივია წერილის ბოლოს გ. დე ბუას ნათქვამი: ქართველმა მეფემ „დააპირა მისი (დედის – ე. მ.) (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით და უნებლიეთ“, ე. ი. გიორგი-ლაშა, საჭიროების მიხედვით, ზოგ მუსლიმან მბრძანებელს შეუთანხმდა (როგორც ციტირებული წერილიდან ჩანს, ერთ-ერთი ასეთი ყოფილა რუმის მბრძანებელი), ხოლო ვისი თანხმობა აუცილებელი არ იყო, მისთვის არაფერი უკითხავს.

5. თამარ მეფის საფლავის გასაიდუმლოების აუცილებლობა

ივ. ლოლაშვილს და ზოგიერთ სხვა მკვლევარსაც, გ. დე ბუას მონათხრობი დაუჯერებლად იმიტომ მიაჩნდა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც თამარის ნეშტის გელათიდან იერუსალიმში გადასვენება იყო, ქართულმა ნარატიულმა წყაროებმა არ შემოგვინახეს. ივ. ლოლაშვილი წერს: „თუ ლაშა-გიორგი ქართველთა ლაშქრით იერუსალიმში ჩავიდა დედის ანდერძის შესასრულებლად, ამას კი უეჭველად იტყოდა ჯერ ლაშას დროინდელი მემკვიდრე, ცოტა მოგვიანებით კი უამთაადმწერელი, რომელთაც აღწერეს ლაშა-გიორგის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ როგორც ცნობილია ეს ისტორიკოსები თამარის ნეშტის გადასვენებასა და იერუსალიმში ლაშას ჩასვლაზე ხმას არ იღებენ. რატომ? იმიტომ, რომ თამარი დაკრძალეს გელათში და იქიდან არავის გადაუსვენებია“². ჩემი მხრივ კიდევ იმასაც დაგუმატებ, რომ ზემოთ დასახელებული ქართული საისტორიო თხზულებების გარდა, საინტერესო საკითხი არ აისახა რუსუდან მეფისა და ივანე მხარგრძელის წერილებში რომის პაპს ონორიუს III-ს რომ გაუგზავნეს 1223 წელს. მეფისა და მისი სპასალარის წერილებში გადმოცემულია გიორგი-ლაშას

¹ XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები, 32-33. რუსუდანის მეფედ კურთხევის შემდეგ, მის საქმრო კანდიდატებს შორის სამეფო დარბაზმა თავისი არჩევანი რუმის სასულთნოს მფლობელის შვილზე, მოღის ედ დინზე შეაჩერა.

² ლოლაშვილი ივ., თამარ მეფის აკლდამა გელათში, 38.

მზადყოფნაზე თავისი შეიარაღებული ძალით დაეხმაროს ჯვაროსნებს იმ დროს, როდესაც ისინი დამიეტას დაპყრობას ცდილობენ; ნათქვამია იმ მიზეზზე, რომელმაც ხელი შეუშალა განზრახვის სისრულეში მოყვანაზე. კერძოდ მონღოლების საქართველოში შემოჭრაზე¹. მაგრამ წერილებში არაფერია აღნიშნული გიორგი-ლასას განზრახვაზე თამარის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ, მოყვანილი იქნა თუ არა იგი სისრულეში. ვფიქრობ, ასეთი მდგომარეობა არც უნდა იყოს საკვირველი, რადგან 1220 წლიდან 1223 წლამდე განვლილ პერიოდში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთშიც. *თუ დავუშვებთ, რომ თამარის ნეშტი უკვე გადაასვენეს იერუსალიმში, შეცვლილ ვითარებაში, ამ ფაქტის გასაიდუმლოება აუცილებელი იყო. იერუსალიმში დაკრძალული თამარ მეფის ნეშტი, არაკეთილმოსურნეების მიერ საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედების იარაღად გამოყენება არ იყო გამორიცხვადი. საშიშროება კიდევ მეტად გაიზარდა მას შემდეგ, როდესაც მონღოლების მიერ დაპყრობილი საქართველო თავისი ჯარით იძულებით მონაწილეობდა დამპყრობლის მიერ ახლო აღმოსავლეთში წარმოებულ ომებში. ამდენად, ეგვიპტისა და პალესტინის მბრძანებლების მიერ ქართველები განიხილებოდნენ როგორც მონღოლთა მოკავშირეები. ამის გამო სრულად მოსლოდნელი იყო შურისძიების მიზნით იერუსალიმში დაკრძალული თამარის ნეშტით მანიპულირება. ამ მომენტს, საფიქრალია, ქართველი პოლიტიკოსები, კარის ისტორიკოსები და ინფორმაციის გამავრცელებლები ყოველთვის ითვალისწინებდნენ².*

6. გ. დე ბუას წერილის ვერსიები თამარ მეფის საბოლოო განსასვენებლის მინიშნებით

გ. დე ბუას წერილში გადმოცემული ცნობა თამარ მეფის წმინდა ქალაქში გადასვენების შესახებ სხვადასხვა ვერსიის გაჩენის საფუძველი გახდა, მით უმეტეს, რომ ის სხვა წყაროებთან შედარებით ადრევე გახდა ცნობილი. რადგან თამარის ნეშტის

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902, 7-9.

² ივ. ლოლაშვილს გ. დე ბუას მონათხრობი დაუჯერებლად იმიტომ მიაჩნდა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც თამარის ნეშტის გელათიდან იერუსალიმში გადასვენება იყო, ქართულ წყაროებში არ აისახა.

ბედი გვაინტერებს, ერთხელ კიდევ გადავხედოთ დე ბუას ზემოთ ციტირებული წერილის შესაბამის ადგილს: „ამ ახალგაზრდას მიაქვს დედამისის – უძლიერესი დედოფლის თამარის ძეგლები, ვინაიდან (თამარს) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა, იერუსალიმში წასულიყო და მისი ძეგლები უფლის საფლავის ახლო დაეკრძალა. დედის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება და დედის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნება-სურვილის მიუხედავად“¹.

ცნობილ ქართველ კათოლიკე მოღვაწეს და მეცნიერს მიქელ თარხნიშვილს ვატიკანის ფონდებში უნახავს უცნობი ჯვაროსანი მხედრის (უნდა ვიგულისხმოდ გ. დე ბუა) მიერ დაწერილი ერთი საბუთი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „მონღოლების საქართველოში შემოსევის წინა პერიოდში *იერუსალიმში გადაასვენეს თამარ მეფის ცხედარი და წაიღეს სამეფო სახლის განძეულობა*. ცხედარს მიასვენებდა ქართველთა ლაშქარი ახალგაზრდა უფლისწულის წინამძღოლობით. ჯვაროსანთა ტერეტორიაზე მისულ *პროცესიას და ლაშქარს წინ შეეგებნენ ჯვაროსნები, მიუსამბიძრეს და პატივით გააცვილეს. ქართველებმა უზიფათოდ მიაღწიეს იერუსალიმს და თამარ მეფის ცხედარი დაკრძალეს ქართველთა მონასტერში*“².

არსებობს გ. დე ბუას წერილის კიდევ ერთი ინტერპრეტაცია: „თამარს სიცოცხლეში აღთქმა მიეცა იერუსალიმად წასვლისა; და *მიიცვალა-რა, ახლა შეიღმა მისმა დედოფლის ძეგლები წამოიღო და ძლევათსილი ლაშქრით წამოვიდა წმინდა ქალაქის მისაღწევად და სარკინოზთა შესამუსრავად, რათა დედა მისი ცოცხალი თუ არა, მიცვალებული მაინც შესულიყო იერუსალიმს*“³.

¹ ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, 28.

² ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974, 26.

³ Histoire littéraire de la France, ouvrage commence par des religieux Benedictions de la Congregation de Saint-Maur et continué par des Membres de l'Institut (Académie des Inscriptions et Belles-Lettres). T. XXI. Suite du treizième siècle, depuis l'année 1296. suppléments. A Paris, 1847; Regesta Regni Hierosolymitani (MXCVII-MCCXCI) edidit Reinhold Rörich. Oenipont, 1893, 233-234.

ჩანს, რომ ამონარიდები მოკლე შინაარსია გ. დე ბუას იმ ვრცელი წერილისა, რომელიც მოთავსებულია „ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში“, ხოლო მისი ლათინური დედანი კი რეინოლდ რორიხტმა გამოაქვეყნა. შედარებისათვის მოვიყვან ამ წერილის ქართული თარგმანის მხოლოდ იმ ადგილს, რომელიც თამარის ცხედრის იერუსალიმში გადასვენებას ეხება: „გავიგეთ და სანდო მაცნეთა წყალობით ჭეშმარიტად მივითვალეთ, რომ ვიღაც ქრისტიანები იბერიიდან, რომელთაცა გეორგენებს (ქართველებს) უწოდებენ, ღვთის შემწეობით შეგონებულნი, უთვალავი მემორებით უშიშრად აღსდგნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ... სახელგანთქმული მათი თექვსმეტი წლის მეფე მსგავსია ალექსანდრესი (მაკედონელისა) ... ამ ახალგაზრდას მიაქვს დედამისის – უძლიერესი დედოფლის თამარის ძვლები, ვინაიდან (თამარს) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა იერუსალიმში წასულიყო და მისი ძვლები უფლის საფლავის ახლო დაეკრძალა. დედის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება და დედის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნებასურვილის მიუხედავად“.

სხვადასხვა პირის მიერ ერთი წყაროდან ამოღებული ეს სამი ცნობა იმ თანმიმდევრობით მოვიყვანე როგორც ვ. ჩაჩანიძის წიგნშია. ისინი შინაარსობლივად რომ დავაღვათ, მაშინ, ჯერ უნდა იყოს მეორე და მესამე, ბოლოს კი, პირველი. მეორეში გადმოცემულია მისი ავტორისათვის ბუნდოვანი ცნობა, მაშინ როდესაც მესამეში უკვე ვხედავთ გადმოცემული ამბის გარკვეულ დეტალებს. მიქელ თარხნიშვილის მონათხრობში კი ამბავი დასრულებულია, ე. ი. თამარის ცხედარი მიტანილია იერუსალიმში, აღნიშნულია, როგორ შეხვდნენ ჯვაროსნები სამგლოვიარო პროცესიას და როგორ დაკრძალეს თამარ მეფის ნეშტი „ქართველთა მონასტერში“.

ეს უკანასკნელი ცნობა (თამარ მეფის ნეშტი რომ „ქართველთა მონასტერში“ დაკრძალეს) გახდა იმის მიზეზი, რომ რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წინამძღვარმა ალბერტო ფორომ, როდესაც ის, 1946 წელს, იერუსალიმის კათოლიკეთა პატრიარქად დანიშნეს, მიიწვია იტალიელი არქეოლოგი პ. ვირჯილიო კორბო და გათხარა იერუსალიმის უდაბნოში ქართული მონასტრის სავარაუდო ადგილი¹.

¹ ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, 26.

ზემოთმოყვანილი ამონარიდები ცხადყოფს, რომ თავდაპირველად განზრახული იყო მეფე თამარის ნეშტის დაკრძალვა უფლის საფლავის ტაძრის სიახლოვეს, მაგრამ სინამდვილეში, როგორც მ. თარხნიშვილის ხელთ არსებულ ცნობაში არის აღნიშნული, დაკრძალეს წმ. ჯვრის მონასტერში, რაც თავისთავად კითხვებს ბადებს.

ვიდრე თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენებაზე საუბარს გავაგრძელებდეთ, მანამდე უნდა ითქვას შემდეგი: სავარაუდოა, რომ ალბერტო ფორო და პ. ვირჯილიო კორბო, მიქელ თარხნიშვილის დახმარებითა და კონსულტაციით, გაეცნობოდნენ ქართულ და არაქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ აზრს, თითქოს „ქართული მონასტერი“ მდებარეობდა ბეთლემის მახლობლად. გათხრების შედეგად მართლაც აღმოჩნდა ქართველთა ტაძრის ნაშთი, მაგრამ იგი სინამდვილეში ეკუთვნოდა ლაზთა მონასტერს¹. მაშასადამე, „ქართველთა მონასტერი“, როგორც მრავალჯერ ვცადე დამემტკიცებინა², იყო წმ. ჯვრის მონასტერი, სადაც მკვლევარებს უნდა მოეძებნათ თამარ მეფის საფლავი.

„დადგენილად უნდა ჩაითვალოს – წერდა შ. ამირანაშვილი, რომ თამარის აკლდამა (გელათში – ე. მ.) დიდი ხნის განმავლობაში ცარიელი ყოფილა. თანახმად წესისა, ყოველწლიურად, თამარ მეფის გარდაცვალების დღეს – 18 იანვარს ახდიდნენ ფიქალს აკლდამას და თამარ მეფის მოსახსენებლად პანაშვიდს გადაიხდიდნენ. ეს ფაქტი დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებით. ამიტომ ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფრანგი რაინდის ცნობა ლაშა გიორგის შესახებ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს“³.

შ. ამირანაშვილი ითვალისწინებდა რა თამარის და გიორგი-ლაშას დროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო ძლიერებას, თვით გიორგი ლაშას პიროვნულ თვისებებს, წერდა: „ყველაფერი ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ გიორგი ლაშამ განახორციელა დედის უკანასკნელი წადილი, მან უთუოდ

¹ იხ. მამისთვალისშივილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 85-88.

² მამისთვალისშივილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 76, 80; მისივე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, თბილისი, 2003, 11-14, 16; მისივე, კიდევ ერთხელ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსების შესახებ. Bulletin of the AGIBAS. American-Georgian Institute of Biblical and Archeological Studies, №8, Tbilisi State University-Cornell University, 2010-2011, 101-104, 106.

³ ამირანაშვილი შ., შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში, უკრნ. საბჭოთა ხელოვნება, 1961, №4, 65.

შეარჩია დრო და, ქართული მხედრობის დახმარებით, მიიტანა დედის ცხედარი იერუსალიმში და დაკრძალა იგი ქრისტეს საფლავთან, ვინაიდან ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო გადმოცემაში, რომელსაც თვით ბერძნები, მათ შორის კონსტანტინე პორფიროგენეტი იზიარებდა, ქართველი ბაგრატიონები თავისი წარმოშობით და სისხლით დავით წინასწარმეტყველს და მაცხოვარს ენათესავებოდნენ... ეს გარემოება გასაგებად ხდის შოთა რუსთაველის მისწრაფებას იერუსალიმში, მისი ცხოვრების მიწურულში. ჯვრის მონასტრის სავანეში დიდი პოეტი პოულობს განსვენების ადგილს¹. შ. ამირანაშვილის მოსაზრების გამყარება შეიძლება თუ იერუსალიმში თამარის დგაწლით შექმნილ იმ ხელსაყრელ ვითარებასაც გავითვალისწინებთ, რომელზეც ზემოთ უკვე ითქვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თამარი თანამედროვეებს აკვირვებდა თავისი ღვთისმოსიანობითა და საღვთო საქმიანობით. ბასილი ეზოსმოდღვარი თამარის დახასიათებისას განსაკუთრებით გამოჰყოფს შემდეგს: „ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრიკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემატებოდა. ლოცვანი და ღამის თევანი, რომელნი პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საეჭუელ მიჩანს მეუღაბნოთაგანაც; ხოლო მარხვისათჳს რაღა ვთქუა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა და მამხილებელ უდებთა ერი პალატისა“². იმავე თხზულებაში აღნიშნულია თამარ მეფის დიდი ყურადღება საზღვარგარეთის წმინდა ადგილებისადმი, რომ მათ არ აკლებდა შესაწირავებს³. ამის გამო იყო, რომ თამარის ერთი მოსახსენებელი წმ. ჯვრის მონასტერში ჩაწერილია 27 იანვარს, თამარის გარდაცვალების დღეს, სხვები კი ყველა დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე⁴.

თამარ მეფის ისტორიის კომპეტენტური მკვლევარი რ. მეტრეველი, არასწორად მიიჩნევს ი. ლოლაშვილის მიერ თამარის იერუსალიმში გადასვენების შესაძლებლობის კატეგორიულად უარყოფას, მიაჩნია, რომ საფუძვლიანი შემოწმება სჭირდება არა მარტო უცხოურ (მხედველობაში აქვს გ. დე ბუას წერილი), არამედ იმ ქართულ ცნობებსაც, რომლებიც თამარის გელათში დაკრძალვაზე გადმოგვცემს. იგი დაასკვნის: „ამგვარად, უდავოა,

¹ ამირანაშვილი შ., შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში, 65.

² ქართლის ცხოვრება, II, 147

³ ქართლის ცხოვრება, II, 141

⁴ მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 53.

რომ მეფე თამარი დაიკრძალა გელათში და არ არის გამორიცხული, რომ დაკრძალვიდან რამდენიმე წლის შემდეგ იგი გადასვენეს იერუსალიმში“¹.

სავსებით მოსალოდნელი, გასაგები იყო და არის თამარის სურვილი, სხვა მრავალი მართლმორწმუნე ქრისტიანის მსგავსად, დამარხულიყო წმინდა მიწაზე, იქ სადაც ქართველებს საკმაოდ ხალხმრავალი თემი და მრავალი ეკლესია-მონასტერი ჰქონდათ.

7. ნივთიერი მასალა თამარ მეფის საგარაუდო საფლავიდან

ქართველმა მკვლევარმა ავთანდილ მიქაბერიძემ ირაკლი აბაშიძეს აცნობა, რომ 1980 წელს ათენში გაიცნო, წინამდებარე ნაშრომში მრავალჯერ ნახსენები ბერძენი არქეოლოგი ათანასიოს იკონომოპულოსი და მისგან გაიგო, რომ ჯვრის მონასტერში არქეოლოგიურ და სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელობისას მას ტაძრის მოზაიკური იატაკის ქვეშ, იატაკსა და მიწის ზედაპირს შორის დატოვებულ ერთი მეტრის სიმაღლის სივრცეში უნახავს რამდენიმე სამარხი. მარცხენა წინა სვეტის ქვეშ ყოფილა დიდი სამარხი, რომელშიც ესვენა ორი დიდებული ქალი. სამარხში აღმოჩნდა მიცვალებულთა სასთუმლის ქსოვილის ფრაგმენტი. როგორც წერილშია ნათქვამი, „დიდ გაკვირვებას იწვევს, საერთოდ მამაკაცი ბერების მონასტერში დიდგვაროვან მანდილოსანთა დასაფლავების ფაქტი, რომლის პარალელი არც თუ ისე ადვილი მოსაძებნია შუა საუკუნეების არქეოლოგიაში“².

მთავარი ეკლესიის იატაკქვეშ აღმოჩნდა ძველი ნეკროპოლი. სხვა საფლავთა შორის, საკურთხეველთან, მარცხენა სვეტის ქვემოთ დაკრძალულია ორი დიდებული მანდილოსანი, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება თამარ მეფე ყოფილიყო.

ი. აბაშიძეს, რომელმაც სხვა მეცნიერებთან ერთად დიდი ღვაწლი გასწია წმ. ჯვრის მონასტრის შესასწავლად, გასაგებია როგორი განცდა დაეუფლებოდა, როდესაც ა. მიქაბერიძისაგან ამ ინფორმაციას მიიღებდა. 1988 წ. სექტემბერში იგი ა. მიქაბერიძესთან ერთად ათენში ჩავიდა და ა. იკონომოპულოსი მოინახულა. არქეოლოგთან საუბრის შემდეგ ი. აბაშიძეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მკვლევარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ

¹ მეტრეველი რ., მეფე თამარი, 309.

² აბაშიძე ი., ფიქრები პალესტინაზე, თბ., 1989, 65-66.

მის მიერ მიკვლეულ ნეკროპოლში განისვენებდნენ, „საერო, სამოქალაქო, უმაღლესი წოდების, შესაძლოა სამეფო ოჯახიდანაც კი“. ისინი უსათუოდ სისხლით ნათესავეები უნდა იყვნენო, უთქვამს ა. იკონომოპულოსს, შემდგომ შეხვედრაზე, გამომშვიდობებისას დამატებით უთქვამს: „შესაძლოა ეს ნამდვილად მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების სამარხი იყოსო. მერე ისევ შემობრუნდა და ეს სიტყვა კიდევ გაავიმეორა. ისიც დაუმატა – ახლა მე რუსთაველის საფლავიც ვიციო... და წავიდა“. ა. იკონომოპულოსმა ქართველ სტუმრებს გახსნილი ნეკროპოლის სურათი გადასცა¹.

ა. იკონომოპულოსს განსაკუთრებით აკვირვებდა მამათა წმ. ჯვრის მონასტერში მანდილოსნების დაკრძალვა.

სურათზე ჩანს, და ი. აბაშიძეც აღნიშნავს, რომ ამ ორი მანდილოსნის ნეშტი საფლავში ბუნებრივად განლაგებული კი არაა, არამედ ყოვლად უსისტემოდ, ერთმანეთშია არეული-დარეული. ეს კი ერთი მთავარი და უტყუარი საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ ისინი სხვა ადგილიდან არის გადმოტანილი და ჯვრის მონასტერში დაკრძალული. ამის შემდეგ, ი. აბაშიძე, ითვალისწინებს რა, საქრთველოს საგარეო მდგომარეობაში მომხდარ სერიოზულ ცვლილებებსა და გ. დე ბუას წერილს, აყენებს კითხვას: ხომ შეიძლებოდა, მისი (თამარის – ე. მ.) გადასვენება მომხდარიყო, ვთქვათ, 1218-1220 წლებში?“²

როდესაც წმ. ჯვრის მონასტრის დაარსებაზე ვლასპარაკობდი, ვთქვ, რომ ბერძენი არქეოლოგის ა. იკონომოპულოსის მიერ წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის წინასწარ ანგარიშიდან ვიგებთ, რომ ტაძრის ნავის მოზაიკური იატაკის ალების შედეგად აღმოჩენილი სამარხებიდან, „IV³ სამარხში აღმოჩნდა ორი ქალის ჩონჩხი: მათგან ერთი, ჩრდილოეთით განთავსებული, ეკუთვნის 75 წლის ქალს, რომელიც რაქიტით ყოფილა დაავადებული. მეორე (ქალი) დაახლოებით 40 წლისა უნდა ყოფილიყო. მათ ხელებს ეტყობა დამწვრობის კვალი. განსვენებულთა თავის ქალებს შორის იდოზონრით ურთიერთს გადაბმული ორი ვერცხლის ბეჭედი“⁴.

¹ კარიბჭე, №10, 09-22. 05., 2013, 21-22.

² კარიბჭე, №12, 06-19. 06., 2013, 60-61.

³ კორექტორული შეცდომაა, უნდა იყოს – V.

⁴ Economopoulos A., Fresh Date Resulting from the Excavation in the Church of the Monastery of the Holy Cross of Jerusalem. Actes du X.e Congress International d'Archeologie Cretienne, Thessalonique, 1984, p. 378-390; იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრე-

როგორც ა. იკონომოპულოსის ანგარიშიდან ვიგებთ, მას სამარხის შესასწავლად არ ჩაუტარებია სერიოზული მუშაობა, იგი საფლავის ზედაპირული დათვალიერებით დაკმაყოფილდა. რადგან მან წინასწარი ანგარიში გამოაქვეყნა, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩაფიქრებული ჰქონდა ჯვრის მონასტრის საფუძვლიანი არქეოლოგიური შესწავლა, მაგრამ მას უცნობი მიზეზის გამო შეეშალა ხელი ან შეისწავლა კიდევ, მაგრამ შედეგის გამოქვეყნება ვედარ შეძლო, ან საჭიროდ აღარ ჩათვალა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში ზუსტად დასადგენია რომელ პერიოდს განეკუთვნებიან სამარხში ჩასვენებული ქალები, რატომ აქვთ დამწვარი ხელები, რატომ არ არის ნივთიერი მასალა და სხვ. ყოველ კითხვას პასუხი გაეცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქართველ მეცნიერებს მიეცემათ შესაძლებლობა თანამედროვე მიღწევების დონეზე შეისწავლონ წმ. ჯვრის მონასტერში არსებული სამარხები და საერთოდ, მთელი მონასტერი.

ი. აბაშიძისა მონათხრობი და 1984 წელს ა. იკონომოპულოსის მიერ გამოქვეყნებული „წინასწარი ანგარიში“ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება: ანგარიშში არ ჩანს მიცვალებულთა სასთუმლის ქსოვილის ფრაგმენტი, არ ჩანს „უძვირფასესი ქსოვილის ნაფლეთი... რითაც ამ მანდილოსანთა ნეშტი ყოფილა შემოსილი“, არ ჩანს განსვენებულთა ხელების სიღამწვრე, არაფერია ნათქვამი საფლავში ნაპოვნ ვერცხლის ბეჭდებზე, რომლებზეც ა. იკონომოპულოსი თავის „წინასწარ ანგარიშში“ აღნიშნავს და, რაც მთავარია, არქეოლოგი არაფერს ამბობს ცხედრების ერთმანეთში შერეულ ძვლებზე, რაც კარგად ჩანს ფოტო სურათზე.

თამარ მეფის საფლავის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ მრავალ კითხვის ნიშანს ემეტება კიდევ ერთი: მიცვალებულთაგან რომელია თამარი? თუ არქეოლოგს დავუჯერებთ, ცხედრებს შორის არის ერთი, დაახლოებით 40 წლის ქალბატონი, რომელიც სავარაუდოა უნდა იყოს თამარი. მიცვალებულისა და თამარ მეფის ასაკი თითქმის ერთხვევა ერთმანეთს. ვიცით თამარის დაბადებისა და გარდაცვალების მიახლოებითი წლები (იგი უნდა დაბადებულიყო 1160-1170 წლებს შორის, გარდაიცვალა 1210 წელს). თუ მისი დაბადების ზედა ზღვრად ავიღებთ 1170 წლის სიახლოვეს, მაშინ იგი დაემთხვევა ნეკროპოლში განსვენებულის სავარაუდო ასაკს.

ბის შედეგად მიღებული ახალი მონაცემები (წინასწარი ანგარიში). თსუ შრომები, 328. იახვ, თბილისი, 1999, 276.

უკვე ითქვა, რომ იმავე საფლავში არის მეორე, რაქიტით დაავადებული 75 წლის ქალის ნეშტიც. თუ, პირობითად, გავიზიარებთ, რომ 40 წლის ქალი მეფე თამარი იყო, მაშინ დგება კითხვა, ვინ უნდა ყოფილიყო მეფე-დედოფლის ისეთი სისხლით ნათესავი, რომ მასთან ერთად წაესვენებინათ წმ. მიწაზე და მოეთავსებინათ თამარის ნეშტთან ერთად აკლდამაში? უპრიანია, ვივარაუდოთ, რომ ეს იყოს XII საუკუნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, დემეტრე I-ის ასული, სორასნის სულთნის ცოლყოფილი, თამარ მეფის გამზრდელი და თანამზრახველი, რუსუდანი. იგი დაიბადა დაახლოებით, 1127-1130 წლებში. ის გაათხოვეს ერაყისა და დასავლეთ ირანის სულთან ყიას ად-დინ მასუდზე. მასუდი 1152 წელს გარდაიცვალა. უშვილო რუსუდანი სამშობლოში დაბრუნდა და მთელი დანარჩენი სიცოცხლე სამეფო ოჯახზე ზრუნვას და მისი პოლიტიკური ინტერესების დაცვას შეაღია. დავით სოსლანისა და თამარის გარდაცვალების შემდეგ, ოთხმოც წელს მიღწეული რუსუდანი, დაახლოებით 1207-1210 წლებში მონოზენად აღიკვეცა. ამის შემდეგ მან, ალბათ, დიდხანს ვეღარ იცოცხლა¹. ვფიქრობ, სწორედ ის უნდა ყოფილიყო 75 წლის ის რუსუდანი, რომელიც თავის გაზრდილ თამარს საფლავშიც არ დააშორეს.

ეცნობი ზემოთდამოწმებულ დოკუმენტებსა და ლიტერატურას და ძალაუწებურად გახსენდება თამარ მეფის ცარიელი საფლავი გელათში, გესმის XIII ს. პირველი მეოთხედის უცხოელებისა და XX-XXI საუკუნეთა ქართველ მეცნიერთა ურთიერთ შეხმიანება, ძლიერდება თამარ მეფის საფლავის მიგნების იმედი და ცნობიერებაში ამოტივტივდება იერუსალიმის პირქუში და მიუდგომელი წმ. ჯვრის მონასტერი, რომელიც ვინ იცის ქართველთა წარსულის რამდენ საიდუმლოს ინახავს?

8. ჩემი მოსაზრებების შეჯერება – დასკვნითი ნაწილი

1. განხილული უცხოენოვანი წყაროები ნათელს ხდის, რომ ნამდვილად არსებობდა თამარ მეფის ანდერძი, რომელშიც გამოთქმული იყო მისი სურვილი – დაკრძალულიყო წმ. მიწაზე.

¹ სტეფნაძე ჯ., მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბილისი, 143, 156.

2. ნათელია, გიორგი-ლაშას და მისი კარის განწყობილება სისრულეში მოყვანა თამარ მეფის უკანასკნელი სურვილი.

3. ჩანს ქართული დიპლომატიის საქმიანობა განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის.

4. არსებობდა თამარ მეფის ცხედრის იერუსალიმში გადასვენებისათვის მეტნაკლებად უხიფათო, სახმელეთო და საზღვაო გზები.

5. არ ვარ დარწმუნებული სისრულეში მოყვანილი იქნა თუ არა განსვენებული მეფის ანდერძი. მაგრამ,

6. მრავალ კითხვას ბადებს წმ. ჯვრის მონასტერში არსებული საფლავი, რომელშიც აღმოჩნდა ორი მანდილოსნის ნეშტი.

7. მთელი რიგი ჰიპოთეზები, რომლებიც წინამდებარე ნარკვევში გამოითქვა თამარ მეფის საფლავთან დაკავშირებით, სიმართლესთან მიახლოებულ ვარაუდებზეა დამყარებული. ვიმედოვნებ, ისინი კიდევ უფრო გააძლიერებს ინტერესს შემდგომი კვლევისათვის და საიდუმლოების ფარდა აეხდება საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს.

შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში

დიდი ხანია მეცნიერთა, პილიგრიმთა და მოგზაურთა ყურადღებას იპყრობს წმ. ჯვრის მონასტერში არსებული შოთა რუსთაველის პორტრეტი და მისივე სახელზე შესრულებული წარწერა. ფაქტიურად, შოთას პორტრეტის, დასახელებული წარწერის, სააღაპე წარწერისა და მისი გენიალური პოემის გარდა, მის შესახებ, სხვა არაფერი გაგვანჩნია. ინფორმაციის ასეთმა სიმწირემ ხალხის უსაყვარლეს პოეტზე წარმოშვა თქმულებები¹, რომლებშიც შოთას ბერად აღკვეცისა და დაკრძალვის ადგილად გამოცხადებულია წმ. მიწა. უფრო მეტიც, ამ ვერსიას საფუძველი გაუმაგრა ტიმოთე გაბაშვილის ცნობამაც შოთა რუსთაველის ფრესკის შესახებ² და თავისი ადგილი ჰპოვა მეცნიერულ ნაშრომებშიც³.

¹ Мегрелидзе И., Руставели и Фольклор, Тбилиси, 1960, 40, 62; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I. ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, თბილისი, 1961, 117, 120, 288; ჩიქოვანი მ., შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1966, 39, 128, 141, 144, 151.

² „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა... შოთამს ვიტყვი რუსთველსა, მეჭურჭლეთ უხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“, ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 049; „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მეჭურჭლეთ უხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“, 053, 0231, 80; „ქ. მუნ ხატია შოთა რუსთაველი, მეჭურჭლეთ უხუცესი“, 82; „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მეღექსეს, მეჭურჭლეთ უხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“, 121; „ქ. მუნ ხატია შოთა რუსთაველი, მეჭურჭლეთ უხუცესი, ბოროტი მეღექსე“, 123.

³ ბაგრატიონი თ., განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსანისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევიტა და საძიებლიტ, თბილისი 1960, 295; ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართველთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ, II, სანკტ პეტერბურღი, 1946, III-IV; Иоселиани П., Шота Руставели, Тифлис, 1870, 6.

შ. ამირანაშვილი ფიქრობდა, რომ ჭაბუკობიდანვე თამარის მიჯნურობით შეპყრობილმა შოთა რუსთაველმა მიატოვა სამშობლო და თამარის საფლავის ახლოს წმ. ჯვრის მონასტერში დაიდო ბინა, სადაც გარდაიცვალა და დაკრძალეს. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, 360-363.

თამარისადმი სიყვარულის გამო იერუსალიმში რუსთაველის გადასახლება შ. ნუცუბიძემ არაღამაჯერებლად მიიჩნია, მაგრამ ამ სიყვარულის

საბჭოთა კავშირის კორესპონდენტმა ისრაელში ივ. სტოვბუნმა, 1964-67 წლებში, მოიპოვა ზოგიერთი ცნობა შოთა რუსთაველის პალესტინაში მოღვაწეობის შესახებ. მისი ყურადღერება განსაკუთრებით მიიპყრო არქიმანდრიტ ხრისტოს პოპანდოპოლოსის ნარკვევა („ჯვრის წმინდა მონასტერი და სასულიერო სემინარია“), რომელიც „ახალი სიონში“ გამოქვეყნდა 1905 წელს. ხ. პოპანდოპოლოსი წერდა: ლეგენდარულმა თამარ მეფემ, მგოსანი შოთა რუსთაველი, 1192 წელს იერუსალიმის „წმინდა ადგილებში“ გააგზავნა. თამარმა მას უბრძანა, რომ იგი არა მარტო მხარში უნდა ამოსდგომოდა ჯვრის მონასტრის სასულიერო საქმიანობას, არამედ იგი განეახლებინა კიდეც, მისთვის რესტავრაცია გაეკეთებინა და აღედგინა ის დანაკლისი, რომელიც მას ჯვაროსნებმა მიაყენეს. უურნალისტს ბერძენი ავტორის კომპეტენტურობაში ეჭვი არ ეპარებოდა და ვარაუდობდა, რომ მას, როგორც პალესტინის რელიგიური ცენტრების ოფიციალურ მემბტიანეს, შეეძლო ესარგებლა ჯვრის მონასტრისა და იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქოს ბიბლიოთეკების მასალებით. ივ. სტოვბუნი აღნიშნავდა, რომ პალესტინაში რუსთაველის ყოფნის ვერსიას მხარს უჭერდა გრ. ფერადიქ¹ 1937 წელს გამოცემულ წიგნში².

ბერძენი ისტორიკოსი გ. პანამიხაელი, ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით თვლიდა, რომ 1192 წელს თამარ მეფემ ჯვრის მონასტრის შესაკეთებლად შოთა რუსთაველი გაგზავნა³.

გამო მისი საქართველოდან გაძევება მისაღებად ჩათვალა. მისი თქმით, შოთას, მობოდიშების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს. მაგრამ, მან ახალი დანაშაული ჩაიდინა „ვეფხისტყაოსანში“ ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავისუფალი დამოკიდებულების გამო. მას ეკლესიასთან ერთად თამარ მეფეც გაუწერა და იგი „განიდევნა პალესტინაში მონასტრის შეკეთების საფარქვეშ“. ნუცუბიძე შ., რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარი და იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, თბილისი, 1961, 33-42.

¹ გ. ფერადიქ შოთა რუსთაველთან დაკავშირებით წერს: „*ქართული ტრადიციით წმ. ჯვრის მონასტერში სხვებთან ერთად ცხოვრობდა საქართველოს (და, შესაძლებელია, მთელი მსოფლიოს) უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი; ცხოვრობდა როგორც ბერი, გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა...*“ ფერადიქ გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 99.

² სტოვბუნი ი., შოთა რუსთაველის ფრესკა (თარგმანი რუსულიდან ნანა გელაშვილისა), თბ., 1979, 62

³ О Крестном монастыре в Иерусалиме, портрет и могила Шота Руставели, *Вечерний Тбилиси*, 09 .06. 65; Лосев С., О могиле Шота Руставели, *Вечерний Тбилиси*, 17. 06. 60.

„დამოწმებული ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია. ძნელია იმის დაშვება, რომ ბერძენმა ისტორიკოსმა განზრახ მოიგონა ან საგანგებოდ შეთხზა ეს ფაქტი. სამწუხაროდ ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას ემყარება ცნობა შოთა რუსთაველის იერუსალიმში ყოფნის თაობაზე. ეს ცნობა ამოიკითხა ძველი სამონასტრო მატრიანედან, თუ მისი წყარო მონასტერში შეთხზული ვადმოცემაა“¹.

რ. ჟანენი აღნიშნავდა, რომ თამარ მეფემ „*იერუსალიმში*“ გაგზავნა სახელგანთქმული პოეტი რუსთაველი და გაატანა ძვირფასი ძღვენი წმიდა-ჯვარის ეკლესიის გასამშვენებლად“².

ბასილი ეზოსმოდვარის თხზულებაზე დაყრდნობით ე. მეტრეველს სავსებით დასაშვებად მიაჩნდა, თამარ მეფის მიერ შოთა რუსთაველის, როგორც თავისი ერთ-ერთი „სარწმუნო“ კარისკაცის გაგზავნას იერუსალიმში შეწირულობებითა და დავალებებით: „*წარავლენდის სარწმუნოთა თვსთა და დაავედრის ესრეთ: „იწყეთ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა“*; და მათ კურძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხავდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადლა საკმარ არს თქმად, რამეთუ წარავ ზავნიდის ამათ ყოველთა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა, და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკათა თვს ოქროთა აურაცხელთა“³.

როგორც ზემოთ ითქვა, შოთა რუსთაველის ცხოვრებით დაინტერესებული ზოგიერთი მკვლევრისა და პუბლიცისტის მიხედვით, იგი სერიოზულ როლს თამაშობდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. თითქოს იგი იყო თამარის ის ელჩი, რომელიც არაბი ისტორიკოსების მიხედვით, 1192 წელს გაიგზავნა ეგვიპტის სულთანთან, სალაჰ ად-დინთან, რათა ეთხოვათ იერუსალიმში ქართული ეკლესიის აღრინდელი სტატუსის აღდგენა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მართლაც სალადინს ეახლა ქართველი ელჩი, რომლის ვინაობა ცნობილი არ არის. ელჩმა სულთანს მიართვა თამარ მეფის „ფიცის წიგნის“ საბოლოო ვარიანტი, რომლის მიხედვითაც გაიმართებოდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობა.

¹ ბარამიძე აღ., მეტრეველი ე., ბარამიძე აღ იძულებითი პასუხი. „მნათობი“, 3, 1970, 177.

² ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 17.

³ ქართლის ცხოვრება, II, 141; მეტრეველი ე., მასალები, 57.

თუ შემდგომ მოვლენებს გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად საინტერესო დოკუმენტმა შედეგი გამოიღო. „ფიცის წიგნი“ ჩამოყალიბებული იყო, სალაჰ ად-დინისათვის მისაღები, მაგრამ ჩვენთვის უცნობი იმ ფორმითა და შინაარსით, რომელიც ქართველმა ელჩმა სალაჰ ად-დინს მიართვა ქ. რამლაში 1192 წ. 1 სექტემბერს. სალაჰ ად-დინის ისტორიკოსი ბაჰა ად-დინის შადლადი გადმოგვცემს, რომ სულთნის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ, პალესტინის ქ. რამლაში ეახლა ქართველთა ელჩი და წერილი გადასცა (აღბათ ეს უნდა იყოს ე. წ. თამარის „ფიცის წიგნი“ დასრულებული სახით).

ელჩმა თავისი მეფის სახელით, დიდძალი თანხა (200 000 დინარი) შესთავაზა ჰატითან ბრძოლაში (1187 წ. 4 ივლისი) დატყვევებული წმ. ჯვრის გამოსახსნელად. მეორე ისტორიკოსის, იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის გადმოცემით, *„ეს ის ჯვარია, რომლის წინაშეც ყველა ქრისტიანი მუხლს იყრის სალოცავად. მიხნეულია, რომ ის დამზადებულია იმ ხისგან, რომელზეც გააკრეს მათი სათაყვანებელი ღმერთი... მათ თვალში ამ ჯვრის [მტრის მიერ] ხელში ჩაგდება უფრო მძიმეა, ვიდრე მათი მეფისა, რადგანაც მისი შეცვლა არაფრით არ შეიძლება“¹.*

ქართველი ელჩი, აგრეთვე, *„შეეხო საკითხს მათი (ქართველების – ალ-ქურჯ) მონასტრებისა (ალ-დიდარათ) და [საქველმოქმედო] ნაგებობების (‘იმარათ) შესახებ, რომლებიც მათ აქვთ იერუსალიმში და იხივლეს (ქართველებმა) იმის თაობაზე, რომ ისინი წაართვეს მათ და ითხოვეს გულმოწყალება სულთნისა... რათა დაებრუნებინათ ისინი მათი (ქართველების) წარმომადგენლებისათვის (ნუგვაბ)“².*

წმ. ჯვრის დაბრუნებაზე სალაღინმა, შეთავაზებული დიდი თანხის მიუხედავად, ქართველ ელჩს უარი უთხრა, ისევე, როგორც მის წინამორბედ ინგლისისა და ბიზანტიის ელჩებს³.

ზემოთგანხილული ცნობები საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ქართველები ითხოვდნენ თავიანთი მონასტრებისა და მათი

¹ Sivan F., L'Islam et la Croisade. Ideologie et propaganda dans les réactions Musulmanes aux Croisades, Paris, 1968, p. 114. ციტირებულია, ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბ., 1995, გვ. 135.

² ფერაძე ვრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები, გ. ჯაფარიძის შენიშვნა, გვ. 32, შენ. 25.

³ ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 135-136

ქონების დაბრუნებას, იერუსალიმში ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ არ ჩანს, რომ მათ წარმატებას მიაღწიეს, რომ სალაჰ ად-დინმა მათი თხოვნა შეისმინა და მან ქართველებს დაუბრუნა იოანე ღვთისმეტყველის, წმ. ნიკოლოზის და წმ. იაკობის მონასტრები, რასაც მაქსიმე სიმელი გვამცნობს¹. უპრიანია ვთქვათ, რომ მონასტრების დაბრუნება მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის დროს მოხდა.

აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით და სხვა მომენტების გათვალისწინებით, შ. ამირანაშვილმა სალაჰ ად-დინთან გაგზავნილ ელჩში შოთა რუსთაველი ივარაუდა: „მოყვანილი მასალებიდან ჩანს, – წერდა შ. ამირანაშვილი, – რომ საქართველოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ისეთი პიროვნება, რომლის კომპეტენციაში შედიოდა დიდი თანხების გაღება, საგარეო საქმეთა მცოდნე („უცხო მხარეთა მდივანი“), ენების მცოდნე პირი. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აღნიშნული პირი იქნებოდა „მეჭურღეთ-უხუცესი“, „უცხო მხარეთა მდივანი“, დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც აღნიშნული დავალება უთუოდ თამარ მეფისაგან მიიღო“². შეიძლება სწორედ შოთა რუსთაველის დიპლომატიური ნიჭის და ღრმა ერუდიციის შედეგი იყო, რომ შემდგომში მაინც წარმატებით დასრულდა 1192 წელს დაწყებული საქმე. ვინ იცის რამდენჯერ მოუწია მას ეგვიპტესა და იერუსალიმში მოგზაურობა და თავისი მისიის შესაბამისად, დახმარება გაუწია იქ არსებულ ქართულ მონასტრებს. იქნებ ამიტომაც უკვდავყვეს მისი სახე და სახელი წმ. ჯვრის მონასტრის მადლიერმა ბერებმა³.

ზოგიერთ ხალხურ ლეგენდაში შოთა რუსთაველი „ამირად“, რომ არის მოხსენიებული, ლ. ტუხაშვილს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ „ამირას“ ნაცვლად უნდა იყოს „ომირა“, რომელიც „წმინდა დიპლომატიური ტერმინია და ნიშნავს დიდ დესპანს, ანუ მოციქულს, რომელიც მეფისაგან გაიგზავნე-

¹ История Иерусалимских патриархов Максима Симского, ППС, т. 19, вып. I, СПб., с. 436.

² ამირანაშვილი შ., შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში, უკრნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, №4.

³ თამაზ ჭილაძეს შოთა რუსთაველის კარისკაცობის ლეგენდა აღორძინების ხანაში შეთხზულად მიაჩნია და იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას, რომ რუსთაველის დიდებულობის, ვეზირობის, მეჭურჭლეთ-უხუცესობის შესახებ მაშინ შეიქმნა, როცა მეფეები და დიდებულები პოეტები იყვნენ (ჭილაძე თ., ვარდის ფურცლობის ნიშანი, „მნათობი“, №10, 1983, 124).

ბა მეფესთან ხანგრძლივი ვადით. ე. ი. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს“¹

ამგვარად, არსებული წყაროები (წმ. ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის პორტრეტი და მისი მოხსენიება იმავე მონასტრის ალაპებში) და სამეცნიერო ლიტერატურში გამოთქმული მოსაზრებანი და ვარაუდები, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ იგი ნამდვილად იყო იერუსალიმში და მასზე დაკისრებულ წარმატებით შესრულებულ დიპლომატიურ მისიასთან ერთად, წმ. ჯვრის მონასტრის ძმობასაც დაამახსოვრა თავი ტაძრისათვის გაწეული დიდი დახმარებით.

რადგან შოთა რუსთაველის პორტრეტი დახატულია იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში მეტყველებს იმაზე, რომ ის სწორედ ის სახელმწიფო მოხელე იყო, რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა ამ სახელგანთქმული ქართული სასულიერო და კულტურის კერის, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინაშე. რა თქმა უნდა, მონასტრის ბერები შოთას იმის გამო არ დახატავდნენ ტაძარში, რომ გენიალური პოეტი იყო და უბრწყინვალესი ნაწარმოები შექმნა.

* * *

წმ. ჯვრის აღდგენაზე საუბრისას ითქვა, რომ 1102 წელს ანგლოსაქსმა ზევეულფმა მუსლიმანებსა და ჯვაროსნებს შორის ომის შედეგად მოხსრებული წმ. ჯვრის მონასტერი ნახა, რომელიც მალე შეუკეთებიათ და 1106–1107 წლებში რუს დანიელზე უკვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მოხატულობით. ამის შემდეგ XIII ს. დასაწყისში, „წმ. ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუთველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“ – წერდა ტ. გაბაშვილი.

ნახატზე, მთელ სიმაღლეზე, გამოსახულია ორი წმინდანის – მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის პორტრეტები, თავებთან ბერძნული (ზემოთ) და ქართული (ქვემოთ) წარწერებით: „წმ. მაქსიმე აღმსარებელი“², „წმ. იოანე დამასკელი“ (ფ. №21).

¹ ტუხაშვილი ლ., ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I, 240.

² საინტერესოა, რატომ არის დახატული რუსთაველის სურათი იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკებს შორის. ცნობილია, რომ იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი შუა საუკუნეების უდიდესი

კომპოზიციის შუაში არის შოთა რუსთაველის მინიატურული პორტრეტი წარწერით: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შ(ეუნდო)ს ღ(მერთ)მ(ან) ა(მი)ნ. როსთე(ე)ლი“ (ფ. №22).

მუხლმოყრილი შოთა რუსთაველი წარმოდგენილია მაღალი წარმოშობის საერო პირის ჩაცმულობით, თავზე ახურავს თეთრი, მრგვალთხემიანი და მუქძირიანი ქუდი, რომელიც კეფასთან გაფართოებულია. მხარზე წამოსხმული აქვს გრძელი, ჩამოშვებული წითელი მანტია, თავისუფლად ჩამოშვებული ცრუ სახელოებით,

საეკლესიო მოღვაწენი იყვნენ. იოანე დამასკელის შრომა „წყარო ცოდნისა“ სამჯერ იყო გადმოთარგმნილი ქართულად.

მაქსიმე აღმსარებელი ებრძოდა მონოთელიტობას. მისი შეხედულებანი დიდ გავლენას ახდენდა საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობასა და აზროვნებაზე. 662 წელს ბიზანტიის ხელისუფლებამ მაქსიმე აღმსარებელი და მისი ორი მოწაფე გადაასახლა ლაზეთში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მაქსიმე აღმსარებელი წამებით აღესრულა მისივე სახელობის იმ მონასტერში, რომელიც მდებარეობს ცაგერის ზემოთ, მურის ციხესთან. იგი იქვეა დაკრძალული (Кекелидзе К., Сведения Грузинских источников о Максиме Исповеднике. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბილისი, 1961, 32-33; Khoperia L., Maximus The Confessor: Life and Works in the Georgian Tradition. Iberica Caucasica, v. III, Maximus The Confessor and Georgia, Edidet by Tamila Mgaloblishvili and Lela Khoperia, London, 2009, 39

ქართულმა ეკლესიამ მაქსიმე წმინდანად აღიარა. მისი სხენების დღეებია 21 იანვარი და 13 აგვისტო. ცაგერის ახლოს, „მაქსიმეს საფლავთან“ აღდგომის კვირის ხუთშაბათს ტარდებოდა ლოცვა მაქსიმეს სახელზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველმა იცოდა მაქსიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და მნიშვნელოვანწილად იზიარებდა მის მსოფლმხედველობას და ამდენად არ უნდა იყოს საკვირველი შოთას პორტრეტის მოთავსება მაქსიმე აღმსარებლის ფრესკასთან. ალაიძე მ., შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი. კრებ. შოთა რუსთაველი, საქ. მეცნ. აკადემია, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება, თბილისი, 1968, 66-78.



იოანე დამასკელი, მაქსიმე აღმსარებელი,
შოთა რუსთაველი



მარცხნიდან მარჯვნივ: რუბენ ენოხი, ელდარ მამისთვალიშვილი,
ლევან მენაბდე, გურამ შარაძე. იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონას-
ტერი, დეკემბერი, 1990 წ.

მანტია მორთულია დიდი გადასაკეცი, მოყვითალო-მოთეთ-
რო (აღბათ, ყარყუმის) საყელოთი და ასეთივე სარჩულით. მან-
ტია შეკერილია მუქ-წითელი ფარჩისაგან, ზედგამოყვანილი

ა. ცაგარელმა, პირველმა, შოთა რუსთაველის პორტრეტის შესრულების თარიღთან დაკავშირებით, გამოთქვა მოსაზრება, რომელიც დღეს, სხვადასხვაგვარად არგუმენტირებული, თითქმის, საბოლოოდ აღიარებულია. ა. ცაგარელი წერდა: „*პოეტი მუხლებზე დვას წმ. წამებულ მაქსიმესა და წმ. იოანე დამასკელის, მაღალპოეტური სასულიერო საგალობლების ავტორს შორის, ხელები აპყრობილი აქვს ზევით, სახე პოეტის მიმართულია იოანე დამასკელისკენ, გამოსახულების ზემოთ არის ქართული წარწერა: „შოთა რუსთაველს, ამის (ტაძრის) მომხატველს, შეუნდოს ღმერთმა (ცოდვები)“*. ეს გამოსახულება, მართალია, 1643 წლისაა, მაგრამ სრულიად საგულისხმოა, რომ შოთას პორტრეტი 1643 წლამდეც არსებობდა, რადგან მანამდისაც მონასტერი მოხატული იყო. პოეტი დახატულია სამოსელით შუა საუკუნეების ქართველი დიდებულისა და არა სასულიეროსი. აქედან გამომდინარე თქმულება იმაზე, რომ პოეტი ბერად აღიკვეცა, არ მტკიცდება“¹.

შოთა რუსთაველის პორტრეტის შექმნის თარიღის დასადგენად უპირველესი მნიშვნელობა მისი სამოსელის დაწვრილებით შესწავლას აქვს, რაც ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა გააკეთეს კიდევ. შ. ამირანაშვილმა, პ. ინგოროყვამ და ს. კაკაბაძემ პორტრეტი განაკუთვანეს XIII ს. პირველ ნახევარს და მიაჩნდათ, რომ შოთა წარმოდგენილია თამარ მეფის მინისტრის სამოსელში²; პ. რატიანმა კი დაასკვნა, თითქოს, შოთა რუსთაველი სასულიერო სამოსელში იყოს გამოსახული³. ვფიქრობ, დამაჯერებელია თ. ვირსალაძის არგუმენტები და მსჯელობა, როდესაც მას შოთას პორტრეტი, ა. ცაგარელის მსგავსად, XVII ს. პირველ ნახევარში, ნ. ჩოლოყაშვილის ჯვარისმამობის პერიოდში შექმნილად მიაჩნია⁴.

ბუნებრივია კითხვები: პორტრეტში გამოსახული მსცოვანი არის თუ არა რუსთაველი? თუ არის, მაშინ საინტერესოა, რა უნდოდა მას იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში? რა დამსა-

¹ Цагарели А. А., Памятники, 94-95.

² ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, 368-373, 846-850; ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 846-850; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, 115-116.

³ რატიანი პ., „ვეფხისტყაოსანის“ ავტორის პიროვნების საკითხისათვის, „მნათობი“, თბ., 1968, №№4-5.

⁴ Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 66-78.

ხურებისათვის დახატეს მისი პორტრეტი და რატომ დაიწერა მისი აღაპი?

მოარული თქმულებით ვიცით, რომ შოთა რუსთაველი ბერად აღიკვეცა, იერუსალიმს მივიდა, წმ. ჯვრის მონასტერში ბინა დაიდო, ტადარი მოახატვინა და იქვე გარდაიცვალა და დაიკრძალა. თქმულებიდან ეჭვს არ იწვევს შოთას მიერ მონასტრის მოხატვა, რაზეც პირველად გვამცნო ტ. გაბაშვილმა: „*მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთაველს, მეჭურჭლეთ უხსუცესს. თვითონაც შიგ ხატია მოხსუცებული*“¹. როგორც მოგზაურის ინტონაციიდან ჩანს, მას სრულებითაც არ გააკვირვებია რუსთაველის ფრესკის ნახვა წმ. ჯვრის მონასტერში. სავარაუდოა, მან მანამდეც იცოდა რომ გენიალური პოეტი იქ ცხოვრობდა და იქვე აღესრულა.

ტ. გაბაშვილის „მიმოსღვის“ პირველი გამომცემელი პ. იოსელიანი შოთა რუსთაველის პორტრეტთან დაკავშირებით წერდა: „*არა ვუწყი არისაა დღესცა სახე ესე შოთა რუსთაველისა იერუსალიმს. – აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქუნდა ძუჭლად ნაწერი ვეფხისტყაოსანი სახით ანუ პორტრეტიურთ თუთ რუსთაველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით*“².

მოდწეულია შოთა რუსთაველის რამდენიმე პორტრეტი: ერთი XV საუკუნის მეორე ნახევრისა, რომელიც დართული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს³ (ფ. №23) და სამი XVII საუკუნისა. საყურადღებოა შ. ამირანაშვილის თვალსაზრისი XVII საუკუნის პორტრეტებზე: მამუკა მდივნის მიერ დახატული ზუგდიდში 1646 წელს – უწვერულვაშო ჭაბუკი შოთა კარნახობს პოემის ტექსტს მის წინაშე მდგომ მდივანს; ზაზასეული ხელნაწერის მინიატურაში – შოთა მოკლე წვერ-ულვაშით და მოხუცი შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტრის ფრესკიდან. შ. ამირანაშვილი დაასკვნის: „*შედარება სამივე პორტრეტისა აღ-*

¹ ტიმოთე ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი, მიმოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან მთავარ-ეპისკოპოსისა, 80.

² ტიმოთე ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი, მიმოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან მთავარ-ეპისკოპოსისა, 154.

³ მისი აღწერილობა იხ. ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 244–245.

ასტურებს იმ გარემოებას, რომ სამივე პორტრეტი გამოსახავს ერთსა და იმავე პირს სხვადასხვა ასაკში⁴.

თ. ვირსალაძე წმ. ჯვრის მონასტრის მხატვრობის და შოთა რუსთაველის პორტრეტის შესწავლის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პორტრეტი არ არის შესრულებული პოეტის სიცოცხლეში. იგი შექმნილია საკმაოდ გვიან, სავარაუდოა, XVII საუკუნეში. მკვლევარს უჭირს იმის თქმა, რით ხელმძღვანელობდა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მხატვარი, როდესაც ქმნიდა შოთას პორტრეტს სრულიად განსხვავებულს მოგვიანებით შექმნილი მინიატურებისაგან. თ. ვირსალაძე ვარაუდობს, რომ ნიკიფორეს ხელთ ჰქონდა რუსთაველის ის მინიატურული გამოსახულება, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. მის დროს უნდა არსებულიყო „ვეფხისტყაოსნის“ უფრო ადრინდელი ხელნაწერები, რომლებიც დაიკარგა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია. ერთადერთი, რის უფლებაც გვაქვს ვივარაუდოთ, ის არის, რომ რუსთაველის პორტრეტი შეიქმნა წერილობითი წყაროების საფუძველზე, რომელთაგან ერთ-ერთ არის წმ. ჯვრის მონასტრის სინოდიკში შემონახული მეჭურჭლეთუხუცესი შოთას ალაპი, მეორე კი, რომელიმაც ჩვენამდე მოუღწეველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა შოთას წმ. ჯვრის მონასტერში მოღვაწეობის კონკრეტულ ცნობებს².

ა. იკონომოპულოსის აზრით, „წმინდა ჯვრის მონასტრის გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა არ ადასტურებს გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ქართველი, ეროვნული პოეტი შოთა რუსთაველი დაიკრძალა ტაძარში XII ს. მიწურულს. თუმცა კი, გამორიცხვად არ არის, რომ იგი შეიძლებოდა დაეკრძალათ მონასტრის სხვა ადგილას ან მის შემოგარენში“³. შოთა რუსთაველის იერუსალიმში მოღვაწეობასა და მის იქ აღსრულებაზე წერდა მრავალი მკვლევარი. დღეისათვის მიღებულია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც შოთა რუსთაველი, სამეფო კარის დიდი მოხელე, ვაზირი-მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა. მას თანამდებობისდა მიხედვით, ქართულ საკულტო ნა-

¹ ამირანაშვილი შ., შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში.

² Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 77-78.

³ იკონომოპულოსი ა., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ახალი მონაცემები (წინასწარი ანგარიში), 278

გებობებზე, მათ შორის წმ. ჯვრის მონასტერზე, ზრუნვა ევალებოდა. ლეგენდის მიხედვით, ის, ხანშიშესული, იერუსალიმს წასულა და ბერად აღკვეცილა, რასაც უარყოფს მისი ფრესკა, სადაც, როგორც ითქვა, პოეტი გამოსახულია საერო ტანსაცმელში.

ისიც საფიქრებელია, რომ მსგავსად სხვა ქართველი მეფე-მთავრებისა, რომლებიც არასოდეს ყოფილან იერუსალიმში, მაგრამ იქაურ სიწმინდეთა აშენება-აღდგენის, ფინანსური და სხვაგვარი დახმარებისათვის, წმ. ჯვრის მონასტერში უკვდავყვეს მათი დამსახურება, ასევე აუცილებელი არ იყო შოთა რუსთაველი პირადად სწვეოდა იერუსალიმს. მას, დიდმოხელეს (თუ იგი ნამდვილად იყო ასეთი) შეეძლო მატერიალურად შესწვოდა წმ. ჯვრის მონასტერს და მისი შეკეთება-მოხატვისთვისაც ეხელმძღვანელა.

შოთა რუსთაველის ჩაცმულობა იმის თქმის უფლებასაც გვაძლევს, რომ ის, როგორც ზემოთაც ითქვა, საკსებით მოსალოდნელია, საგარეო საქმეთა გამგებელიც იყო და მას არაერთხელ მოუხდა პალესტინაში მოგზაურობა, რათა მუსლიმანების მიერ მიტაცებული ქართული ეკლესია-მონასტრების განთავისუფლებით აღედგინა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. თუ მას ერთხელ მაინც მოუწია იერუსალიმში ყოფნა, არ შეიძლება სერიოზული დახმარება არ აღმოეჩინა ჯვრის მონასტრისათვის, რასაც ვერ დაივიწყებდა მონასტრის კრებული. სწორედ ასეთი საერო, მაღალი თანამდებობის პირია გამოსახული ჩვენთვის ცნობილ ფრესკაზე.

ამგვარად, დღეისათვის ცნობილი წყაროებით, შოთა რუსთაველის სიცოცხლის ბოლო წლები, რომელზეც თითქოს ყველაზე მეტი ვიცით (ისიც წმ. ჯვრის მონასტერში დაცული პორტრეტისა და ალაპის წყალობით), კვლავ ბინდით მოცული რჩება. მაგრამ თქმულებამ და პორტრეტმა თავისი სერიოზული კვალი მაინც დატოვა და დამკვიდრდა მეცნიერულ, პუბლიცისტურ და მხატვრულ ლიტერატურაში. უფრო მეტიც, პალესტინასთან, კერძოდ, იერუსალიმთან და წმ. ჯვრის მონასტერთან დაკავშირდა შოთა რუსთაველის სათაყვანებელი მეფის, თამარის სახელიც, რაზეც ზემოთ უკვე ითქვა.

წმ. ჯვრის მონასტრის ქართული პერიოდის დასასრული

როდესაც აყვავებული ქართველთა სამონასტრო ცხოვრება იერუსალიმში, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული ეროვნული კულტურის მსოფლიო არენაზე გატანის საქმეში, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებს დაცემას, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო საქართველოდან პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის შემცირებით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადასახადების გადიდებით და საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი სერიოზული ცვლილებებით. იერუსალიმის ქართველი სამღვდელთა, მღვდმარეობის გამოსწორების იმედით, იღებდა სესხებს არა მხოლოდ პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ ნაგებობათა მოვლა-შეკეთებისათვისაც. სამშობლოდან დახმარებას მოკლებულნი და ვალებით დამძიმებულნი იძულებული იყვნენ საეკლესიო ქონება დაევირავებინათ. ბოლოს ასეთივე ბედი ეწია თვით ეკლესია-მონასტრებსაც.

იერუსალიმის ქართული მონასტრების დავალიანებაზე ცნობები XVII საუკუნემდე არ გავაჩნია. ისეთ დავალიანებას ვგულისხმობ, რომელიც ტაძრების შენარჩუნებას საფრთხეს შეუქმნიდა, თორემ გვიან შუა საუკუნეებში ბალ-ვენახების, საეკლესიო ინვენტარის გირაოში ჩადება თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაგალითზეც ნათლად ჩანს.

იყო დრო, როდესაც საქართველოდან დახმარების სახით გაგზავნილი ფულით იერუსალიმის პატრიარქები საპატრიარქოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ახდენდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, იერუსალიმის პატრიარქმა კახთა მეფე ალექსანდრე II-ს, XVII ს. დასაწყისში (ზუსტი დრო ცნობილი არ არის), დახმარება სთხოვა. ეს უნდა მომხდარიყო ალექსანდრეს დაღუპვამდე, 1600-1605 წლებში. კახეთი ამ დროს საქართველოში და, მთელ ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი მდიდარი სამეფო იყო. ალექსანდრემ პატრიარქის თხოვნის შესახებ თავის ქვეშევრდომებს აუწყა. დაადგინეს, რომ ალავერდელ ოათარ ჩოლოყაშვილს საჭირო თანხა შეეკრიბა და იერუსალიმშიც მასვე წაეღო. მან მართლაც შეკრიბა 5 ათასი დრაჰკანი და გაემგზავრა. მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: ალავერდელს ჰყვარებია ალავერდში შემონახვნილებული ალექსანდრე მეფის და, რომელიც ამ დროს ფეხმძიმედ ყოფილა. როცა

მან ალავერდელის წასვლა გაიგო, მაშინვე კაცი დაადევნა და თავისი მდგომარეობა აცნობა. ალავერდელი მიბრუნდა, „წარიპარა ქალი იგი“ და იმერეთში გადავიდა, საიერუსალიმო ოქრო კი მეფეს დაუბრუნა¹. ამ პერიოდში, როგორც დონ ჯუსტო პრატო გვამცნობს, ბერძნებს ყოველწლიურად საქართველოდან გაჰქონდათ 6 ათასი სკუდი წმ. საფლავისათვის².

მიუხედავად სერიოზული გაჭირვებისა იერუსალიმში საკმაოდ მოწყალებას აგზავნიდა თეიმურაზ I. მას 1638 წელს რუსი ელჩებისათვის უთქვამს: წინათ გრემში და ბაზარში ათასი საპალნე აბრეშუმში შემოდის. იერუსალიმსა და წმინდა მთაზე 20-30 საპალნეს ვაგზავნიდიო³.

ჯვრის მონასტრის და, საერთოდ, იერუსალიმის ქართველთა მდგომარეობის სავალალო მდგომარეობის გასაცნობად და შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ვინმე მართა მონაზონის მიერ იერუსალიმიდან საქართველოში გამოგზავნილ წერილს.

მართა მონაზონის წერილი გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა 1899 წელს „საქართველოს სიძველენის“ პირველ ტომში. წერილი მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ, ამჯერად, მას განვიხილავ, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველ წერილობით წყაროს იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის შესასწავლად XVII ს. პირველ ნახევარში.

იერუსალიმში მოღვაწე ქართველი მართა მონაზონის წერილი გამიზნულია დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ გრიგოლისადმი (წერილის ადრესატის სახელი დაქარაგმებულია: „კაჰს გრილს“).

საკმაოდ რთულად გადასაწყვეტად მიმაჩნია გრიგოლის კათალიკოსობის წლები, რაც მართას წერილის ზუსტად დათარიღებას და ზოგიერთი მომენტის გარკვევას წაადგება. ექვთიმე თაყაიშვილმა გრიგოლის კათალიკოსობა შემოფარგლა 1650-1658 წლებით, რაც წერილის შინაარსიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს.

დღეისათვის დადგენილია, რომ გრიგოლ I-ის წინამორბედი იყო კათალიკოსი მალაქია II გურიელი (1616-1639), მომდევნო კი,

¹ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 579-580.

² ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 250; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან..., გვ. 565, 609.

³ Материалы по истории грузино-русских взаимоотношения. 1615-1640, 390.

მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657). გამოდის, რომ გრიგოლი კათალიკოზობდა 1639 წლის რომელიღაც მონაკვეთში. გელათური გულანი ამბობს: „*ქკს: ტკზ: ამა ქკს მიიცვალა გრიგოლ კათალიკოზი და იმავე წელსა ქრისტიანე და ღვთის-მოყუარე მაჭუტაძე კათალიკოზი ბატონი მაქსიმე ეკურთხა კათალიკოზად*¹. მართა მონაზონის წერილში დაცული ერთი ცნობა წინააღმდეგობაში მოდის ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებთან და ამ საკითხის შესახებ არსებულ გამოკვლევებთან. მხედველობაში მაქვს შემდეგი: მართა კათალიკოს გრიგოლს, რომლის საქმიანობით იერუსალიმის ქართული ეკლესია მონასტრების გადასარჩენისათვის, უკმაყოფილოა, კათალიკოსს ეკითხება: „*ბატონი კათალიკოზი მაქსიმე კაცი არ იყო, რომ ნაწილსასუებელ არს მისი სახელი?*“.

მაქსიმე სახელის მატარებელი აფხაზეთის კათალიკოსი სხვა არავინ არის თუ არა ზემოხსენებული მაქსიმე მაჭუტაძე. წერილის ადრესატი კათალიკოსი გრიგოლი, რა თქმა უნდა, წერილიდან გამომდინარე, მართას ჯერ ისევ ცოცხლად ეგულება, მაჭუტაძე მაქსიმე კი მის წინამორბედად, რაც ეწინააღმდეგება დღეისათვის დადგენილ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა რიგს. ის, რასაც მართა მონაზონი კათალიკოს მაქსიმეს შესახებ ამბობს, სრულ სიმართლეს შეეფერება. იგი ცნობილი იყო, როგორც იერუსალიმის ქართულ მონასტრებზე დაუღალავი მზრუნველი.

არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657) სამჯერ იყო იერუსალიმში და ყოველთვის დიდძალი შეწირულობა წაუღია გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართული საგანგებების დასახმარებლად. არქანჯელო კიცხავს კათალიკოსს იმის გამო, რომ იგი იერუსალიმის სიწმინდეთა დასახმარებლად ფულის შოვნისათვის, ზოგჯერ, არასაკადრისს კადრულობდა².

ქრისტოფორო კასტელის მიერ სამეგრელოდან რომში გაგზავნილი წერილიდან (1642 წლის 30 ოქტომბერი) ვიგებთ მაქსიმე მაჭუტაძის იერუსალიმში მოგზაურობაზე 1641-1642 წლებ-

¹ ქრონიკები, II, 454; ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, 132; ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბილისი, 1966, 196-197.

² არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან აღ. ჭყონიასი. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, თბ., 1938, 119-120.

ში¹ (ამავე პერიოდში გამოგზავნილად მიიხნდა მართას წერილი კ. კეკელიძეს). მაქსიმე მაჭუტაძის სხვა მოგზაურობის ცნობები არა გვაქვს.

როგორც ითქვა, წერილი გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა და მანვე დაათარიდა 1650-1658 წლებით. დათარიღებისათვის ამოსავალი იყო მართას წერილის ადრესატი, აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი, რიგით პირველი. ე. თაყაიშვილის ვარაუდით მისი ზეობის პერიოდი 1650-1658 წლებში თავსდება², კ. კეკელიძის მიხედვით კი გრიგოლ I-ის ზეობის წლები 1640-1659 წლები იყო. გრიგოლი მაქსიმე მაჭუტაძეს გადადგომის შემდეგ გაკათალიკოსდა, ე. ი. 1640 წელს³. მაქსიმე გარდაიცვალა იერუსალიმში 1657 წ.⁴ და, სავარაუდოდ, დაიკრძალა წმ. ჯვრის მონასტერში⁵.

ამგვარად, მოყვანილი მწირი ცნობები არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ კათალიკოს გრიგოლ პირველის ზეობის დრო და რიგი. ვიდრე გრიგოლ პირველის ზეობის დრო არ გაირკვევა, მანამდე სიზუსტის პრეტენზია ვერ გვექნება მაღაქია II გურიელისა და მაქსიმე მაჭუტაძის ზეობის ზუსტად განსაზღვრაზე. აქედან გამომდინარე, ვერც მართას წერილის დათარიღება მოხერხდება, ვიდრე ახალი მასალები არ აღმოჩნდება.

მართა მონაზონის შესახებ სხვა არავითარი ცნობა არ გვაჩვენია გარდა იმისა, რასაც იგი წერილში აღნიშნავს თავის შესახებ.

წერილის მიხედვით, მართა მონაზონი წმ. ქალაქში იმყოფება. მას გოლგოთაზე დაუდია ბინა. მისი მონათხრობიდან ჩანს, რომ იგი ქართლის დედოფალს მარიაშს, როსტომ მეფის მეუღლეს, არაერთხელ გაუგზავნია იერუსალიმში. იგი არის **„საქართველოს ამბის დანატრებული, მარიაშ დედოფალს აქეთ სისხლის ნთხევით ამ დიდს დავითის ქალაქს და წმიდას იერუსალიმს მავალი, ცოდვისაგან დახშულის პირით მავათის**

¹ თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 188; მაქსიმე მაჭუტაძის შესახებ იხ. „ ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, 196-197.

² საქართველოს სიძველენი, I, თბილისი, 1899, 39.

³ კეკელიძე კ., ნიკიფორე ირბახი ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, II, თბილისი, 1945, 303

⁴ ქრონიკები, II, 469.

⁵ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბილისი, 2000, 149.

ტახტისა, და დოვლათისა, და უფროსად ამ წმიდად იორუსო-ლიმად მოვლინებისათვის მხურვალედ რუდუნებით ცრემლით მტირალი, წმიდა საფლავსა და სისხლ შეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო, ხელის დებადცა უღირსი, მონა უფლისა და ერდგულად მადიდებელი მაგათი, მონაზონი მართა ვკადრებთ...“

მართა მონაზონი ჯეროვნად აფასებს ქართული ეკლესი-ისა და დიდებულების მიერ გაწეულ ხარჯსა და ამაგს, მაგრამ მისი აზრით, ეს საკმარისი არ არის. მიზნის მისაღწევად აუცი-ლებელია ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის მობილიზება. „ხომ მაგათი სიკეთე დიდი მოვიდა ამ საუფლოს ქვეყანასა? თუ ამასთანა კათალოკოზი ბრძანდებისო, ვინ ქრისტიანი ურჩ იქნების მაგათის ბრძანებისათვის, რასთვის კრებას არ იქმენ ეფისკოპოზნი? რომ ქრისტიანს მოუჭირონ, ხომ ყველა დამონდების? ვისი შიში აქუთ უფროს უფლისა? ... და ვით¹ მამა უფლისა ამას არ მოგახსენებს? „უკეთუ დაგივიწყო შენ იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი“ ... ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? აქაური ამბავი ამ ჩემა შვილმან² ვერ ნახა, თუ რა დიდი გაჭირვება არის მაგისტანა, რომ მონასტერი³ ასე დაკარგეთ?“

მართა აღწერს იერუსალიმის ქართველთა, მათი ეკლესია-მონასტრების სავალალო მდგომარეობას და გამოთქვამს საყვე-დურს ქართული ეკლესიის მესვეურთა, კერძოდ, კათალიკოს გრიგოლის მიმართ, მაშინ, როდესაც სანიმუშოდ მიაჩნია კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძის თავდადება. „ბატონი კათალი-კოზი მაქსიმე⁴ კაცი არ იყო, რომ ნაწილ სასუებელ არს მისი სახელი? აგრე იქნება? წამობრძანდით, ამათა აღარ უნდათ ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენი მონასტრების...“ მართას თქმით, ქართული ეკლესია-მონასტრე-ბის ქონების დამტაცებლები განსაკუთრებით ჩქარობდნენ, რად-გან ხმა გავრცელებდა, ქართველების ვალების დასაფარი ფული

¹ „და ვით“ უნდა იყოს ერთად და აღნიშნავდეს ბიბლიურ დავითს – წინასწარმეტყველს.

² როგორც ჩანს, მართა მონაზონის წერილის საქართველოში ჩამო-ტანი არის მისი შვილი, რომელსაც წერილის ჩამოტანის გარდა სხვა მრავალიც უნდა მოეთხრო იერუსალიმის ქართული სავანეების გასაჭირის შე-სახებ.

³ იგულისხმება წმ. ჯვრის მონასტერი.

⁴ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, 1639-1657.

მოდის და სავანეები კვლავ ქართველებს დაუბრუნდებაო (“ამანათი არის, ხვალ ზეით პატრონები მოვლენ და ეშურებიან”).

იერუსალიმში ერთი გულმხურვალე ქართველი სვიმონიც ჩასულა, რომელიც, სავარაუდოა, მართას ის შვილი უნდა იყოს, რომელზეც ზემოთ ითქვა. სვიმონი, ქართული მონასტრების ქონების დამცავებელთა დასაშინებლად ტყუილი ხმების გავრცელებასაც არ ერიდებოდა. მართა წერს: „ახლა ჩემი სვიმონ ოსტატი და ბრძენი შეიქნა, აქაური ანბავი დიად კარგად შეიგყო, ამისი ფიქრი ქონდენ, თუ აქ დადგეს, მაგრამ ამანაც კარგად მოიხდინა საქმე, თუ ღმერთი წარუმართენს. ასრე უთხრა, რომ კათალიკოზის შორეს ძმა ვარო და მონასტერს ნუ ეშურებითო, თვარა კათალიკოზი მობრძანდებისო, იმისთვის მოველ, ანბავი შევიტყოვო, მე წინ მოვეუძღვებიო. და ახლა ცოტა ნამუსი დაიდგეს“.

მართამ იცის, რომ გავრცელებული ხმა სიმართლეს არ შეეფერება და გრიგოლ კათალიკოსს მოუწოდებს იღონოს რამე, რათა მომავალ თაობებს არ დაეკარგოთ წმინდა ადგილები: “ნუ იქო, ნუ დაუკარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვლების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშონოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ. ეს წმიდა ადგილი სრულად ქართველის ყოფილა, და ეხლა ღამის რომ სულა გამოვრდეთ. წმიდას საფლავზედ ფრანგნი ეამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა: „რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო“. ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომეხებმა იშონეს: ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს“.

როგორც მართა მონოზანიის წერილიდან ჩანს, ამ დროს ქართველებს ბეთლემის ტაძარში ჯერ კიდევ ჰქონდათ თავიანთი საკურთხეველი. „ჩვენი სამწირველ ისრევ მორთული არის, თუ არ მოხვალთ, დააქცევენ“ – აფრთხილებს მართა იმათ ვისაც, მისი აზრით, ჯერ კიდევ ხელეწიფებათ ზოგიერთი ქართული სიწმინდის გადარჩენა წმ. მიწაზე.

მართას წერილში მოყვანილი ეს ცნობა მნიშვნელოვანია, რადგან ჩანს, რომ XVII ს. 40-იანი წლების დასაწყისში ქართველები ბეთლემის ტაძარში ჯერ კიდევ ფლობდნენ თავიანთ საკურთხეველს. ამის აღნიშვნა საჭიროა იმდენად, რამდენადაც, იმავე საუკუნის 30-იან წლებში, ბეთლემის ტაძარში უპირატე-

სობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ექიშებოდნენ კათოლიკები და მართლმადიდებელი ბერძნები და ისინი, სხვათა შორის, ქართველების საკუთრების დაპატრონებასაც ცდილობდნენ და ორივე მხარე, ამ დავის დროს, ქართველი ბერების იგნორირებას ახდენდა¹.

ამის შემდეგ, მართა მონაზონი წერილში აყალიბებს მოქმედების გეგმას, რომელსაც სთავაზობს კათალიკოს გრიგოლს. მისი აზრით, ჯერ კიდევ შეიძლება ქართული სიწმინდეების გადარჩენა წმ. მიწაზე, თუ საქართველოდან თუნდაც ერთ ელჩს გაგზავნიან სულთანთან, მაშინ ის ქართველებს უკან დაუბრუნებს ყველაფერს რაც მათ ეკუთვნით. მართა აფრთხილებს კათალიკოსს, რომ ფრანგებმა თავიანთი კუთვნილი გოლგოთის ნაწილი უკვე დაიკავეს და მალე ქართველების წილსაც დაეპატრონებიან. ასეთი ხვედრი ემუქრება გეთსიმანისაც, თუ არ მოეშველებითო: *„ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრვე მოგცემსთ. უსაცილოთ გოლგოთასაც და გესამანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძო გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის“*. მას მნიშვნელოვან ნაკლად მიაჩნია, რომ წმ. მიწაზე არ არის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი – ჯვარისმამა. მართა აუცილებლად თვლის საქართველოდან ჯვარისმამის გაგზავნას. მნიშვნელობა არა აქვს ის ერისკაცი თუ სასულიერო პირი იქნება, მთავარია ისეთი იყოს, რომ წამხდარ საქმეს უშველოს. მართა იქვე მიუთითებს, რომ გაგზავნილმა პიროვნებამ სტამბოლზე გაიაროს, საპატრიარქოში მივიდეს და სულთნის ვეზირიც ნახოს. მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ესეც არ კმარა, აუცილებელია საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. *„ერთი თავი ჯვარის მამა გაიხინეთ, – წერს მართა. – რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე, უსათუოდ შავი ზღვით გამოგზავნეთ კაცი და საპატრიარქოშიდ სტანბოლს მოვიდეს, და იქიღამა ვეზირი ნახოს, თუ ასრე არა იქო, ეს მონასტრები და იერუსოლიმი დაგეკარგვიან“*.

მართა იერუსალიმში არსებულ ვითარებაზე დაკვირვებით, კათალიკოსს ურჩევს: *“ნუ იქო, სხვას ნუ უყურებო, თავისის ფეხით იარეთ და, ვინც ბატონები იყოს ან გურიას, ან ოდიშს, ან იმერეთს და ქართლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით“*.

¹ იხ. მამისთვალისმილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 34-36.

მართალია, მართას წერილის ადრესატი კათალიკოსი გრიგოლია, მაგრამ იგი, სინამდვილეში, მთელ საქართველოს მიმართავს და აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს. თუ გაბედულად არ იმოქმედებთ და „თუ იერუსალიმი დაგეკარგვიან, რასღა სჯული და ან რასღა პირჯვრის წერა გექნებათ“.

ჩანს, მაშინდელი ქართული საზოგადოებრიობა გარკვეულ იმედს ამყარებდა მართლმადიდებელ რუსეთზე და მისი დახმარებით ფიქრობდა წმინდა ადგილების განთავისუფლებას. მართას კი მიაჩნია, რომ მიზნის მიღწევა მხოლოდ ოსმალეთზე ორიენტაციით შეიძლება, რადგან რეალური ძალა პალესტინაში მხოლოდ მას გააჩნია. ამიტომაც მართა წერილს ამთავრებს იმ განწყობილებით, რომ იერუსალიმის წმინდა ადგილების დაკარგვა ქართველობის დაღუპვაცაა: „ეს უნდა დაუწეროთ ხვანთქრის წიგნშიდ – ევედრება მართა კათალიკოსს, – რომ ამბავი მოვიდა, იერუსალიმი გავიცემიათქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი რაც ქართველების არის, ყველა გავიცემიათქო. ან დაგვათათრე, ან დაგვხოცე, ან სჯულსა და სალოცავს ნუ წავგვართმევთქო“¹.

მართა მონაზონის წერილი წინასწარმეტყველურია. მართლაც ისე დასრულდა იერუსალიმში ქართული დიასპორისა და მონასტრების ისტორია, როგორც არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე ის აფრთხილებდა ქართულ საერო და საეკლესიო ხელისუფლებას. XVII საუკუნის დასასრულს წმ. ქალაქში დასრულდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი რელიგიური და კულტურული ცხოვრება.

ნიშანდობლივია, რომ მართას ამ თხოვნის შემდეგ, 1643 წელს იერუსალიმში ჯვარისმამა გაიგზავნა. არჩევანი ნიკიფორე ჩოლოყაშვილზე შეჩერდა, როგორც დიდი გამოცდილების საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწეზე. ნიკიფორე ყველაზე კარგად იცნობდა იერუსალიმს (ის 1614-1626 წლებში, თეიმურაზ I-ის მიერ დასავლეთ ევროპაში ელჩად გაგზავნამდე², იერუ-

¹ საქართველოს სიძველენი, I, 39-42

² ნიკიფორე ირბახის ევროპაში მოგზაურობის შესახებ იხ. აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბილისი, 1985, 141-244; Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тб., 1994, 401-418; Ватейшвили Д. Л., Грузия и европейские страны. Т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, кн. I, 2003, 245-378; მამისტვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი, 2011, 197-312.

საღიმიში იმყოფებოდა) ერკვეოდა იქაურ ამბებში და მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა, როგორც იერუსალიმელ ქართველებში, ისე ორთოდოქსალურ საპატრიარქოში. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან პირველად 13 წელი გაატარა ამ ქალაქში და მეორედ გამგზავრებამდე არასოდეს გაუწყვეტია მასთან კავშირი.

ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილი (1585-1659) XVII ს. 20-50-იანი წლების საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი საეკლესიო, კულტურის და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მასზე ბევრი რამ საქებარი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ის უარყოფითი დახასიათება, რომელიც პატრიარქმა დოსითეოსმა მის შესახებ დაგვიტოვა, სრულიად განსხვავდება¹ მისი თანამედროვეების დახასიათებებისაგან, რომლებიც ასევე პირადად იცნობდნენ ამ დაუდგრომელ, თავისი ნიჭით, განათლებითა და დამსახურებით გამორჩეულ ადამიანს.

ნიკიფორეს იერუსალიმში ჯვარისმამად გამგზავრების მიზეზი, როგორც ითქვა, უნდა გამხდარიყო 1641-1642 წლებში იერუსალიმიდან მონაზონ მართას მიერ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლ I-სათვის გაგზავნილი წერილი², რომელშიც გადმოცემულია წმინდა ქალაქში ქართული მონასტრების უაღრესად მძიმე მდგომარეობა. მართა სხვადასხვა სათხოვართან ერთად, კათალიკოსს სთხოვს აგრეთვე: „ერთი თავი ჯუარის მამა გაიხინეთ, თვარა წახდა საქმე...“³. კათალიკოსმა, როგორც ჩანს, არჩევანი ნიკიფორე ჩოლოყაშვილზე შეაჩერა, რომელიც ამ დროს დიდი გამოცდილების საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. იმავე დროს ნიკიფორე მაშინდელ საქართველოში, ალბათ, ყველაზე კარგად იცნობდა იერუსალიმს (ის 1614-1626 წლებში, თეიმურაზ I-ის მიერ დასავლეთ ევროპაში ელჩად გაგზავნამდე, იერუსალიმში იმყოფებოდა), ერკვეოდა იქაურ ამბებში და მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა როგორც იერუსალიმელ ქართველებში, ისე საპატრიარქოში.

კათალიკოსის მიერ შერჩეულ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა და სავარაუ-

¹ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 96-102.

² საქართველოს სიძველენი, I, თბილისი, 1899, 37-39; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, 303; მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 5-7.

³ საქართველოს სიძველენი, წ. I, გამოცემა მეორე, თფილისი, 1920, 8;

დოა, იქ შეხიზნულმა თეიმურაზ I-მაც. თეიმურაზის თანხმობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ, რადგან როგორც წესი, მას შემდეგ, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა, ჯვარისმამას ქართლის მეფე ნიშნავდა. ამ დროს თეიმურაზს ხომ თავი კვლავ ქართლის მეფედ მიაჩნდა. თეიმურაზის მიერ ნიკიფორეს კანდიდატურისადმი მხარდაჭერა, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო საერთო საქმის ინტერესებით, თორემ თეიმურაზ მეფესა და მის კარის მოძღვარ¹ ნიკიფორეს შორის ურთიერთობა დიდი ხნის წინათ, ევროპიდან მისი დაბრუნების შემდეგ, დაპირისპირებასა და მტრობაში გადაიზარდა².

მეფე-მთავრებმა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, დიდი დახმარება აღუთქვეს ნიკიფორეს და თავიანთი დანაპირები შეასრულეს კიდევ.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა, იცოდა რა იერუსალიმში ჯვრის და სხვა ქართული მონასტრების სავალალო მდგომარეობა, სერიოზულად იზრუნა დასავლეთ საქართველოს დიდკაცობაში აუცილებელი თანხების შეგროვებაზე. ნიკიფორეს დიდ ავტორიტეტს უნდა მივაწეროთ, რომ მრავალმა თავადმა დიდი თანხები გაიღო, რაც მისი მამობის დროს წმ. ჯვრის მონასტერში დადებულ აღაპებში აისახა. ნიკიფორემ აღაპი გაუჩინა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს, მის მამას, იმერეთის მეფე გიორგის და მის თანამეცხედრეს თამარს, დადიანის ასულებს – ხუარამზეს და დარეჯანს, ვახტანგ და პაატა გურიელებს და ამ უკანასკნელის თანამეცხედრეს – მარიამს, მათ შვილს ოტიას³, წალენჯიხის ეპისკოპოსს ევდემონ ჯაიანს, იმერეთის თავადებს: ქაიხოსრო წულუკიძეს, სახნა მიქაძეს, ზაალ ღოდობე-

¹ ნიკიფორე თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი იყო იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერში ბერად შედგომამდე და არა იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ (იხ. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 39). ნიკიფორე ირბახი რომ თეიმურაზის კარის მოძღვარი იყო მისი ევროპაში გამგზავრებამდე, აღნიშნული აქვს თვითონვე ესპანეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში (ნიკიფორეს ბიოგრაფიული ცნობები მისი ევროპაში გამგზავრებამდე იხ. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, 205-212).

² მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, 281-312.

³ ფ. გორგიჯანიძის გადმოცემით, ოტიას დედამ, მეორედ გათხოვილმა როსტომ მეფეზე, შვილის ტრაგიკულად გარდაცვალების შემდეგ მისი ქონების ნაწილი იერუსალიმს გაგზავნა. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გმოცემა, *საისტორიო მოამბე*, ნაკვ. II, 1925, 252.

რიქს, ვახტანგ ჩიჯავაძის მეუღლე ხვარამზეთის, თავის ოჯახის წევრებს: მამას – ომან ჩოლოყაშვილს, დედას – ბარბარეს და ძმებს – ქაიხოსროსა და ივანეს¹.

წმ. ჯვრის მონასტერი დროთა განმავლობაში უსახსრობით, ბუნების კაპრიზებით, ომებით ან სხვა მიზეზებით ზიანდებოდა და ინგრეოდა. მოღწეულია რამდენიმე ცნობა XIII–XVII საუკუნეებში მისი დაზიანებული ადგილების შეკეთების და განახლების შესახებ. როგორც სხვა მასალებიდან ჩანს, ნიკიფორე ირბახის მიერ ჩატარებულმა ჯვრის მონასტრის სარესტავრაციო და მოხატვის გრანდიოზულმა სამუშაოებმა დიდძალი თანხა შეიწირა. დოსითეოსის მიხედვით, ეს გახდა მიზეზი იერუსალიმის ქართული მონასტრების ჯერ დავალიანების, შემდეგ კი მათი დაკარგვისა. სინამდვილეში ეკლესია-მონასტრების დაკარგვა ხანგრძლივი პროცესი იყო, განპირობებული საერთაშორისო და საქართველოში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებებით.

* * *

საინტერესო, შეიძლება ითქვას, უნიკალური ცნობები, განსაცდელში ჩავარდნილი ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი საქართველოდან დახმარების გაწევის მცდელობათა შესახებ, პატრიარქმა დოსითეოსმა შემოგვინახა.

საქართველოში დაბრუნებულ ნიკიფორე ირბახს 1658 წელს, ვალების დასაფარავად ვინმე მარკოზის ხელით იერუსალიმში თანხა გაუგზავნია. ნიკიფორეს ჯვარისმამად დაუტოვია გაბრიელი, გვარად გეგენავა. დოსითეოსი მას უარყოფითად ახასიათებს, მიაწერს მონასტრის ვალებში ჩაგდებას და დასახელებული მარკოზის დაღუპვას. მომხდარა შემდეგი: გაბრიელ გეგენავა იაფოში მივიდა ვითომ მარკოზის შესახვედრად, მაგრამ, სინამდვილეში დაღუპვას უმზადებდა. გაბრიელის მიერ მიგზავნილმა ერთმა ნესტორიანელმა მარკოზი გემიდან გადააგდო. მარკოზი დაიღუპა. გაბრიელმა აიღო მარკოზის მიერ ჩატანილი ფული და ვალების გასტუმრება დაიწყო. ფულის

¹ Синодик Крестного Монастыря в Иерусалиме, изд. Н. Марр, СПб, 1914, №13, 23, 43, 49, 85, 90, 96, 179, 249, 253, 285; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 74, 76, 80, 81, 83, 87, 88, 95, 171, 176, №№ 14, 24, 51, 88, 89, 181, 253, 292.



ნიკიფორე ირბასი –
ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი

ნაწილი მევახშეებს მისცა, თამასუქები განაახლა, მაგრამ ძველი თამასუქები არ ჩამოართვა. მის მიერ მიგზავნილმა ყაჩაღებმა მოკლეს ის კაცი, რომელსაც ახალი თამასუქები მიჰქონდა და თამასუქები მოსპო, მაგრამ ის ვერ გაითვალისწინა, რომ ძველი თამასუქები თურქ მევახშეებს ჰქონდათ¹.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ შეგროვილ ფულს დაამატეს დაახლოებით 100 ათასი გროსი და 1659 წელს, თბილისის ეპისკოპოს იესეს და მის თანამგზავრებს იერუსალიმში გაატანეს. საქართველოდან ამ

¹მამისთვალისშილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 189.

დიდი თანხის გაგზავნის შესახებ რაღაცნაირად გაიგეს თურქებმა და იესე გაძარცვეს¹.

1661 წელს იერუსალიმში მივიდა, წარმოშობით ებრაელი, ილარიონ წალენჯიხელი. პატრიარქ ნექტარიოსთან კონფლიქტის გამო, ის საქართველოში დაბრუნდა და შესაწირავებიც უკან წამოიღო².

1663 წელს ქართლიდან იერუსალიმში გაიგზავნა მღვდელმონაზონი, ჯვარისმამა იოსებ ბარათაშვილი. მან გულუბრყვილობა გამოიჩინა და მეფასშეებს გადაუხადა ის თანხები, რომლებიც მათ თავიანთი თამასუქების შესაბამისად მოითხოვეს. კერძოდ, მათ მოითხოვეს ძირითადი თანხის დამატებითი პროცენტი და მისგან მიიღეს ვალის პროცენტით გადახდის ახალი თამასუქები. ამის შემდეგ იოსები სამშობლოში დაბრუნდა მაგრამ ვალები ისევ დარჩა³.

მცხეთის გუჯარი გვამცნობს, რომ 1666 წელს ვინმე მეღვთის შეუკრები 1501 მინალთუნი ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად⁴. იმავე წლის მცხეთის სხვა სიგელიდან ირკვევა, რომ მეღვთი ჯვარისმამად იყო 1666-1675 წლებში. მეღვთი იოსებ თბილელს სწერს: „... ასე რომელ კურთხეულმან (თბილელმან) ელისე საყდრის ალაგი მიბოძა და მე ავაშენე და ჩემი ძმა იმას ვაყმე და მას უკან მე ჯვარის მამად დამაყენეს და მერმე ჩემი ძმა აბდულმესი ბატონს ციცის ვაყმე და მე იერუსალიმს წავედ და ის სახლ-კარი თქვენ მოგაბარეთ ამანათად...“⁵.

1666 წელს მეღვთის შეუდგენია კათალიკოსისა და დედოფლის მიერ საქართველოსა და, კერძოდ, კახეთის თავადების, ეპისკოპოსებისა და გლეხებისაგან აკრებილი თანხის (148 თუმანი და 1 მინალთუნი) დანახარჯის ნუსხა. ალბათ, იმიტომ რომ მეღვთიმ ვერ შეძლო ჯვრის მონასტრის ვალების გასტუმრება, მისი შემდგომი ჯვარისმამა ნიკოლოზ წულუკიძე კიცხავს მას ამის გამო 1675 წელს⁶. მეღვთის შესახებ რამდენადმე განსხვავებული, მაგრამ საინტერესო ორიოდ ცნობა დაგვი-

¹ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 189.

² თამარაშვილი მ., ისტორია კათალიკოსისა ქართველთა შორის, 199-200.

³ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 190.

⁴ ქრონიკები, II, 483.

⁵ ქრონიკები, II, 483-484.

⁶ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, გვ. 142.

ტოვა პატრიარქმა დოსითეოსმა. მისი თქმით, მელეტი აღეპოელი ყოფილა, რომელსაც 1666 წელს 10 ათასი გროსი შეუგროვებია და იერუსალიმში წაუღია. მან, ისევე როგორც მისმა წინამორბედებმა, თვითნებობა გამოიჩინა და იერუსალიმის პატრიარქის უკითხავად მევახშეებს მისცა ფული, შეცვალა თამასუქები და ისე განსაზღვრა პროცენტი, რომ შემცირების ნაცვლად ვალი გაიზარდა 94 ათას გროსამდე. ამის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, კვლავ შეაგროვა 40 ათასი გროსი, 50 ოქროს ძეწკვი, ძვირფასი ხატი და სხვა მრავალი ძვირფასეულობა და ტრაპიზონიდან გემით გაემგზავრა იერუსალიმში. ის გემთან ერთად დაიღუპა კიტორის¹ მახლობლად².

მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ მელეტი ორჯერ ყოფილა იერუსალიმში. ის დაღუპულა მეორედ მოგზაურობისას. მის დროს მიუღწევია ქართველთა ვალებს იერუსალიმში იმ უზარმაზარი ოდენობისათვის (94 ათასი გროსი), რომლის გადახდა მხოლოდ 1685 წელს მოხერხდა.

ფრიად საყურადღებოა ერთი გრემოება, რომელზეც დოსითეოსი მიუთითებს. იერუსალიმში გაგზავნილი ქართველები, კრიტიკული მდგომარეობის მიუხედავად, მოქმედებდნენ დამოუკიდებლად. ისინი კავშირში არ იყვნენ იერუსალიმის საპატრიარქოსთან. ერთადერთი ვინც სცადა პატრიარქთან შეთანხმებით მოეხდინა ვალების გასტუმრება იყო ილარიონ წალენჯიხელი. მაგრამ, როგორც ითქვა, მისი ურთიერთობა პატრიარქთან უკმაყოფილებით დასრულდა. ამის შემდეგ, სავარაუდოა, ილარიონისგან ინფორმირებული საქართველოდან წარგზავნილები ერთდებოდნენ საპატრიარქოსთან კონტაქტს. დოსითეოსი ქართველთა წარუმატებლობას, განსაკუთრებით კი ორი უკანასკნელის – იოსებისა და მელეტის, საპატრიარქოსთან კონტაქტის უქონლობით ხსნის.

დოსითეოსის მიხედვით, ბოლოს, ვინც ქართული მონასტრების გამოხსნა განიზრახა, იყო აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი დომენტი. ჩვენი საისტორიო მწერლობა დომენტი III-ის ასეთ საქმიანობას არ იცნობს, ამიტომ ამ ცნობას, რომელიც დოსითეოსის „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში“ არის გადმოცემული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

¹ ალბათ, „კიტეოსი“, კვიპროსზე. ტიმოთე გაბაშვილი, 93⁶

² მამისთვალისშიელი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 190.

ქართლის კათალიკოსმა დომენტიმ, ვახტანგ V შაჰნავაზის ძმამ, მთელ იბერიაში შეაგროვა 100 ათასი გროსი და იერუსალიმში მარტო წასვლა სურდა. მაგრამ ამ დროს უფლისწულმა არჩილმა იმერეთში გამეფება განიზრახა. სპარსეთის შაჰმა სეფი II-მ არჩილის მოქმედება თავის საწინააღმდეგოდ მიიღო, რადგან იმერეთი კონსტანტინოპოლს ემორჩილებოდა, ქართლი კი სპარსეთს. მან ქართლის მეფეს უბრძანა ისპაჰანში ხლებოდა. მეფე შაჰის ბრძანებას დაემორჩილა და ისპაჰანში წავიდა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია, გზაში გარდაიცვალა. კათალიკოსმა გაიგო, რომ მეფე გზაში მოკვდა და თვითონაც მწუხარებისაგან გარდაიცვალა. ხოლო მის მიერ იერუსალიმში წასადგებად შეგროვილი ფული და ძვირფასეულობა დაიტაცეს და დაიკარგა¹.

შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დომენტი III ვახტანგ V-ის ძმა კი არა, ბიძაშვილი, ქაიხოსრო მუხრან-ბატონის ძე იყო (1660-1675)². მისი კათალიკოსობა თითქმის ემთხვევა ვახტანგ V-ის მეფობას (1658-1675). ვახუშტის მიხედვით, ახალციხის ფაშამ ვახტანგ V-ის ძე ლუარსაბი ახალციხეში წაიყვანა იმ პირობით, რომ იმერეთის ტახტს დააპყრობინებდა. ძმის კვალს დაადგა არჩილიც. მეფემ არჩილს კათალიკოსი დაადგენა, „რათა მოიქცეს და აცადოს დღე სიკვდილისა მეფესა და შემდგომად რა იგი ენებოს ჰყოს. გარნა არჩილ არღარად ისმინა, არცა შეიგონა ვედრება მამისა თჳსისა“². ვახტანგ V-მ იცოდა რა შაჰის განწყობილება ქართლებების მიერ იმერეთის დაპყრობისადმი (ეს ცნობილი იყო დოსითეოსისთვისაც), ამიტომ არჩილსა და მისი ძმის მოქმედებას ჩაუთვლიდა ორ მუსლიმურ ქვეყანას შორის კონფლიქტის პროვოცირებად. მართლაც შაჰმა ვახტანგი დაიბარა, მაგრამ მან ყაზვინამდე ვერ მიაღწია. ის გზაში გარდაიცვალა.

როგორც დოსითეოსისა და ვახუშტის ცნობების შეჯერებით შეიძლება ვივარაუდოთ, დომენტი III-ს იერუსალიმის ქართული მონასტრების დასახმარებლად დიდძალი თანხის წაღება განზრახული ჰქონდა 1675 წლამდე ახლო პერიოდში, მაგრამ განხორციელება ვერ შეძლო.

იერუსალიმის საპატრიარქოში ხედავდნენ, რომ ქართველები ვერ ახერხებდნენ თავიანთი მონასტრების ვალებიდან

¹ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 190-191.

² ქართლის ცხოვრება, II, 440.

დახსნას და განიზრახეს თვითონ მოეხდინათ თანხების ამოქაჩვა ქართული სამეფო-სამთავროებიდან. ქართული ეკლესია მონასტრების ბედიტ ბერძნების დაინტერესება, ჩემი აზრით, არ იყო ერთმნიშვნელოვანი: 1. არ გამოვრიცხავ, რომ ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურნი, თავდაპირველად, გულწრფელად წუხდნენ ერთმორწმუნე ქართველების გაჭირვებული მდგომარეობის გამო და სავანეების ქართველებისათვის შენარჩუნება უნდოდათ. 2. რა თქმა უნდა, ბერძნებისათვის სულ ერთი არ იყო ვინ დაიკავებდა ქართველების ადგილს იერუსალიმში. ბერძნები ჯეროვნად აფასებდნენ ლათინთა და სომეხთა მზარდი გავლენის უარყოფით შედეგებს ბერძნული ორთოდოქსალური ეკლესიის შემდგომი არსებობისათვის. 3. ქართველები სავანეებს თუ მაინც კარგავდნენ, მათ ბერძნები რატომ არ უნდა დაპატრონებოდნენ? 4. ბერძნებს ისე უნდა ემოქმედათ, რომ ვალების გამო დაგირავებული თუ გაჭირავებული სავანეები ქართველებისავე ფულით თავისთვის გამოეყიდათ.

ქართული სავანეების მევახშეთა ხელიდან დახსნის საქმეს ჩვეული ენერჯით მოჰკიდა ხელი დოსითეოსმა, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა საქართველოში: პირველად, 1657-1658 წლებში პატრიარქ პაისიოსთან ერთად, ხოლო მეორედ, 1681 წელს როგორც პატრიარქმა. 1670-იანი წლების შუა ხანებში დოსითეოსი სისტემატურად სწერდა ქართველ მეფეებს, გაეგზავნათ ვალების დასაფარი ფული. ბოლოს პატრიარქის თხოვნა შეიწყინარეს და მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ მას თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა საქართველოში, რომელსაც გადასცემდნენ 40 ათას გროსს. 1678 წელს დოსითეოსმა იერუსალიმიდან გაგზავნა კაცი, რომლის მოგზაურობის შედეგზე აღნიშნავს, რომ ქართლიდან დიდი დახმარება მიიღო, მაგრამ ივერიაში ფული არ მისცეს. ამ დროს დოსითეოსი ვლახეთიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა და როდესაც გაიგო ეს არასასიამოვნო ამბავი, ვლახეთიდან წამოდებული 32 ათასი გროსი ქართველთა ვალების დასაფარავად იერუსალიმში გააგზავნა, თვითონ კი ივერიაში გაეშურა¹.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფომ საჭირო თანხა გაიღო, მაგრამ იმერეთის სამეფოში (დოსითეოსი დასავლეთ საქართველოს „ქვემო ივერიას“ უწოდებს) კი თავი შეიკავეს. დოსითეოსის ნათქვამს თუ ასე გავიგებთ, მაშინ გაუ-

¹ მამისთვალშივილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 191.

გებარი ხდება, ფულის ამოღების მიზნით რატომ ეწვია მხოლოდ ქართლის სამეფოს. პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ჯერ-ჯერობით ჭირს.

1679 წლის 24 ივლისს, დოსითეოსი მოსკოვის პატრიარქს იოაკიმს აცნობებდა იმ არასასურველ ვითარებაზე, რომელიც იერუსალიმში მართლმადიდებლებისათვის შეიქმნა. „ამავე დროს დიდი გასაჭირი გვადგია, – წერდა დოსითეოსი, – რადგან იერუსალიმში ქართველებს რომ წმ. ჯვრის მონასტერი და კიდევ სხვა ხუთი მონასტერი აქვთ, სატანის მოქმედებით თავიანთი მონასტრები დიდ ვალში ჩაყარეს, გადახდა კი არ შეუძლიათ. უკვე 20 წელია მიატოვეს და გაიქცნენ, რის გამოც (მონასტრები – ე. მ.) დაცარიელდა და განადგურების პირად მივიდა. ეს მძიმე ტვირთი ჩვენზე გადმოვიდა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წელს (1679 – ე. მ.) ეს საქმე ღვთის შეწევნით, გამოსწორდება, როგორც ამის შესახებ (საქართველოდან – ე. მ.) გეწერენ“¹.

როგორც ერთი უთარილო გარიგების წიგნიდან ვიგებთ, დოსითეოსი თითონ გამოემგზავრა საქართველოში, სადაც შეშფოთებულნი იყვნენ იერუსალიმის ქართული მონასტრების ბედით. გარიგების წიგნი შედგენილი უნდა იყოს დოსითეოსის ქართლის სამეფოში ყოფნის დროს, 1681 წლის ზაფხულში, თბილისში ყოფნა კი მოუხდა ორჯერ: პირველად მარტში, მეორედ – 17 ივლისიდან აგვისტომდე.

პატრიარქი შეხვდა ქართლის სამეფოს მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებთანაც გააფორმა ხელშეკრულება (გარიგების წიგნი) ქართული მონასტრების ვალების დაფარვის შესახებ.

გარიგების წიგნი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი დაიწერა და იერუსალიმის პატრიარქს გადაეცა XVII ს. მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს თითქმის ყველა გამოჩენილი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწის სახელით, რაც ამ დოკუმენტის თავისებურებაზე მეტყველებს. ეს კი განპირობებული იყო ჯვრის მონასტრის დიდი ეროვნული მნიშვნელობით და იმ უზარმაზარი თანხით, რომლის გადახდაში თავისი წვლილი შეიტანა გიორგი XI-ის „საბატონოს ეგისკოპოზთა და დარბაისელთა, დიდმა და მცირემ“.

¹ Каптерев Н., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг.), М., 1891, с. 64.

„წიგნი ეს მართალი და ჭეშმარიტი¹, ჩუწნგან მორთმეულთ²
ქ: წყალობითა ღუთისათა ჩუწნ მეფემა გიორგიმ და ძემან
ჩუწნმა ბავრატ და ძმამა ჩუწნმა ლევან და ძმამა ჩუწნმა სუ-
ლეიმან და ქართლისა კათალიკოზმა ნიკოლოზ, ბატონის-
შვილმა თეიმურაზ და ბატონის-შვილმა აშოთან, ამილახორმა
გივმა და პაპუნაბეგ და დიანბეგმა ვახტანგ, ერისთავმა დავით
და ერისთავის-შვილმა იასონ, მთავარ-ეფისკოპოზმა ნიკოლოზ,
თბილელ ეფისკოპოზმა იოსებ, მანგლელმა, მროელმა და
სრულად ჩუწნის საბატონოს ეფისკოპოზთა და დარბაისელთა,
დიდმა და ცოტამ. რადგან ინება ღმერთმან და ამდონი
წყალობა გვიყო, ჩვენის მონასტრის დახსნა მოინდომეთ და
მობრძანდით თქუწნ, ჩვეწნის მამის ალავს მისაჩენელი ბატონი
პატრიაქი დოსითეოს და ჩუწნც დიდად თავს შევიდევით და
ჩუწნ ძმათა და ეფისკოპოზთა და დარბაისელთა, დიდთა და
ცოტათა, დიდი სასჯელი ქმნა ჩუწნთვს, ვითარცა მამამ
შვილთ მოყვარემ; რადგან თქუწნ ჩუწნთვს და ჩუწნის მონას-
ტრის გულისათვს ამდონს გაისაჯენით, ჩუწნც თქუწნი ბრძა-

¹ „გარიგების წიგნი“ გამოქვეყნებულია რამდენჯერმე – 1866 წელს უთარილოდ (Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссию, т. 1, Тифлис, 1866, 26-27), 1970 წელს კი დათარიღებული იყო 1678-1688 წლებით, მაგრამ გაურკვეველია რატომ. ამასთან ერთად დოსითეოსი გამოცხადებულია ანტიოქიის პატრიარქად (ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, 592-594). მე ის გამოვაქვეყნე ორჯერ – 2002 და 2008 წლებში (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, 29-30; საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 126-127) ახლა კი მესამედ ვთავაზობ მკითხველს. ასე, რომ მეცნიერული წრეებისათვის ამ დოკუმენტის არსებობა დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ჩემამდე ის არავის გაუანალიზებია. ამის აღნიშვნა იმიტომ არის აუცილებელი, რომ წმ. ჯვრის მონასტერზე დაწერილ სამეცნიერო გამოკვლევებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში, საინფორმაციო საშუალებებში, ჩვენს ქვეყანაშიც კი, ყველა ერთხმად აცხადებს, რომ ქართველებმა წმ. ჯვრის მონასტერი დავალიანების გამო დაკარგეს, რაც სიმართლეს არ შეეფერება. იმიტომ რამდენჯერაც არ უნდა შევხვით ჯვრის მონასტრის ისტორიას, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, აუცილებლად უნდა დავიმოწმოთ „გარიგების წიგნი“ და სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც რეალური სურათის აღდგენას წაადგება.

დოკუმენტს უთარილოა. რამდენადაც ცნობილია დოსითეოსის საქართველოში მეორედ ყოფნის დრო, როდესაც დოკუმენტი არის შედგენილი, ამდენად მისი შედარებით ზუსტად დათარიღება შეიძლება – 1681 წლის 15 ივნისი – 30 ივლისი.

² პირველი წინადადება გამოტოვებულია 1970 წლის პუბლიკაციაში.

ნება გავათავუთ და რაც ვალი ჩუშნს მონასტერს ემართა, სრულ-ყველას გარდასაწყვეტლად მოვართვით სამოცი ათასი მარჩილი და გავგზავნეთ ჩუშნი კაცები გილანს, აბრაშუმი უნდა იყიდონ და ცხრას თვეში უნდა იზმირს მივიდნენ და როდესაც გაყიდონ აბრაშუმი, ფასი ბატონმა პატრიაქმა უნდა გამოართვას თურამეტი ათასი ოთხასი და ორმოცი და კიდევ აქუს პაპუასა იზმირს ცამეტი ათასი ასლანი; როდისაც ბატონი პატრიაქი მიბძანდეს, ან ბურსას და ან სტამბოლს უნდა მიართოს პაპუამ ის თეთრი გაურჯეღლად: კიდევ მარიამობის-თვეს გასულსა უნდა მივართოთ პაპა დანიელს ოთხი ათასი ექვსასი და სამოცი და სამი მარჩილი; აღებული რაც იყო, პატრიაქმა წაიღო ან იარალი ამისი ანგარიშით სულ სამოცი ათასი მარჩილი ქართლიდამე უნდა პატრიაქმა ამით მონასტრები დაიხსნას. აწე ღუთის შეწვევითა უნდა რომე მოიჭიროს პატრიაქმა და კიდევ უნდა დაიხსნას მონასტრები, რაც ვალები იყოს და რაც გილანს გავგივზავნია, ან იზმირს არის, ეს ყველა უკლებლივ უნდა ბატონს პატრიაქს (უნდა) მიეზაროს ამ ჩუშნის კაცებისაგან, რომელსაც ალავს პატრიაქს შეეყაროს, იქ უნდა მიართვას და მარიამობის თვეს გასულსა, რომელიც დარჩა თეთრი, პაპა დანიელს მივაბაროთ და ერთი კაცი ჭკვიანი თან გავატანოთ, რომ არა დაამარცხონ რა, და რაც ღირებული მივართვით პატრიაქსა, თუ სტამბოლს ჩუშნ რომ დავაბარეთ თუ იმ ფასად არ გაუყიდეს, რომელიც დაკლდეს და პატრიაქმა წიგნი მოგუწეროს, მივართვათ რაც ნაკლები მოვიდეს ჩუშნგან დაბარებულზე არ დავაკლოთ და რადგან დაისაჯა პატრიაქი ჩუშნის გულისათვის და საქართველოს გულისათვის და თავის მადლისა ღუთის გულისათვის და დიდი ჭირი ნახა, ჩუშნც ამას მოველით, რომ თავისი გარჯა და პირობა გავგიტაოს და ეს საქმე აღვეისრულოს და ჩუშნცა ჩუშნი თავი და მამული თქუშნად საკეთოდ არ დავზოგოთ და თქუშნზედ ჩუშნც სიკეთეს ვეცადოთ და გარიგება და გამოხსნა თქუშნზედ ჰკიდია და ესე პირი და წიგნი ვჰკადრეთ ჩუშნს მლოცველსა და მამის ალავს მისაჩენელსა, ბატონს პატრიაქსა. –ამისი მოწამე პაპა ნიკოლოზ და პაპა დანიელ“.

როგორც ჩანს, დოსითეოსმა, როდესაც ის ქართველებს მათი მონასტრების ვალებზე აცნობებდა, ვერ გაითვალისწინა სულთნის მოხელეების ვერცხლისმოყვარეობა. ქრთამის სახით მან 20 ათასი პიასტრი გადაიხადა. მთლიანობაში გადახდილი იქნა 94 ათასი პიასტრი და ყველა ქართული სავანე ვალებსაგან გათავისუფლდა. საპატრიარქომ, პარალელურად, დაიწ-

ყო განსაკუთრებით დაზიანებული ქართული მონასტრების (წმ. ჯვრის, წმ. ბასილის და წმ. ნიკოლოზის) შეკეთება.

„გარიგების წიგნში“ ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი და კომენტარებს არ საჭიროებს. ყურადღება მინდა მივაპყრო მხოლოდ ერთ გარემოებას: ქართული მხარე მზად არის, რომ ვალის გასასტუმრებლად გაცემული თანხა თუ საკმარისი არ იქნება, კიდევ დაამატებს საჭირო რაოდენობას. ეს იმიტომ არის აღნიშვნის ღირსი, რომ, როგორც დოსითეოსის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, მისთვის გადაცემული თანხა ნაკლები იყო მონასტრის ვალების გადასახდელად. დოსითეოსი იქვე ამბობს, რომ მიუხედავად ამისა, ქართველებს აღარაფერი გამოვართვით და დანაკლისი საპატრიარქოს ხაზინიდან შევავსეთო. საფიქრებელია, რომ ქართველებთან მოლაპარაკებისას თანხის რაოდენობა თვითონ დოსითეოსმა დაასახელა და თავისი შეცდომა თვითონვე გამოასწორა. მაგრამ მისი ეს მოქმედება რომ მთაღდ ჰუმანიური აქტი არ იყო, ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

დოკუმენტების ნაკლებობა არ იძლევა საშუალებას ზუსტად აღვადგინოთ ქართლის ხელისუფლებასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის ურთიერთობის მსვლელობა 1681 წლის, ე. ი. დოსითეოსის საქართველოში ყოფნის შემდგომ. ცნობილია დოსითეოსის მიერ კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი (1682 წლის 23 სექტემბერი), რომლის ადრესატი არის რუსეთს გადახვეწილი არჩილ მეორე. წერილიდან ჩანს, რომ ქართულმა მხარემ არაფერი დაზოგა და ვალების გასასტუმრებლად ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა.

„დოსითეოსი, ღვთის წყალობით, წმინდა ქალაქ იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქი

დიდებულო და ღვთისმოსავო ხელმწიფეე და მფლობელო იმერეთისა და არგანისა, ანუ კახეთისა, უფალო არჩილ! სულიწმინდამ ზეგარდმო მოგანიჭოს სიკეთე: სიმშვიდე და წყალობა პქონდეს ღვთისაგან შენს უმაღლესობას, წმინდა და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვრის საფლავისაგან – შველა, ჩვენგან კი ლოცვა-კურთხევა და ვედრება.

ვზრუნავთ შენზე, არა როგორც ქრისტიანისათვის შეგვფერის, არამედ უფრო მეტად, ვინაიდან მიატოვე ნათესავები, მეგობრები და სახელმწიფო მრავალწლიანი რჯულისათვის, სათაყვანო და ერთარსება სამების მოსახსენიებლად. როგორც შენმა მშობლებმა ცალ-ცალკე უხვი, მრავალფეროვანი და ძვირფასი დახმარება გაუწიეს უწმინდეს და უპატიოსნეს მაცხოვრის საფლავს, ისე ახლა სასიკეთოდ შენს ძმებს და დებს,

სიძეებსა და ბიძაშვილებს სურვილი აქვთ დაიხსნან წმინდა და პატიოსანი წმ. ჯვრის მონასტერი და სხვები, რომლებიც იერუსალიმშია. სხვა საზრუნავიც გვაქვს შენზე და ვევედრებით უფალ ღმერთს შთავაგონოს და ვიხსნას, ვინაიდან ამ ღვთისმოსავი ბაგრატიონებისა და პეროსალიმიანების (?)¹ შთამომავალნი, შტო და ნაყოფი კურთხეულნი არიან... თუ კი ინებებ და დაინტერესდები წმინდა ჯვრის მონასტრის ვალებით, იცოდე რომ პაპუნა სომეხმა, რომელმაც ნედლი აბრეშუმში ჩამოიტანა, ქალაქ იზმირში გაყიდა და თქვენი წყალობა ცამეტი ათასი ტალერი სრულად მოგვართვა, ახლა კი, ამა წლის თებერვლის თვეში, მამუკა და ასლამაზ სომეხები ჩამოვიდნენ გილანიდან ქალაქ იზმირში და მათაც აქვთ მოსაცემი ჩვენთვის თვრამეტი ათას სამას ორმოცი ტალერი, რომელ ფულსაც, ღვთით იმედია, წმინდა პეტრესა და პავლეს დღესასწაულამდე ავიღებთ მათგან². შენმა ძმებმა მამათქვენის შუბის წვერი, უნავირი და ქამარი მოგვცეს. ჩვენც უნავირი ორიათას ხუთას ტალერად გავყიდეთ, შუბის წვერი ორიათასად, ქამარი კი ათას ტალერად. ამის შემდეგ გამოვზავნეს ჩვენთან მამათქვენის ხანჯალი, ისიც გავყიდეთ ათას ორას ტალერად, ხოლო მარიამ დედოფლის მარგალიტი და სხვა ნივთები, რომლებიც მან მოგვცა, გავყიდეთ სამიათას რვაას ტალერად. ლევანმა კი თავისი ცოლის ლალის ქვიანი წვეილი საყურე მოგვცა, ისიც ათას რვაას ტალერად გავყიდეთ. კიდევ წვეილი ზურმუხტის საყურე, რომელიც მარიამ დედოფალმავე მოგვცა, შვიდას ორმოცდაათ ტალერად გავყიდეთ. ვემზადებით, რომ ღვთის წყალობით ამა წლის შემოდგომაზე გავემზ ზავროთ მონასტრის ვალების გადასახდელად და დავიხსნათ იგი გაჭირვებისაგან. ფული კიდევაც რომ ვერ ვიშოვოთ, საიდანაც იქნება ვისესხებთ და ყველაფერს გადავიხდით, შემდეგ კი ავიღებთ და ვალს დავაბრუნებთ. როდესაც აქედან გავემზ ზავრებით თქვენთან მოვიწერებით...

1683 (1682)³ წლის სექტემბრის 23. ცარგრაღიდან.

იერუსალიმის პატრიარქი, შენზედ მლოცველი“.

¹ ეს უნდა იყოს ნართაული იმ ლევენდის შესახებ, რომლის მიხედვით ბაგრატიონები წარმოშობით იერუსალიმიდან იყვნენ და მათი წინაპარი დავით წინასწარმეტყველი იყო. დაწვრ. იხ. მამისთვალისშვილი ე., ქართველებრავლთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა), თბ. 1995, გვ. 52-69.

² იხ. გარიგების წიგნი.

³ თ. ტივაძის შენიშვნა: წერილში ყველგან წელთაღრიცხვა სექტემბრის კალენდრით არის ნაწარმოები, ამიტომ აქ 1682 წელი იგულისხმება.

დოსითეოსს წმ. ჯვრის მონასტერი დაუხსნია 1685 წელს. ის ამის შესახებ სიამაყით აცნობებდა მოსკოვის პატრიარქს იოაკიმს 1686 წლის აპრილში: „*იერუსალიმში ივერთა მონასტრები დავალიანებული იყო 94 ათასი ეფიძეით. უკვე 30 წელია რაც მათ მონასტრები მიატოვეს და გაიქცნენ. არ შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ლათინებსა და სომხებს გამოესყიდათ მევაღეებისაგან ის მონასტრები. გასულ წელს (1685 – ე. მ.) მივედით იერუსალიმში შესაწირავებით, ქართველებმაც მოგვცეს, ზოგიერთი ვალიც ავიღეთ და მთელი ვალი გადავიხადეთ და გავათავისუფლეთ მათი მონასტრები, სახელდობრ: წმინდა ქალაქი იერუსალიმის გარეთ დგას წმ. ჯვრის მონასტერი, ქალაქის შიგნით ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა, წმინდა ბასილის, წმინდა ანასი და წმინდა გიორგისა. ისინი განვაახლეთ დიდი შრომითა და ხარჯით*“¹.

ქართველებს ვალები რომ მოღიანად დაუფარავთ, ამის დამადასტურებელი საბუთი პირადად უნახავს პ. კონჭოშვილს 1899 წელს ათონზე მოგზაურობის დროს: „*მე ვნახე ერთი საბუთის ქაღალდი ათონის ქართველთა სავანეში, რომელთაგანაცხადად ჩანს, რომ კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქთა სრულიად გადაუხდიათ ვალები, რაოდენიც ყოფილან ამ სავანეზედ (წმ. ჯვრის მონასტერი – ე. მ.) გარდაუხდიათ შემოწირულობებითა, რომელიც საქართველოს მეფისა, პატრიარქისა და ერისაგან მიუღიათ და დანაშთენიც ვითომ თვითონ დაუმატებიათ და აცხადებენ ამ ქაღალდით, რომ შეუძლიათ ქართველთა მიიღონ თავის მფლობელობაში ეს მონასტერი. ეს გადაწყვეტილების პირი გადმოღებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არქივიდან და ეს დადგენილება არის 1702 წელს თარგმნილი რუსულად და დაბეჭდილი*“²

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ დოსითეოსი მოსკოვის პატრიარქს სიმართლეს არ აცნობებდა, როდესაც ქართული მონასტრების დავალიანებიდან განთავისუფლების დიდ საქმეში ქართველთა მცირე წვლილზე წერდა. იერუსალიმის პატრიარქის ჩანაფიქრი გასაგებია. ის ცდილობდა შეექმნა საერთაშორისო აზრი, რომელიც მომავალში საპატრიარქოს საკუთრებაში ქართული მონასტრების გადასვლას გაამართლებდა. მაშინ იე-

¹ Каптерев Н., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством (1669-1707 гг.), с. 142-143.

² კონჭოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, 83.

რუსალიმის საპატრიარქოში რუსეთის, როგორც ძლიერი მართლმადიდებელი ქვეყნის მხარდაჭერას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამგვარად მოტივირებული დოსითეოსის პრომოსკოვური განწყობილება საყოველთაოდ ცნობილი იყო. ის, რაც მან იოაკიმს მისწერა სიმათლეს რომ არ შეეფერებოდა, მკვეთრად გამოჩნდა მისსავე ეპისტოლეში, რომელსაც ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ. ქართული მონასტრების ვალებიდან განთავისუფლებული ჯვრის მონასტრისა და სხვა ქართული მონასტრების შემდგომ ბედში, განსაკუთრებული როლი შეასრულა წმინდა საფლავის ძმობამ დოსითეოსის მეთაურობით.

* * *

წმ. საფლავის ძმობა აღმოცენდა IV საუკუნეში. მისი საქმიანობა და ორგანიზაცია განსაზღვრული იყო გარკვეული სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც განსაკუთრებით გამოჩნდა და დაიხვეწა XVII საუკუნეში, როდესაც წმინდა ადგილებისათვის ბრძოლამ უმაღლეს ზღვარს მიაღწია. იმისათვის, რათა წმ. საფლავის ძმობის შინაგანი ორგანიზაცია შესაბამისობაში ყოფილიყო ეკლესიის თანამედროვე მოთხოვნებთან, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანის III-მ გაატარა რეფორმა, რომლის შესახებ მხოლოდ ზოგად ხაზებში ვიცით. წინა პლანზე წამოწეული იყო საპატრიარქოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი – მართლმადიდებელი ქვეყნებიდან შეწირულობების მოზიდვა იერუსალიმში, რათა ეს თანხები გამოეყენებინათ როგორც საპატრიარქოს ხელთ არსებული ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობის, ისე სხვა ხალხების, სახელდობრ, მართლმადიდებელი სერბების, ქართველების, კოპტების და სხვათა ტაძრების ხელში ჩასაგდებად. დიდი თანხები სჭირდებოდათ, აგრეთვე, თურქი მოხელეების მოსასყიდად და ლათინებთან საბრძოლველად. თეოფანის III-ის რეფორმით შესაწირავები, რომლებიც წინათ წმინდა საფლავის ძმობის ხაზინაში მიდიოდა, ახლა უშუალოდ პატრიარქის განკარგულებაში გადავიდა. ასეთი ცვლილება, თავდაპირველად, ყოველ შემთხვევაში თეოფანისის დროს, გამართლებული იყო.

წმ. საფლავის ძმობის ფინანსური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება დაკავშირებულია პატრიარქ დოსითეოსის სახელთან. მის რეფორმატორულ საქმიანობაზე მეტი ცნობებია მოღწეული. მან ყველაფერი იღონა წმ. საფლავის ძმობის კე-

თილდღეობისათვის. მან 1683 წ. 17 აგვისტოს კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში გაგზავნა ძმობის შინაგანი მართვის, ე. წ. ახალი წესდება, რომელიც 1689 წ. შეიცვალა მისივე „მეორე წესდებით“. იგი შესდგება 40 პუნქტის, წმინდა საფლავთან ღვთისმსახურების განსაკუთრებული მოკლე განკარგულებებისა და იერუსალიმელი ბერებისათვის 16 პარაგრაფისაგან შემდგარი წესდებისაგან.

„მეორე წესდებით“ ერთ დროს დამოუკიდებელი ქართული ეკლესია-მონასტრები, ეხლა საპატრიარქოს მიერ ქართველთა ფულით გამოსყიდული, ორგანიზაციულად და ეკონომიკურად საპატრიარქოს იურისდიქციაში მოექცა. ეს გარემოება, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფალთათვის ცნობილი არ იყო. პატრიარქი დოსითეოსი საქართველოში გაგზავნილ თავის ეპისტოლეებში სხვაგვარ სურათს ხატავდა: ქართული მონასტრების ბატონ-პატრონებად კვლავ ქართველებს სახავდა და მათ, როცა მოესურვებოდათ, იქ თავიანთი სამონასტრო ცხოვრების განახლება შეეძლოთ. სინამდვილეში ქართველებს ამის საშუალება, იმავე წესდების მიხედვით, უკვე წართმეული ჰქონდათ¹.

წესდების მე-7 პარაგრაფიდან ჩანს, რომ წმ. ჯვრის მონასტერი, რომელიც დოსითეოსმა 1685 წელს ვალებიდან დაიხსნა, 1689 წელს, ე. ი. წესდების დაწერის დროისათვის, ჩართულია საპატრიარქოს მონასტერთა სისტემაში. „აღდგომის დღესასწაულის შემდეგ საპატრიარქომ... უნდა მოითხოვოს მთავარანგელოზის, წმ. თეოდოსის, წმ. დიმიტრის და წმ. თომას მონასტრებისაგან ანგარიში. რამდენიმე დღის შემდეგ უნდა მოითხოვოს სრული ანგარიში ბეთლემის, წმ. საბას, წმ. ილიას და ჯვრის იღუმენებისაგან და როცა გაირკვევა საერთო ნაკრები თითოეული მონასტრისა ცალკე აღებული, ზედმეტი აიღონ საპატრიარქოს ცენტრალური ან წმინდა საფლავის ხაზინისათვის...“²

მე-9 პარაგრაფში წერია: „თუ ბეთლემის (მონასტერში – ე. მ.) არის სიჭარბე ზეთისხილისა, წმინდა ილიას მონასტერში – ლეღვის, ზეთისხილის, ოსპისა და ქერის და ასევე წმ. ჯვრის მონასტერში, მაშინ მთელი ნამეტი უნდა გაიგზავნოს საპატრიარქოში. იმავე დროს, არც ერთი მონასტრის იღუმენმა, სა-

¹ მამისთვალისიშვილი ე., ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკუნის მეორე ნახევარი). *ქართული დიპლომატია, წელიწადი*, 8, თბ., 2001, 328-339.

² Правовая организация Святогробского братство в Иерусалиме, СИППО, 1912, вып II, с. 153.

დაც ასეთი ნამეტია, არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა გასწიოს. ხოლო თუ წინააღმდეგი იქნება, მაშინ პირველად და მეორედ შეავონებენ, ხოლო თუ იგი კვლავ არ მოეგება გონებას, მაშინ დაისჯება”¹.

საპატრიარქო კონტროლს აწესებდა იმ პილიგრიმებზე, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მონასტრების მონახულებას მოისურვებდნენ. ასეთ წმინდა ადგილებს შორის იყო ჯვრისა და თეკლას (ესეც ერთ დროს ქართველთა საკუთრება) მონასტრები. იერუსალიმში მისული მომლოცველები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაწერილიყვნენ საპატრიარქოში, შემდეგ თანმიმდევრობით, წმ. ილიას მონასტერში და წმ საბას სავანეში. წმ. ილიას მონასტრიდან დაბრუნებული მომლოცველი უნდა ჩაწერილიყო კიდევ ორ ადგილას – წმ. საფლავისა და წმ. ჯვრის მონასტერში².

მე-15 პარაგრაფში სპეციალურად იყო აღნიშნული ივერთა მონასტრების შესახებ: „როცა ღვთისმლოცველი მოვა და გაჩერდება ივერთა რომელიმე მონასტერში ან ქალაქის რომელიმე კვარტალში, მაშინ პირველმა გერონტმა, ან ღვთისმლოცველთა ზედამხედველმა, ან სხვა ვინმემ არ უნდა გამოართვას მას რაიმე ან მაშინვე მიდის მითან ერთად, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ისინი ეწერებიან ამ მონასტერში“³.

წესდებით განსაზღვრული იყო რომელ მონასტერში როდის და რამდენჯერ უნდა ჩატარებულიყო წირვა და დღესასწაული: „ქალთა მონასტრებში არ ჩატარდება წირვა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, მთავარანგელოზის და თეკლას მონასტრებში კი სხვა დღეებში იქნება თუ არა ღვთისმსახურება, მაგრამ შაბათს და კვირას (ღვთისმლოცველების არ ყოფნისას) წირვა არ უნდა შეწყდეს, ისევე როგორც ივერთა მონასტრებში“⁴.

„ნუ დაიცავთ წმ. საბას დღესასწაულს, ნათქვამია 25-ე პარაგრაფში,- მაგრამ ვისაც სურს წავიდეს და თაყვანი სცეს, ხოლო წმ. ილიას დღეს, როგორც ყოველწლიურად და მარადჟამს, იყოს დღესასწაული და ვისაც სურს დილით წავიდეს მო-

¹ Правовая организация Святогробского братство в Иерусалиме, 154.

² Правовая организация Святогробского братство в Иерусалиме, 154.

³ Правовая организация Святогробского братство в Иерусалиме, 154.

⁴ Правовая организация Святогробского братство в Иерусалиме, 156.

ნასტერში. ასევე დილით წავიდეს მონასტერში ის, ვისაც სურს, მაგრამ ისე არ მოხდეს, რომ იქ ეძინოს ქალს ან ბიჭს“¹.

საინტერესო ცნობაა 37-ე მუხლში ბერძენთა ხელში გადასული ქართველთა აბრამის მონასტრის შესახებ. იქ სკოლა იყო გახსნილი და მის დაუბრკოლებლად მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მასში, როგორც ჩანს ქრისტიანი არაბების შვილები სწავლობდნენ. „აბრამის მონასტრის სკოლა არ უნდა დაიკეტოს არასოდეს არავითარი საბაბით. იყვეს გაღებული რათა მართლმადიდებელი ქრისტიანების ბავშვებმა შეისწავლონ რომეელთა (ბერძენთა) მეცნიერება და არაბული (წერა-კითხვა), სიმღერა, ანგარიში, რომეელთა ენა, რათა იყვნენ ღირსება და სამკაული იერუსალიმის წმინდა საპატრიარქო ტახტისა...“².

უკვე ითქვა, რომ იერუსალიმში ქართული მონასტრები საპატრიარქოს დაექვემდებარა, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ქართველები მზრუნველობას მაინც არ აკლებდნენ. როგორც „მეორე წესდების“ 37-ე მუხლში იკითხება, აბრამის მონასტერი უკვე საპატრიარქოს იურისდიქციაშია, მაგრამ პატრიარქ დოსითეოსის ეპისტოლედან ვიგებთ, რომ ეს მონასტერი 1700 წლის ახლო ხანებში გიორგი აბაშიძეს განუახლებია³. იმავე ეპისტოლეს მიხედვით, ჯერჯერობით ჯვრის მონასტრის იღუმენის დანიშვნა ქართველი (აღმოსავლეთ საქართველოს) პატრიარქის კომპეტენციაში რჩებოდა. ამიტომ დოსითეოსი პატრიარქ იოანეს (1688-1692, 1695-1700) სთხოვს იმავე მონასტერს აჩუქოს რომელიმე ეკლესია თბილისში, რაც იმის მაჩვენებელიც არის, რომ იერუსალიმის პატრიარქი უკვე ერევა ჯვრის მონასტრის საქმეებში. იერუსალიმის პატრიარქის თხოვნა ბადებს კითხვას: რატომ ითხოვს დოსითეოსი ჯვრის მონასტრისათვის ეკლესიის ჩუქებას თბილისში, მაშინ, როდესაც, როგორც ცნობილია, ამ მონასტერს მეტოქე ჰქონდა თბილისში და მისი მამულები და ეკლესიები გაფანტული იყო მთელ საქართველოში⁴. ალბათ, უპრიანია ვიფიქროთ, რომ ქართლის მეფე და კათალიკოს-პატრიარქი უკმაყოფილო იყვნენ იერუსალიმის საპატრიარქოს

¹ Правовая организация Святогробского братство в Иерусалиме, 157.

² Правовая организация Святогробского братство в Иерусалиме, 158.

³ მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 211-218. მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 141-142.

⁴ მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, 53-55.

მოქმედებით და მათ რაღაც დროით წმ. ჯვრის მონასტერს შეუჩერეს ადრინდელი წესითა და რიგით გათვალისწინებული ეკონომიური დახმარება და მეტოქიც ჩამოართვეს.

1706 წელს პატრიარქი დოსითეოსი ვახტანგ VI-სათვის გაგზავნილ ეპისტოლეში დაუფარავად აცხადებდა ჯვრის მონასტრის მიმართ, ქართველებთან ერთად, თანამფლობელობასა და ზრუნვაზე: „ჩვენც და თქვენც, ერთობლივად მონასტრისადმი ყურადღება გვმართებს, რათა ხელახლა არ დავაღიანდეს“ - მიმართავს დოსითეოსი ვახტანგ მეფეს.

დოსითეოსი „საპატრიარქო სიგელში“, რომელიც სავარაუდოა, ვახტანგ მეფის მოთხოვნის საპასუხოდ დაიწერა, დაწვრილებით ლაპარაკობს ქართველების უდიდეს წვლილზე იერუსალიმის ქართული მონასტრების ვალებიდან განთავისუფლების საქმეში. იერუსალიმის პატრიარქი მთელი სერიოზულობით აცხადებს, რომ ქართველებმა ვალები მთლიანად გადაიხადეს, მათგან არც ერთი ობოლი აღარ გვეკუთვნისო¹. ამის აღნიშვნა მით უფრო აუცილებელია, რომ იგივე პატრიარქი, ჯვრის მონასტრის ვალებიდან დახსნის ერთი წლის შემდეგ (1686 წ.), მოსკოვის პატრიარქს იოაკიმს სიამაყით აცნობებდა: 1685 წელს იერუსალიმში მიგვდი შესაწირავებით, ქართველებმაც მოგვცეს, ზოგიერთი ვალიც ავიღეთ და ასე მთელი ვალი გავისტუმრეთ და ივერიელთა მონასტრები გავათავისუფლეთო².

მოსკოვის პატრიარქისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში დოსითეოსი შეგნებულად უშვებს უზუსტობას, რასაც სერიოზული უარყოფითი შედეგი უნდა მოჰყოლოდა საქართველოსათვის. შეიძლება ითქვას, რომ დოსითეოსის დროს მართლმადიდებელი აღმოსავლეთის ურთიერთობამ რუსეთთან უმაღლეს დონეს მიაღწია. არც თუ უმნიშვნელო იყო დოსითეოსის დამსახურება მოსკოვში სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის დაარსებაში. მისი ოცნება იყო ბერძნებს ისეთივე კულტურული როლი ეთამაშათ რუსეთში, როგორც მათ ითამაშეს ევროპისათვის რენესანსის დროს³.

¹ მამისთვალისშივილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან, 227-228

² Каптерев Н. Ф., Сношения иерусалимского патриарха Досифея с русским правительством, 142-143.

³ Панченко К. А., Османская империя и судьбы православия на Арабском Востоке (XVI - начало XIX века). Институт Азии и Африки при МГУ им. М. Ломоносова. “Древо жизни”, 1998, 9.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ადვილად ასახსნელია, რატომ გვიხდება დღეს დოკუმენტებით უარყოფა იმ მოარული ხმების, რომ ქართული მონასტრები ვალების გადაუხდელობის გამო კი არ აღმოჩნდა იერუსალიმის საპატრიარქოს მფლობელობაში, არამედ ამ ტრაგედიის მიზეზი სულ სხვა იყო. ქართველებმა ვალები რომ სრულად დაფარეს ამაში პატრიარქ დოსითეოსის ცნობებმა დაგვარწმუნა. ამ მოხერხებულმა პატრიარქმა ყველაფერი გააკეთა, რომ ქართველთა ფულით განთავისუფლებული მონასტრები საპატრიარქოს დარჩენოდა. მან ქართველებს მათსავე ყოფილ მონასტრებში თვეში ერთხელ ქართულად ლოცვის უფლება მისცა¹. შემდეგში ბერძნებმა ნაცად მეთოდს მიმართეს: მონასტრებში შემორჩენილი ქართველები თანდათანობით გაასახლეს და სხვადასხვა მონასტერში გაფანტეს.

XIX ს. 40-იან წლებში რუსეთის მისიამ იერუსალიმში სცადა წმ. ჯვრის, წმ. აბრამის და წმიდათა თეოდორეთა სავანეების დაუფლება იმ მოტივით, რომ ქართული ეკლესია რუსეთის წმინდა სინოდს ექვემდებარებოდა, მაგრამ ბერძნები მტკიცედ დახვდნენ და რუსებმა საწადელს ვერ მიაღწიეს.

ამ მოკლე მიმოხილვიდან, ვფიქრობ, ნათლად გამოჩნდა, რომ იერუსალიმის ქართული ეკლესია მთელი თავისი არსებობის მანძილზე, საერთაშორისო გართულებების და მეტროპოლიაში, უმეტესწილად, არსებული არახელსაყრელი ვითარებისა, XVII ს. დასასრულამდე ყოველთვის დამოუკიდებელი იყო, არასოდეს არ ექვემდებარებოდა არც ბერძნულ საპატრიარქოს და არც სხვა რომელიმე კონფესიის საეკლესიო ორგანიზაციას. სიმართლეს არ შეეფერება XIX საუკუნის ბერძენი ისტორიკოსების მაქსიმე სიმელის, ნეოფიტე კვიპროსელის, პროკოპი ნაზიანზიელის მტკიცებულებები, თითქოს იერუსალიმის ქართული მონასტრები ოდითგანვე ბერძენთა საპატრიარქოს ექვემდებარებოდა.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, მისი ეროვნული ხასიათი ჩანს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატრიანეში. აღნიშნული მატრიანის პირველმა მომდიებელმა და გამომქვეყნებელმა ნ. მარმა. მისთვის ჩვეული წვდომის უნარით, აღაპების მშრალ ტექსტებში მაშინვე შენიშნა, რომ „*ირვეოდა იერუსალიმის ქართული მონასტრების ავტონომია ბერძენი პატრიარქის მიმართ და მოგვიანებით მათი*

¹ უანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 20.

წარმომადგენლების თავმოყრა ჯვრის მონასტრის ძმობის ხელში¹.

ნ. მარის აზრით, ქართველთა მდგომარეობას წმ. მიწაზე ნათელს ხდის მონასტრების ბიბლიოთეკები. უდავოა, რომ ისინი უფლის საფლავზე დაუბრკოლებლად წირავდნენ მშობლიურ ენაზე. ამით აიხსნება განსაცვიფრებელი სიუხვე საღვთისმეტყველო და სხვ აწივნებისა, წირავდნენ ისეთი თავისებური წესებითა და ტექსტებით, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვეოდა ბერძნულს, გალობდნენ საეკლესიო სიმღერებს ქართული საგალობელი წყობით, აგრეთვე ლოცულობდნენ როგორც წევრები ქართული ნაციონალური ეკლესიისა².

ნ. მარი შემთხვევით არ ამახვილებდა ყურადღებას უფლის საფლავზე. მას ქართველების მიერ იქ ეროვნული დამოუკიდებლობის გამოვლინება ეკლესიური დამოუკიდებლობის გამოვლინებად და, თავისთავად, გარკვეულ სიმამაცედ მიაჩნდა.

ამგვარად, იერუსალიმში ქართული ეკლესია, ქართული თემი, დამოუკიდებელი იყო დაარსებიდან XVII ს. დასასრულამდე, ე. ი. არსებობის შეწყვეტამდე. ქართველთა ფულით განთავისუფლებულ, მაგრამ მიტოვებულ მონასტრებს, ძირითადად, იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქო დაეპატრონა. პატრიარქმა დოსითეოსმა რაც მოსკოვის პატრიარქს იოაკიმს მისწერა სიმართლეს რომ არ შეეფერებოდა, ნათლად გამოჩნდა მისსავე ეპისტოლეში:

„ჩვენი სისავსეობა წინამდებარე საპატრიარქო სიგელით აცხადებს: რადგან უწმინდესი და ცხოველმყოფელი ჯვრის უწმინდესი მონასტერი, რომელიც იერუსალიმში მდებარეობს და უძველესი დროიდან ღმერთმა ქრისტეს მოყვარულ ივერიელებს უბოძა, დროთა ვითარების გამო ისეთ ვალებში ჩავარდა, რომ ივერიელმა მამებმა მიატოვეს. ივერიელთა კუთვნილი ჯვრის და სხვა მონასტრები, დაახლოებით 40 წლის განმავლობაში მიტოვებული იყო და კინაღამ საბოლოოდ დაინგრა. ამასთან ლათინებს და სომხებს სურდათ მონასტრები სესხის გამცემი ავარიანებისაგან გამოესყიდათ. მაგრამ ღვთის ჩავონებით, წმ. საძმების სახელით, ჩვენ სამმა, სახელდობრ, მისმა უმაღლესობა

¹ Марр Н., Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховим в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель-ноябрь). *Сообщения Императорского Православного Палестинского Общества*, СПб., 1903 г., вып. 14, ч. II, N1, 48-49.

² Марр Н., Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховим в Иерусалиме, в поездку 1902 г. 49.

კირ-ვიორვიმ¹, მისმა უგანათლებულებსობა მისმა ძმამ მირზა კირ ლევანმა² და მე, გადავწყვიტეთ გამოვასწოროთ ეს საქმე იმ პირობით, რომ საქმე ჩვენი იქნება, ხოლო მათი უგანათლებულებსობანი ფულს მოგვცემენ³. ამგვარად, ჩვენ მარტო ვავე-შურეთ ივერიაში და ყოველნაირად ვიდვაწეთ, მათმა უგანათლებულებსობებმა კი ვალის გადასახდელად ვარკვეული ფული შესწირეს და დიდი შრომით, როგორც უკვე ვთქვით, მონასტრები გავათავისუფლეთ, შევაკეთეთ ისინი და ღვთის ნებით, ვალი გადავიხადეთ. ფული, რომელიც, შეთანხმების მიხედვით, მათს უმაღლესობებს უნდა მოეცათ ჯვრის მონასტრის ვალის გათანაბრებისა და სრულად გადახდისათვის, მივიღეთ მყარად და მთლიანად. მათგან აღარ გვეკუთვნის ერთი ობოლიც კი. კიდევ: რადგან, პირობის თანახმად მიღებული ფული, საკმარისი არ აღმოჩნდა ვალის დასაფარავად, ჩვენ შევავესეთ ის, ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ წმინდა საფლავის ნივთებით და ამგვარად, ვალი გადავიხადეთ. კიდევ: ჯვრის მონასტრის მამულები მეზობელმა აგარიანებმა თითქმის მიიტაცეს, მაგრამ ჩვენ მოვიპოვეთ სასამართლო დადგენილებები და გავათავისუფლეთ ისინი. დაე, ისინი ძველებურად, მონასტრისა იყოს. კიდევ: ზოგიერთი ადამიანისაგან ცდუნებულნი, რომლებიც ამბობდნენ, რომ მონასტრის შიგნით მეჩეთი იყო, ყადიები ყოველ წელიწადს მრავალ პუნგ⁴ ფულს გვართმევდნენ, იმის შემდეგაც კი, რაც ჩვენ მონასტრის ვალები გადავიხადეთ. მაგრამ ღვთის წყალობით, ვეცადეთ და შუამდგომლობით ხატიშერიფი მივიღეთ და მონასტერი ამ ტვირთისგან გავათავისუფლეთ. კიდევ: როგორც წმ. ჯვრის მონასტერი, ისე ივერიელთა სხვა სავანეები, რომლებიც წმინდა იერუსალიმში არის, წელთა სიმრავლისაგან დაძველდა და დანგრევის პირას მივიდა. მაგრამ ჩვენ ჩვენი შესაძლებლობის დაგვარად განვაახლეთ ისინი, გადავხურეთ და ჯერ კიდევ ვაახლებთ და მრავალი პუნგი ფული გავხარჯეთ. კიდევ: წმ. ჯვრის მონასტერს არაბებისაგან ხარჯი აქვს და საკმაოდ დიდი – ამ გაჭირვების წლებში, მისი შემოსავალი კი ძალზე მცირეა. ამიტომ საპატრიარქოს ხაზინიდან, ავიღეთ ზედმეტი ხარჯები. კიდევ: სესხის გამცემი აგარიანები თუმცა დაკმაყოფილდნენ, მაგრამ მრავალ მათგანს ორმაგი

1 კირ – ბერძნ. ბატონი = ბატონი მეფე ვიორგი XI.
 2 მირზა – სპარს. ამჯერად ბატონიშვილი = ლევან ბატონიშვილი.
 3 იხ. აქვე, „გარიგების წიგნი“.
 4 1 პუნგი = 500 პიასტრს.

ხოჯეტი და საიდუმლო თამასუქები აქვს, სულ ახალ-ახალ და-
ვადებს აკეთებდნენ და დამატებით ფულს ითხოვდნენ. ასეთი,
ამჟამად კიდევ მრავლად არის და ყოველწლიურად ვუხდით.
მთლიანად ხარჯები, რომელიც საპატრიარქომ გასწია, უკვე
გადასცდა 30 პუნგ ასლანს. რადგან ისინი ქრისტიანი ბერძნე-
ბის მიერაა შეწირული (კეთილი საჩუქარი! ძმა ძმას ეხმარება),
ამიტომ ჩვენ კი არ ვითხოვთ ივერიელთაგან [ხარჯების] შესავ-
სებათ არც ბევრს და არც ცოტას, პირიქით, ვუბრუნებთ რო-
გორც წმ. ჯვრის მონასტერს, ისე სხვებსაც, როგორცაა:
წმინდა ნიკოლოზის, წმ. თევდორეს, წმ. ბასილის, წმ. ანას და
ებრაული წმ. გიორგის [მონასტრები], ვალების გარეშე და
ყოველმხრივ თავისუფალს. არც ჩვენ და არც ჩვენ შემდგომი
წმ. ქალაქ იერუსალიმის წმინდა პატრიარქები, არც ერთი
წმინდა საფლავის მამა და ნაცვალი, არ მოვიტხოვთ ფულს
ივერიელთაგან, არც ბევრს არც ცოტას, არც იმის სანაცვლოს
რაც ჩვენ მივეცი ვალების და პროცენტების დასაფარავად,
არც იმისათვის რაც ჩვენ შევწირეთ განახლების, ხოჯეტების,
ბრძანებების, ხატიშერიფების და სხვა ხარჯებისათვის. დაე,
მათი მონასტრები თავისუფალი იყოს ყოველი მოთხოვნის, ყო-
ველი ვალის და ყოველი შემაწახებელი მოთხოვნებისაგან და
ქრისტესმოყვარული ივერიელები სრული ბატონ-პატრონები
იყვნენ. ხოლო როცა ღმერთი ინებებს და იბერიიდან მოვა ილუ-
მენი, მან ძველებურად ჩაიბაროს ყველა მონასტერი, მხოლოდ
შეუსაბამოს შემოსავალი გასავალს, რათა კვლავ არ ჩაყარონ
ისინი ვალებსა და განმეორებით ხიფათში. მაგრამ თუ მათი
შესანახი შემოსავალი არ ექნება, მაშინ დაე ბერძენმა მამებმა
განაგონ ქრისტიანული მოვალეობით, რომელიც გააჩნია ერთ
ეკლესიას მეორის მიმართ, განსაკუთრებით კი წმ. საფლავის
მიმართ, რომელიც ყველა მართლმადიდებლისათვის არის
საერთო ეკლესია, საერთო დედა და საერთო თავშესაფარი. თუ
ჯვრის ილუმენი ივერიაში მოწყალებას შეერებს, მაშინ ყოველ-
წლიურად გამოგ ზავნოს იერუსალიმში. მაგრამ თუ ეს თანხა მონ-
ასტრის შენახვის ხარჯებისათვის არ ეყოფა, მაშინ დანარჩენი,
დაე ბერძენებმა მისცენ. თუ ივერიელი მამები მონასტერში საც-
ხოვრებლად მოვლენ, მაშინ მათი შენახვა და პატივისცემა მონ-
ასტრის და საპატრიარქოს ვალია. ასევე, რამდენი ივერიელიც
უნდა მოვიდეს წმ. საფლავის თაყვანის საცემლად, არც ერთმა
მათგანმა საპატრიარქოდან არ უნდა მოითხოვოს სარჩო, სესხი
ან საჩუქრები. დაე, თავიანთი თავი თვითონ შეინახონ. როცა
ბერძენი მამები მივლენ ივერიაში მათ ნება უნდა დართონ,

ძველი ჩვეულების თანახმად, შეკრიბონ მოწყალემა საპატრიარქოს და სხვა ბერძნული მონასტრებისათვის. მაგრამ მათ უფლება არა აქვთ თუნდაც ერთი ობოლი მითხრონ ჯვრის მონასტრის ვალის დასაფარავად, რადგან ის უკვე გადახდილია. აი რას აცხადებს ჩვენი სავსეობა, რომელიც ქრისტეს მოყვარულ ივერიელთა ღირსებისა და ჯვრის მონასტრის მშვიდობიან მდგომარეობაზე ზრუნავს: ვინც მართლმადიდებელი ქრისტიანია, ის აღიარებს ყოველივე ამას, ხოლო ვინც წინააღმდეგი იქნება, ან სხვანაირად აზროვნებს, ის წარმართი და მწვალებელი, ეკლესიის მტერი, ივერთა ღირსების ცილისმწამებელი, ღვთიურ მადლს და ღვთის დიდებას მოკლებულია. ხოლო ვინც ყველაფერ ამას მიიღებს და დაამკვიდრებს დიდი ყურადღებით და მოწიწებით, როგორც ივერიელნი ისე ბერძნები, ე.ი. წმ. ქრისტეს ეკლესიის წმ. წევრები და დალოცვილნი მამის და ძის და წმ. სულის მიერ, ისინი უფლის დღესასწაულზე მიიღებენ დიდების გვირგვინს.

კონსტანტინოპოლიდან, 1706 წლის ივლისს“

როგორც ვხედავთ, იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ ქართული მონასტრების დასახსნელად გაწეული მთელი შრომის შესახებ, დოსითეოსის მიერ გადმოცემულია ამ სიგელში. აქვე მოცემულია ყველა ის პირობა, რომლითაც ქართველებს შეეძლოთ მონასტრები თავისად ჰგულეებოდათ. რატომ დასჭირდა პატრიარქ დოსითეოსს ამ სიგელის დაწერა, როცა ზემოთდამოწმებული მასალებიდან თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო. ვფიქრობ, სიგელი ნათელს ჰფენს იმ პერიპეტიებს, რომლებიც ზემოთ მოყვანილ მასალებში არ აისახა და, რომლებიც, სავარაუდოა, უკმაყოფილებას იწვევდა ქართლის სამეფოს გარკვეულ წრეებში. ალბათ, ქართული მხარის მიერ ოფიციალურად განცხადებული უკმაყოფილების გამო უნდა დაწერილიყო 1706 წლის სიგელი. იერუსალიმის საპატრიარქო ცდილობდა, ქართლის სამეფოსთან ნორმალური ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

იმავე სიგელში ჩადებული იყო ისეთი პირობები, რომლებიც ფაქტობრივად, ბერძნებს გადააქცევდა იერუსალიმის ქართულ სავანეებში ქართველთა მემკვიდრეებად. მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მონასტრები ნამდვილი პატრონების, ე.ი. ქართველების ხელში დარჩებოდა თუ არა, ისინი მაინც ვალდებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მათ შენახვაში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სიგელი გამოცდილი დიპლომატის მიერ არის დაწერილი და მისი

სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია შეიძლება. მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ სიგელი, როგორი განზრახვითაც არ უნდა იქნეს წაკითხული, მაინც ერთ მთავარ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: წინაპრებმა, მონასტრების სანაცვლოდ, ქართველებს არავითარი ვალი არ დაუტოვეს და შეუძლიათ სინდისის ქენჯნის გარეშე ჰქონდეთ პრეტენზია იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერზე.

წმ. ჯვრის ტაძრის ფრესკები და წარწერები

წმ. ჯვრის მონასტერი V საუკუნეში დაარსებული დიდი პეტრე იბერის მიერ, მაშინვე გამოირჩეოდა არქიტექტურული სტილით და მოზაიკით. ალბათ, მაშინ მოიხატა კიდევ, მაგრამ ფრესკებმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია. მონასტერი აღსდგა და მოიხატა. ამის შემდეგ მონასტრის მთავარი ეკლესიის ინტერიერში პერიოდულად ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და, რაც მთავარია, დრო (ათეული და ასეული წლები) უარყოფით გავლენას ახდენდა ტაძრის შესანიშნავ ფრესკულ მხატვრობასა და წარწერებზე. ნახატების თავდაპირველი სახის შეცვლას იწვევდა, აგრეთვე, მათი პერიოდული განახლება-გაცხოველება და ახლად შეკაზმვა, მეჩეთად გადაკეთებული ეკლესიის ეკლესიადვე აღდგენა და, ბოლოს, ბერძენ სამღვდელთაგან თავიანთ „გემოვნებაზე“ ზოგიერთი ნახატის გადაღებვამ, ქართული წარწერების ბერძნულით, ზოგჯერ არაადეკვატურით შეცვლამ, გამოუსწორებელი დადი დაასვა ჯვრის მონასტრის ფრესკულ მხატვრობას.

1102 წელს ზევეულფმა მუსლიმანებსა და ჯვაროსნებს შორის ომის შედეგად მოოხრებული წმ. ჯვრის მონასტერი ნახა, რომელიც მალე შეუკეთებიათ და 1106–1107 წლებში რუს დანიელზე უკვე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მოხატულობით. ამის შემდეგ XIII ს. დასაწყისში, *„წმ. ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუთველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თითონაც შივ ხატია მოხუცებული“* – წერდა ტ. გაბაშვილი.

XIII–XIV საუკუნეთა მიჯნაზე აფხაზთა მეფე კონსტანტინემ წმ. ჯვრის მონასტერი ახლად შეკაზმა, რაც ალბათ, კედლის მხატვრობის განახლებას, დაზიანებულის აღდგენასაც გულისხმობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს წმ. ჯვრის მონასტერში მეჩეთი იყო, რაც სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევდა ტაძრის შიგნით და გარეთ. უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა დავით VIII-ის დროს „მიზგითად შეცვალბული“ ეკლესიის „ეკლესიადვე შეცვალბა“. ამიტომ არის ეს მეფე მისთვის განწესებულ აღაპში წმინდა მონასტრის „მეორედ აღმშენებლად“ მოხსენიებული. სავარაუდოა, კედლის მხატვრობა იმდენად დაზიანდა, რომ მას მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ აღდგენა ან ახლად მოხატვა დასჭირდა. 1519

წელს ლუდვიგ ჩუდი განსაკუთრებით აღნიშნავდა ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის სიმშვენიერეს¹.

წმ. ჯვრის მონასტერი ხელახლა მოახატვინა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა 1643–1649 წლებში.

ამგვარად, მიუხედავად ყველაფრისა, მონასტრის მთავარი ეკლესია თავისი არქიტექტურით, მოხატულობით და იატაკის მოზაიკით, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში გამოირჩეოდა წმინდა მიწის სხვა ანალოგიური დანიშნულების ნაგებობებისაგან. იქ მოღვაწე ქართველები, უადრესად რთულ ვითარებაშიც კი, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჯვრის მონასტრის მორთვა-მოკაზმვას და მოხატვას. „შემორჩენილი ფრესკები, – აღნიშნავდა ვ. ცაფერისი, – უნიკალურია მთელ პალესტინაში და იმის დასტურად გამოდგება, რომ იერუსალიმის ორთოდოქსალურ ეკლესიაში ხელოვნებას უდიდესი ყურადღება ექცეოდა მამლუქებისა და თურქების ბატონობის ბნელ ხანაშიც კი“².

რა თქმა უნდა, ფრიად საინტერესო და საშური საქმეა ჯვრის მონასტრის ფრესკების, როგორც ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, მაგრამ, ამჯერად, მხოლოდ აღწერისათვის ქართულ რელიგიურ და ისტორიულ თემებსა და პირებს შექმნილ ფრესკებსა და წარწერებს. ამ მიზნის აღსრულება გაიოლებულია, რადგან არსებობს ჩვენთვის საინტერესო ფრესკების და წარწერების აღწერილობანი, ასლები და ფოტოპირები, ვიცით ტაძრის კედლებზე, სვეტებზე და იატაკზე მათი განლაგება. ამისათვის ვუმაღლით ტ. გაბაშვილს, ნ. ჩუბინაშვილს, ა. ცაგარელს, ნ. კონდაკოვს, ა. ბაუმშტარკს, ი. დავიდს და ვ. ცაფერისს.

პირველი, ვინც ჯვრის მონასტრის ფრესკებში გამოსახულ ქართველ სასულიერო და საერო პირებს გვამცნო, იყო ტიმოთე გაბაშვილი. მისი თქმით:

„ქ. მონასტერში არს ლუსკუმა (მაღალი საფლავი – ვ. მ.) ღირსისა პროხორესი, და თითონაც შიგ ხატია...“

ქ. მონასტერში ხატია დიდი და ღირსი მეფე მირიან ხოსროიანი.

¹ Tschudi Ludwig von Glarus. Reyss und Pilgerfahrt zum Heyligen Grab, Freiburg, 1606, 280.

² The Monasteri of the Holy Cross in Jerusalem by V. Tzaferis, 21.

ქ. კვლად ხატია დიდი და სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლან, ხოსროიანი, რომელმან დაიპყრო იერუსალიმი და პალესტინე...

ქ. მუნ ხატია მეფე საქართველოს ბავრატ კურაპალატი, დავითიანი, აღმაშენებელი ქუთათისა და მონასტრისა.

ქ. მუნ ხატია დადიანის ასული მარიაჲ, დედოფალი ქართლისა.

ქ. მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ უხუცესი.

ქ. მუნ ხატია დადიანი ლეონ თავისის მეუღლით.

ქ. მუნ ხატია აფხაზეთის კათალიკოზი ღირსი მაქსიმე.

ქ. მუნ ხატია ტფილელი ელისე, მანგლელი თეოდოსე, ბედიელი და მამა ნიკიფორე. მუნ ხატია წულუკიძე პაატა და ქაიხოსრო¹.


ტ. გაბაშვილის მიერ დასახელებულ პირთა უმრავლესობის შესახებ ცნობები მეტ-ნაკლებადაა. ტაძარში ზოგიერთი მათგანის ფრესკების მიახლოებითი ლოკალიზაციაც ხერხდება, ზოგისა კი ვერა.

არ ვიცით სად იყო თბილელი ელისე საგინაშვილის, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის მაქსიმე მაჭუტაძის და ბედიელის ფრესკები.

სხვა ფრესკები და წარწერები განლაგებული იყო და არის შემდეგი თანმიმდევრობით².


¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსღვა, 82.

² იხ. ტაძრის გეგმა N 2.



1. ნართექსი, ანუ სტოა
2. ტაძარში შესასვლელი კარები
3. სამლოცველო დარბაზი
4. პატრიარქის სკამი
5. გუმბათი
6. კანკელი
7. საკურთხეველი

8. მგალობელთა ადგილი
9. სამკვეთლო
10. სადიაკვნო
11. შესასვლელი წმინდა სენაკში
12. ჯვრის ხის აღმოცენების ადგილი
13. ჯვრის ხის სამლოცველო
14. სვეტები



ტაძრის გეგმა 2

ფრესკებისა და წარწერების განლაგება ტაძარში

დასავლეთი კედელი

1. მთავარი შესასვლელის ზღურბლზე, მარმარილოს ოთხ ფილაზე იყო ძლიერ დაზიანებული წარწერა, რომლის მხოლოდ ცალკეული სიტყვები ამოიკითხა ა. ცაგარელმა: „...ეკლესია... საუკუნოსა წირვითა... მისსა სულსა...“¹.

2. მთავარი შესასვლელის მარცხნივ, ზემოთ არის ქართული წარწერა: „ქ. დაიხატა და განათლდა (განახლდა) წმიდა ესე და ყოვლად პატიოსანი ტაძარი ჯვარისა ცხოველის-მყოფელისა ჯერჩინებითა დადიანისა ლეონისითა, კელითა და ფრიად ჭირგანცდილებითა ყოვლად-უღირსისა ჯვარისაა და წმიდისა გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა ჩოლოყაის შულისა ომანისა ძისითა, მსასოებელსა და სარწმუნოსა ამის მონასტრისასა (მსასოებელისა და სარწმუნოსა ამის მონასტრისათა), რომელმან გუმბადი და წმიდა საკურთხეველი გავაკეთე, ჩემისა საფასითა, ქორონიკონს ტკია, ამინ“² (ფ. №1).

3. ტაძრის დასავლეთი კედელი გაყოფილია მთავარი კარის მიხედვით მარჯვენა და მარცხენა ნაწილებად. ტაძრის მომხატველმა კარის ზედა კედელს განსაკუთრებული ფუნქცია მიანიჭა და იქ გამოსახა ჯვრის მონასტრის აღმდგენელი პროხორე წარწერით: „წმიდა პროხორე ქართველი“.

4. დასავლეთი კედლის ზემო ნაწილში, კამარაში დახატული იოანე ზედაზნელის მოწაფეებიდან ნ. ჩუბინაშვილის დროს შემორჩენილი ყოფილა ანტონ მარტყოფელის, ისე წილკნელის, სტეფანე ხირსელისა და აბიბოს ნეკრესელის ფრესკები³. დღეისათვის აღარ არსებობს.

5. კარის ჭრილის მარჯვენა მხარეს, ბერძნული წარწერის ქვეშ, არის მთელი სიმაღლით გამოსახული წმინდანის უწარწერო პორტრეტი (ფ. N 2), რომელშიც ნ. ჩუბინაშვილმა პეტრე იბერი ამოიცნო. ა. ცაგარელმა, რატომღაც ყურადღება არ მიაქცია. ამ პორტრეტის ადგილის მიხედვით ძალიან კარგად იკვეთება ტაძრის კედლებზე ფრესკების ადგილების მიმჩენის ჩანაფიქრი: ეჩვენებინა პეტრე იბერის უდიდესი ღვაწლი, როგორც მონასტრის დამაარსებლისა (ფ. №3).

6. კარიდან მარჯვენა მხარეს, პეტრე იბერის ფრესკის მახლობლად, იყო ჯვრის მონასტრის ქტიტორების, მეფეების –

¹ Цагарели А. А., Памятники, 246.

² Цагарели А. А., Памятники, 246.

³ ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 790.

მირიანის, ვახტანგ გორგასლის და ბაგრატ IV-ის ფრესკები. ფრესკებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ მათზე წარმოდგენა გვაქვს ტ. გაბაშვილის (ფ. N4, 5, 6) და ნ. ჩუბინაშვილის (ფ. N7) მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი შავ-თეთრი ასლებით, რომლებიც არასრულ შთაბეჭდილებას გვიქმნის ორიგინალებზე. ფრესკებს თითქმის აცოცხლებს ა. ცაგარელის მიერ შესრულებული აღწერილობა. XIX ს. ბოლოს მეფე-ქტიტორების უკვე დაზიანებული გამოსახულებები მაინც კარგ შტაბეჭდილებას ტოვებდა. სამივე მეფე ჩახატული იყო ერთ ჩარჩოში. თითოეულის სიმაღლე იყო 2.1/2 არშინი, მთელი ჩარჩოს ზომა კი – 2.3/4X3.1/2. განსაკუთრებით დაზიანებულია ბაგრატის ფრესკა. მისი მხოლოდ კონტურები ჩანდა. სამივეს ფეხებიც მსუბუქად დაზიანებულია, მაგრამ გამოკვეთილად ჩანდა, რომ ეცვათ წითელი, თეთრლაქებიანი წინდები და იდგნენ მუთაქებზე. სამივეს თავზემთ დიდი წარწერა ნაწილობრივ იკითხებოდა. მათი ეპისკოპოსის მსგავსი ტანსაცმელი შეკერილი იყო წითელი ხავერდისა და ღია-ლურჯი ატლასისაგან, თეთრი და ყვითელი ოქრომკერდით მდიდრულად მორთული და სხვადასხვა ფერის ქვებით შემკული.

მირიანის წითელი ხავერდის ზედა სამოსელი კისერთან ფართო ოქრომკერდით ნაქარგი. ასევე ოქრომკერდით ნაქარგი ფართო სარტყელი და ასეთივე, ფეხებამდე ჩაშვებული ოლარი, ზედა სამოსელის და სარტყელის ქვეშ ლურჯი ფერის ქვედა სამოსელი, მსგავსი მღვდლის ფილონისა, ფეხებამდე ცამოშვებული, ბოლოში ოქრომკერდით მდიდრულად შემკული.

ბაგრატი გამოწყობილი იყო მირიანის დარ, მხოლოდ მცირეოდენად განსხვავებულსახიან სამოსელში.

ვახტანგის ზემო სამოსელი, პირიქით, შეკერილი იყო ლურჯი ატლასით, ქვემოთ კი, წითელი, სახიანი და ოქრომკერდით ნაკერი ხავერდით.

სამივე მეფეს თავზე ედგა სხვადასხვანაირი, ოქროს, ძვირფასი ქვებით დაფარული სამეფო გვირგვინები.

ტ. გაბაშვილი, „მიმოსლვის“ ბ ხელნაწერში, მირიანის ფრესკასთან დაკავშირებით ამბობს: „*მირიან ხოსროიანი, დედოფალი ნანა, შუაზ – ბაქარ, ძე მათი*“, გამოსახული ყოფილან ერთობლივად¹, რაც გვაფიქრებინებს, რომ მირიანი ორ ფრესკაში იყო გამოსახული – ერთში ქტიტორ მეფეებთან, მეორეში კი, ოჯახთან ერთად. ეს მეორე ფრესკაც ადრე უნდა

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 123.

მოსპობილიყო, რადგან ტიმოთეს შემდგომი მოგზაურები მასზე არაფერს წერენ.

ჩანს, პირველი ორი მეფის პორტრეტებს, პირველისას, როგორც მონასტრის ასაშენებელი ადგილის მომპოვებელისა, ხოლო მეორისას, როგორც მონასტრის პირველი ამშენებლისა, ერთი საერთო წარწერა ჰქონდა. ამ წარწერის შემორჩენილი ფრაგმენტები გადმოიღო ა. ცაგარელმა, პ. ინგოროყვამ კი შემდეგნაირად აღადგინა: „ქ. მირიან [მეფესა უბოძა] კონსტანტინე [ბერძენთა] მეფემან ესე ჯვარი [...?] მოვიდეს [... მეფე ვახტანგ ვორგასალი მოვიდა] და დაიჭირა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯვარი[სა მონასტერი...]¹. ბაგრატ IV-ის პორტრეტს, ალბათ, სხვა შინაარსის წარწერა ჰქონდა. თითოეულ მეფეს, თავზევით, კიდევ ჰქონდა ქართული და ბერძნული წარწერა: „მირნ მეფე“, „ეზტგ გრგსლ“, ბაგრატის გამოსახულებას შერჩენოდა მხოლოდ დასაწყისი „ბ“.

7. დასავლეთი კედლის ჩრდილოეთის კედელთან შეერთებასთან, ნიშში, ა. ცაგარელის მიხედვით, ნახევრად წაშლილ გამოსახულებას ეწერა: „წულუკიძე პაატა“². პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ იქ ეხატნენ პაატა, ლევან II დადიანის პირველი ვეზირი და მისი ძმა, ვეზირი ქაიხოსრო წულუკიძენი³ (19:844). პაატას (ფ. №8) და ქაიხოსროს (ფ. №9) ფრესკების ჩანახატი შეასრულა ნ. ჩუბინაშვილმა.

8. კარის ჭრილის მარცხნივ, მაღლა დახატულია სქემოსანი მონაზონი, თვალებაკრული, რომელსაც თავზე, უკნიდან მიკრული აქვს ჯვარი, ორივე ხელში უჭირავს ანთებული სანთლები. ნახატს ახლავს ქართული წარწერა, ნაწყვეტი ლუკას სახარებიდან: „იყვნედ წელნი თქვენნი მორტყმულ და სანთლები აღნთებულ“ (ლუკა, 12:35) (ფ. №10). ამ ფრესკასთან დაკავშირებით საინტერესო ვარაუდი გამოთქვა ს. ყაუხჩიშვილმა. მისი თქმით, თვალახვეული მონაზონი შეიძლება პეტრე იბერის მასწავლებელი და თანამოდგაწე – იოანე ლაზი იყოს⁴.

9. დასავლეთის კედელზე, კარიდან მარცხენა მხარეს, არის წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი მთაწმინდელების ერთობლივი პორტრეტი. წმინდანების თავებთან ორენოვანი – ქართული და

¹ ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 790.

² Цагарели А. А., Памятники, 45.

³ ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 844.

⁴ ყაუხჩიშვილი ს., გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი და მისი პორტრეტი, 13-14.

ბერძნული წარწერები (ზევით, მარცხნივ ქართული, ზევით მარჯვნივ ბერძნული): „წე ევთიმოს ქართველი“, „წე გ(იორ)გი ქ(ა)რთველი“ (ფ. №11). ამ ფრესკის არსებობა არ აღუნიშნავს ტ. გაბაშვილს. იგი ნახა ნ. ჩუბინაშვილმა, მაგრამ არ მიუთითა ორენოვან წარწერაზე. ალბათ, ქართულის ადეკვატური ბერძნული წარწერა მოგვიანებით გაკეთდა. კიდევ უფრო გვიან, ჯვრის მონასტრის აღდგენაში უდიდესი დამსახურების მქონე ამ ორი პიროვნების (XI ს.) წარწერები საღებავით დაფარეს. ისინი გაასუფთავეს და წაიკითხეს 1961 წელს¹ (ფ. N12).

10. იმავე მარცხენა მხარეს, კედლის დასასრულს, ნიშში იყო კოლექტიური პორტრეტი, რომელიც ა. ცაგარელმა გადმოიღო (ფ. №13). მხატვარს დაუხატავს თხუთმეტი პიროვნების სახე: პირველ რიგში – 5, მეორეში – 4, მესამეში – 3, მეოთხეში მხოლოდ სამი ადამიანის სახის კონტურებია. ისიც უნდა ითქვას, რომ მესამე რიგში მდგომ უწვევრულვაშო ადამიანებს ქალის სახეები აქვთ. ისინიც, ალბათ, ქალები უნდა იყვნენ, ბოლო მეოთხე რიგში რომ იგულისხმებიან და რომელთა მხოლოდ სახის კონტურები მოჩანს. ფრესკას ახლავს საერთო წარწერა: „ესენი მამები არიან“².

ვფიქრობ, ამ ფრესკაში გადმოცემულია იდეა, რომ ჯვრის მონასტრისა და იერუსალიმის სხვა ქართული ეკლესიამონასტრების მართვაში ერთობლივად მონაწილეობდნენ „ჯუარელნი ძმანი და დანი“ (იხ. ზემოთ გვ. 164-165).

ფრესკაზე გამოსახულთ თავზე ახურავთ თავსაბურავები, რომელთა მსგავსი ახურავთ ფიტარეთის ეკლესიის გუმბათის (გარედან) ბარელიეფებს.

ჩრდილოეთი კედელი

მთელ რდილოეთ კედელზე გამოსახული იყო ის ცამეტი ქართველი მოღვაწე, რომელთა შესახებ, მათი ფრესკების განლაგების ადგილის მითითების გარეშე, ტ. გაბაშვილი წერდა: „განვიცადეთ კედელთა ზედა წმიდანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი, ეხატნენ შარავანდითა და გვირგვინითა ესენი:

ქ. წმიდა მღვდელმოწამე მოსე ქართველი.

ქ. წმიდა მარი მღვდელმოწამე ქართველი.

¹ აბაშიძე ი., შანიძე ა., წერეთელი გ., შოთა რუსთველი წმ. ჯვრის მონასტერში. თურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, №12, 7.

² Цагарели А. А., Памятники, 246.

ქ. წმიდა მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომელი აწამა ყვენმან შაჰაბაზ წმიდათა ხატთათვის ქორონიკონსა ტ.

ქ. წმიდა მამა არსენი იბადის ძე ქართველი, გვარად ვახნაძე, ფილოსოფოსი.

ქ. ღირსი მამა ეფთვიმი გრძელის ძე ქართველი.

ქ. ღირსი მამა ჭუაძს ძე ქართველი.

ქ. ღირსი მამა იოანე რეხვაის ძე ქართველი.

ქ. ღირსი მამა დანიელ აბაშვილი ქართველი.

ქ. ღირსი მამა იოანე ჭიმჭიმელი ქართველი და ფილოსოფოსი.

ქ. ღირსი კათალიკოზი ქართლისა არსენი.

ქ. ღირსი კათალიკოზი ქართლისა იოანე.

ქ. ღირსი ნუნუს ეპისკოპოსი ქართველი.

ქ. ღირსი ეპისკოპოსი კინდ ქართველი¹.

წმინდა მამების პორტრეტების ლოკალიზება პირველად მოახდინა ნ. ჩუბინაშვილმა. იგი წერდა: „*ჩრდილოეთის მხარეს კედელზედ, ბიბლიოთეკის შესავალს ზეიდამ, არიან დახატულნი მრავალი სახენი... მაგრამ ტენისვან მრავალი ადვილი დაიშალა და ჩამოცვივნულა. სახენი და მათ ზედა ნაწერნი შებღალულან, მხოლოდ ჩანს წერილი ქართულის ასოებითა და ძნელად გამოსაცნობია. უთუოდ აქ არიან დახატულნი ის სახენი, რომელთაც მოიხსენიებს ტიმოთე მთავარეპისკოპოსი თავის მოხილვაში და ჩანს, რომ მას უამს ადვილად წაიკითხებოდა. გარნა ჩვენ ვერ გავიგეთ*“².

ზემოთ ჩამოთვლილი მოღვაწეები, პ. ინგოროყვას მიხედვით, ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული ყოფილან შემდეგი თანმიმდევრობით (ნუმერაცია ჩემია):

11. მღვდელმოწამე მოსე.

12. მღვდელმოწამე მაკარი.

13. მოწამე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.

14. (კედლის პირველ სვეტზე) წმინდა მამა არსენი.

15. ღირსი მამა ეფთვიმი გრძელისძე.

16. ღირსი მამა (მიქელ) ჭულაძსძე.

17. ღირსი მამა იოანე რეხვაძსძე.

18–19. (ზემოთ) ღირსი მამა დანიელ აბაშვილი და (ზემოთ) ღირსი მამა იოანე ჭიმჭიმელი.

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 85-86.

² ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 808.

20–21. (კედლის მეორე სვეტზე) კათალიკოსი ქართლისა არსენი (ზემოთ)

22. ღირსი ნუნუს ეპისკოპოსი.

23. ღირსი ეპისკოპოსი კინდ.

24. (საკურთხეველის კედელსა და ბიბლიოთეკის კარს შორის უნდა ყოფილიყო) დავით IV აღმაშენებელი¹.

სამხრეთი კედელი

25. საკურთხეველის სვეტზე გამოსახული იყო ლევან II დადიანის და, ქართლის დედოფალი მარიაში, დაჩოქილი მაცხოვრის წინაშე, რომელიც ცნობილია ნ. ჩუბინაშვილის (ფ. N14) და ა. ცაგარელის (ფ. N15) ჩანახატების მიხედვით. პორტრეტს ჰქონდა წარწერა: „ქართლის დედოფალი მარიაში, ასული დადიანისა, შეუდგენ ღმერთმან, ამინ“².

26. სამხრეთის კედელზე გამოსახული იყვნენ ლევან II დადიანი და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე ნესტანდარეჯანი და ვაჟიშვილი (ფ. №16). ფრესკას ჰქონდა ხუცური წარწერა: „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან და ცვა-ფარვათა თქვენთა მინდობილმან, დადიანმან ბატონმან ლეონმან, დავახატებინე საოხად თანაცხედრისა ჩვენისა და შემოვწირე კოცხერი ასის კომლისა კაცითა, ნესტან-დარეჯანის სასულიეროდ, ქორონიკონსა ტკია (1643)“.

საკურთხეველის კარები

27. საკურთხეველის კარებზე პორფირი უსპენსკის უნახავს ხატი ქართული წარწერით: „ნესტან დარეჯან“: ა. ცაგარელმა ხატი და წარწერა ვერ იპოვა, მაგრამ ივარაუდა, რომ ნესტანდარეჯანი ლევან დადიანის მეუღლე უნდა ყოფილიყო³.

სვეტები

სამხრეთ-დასავლეთი სვეტი

28. დასავლეთ მხარეს, შუაში, მთელ სიმაღლეზე პორტრეტი წმ. პეტრესი და წმ. პავლესი. თავებთან წარწერები (ზემოთ ბერძნული, ქვემოთ ქართული): „პეტრე“, „პავლე“ (ფ. 17).

¹ ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 811.

² Цагарели А. А., Памятники, 245.

³ Цагарели А. А., Памятники, 246-247.

29. ქვემოთ, პეტრეს და პავლეს ფეხებთან მინიატურული პორტრეტი მხცოვანი მამაკაცისა ბერულ ტანსაცმელში და თავზე კუნკულით, თავზევით აქვს წარწერა: „ამის დამხატავსა პატრადესა დრანდელსა მოქზსა (მთავარეპისკოპოსსა) გბლს (გაბრიელს) და მ(ი)სთა დელა-მ(ა)მთა¹ შ(ეუნდო)ნ დ(მერთმა)ნ ა(მი)ნ“ (ფ. №18). ე. მეტრეველი მოსაზრებით, გაბრიელ პატრიქე შეიძლება იყოს დრანდის ის ეპისკოპოსი გრიგოლ, რომლის აღაპი დაიწერა XIII–XIV საუკუნეთა მიჯნაზე². თ. ვირსალაძეს კი XVII ს. პირველი ნახევრის მოღვაწედ მიაჩნია³.

30. სამხრეთ მხარეს, ქვემოთ, მთელ სიმაღლეზე წმ. მარცვლუს აკიმეტეს და წმ. არეტას გამოსახულებანი. წმინდანთა თავებთან ქართულად მათი სახელები (ფ. №19).

31. აქვე გამოსახული იყო კაცი ბერულ სამოსელში, მაგრამ კუნკულის გარეშე, მუხლმოყრილი წმ. სებასტიანეს წინაშე. ნ. ჩუბინაშვილი მას იოანე გურიულ მგალობელს უწოდებდა (ფ. №20). ვინ იყო ან რა დაიმსახურა ჯვრის მონასტრის წინაშე, უცნობია. პ. ინგოროყვას იგი XII საუკუნის მუსიკოს შემსრულებლად მიაჩნდა⁴.

32. აღმოსავლეთ მხარეს, ზემოთ გამოსახულნი იყვნენ ჯვრის მონასტრის სხვადასხვა დროის წინამძღვრები – პროხორე (XI ს.) და ლუკა მუხაისძე, რომელიც მოკლეს 1272 წელს. ფრესკას ჰქონდა წარწერები: „წმიდა პროხორე“ და „წმიდა ლუკა“.

33. შუაში, მთელ სიმაღლეზე ორი წმინდანის – მაქსიმე აღმსარებლის და იოანე დამასკელის პორტრეტები, თავებთან ბერძნული (ზემოთ) და ქართული (ქვემოთ) წარწერებით: „წმ. მაქსიმე აღმსარებელი“, „წმ. იოანე დამასკელი“ (ფ. №21).

34. ამ კომპოზიციის შუაში არის შოთა რუსთაველის მინიატურული პორტრეტი წარწერით: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შ(ეუნდო)ნ დ(მერთ)მ(ან) ა(მი)ნ. როსთვ(ე)ლი“ (ფ. №22).

35. სამხრეთ-დასავლეთი სვეტის აღმოსავლეთ მხარეს, ზემოთ, მარჯვნივ არის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის წარწერა: „დადიანმან ლეონ მიბობა და გავაკეთე გომბადი (გუმბათი) და

¹ თ. ვირსალაძესთან „მამა-დელა“ – Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 57.

² მეტრეველი ე., მასალები, 54.

³ Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 57.

⁴ ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 820.

გუერდები. ორი ათასი ახნალი (ახლანი) და ექსოი (ექესი) ათას(ი) ჩემი დავხარჯე. ქ(რონი)კ(ონ)სა ტკია. ნკ (ნიკიფორე)“.

სამხრეთ-აღმოსავლეთი სვეტი

36. დასავლეთი მხარე, შუაში: წმ. ექვთიმეს და წმ. საბას წინაშე მუხლმოყრილი, საერო ტანსაცმელში გამოწყობილი ხანშიშესული მამაკაცი და ვაჟი (ფ. №24). ფრესკას ახლავს დაზიანებული წარწერა: „ამისა დ(ა)მხატ(ა)ვსა არსენავლსა¹ გრიგოლს [შ ს ღ ნ] და მისთა დედ-მამათა შ ს ღ ნ [ღ ნი...ა() ა... ღნჭ“.

ე. მეტრეველი და პ. ინგოროყვა ფიქრობენ, რომ გრიგოლი უნდა ყოფილიყო XIV ს. მოღვაწე და მას მონაწილეობა მიუღია ჯვრის მონასტრის განახლებაში³. თ. ვირსალაძე კი, ჩაცმულობის მიხედვით, გრიგოლს მიიჩნევს XVII ს. მოღვაწედ და ჯვრის მონასტრის მოხატულობის განახლების მონაწილედ 1643 წ. ⁴

37. სამხრეთი მხარე, შუაში: ნ. ჩოლოყაშვილის წარწერა: „მე ყოვლად უღირსმან მამამან ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისა, დავახატეინე მრავლითა ჭირითა და შრომითა ამინ“. სავარაუდოა, რომ ამ წარწერის ქვეშ ყოფილიყო ნ. ჩოლოყაშვილის ფრესკა, რომელიც იხილა ტ. გაბაშვილმა, მაგრამ არ მიუთითა მისი მდებარეობა. მონასტერში ნიკიფორეს ღვაწლის აღმნიშვნელი სხვა წარწერებიც არის.

ჩრდილო-დასავლეთი სვეტი

38. აღმოსავლეთი მხარე, შუაში: ფრესკაზე გამოსახულია ორი ქალი. მარჯვენა წარწერიდან იკითხება „...ისა“, მარცხნივ კი წერია: „ელისაბედ და მართა“ (ფ. №25).

¹ თ. ვირსალაძის გამოცემაში „ღ“-ს ნაცვლად არის „რ“ Virsaladze T. B., *Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели*, 8.

² ა. ცაგარელის ამოკითხვით: „არსენი(ს), ვ რს (ვარლამს), გრიგოლს და (მათთა) დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ Цагарели А. А., *Памятники*, 244. ზემოთმოყვანილი ტექსტიდან თ. ვირსალაძეს გამოტოვებული აქვს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ადგილები. Virsaladze T. B., *Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели*, 58.

³ მეტრეველი ე., მასალები, 54; ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 836-837.

⁴ Virsaladze T. B., *Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели*, 59-60.

39. სამხრეთი მხარე, ზევით: მთავარანგელოზნი მიქაელი და გაბრიელი. თავებთან ქართულად: „ღბლი (დიდებული) მიქაელ“, „ღ (დიდებული) გაბრიელ“ (ფ. №26).

40. ქვემოთ: „ჯ(ვარ)ო პატიო(სა)ნო და წ(მინდა)ნო მთავარანგელოზნო მიქ(ა)ელ და გაბრიელ შეიწყ(ა)ლ(ე)თ ხოლ-ა-ყაშვილი ომ(ა)ნ და ძე მათი მო(უ)რავი ქეიხოსრ(ო) და თ(ან)ა-მეცხედრე მ(ა)თი¹ ბა(რ)ბარ. ა(მი)ნ“.

41. ამავე სვეტზე უნდა ყოფილიყო თეოდოსე მანგლელის ფრესკა. ნ. ჩუბინაშვილის თქმით, „სვეტის სამხრეთ მხარეს ხატია თეოდო(ს)ე მანგლელი რევიშვილი. სქემოსანი, კვერთხითა“ (ფ. N27). ა. ცაგარელს თეოდოსეს ფრესკა არ უნახავს. აღბათ, მის დროს აღარ არსებობდა.

42. მაღლა არის ფრესკა, რომლის ქართული წარწერა არც თუ მთლად გასაგები ქარაგმებით გვაუწყებს: „იუ ქე. მიიძინა ე(ითარც)ა (ჰ)ლომმ(ა)ნ“ (ფ. №28). ვ. ცაფერისის განმარტებით, კომპოზიციის ცენტრში ყრმა ქრისტე წევს წითელ ბალიშზე, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ უსხედან ანგელოზები. ადრე ამ ფრესკას ჰქონებია ბერძნული წარწერა: „ღვთის ბატკანი“². ასეთივე ბერძნული წარწერით („ღვთის ბატკანი“) ფრესკის ფოტოსურათი არის თ. ვირსალაძის წიგნში, მაგრამ გაუგებარია, რატომ ჰქვია „ფხიზელი თვალი“³.

43. აღმოსავლეთი მხარე, შუაში: მთელი სიმაღლით წმ. კირილე და წმ. ათანასე. თავებთან ქართულად: „წი კვირილე“, „წი დ(ი)დ(ი) ათანასე“ (ფ. №29).

ჩრდილო-აღმოსავლეთი სვეტი

44. დასავლეთი მხარე, შუაში: მთელი სიმაღლით მარცხნივ „წი გვრი დ(ვთ)ისმ(ე)ტყვე(ე)ლი“, მარჯვნივ – „წ(ინას)წ(არმეტ)-ევე(ე)ლი დანიელ“ (ფ. №30). დანიელს ხელში უკავია გადაშლილი წიგნი, რომელშიც მოჩანს სამხაზიანი ქართულად ნაწერი. იკითხება მხოლოდ ერთი სიტყვა: „აღადგინო“. ინგლისურ ანოტაციაში⁴ ნათქვამია, რომ წინათ ქართული წარწერა გადაშლილი იყო და ბერძნულად ეწერა „წმ. კირილე“ იერუსალიმის ეპისკოპოსი (მარცხნივ) და „წმ. ქრისტოფორო“. დღეისათვის ფრესკა გასუფთავებული და წარწერაც აღდგენილია.

¹ ა. ცაგარელთან – „მისი“. Цагарели А. А., Памятники, 245.

² The Monasteri of the Holy Cross in Jerusalem by V. Tzaferis, 39.

³ იხ. ფოტო XVII – “Недреманное око”.

⁴ The Monasteri of the Holy Cross in Jerusalem by V. Tzaferis, 42.

45. სამხრეთი მხარე, ქვემოთ: ქართული წარწერა – „მ(ი)ქ(ე)ლ ვ(ა)ბრ(ი)ელ მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგელოზნო, შე(ი)წ(ა)ლ(ე)თ მამის(ი)მედი“.

46. წარწერის ზემოთ, შუაში, დაზიანებული ფრესკა ქართული წარწერით: „წ(ინას)წ(არმეტ)ყ(ვე)ლი მოსე“, „წ(ინას)წ(არმეტ)ყ(ვე)ლი...“ (ფ. №31). ინგლისურ ანოტაციაში არასწორად: „სოლომონ მეფე“ (?), „დავით მეფე“ (?)¹.

47. ზემოთ: აბრამი მსხვერპლად სწირავს ისაკს. ფრესკის ბუნდოვანი წარწერაა: „თმ ლმ აბრ ნო მიპყო (ყ) ელსა ყრმ-მასა“ (ფ. №32). ამ ფრესკაზეც ქართული წარწერა შეცვლილი იყო ბერძნულით: „აბრამის მსხვერპლთშეწირვა“² (ფ. XVIII).

48. დასავლეთი მხარე, შუაში: მთელი სიმაღლით გამოსახულია იოანე წინასწარმეტყველი (მარჯვნივ) და მამამისი ზაქარია (მარცხნივ). ორივეს თავზევით არის ქართული წარწერები: „წ~წ ს(ლი) ზაქარია“, „წ(მიდა) ი(ოვან)ე წინამორბედი“. იოანეს მარცხენა ხელში უკავია გაშლილი გრაგნილი, რომელშიც ჩანს მათეს გამონათქვამი ბერძნულად: „და ამბობდა (მათე – ე. მ.): მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი“ (მათე, 3:2) (ფ. N33).

49. ზემოთ, ფრესკა ქართული წარწერით: „შობა წ(მიდ)ისა ი(ოან)ე ნათლისმცემლისა“ (ფ. №34).

50. ჩრდილოეთი მხარე, თაღის დასაწყისში გამოსახულია წინასწარმეტყველი სოფონია (ფ. №35), რომლის თავთან არის ბერძნული და ქართული ქარაგმები, რომელთა გახსნა ვერ ხერხდება. სოფონიას ორივე ხელში უჭირავს პერგამენტი, რომელზეც არის ციტატა ბერძნულად მისივე ქარაგებიდან (სოფ. 3:12–13).

51. იმავე მხარეს, ზემოთ: ორი წმინდანი ქალი. მარცხნივ – „წ(მიდა) ხრისტინა()“, მარჯვნივ – „წ(მიდა) მ(ა)რი(ა)მ მაგდა-ნილი“ (მაგდალინელი). ქართული წარწერების ზემოთ ბერძნულად იგივე (ფ. №36).

იატაკი

52. გუმბათის ქვეშ, საკურთხეველის კარის პირდაპირ, მოზაიკის იატაკში ჩასმული იყო ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტა ქართული ასომთავრული წარწერით: „სდევით მტკიცედ და

¹ The Monasteri of the Holy Cross in Jerusalem by V. Tzaferis, 42.

² Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 60.

შეურყეველად და მომიხსენეთ მე ცოდვილი მამა ნიკიფორე, ნ(ი)კ(ო)ლო(ზ). ტკია“ (1643). ფირფიტა იატაკიდან ამოღებულია და ინახება მონასტრის მუზეუმში.

53. 1936 წელს გ. ფერაძეს, წმ. ჯვრის მონასტერში ყოფნისას, ამოუკითხავს მხედრულით შესრულებული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან კტიტორები – ნიკიფორე ჩოლოყაშვილი და ლევან II დადიანი: „*ვნებულო ხვეთვის ჯვართით შეიწყალე ცოდვილი მამა ნიკიფორე, არშიმანდრიტი წმიდისა გოლგოთის, შეეწიე. ქორონიკონსა ტკია (1643 წ.). შეეწიე დადიანს ლეონს, რომელმან მოჭედა ძელი ესე*“¹.

54. წარწერა საკურთხევლის იატაკის მარმარილოს დაფაზე, ტრაპეზის მარცხნივ: „*ესე წმიდა და ყოვლად პატიოსანი მონასტერი [ა] მადლითა და შეწევითა [ღმრთისათა მეფესა ვახტანგ გორგასალს აღუშენებია*“².

55. წარწერა საკურთხევლის იატაკის კიდევ ერთ დაფაზე, ტრაპეზის მარჯვნივ: „*ჯვარო პატიოსანო შეიწყალე ცოდვილი მამა წმიდისა ჯვარისა ნიკიფორე*“.

ნარტექსი

56. ა. ცაგარელს ნარტექსში, ტაძარში შესასვლელთან, მარჯვნივ, სამი საუენის სიმაღლეზე, დიდი კარის თალის მახლობლად, უნახავს უთარილო წარწერა: „*სულსა ამა კამარათა აღმაშენებელსა შობის (შოშის?) შვილს შაღვას და დედა [მამას და] ძმათა მისთა – შეუნდოს ღმერთმან*“³.

¹ ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 143.

² Вирсаладзе Т. Б.. Роспись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, 17-18.

³ Цагарели А. А., Памятники, 247.

THE MONASTERY OF THE HOLY CROSS IN JERUEALEM (Wminda Jvaris Monastery – in Georgian)

For the issue foundation of the Holy Cross Monastery in Jerusalem

Among the existing Georgian monasteries and churches abroad Holy Cross was the oldest and most important. For a long time it was believed to be an image of Georgian culture, its international authority for its place and role in Christian world.

At various times the Georgians had 20 cloisters, 3 churches and 7 chapels in Jerusalem and its surroundings, but the Holy Cross for centuries has been determining and controlling all sides of the Georgian church-monastery life in Jerusalem.

According to known literary sources, legends and narratives it is possible to say that great Georgian spiritual figure and philosopher Petre Iberi was the founder of monastic movement, construction of churches and monasteries and establisher of the first Georgian colony in Jerusalem.

From the 5th century Georgian colony of Jerusalem stood against political cataclysms with fierce struggle and labor and being separated from its motherland realized great national affairs by material, political and moral support from kings, feudal aristocracy, and people in general. Generations of great personalities and creators without whom we cannot imagine Georgian ecclesiastic and secular literature and all the achievements that Georgian people can be proud of were born among its series.

In my opinion there exists a perfect base to prove that from the time of proclamation of Christianity as a State religion in Kartli, during the reign of Mirian the formation of a Georgian Christian community with all characteristic to it features in Palestine (and Jerusalem in particular) begins .

Taking into consideration the archaeological data we have a full right to say that on the place of a modern monastery or close to it, in the above mentioned centuries Georgians had at least a chapel, on the place of which in future (Vc.) a splendid Cathedral was erected .

During the first period of activities of Peter the Iberian (Petre Iberi) and Ioane Lazi in Palestine (beginning of the 50es of the V century) begin their activities for monastery building. “Life and Citizenship of Saint and Blissful Father of ours Petre Kartveli, who was a son of the King of Georgia” and “Life of Peter the Iberian” by Zachariah the Georgian give us bases for this.

1. There is a firm based on proofs that from the time of proclamation of Christianity as a State religion in Kartli, during the reign of Mirian in Pa-

lestine (Jerusalem in particular) formation of a Georgian Christian community with all its characteristic features begins.

2. According to the tradition obtaining of a piece of land in Holy Land by King Mirian is just one detail of his activity. At that time Georgian pilgrimage to the Holy Land had already existed, which is demonstrated in the remnants of Christian buildings conducted by them even on the territory of the Holy Cross and in its vicinity.

3. Legends and those material monuments which tell about the presence and activities of Georgians in Palestine during the reigns of kings Mirian and Vakhtang I Gorgasali show that Peter the Iberian was not just a beginner but a worthy continuer of the activities of Georgians on the Holy Land.

4. Archaeological and literary data make it certain that the founder of the Monastery of the Cross in Jerusalem was Peter the Iberian who was buried there. He built the Monastery of the Cross on the place of a former Georgian chapel and a grave yard.

5. Peter the Iberian founded the “Georgian Monastery” (Holy Cross) in the second half of the 30-ies of the V century.

6. There is an indication that the bases for establishment of a Monastery of Holy Martyrs close to Jerusalem, where relics of holy Fathers were brought by Peter the Iberian from Constantinople to Jerusalem. Together with the relics Peter the Iberian also brought here fragments of the Holy Cross which could have been the same successful reason for the establishment of the Monastery of the Cross and granting it this name.

7. The monastery was named after the Holy Cross, a Christian symbol

8. Monasteries founded by Peter the Iberian were known by Georgian tribal names (Georgians, Laz, and Iberians). Peter was called the **Georgian** (Peter the **Georgian** that is from Kartli) and was a “son of a King of **Georgians**” (King of Kartli), that is why it is significant that the Monastery of the Cross built for “his own self” he called a “Monastery of **Georgians**” (Monastery of Kartlians)^{1*}. Biographer of Peter the Georgian was Zachariah the **Georgian**. An inscription “**Georgian**” on the tombstone of the Archbishop of Tsurtavi Ioane points again to the fact that the ethnonim

* In Jerusalem, the Monastery founded at the Tower of David, was presented by a general ethnonym denoting Georgians (Iberians). There was also known one more monastery with another Georgian tribal name (Lazi), it can be linked with the name of Ioane Lazi, but one should take in consideration that Lazis on the Holy Land were rather known by the name of „Bessians“, besides Ioane Lazi. Issues of Laz (Bessians) I will cover another time.

“Georgian” was widely spread and recognizable for everyone in Palestine in V-VI centuries.

9. Implementation of the ethnonim “Iberian” for Peter the Georgian doubtlessly happened in the XIX century by those European scholars who studied lives and activities of these prominent Georgians. At that time Europe know Georgians by the name of Iberians and the name Peter the Georgian was replaced by a more understandable “Iberian” which to their mind would not affect Peter’s identity.

10. The Greek scholars themselves admit that in the XI century Georgians restored Holy Cross, which is true and can be used as a proof for the fact that it was established by the Georgians. Otherwise it is unclear why Byzantines might have given the Georgians this right.

11. Peter the Iberian’s tomb was at the Monastery of the Cross established by him and that is why his picture was portrayed on the wall of the Cathedral.

* * *

From the V century the material, political and moral support of the kings, feudal aristocracy and in general, common people, the Georgian settlement in Jerusalem, though fierce fights and labour, was able to endure the political cataclysms and did a great national job being far from the Motherland. The galaxy of public figures and creative workers came from this settlement. Without them it is difficult to imagine the Georgian church and secular literature, and generally, the achievements the Georgians can be proud of.

It is very important that essential legends connect the three greatest Georgians – Petre Iberi, Queen Tamar and Shota Rustaveli – with the Holy Cross.

